შოთა ძიძიგური

ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი

მეორე გამოცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი და სამუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთათვის

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი
1970

4 Г
499.962.1.0
ქ. 631

რედაქტორი ე. გელაშვილი
მხატვრული რედაქტორი მ. ასათიანი
ტექრედაქტორი ლ. ქებულაძე
კორექტორი ვ. კებელაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/XII-69 წ.. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 17. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,69.
ტირაჟი 1000 შეკვეთის № 916
ფასი 1 მან. 31 კაპ.

გამომცემლობა „განათლება," თბილისი, კამოს ქ. 18.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо, 18.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати. Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.

7—1—1
193—70

ქართული დიალექტოლოგიის ისტორია

საეკლესიო-მეცნიერო ლიტერატურაში ცნობები ქართული ცოცხალი მეტყველების შესახებ მე-18 საუკუნის მიწურულიდან მოიპოვება. 1793 წელს გამოქვეყნებულ წიგნში ქართული ლიტერატურის შესახებ, რომლის ავტორია ფრ. ალტერი, ლაპარაკია ქართული ენის კილოებზე. ავტორის მსჯელობა აღსავსეა ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებით[1].

მ. ბროსე ჯერ კიდევ 1834 წელს თავის წერილში ქართული ენის შესახებ[2] გამოყოფს ხუთ „დიალექტს": კახურს, იმერულს, მეგრულს, გურულს, ცენტრალურ ქართლურს და ოთხ „პატუას"—„კავკასიის სვანურს" და „ლაზიკის ჭანურს", აფხაზურს და მესხურს. ამგვარად, ბროსე ადიფერენცირებს ქართულ ენას დიალექტებად და პატუებად. ქართველური ენები: მეგრულ-ჭანური და სვანური, ასე გასინჯეთ, აფხაზურიც, ჩათვლილია ქართული ენის დიალექტურ ერთეულებად. შემდეგში ბროსე არაერთგან ეხება ქართულ კილოებს თავის ნაშრომებში. მაგალითად, აქ დავასახელებთ მის ქართულ გრამატიკას (1834 წ. გვ. 278 — 279). რომელშიაც ყურადღებას იპყრობს დიალექტური -ყე ნაწილაკის ინტერპრეტაცია.

ქართული კილოების ფაქტები კანტიკუნტად ჩართულია ადრინდელ გამოკვლევებში, რომლებიც შეეხებიან ქართველი ტომების ეთნოგრაფიასა და ისტორიას. მაგალ., რადეს ნაშრომში ხევსურთა შესახებ (1878 წ.) მოცემულია ხევსურული ონომატოლოგიური და ტოპონიმიკური ტერმინები (გვ. 82 — 83). ხევსურული კილოს შესახებ ავტორი შენიშნავს, რომ ისინი მეტყველებენ ძველი ქართულით, სხვა ქართველი ტომებისათვის ძნელად გასაგებ ენაზეო.

პროფ. ერკერტის ცნობილ შრომაში კავკასიური ენების თაობაზე[3] უხვად არის შესული ცნობები ქართული კილოების შესახებ. ქართულში, ავტორის აზრით, შედის შემდეგი „დიალექტები": ქართული ვიწრო გაგებით, იმერული, ინგილოური და ხევსურული. აქვე შევნიშნავთ, რომ

[1] Fr. Alter, Ueber Georgianische Literatur, Wien, 1798.

[2] M. Brosset, De la langue géorgienne, Paris, 1834.

[3] R. Erckert, Die Sprachen des Kaukasischen Stammes, Wien, 1895.

ზოგჯერ მოხსენებულია იმერულთან — გურული, ხევსურულთან — თუშური და ფშაური (ალბათ კილოკავის კვალიფიკაციით). ერკერტი იძლევა გამოყოფილი დიალექტების ნიმუშებს და გრამატიკულ დახასიათებას, იმერულს ავტორი მიიჩნევს „ვიწრო გაგებით ქართულთან“ ახლო მდგარ კილოკავად. ხევსურული დახასიათებულია, როგორც არქაული დიალექტი; ინგილოურის შესახებ აღნიშნულია, რომ ამ დიალექტს აქვს „ორი ნუანსი“ გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით: ერთი მხრით დგას „მთის ინგილოური“, რომელიც „თათრულის“ ძლიერ გაელენას განიცდის ლექსიკაში, და მეორე მხრით „სამხრული ინგილოური“, რომელშიც ნაკლებად გვხვდება უცხო ენის სიტყვები და, ამდენად, „ვიწრო გაგებით ქართულად“ მოუბართათვის უფრო გასაგებიაო. აქვე შენიშნავს ავტორი, რომ ინგილოურის მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვები ირთავენ -უე-ს, რა მოვლენასაც, აგრეთვე, ვადასტურებთ რაჭისა და ქიზიყის მეტყველებაშიო.

არაერთგან ეხება ქართული ენის დიალექტებს სახელგანთქმული რომანისტი ჰ. შუხარდტი. ერთ ნაშრომში[1] ავტორი ახასიათებს მოხეურის მახვილს ილ. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ გამოყვანილი მოხეების ენის საფუძველზე.

იგივე ავტორი ხშირად სარგებლობს კილოების მასალებით პროფ. ერკერტის შრომის მიხედვით. ქართველური ენების გეოგრაფიასა და სტატისტიკას ამავე მეცნიერმა სპეციალური მიმოხილვა უძღვნა[2]. აქ ქართული კილოების გეოგრაფიულ განაწილებას საკმაო ადგილი აქვს დათმობილი. საზოგადოდ, ჰ. შუხარდტის შენიშვნები ქართული კილოების შესახებ უფრო სანდო და მართებულია, ვიდრე სხვა ევროპელი მეცნიერებისა.

ერთ-ერთ გამოკვლევაში[3] ავტორი აანალიზებს -„უე“ ნაწილაკს, რომელიც ამჟამად მხოლოდ კილოებს შერჩათ. ავტორი თავს უყრის ამ გრამატიკული მოვლენის სხვადასხვა ინტერპრეტაციას (ჩუბინაშვილი, ბროსე, შანშოვანი, საბა ორბელიანი), არ იღებს მის გაგებას, როგორც დამადასტურებელი ნაწილაკისას და იძლევა „-უე“ ნაწილაკის სრულიად მართებულ განსაზღვრებას. ავტორი, აგრეთვე, სუამს საკითხს „უე“-ს გენეზისის შესახებ და მოაქვს პარალელური ფორმები ჩრდ. კავკასიის ენებიდან.

ცალკეული კილოს (ამ შემთხვევაში ინგილოურის) აღწერის ცდა მოცემულია მოსე ჯანაშვილის წიგნში: „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“ (1896, ტფილისი), რომელშიც ჩვენთვის საინტერესოა

---

[1] H. Schuchardt, Ueber das Georgische. Wien, 1895.

[2] H. Schuchardt, Zur Geographie und Statistik der Kharlwelischen (Süd kaukasischen) Sprachen, 1897.

[3] H. Schuchardt, Georgische-qe, 1927.

„დამატება: კაკ-ელისენში შეკრებილი სიტყვები, რომელთაგან ზოგი აღარ მოიპოვება ქართულს ლექსიკონებში და ზოგი გადასხვაფერებით იხმარება“ (84 — 123 გვ.). ამ დიალექტოლოგიურ ლექსიკონში ახსნილია რვაასამდე სიტყვა და მოყვანილია ალაგ-ალაგ პარალელები სხვა კილოთაგან და სვანურ-მეგრულიდან. შესავალ მიმოხილვაში ავტორი აღნუსხავს ინგილოური მეტყველების ზოგიერთ თავისებურებას. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ინგილოური ფონეტიკის სპეციფიკური მოვლენების ანალიზი. „-ყ“ ნაწილაკის შესახებ მ. ჯანაშვილი შენიშნავს, რომ მას აქვს „ხოლმეს“ მნიშვნელობა, ხოლო ამავე ნაწილაკის სხვა ფუნქციას ავტორი ასე გვიხასიათებს: „-ყ“-ს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობაც: „გაკეთებინებთ“ რომ ვსთქვათ, ვერ გავიგებთ, აქ რომელი ნაცვალსახელია ქვემდებარედ, „მე“ თუ „ჩვენ“. ამ გაუგებრობის ასაცილებლად იხმარება -ყ: გაკეთებინებყ: ე. ი. მე თქვენ, — და გაკეთებინებთ, ე. ი. ჩვენ თქვენ“ (გვ. 90 — 91).

დროთა ვითარებაში ქართულ ჟურნალ-გაზეთებში უხვად იბეჭდებოდა სხვადასხვა დიალექტურ რაიონში შეკრებილი მასალები, რომელნიც ჩაწერილია ფოლკლორისტული მიზნებით და ენათმეცნიერულ ინტერესს კი ნაკლებად შეიცავენ. ამგვარი ხასიათის ტექსტებს მარტოდენ დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიისათვის თუ აქვს მნიშვნელობა. ისიც განსაზღვრულ შემთხვევებში. ამგვარად, ხალხური სიტყვიერების ძველად გამოქვეყნებული ნიმუშები დიალექტოლოგიის თვალსაზრისით მაინცდამაინც სანდო არ არის.

ქართულ დიალექტოლოგიას საფუძველი ეყრება მე-20 საუკ. პირველი ათეული წლებიდან. ნიკო მარის ფილოლოგიური ნაშრომის Г. Мерчул, Житие св. Гр. Хандзтийского (ТР. VII, 1911) ბოლოში დართულია სამხრეთ საქართველოში ავტორის ლინგვისტურ-არქეოლოგიური მოგზაურობის დროს შემუშავებული დღიურები, სადაც შესულია იმერხეული მეტყველების ნიმუშები, მცირე ლექსიკონით და გრამატიკული შენიშვნებით. აქ პირველად ვეცნობით მეცნიერულად ჩაწერილი დიალექტოგრაფიული მასალის საფუძველზე მესხური დიალექტის დასავლური სექტორის (ჭოროხის ხეობის) მეტყველებას, რომელიც ნარჩენებადაა შემონახული „იმერხეულის“ სახით.

ნ. მარმა წამოაყენა დებულება დასავლურ კილოებში, უმთავრესად გურულსა და ქვემოიმერულში, მეგრულ-ჭანური ფენის არსებობის შესახებ. ეს დასტურდება ტოპონიმიკაშიც. 1913 წელს ივ. ჯავახიშვილი წერდა: „გურულები და იმერლები მეგრელ-ლაზების მიწა-წყლის შიგ შუა გულში არიან შეჭრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთმანეთისაგან აშორებენ. ამისდა მიუხედავად, ჩვენი ზემოაღნიშნული დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად კოლხეთის ის მიწა-წყალი

მხოლოდ მეგრელ-ლაზებს ეკუთვნოდა, მაინც შეურყეველი რჩება იმიტომ, რომ გურიის საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ახლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა ცხოვრებულიყო. ბევრი სოფლისა და მდინარის სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება. ან არა და მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ". ავტორი ასახელებს შემდეგ სახელწოდებებს: ჯიხანჯირი, ჯუმათი, ჰყონგვარი, ოჭილაური, ჰყვიში, გუბაზული, კინტრიში და სხვ. („ქართველი ერის ისტორია", ნ. პირველი, 1913, გვ. 56).

„ძველი საქართველოს" ფურცლებზე 1913 წ. ქვეყნდება მ. ჯანაშვილის ცნობილი ეთნოგრაფიულ-ისტორიული გამოკვლევა „საინგილო", რომელიც დიდ ინტერესს შეიცავს ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც: 181 — 221 გვ. მანძილზე გადაწყვეტილია ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო დიალექტის — ინგილოურის — ნიმუშები; აქვე მოცემულია დიალექტური მოვლენების გრამატიკული ანალიზი და ლექსიკონი. ამისდა მიუხედავად, მ. ჯანაშვილის მასალებს საკმაო დეფექტებიც თან ახლავს: ტექსტი არ არის ჩაწერილი სიზუსტით და ეჭვმიუტანლობით, გრამატიკული ინტერპრეტაციები ზოგჯერ შეუსაბამოა და გულუბრყვილო, ლექსიკონიც არ არის უნაკლოდ შედგენილი.

ქართული დიალექტოლოგიის, როგორც დისციპლინის, გამომუშავებისა და მერმინდელი განვითარების ისტორია ყველაზე მჭიდროდ აკაკი შანიძის სახელთან არის დაკავშირებული. კილოები ქართული ენის ავტორიტეტული სპეციალისტის ყურადღებას იპყრობს მოყოლებული 1913 წლიდან დღემდე. პირველი უტყუარი და სანდო ცნობები მთის კილოების ბუნებისა და მათი თანამიმართების შესახებ ა. შანიძის მიერ მოცემულია წერილში: «Отчет о летней командировке 1913 г. в Душетский и Тионетский уезды Тифл. губ. для изучения грузинских говоров» (ИАН, 1913). მარის იმერხეული ტექსტებისა და შანიძის „ანგარიშის" ისტორიული მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ ამიერიდან იწყება ქართული კილოების სპეციალურ-მეცნიერული შესწავლა, ეს არის დასაბამი ქართული დიალექტოლოგიისა.

ავტორი ყოფს მთის ქართველთა მეტყველებას ცალკეულ დიალექტოლოგიურ ერთეულებად და იძლევა მათ ზოგად დახასიათებას, რამდენადაც ეს შეჰფერის „ანგარიშის" ფორმას. მის მიერ გამოყოფილ ამ ჯგუფს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოსაზრებებით ავტორი უწოდებს ქართული ენის ფხოურ კილოს.

განვიხილოთ ქართული დიალექტოლოგიური ნაშრომები კილოების მიხედვით.

ქართულ კილოში მეორე პირის სუბიექტურ და მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსებს ეხებოდა ა. შანიძე 1920 წელს გამოკვლევაში: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში". მიღებულია დასკვნა: „ქართლის კილოს ერთი რამ თვისება ახასიათებს, რომელიც მას სხვა აღმოსავლურ კილოებიდან განმასხვავებელ ბეჭედს ასვამს. ეს გახლავს მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის დაკარგვა და ამიტომ მოთხრობითისა და ბრძანებითის ერთმანეთში არევა და ფორმალური განურჩეველობა... ქართლის კილო იზიარებს ძველი სალიტერატურო ენის წესს, რომლის მიხედვითაც ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ზმნას მხოლოდ მაშინ უნდა ჰქონდეს, თუ რომ დამატებას მიცემითში მოითხოვს. განსხვავება მხოლოდ ის გახლავს რომ, ჯერ ერთი, დღევანდელი ქართლის კილო ბოლომდი მიჰყვება ამ წესს და სახელობით დამატებიან ზმნათა აწმყოს წარმოების დროს ისეთი მერყეობა არ ემჩნევა, როგორც ძველს ქართულს; და მეორეც ისა, რომ აქ O_3-ად გამოდის უმთავრესად ჲე, რომელიც მეტად სუსტი ბგერაა და ადვილად იცის დაკარგვა გამოთქმაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წინ თანხმოვანი მიუძღვის ხოლმე" (გვ. 147 — 148).

1924 წელს გამოქვეყნდა ვ. თოფურიას ნაშრომი: „ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში". ავტორი ყურადღებას მიაქცევს I სერიის თემატიკური ნიშნების მონაცვლეობას, ე-ზე დაბოლოებულ ზმნაზე ვი მარცვლის დართვას, პრეფიქსების საკითხს და სხვ.

ერცელი გამოკვლევა — „ქართლური" ამავე ავტორისა დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში 1925 წელს.. გამოკვლევა დაფუძნებულია იმ დიალექტოლოგიურ მასალაზე, რომელიც შეუკრებია ვ. თოფურიას გორის მიდამოებში, უმთავრესად ტყვიავში. „ქართლური ფონეტიკა და მორფოლოგია" ცალ-ცალკე მოხსენებად იქნა წაკითხული ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომებზე 1924 წელს.

ნაშრომში დახასიათებულია ქართლური კილოს ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები, ცალკეა განხილული ქართლურისა და ძველი ქართულის მიმართება (პრეფიქსების დარგში). ავტორი ასკვნის: „ქართლური თავის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენებით ახლოს დგას სხვა აღმოსავლურ კილოებთან, მაგრამ მას განმასხვავებელი ნიშნებიც მოეპოება. ესენია: წყვეტილის 1 და 2 პირში ე-ზე დაბოლოებულ ზმნას ერთვის ი, რომელიც ანალოგიით დართული ვი მარცვლისაგან (ვ-ს დაკარგვით) არის მიღებული. დედისბგერების წინ გამოყენებულია ჰ, ჰს, ჲ პრეფიქსები. ამ მხრივ ქართლუ-

რის მნიშვნელობა დიდია პრეფიქსთა ევოლუციის გასათვალისწინებლად როგორც ძველი ქართულისა, ისე თანამედროვე კილოებისათვის.

მიმოხილვას ერთვის ქართლური მეტყველების ნიმუშები.

ატენისა და წედისის ხეობის ქართლური მეტყველება შესწავლილია ოტ. კახაძის მიერ („ატენისა და წედისის ხეობის ქართლური". 1952 წ.) მასალა შეკრებილია სოფლებსა და უბნებში: ჯებირში, პატარა გარდატენში, ვარიანთ უბანში, პატარა ატენში, დიდ ატენში, ფუხაანთ უბანში, ზემო ქსოვრისში და სხვაგან.

მასალის ანალიზიდან ირკვევა, რომ ატენისა და წედისის ხეობის მეტყველება წარმოადგენს ქართლური კილოს გარკვეულ ენობრივ ერთეულს (ავტორის კვალიფიკაციით — თქმას). თავისებურ მოვლენებად მიჩნეულია: სახელების მრავლობით რიცხვში შედარებით ხშირი ხმარება მაშინაც კი, როდესაც ჩვეულებრივ სალიტერატურო ქართული მათ მრავლობითში არ ხმარობს; -ვით თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის გამოყენება; ზმნისწინების „მონაცვლეობა"; მთიულურის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშნის გამოვლენა; არქაიზმები ლექსიკაში.

არაგვის ხეობის ქართლურს მიეძღვნება გრ. იმნაიშვილის გამოკვლევა: „არაგვის ხეობის ქართლური" (1952 წ.). ნაშრომი ემყარება 1948 წელს ავტორის მიერ საგურამოსა, ჭოპორტსა და მათ ახლომახლო სოფლებში ჩაწერილ მასალებს. როგორც ირკვევა, ამ სოფლების ახლანდელი მოსახლეობის წინაპართაგან ბლომად იყვნენ სხვადასხვა კილოს წარმომადგენლებიც. პირველ ხანებში მათი მეტყველება დაახლოებით ისეთივე ნარევი უნდა ყოფილიყო, როგორიც ამჟამად გვაქვს ქედის სოფლებში (წითელწყაროს რაიონი), მაგრამ დროთა განმავლობაში გათქვეფილა ქართლურ კილოში.

ნარკვევში მითითებულია სოფლების მიხედვით დადასტურებულ თავისებურებებზე და მთელი ხეობისათვის დამახასიათებელ საერთო მოვლენებზედაც. ეს თავისებურებანი შედარებულია როგორც ქართლის სხვა კუთხეების ქართლურთან, ისე სხვა აღმოსაელურ და დასავლურ კილოებთან.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ არაგვის ხეობის ქართლური ყველგან ერთნაირი არ არის: ზოგიერთი სოფლის მეტყველებაში შეიმჩნევა მთის კილოების (კერძოდ, მთიულურის) გავლენა, ზოგიერთისაში კი დასავლური კილოების (კერძოდ, რაჭულის) გავლენა. ძველ ქართულთან საერთო მოვლენებიდან აღსანიშნავია: ჯარის ხმარება, ხოლმეობითის გამოყენება, „მცა" ნაწილაკის დაცვა თავისი სინტაქსური ფუნქციით და სხვ.

1939 წელს გამოქვეყნდა საანგარიშო მიმოხილვები ექსპედიციისა, რომელიც მოაწყო ენიმკი-ს ქართველურ ენათა განყოფილებამ ხაშურისა და ნაწილობრივ გორის რაიონებში. ამ მიმოხილვებში მოცემულია

საინტერესო მასალა ქართლური კილოს ხაშურული მეტყველების შესასწავლად.

ხაშურის მახლობელი, ე. ი. ზემო იმერეთის მოსაზღვრე ქართლური სოფლები განსაკუთრებით ყურადღების ღირსია იმ მხრივ, რომ დიალექტოლოგიისათვის აქ მოსალოდნელია იმერული დიალექტის გავლენა. ამასთანავე ამ მიდამოებში უხვადაა იმერული სოფლები. გარდა ამისა, იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი ქართლური სოფელი, სადაც რამდენიმე ძველი და ახალი იმერელი მოსახლე არ იყოს.

სტ. ჩხენკელის მოკლე ანგარიშში („მოკლე ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ხაშურის რაიონში 1938 წელს") დადასტურებულია, რომ ზემო იმერეთის მოსაზღვრე ქართლურ სოფლებში იმერული დიალექტის გავლენა აშკარად შეიმჩნევა. აქაური იმერული სოფლების მეტყველებაშიც, რა თქმა უნდა, ჰარბადაა წარმოდგენილი ქართლური დიალექტის გავლენით შემუშავებული მოვლენები.

ავტორი იმერულის გავლენით ხსნის ამ მიდამოების ქართლურში, მაგალითად, ამ, ას არარსებობას. ანგარიშში დახასიათებულია რამდენიმე მოვლენა, ცნობილი ქართლური კილოს სხვა რაიონებიდანაც.

ივ. გიგინეიშვილის ანგარიშში („ანგარიში საზაფხულო მივლინებისა სურამის მიდამოებში") სურამული მეტყველების თავისებურებები განხილულია სხვა კუთხეების ქართლურთან, კერძოდ, კაკოთისხეურთან შეპირისპირებით. მაგალითად, ავტორი ადასტურებს, რომ ენიან წყვეტილში ვი-ი მარცვლის დართვა არ არის სურამულისათვის ნიშანდობლივი; ასევე უცხოა ამ რაიონის მეტყველებისათვის S_2 და O_3 პრეფიქსების ის სიუხვე და მრავალფეროვანება, რომელიც ასე დამახასიათებელია ქსან-ლიახვისა და, განსაკუთრებით, კავთისხეველთა მეტყველებისათვის.

ავტორი ადასტურებს სურამულზე იმერული დიალექტის გავლენის რამდენიმე ფაქტს. ასეთია, მაგალითად, პრეევრებების ასიმილაციის ფორმები: „წეეიდა", „დეიწერონ" და მისთ. საყურადღებოა სურამულის შემდეგი ფონეტიკური თავისებურება: მ-ს ნ-თი შეცვლის სისტემატურობა.

დასკვნა ასეთია: სურამულს ერთგვარი საშუალო ადგილი უჭირავს იმერულსა და ქართლურს შორის; ასეთივე (გარდამავალი) ზოლი უნდა იყოს ლიხის გადაღმაც.

ხაშურის რაიონის სოფლების — ქვენა-ტკოცას, ტკოცას და ფელას მეტყველების თავისებურებები ზოგადად დახასიათებულია ალ. ჯიშიაშვილის საანგარიშო მოხსენებაში. აღნიშნულია, რომ ამ სოფლების ენა დიალექტოლოგიური თვალსაზრისით არსებითად გასდევს ე. თოფურიას გამოკვლევაში („ქართლური") დადასტურებულ მოვლენებს. ავტორი

მიუთითებს ზოგიერთ სპეციფიკურ მოვლენაზე ფონეტიკისა და მორფოლოგიის დარგებში.

ა. მარტიროსოვის ნაშრომი („ანგარიში საზაფხულო მიველინებისა ფრონის ხეობაში 1938 წ.") რამდენადმე სცილდება საანგარიშო ხასიათის მიმოხილვის ფარგლებს: მასში შედარებით ვრცლადაა დახასიათებული ფრონული მეტყველების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი.

ქართული კილოს ცალკეულ საკითხებს შეეხება ალ. ღლონტის ნაშრომები: „გრძელი ა-ნის საკითხისათვის ქართულში" (1940 წ.) და „ემფატიკურხმოვნიანი გენეტიური მსაზღვრელი ქართულში" (1947 წ.).

პირველში გამოთქმულია მოსაზრება გრძელი ა-ს არსებობის შესახებ ქართლურში. ავტორის აზრით, მეშველ ზმნებში: ვ ა რ ო, ხ ა რ ო, გარდა ამისა ზმნებში: მ ა ქ ს ო, ვ ჭ ა მ ო, მ ი ნ დ ა ო... შეიმჩნევა გრძელი ა. ამ ა-ს გაჩენა ნაწილობრივ ო-თქო ნაწილაკებს უნდა მიეწეროსო.

აქვე დავძენ, რომ ამგვარი ფორმების არსებობაში ექვი შეიტანა ქ. ლომთათიძემ („დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში"). ავტორი ფიქრობს, რომ აქ სიგრძე კი არ არის, არამედ „სათანადო ცვლილებები გამოწვეულია მახვილის მიერ ერთმარცვლიან სიტყვებში".

ალ. ღლონტის მეორე ნაშრომში მიღებულია დასკვნა: ქართლურში ნაგენეტივარი მსაზღვრელი ემფატიკურ ხმოვანს ირთავს და ჩვეულებრივ საზღვრულის შემდეგ დაისმის; ემფატიკურხმოვნიანი ნაგენეტივარი მსაზღვრელი ადგილის მიხედვით კილომი დღეს მერყეობია, ისტორიულად მას წინ უსწრებდა საზღვრული, რაც ახლაც ფართოდაა გავრცელებული; ემფატიკურხმოვნიანი ნაგენეტივარი მსაზღვრელი ქართლურში წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით; ემფატიკურხმოვნიანი ნაგენეტივარი მსაზღვრელის ხმარების მხრით ქართლური კილო ემთხვევა ძველ ქართულს.

ქართული ლექსიკის ნიმუშები ქსნისა და ლიახვის ხეობებში შეკრებილი მასალის მიხედვით წარმოდგენილია შ. ძიძიგურის საანგარიშო ჩასიათის ნაშრომში, რომელიც დაიბეჭდა ენიმკი-ს მოამბეში 1937 წელს. აღნუსხულია ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ქართული ენის ლექსიკონებში არ გვხვდება. ამასთანავე, მოცემულია ისეთი სიტყვები, რომლებიც არსებულ ლექსიკონებში განსხვავებული შინაარსითაა დამოწმებული; შესადარებელი მასალა მოტანილია ძირითადი ლექსიკონებიდან [1].

---

[1] „ქართული ლექსიკონი" ნ. კეცხოველის, შ. ძიძიგურისა და პ. ხუბუტიასი (ე. თოფურიას რედაქციით) დაიბეჭდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიაში დაახლოებით 20 ნაბეჭდი ფორმის მოცულობით (არ გამოსულა).

ქართლური ლექსიკის ზოგიერთი ფაქტი — სურისა და ატენის ხეობების მიხედვით — გამოქვეყნებულია აგრეთვე პ. ხუბუტიას საანგარიშო მოხსენებაში (1937 წ.).

ქართლური დიალექტოლოგიური ტექსტები, გარდა ვ. თოფურიას გამოკვლევაზე დართული მასალებისა, გამოქვეყნებულია წიგნის სახით ალ. ღლონტის მიერ („ქართლური ზღაპრები და ლეგენდები", 1946). მასალა შეკრებილია გორის რაიონში. წიგნს წამძღვარებული აქვს ქართლურის თავისებურებათა მოკლე მიმოხილვა და ერთვის პატარა ლექსიკონი, რომელშიც შესულია 100-ზე მეტი სიტყვა.

კახური

კახურში პრეფიქსების საკითხს პირველად შეეხო ა. შანიძე („S_2 და O_3 ქართულ ზმნებში", § 66). მიღებულია დასკვნა: „კახურ კილოს დღევანდლამდე შერჩენილი აქვს როგორც O_3, ისე S_2, რის გამოც მოთხრობითი კილო და ბრძანებითი წეუულებრივ გარჩეულია ხოლმე თანხმოვნიან თემებში. ორივე პრეფიქსი ფონეტიკურად, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ჲე არის, რომელიც მხოლოდ ხმოვნის შემდეგ შეიძლება გამოთქმულ იქმნეს. მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების წესი კახურშიაც იგივეა, რაც ქართლურში". ავტორი დასძენს, რომ „კახეთის კარგა მოზრდილია და ცხადია, რომ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირი მოპყრობა იქმნება პრეფიქსებისადმი".

შესწავლილია გარე-კახური დიალექტი არნ. ჩიქობავას მიერ („გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად". 1925 წ.). გამოკვლევა ემყარება ავტორის მიერ გარე-კახეთში შეკრებილ დიალექტოლოგიურ მასალებს.

ავტორი ადგენს ხმოვანთა კომპლექსების მონაცვლეობის ფორმულებს: ეა→ვო, ოა→უა, ოვე→ოე, ავ→ამ, ოვი→ოი; წარმოგვიდგენს ხ-ს დასუსტების შემთხვევებს; ჲ-ს გამოყენებას მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად და მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად, -ყე ნაწილაკის ფუნქციას, თ-ს გამოყენებას -ყე ნაწილაკის ფუნქციით, და სხვ.

გამოკვლევას ერთვის გარე-კახური მეტყველების ნიმუშები.

შიგნიკახურის ზოგიერთი ძირითადი თავისებურება დახასიათებულია პ. ხუბუტიას ნაშრომში: „მოკლე ანგარიში თელავის რაიონში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობის შესახებ" (1939 წ.). გარდა ლექსიკონის მასალებისა, ანგარიშში განხილულია შიგნი-კახურის ზოგიერთი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენა. ერთვის ტექსტებიც.

ამჟამად მოგვეპოვება მონოგრაფიული გამოკვლევა კახურის შესახებ. (ა. მარტიროსოვისა და გ. იმნაიშვილისა).

ქიზიყური

ქიზიყურში S_2—O_3 პრეფიქსების საკითხი პირველად გაარკვია ა. შანიძემ („S_2 და O_3 ქართულ ზმნებში", § 67). ავტორი აღნიშნავს, რომ მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი ქიზიყურ კილოში ივგვარადვე იხმარება, როგორც კახურში, ხოლო მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების საკითხში ეს კილო „ხელი-ხელ ჩაყიდებული მიდის ერთი მხრით ქართლურთან და მეორეს მხრით კახურთან". იქვე აღნიშნულია, რომ „დაჰბადა" ტიპის ზმნები, რომელთაც ძველ ქართულში მიცემითდამატებიან ზმნათა უღვლილების წესი აქვთ, ქიზიყურს უკვე სახელობითდამატებიანებად უქცევია.

ქიზიყურის სხვა თავისებურებათაგან სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ხ ბგერის დასუსტება, მეტად საყურადღებო ფონეტიკური თავისებურება ამ დიალექტისა. საკითხი გარკვეულია არნ. ჩიქობავას ნაშრომში: „ს — ბგერის დასუსტება ქიზიყურში" (1937 წ.).

ავტორი წარმოგვიდგენს ხ ბგერის დასუსტებას სხვადასხვა პოზიციაში. ხ სუსტდება და ჲ-თი იცვლება ანდა სრულიად იკარგება: ჲ ენაცვლება ბოლოკიდურ ხ-ს ხმოვნებს შემდეგ (აგრეთვე თ და ტ-ს წინ); ბოლოკიდური ს იკარგება თანხმოვნების შემდეგ, ზოგჯერ ხმოვნების შემდეგაც. არნ. ჩიქობავას დასკვნით, „ს ბგერის დასუსტება-დაკარგვის პროცესი თავისი ბუნებით იგივეა, რაც გარეკახურშია, ოღონდ ეს პროცესი გაცილებით უფრო შორს არის წასული, ვიდრე გარე-კახურში. ქიზიყურში ს ბგერის დასუსტება, ჩანს უფრო ადრე დაიწყო და ამიტომ უფრო შორს წავიდა. ხ ბგერის დასუსტება ქართლურშიც იჩენს თავს. პროცესის კერა აღმოსავლეთ — ქიზიყურში — უნდა ვიეძარაუდოთ".

ქიზიყური ლექსიკა შესწავლილია სტეფ. მენთეშაშვილის მიერ. 1943 წელს გამოქვეყნდა მისი „ქიზიყური ლექსიკონი", რომელშიც შეტანილია 6260-მდე სიტყვა და გამოთქმა. მრავალი სიტყვა სრულიად უცნობია ქართულ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში, მრავალიც ავსებს ლექსიკონებში მოცემულ განმარტებებს დამატებითი, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობებით. ნაწილი კიდევ ისეთი სიტყვებია, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ ქიზიყურში ჩანან და დადასტურებული არიან სულხან-საბა ორბელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. მართალია, ლექსიკონი დიალექტოლოგიურია, მაგრამ იგი ნაწილობრივ ეთნოგრაფიულიცაა, რამდენადაც დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ქიზიყელთა ყოფის გამომხატველი ტერმინები. ლექსიკონში უხვადაა შეტანილი ტექნიკური თუ სხვა ხასიათის ტერმინები სოფლის მეურნეობისა, ხელოსნობისა და საოჯახო საქმიანობის მრავალი დარგისა.

ქიზიყურ დიალექტოლოგიურ მასალას დიალექტოლოგი უხვად

იპოვის დ. მაჩხანელის (ნადირაძის) თხზულებაში: „სოფლის კუნწულა“, 1892 წ. მართალია, ეს მბატვრული თხზულებაა, მაგრამ მთლიანად დიალოგი დიალექტოლოგიური ჩანაწერის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგია „სურათი კახეთ-ქიზიყის ცხოვრებიდამ“ (პიესის სახით).

ინგილოური

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინგილოური დიალექტის შესახებ პირველად გამოქვეყნდა 1896 წელს (მოსე ჯანაშვილი: „კაკ-ელისენში შეკრებილი სიტყვები, რომელთაგან ზოგი აღარ მოიპოვება ქართულს ლექსიკონებში და ზოგი სხვა გადასხვაფერებით იხმარება“).

იმავე ავტორის მეორე ვრცელ ნაშრომში („საინგილო“, 1913 წ.) წარმოდგენილია ინგილოური ტექსტები, ძვირფასი მასალა ამ მეტად თავისებური კილოს შესასწავლად. მასვე ერთვის ტექსტებში დამოწმებული სიტყვების ახსნა-განმარტებანი ლექსიკონის სახით. დართულია აგრეთვე გრამატიკული მიმოხილვა, სადაც დახასიათებულია ინგილოურის ბგერითი შედგენილობა, ფონეტიკური პროცესები, მორფოლოგიური მოვლენები, შიგადაშიგ გავლებულია პარალელები ხევსურულ კილოსთან, ერთი მხრით, მეგრულ და სვანურ ენებთან, მეორე მხრით, და უდურ ენასთან, მესამე მხრით. ეს პარალელები უმეტესწილ მეცნიერულად გამართლებული არ არის.

1915 წელს ЗВО-ს XXII ტომში დაიბეჭდა ა. შანიძის ვრცელი რეცენზია მ. ჯანაშვილის ინგილოური მასალებისა. იძლევა რა სარეცენზიო შრომის ზოგად დადებით შეფასებას, რომ „... труд М. Джанашвили является важным приобретением для грузинской диалектологии“ (გვ. 345), ავტორი მიუთითებს მასალების უარყოფით მხარეებზედაც. იქვე მოცემულია ინგილოური კილოს ზოგადი დახასიათება რამდენიმე ძირითადი დიალექტოლოგიური ნიშნის მიხედვით და დართულია ინგილოური ლექსიკონი (400-მდე სიტყვა) — იმ მასალის საფუძველზე, რომელიც გვხვდება „საინგილოში“ და მ. ჯანაშვილის ლექსიკონში კი შესული არ არის.

ინგილოური კილოს თავისებურებები წარმოდგენილია გრ. იმნაიშვილის საკანდიდატო დისერტაციაში: „ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი“ (ხელნაწერი. გამოქვეყნებულია თეზისები. 1947 წ.) ავტორი ინგილოურს ყოფს ორ კილოკაუად: ალიაბათურად და კაკურად. ინგილოურის შესახებ არსებული საენათმეცნიერო ლიტერატურა (მ. ჯანაშვილის, ა. შანიძის, რ. ერკერტის, ჰ. შუხარდტის, სტ. მენთეშაშვილისა და სხვ.) უმთავრესად ეხება ინგილოების კაკურ კილოკავს და იმასაც არაამომწურავად.

გრ. იმნაიშვილი ადგენს კაკურსა და ალიბათურს შორის განსხვავებას. ეს განსხვავება თავს იჩენს ფონეტიკასა, მორფოლოგიასა, სინტაქსსა და ლექსიკაში. ვრცლადვეა მიმოხილული საერთო მოვლენები.

უცხო ეხობრივი წრის გაელენას მიეწერება: ო-უ უმლაუტები და სხვ., ძ-ჯ ბგერათა დეზაფრიკატიზაცია, დიფთონგებისა და ტრიფთონგების გავრცელება, რბილი ლ-სა და გემინატი თანხმოვნების წარმოება, ჰარმონიულობისაკენ მიდრეკილება, მყოფადის მესამე ტიპის წარმოება, შედარებითი ხარისხის ალწერითი წარმოება, უცხოური წარმოშობის თანდებულისა და ნაწილაკების ხმარება, უცხოური ელემენტები ლექსიკაში და სხვ.

იმავე ავტორის ნაშრომში — „მყოფადისა და ნამყო წყვეტილის წარმოებისათვის ინგილოურში" ნაჩვენებია, რომ ინგილოურის მყოფადის სამგვარ ფორმათაგან ერთ-ერთი ემთხვევა აზერბაიჯანულის მყოფადს; წყვეტილის წარმოებისას ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინგილოურის ალიაბათური და კაკური კილოკავები. გრ. იმნაიშვილს ეკუთვნის რამდენიმე სპეციალური ნაშრომიც.

ინგილოურ კილოში ჰაემეტობის საკითხი საგანგებოდ განხილულია სტ. მენთეშაშვილის ნაშრომში: „ჰაემეტობა ინგილოურში" (1940 წ.). ნაშრომი მიზნად ისახავს გაარკვიოს, ინგილოურში ჰაემეტობა ფონეტიკური მოვლენაა, თუ მორფოლოგიური. მიღებულია დასკვნა, რომ ინგილოურ ჰაემეტობას ფონეტიკური სარჩული უდევს: სახელებში ვ ი-ვ ე-ე ა კომპლექსები გადაიქცევიან უ-დ და ო-დ, იღებენ დაჭიმულ შემართვითს არტიკულაციას და თავში უვითარდებათ ჰაე, რამაც სასხვისო ქცევიან ზმნებში შექმნა მორფოლოგიური ჰაემეტობის შთაბეჭდილება.

ინგილოური კილოს მონაცემები ხშირად დამოწმებულია შუბარდტის, ერკერტის, დეეტერსის და სხვათა შრომებში. მაგალ., დეეტერსი („Armenisch und Südkaukasisch") ეხება ინგილ. ფორმებს: კუც, ვიც... (გვ. 70). აქვე ეხება ქეტორი ხევსურულ ო—ვა-ს, მრავლ. რიცხვის -იებ-ს (გვ. 67), იმეორებს ყიფშიძის აზრს — დასავლურ კილოებში მოთხრობითში დასმას სუბიექტისას გარდაუვალ ზმნებთან მეგრულის გავლენით (გვ. 45) და სხვ.

1947 წელს გამოქვეყნდა ინგილოური ტექსტები, შეკრებილი რ. ლამბაშიძის მიერ („ინგილოური კილო, I. ტექსტები"). ესაა კაკური კილოკავის მასალა. რადგანაც ინგილოური კილო ძალიან დაშორებულია სხვა ქართული კილოებისა და სალიტერატურო ენისაგან, და ამ კილოზე ჩაწერილი ტექსტები საერთოდ ძნელი გასაგებია, ამიტომ ტექსტებს ერთვის თარგმანი სალიტერატურო ენაზე. გამოქვეყნებულია, აგრეთვე, რ. ლამბაშიძის საკანდიდატო დისერტაციის თეზისები და რამდენიმე სპეციალური ნაშრომი ინგილოურის შესახებ.

ფერეიდნული

ფერეიდანელ ქართველთა მეტყველების შესახებ მოგვეპოვება არნ. ჩიქობავას გამოკვლევა — „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი" (1927 წ.), რომელიც პირველად მოხსენდა ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებას 1926 წელს.

ფერეიდანელთა მეტყველებისათვის ავტორი ადგენს ტერმინს — „ფერეიდნული".

გამოკვლევა ემყარება იმ მასალებს, გაბმითს ტექსტებს, რომლებიც ეკუთვის მას. ეს დიალექტოლოგიური მასალა ჩაწერილია 1922 წელს ფერეიდნელი ქართველის — სეიფოლა იოსელიანის ნაამბობის მიხედვით.

ნაშრომში დაწვრილებით დახასიათებულია ფერეიდნული დიალექტის ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი. მართალია, ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში უხვად მოიპოვება სპარსული ენის ელემენტები, მაგრამ, როგორც ეს კარგად ჩანს მთელი გამოკვლევიდან, „ქართული მეტყველების გარეგნობა (ბრუნება, უღვლილება, შესიტყვებათა ძირითადი სახეები) მტკიცედ დგას და მომავალს იმედიანად შეჰყურებს".

ფერეიდნული ახლოს დგას ინგილოურთან, რომელიც „წარმოშობით ქიზიყურის ღვიძლი ძმა უნდა იყოს; ინგილოური გაცილებით უფრო, ვინემ ქიზიყური, დაშორდა ქართულს; ამას ჰქონდა თავისი მიზეზები: ინგილოურიც, ფერეიდნულის მსგავსად, თ ი თ ქ მ ი ს მოწყვეტილია ქართულ კილოებს და არც სამწერლო ქართულის გავლენას განიცდის ისე, როგორც სხვა ქართული კილოები (თუნდაც იგივე ქიზიყური); თუ ფერეიდნული სპარსული მეტყველების რკალშია, ინგილოურზე აზერბაიჯანული ახდენს ზეგავლენას. არა მხოლოდ მსგავსი ბედი, არამედ მსგავსივე მოულენები მოეპოვება ინგილოურს: ფონეტიკაში ვ-სთან დაკავშირებული ცვლილებანი, მორფოლოგიაში უ(ე) ნაწილაკი და არქაიზმის წყება (მაგალ., პერმანსივის ხმარება); სხვა კილოთაგან ქიზიყური, გარე (და შიგნი) კახური და მასთან კავშირში მყოფი მთიულური უველაზე ახლოს დგანან ფერეიდნულთან; ეს არც არის გასაკვირი: ფერეიდნული ხომ კახურ-ქიზიყურ-ინგილოურის „ნაგლეჯია", ოღონდ უცნაური ისტორიული ბედის მქონე. შემონახული არქაიზმების მიხედვით (პერმანსივის არსებობა, ნამყო უსრულსა და სრულში-ეხ დაბოლოება, ენებითის აწმყოში -ის; კ ბგერა და სხვ.) შეიძლებოდა ფერეიდნული მთის კილოებთან (თუშური, ხევსურული, მოხეური...) დაგვეახლოვებინა; მაგრამ უკანასკნელთა ეს არქაიზმი სპეციფიკური როდია; უველაფერი ეს თავის დროზე აღმოსავლეთში ბარის კილოებსაც უნდა ჰქონოდა; მათ დაჰკარგეს და ოდესღაც მივარდნილმა მთამ კი შეინახა. ამიტომაც ერთდაიმავე ნიშნის (არქაიზმების) ქონება მთის კილოში

სხვანაირად უნდა განფასდეს და ბარისაში (ქიზიყურში, ინგილოურში) სხვანაირად: ფერეიდნულის გენეალოგიის ძიებაში უკანასკნელთ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ". ასეთია ავტორის ძირითადი დასკვნები.

ფერეიდნული მეტყველების ცალკეულ საკითხებს (ვინისა და -უე ნაწილაკის ხმარებას) საგანგებოდ შეეხო არნ. ჩიქობავა თავის გამოკვლევებში, რომლებიც უფრო ადრე გამოქვეყნდა, ვიდრე ზემოხსენებული მთლიანი მიმოხილვა ფერეიდნული დიალექტისა. ესენია: „ვინის რეფლექსები ფერეიდნულში" (1923 წ.) და „-უე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით" (1923 — 1924 წწ.).

პირველში დაწვრილებით განხილულია ვ-სთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესები ფერეიდნულში. ამასთანავე ავტორი არკვევს ძველ ქართულში ვ-ს რეფლექსებს.

მეორე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ფერეიდნულში -უე ორი განსხვავებული ნაწილაკია: ერთი -უე თანდებულია, მეორე — ზმნასთან იხმარება და სპეციფიკური სინტაქსური ფუნქცია აქვს. გარდა ამისა, მისი მნიშვნელობა „ხოლმე"-თი განისაზღვრება. დამოწმებულია სხვა კილოების (ინგილოურის, ქიზიყურის, კახურის, მთიულურის, მოხეურის) მონაცემები და მაგალითები XI — XII საუკ. წერილობითი ძეგლებიდან. -უე ნაწილაკს ავტორი განიხილავს ლოგიკა-გრამატიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: „ლოღიკური სუბიექტის გრამატიკულ ობიექტად განფასების ფაქტი მნიშვნელოვანია ლოღიკა-გრამატიკის ურთიერთობის თვალსაზრისით; ამით ისიც ირკვევა, თუ რამდენად შეუფერებელია ქართულის და მისი ტიპის ენათა შესწავლისას გრამატიკული შენობის აგება ლოღიკის ცნებებით".

მთის კილოები

მთის კილოების (ხევსურულის, ფშაურის, თუშურის, მოხეურისა და მთიულურის) შესწავლაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ა. შანიძეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ 1913 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში დაბეჭდილ საანგარიშო ხასიათის შრომაში («Отчет о летней командировке 1913 г. в Душетский и Тионетский уезды Тифл. губ. для изучения грузинских говоров») გამოყოფილია აღმოსავლეთ საქართველოს მთის მეტყველებაში ცალკეული დიალექტოლოგიური ერთეულები და მოცემულია მათი წინასწარი დახასიათება.

უფრო ვრცლად მთის კილოების თავისებურებებზე ა. შანიძე შეჩერდა ნაშრომში „ქართული კილოები მთაში“, რომელიც დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოქვეყნებულ სამეცნიერო კრებულში 1915 წელს.

შრომაში მოცემულია ზოგადი ცნობები მთის კილოთა შესახებ, დახასიათებულია ცალ-ცალკე მთელი რიგი ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენები, დამოწმებულია უღელილების პარადიგმები.

ესაა პირველი ცდა მთის კილოების თავისებურებათა მიმოხილვისა.

ა. შანიძის ნაშრომში — „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, რომელიც დიალექტოლოგიის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა VII თავით — „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა კილოებში“, ვრცლად არის დახასიათებული მთის კილოების თავისებურებანი პრეფიქსების დარგში.

§ 68-ში განხილულია S_2—O_3 ფშაურ კილოში. ავტორის დასკვნით, პრეფიქსების საკითხში ფშაური თითქმის იმასვე იმეორებს, რასაც ქიზიყური. მოხეურ კილოში (§ 69) პრეფიქსების სმარების მხრივ ერთგვარი რყევაა. თუშური (§ 70) ფონეტიკის მხრივ მიჰყვება მოხეურსა და განსაკუთრებით ხევსურულს: იხმარება ხ, ღ, ს (‖ ზ, ჟ, შ). ხევსურულ კილოს კი (§ 71) „მეტის მეტად თავისებური მოპყრობა აქვს პრეფიქსებისადმი ფონეტიკურადაც და მორფოლოგიურადაც. ფონეტიკის მხრივ მის თავისებურებას მოხეური და თუშური იზიარებს, მაგრამ სულ განმარტოებით დგას ის ერთ მორფოლოგიურ საკითხში“, სახელდობრ: პირველი სერიის მწკრივები ისეთ ზმნებს მოეპოვებათ, რომლებიც „მიცემით დამატებიანადვე რჩება ნამყო სრულის ჯგუფისაში... ამ მხრით ხევსურული ძველ ქართულს უდგას გვერდში... იმ ზმნებს, რომელთაც მიცემითის დამატება მხოლოდ აწმყოში მოეპოვებათ და ნამყო სრულში კი არა, ხევსურული მათ ხან პრეფიქსით ჰხმარობს და ხანაც უპრეფიქსოდ, — პრეფიქსით მყობადში, ხოლო უპრეფიქსოდ აწმყოსა და ნამყო უსრულში“. ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ხევსურულს სურს, მეტი განსხვავება შეიტანოს აწმყოსა და მყოფადს შორის. ფონეტიკურად ასეთია სურათი: გამოყენებულია ხ, ღ, ს, ზ, შ, ჟ.

არნ. ჩიქობავას ნაშრომში („მთიულურის თავისებურებანი“, 1937 წ.) ვრცლად დახასიათებულია მთიულურის თავისებურებანი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსურ-სტილისტიკური და ნაწილობრივ ლექსიკური ხასიათისა. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს თავისებურებანი სხვადასხვა ასაკისაა: ზოგი განვითარების სულ ახალი, უკანასკნელი საფეხურის გამომჟღავნებაა, ზოგიც — ძველისძველი მოვლენაა მთის კილოებს შორის მთიულურს ყველაზე ნაკლებ დაუცავს არქაიზმები, ყვე-

ლაზე მეტად განიცდის ბარის კილოების გავლენას. ავტორი სვამს გენეტური ურთიერთობის საკითხსაც.

გამოკვლევას ერთვის სანიმუშოდ ერთი ზღაპარი.

გარდა მთლიანი დიალექტოლოგიური მიმოხილვებისა, მოგვეპოვება შრომები, რომლებიც აშუქებენ მთის კილოების ცალკეულ თავისებურებებს.

უპირველეს ყოვლისა უნდა შევეხოთ მახვილის საკითხს.

ჰუგო შუხარდტი ნაშრომში — Ueber das Georgische (1895 წ.) მოხეურის მახვილთან დაკავშირებით ამბობს: „რაკი სიძლიერის მხრით მარცვალთა შორის განსხვავება სუსტია, იმთავითვე მოსალოდნელი იყო დიალექტური რყევა. მართლაც, ჩვეულებრივი ქართულისაგან განსხვავებულ პარატოქსიტონითს ხმის აწევას (paroxytone Betonungsweise) ვხვდებით ი. ჯავახიშვილის „მგზავრის წერილებში“ მოხეუესთან საუბარში“ (გვ. 13 — 14).

მთიულურში მახვილის საკითხი გარკვეულია არნ. ჩიქობავას გამოკვლევაში: „გრძელი ხმოვნები მთიულურში“ (1924 წ.) ავტორი დაასკვნის, რომ მთიულურში დასტურდება ტონური მახვილი; მახვილი ეცემა სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალზე; თხრობითი და კითხვითი წინადადებები მახვილის ლოკალიზაციის მხრივ გარჩეული არ არის; ლექსში იშვიათია მახვილიანი სიტყვა; ტონური მახვილი გადაშენების გზაზეა დამდგარი.

ფშაურ-ხევსურული ხოლმეობითის საკითხს სპეციალურად ეხება არნ. ჩიქობავა წიგნში: „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. 1“, § 18 (1948 წ.). მიღებულია დასკვნები: ფშაური და ხევსურული (resp. თუშური) ხოლმეობითი „ნაკვთთა პირველი წყების წევრია“; ამ ხოლმეობითის მესამე პირი იგივეა, რაც ძვ. ქართულის ხოლმეობითის მესამე პირი; მეორე და პირველი პირი კი ემთხვევა არქაულ ნამყო უსრულს.

-ნ ნაწილაკის რაობას თუშურში არკვევს პ. ხუბუტია წერილში: „-ნ ნაწილაკისათვის მთათუშურში“ (1941 წ.). -ნ თუშურში დადასტურებას, დამტკიცებას გამოხატავს, ისე როგორც ხევსურულსა და რაჭულში ჭვე, დასავლურ კილოებში ჭე ან ჭი, მეგრულში ჭო და სვანურში ჩუ. ავტორის დასკვნით, გენეტურად ეს ნაწილაკი უკავშირდება ინგილოურ წაუ || წაუდ-ს.

მოხეური კილო დახასიათებულია კ. გუგუშვილის საკანდიდატო დისერტაციაში. გამოქვეყნებულია მხოლოდ ნაწილი. ნაშრომში — „მოხეური კილო“ (1942 წ.) ავტორი მსჯელობს ჲ-კ-ს ხმარებაზე; ფონეტიკურ მოვლენათაგან ყურადღებას იქცევს ფორმულები: ა+უ → უუ, ა+ე → ეე; განხილულია აგრეთვე თანხმოვანთა ასიმილაციის შემთხვევები.

ხევსურულის თავისებურებანი განხილულია ა. ჭინჭარაულის ვრცელ მონოგრაფიაში: „ხევსურულის თავისებურებანი“ (1960).

მოხეური კილოს ზოგიერთი თავისებურება ალ. ყაზბეგის ენასთან დაკავშირებით განხილულია შ. ძიძიგურის წერილში: „ალ. ყაზბეგის ენა“ (1948 წ.).

ივ. ქავთარაძის ნაშრომში — „მოხეური კილო ყაზბეგის ენაში“ (1949 წ.) მოცემულია ალ. ყაზბეგის ნაწერებში მოხეური დიალექტის თავისებურებათა დეტალური ანალიზი. აღსანიშნავია, რომ ავტორის დასკვნით, ქართულ ენაში გავრცელებულმა მთელმა რიგმა გამოთქმებმა (მაგალ., „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, „სტუმარი ღვთისაა“, „თქმა და ქმნა ერთი იყო“), „ყაზბეგის სიტყუახმარებითაც მიიღეს ფართო გავრცელება“.

თუშური კილო წარმოდგენილია თ. უთურგაიძის მონოგრაფიაში: „თუშური კილო“ (1960).

ფშაური კილოს თავისებურებები დახასიათებულია ივ. გიგინეიშვილის წერილში — „ახალი სალიტერატურო ენა და ვაჟა-ფშაველა“ (1931 წ.), სადაც, ამასთანავე, გარკვეულია ვაჟა-ფშაველას ენის მიმართება ფშაურ დიალექტთან. როგორც ნაშრომიდან ირკვევა, ვაჟა ზუსტად იცავს ფშაურის თავისებურებებს; მის ნაწერებში შენიშნული ყველა ფონეტიკური თუ მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა საუსებით დასტურდება დღევანდელ ფშაურში. დებულების საილუსტრაციოდ მოცემულია ვრცელი შესადარებელი მასალა.

მთის კილოების ლექსიკური შემადგენლობის შესწავლის დარგში მოგვეპოვება რამდენიმე ნაშრომი.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ა. შანიძის მიერ შედგენილი „ხევსურული ლექსიკონი“, რომელიც ერთვის ა. შანიძისავე რედაქციით გამოცემულ ბეს. გაბუურის ხევსურულ მასალებს (1923 წ.).

ფშაური ლექსიკონი ვაჟა-ფშაველას ნაწერების მიხედვით შესწავლილია ა. შანიძის მიერ. მან შეადგინა „ვაჟა-ფშაველას ლექსიკონი“, რომელიც ერთვის პოეტის აკადემიური გამოცემის ტომებს (პირველად ის ერთვოდა 1922 წლის გამოცემას). თვით ვაჟას მიერ მოცემული განმარტებები (ტექსტში დამოწმებული) შეტანილია ლექსიკონში და აღნიშნულია, რომ ახსნა ავტორს ეკუთვნის.

მოხეური ლექსიკის შესწავლისათვის მივუთითებთ შ. ძიძიგურის მიერ შედგენილ „ალ. ყაზბეგის ლექსიკონზე“, რომელიც ერთვის ალ. ყაზბეგის თხზულებათა აკადემიური გამოცემის I, II, III, IV ტომებს (1947 და 1948 წ.). ტექსტში დამოწმებული ყაზბეგისეული განმარტებები შესულია ლექსიკონში; დიალექტური წარმოშობის სიტყვები შემოწმებულია ადგილობრივ, ხევში.

დასასრულ უნდა შევეხოთ მთის კილოების ტექსტების პუბლიკაციას.

ქართულ დიალექტოლოგიაში საპატიო ადგილი უჭირავს ა. შანიძის რედაქციით გამოქვეყნებულ ხევსურულ მასალებს, რომლებიც სანიმუშოა სიზუსტისა და მრავალფეროვანების თვალსაზრისით.

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ორგანოში („წელიწდეული") 1923 — 1924 წ. დაიბეჭდა ბეს. გაბუურის „ხევსურული მასალები" ა. შანიძის რედაქციით, სადაც მოცემულია როგორც პროზაული, ისე პოეტური ხალხური ნაწარმოებები. ტექსტებისა და ლექსიკონის ბოლოს რედაქტორი ახასიათებს ბეს. გაბუურის დიალექტოლოგიურ ტექსტებს. ა. შანიძე დასძენს, რომ, მართალია, მასალებს აქვს ნაკლიც (მაგალითად, გაბუურის მიერ ერთნაირადაა გადმოცემული ვ და უმარცვლო უ, ლიტერატურული ენის გავლენით გაბუურს ხანდახან უნებურად ხ-ც გაეპარება ხოლმე ჰ-ს ნაცვლად, მერყეობას იჩენს ზოგჯერ ფორმების ხმარების მხრივ), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასალები მაინც დიდი ღირსებისაა. ბეს. გაბუური „ფხიზელი გონების პატრონია და დაკვირვების თვალი კარგად უჭირს, რომ საერთოდ რიგიანად გადმოგვცეს თავისი კილოს ბუნება და თვისება".

1931 წელს ა. შანიძემ გამოაქვეყნა ხევსურული ლექსები („ქართული ხალხური პოეზია. 1. ხევსურული"). აქ შემოდის როგორც ძველად ჩაწერილი, ისე ახალი მასალა. გაბუურის ტექსტებთან ერთად ხევსურული პოეზიის ეს ნიმუშები საუნდო მასალაა ხევსურული დიალექტის შესასწავლად.

თუშური ტექსტები შესულია თ. უთურგაიძის წიგნში, ხევსურული მასალები — ა. ჭინჭარაულის წიგნში.

მესხურ-ჯავახური

როგორც ქვემოთ ნათქვამია, გ. ახვლედიანს ეკუთვნის ჰიპოთეზა მესხური კილოს უძველესი საფეხურის ერთი ფონეტიკური თავისებურების შესახებ („შენიშვნა „ვეარები, ჟარე"-ს შესახებ", 1923 წ.).

მესხური კილოს თავისებურებათა ანალიზი მოცემულია შ. ძიძიგურის წერილში — „მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი სხვა კილოებთან მიმართების თვალსაზრისით" (1941 წ.). ნაშრომი დაფუძნებულია ქართველ კათოლიკეთა სოფლებში შეკრებილ დიალექტოლოგიურ მასალაზე. ნაჩვენებია, რომ მესხური ძირითადად მიეკუთვნება აღმოსავლურ კილოებს (კერძოდ, ქართლურთან დგას ახლოს), მაგრამ მასში შეზავებულია დასავლური კილოებისთვის დამახასიათებელი მოვლენები. სპეციფიკურ ნიშნებად (პირობით) მიჩნეულია: 1) -თვის თანდე-

ბულში ვი-უ-ს სისტემატური მოქმედება, 2) I სერიის თემატიკურ ნიშნებად გამოყენება ნიშნებისა: -ამ, -ემ, -ან, -ონ, — მათი ფონეტიკური შენაცვლება, 3) თავისებურებანი ლექსიკაში.

შემდეგ გამოქვეყნდა ი. მაისურაძის წერილი — „ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში" (1942 წ.). ავტორი ყურადღებას მიაქცევს გასაყარი ბგერის არსებობაზე მესხურში. გვხვდება თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში.

მესხური ლექსიკა შესწავლილია ამავე ავტორის დისერტაციაში, რომლის თეზისებია გამოქვეყნებული („მესხური ლექსიკა", 1948 წ.).

1950 წ. დაიბეჭდა ა. მარტიროსოვის პატარა გამოკვლევა: „ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის". ავტორი ყურადღებას მიაქცევს ჯავახურის ზოგიერთ ნიშანს, როგორიცაა, მაგალითად, უმლაუტიანი ხმოვნები, ჹი ნაწილაკის გამოყენება, სადაურობის აღმნიშვნელი ორმაგი სუფიქსაცია, ჹი ზმნიზედის ხმარება, და სხვ. მესხურთან საზიარო მოვლენათაგან აღსანიშნავია თემატიკური სუფიქსების შენაცვლება.

რაჭული

პრეფიქსების საკითხს რაჭული კილოს ღებისა და გლოლის კილოკავის მიხედვით არკვევს ა. შანიძე ნაშრომში: „S_2 და O_3 ქართულ ზმნებში". საგანგებოდ ჩერდება ავტორი გლოლურსა და ღებურში დაცულ ფორმაზე: „მოდიხოდი". როგორც ვიცით, ახალი ქართული „მოდის" ზმნისაგან აწარმოებს აწმყოსა და ნამყო უწყვეტლის ფორმებს. ნ. უწყვეტლის ფორმებია: მო-დიოდა, მოსდი-ოდი, მო-ედიოდი. გლოლურ-ღებურმა კი „წმინდად მხოლოდ მესამისა და პირველი პირის ფორმები აიღო, მეორე პირში კი სინკრეტისტული გზით მო-დიოდა და მო-ვიდოდა ზმნის ფორმები შეადუღა: მო-(ს)დიოდი + მო-ხვიდოდი = მო-(ს) დიხოდი".

რაჭული კილოს ღებურ-გლოლურ-ჭიორულ მეტყველებას „მთარაჭულის" სახელით გამოყოფს შ. ძიძიგური („ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი", 1937 წ.). შენიშნულია, რომ მთარაჭულს ყველაზე მეტი შეხვედრის წერტილები აქვს აღმ. საქართველოს მთის კილოებთან. მთარაჭული მიჩნეულია ერთ-ერთ არქაულ დიალექტურ ერთეულად. მიმოხილვას ერთვის ტექსტები.

კავშირებითის მწკრივი რაჭულში სპეციალურად განხილულია იმავე ავტორის წერილში: „კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძველესი ქართულის S_3-ის პრობლემასთან დაკავშირებით", 1940 წ. III კავშირებითით გადმოცემა II თურმეობითისა რაჭულში მიჩნეულია ინდიკატიუ-კონიუნქტივის მიმართების საზოგადო ტენდენციის კერძო გამოხა-

ტულებად. ამავე დროს, Sვ-ად ნ-ს ხმარება დაკავშირებულია უძველეს ქართულში Sვ-ის ნ-სთან.

რაჭულში მახვილის საკითხს ეხება მისივე ნაშრომი „რაჭული დიალექტის მუსიკალური აქცენტუაცია". ნაჩვენებია, რომ რაჭულს ახასიათებს ფრაზის მახვილი; იგი მუსიკალური ბუნებისაა. მახვილი ეცემა სიტყვაში ბოლოდან მესამე მარცვალზე; თავისებურია კითხვითი წინადადების მელოდიკაც: ხმის ამაღლება ბოლოდან მეორე მარცვალზეა.

იმავე ავტორის მიერ („ნართული ეპოსის ქართული ვარიანტები ოსურ-ქართულის ლექსიკურ ურთიერთობასთან დაკავშირებით", 1944 წ.) ნაჩვენებია, რომ მთარაჭულ კილოკავში იხმარება რამდენიმე ოსური წარმოშობის სიტყვა.

ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა ე. თოფურიას გამოკვლევები რაჭული კილოს შესახებ.

ლეჩხუმური

ლეჩხუმურის შესახებ რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა მიხ. ჩიქოვანმა. 1936 წ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომებში მოთავსებულია მისი წერილი „ხმოვანთა ზოგიერთი თავისებურება ლეჩხუმურში", სადაც ზოგადი ცნობებიცაა. მოცემული ამ დიალექტის შესახებ.

საყურადღებოა ამავე ავტორის გამოკვლევა — „ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით" (1949 წ.). სადაც დამაჯერებლადაა ნაჩვენები, კერძოდ, ზანური და სვანური წარმოების ფორმები ლეჩხუმურ ტოპონიმიკაში.

ლეჩხუმური კილოს რამდენიმე თავისებურება განხილულია მიხ. ალავიძის ნაშრომში — „ლეჩხუმურის თავისებურებანი" (1941 წ.), რომელსაც ერთვის ტექსტებიც.

ლეჩხუმური ლექსიკის შესწავლის დარგში მოვლენაა მ. ალავიძის „ლეჩხუმური ლექსიკონი" (1938 წ.) და მ. ჩიქოვანის „ლეჩხუმური ლექსიკონი" (1941 წ.) და სხვ.

იმერული

ა. შანიძე იმერულში პრეფიქსების თაობაზე შენიშნავდა: „იმერულ კილოში (განსაკუთრებით ქვემო იმერულში) უღელილების წესი პრეფიქსების ხმარების მხრივ არსებითად იგივეა, რაც გურულში. მხოლოდ ზემო იმერეთის ზოგიერთ კუთხეში, როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით კიდევ უნდა იყოს დაცული მოთხრობითისა და ბრძანებითის ფორმალური განსხვავება თავისებურ მო-ვიდა ზმნაში" (§ 75).

გ. ახვლედიანმა ერთი ფონეტიკური მოვლენის საფუძველზე დაასაბუთა, რომ ზემო იმერეთის სოფელთა ერთი ჯგუფის მეტყველება უნდა წარმოადგენდეს შერეულ დიალექტს — გაიმერულებულ ქართლურ დიალექტს („დიალექტთა შერევის ორი ნიმუში", 1946 წ.). ნაჩვენებია, რომ ამ დიალექტალურ რაიონში ვხვდებით ი და ე ხმოვნების არაპარალელურ გავლენას პრევერბის ა და ო ხმოვნებზე: მაგინ როდესაც ი და ე იასიმილირებენ ა-ს, მათ ძალა არ აქვთ ო ზე. მაშასადამე, იცვალა პრევერბის ა მომდევნო ი-სა და ე-ს გავლენით, მაგრამ იგივე ი და ე უძლურნი აღმოჩნდნენ ო-ს მიმართ.

ს. ბიხოვსკაიას ნაშრომის — «Некоторые фонетические особенности нижнеимерского говора грузинского языка» (1930) ძიზახია «на нескольких примерах показать влияние, которое оказывает друг на друга языки, носители которых находятся в постоянном общении».

ქვემოიმერულ დიალექტს მიეძღვნება შ. ძიძიგურის წერილი: „К характеристике нижнеимерского говора грузинского языка» (1939 წ.). შესავალში ლაპარაკია იმერულის შესწავლის ისტორიაზე; დიალექტის ზოგადი დახასიათების შემდეგ განხილულია ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები.

იმავე ავტორის სპეციალურ გამოკვლევაში — „ლოგიკური სუბიექტის რიცხვის დიალექტური ვარიაციები ქართულში" (1940 წ.) ნაჩვენებია, რომ ქვემოიმერულში -ყვ ნაწილაკი გვხვდება კავშირებითის resp. ბრძანებითის, ფორმებში და გამოხატავს სუბიექტის მრავლობითობას.

ქვემოიმერულის ვანური კილოკავი სოფ. უხუთის მეტყველების მიხედვით წარმოდგენილია ქ. ძოწენიძის ნაშრომში: „ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება" (1948 წ.). გამახვილებულია ყურადღება ისეთ მოვლენებზე, რომლებიც ჯერჯერობით სპეციფიკური ჩანს ვანურისათვის.

გამოკვლევას ერთვის მეტყველების ნიმუშები.

ამავე ავტორს ეკუთვნის ნაშრომი: „ზემოიმერული კილო" (1952 — 1953 წ.). დაკვირვებები ეხება ჭიათურისა და საჩხერის მეტყველებას. მიღებულია დასკვნა: ზემოიმერულში დასავლ. კილოებისთვის ნიშანდობლივ მოვლენებთან ერთად გვხვდება რიგი მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენები, რომლებიც მას აახლოვებს აღმ. ბარის კილოებთან, არის ისეთი მოვლენებიც, რომლებიც ზემოიმერულს გამოჰყოფს ქვემოიმერულისაგან და ქართ. ენის კილოებში თავის ადგილს განუკუთვნებს. ერთვის ნიმუშებიც.

ქ. ძოწენიძისავე ნაშრომში „-ევ სუფიქსისათვის ზემოიმერულ კილოკავში" (1950 — 1951 წ.) ა. შანიძის მიერ წამოყენებული დებუ-

ლების საფუძველზე (ევ კილოს არსებობის შესახებ) ნაჩვენებია, რომ ზემოიმერულში -ავ სუფიქსის ადგილას -ევ-ის ხმარებით არქაული ნორმა მეღანძლება. ავტორის ვარაუდით, -ევ-ის სახით მორფოლოგიურ ოდენობასთან უნდა გვქონდეს საქმე და არა ფონეტიკურ ფაქტთან — ასიმილაციის მოქმედებასთან.

ზემოიმერული კილოკავის ვახანურას ხეობის მეტყველების თავისებურებები დახასიათებულია პ. ჯაჯანიძის ნაშრომში: „ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი" (1948 წ.). ირკვევა, რომ ვახანურას ხეობის დიალექტი უფრო ახლოსაა ქართლურთან, ვიდრე თვით რაიონის ცენტრის — ორჯონიკიძის ახლო ცხოვრებთა მეტყველებასთან.

მრავლობითი რიცხვის წარმოებას იმერულში მიეძღვნა ვლ. ფანჩვიძის სპეციალური გამოკვლევა: „მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით" (1945 წ.). ავტორისათვის ამოსავალია დებულება ისტორიულად ქართულში საბელობითი ბრუნვის სინტაქსური როლის დასუსტებისა და მიცემითი ბრუნვის როლის გაძლიერების შესახებ. ანალოგიურ ვითარებას ვლ. ფანჩვიძე ადასტურებს იმერულ კილოშიც. ზოგ შემთხვევაში მოცემულია ცდა, გათვალისწინებულ იქნეს ის ზოგადი პროცესები, რომელთა შედეგად მივიღეთ იმერულის თანამედროვე ვითარება. საილუსტრაციო მასალა აღებულია უმთავრესად ზეპირი მეტყველებიდან, ნაწილობრივ კი სათანადო ტექსტებიდან. გამოქვეყნებულია აგრეთვე ვ. ფანჩვიძის დისერტაციის თეზისები.

იმერული კილოს ზოგიერთ თავისებურებაზე აკაკი წერეთლის ენასთან დაკავშირებით ლაპარაკია ვ. თოფურიას ნაშრომში: „აკაკი წერეთელი და სალიტერატურო ენა" (1945 წ.).

სხვათაშორის, შევნიშნავ, რომ იმერული ერ(თი)ი დასახელებულია ისეთ მნიშვნელოვან ნაშრომში, როგორიცაა ტრომბეტის Elementi bi glottologia Rologna, 1923 (გვ. 356).

იმერული კილოს ლექსიკის დარგში მოგვეპოვება შემდეგი ლექსიკოგრაფიული ნაშრომები: ბ. წერეთლის „ზემოიმერული ლექსიკონი" (1938 წ.), მ. ალავიძის „ოკრიბული კილოკავის ლექსიკონი" (1950 — 1951 წ.), პ. ჯაჯანიძის „მასალები იმერული ლექსიკონისათვის" (1949 წ.), მისივე — „მასალები იმერული კილოს ლექსიკონისათვის" (1950 — 1951 წ.).

იმერული ლექსიკის ნიმუშები წარმოდგენილია მ. ალავიძის „დავით კლდიაშვილის ლექსიკონში" (1946 წ.). ამავე ავტორის მიერ შედგენილი იმერული ლექსიკონი ერთვის დ. კლდიაშვილის თხზულებათა I და II ტომებს (1952 და 1953 წ.).

გურული

გურული კილო მონოგრაფიულად შესწავლილია ს. ჟღენტის მიერ („გურული კილო", 1936).

მონოგრაფიაში განხილულია შემდეგი საკითხები: გურული კილოს ადგილი სხვა ქართულ კილოთა შორის, მეგრულ-ჭანური ფენა გურულში, გურული კილოს ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, გურული კილოს მიმართება სხვა ქართულ კილოებთან; ერთეის ვრცელი ტექსტები და ლექსიკონი. ამრიგად, ს. ჟღენტის ნაშრომი მთლიანი მიმოხილვაა გურული დიალექტისა.

გურულში S_2—O_3-ის ხმარების თაობაზე ა. შანიძეს შენიშნული აქვს, რომ პრეფიქსების დაკარგვის გამო ძალიან გამარტივებულია უღელილების სქემა („S_2 და O_3 ქართულ ზმნებში", § 74).

მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებას გურულში მიეძღვნა ჭ. ლომთათიძის ნაშრომი — „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში" (1937 წ.). მიღებულია დასკვნა: გურულში ს-ს ხაზით გვაქვს: ს, ზ, შ, ჟ; ჩ-ს ხაზით კი ხ, ღ. პრეფიქსები იხმარება ირიბობიექტიან ზმნებთან. წარმოების სისტემითა და პრეფიქსთა სახეობებით გურული ხევსურულს მოგვაგონებს.

იგივე ავტორი ნაშრომში — „დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში" (1946 წ.) ყურადღებას მიაქცევს გურულ-აჭარულის ასეთ თავისებურებას: წინადადებათა მიჯნაზე ბოლო სიტყვის ბოლო ხმოვანი გრძელდება. საკითხი განხილულია ინგილოურის ანალოგიური მონაცემების გათვალისწინებით.

მიცემითი ბრუნვის ნიშნად და მესამე პირის სუბიექტურ სუფიქსად ი. მეგრელიძე აღნიშნავს ც-ს (ს—ც) იმისდა მიხედვით, თუ რა თანხმოვანი უძღვის წინ ს-ხ (როგორც ბრუნვის ნიშანს, ერთი მხრით, და პირის ნიშანს, მეორე მხრით. იხ. მისი „მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში", 1937 წ.).

იმავე ავტორის ნაშრომში — „Родительный падеж фамильных имен в западногрузинском" (1940 წ.) აღნიშნულია, რომ ძე-ზე დაბოლოებული გვარები გურულში ასეთ სახეცვლილებას გვაძლევენ: იკარგება, ძ, ვღებულობთ — კილაის (←კილაძის), პარალელურად — კილაიც (ც რეფლექსია ძ-სიო!).

ი. მეგრელიძის ერცელ ნაშრომში — „Мегрельский и лазский слои в гурийском (1938 წ.), როგორც სათაურიდანვე ჩანს, გამოვლენილია ზანიზმები გურულ კილოში. მეთოდოლოგიურად შრომა მიუღებელია, რამდენადაც იგი დაფუძნებულია ნ. მარის ოთხი ელემენტის

თეორიაზე, მიუხედავად ამისა, წიგნში ბევრი საინტერესო დიალექტოლოგიური მასალაა მოქცეული და გაანალიზებული.

გურული კილოს საკითხები განხილულია პ. ჯაჯანიძის ნაშრომებშიც.

გურულ ზმნებში ზანიზმების საკითხს მიეძღვნა ს. ჟღენტის სპეციალური გამოკვლევა („ზანიზმები გურულ ზმნებში", 1940 წ.), სადაც გაანალიზებულია 70-მდე ზმნა. ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ გურულის ძირითადი ფენა ზოგ შემთხვევაში კიდევაც დაუჩრდილავს მეგრულ-ჭანურის ფენას, იმდენად ძლიერი ყოფილა ის.

ალ. ღლონტის წერილში — „ორმაგი მრავლობითობის შემთხვევები გურულში" (1936 წ.) „ძმანები—დანები" მიჩნეულია ორმაგი მრავლობითობის ფორმებად (ძმა-ნ-ებ-ი, და-ნ-ებ-ი). ეს გაგება მცდარია: ამ ფორმებში ნ მრავლობითის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ არქაული ფუძის ბოლოკიდურია (დან, ძმან), დროთა ვითარებაში დაკარგული და მრავლობითის წარმოებაში შემონახული. საინტერესოა -ენ არქაული სუფიქსის შემონახვა ისეთ ფორმებში, როგორიცაა „ბადიშენი", „მეზობლენი", „უმარჭვილენი".

გამოცემულია გურული ტექსტებიც.

რ. ბლაიხშტაინერმა ჟურნალ Caucasica-ში 1931 წ. დაბეჭდა გურული მეტყველების ნიმუშები ,ლექსიკონითურთ. ამ ლექსიკონში, გარდა ტექსტებში მოცემული სიტყვებისა, დამატებით ახსნილია 160 სიტყვა, რომლებიც ბლაიხშტაინერისათვის მიუწოდებია მის ინფორმატორს — დ. ლომაძეს.

ტექსტები არ არის უნაკლო: მასში თვალსაჩინო დოზითაა წარმოდგენილი ლიტერატურული ნორმები. არც ლექსიკონია შედგენილი უნაკლოდ. ამ მასალების ღირსება-ნაკლოვანებანი დაწვრილებით გარჩეულია ს. ჟღენტის ზემოხსენებულ წიგნში („გურული კილო").

გარდა ს. ჟღენტის ნაშრომისა, გურული ტექსტები გამოქვეყნებულია ალ. ღლონტის მიერ წიგნად: „გურული ფოლკლორი".

გურული კილოს ლექსიკიდან მოგვეპოვება შემდეგი ნაშრომები: თ. კიკვაძის „ნინოშვილის ლექსიკონი" (1930 წ.), ს. ჟღენტის მიერ გამოცემული გურული ტექსტების ლექსიკონი (1936 წ.), გ. შარაშიძის „გურული ლექსიკონი" (1938 წ.) და ქ. ლომთათიძის მიერ შედგენილი ნინოშვილის „პარტახის" ლექსიკონი (1935 წ.).

აჭარული

აჭარული დიალექტის გამოკვლევის პირველი ცდა ეკუთვნის მ. ხუბუას, რომელმაც 1932 წელს ქ. ბათუმში გამოაქვეყნა წიგნი — „ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა". ავტორი ზემოაჭარულს სწავლობდა ხულოს რაიონში 1926 წელს.

ნაშრომში დახასიათებულია აჭარულის ბგერითი შედგენილობა, ფონეტიკური პროცესები, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენები. წიგნს ერთვის ტექსტები.

ჯ. ნოღაიდელის წიგნში—„აჭარა დიალექტოლოგიურად" (1936 წ.) შედარებით ვრცლადაა წარმოდგენილი აჭარულის მთავარი თავისებურებანი. 1941 წ. ამავე ავტორმა გამოაქვეყნა თავისი სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები („აჭარული კილოს თავისებურებანი").

აჭარულ კილოს ჯ. ნოღაიდელი ყოფს ორ შტოდ: „ბარის აჭარულად" და „მთის აჭარულად". გამოყოფილია (პირობით) აჭარულის სპეციფიკური ნიშნები.

აჭარულს მიეძღვნება შ. ნიჟარაძის გამოკვლევები (მონოგრაფია „ქართ. ენის ზემოაჭარული დიალექტი" და სხვ.).

ქ. ლომთათიძემ გამოარკვია, რომ მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსთა ნაშთები აჭარულში იგივეა, რაც გურულში (იხ. ზემოთ).

აჭარული ტექსტები ცალკე წიგნადაც არის გამოქვეყნებული (ნოღაიდელი — „აჭარის ხალხური პოეზია", 1936).

იმერხეული

შავშეთის მეტყველება, რომელსაც „იმერხეულის" სახელით ვიცნობთ, შეისწავლა ნ. მარმა სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის დროს 1904 წელს.

ნ. მარმა გამოაქვეყნა მის მიერ ადგილობრივ ჩაწერილი ტექსტები (ზღაპრები და ლექსები) ლექსიკონითურთ. მოცემულია, აგრეთვე, ზოგიერთი დიალექტური მოვლენის ანალიზიც. იმერხეული თავისი ძირითადი ნიშნებით დასავლურ კილოებს — გურულსა და აჭარულს ეკედლება.

როგორც ზემოთ ითქვა, ქართულ დიალექტოლოგიაში მარის ტექსტებს ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, რამდენადაც ესაა პირველი მეცნიერული დიალექტოგრაფიული ჩანაწერი.

ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები

ჯერ კიდევ 1908 წელს ივ. ჯავახიშვილმა თავის „ქართველი ერის ისტორიის" I ტომში აღნიშნა, რომ მწერლობის შექმნაში სხვადასხვა ქართველ ტომს „თავისი წვლილი აქვს შეტანილი ამ საერთო საუნჯეში... საერთო ენის „ქართულის" შექმნამ შთანთქა წამდეგ არა ერთი და ორი ენა-კაჭი, როგორც, მაგ., თვით ქართების, მესხების და იბერთა

ენა-კავები" და „ამის გამოა, რომ თუმცა ქართულმა ქართ-მესხ-იბერული შთანთქა, მაგრამ მაინც ყველაფერს, რაც ქართულშია, მთლად ქართების, მესხთა და იბერთა ენა-კავების კუთვნილებად ვერ ვიცნობთ".

ნ. მარი ნაშრომში «Определение языка второй категории Ахеменидских клинописных надписей ппо данным яфетического языкознания" ლაპარაკობს ქართების ენაზე, რომელიც საფუძვლად დაედო სალიტერატურო ენას, და ამასთან დაკავშირებით დიალექტების შთანთქმაზე მწიგნობრული ენის გავლენით. «...Многие из таких наречий и говоров исчезли под влиянием различных факторов — აბობს მარი, — особенно пострадал в этом отношении картский язык, лежащий в основе грузинского литературного языка и под влиянием последнего утративший все свои наречия. И можно себе представить, какое разнообразие звуковых явлений представляла Грузия в эпоху сохранности ее диалектов...»

ნ. მარს აინტერესებდა საკითხი: რომელი კილო დაედო საფუძვლად ქართულ ლიტერატურულ ენას, კერძოდ, იგი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა შრომაში მსჯელობდა იმ კილოს შესახებ, რომელზედაც უნდა ეთარგმნათ თავდაპირველად საღვთო წერილი.

ამასთან დაკავშირებით ნ. მარმა წამოაყენა „სონმესხური თეორია". საღვთო წერილი ითარგმნა ქართული ენის სონმესხურ კილოზეო, ირწმუნებოდა მარი შრომაში „Из поездок в Сванию". ეს მთლად სუანური კი არ იყო, არამედ ქართული ენის კილო, რომელიც ღატვირთული იყო იაფეტური არმენიზმებით და სვანიზმებით. ამ აზრის ნათელსაყოფად მარი მიუთითებდა დაბადების ქართულ ტექსტში ლექსიკურ არმენიზმებზე. იგი ყურადღებას აქცევდა ლექსიკურ ანაქრონიზმებს, რომლებსაც „ვულგარიზმებს" უწოდებდა. ამაზე დაყრდნობით ადიშის ძეგლის თარიღად მარი აცხადებდა მე-11 საუკუნეს. ავტორი ყურადღებას ამახვილებდა ამ ძეგლის დიალექტიზმებზე და ამბობდა, რომ ძეგლი შესრულებულია „ხალხურ კილოზე".

ნ. მარის „სონმესხური" თეორია დაუსაბუთებელია, ხასიათდება ტერმინოლოგიური ბუნდოვნებით და შინაგანი წინააღმდეგობებით. ამ კონცეფციის მეთოდოლოგიური და ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები ამომწურავად ნაჩვენებია ივ. ჯავახიშვილის („ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის", 1922 წ.) და არნ. ჩიქობავას („ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის", 1925 წ.) მიერ.

ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები განსაკუთ-

რებით შეუვარდა ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენასთან დაკავშირებით.

ჯერ კიდევ 1920 წელს ა. შანიძემ თავის გამოკვლევაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ ყურადღება მიაქცია „ხარ“ და „ხუალ“ ფორმებს და აღნიშნა: „ხანი, როგორც სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა (ზმნებში: „ხარ“, „ხუალ“) ძირითადი კილოს კუთვნილება არ არის; იგი ნასესხები უნდა იყოს რომელიღაც სხვა კილოსაგან, რომელსაც ხანის პრეფიქსად ხმარება ახასიათებდა ალბათ არა მარტო ორ ზმნაში, არამედ სხვა ზმნების უღელილებაშიაც, საზოგადოდ“ (გვ. 130).

1922 წელს იმავე მეცნიერმა ხ პრეფიქსის შემცველი სხვა ფორმებიც (ხერთვისი, ხეყავე, შეხეწიე, შეხუაბთ) გააანალიზა და აღნიშნა, რომ ისინიც ერთსა და იმავე დიალექტურ წრეს ან კილოს ეკუთვნიანო („ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ“).

ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენის შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი თვალსაზრისი: ივ. ჯავახიშვილისა, რომელიც ფიქრობდა, რომ ხანი ზოგადქართული მოვლენაა და არა დიალექტიზმი (ახასიათებდა საერთოდ ქართულს თავისი დიალექტებით), და ა. შანიძისა, რომელიც კლავინდებურად დიალექტურ თვალსაზრისზე დგას: „განსხვავება ხანმეტსა და ჰაემეტ ძეგლებს შორის,—ამბობს ა. შანიძე,— იმდენად ქრონოლოგიური არ არის, რამდენად დიალექტური. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას არ ეკუთვნიან, რამდენად სხვადასხვა კილოს. ხანმეტი ტექსტი ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი მეორეზე. ის გარემოება, რომ ჩვენამდი მოღწეული ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტ ტექსტებს და უცილობლად ძველია მათზე, რა თქმა უნდა, თავისთავად ჯერ კიდევ არ სწყვეტს საკითხს იმის შესახებ, თითქოს ქართული ლიტერატურა პარალელურად არარსებობდა ჰაემეტ კილოზედაც...“ („ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“, 1923 წ.).

ა. შანიძის ვარაუდით, ხანმეტი კილო საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იყო (მცხეთა-ბოლნისის რაიონსა და მიმდგომ მხარეებში), ხოლო ჰაემეტი კილო კი მის დასავლეთით. ავტორი შენიშნავს, რომ ეგების ტერმინი „სომეხი“, როგორც ტომობრივი ტერმინი, თავდაპირველად ხანმეტ კილოზე მოუბარი ტომის სახელწოდება იყო. შემდეგ ეს ტერმინი გავრცელდა სამხრეთით მოსახლე უცხო ერზე, არმენიელებზე.

ამავე საკითხს მიეძღვნა არნ. ჩიქობავას ნაშრომი „ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის“ (1925 წ.). ავტორი გამოთქვამს შეხედულებებს როგორც ერთზე, ისე მეორე თეორიის სასარგებლოდ,

ბაგრამ, ამავე დროს, მიუთითებს დაბრკოლებებზე, რომლებიც ელობება ივ. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის კონცეფციებს.

არნ. ჩიქობავა სვამს კითხვას: როგორ მოხდა, რომ ფონეტიკურმა ცვალებადობამ თავი იჩინა მხოლოდ გარკვეულ გრამატიკულ კატეგორიაში — პრეფიქსებში, და არ შეეხო სხვა ელემენტებს? გარდა ამისა: როგორ მოხდა, რომ ხანი პრეფიქსებში ყველგან გადაგვარდა ჰაედ, ხოლო ორ შემთხვევაში (ხარ, ხუალ) „გაქვავდა“ და დღემდის მოაღწია.

მეორე მხრით, ავტორი აყენებს ასეთ დაბრკოლებას: როდესაც ერთი კილოს (ხანმეტის) ნიადაგზე აღმოცენებული მწერლობა მეორე კილოს (ჰაემეტის) წიაღში შობილმა შესცვალა, რად არ იჩინა თავი განსხვავებამ — გარდა პრეფიქსებისა — სხვა ელემენტებში (სუფიქსებში, სინტაქსში...); ნუთუ მათ შორის განსხვავება მხოლოდ ამ პრეფიქსების მხრივ არსებობდა. დასკვნა ასეთია: „ამჟამად ძნელია გადაჭრით თქმა, რომელი მათგანი (იგულისხმება ივ. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის შეხედულებანი. შ. ძ.) უკეთ ხსნის არსებულ სინამდვილეს; ხანმეტი და ჰაემეტი ძეგლები სამწუხაროდ მხოლოდ განსაზღვრული ოდენობისღა არის ჯერჯერობით აღმოჩენილი. მაინც შეიძლებოდა ერთი რისამე აღნიშვნა: ხანმეტობის გენეზისის ახსნას დიალექტური თეორიის ნიადაგზე უფრო ნაკლები დაბრკოლებები ელობება; ხანმეტი სამწერლობო ქართულის შემდეგი ევოლუცია კი უნიტარი თეორიის სასარგებლოდ ლაპარაკობს“.

ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტების შუქზე ქართული დიალექტოლოგიის პრობლემა სხვა ავტორებსაც აინტერესებთ. მათ შორის აღსანიშნავია რ. ლაფონი, რომელიც შრომაში Basque et langues kartwélev (1933 წ.) გაკვრით ეხება ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხებს ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენის გამო გამოწვეულ პოლემიკასთან დაკავშირებით.

დიალექტიზმების საკითხი ძველი ქართული ენის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლის მიხედვით, როგორიცაა ჰადიშის ოთხთავი, შესწავლილია თინ. გონიაშვილის დისერტაციაში: „დიალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლში“ (1938 წ.).

ავტორი მიდის იმ დასკვნამდის, რომ ქართველი ტომებისათვის ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სამწერლობო ენა თუ lingua franca მაინც ჯერ ხანური და შემდეგ ჰაეური უნდა ყოფილიყო: „ხანმეტებისა და ჰაემეტების სახით, — ამბობს თ. გონიაშვილი, — წარმოდგენილია 2 დამოუკიდებელი ლინგვისტური ფენის ნაშთი, რომელთაგან ხან ერთი, ხან მეორე კანონმდებლობად არა მარტო ქრისტიანობის დროინდელ ქართულს ენაში, არამედ მანამდეც“. ავტორი ძეგლებით მოღწეულ ხანსა და ჰაეს არ თვლის იმდროინდელ მორფოლოგიურ

მოვლენად (როცა ძეგლი დაიწერა), მათ მიიჩნეუს ოდესღაც აქტუალური მორფოლოგიური პროცესის გადმონაშთად. ამრიგად, თ. გონიაშვილი ასხვავებს, ერთი მხრით, ცოცხალ ენობრივ პროცესებს, რომლებსაც „ხანურობას“ და „ჰაეურობას“ უწოდებს და, მეორე მხრით, ფილოლოგიურ ხერხსა და წერის სტილისტიკურ მანერას — „ხანშეტობას“ და „ჰაემეტობას“, რომლებსაც ჩვენამდის მოუღწევია.

ჰაემეტ ტექსტებთან დაკავშირებით დაისვა საკითხი ინგილოურში ჲ-ს ხმარების შესახებ უ-ს წინ (ჰუყვარს, ჰუხარიან). მ. ჯანაშვილი ფიქრობდა, რომ ინგილოურში ჲ ჰაემეტობის ნაშთია (იხ. „წელიწდეული“, გვ. 358 — 360). გ. ახვლედიანმა დასვა საკითხი: „ინგილოური ჰაე არის წმინდა ფონეტიკური წარმოშობის, თუ მორფოლოგიური მოვლენაა?“ (იქვე). ა. შანიძე ჯერ ფიქრობდა, რომ ინგილოური ჰაე ფონეტიკური მოვლენაა, ხოლო შემდეგ ამას ამბობდა: „ახალ აღმოჩენებთან დაკავშირებით სხვანაირად უნდა შეფასებულ იქნეს ინგილოური ჰუყვარს, ჰუნდოდა, ჰუნახი და მსგავსი ფორმები, სადაც, როგორც ახლა ირკვევა, ჰაემეტობის კვალი უნდა იყოს დარჩენილი“ (იხ. „ჰაემეტი ტექსტები...“, გვ. 362).

დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“ შესწავლილია არნ. ჩიქობავას მიერ („დიალექტიზმებისათვის „ვეფხისტყაოსანში“, 1937 წ.).

ქართული ისტორიული დიალექტოლოგიისათვის მეტად მნიშვნელოვანია ისტორიული საბუთების ენის შესწავლა, რამდენადაც მათში უხვად მოიპოვება ცოცხალი მეტყველებიდან მომდინარე ენობრივი ფორმები.

ამ დარგში აღსანიშნავია ა. მარტიროსოვის ნაშრომი „დიალექტიზმები XV — XVIII სს ქახურ ისტორიულ საბუთებში“ (1953 წ.), სადაც განხილულია დოკუმენტებში აღბეჭდილი დიალექტური მოვლენები, მოყოლებული XV საუკუნიდან.

დასავლეთ საქართველოს ისტორიული საბუთები დასავლური დიალექტების თვალსაზრისით შესწავლილია შ. ძიძიგურის მიერ („დასავლური კილოების ელემენტები დასავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებში“).

საყურადღებოა ელ. ვირსალაძის მიერ გამოქვეყნებული ორი ზღაპარი (გამოკვლევითურთ), ჩაწერილი მე-17 საუკუნეში. ელ. ვირსალაძის დასკვნით, ტექსტები მესხური დიალექტის სინამდვილეშია შემუშავებული. ესაა ჩანაწერი ტექსტი, რომელშიაც შენარჩუნებულია ხალხური მეტყველების თავისებურებანი; რამდენადმე მასალა დიალექტოლოგიურ ჩანაწერს მოგვაგონებს. ამ დოკუმენტის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ზუსტად დათარიღებულ (1670 — 80 წლ. შუა ჩაწერილ) ხალხური სიტყვიერების ძეგლთან. ელ. ვირსალაძე იძლევა ტექსტის დიალექტოლოგიურ დახასიათებას.

ჩვენამდის მოაღწია ერთმა ზღაპარმა, რომელიც აღმოჩნდა თეიმურაზ ბატონიშვილისეულ 1819 წლის კრებულში. გამოაქვეყნა მიხ. ჩიქოვანმა. მისი სახელია „იმერული ზღაპარი“. მიხ. ჩიქოვანი ენობრივი მონაცემების მიხედვით დაასკვნის, რომ ესაა რაჭული ზღაპარი და არა იმერული (ტექსტში გვხვდება რაჭულისათვის ნიშანდობლივი კნინობითის სუფიქსები: უკ-ა, უკ-ელ-ა).

მიხ. ჩიქოვანმავე ლენინგრადის არქივებში აღმოაჩინა 1839 წ. შეკრებილი გამოცანები და ანდაზები, რომელნიც საყურადღებოა დიალექტოლოგიის თვალსაზრისით (იხ. მ. ჩიქოვანის ნაშრომები: „ქართული ფოლკლორული ჩანაწერები ლენინგრადში“, 1948 წ., „ახალი საარქივო მასალები“, 1947 წ.).

გ. ახველედიანმა 1923 წელს წამოაყენა დებულება: „ქართული ენის რომელიღაც კილოს (მესხურს?) ახასიათებდა შემდეგი ფონეტიკური მოვლენა: ჲ იცვლებოდა ჟ-დ, როცა იგი ხვდებოდა ხმოვანს ერთი მარცვლის ფარგალში... რადგანაც ჟ-ბგერიანი სიტყვები სალიტერატურო ქართულში შედარებით ცოტაა, ამიტომ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იგი (ჟ-ბგერა) არ იყო იმ კილოს კუთვნილება, რომელიც საფუძვლად დაედო სალიტერატურო ქართულს“ (შენიშვნა „ვეარები, ჟარე“-ს შესახებ“).

იქვე გ. ახველედიანი დასძენდა, რომ „საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას როგორც ცოცხალ კილოებში, ისე ძეგლებშიაც: ისტორიული დიალექტოლოგიისათვის შესაძლოა იგი ერთ-ერთ დასაყრდენ წერტილად გამოდგესო“.

ამ დებულების გაშლას წარმოადგენს თინ. გონიაშვილის გამოკვლევა: «К истории одного звука в грузинском языке» (1937 წ.). ავტორი ვრცლად განიხილავს ჟ-ბგერის შემცველ სიტყვაძირებს როგორც ძველს, ისე ცოცხალ ქართულში (კილოებითურთ) და გვიჩვენებს, რომ ამ ბგერის სახით საქმე გვაქვს ახალი ბგერის ჩასახვასა, განვითარებასა და მის ფონეტიკურ ერთეულად ქცევის ფაქტთან. ამრიგად, „თავდაპირველად“ ის არ იყო ფონეტიკური ელემენტი იმ ენობრივი ფენის ბგერითი შედგენილობისა, რომელიც საფუძვლად დაედო ძველ სალიტერატურო ქართულს.

ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით მეტად საყურადღებო დებულება გამოთქვა და დაასაბუთა ა. შანიძემ ნაშრომში: „ᲝᲜ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში“ (1941).

ა. შანიძის აზრით, ევ სუფიქსის გავრცელების ძირითად არედ ჩაითვლება ტერიტორია, არაგვიდან რიონის შუა წელამდე. „ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ძველად სამი ენის ფარგალში იყო მოქცეული: ქართულისა, ზანურისა და სვანურისა. ამ კუთხის მოსახლეობის ენას, ევ სუფიქსის გარდა, სხვაც ბევრი რამ ჰქონდა თავისებური, რომელიც

მას გამოჰყოფდა როგორც ქართულისაგან, ისე ზანურისა და სვანურისაგან. ისიც უეჭველია, რომ ეს თავისებურებანი რამდენადმე შემონახულ.ი იქნება ნაშთების სახით ქართლში, იმერეთსა და რაჭაში... ევ კილოს, რომელიც ძველად უფრო ენა უნდა ყოფილიყო, ვიდრე კილო, თავისი კვალი უფრო მეტად ზემოსა და შუა იმერეთში დაუტოვებია" (დაყოფა ჩემია. შ. ძ.).

დიალექტოლოგიური მასალის შეგროვების პროგრამა-ინსტრუქციები

1916 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ სერიის „Пособия для работ по армяно-грузинской филологии IV ნომრად გამოაქვეყნა «Программа для собирания диалектических материалов по грузинскому языку". პროგრამა გამოცემულია ანონიმურად, — მისი ავტორებია აკაკი შანიძე და იოსებ ყიფშიძე.

პროგრამა 23 გვერდისაგან შედგება და პარალელურად ორ ენაზეა დაბეჭდილი: რუსულად და ქართულად.

შესავალში აღნიშნულია: „პროგრამის მიზანია გაუადვილოს მუშაკთ კილოკავური მასალების შეკრება და მათ მუშაობას ერთგვარი მიმართულება მისცეს. ამ პროგრამაში მსურველი იპოვის როგორც საზოგადო შენიშვნებს თვით მუშაობის წარმოების შესახებ, აგრეთვე ზოგიერთ კონკრეტულ ანუ გარკვეულ მაგალითებს, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს".

პროგრამა დალაგებულია შემდეგი საკითხების მიხედვით: I ფონეტიკა: ა. ხმოვნები, ბ. გრძელი ხმოვნები, გ. ორხმოვნები, დ. თანხმოვნები, ე. ხმისამაღლება; II. მორფოლოგია: ა. არსებითი სახელნი, ბ. რიცხვითი სახელნი, გ. ნაცვალსახელნი, დ. ნაწილაკები, ე. ზმნა; III. სინტაქსი; IV. ლექსიკონი; V ტექსტები.

არსებობს დიალექტური სალექსიკონო მასალის შეგროვების ინსტრუქცია (შ. ძიძიგურისა), რომელიც დაიბეჭდა 1941 წელს.

ინსტრუქცია დალაგებულია შემდეგი საკითხების მიხედვით: ა. ვისგან უნდა იყოს შეკრებილი მასალა, ბ. როგორ უნდა იყოს შეკრებილი მასალა. ცალ-ცალკეა მოცემული: I. ადამიანი და მასთან დაკავშირებული ტერმინები, II. ცხოველთა სამეფო, III. ყოველგვარი შენობა და მისი ნაწილების სახელწოდებები, IV. სახლის მოწყობილობანი, V. იარაღები, VI. საქმელები და მათი საკმაზები ანუ სართავი. სასმელები, VII. მთების, გორაკების, მინდვრების, საძოვრების, წყლების და სხვა მნიშვნელოვან ადგილთა სახელწოდებანი, VIII. მცენარეები, ეენახები,

ბაღი, ბოსტანი, IX. მიწა, X. საზომების, სასწორების და საწყაულების სახელები, XI. თელის წესები, XII. თამაშობათა სახელები, XIII. სიმღერების და ცეკვების სახელები.

ძრესტომათიები

გამოქვეყნებულია ქართული დიალექტოლოგიური ქრესტომათიები. ესენია: შ. ძიძიგურის „ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ“ (1956 წ.) და ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიასა და ი. ქავთარაძის ქართული დიალექტოლოგია. I. დიალექტთა განხილვა. ტექსტები. „ლექსიკონი“ (1961 წ.).

ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები

(დასავლური კილოების ელემენტები დასავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებში)

ძველმა საქართველომ დაგვიტოვა სხვადასხვა ეპოქის მრავალფეროვანი შედგენილობის საბუთები, რომელთა შესწავლას მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოს სოციალური ისტორიის საკითხების გასარკვევად, ისე ჩვენი ენის ისტორიის საკითხების გასაშუქებლადაც. დოკუმენტების ამ ფართო წყებაში არამცირედი ადგილი უკავია დასავლეთ საქართველოდან გამოსულ საბუთებს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იმერეთი ქართულ საისტორიო მწერლობაში აღ არის ისე ვრცლად წარმოდგენილი, როგორც აღმოსავლეთ საქართველო, მაშინ ცხადი გახდება, თუ რაოდენ ძვირფასია ეს მასალა მეცნიერებისათვის.

დასავლეთ საქართველოს საბუთების მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული, დიდძალი მასალა დაცულია ჩვენს მუზეუმებში და დამუშავება-გამომზეურებას ელის.

წინამდებარე მიმოხილვა დაფუძნებულია გამოქვეყნებულ მასალაზე. ამასთანავე ჩვენ მოგვიხდა ხელნაწერების, ე. ი. გამოუცემელი მასალების გაცნობაც საზოგადო ორიენტაციის გამოსამუშავებლად და, ამავე დროს, ზოგიერთი კერძო საკითხის უფრო დაბეჯითებით გადასაწყვეტად. ამ გამოუქვეყნებელი წყაროების ფართოდ გამოყენებას აქ მოუერიდეთ გარკვეული მიზეზისა გამო: ჩვენი მიზანია არა მხოლოდ საბუთების ენის დიალექტოლოგიური შესწავლა თავისთავად, ე. ი. რამდენად დოკუმენტების ენა შეიცავს დიალექტოლოგიურ (resp. დასავლური კილოების) მასალას, არამედ გვაინტერესებს **ისტორიული დიალექტოლოგიის** საკითხები: ესა თუ ის მოვლენა დავაღგინოთ **ისტორიული თვალსაზრისით**, ხოლო რამდენადაც ეს მასალები ჯერ კიდევ შეუსწავლელია, არ არის ეპოქის თვალსაზრისით საბოლოოდ კლასიფიცირებული, გასაგებია, ნაადრევად მივიჩნიეთ მისი გამო-

ყენება, გასაგებია იმდენად, რამდენადაც წამოყენებული თვალსაზრისით ქრონოლოგიურ პრინციპს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. თქმა არ უნდა, როდესაც ეს დიდძალი მასალა სათანადოდ დამუშავდება ფილოლოგიურ-ისტორიული თვალსაზრისით, სანდო საყრდენი მოგვეცემა მის გამოსაყენებლად და საგრძნობლად გაფართოვდება ჩვენი წარმოდგენა ისტორიული დიალექტოლოგიის დარგში.

საანალიზო წყაროების საზოგადო დახასიათება

საბუთები თავისი ხასიათის მიხედვით მრავალფეროვანი შედგენილობისაა. მათში შედის: ბატონყმური ურთიერთობის წყაროები, საბუთები წყალობისა, სათარხნო, გაცვლილობის, ან კიდეკ გუჯარი, ტქმი, ნუსხა. გარდა ამისა, ფართოდაა წარმოდგენილი საშემოსავლო თუ ხალხის აღწერის დავთრები, პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის დოკუმენტები, საკანონმდებლო ძეგლები, კერძო წერილები. თვალსაჩინო რაოდენობით მოიპოვება საეკლესიო ხასიათის საბუთები, და სხვ.

ქრონოლოგიურად ჩვენი საბუთები უმთავრესად მოიცავენ პერიოდს მე-15 საუკუნიდან ვიდრე მე-19 საუკუნემდის. თითო-ოროლა წასალა მოგვეპოვება უფრო ადრე ხანისაც. ესენია: ნიკორწმინდის სიგელი მე-11 საუკუნისა, „აფხაზთა ქრონიკა" მე-12 — 13 საუკუნეებისა, „დადიანთა ქრონიკა" მე-14 საუკუნისა, სიგელი — მიცემული იმერთა მეფის ალექსანდრეს მიერ 1392 წელს და სხვ.

წარმოშობის მიხედვით საანალიზო დოკუმენტები დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს განეკუთვნება: ზემო იმერეთს, ქვემო იმერეთს, ლეჩხუმს, რაჭას, გურიას, სამეგრელოს.

პუბლიკაციის მხრივ აღსანიშნავია შემდეგი. მე-15 საუკუნეზე ადრინდელი ძეგლები უმთავრესად გამოცემულია თედო ჟორდანიას მიერ თავის „ქრონიკებში" (ნიკორწმინდისა და სხვ). ე. თაყაიშვილმა თავის „საქართველოს სიძველეების" ტომებში გამოაქვეყნა ბევრი მასალა. სარგის კაკაბაძემ გამოსცა როგორც საეკლესიო საბუთები, ისე სხვა ხასიათის დოკუმენტები. აღსანიშნავია მისი „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთების" 2 ტომი, ხოლო დანარჩენი მასალა მოცემულია უმთავრესად მისი რედაქციით გამოსულ პერიოდულ გამოცემებში: „საისტორიო მოამბე" I და II წიგნები 1924 წლისა, და I — II წიგნები 1925 წლისა, „საისტორიო კრებული" I — II — III — IV წიგნები (1928 — 29 წლისა). იხ. აგრეთვე მისივე „წვრილი ზტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ" 1914 წ., „საცაგერლოს შემოსავლის დავთარი", 1914 წ., „საცაიშლო-

სი“ და სხვ. ნიკო ბერძენიშვილმა წიგნში „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“ (1 ტომი), რომელიც გამოვიდა 1940 წელს და მოიცავს XV — XVIII საუკუნეებს, გამოაქვეყნა საერთო სათაურით — „იმერეთი“ — ბატონყმური ურთიერთობის ამსახველი მასალა დასავლეთ საქართველოს საბუთების მდიდარი ფონდიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოქვეყნებული მასალები ყველა ერთნაირად სანდო არ არის. ცნობილია, რომ დიდი გავრცელება ჰქონდა წარსულში ნატყუარ საბუთებს. ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ ზოგიერთი საბუთი (განსაკუთრებით სასისხლო სიგელები) ყალბია და მერვინდელი საუკუნეებისაა.

ასეთია საანალიზო მასალის ხასიათი, ქრონოლოგია, წარმოშობა და პუბლიკაცია.

საბუთების ენის შესწავლის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე. წ. საბუთების ენას, — ენას, რომელიც, მართალია, ძირითადი აგებულებით მიჰყვება ლიტერატურული ენის მაგისტრალურ ხაზს, სამწერლობო ენის ნორმალიზაციის საზოგადო ტენდენციების გამომხატველია, მაგრამ მაინც თავისებურ ადგილს იკავებს ლიტერატურული ენის ევოლუციის გზაზე და რამდენადმე მის განშტოებას წარმოადგენს, რამდენადმე განვითარების საკუთარი გზა გაჰხნია.

ამ თავისებურ ადგილს რამდენიმე ფაქტორი ჰქმნის. უპირველეს ყოვლისა, ამგვარი ძეგლების ხასიათი სრულიად გარკვეულ სტილსა და ლიტერატურულ კანონზომიერებას იმუშავებს, ჰქმნის საბუთების ენის განსაკუთრებულ შაბლონს; ეს არაა ენა ოფიციალური საისტორიო მწერლობისა, რომელიც მეცნიერული ენის გზას მიჰყვება და წარმოადგენს სალიტერატურო ენის, ამ ცნების ფართო მნიშვნელობით, შემადგენელ ნაწილს, მისი ნორმირებისა და კანონზომიერების მკაცრად ალმბეჭდველს. მეორე მხრით, სათანადო ძეგლები სხვადასხვა ლოკალური წარმოშობისაა, სხვადასხვა კუთხეშია შემუშავებული, და ეს გარემოება ხელს უწყობს ფორმათა სიჭრელეს, მრავალფერონებას, სხვადასხვა დიალექტური თუ სოციალური ფენის მასალის თავმოყრას. მესამე მხრით, ხშირია შემთხვევა, როდესაც საბუთის შემდგენელია ლიტერატურულად განუსწავლელი პირი, რომელსაც, მართალია, რამდენადმე შეთვისებული აქვს ამგვარი ხასიათის ძეგლის შედგენის სტანდარტული წესი და მანერა, მაგრამ არ არის დაუფლებული საერთო ლიტერატურული ენის განმტკიცებულ ფორმებს.

ზემოთქმულიდან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა: საბუთების ენის მეცნიერულ დამუშავებას მნიშვნელობა ექნება როგორც საერთოდ სალიტერატურო ენის ისტორიის შესასწავლად (რამდენადაც საბუთების ენა მაინც სალიტერატურო ენის შედგენილობის ნაწილია), ისე, რაც ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა, დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც.

საბუთების ენის შესწავლა განსაკუთრებით საინტერესო იქნება იმ ენის სინამდვილეში, რომელსაც არ მოეპოვება ისტორიული დიალექტოლოგიის ტექსტები. მართალია, სალიტერატურო ენის მასალა ყოველთვის მოგვცემს საგულისხმო ფაქტებს ამ მხრივ, განსაკუთრებით მისი ქმნადობა-ჩამოყალიბების პირველი საფეხურები, როდესაც თვალსაჩინოდ შეიმჩნევა ჰიდილი დიალექტურ და ლიტერატურულ ფორმათა შორის, მაგრამ არის ენები, რომელთაც აქვთ წინასაუკუნეებში ფიქსირებული ძეგლები, შესრულებული რომელიმე დიალექტზე, და ეს მასალა, ცხადია, ფასეულია დიალექტურ მოვლენათა ისტორიის გასათვალისწინებლად.

ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის ძეგლები, როგორც ცნობილია, არ არსებობს, და ამდენად საბუთების ენა ერთადერთ წყაროს წარმოადგენს იმის შესასწავლად, თუ ესა თუ ის დიალექტური ფორმა რა სახით იყო წარმოდგენილი წინასაუკუნეებში.

გარდა ამისა, ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი საფუძველია ისტორიულად ქართლური კილო. აღმოსავლური კილოების ისტორიული მასალის გამოსაყენებლად უკეთესი პირობებია, შედარებით დასავლურ კილოებთან, გარდა იმისა, რომ, ამასთანავე, მრავლად შენახულა აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსული საბუთებიც. დასავლური დიალექტური მასალის წინასაფეხურების შესასწავლად მხოლოდ საბუთების ენა გვაქვს; დასავლეთ საქართველოდან გამოსული საბუთები ერთადერთი მკვიდრი რეალური ლიტერატურული დოკუმენტებია, რომელთაც ამდენად განუზომელი მნიშვნელობა და ინტერესი ახლავთ ისტორიული დიალექტოლოგიისათვის, დასავლური კილოების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა თვალი გავადევნოთ დასავლურ დიალექტურ ფორმებს მე-14 — 15 საუკუნეებიდან მოყოლებული ჩვენს დრომდის. დიალექტურ ფორმათა დათარიღება მათი აღმოცენების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია: ვთქვათ, რომელიმე ფორმა დავადასტურეთ — საბუთების მიხედვით — მე-12 საუკუნეში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს დიალექტური მოვლენა ამ დროს ჩაიწერა; შესაძლოა იგი არსებობდა წინასაუკუნეებში, მაგრამ დოკუმენტებს არ აესახა იგი. მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ საქმე არა გვაქვს ტიპიურ დიალექტოლოგიურ ტექსტთან, რომელ-

შიც არ არის საკმარისად ზუსტად აღნუსხულიყო დიალექტური მოვლენები. მაგრამ იმის დადასტურებით, რომ ეს მოვლენა, ვთქვათ, მე-12 საუკუნის საბუთს დაუცავს, საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც შეგვიძლია ვივარაუდოთ მისი არსებობა ამ პერიოდიდან მოყოლებული, და გავითვალისწინოთ მისი ეთოლუცია.

საბუთების ენის კვლევა-ძიება დიალექტოლოგიური თვალსაზრისით მოითხოვს ფაქიზ მოპყრობას მასალისადმი და განსაკუთრებულ სიფრთხილეს დასკვნების გამოტანის დროს. ჯერ ერთი: როდესაც ქრონოლოგიური საკითხები ისმის, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ბეგლის არ მოუღწევია ჩვენამდის თავდაპირველი სახით, — ზოგი მათგანი მერმინდელი გადაწერილია. მეორე მხრივ, ამოსავალი თვალსაზრისი ჩვენთვის ყოველთვის უნდა იყოს ფორმათა თანამედროვე ვითარება, ე. ი. დიალექტური მოვლენები, რომლებიც ამჟამად დასტურდება დასაელურ კილოებში. ეს იმიტომ, რომ საბუთების ენაში ჩვენ გეხვდება ისეთი დიალექტური მოვლენებიც, რომლებიც დასაელურ კილოებს არ ახასიათებთ, მაგრამ დამახასიათებელია აღმოსაელურ კილოებისათვის. აქ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სათანადო მოვლენები ძველ საფეხურებზე ახასიათებდა დასაელურ დიალექტებს და შემდეგ დაიკარგა, — მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფაქტიც, რომ საბუთების ენას გააჩნია გარკვეული შაბლონი, ერთი ძირითადი კანონზომიერება, რომელიც საერთოა აღმოსაელური და დასაელური დოკუმენტებისათვის; საბუთების ენის ძირითადი ინვენტარი მაინც ლიტერატურული ენის resp. აღმოსაელური კილოების საფუძველზეა აღმოცენებული. დოკუმენტების გაწვრთნილი და დაოსტატებული შემდგენელნი ძირითადად საბუთების ენის სტანდარტს იცავენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დასაელეთ საქართველოდან გამოსული საბუთები წარმოშობით განეკუთვნებიან: ზემო იმერეთს, ქვემო იმერეთს, ლეჩხუმს, რაჭას, გურიას, სამეგრელოს. ამის შესაბამისად უნდა მოველოდეთ ზემოიმერულ, ქვემოიმერულ, ლეჩხუმურ, რაჭულ და გურულ თავისებურებებს, ამასთანავე მეგრულიზმებსაც.

მაგალითები დამოწმებულია შემდეგი წესით: კონტექსტი მოცემულია მხოლოდ საჭიროების დროს; თითოეული მაგალითის დასახელების შემდეგ მითითებულია, თუ რომელი კილოს მასალაა, ანუ რომელი კუთხიდანაა გამოსული სათანადო ნიმუშის შემცველი ტექსტი. თუ დიალექტზე მითითება არ ხერხდება, კითხეით ნიშანს ვწერთ. ამას მოსდევს თარიღი: რომელი წლითაა დათარიღებული ძეგლი გამომცემლის მიერ; ამასთანავე საგანგებოდ აღნიშნულია, თუ საბუთი მერმინდელი გადანაწერია. ბოლოს მივუთითებთ — სადაა დაბეჭდილი ძეგლი.

შემოკლებანი: ბიჭვ. — ბიჭვინთა; ბერძენ. — „დოკუმენტები

საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I. ბატონყმური მასალები (XV — XVIII სს.)“ ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1940; გურ. — გურული, ზემოიმერ. — ზემოიმერული; იმერ. — იმერული; ლეჩხ.—ლეჩხუმური; რაჭ.—რაჭული; საეკლ.—„დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“, I, II, სარგის კაკაბაძის რედაქციით; საისტ. კრებ.—„საისტორიო კრებული“, ს. კაკაბაძის რედაქციით; საისტ. მოამბე — „საისტორიო მოამბე“ ს. კაკაბაძის რედაქციით; სამეგრ. — სამეგრელო; საცაგერლ. — „საცაგერლოს შემოსავლის დავთარი“, ს. კაკაბაძის რედაქციით ხიძვ. — „საქართველოს სიძველენი“, I. ე. თაყაიშვილის რედაქციით; ქვემოიმერ. — ქვემოიმერული; შტუდ.—„წერილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ“, ს. კაკაბაძის რედაქციით.

ფონეტიკა

სუბსტიტუცია

უმთავრესად ერთმანეთს ენაცვლებიან ნარნარა ბგერები და ამასთანავე ბაგისმიერი ბგერები.

ბ-ნ: სანეფო (ქვემოიმერ., 1569 წ., საეკლ. I, 18); დაუნტვრევია (სამეგრ., 1835 წ., საისტ. კრებ. 94).

ბ-ბ: ნებსაძე (ქვემოიმერ. 1696 — 1742 წ., საეკლ. 1,256).

ნ-მ: ეს შენაცვლება მოუდის სიტყვას — სანთელი და ხშირად გვხვდება: სამთელი (რაჭ., 1620 — 1640 წ., საეკლ. I, 53; ქვემოიმერ., 1675 — 1680 წ., საეკლ. I, 78; ქვემოიმერ., 1712 წ., საეკლ. I, 106; სამეგრ. — 1700 — 1714 წ., საეკლ. I, II, ქვემოიმერ., 1730 წ., საეკლ. I, 124).

ნ-ლ: ლიკორწმინდელი (ქვემოიმერ., 1721 — 1779 წ., საისტ. კრებ. III, 123).

ვ-ჰ: ჰამჰანიძე (—ჰავჰანიძე) (ქვემოიმერ. 1785 წ., საისტ. მოამბე, I, 1925 წ., 166).

ვ-ბ: თებზაძე (რაჭ., 1730 — 1742 წ., საეკლ. I, 153; ქვემოიმერ., 1696 — 1742 წ., საეკლ. I, 154).

ე-ჯ: ჯღენტი (? XVII ს. სიძვ. I, 56).

თშ კომპლექსი წარმოდგენილია ჩ-თი სიტყვაში: ხუთშაბათი — ხუჩაბათი (ქვემოიმერ., 1630 წ., საეკლ. I, 49; ქვემოიმერ. XVI ს. სიძვ. I, 17).

ვი კომპლექსი წარმოდგენილია უ-თი ტოპონიმიკურ ტერმინებში: ქვიტირი—ქუტირი და გვიშტიბი — გუშტიბი.

ქუტირი (ქვემოიმერ., 1669 წ., საეკლ. I, 72; ქვემოიმერ., 1730 წ., 119., ქვემოიმერ., 1777 წ., ib. II, 61; ქვემოიმერ. XVI ს., სიძვ.

20); გუშტიბი (რაჭ., 1660 — 1690 წ., საეკლ. I, 82; იმერ. 1647 წ., ბერძენ. 644).

უ-ვი: მირცხვილავა (მირცხულავა) ქვემოიმერ., 1730 წ., საეკლ. I, 144); გუიჯარშიგან (ქვემოიმერ., XVI ს., სიძე. 19).

ო — ვა: თითვან (ზემოიმერ. 1720 — 1746 წ., ბერძენ. 626).

ვე — ო: იყონ (ზემოიმერ. 1678 წ., ბერძენ. ლეჩხ. 1737 წ., ბერძენ. 665).

ბგერის დაკარგვა

ჩვეულებრივ იკარგება ვ, ნ, რ, ლ. არის თითო-ოროლა შემთხვევა გ-ს, წ-სა და ზ-ს დაკარგვისა.

ვ

უმთავრესად კვლა ზმნისაგან ნაწარმოებ სიტყვებში იკარგება: მკლელი (სამეგრ., 1732 — 1788 წ., სიძე. 48; ქვემოიმერ. 1720 — 1742 წ., საეკლ., I, 150); შემომაკდა (სამეგრ. XVII ს., სიძე. 29); შემოაკდა (ქვემოიმერ., 1720 — 1742 წ., საეკლ. I. 150); მოჰკდა (ქვემოიმერ., 1760 წ., საეკლ. II, 12); მოსლოდა (ქვემოიმერ.. 1700 — 1712 წ., საეკლ. I, 102); მეექსესა (ქვემოიმერ., 1705 წ., საეკლ. I, 89); აქს (იმერ., 1740 — 1750 წ., ბერძენ. 669).

უნდა აღინიშნოს, რომ ვ-ს დაკარგვა აღნიშნულ შემთხვევებში იმდენად იმერულისათვის არ არის დამახასიათებელი, რამდენადაც გურულისათვის, თუ ვილაპარაკებთ თანამედროვე ვითარების მიხედვით.

რ

უმთავრესად ბრძანება-მობრძანება-გაზრდა სიტყვებში იკარგება: ბძანება (ქვემოიმერ. 1669 წ., საეკლ. I, 72; ბიქვ., 1700 წ., საეკლ. 1, 100); გიბძანებ (ქვემოიმერ., 1754 — 1768 წ., საეკლ. 11,36); მობძანდა (ბიქვ., 1700 წ., საეკლ. I, 100); მობძანდით (ბიქვ., 1777 წ., საეკლ. II, 62); გაზდილმა (ქვემოიმერ., 1745 წ., I, 157); გამიზდია (ლეჩხ., 1757 წ., საეკლ. II, 8); გიბძანებ (იმერ., 1737 — 1744 წ., ბერძენ., 666).

ნ

მიდორი (ქვემოიმერ. 1659 წ., საისტ. მოამბე, I, 91); გამოჩდეს (იმერ., 1727 წ., ბერძენ. 653).

ლ

ჩვეულებრივია სიტყვაში ხელმწიფე — ხემწიფე:
(ქვემოიმერ. 1712 წ., საეკლ. I, 107; ბიქვ. 1705 წ., საეკლ. I, 89; ქვემოიმერ. 1760 — 1769 წ., საეკლ. II, 38); ხელმწიფესთან (იმერ., 1709 — 1744 წ., ბერძენ. 623); — სახკარითა (გურ., 1710 წ. საეკლ. I, 38); სახკარი (იმერ.. 1727 წ., 1746 წ.. 1722 — 1738 წ., ბერძენ., 647, 672, 631).

ჳ

იკარგება ზოგჯერ როგორც O_2 უკანაენისმიერ თანხმოვანთა წინ:
კადრეთ და მოგახსენეთ (სამეგრ., 1761 წ., საეკლ. I, 66); კადრეთ და შემოგწირეთ (სამეგრ., 1658 წ., საეკლ. I, 62); ქონდეს და გაბედნიეროს (რაჭ., 1660, საეკლ. I, 64).

ჴ

იკარგება სიტყვაში ძმისწული — ძმისული;
ძმისულითა (სამეგრ., XVII ს., სიძვ. 29); ძმისულებს (გურ., 1814 წ., I, ს. კრებ. II, 90).
გეხვდება დღეს იმერულშიც.

ზ

იკარგება სიტყვაში დარბაზისერნი—დარბაისერნი (ქვემოიმერ., 1798 წ. საისტ. მოამბე, 1925 წ., 169).

ზ-ს დაკარგვა მეტად გავრცელებულია რაჭულში -ზე თანდებულში, თუ იგი ერთვის ხმოვანფუძიანთ: კალოზე—კალოე, მთაზე—მთაე, და მისთ. თუ ვიეარაუდებთ, რომ აქედან მივიღეთ სიტყვა დარბაისელი, მაშინ გასაგებია, რომ ზ-ს დაკარგვა ამ ფორმაში საზოგადო ქართული ენის მოელენა ყოფილა. დარბაისელ-სიტყვის მომდინარეობა აქედან: „დარბაზისერი" არ მართლდება. ეტიმოლოგია ამ სიტყვისა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: დარბაზისერი (ბგერის დაკარგვით და დისიმილაციით) — დარბაისელი. დარბაისერი თეორიულად აღდგენილი სიტყვა არ არის, იგი გეხვდება საბუთებში: საეკლ. საბ. I, 109, II, 75. ამის გვერდით დარბაისელ-იც შეიძლება შეგვხვდეს: საეკლ. საბ. II, 21.

ოვა — ოა

ოვა კომპლექსი მარტივდება ოა-დ რამდენიმე შემთხვევაში:
სახელოანის (ქვემოიმერ., 1730 წ., საეკლ. I, 119); ჩიქოანი (? 1712 — 1750 წ., საეკლ. I, 163); გელოანი (ლეჩხ., 1656;

საეკლ. I, 55; ლეჩხ. 1660 — 1685 წ., ib. 81; ლეჩხ., საცაგერლ. 10).

ბგერის ჩართვა

ჩაერთვის ჩვეულებრივ ნ და ვ. ნ-ს ჩართვა დამახასიათებელია დღეგრძელება-სიტყვაში:

სადღენგრძელო (ქვემოიმერ., 1569 წ., საეკლ. I, 17, 19; ქვემოიმერ., 1604 წ., ib. 37; გურ., 1610 წ. ib. 38; ლეჩხ., 1656 წ., ib. 55; ლეჩხ., საცაგერლ. 10,11); დღენგრძლად (ქვემოიმერ., 1569 წ., საეკლ. I, 19); ადღენგძელოს (ქვემოიმერ., 1586 წ.. საეკლ. I, 34); დღენგძელობა (ზემოიმერ., 1735, ბერძენ. 660; ზემოიმერ. 1746, ბერძენ. 671).

ვ ჩაერთვის ხმოვნებს შუა:

სასაფლაოთა (სამეგრ. 1660 — 1662 წ., საეკლ. I, 68; ბიჭვ. 1715 — 1730 წ., ib 119); სავოხად (სამეგრ. 1660 — 1662 წ., საეკლ. I 61, 62); შევიტყოვო (? 1650 — 1658 წ., სიძვ. 38); ჩიჩუვა (? XVII ს., სიძვ. 29); სამაჭუტავო (? 1770 წ. საეკლ. II, 41).

მეტათეზისი

უმთავრესად გეხვდება სიტყვაში: თხუთმეტი — თუთხმეტი (ქვემოიმერ. 1573 წ., საეკლ. I, 30 [ორჯერ]; ქვემოიმერ. 1789 წ., ib II, 95; ლეჩხ. XV ს. მოამბე, II, 1924 წ., 15; ქვემოიმერ., 1807 წ., საისტ. კრებ. I, 115; ქვემოიმერ., 1809 წ., კრებ. I, 116); დაქფული (სამეგრ., 1853 წ., კრებ, II, 93); ღურბელაია (ბიჭვ., 1712 წ. საეკლ. I, 105); გირგოლი (? 1661 — 1680 წ., სიძვ. 41).

ასიმილაცია

ხდომა სიტყვაში ჩვეულებრივია პროგრესული ასიმილაცია: წინამავალი ყრუ ხ აყრუებს მომდევნო მჟღერ დ-ს:

გახთეს (ლეჩხ., საცაგერლ. 13); გაშხთარიყო (ქვემოიმერ., 1761 წ., საეკლ. II, 16); წაგხთომოდა (ქვემოიმერ., 1544 — 1545 წ., საისტ. მოამბე, II, 1924 წ., 36).

ასევე გეხვდება სიტყვებში:

მოხთება (ქვემოიმერ., 1807 წ., კრებ. I, 115): მოხვთეს (სამეგრ., 1770 წ., საეკლ. II, 43); გარდახთის (სამეგრ., 1760 წ., საეკლ. II, 14); გარდავახფევინოთ (? 1709 წ., სიძვ. 46).

ნ ამკვეთრებს მომდევნო ჰ-ს სიტყვაში: **ხანისკვილოიანად—წისკვილი:** (რაჭ., 1700 — 1731 წ., საეკლ. I, 128 [ორჯერ]; წისკვილითა (ზემოიმერ., 1722 — 1738, ბერძენ. 634); წისკვილით (ზემოიმერ., 1735, ბერძენ. 660).

რეგრესული ასიმილაციის შემდეგი შემთხვევები გვხვდება: ა) ჰ აყრუებს წინამავალ ბ-ს: **ხაბჰო — საპჰო** (ქვემოიმერ. 1809 წ., კრებ. I, 116); ბ) ც აყრუებს წინამავალ გ-ს: **მოგვცეთ — მოქვცეთ** (ქვემოიმერ., 1808 წ., კრებ. I, 116); გ) ჭ წინამავალ სისინას შიშინად აქცევს: **სჭიროდა — შჭიროდა, შჭირვიათ** (ქვემოიმერ. 1789 წ., საეკლ. II, 94); დ) ამჟღერებს წინამავალ ს-ს **უმსგავსო→უმზგავსო** (გურ., 1558 — 1562 წ., საეკლ. I, 16); ე) ჯ ამჟღერებს წინამავალ თ-ს: **ერდგულობა** (იმერ., 1727 წ., ბერძენ. 650); ვ) კ ამკვეთრებს დ-ს: **შემოაკვტა** (იძერ., 1722—1738 წ., ბერძენ., 641); ზ) დ ამჟღერებს წინამავალ ც-ს ძ-დ: **ცდ კომპლექსი იქცევა ძდ კომპლექსად.** შემდეგ ხდება სუბსტიტუცია: ძ-ს ენაცვლება ზ. მაშასადამე, ვღებულობთ: **ცდ→ძდ→ზდ.** მაგალითები: **სამოზდა რუასა** (იმერ., 1680 წ., ბერძენ. 607); **ასთხმოზდაათი** (იმერ., 1746 წ., ბერძენ., 672); **ოზდაჩვიდმეტისა** (იმერ., 1737 წ., ბერძენ., 665).

ხმოვანთა ასიმილაციიდან აღსანიშნავია შემდეგი: მომდევნო ი ავიწროებს წინამავალ ა-ს (პრევერბისეულს) და აქცევს ე-დ. ამგვარად, ადგილი აქვს რეგრესულ ნაწილობრივ ასიმილაციას:

დეიჭირა (ქვემოიმერ., XVIII ს., კრებ III, 123); დეიხსენით (ქვემოიმერ. XVIII ს. ib.); დეიწერა (ქვემოიმერ., 1755 წ., საეკლ. II, 8); დეიდეა (ქვემოიმერ. ib.); გეიქცა (ბიქვ., 1700 — 1712 წ., საეკლ. I, 103); გეიცეს (ქვემოიმერ. 1742 — 1750 წ., საეკლ. I, 163); გეიყოს (სამეგრ. 1696 — 1715 წ. ib. 117); ეიყარა (ბიქვ. 1712 წ., ib. 105); ევიღე (იმერ., 1727 წ., ბერძენ. 651).

ი ავიწროებს წინამავალ ო-საც ე-დ:

მეინდომა (ქვემოიმერ. XVIII ს., კრებ. III, 122).

უ ავიწროებს წინამავალ ა-ს ო-დ:

აზნოურიშვილი (ქვემოიმერ., XVIII ს., კრებ. 123; იმერ. 1754 წ., საეკლ. II, 3; იმერ., 1722 — 1738 წ., ბერძენ. 641).

გვხვდება ასეთი ფორმაც:

აზნეურშვილი (ქვემოიმერ., 1720 — 1740 წ., კრებ., I, 39).

ე ავიწროებს წინამავალ ა-ს ე-დ:

დეემკვიდრების (სამეგრ., XIX ს. სიძვ. 50); გეეერიოთ (? 1707—1710 წ., სიძუ. 47).

დისიმილაცია

დისიმილაციას ადგილი აქვს სიტყვებში: **ორორი, არაფერი:**

ოროლი (ზემოიმერ., 1550 — 1570 წ., საეკლ. I, 22; სამეგრ.,

1628 წ., ib. 41; ქვემოიმერ. 1706 წ., ib. 92); არაფელი (სამეგრ.. 1675 — 1680 წ., საეკლ. I, 78).

დისიმილაციით შეიძლება აიხსნას, აგრეთვე, ლაპარაკ-სიტყვაში შემხდარი ცვლილება:

სალაპარიკოთ (ლეჩხ., საცაგერლ., 13); დაგველაპარიკენით (სამეგრ., 1658 წ., საეკლ. I, 60); დაგველაპარიკა (სამეგრ. 1658. წ., საეკლ. I, 61); დაგველაპარიკეთ (ზემოიმერ. 1746, ბერძენ. 672).

დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილება

ოა კომპლექსი ისწრაფვის დიფთონგად გადაქცევისაკენ. ცვლილების პირველი საფეხურია ო-ს დავიწროება უ-დ: ოა—→უა.

მუახლე (სამეგრ., 1793 წ., საეკლ. II, 103 [ორჯერ]: არჩუაძე (ლეჩხ., საცაგერლ., 9); გელუანი (ლეჩხ., საცაგერლ., II, 14; ლეჩხ. 1656 წ., საეკლ. I, 55,56); ჩიქუანი (რაჭ., XVI ს. საისტ. მოამბე, 248); კოღუაშვილს (ქვემოიმერ., 1730 წ., საეკლ. I, 122); ბოლქუაძე (? 1706 წ., საეკლ. I, 91; ქვემოიმერ., 1712 წ., ib 105); ძაღლუა (ზემოიმერ., XVII ს., საეკლ. I, 73, ? 1696 — 1742 წ. ib. 154).

ამავე რიგისაა გოგოაძე—→გოგუაძე—→გოგვაძე. ამჟამად იხმარება პარალელური ფორმები: გოგუაძე || გოგვაძე. ეს უკანასკნელი საფეხური (გოგვაძე) ადრევე ყოფილა მიღებული, ამას მოწმობს 1713 წლის საბუთი, გურიაში შესრულებული (საეკლ. I, 109). გელუან-ჩიქუან-ში კომპლექსი მიღებულია ასე: ოვა დაყვანილია ოა-მდის და შემდეგ ოა-სგან მიღებულია უა. ეს გარდამავალი საფეხურებიც აღბეჭდილია საბუთებში: გელოანი (ლეჩხ., 1659 წ., საეკლ. I, 55).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ სოფლის სახელწოდება (ყოფ. ხონის რაიონში) კონტუათი. როგორც წყაროებიდან ჩანს, მისი ძველი ფორმაა კონტოათი (ქვემოიმერ. 1712 წ., საეკლ. I, 105). აქ გვაქვს მეგრულ-ჭანური ენობრივი წრის სუფიქსი -ათ, გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი ელემენტი. პარალელურად გვხვდება -ეთ დაბოლოებიანი ფორმაც: კონტოეთი (ქვემოიმერ. 1782 წ., საეკლ. II, 74). კონტოათი-დან მივიღეთ თანამედროვე კონტუათი: ოა-მ მოგვცა უა.

ეა კომპლექსი გვაძლევს ია-ს: შიათავებიეო (ქვემოიმერ., XVII ს., სიძვ. 58).

ეო კომპლექსი გვაძლევს იო-ს: მიორე (ქვემოიმერ., XVII ს., სიძვ. 58).

ოვე — ოე კომპლექსი გვაძლევს უე-ს: ეთხუებოდეს (გურ. 1769 წ., საეკლ. II, 40).

მორფოლოგია

პრევერბები

შემო-პრევერბი წარმოდგენილია შამო-ს სახით:

შამომწირავს (ლეჩხ., საცაგერ., 14); შამოგეცილოს (ზემოიმერ., 1637 — 1657 წ., საეკლ. I, 57); შამოგეხვეწეთ (ლეჩხ., 1639—1659 წ., საეკლ. I, 63); შამოგეხვეწეთ (ზემოიმერ. 1722—1738, ბერძენ. 636); შამოგეითვლიდეთ (იმერ. 1720 — 1730 წ., საეკლ. I, 118); შამოგეწირავს (? 1755 წ., საეკლ. II, 7); შამომავალის (ზემოიმერ., საეკლ. II, 17); შამოვედრებულმან (? 1756 — 1761 წ., სიძვ. 48).

გარდა-არქაული პრევერბი წარმოდგენილია გარა-ს სახით:

გარახდა (სისხლის გარახდა) (ლეჩხ., 1701 წ., საეკლ. I, 86; ქვემოიმერ. 1660 წ. საეკლ. II, 173).

თანდებულები

დაცულია-თვინ თანდებული:

ყმისთვინ (ლეჩხ., 1700 — 1714 წ., საეკლ. I, 110); ტაძრისთვინ (სამეგრ., 1714 წ., საეკლ. I, 113); ეკლესიისათვინ (ib.); ამისათვინ (ib.); ღოღობერიძისათვინ (ib.); საყდრისათვინ (სამეგრ., 1753 წ., საეკლ. II, 2); ამისთვინ (სამეგრ., 1760 წ., ib. 14); იოსებისთვინ (გურ. 1769 წ. ib. 40).

-თვინ თანდებულის ფუნქციით დაცულია -ისდა არქაული ფორმა, რომელიც საფუძველია გურულ-ქვემოიმერულ იზდა-ოზა-ს მიღებისათვის. -ისდა ამჟამად დაცულია გურულში.

ბატისდა შემოწირავს (გურ., 1569 წ. საეკლ. I, 21).

დამახასიათებელია -ჩი თანდებული -ში-ს ნაცვლად, რომელიც ფართოდაა გავრცელებული გურულში (აღმოსავლურ კილოთაგან: მთის კილოებში, ფერეიდნულში და სხვაგან). ქვემოიმერულში კი მხოლოდ გვხვდება ფორმებში: ამაჩc-იმაჩი, მიდღემჩი (=მისდღეში). სწორედ ეს ფორმებია დაცული საბუთებში.

ამაჩი (ქვემოიმერ., 1848 წ., სიძვ. 50); მიდღემჩი (სამეგრ. 1753 წ., საეკლ. II, 3); მისდღემჩი (ქვემოიმერ. 1754 — 1768 წ., ib. 37); მიზდღეჩიდ (ქვემოიმერ., 1679 წ., საისტ. მოამბე, I, 1925 წ., 212).

-დამ თანდებული საერთოდ აღმოსავლურ კილოებს ახასიათებს. ქვემოიმერულშიც შეგვხვედრია უფრო ამ ფორმით: წინიდამე. მე-18 საუკ. საბუთი გვაწვდის ამ ფორმას: ქვეყნიდამე (ბერძენ. 615).

გვხვდება -შიდან: სამსახურშიდან (გურ. 1701 — 1740, ბერძენ. 676).

საინტერესოა-ურ სუფიქსის გამოყენება -ელ-ის ნაცვლად. დასავლურ კილოებში ამის კვალი აქა-იქ ჩანს (შდრ. ღებელი — ღებური, ქუთათელი — ქუთათური...). XVI საუკუნის ერთ საბუთში გვხვდება ასეთი ფორმები: **ფოთურიი** (=ფოთელი): „ორი მოსახლე ფოთურიი“, „ფოთური მებაჟე“; **ჭალადიდურიი** (=ჭალადიდელი): „ერთი მოსახლე ჭალადიდურიი“ (საეკლ. 1,44). მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, ეს მოვლენა ამ კონტექსტებში მეგრულიზმია, რამდენადაც ძეგლი სამეგრელოშია შემუშაებული. ამის გვერდით, აღსანიშნავია, რომ ზემოიმერულ საბუთებში (გვარისსახელებში) ეგეთ -ურ სუფიქსი მკვიდრია, რაც შეესატყვისება თანამედროვე მდგომარეობას. ეს ფორმებია: **ბაბლიური, კილაური, ღვინაური, გველებიანური, მამითური, ჭაჭახაური, გაბიაური, ფოგალაური, ღოდაური, სვიმონაური, დეისმამაური** (1550—1570 წ. საბუთი, საეკლ. I, 21, 22, 23, 24). იქვე გვხვდება დისიმილაციით მიღებული ფორმები: **ფარსმანაული, ვაჭარაული, ოქროწილაური, ნუკრაული მურვანაული.** იხ. აგრეთვე XVII ს. საბუთში: **დავლიანაური** (სიძვ. 53). XVII საუკ. საბუთში გვხვდება **საჩხეური**, ნაცვლად **ხაჩხერელიხა** (საეკლ. I, 54).

-ეულ სუფიქსი ქართულში აღნიშნავს წარმომავლობას პირთაგან და იგი ერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: **ერისთვის-ეული-ი, კახიძის-ეული-ი**, და მისთ. გურულში და იმერულში ამ დაბოლოებისაგან გაკეთდა არსებითი სახელი ოდნავი ფონეტიკური ცვლილებით, სადაც რაკიდური ს წარმოშობით ნათ. ბრუნვის ნიშნის ნაწილია: **ჩემი სოულობა, მისი სოულობა...** (ა. შანიძე). ეს თავისებურება დაცულია საბუთებში:

> **მიხი სოული**: „შენი სახლის კაცი შერმაზან ომათმადიძე უძეოდ გარდეიდა და მისი სოულობა სამართალში ჩუენ დაგვრჩა...“ (გურ. 1659 წ., საისტ. მოამბე, I, 1925 წ., 91); **ჩარკვიანის ხოული**: „მიმიცემია ბერიკას ჩარკვიანის სოული სამოსახლო ალაგ-მამული...“ (ლეჩხ., 1757 წ., საეკლ. II, 8); **კოპალიანის სოული**: „(მიმიცემია) კოპალიანის სოული ტყე...“ (ib.) **კახიძის ხოული**: („მიმიცემია) შემდგომად გენდუშს კახიძის სოული სასახლე მამულ-ადგილ-ტყით“ (ქვემოიმერ., 1766 წ., 31);—**კარგარეთლის სეული** (ქვემოიმერ., 1780 წ., საეკლ. II, 71); **ბაშვილის ხეულობა** (ქვემოიმერ., 1789 წ., ib. 94); **დონაძის სეული** (რაჭ. 1696 — 1700 წ. საეკლ. I, 85).

პარალელურად ვადასტურებთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც **ოულ-ი** ეკვრის სიტყვას და წინამავალი ს მას არ შეხორცებია:

ყიფიანისოული (ზემოიმერ., 1678 წ., საეკლ. I, 77); მამისოული

(გურ., 1713 წ., ib. 108); მცსოული (ib.); ხახლას-სოული (ზემო-იმერ., 1709 — 1744, ბერძენ. 619).

მიმღეობის -ილ და -ულ სუფიქსებს შორის მონაცვლეობაა:

შეკერული (გურ., 1616 — 1639 წ., საეკლ. I, 49; ქვემოიმერ., 1700 — 1750 წ., ib. 161; ? XVII ს., სიძვ. 58; სამეგრ., 1639 — 1657 წ., ყაისტ. მოამბე, II, 1925 წ., 189); დაჭირული (სამეგრ. 1758 წ., საეკლ. II, 10); შეღებილი (გურ., 1639 — 1657 წ., საეკლ. I, 58).

ფართოდაა წარმოდგენილი კნინობითობის სუფიქსები:

ა

დავითა (ქვემოიმერ., 1570 წ., საეკლ. I, 28); დათუა (რაჭ. 1660 — 1670 წ., ib. 74; ? 1730 — 1742 წ., ib. 152); როსტევანა (? 1570 წ., ib. 28); ნიკოლოზა (ქვემოიმერ. 1586 წ., 33; ქვემოიმერ. 1783 წ., საეკლ. II, 81).

უკ-იკ

ბუქუკ (? 1730 — 1742 წ., საეკლ. I, 152); ნინიკ (ib.); თამაზიკ (ib.); დათიკ (ჯრუჭი, 1809 წ., საისტ. კრებ. I, 1928 წ., 48); თედორიკ (ib.), პაველიკ (ib.), სვიმონიკ (ib. 49); შაქარიკ (ib.), სესიკ (ib).

უკ-ა, იკ-ა

ბუქუკა (იმერ., 1809 წ., კრებ. I, 1928 წ., 54), გლახუკა (ib. 53), ბასილიკა (? 1778 წ., საეკლ. II, 64); რამაზიკა (? 1780 — 1642 წ., საეკლ. I, 152); მახარიკა (იმერ., 1809 წ. კრებ. I, 1928 წ., 52).

ია

დათია (ქვემოიმერ., 1730 წ., საეკლ. I, 122); ბიძალია (? 1707 წ., ib. 97).

ელ-ა

ჭიჭიელა (ქვემოიმერ. 1782 წ., საეკლ. II, 75); ნასხიდელა (ib.); ტატუელა (? 1763 წ., ib. 2); სეხნიელა (ib.); ბუქუკელა (ib.); ბაძღუელა (ib.); იესულა (ქვემოიმერ. 1778 წ., ib. 65); ჩიტიელა (ib.); მამუკელა (ib. 64); დავითელა (ქვემოიმერ. 1777 წ., ib. 61); მამუკელა (ib. 64); ივანელა (ქვემოიმერ., 1773 წ., ib. 46);

ბახუელა (ქვემოიმერ. 1760 — 1769 წ., ib. 38); როსტომელა (სამეგრ., 1766 წ., ib. 30); ქირშობელა (? 1763 წ., 18); პაატელა (? 1783 წ., ib. 80); ჩხინკელა (ქვემოიმერ., 1760 წ. ib. 13); შაქარელა (? 1700 — 1714 წ., საეკლ. I, II 2); გიორგელა (? 1733 წ., ib. 144); კაციელა (იმერ., 1804 წ., კრებ. I, 1928 წ. 54); ბახუტელაი (გურ. 1689 — 1717? ბერძენ. 675).

ელ-ა საბუთებში ფართოდ გაურცელებული სუფიქსია. ამჟამად მეტად გავრცელებულია გურულში; სხვაგან შედარებით იშვიათია.

ინ-ა

ინ-ა სუფიქსი გვაქვს სახელებში:

გოგინა (ლეჩხ., საცაგერლ. 7), დათინა (ib.).

ეგების ეს იგივე სუფიქსია, რომელიც გვაქვს **გიგინეიშვილ-სიტყვაში**. ვღებულობთ ასეთ სურათს: **გოგი-დან ნაწარმოებია გოგინა, დავით-იდან დათინა და გიგო-დან გიგინა.** შესაძლოა ამაეე რიგის იყოს **ოთინიკი** ორმაგი სუფიქსაციით: **ოთ-ინ-იკ ოთია** (ოტია) სიტყვისაგან.

თითქოს კნინობითობის სუფიქსს უხედავთ სიტყვებში: **დათუკიჩი** (? 1730 — 1742 წ., საეკლ., I, 152), **პაპუჩი** (ib.).

სახელობითი ბრუნვა

დასავლურ კილოებში სახელობითის ნიშანი შენარჩუნებული აქვს ჰმოვანფუძიანებს. მაგალ., ა-ზე დაბოლოებული სახელები ი-ს დაირთავენ უმთავრესად ქვემოგურულში. მაგრამ ამის პარალელურად გვაქვს ფონეტიკური სახეცვალებით მიღებული ფორმები: ბრუნვის ი-სა და ბოლოკიდურ ფუძისეულ ა-ს შეხვედრისას ხდება რეგრესული ასიმილაცია და ვღებულობთ ეი-ს. შემდგომი საფეხურია ამ ი-ს სულ დაკარგვა. ეს დამახასიათებელია ზემოგურულისათვის და, ამავე დროს, ქვემოიმერულისათვის. ამ სხვაობის საფუძველზე სერგი ჟღენტი გურულ კილოს ჰყოფს ორ კილოკავად, და ამ დაყოფას ამართლებს ლექსიკური სხვაობანიც (იხ. „გურული კილო", 1936 წ.). ამგვარად, ვღებულობთ ასეთს გრადაციას: **ვახტანგაი — ვახტანგეი — ვახტანგე.**

საბუთების ენა სამსაეე ტიპს აელენს. თუ, ერთი მხრით, უხვად გვაქვს, მაგალითად,

გიორგაი, დავითაი, კაკულიაი, გოგიჩაი, მამუკაი, დათვიაი, ხახუტაი, ზაქარიაი, როსტევანაი, ნასხიდაი, მიმისთვალაი, მიხაროდაი. აბალბედაი, შუშუაი, ქრისტეშიაი, ოთარაი, ხანჩილაი, ბაკუნაი, ივანაი,

მეორე მხრით, ვადასტურებთ ნასიმილაციარ ფორმებს:

კოჩილეი (გურ., 1689 — 1701 წ., საეკლ. I, 87): ბაბიელეი (? 1705 წ., ib. 89); ბაძღალეი (ib. ? 1696—1704 წ., ib. 88); გოგიეი (ქვემოიმერ. 1669 წ., ib. 72); ოთიეი (? 1730 — 1731 წ., ib. 129); გვიტიეი (? XVII ს., სიძვ. 58); ბაძულეი (? XVII ს., სიძვ. 30); მახარეი (ქვემოიმერ. 1760 წ., საეკლ. II, 12).

მესამე მხრით, ისეთი ფორმებიც შეინიშნება, როდესაც ასიმილაციის შემდეგ სახელობითის ი დაკარგულია და ეღებულობთ ე-ზე დაბოლოებულ სახელებს:

ათანასე (გურ., 1814 წ., კრებ. II, 1928 წ.); დავითე (ქვემოიმერ. XVII ს., სიძვ. 58); კვირე (იმერ., 1809 წ., საისტ. კრებ. I, 52; ზემოიმერ. XVI ს. საეკლ. I, 23); გაბრიელე (გურ. 1713 წ., ib. 108).

ვითარებითი ბრუნვა

ვითარებითი ბრუნვის თანხმოვნითი ნაწილად უმეტესად გვაქვს თ დ-ს ნაცვლად: მოსახსენებელათ, ზედამხედველათ, მწირველათ, წინამძღვრათ, საუკუნოთ...

მრავლობით რიცხვთან დაკავშირებული ზოგიერთი თავისებურება

ცნობილია, რომ დასაულურ კილოებში შემონახულია ფორმები — **ძმანები, დანები,** სადაც ფუძედ გამოიყოფა **ძმან-დან,** აღდგენილი და შემონახული -ებ სუფიქსის დართვის წყალობით.

საბუთების ენა გვაწვდის **ძმანებ**-სიტყვას:

ძმანები (ქვემოიმერ. 1761 წ., საეკლ. II, 16: „ნიკოლოზის ძ მ ა ნ ე ბ ი მამაკაცა, მიქელა და მათი შვილები...“; ? 1673—1696 წ. სიძვ. I, 31: „...ორიე ძ მ ა ნ ე ბ ი შემოგვიწირავს“; იმერ. 1697 წ., ს. მოამბე, I, 1925 წ., 94: „... მისი ძ მ ა ნ ე ბ ი იყოს მათის ცოლშვილითა“; გურ., 1814 წ., კრებ. II, 88: „... მისი ძ მ ა ნ ე ბ ი თავის ჰურ-მამულით“); ძმანები (გურ. 16₂9 — 1717 ? ბერძენ. 675).

დასავლურ კილოებში, განსაკუთრებით ქვემოიმერულში, გვარისსახელები მრავლობითში უმთავრესად იწარმოება ნ-თი, მაშინ როდესაც ამ კილოებში ნარიანი მრავლობითის გამოყენება ერთობ შეზღუდულია და უძირითადესი მაწარმოებელია ებ-სუფიქსი. ამის პარალელურად არაიშვიათია ისეთი ფორმები, სადაც ნ-ს ფუნქცია წაშლილია და დართულია ებ სუფიქსი (**ხუროძნები, ფირცხალავნები...**). თუ ებ დართული არაა, ე. ი. არა გვაქვს ორმაგი მრავლობითობა, ნ იმდენად შეხორცე-

ბულია ფუძესთან, რომ იგი გადაჰყვება ირიბ ბრუნვებში: **ხუროძენხ. ხუროძენმა...**

საბუთებში ვადასტურებთ ანალოგიურ ფორმებს:

ხუჯაძენს: „... სიგელი გიბოძეთ... ხ უ ჯ ა ძ ე ნ ს.::“ (ქვემოიმერ: 1784 წ., საეკლ. II, 82); ობოლაძენს: „ამ ო ბ ო ლ ა ძ ე ნ ს... არა ეთხოვებოდეს...“ (? 1712 წ., საეკლ. I, 106); კაკაბაძენს: „გიბოძეთ... კ ა კ ა ბ ა ძ ე ნ ს“ (ქვემოიმერ., 1798, საისტ. მოამბე I, 1925 წ. 169).

არის რამდენიმე ნიმუში ორმაგი მრავლობითისა:

მეფე(ე)ბთა: „...ორისავე მხრით მოწერილი არის სხუა და სხუათა მ ე ფ ე თ ა (იმერ., XIX ს., სიძვ. I, 52). მოხელე(ე)ბთა: „...ბატონის კ-ზის მ ო ხ ე ლ ე (ე) ბ თ ა არა დაუმალოთ...“ (იმერ.. 1611 — 1657 წ., ib 33); თესლებთა: „...ყოველთა ტომთა და თ ე ს ლ ე ბ თ ა შორის...“ (XVIII ს., ib. 62); შვილებთა (გურ., 1701 — 1740 წ. ბერძენ. 676).

I სერიის თემატიკური ნიშნების მონაცვლეობა

-ავ თემატიკური ნიშნის მაგივრად წარმოდგენილია -ებ ნიშანი; უმთავრესად ეს მოუდის შეწირვა-სიტყვას:

სწირებდე: „როდესაც აქ მოხვიდოდე, აქ ჩემს საფლავზედა ჟამსა ს წ ი რ ე ბ დ ე“ (გურ., 1610 წ., საეკლ. I, 39); გვიწირებდეს: „...თვითონაც ჟამს გ ვ ი წ ი რ ე ბ დ ე ს“ (რაჭ., 1660 — 1670 წ., ib. 74); შესწირებდეთ: „... თითო ჩარექს სანთელს... მღვთისმშობელს შ ე ს წ ი რ ე ბ დ ე თ“ (იმერ., 1720 — 1730 წ., ib. 118); გვიწირებდეს: „...ამას ეკლესიასა შინა ჟამს გ ვ ი წ ი რ ე ბ დ ე ს“ (იმერ., 1764 წ. საეკლ. II, 20); მიწირებდენ: „... სულის წმინდის შაფათს მ ი წ ი რ ე ბ დ ნ ე ნ“ (რაჭ., 1788 წ., ib. 93); სწირებდეს: „...ჩემთვის ჟამს სწირებდეს“ (ib.); უწირებდეთ: „...წელიწადში სულთაობას ერთობით დედაჩემს... უ წ ი რ ე ბ დ ე თ“ (რაჭ., 1793 წ., ib. 103); დახარჯებდნენ: „ოროლს პურს ხელოსნებს მიართმიდენ და... მას დ ა ხ ა რ ჯ ე ბ დ ე ნ“ (რაჭ.. 1680 — 1685 წ., საეკლ. I, 82); დაგვლოცებდენ: „ცოცხალს დ ა გ ვ ლ ო ც ე ბ დ ე ნ“ (რაჭ., 1788 წ., საეკლ. II, 91); დაკლებთ: „ვინც ნადირი მოკლას, სეფესა ყდ წმიდასა წინ მიღებდენ, ნურავინ დ ა კ ლ ე ბ თ“ (გურ., XVII ს., სიძვ. 27).

ავ-ს ზოგჯერ ცვლის -ამ:

დამიხარჯამს (იმერ., 1685 — 1685, ბერძენ. 601).

ანალოგიური მონაცვლეობა (ავ-ებ) დამახასიათებელია უმთავრესად გურულ-რაჭულისათვის.

თ-ს ნაცვლად არის ენ, ან.

ქონდენ: „(მათ) ამისი ფერი ქ ო ნ დ ე ნ“ (გურ., 1650—1658 წ., სიძვ. 38); გაყვებოდენ: „(მათ) ერთი შამახური თან გ ა ყ ვ ე ბ ო დ ე ნ“ (გურ., 1735 წ., საეკლ. I, 141); გიშავდენ: „თქვენ ჩვენგან გაყიდვით და სიკვდილით არა გ ი შ ა ვ დ ე ნ“ (ლეჩხ., 1700 — 1714 წ., საეკლ. I, 110);—აქვან: „ჰოლევს ტყის ქათამაძისეული სამი პარტახტები გოშქოთელიანის კაცებს... ა ქ ვ ა ნ“ (იმერ., 1650 წ., საეკლ. I, 54); გაქვან: „თქვენი ხელი არა გ ა ქ ვ ა ნ რა“ (? 1680 — 1710 წ., სიძვ. 43); ჰქონიან: „მაგრამ მიტროპოლიტად კურთხევა არ ჰ ქ ო ნ ი ა ნ“ (? 1714 წ., საეკლ. I, 114).

ეადასტურებთ -ყე ნაწილაკის რამდენიმე შემთხვევას:

ჩამოგიხდეს-ყე: „ეინცა უსამართლოდ ძალად შინა ჩ ა მ ო გ ი ხ დ ე ს-ყე (თქვენ)...“ (იმერ., 1510 — 1524 წ., საეკლ. I, 7); გთხოვოს-ყე: „...ვინც არავინ სხვამა ვერ გ თ ხ ო ვ ო ს-ყე: („თქვენ)“ (იმერ., 1763 — 1769 წ., საეკლ., II, 39); აქვს-ყე: „ა ქ ვ ს-ყ ე ჩვეულება მოწაფეთა ქესთა“ (სამეგრ., XVIII ს., შტუდიები, 29).

დ ა ს კ ვ ნ ა

1. საბუთების ენის შესწავლას მნიშვნელობა აქვს როგორც დიალექტოლოგიის, ისე სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით. მასში მკვეთრად აღბეჭდილია ხალხური მეტყველების ელემენტები. რამდენადაც სათანადო დოკუმენტებს სხვადასხვა ლოკალური წარმოშობა აქვი, იმდენად ეს მასალა მრავალფეროვანი შედგენილობისაა და წარმოგვიდგენს სხვადასხვა დიალექტური წრისა და სოციალური ფენის ჯნობრივ თავისებურებათ. საბუთების ენის ანალიზი საგულისხმოა დიალექტალურ მოვლენათა ე ვ ო ლ უ ც ი ი ს გასათვალისწინებლად. აქედან გასაგებია მისი მნიშვნელობა ისტორიული დიალექტოლოგიისათვის.

2. დასავლეთ საქართველოდან გამოსულ საბუთებში წარმოდგენილია იმერული, რაჭული, ლეჩხუმური და გურული დიალექტების, აგრეთვე მეგრულის ელემენტები.

3. ქრონოლოგიურად დასავლური კილოების მასალა მოცემულია XI საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნემდის. მდიდარი მასალა უმთავრესად გვაქვს XV საუკუნიდან.

4. ნარნარა ბგერები ენაცვლებიან ერთმანეთს, ჩაერთვიან სიტყვაში ან იკარგებიან; დასტურდება თანხმოვანთა პროგრესული და რეგრესუ-

ლი ასიმილაცია: ყრუ იმსგავსებს მჟღერს და პირიქით; ხმოვანთაგან აღსანიშნავია ი-ს მაასიმილაციებელი ძალა: იმსგავსებს ა, ო-ს (აი—ეი, ოი—ეი); დისიმილაციიდან: ხდება ორი რ-ს განმსგავსება; ოა კომპლექსი ისწრაფვის დიფთონგად ქცევისაკენ: ოა—უა.

5. შემო-პრეფერბი წარმოდგენილია შამა-ს სახით; დაცულია-თვით თანდებული; -ურ სუფიქსი (სადაურობისა) ცვლის -ელ-ს; -ეულ სუფიქსს ეხორცება სიტყვის ნათეს. ბრუნვის ხ, იცვლება ოულ-ად და იქცევა დამოუკიდებელ არსებით სახელად (სოული); ფართოდაა მოცემული კნინობითის სუფიქსები: ელ-, -უკ, -უკ-ა, იკ, ოკ-ა, ინ-ა... (ამჟამად შეინიშნება ამათი ლიკალიზაცია: -ელ გურულს ახასიათებს სისტემებტ და დანარჩენი — რაჭულს); სახელობითის ი ა- ბოლოკიდურიან სახელებთან იწვევს რეგრესულ ასიმილაციას და შემდეგ იკარგება: აი—ეი—ე; დაცულია ძმანებ-სიტყვა; ადრევე მომხდარა გვარისსახელებში მრავლობითის ნ-ს ფუნქციის წაშლა; ერთმანეთს ენაცვლებიან I სერიის თემატიკური ნიშნები; ზმნაში მრავლობითობა გადმოცემულია -ენ, ან-ით; დადასტურებულია -ყე ნაწილაკი.

მახვილისა და ინტონაციის შესწავლისათვის ქართულ დიალექტებში

დინამიკური მახვილი და მუსიკალური (ტონური) მახვილი არ არიან ერთმანეთისაგან მკაცრად გათიშული, — დინამიკური მახვილი ყოველთვის შეიცავს ტონურობის ელემენტს, და პირიქით, არ არსებობს წმინდა მუსიკალური მახვილი, რომელსაც არ ჰქონდეს ექსპირატორული მახვილის თვისებაც. სხვანაირად რომ ვთქვათ, სახმო სიმების ენერგის ინტენსიერობა და დაძაბულობა, ერთი მხრით, და ხმოვნის ტონებრივად განსხვავებულობა, მეორე მხრით, ერთმანეთის თანმხლები მოვლენებია.

აქედან არ შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, თითქოს ამ ორი ტიპის მახვილის ცნებებს თანაბარი ღირებულება ჰქონდეთ ამა თუ იმ ენის განვითარების რომელიმე საფეხურის მიმართ. ზოგიერთ ენაში (განვითარების გარკვეულ საფეხურზე) მუსიკალური მახვილია დომინანტი, ზოგიერთში კი (განვითარების გარკვეულ საფეხურზევე) ჭარბობს დინამიკური მახვილის ხვედრითი წონა. დინამიკური მახვილი ბუნებრივად შეიცავს ტონურობის ელემენტებსაც.

ვფიქრობ, რომ მახვილის ბუნების ზემოხსენებულ გაგებასთან შინაგან კავშირშია დინამიკური მახვილისა და მუსიკალური მახვილის თანაარსებობის ფაქტი არათუ ერთი ენის ფარგალში (მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ანდა დიალექტურად), არამედ ერთი ოჯახის ენათა სინამდვილეშიც. მაგალ., გერმანული ენის ბევრს ზემოსა და საშუალ დიალექტში (შვაბურში, ფრანკულსა და რაინულში) უმთავრესად წარმოდგენილია ტონურ მოდულაციაზე დაყრდნობილი მახვილი, ხოლო ქვემოგერმანულისათვის დინამიკური მახვილია ნიშანდობლივი. უძველეს ქართულში მძლავრ დინამიკურ მახვილთან ერთად უნდა გვქონოდა მუსიკალური მახვილიც. მეორე მხრით, ინდოევროპულ ფუძე-ენაში ვარაუდობენ უპირატესად მუსიკალურ მახვილს, რომელიც შემოუნახავს სანსკრიტს, ძველ ბერძნულს, ლიტვურს, ლატვიურს, სლავურ ენათაგან — სერბიულს. ამავე ოჯახის სხვა ენებში კი (გერმანულში, ინგლი-

სურში, რუსულში...) ამჟამად დინამიკური მახვილია დომინანტი. ტერმინოლოგიურად უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყვით, რომ რუსულში, ინგლისურში, გერმანულში... გვაქვს „დინამიკურ-მუსიკალური მახვილი"[1].

ახალი ქართული ლიტერატურული ენის მახვილს რამდენიმე მკვლევარი შეეხო (შუხარდტი, დეეტერსი, დირი და სხვ.), მაგრამ მათ უმთავრესად აინტერესებდათ მახვილის ადგილმდებარეობის საკითხი,—მახვილის რომელობის კითხვა კი არ გამოურკვევიათ. დამახასიათებელია, რომ ამ საკითხს (რომელობის გარკვევას) გვერდი აუარა მარმა რუსულად გამოქვეყნებულ ძველი ქართული ენის გრამატიკაში (1925 წ.), მიუხედავად იმისა, რომ მსჯელობდა მახვილის ადგილმდებარეობის შესახებ. ფრანგულად გამოქვეყნებულ ქართული ენის გრამატიკაში კი (1931 წ.) ნათქვამია, რომ ქართულ ენას ახასიათებს ტონური მახვილი. ეს დასკვნაც ცალმხრივია და, მაშასადამე, არაზუსტი.

მეთოდოლოგიურად უთუოდ საყურადღებოა ქართული აქცენტოლოგიის კვლევაში ე. ზელმერის ექსპერიმენტული ძიებანი (ჰ. ფოგტის ინიციატივით). ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ქართულ სალიტერატურო ენას არა აქვს მკაფიოდ გამოხატული არც დინამიკური და არც მუსიკალური (ტონური) მახვილი. მაგრამ ორივე მეცნიერი (ზელმერი, ფოგტი) იმ აზრისა არიან, რომ ქართულში დომინანტია ტონური მახვილი, ხოლო მასთანვე დამახასიათებელია დინამიკური ანუ ექსპერიმენტული მახვილიც[2].

ეს დასკვნა გასაზიარებელი არა ჩანს. მაგრამ ზელმერ-ფოგტის შეხედულება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ლაპარაკია დინამიკური მახვილისა და მუსიკალური მახვილის თანაარსებობაზე ერთი მარცვლის არეში. მართალია, ზელმერის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი სრულფასოვანი არ არის (დასაკვირვებელი მასალის სიმცირისა და, ამავე დროს, დინამიკური მახვილის კვლევის მეთოდური სიძნელის გამო), მაგრამ მაინც გახაზულია სახმო სიმების ენერგის ინტენსიობა-დაძაბულობისა და ხმოვნის ტონებრივად განსხვავებულობის ერთობლიობა ქართული ენის მიმართ, — მიუხედავად იმისა, რომელი ტიპის მახვილია ამოსავალი, დომინანტი სალიტერატურო წარმოთქმის თვალსაზრისით.

ამ მხრივ ერთი ნაბიჯია გადადგმული წინ შედარებით ნ. მარის შეხედულებასთან, რომლის მიხედვითაც თითქოს სალიტერატურო ქარ-

---

[1] რუსულისათვის მიეუთითებ ლ. შჩერბას წიგნზე «Фонетика, французского языка», Ленинград, 1939; გერმანულისათვის იხ. H. Paul, Deutsche Grammatik. B. I, 1916.

[2] Ern. Selmer, Georgische Experimentalstudien... mit einem Nachtrag von Hans Vogt, ოსლო, 1935.

თულს ახასიათებდეს მხოლოდ ტონურ მოდულაციაზე დამყარებული მახვილი.

გ. ახვლედიანის დაკვირვებით, ქართულ სალიტერატურო ენაში დღეს სუსტი დინამიკური სიტყვათმახვილია დომინანტი, მაგრამ მასში ჩანს აგრეთვე ტონურობის ელემენტიც. ეს სიტყვათმახვილი ძლიერ სუსტია, უფრო სუსტი, ვიდრე ფრანგულში, ე. ი. ქართულ მეტყველებაში სიტყვათმახვილი არ გამოიყოფა ისეთი სიძლიერით, როგორც ფრანგულში და, მით უმეტეს, როგორც რუსულში[1].

ამრიგად, შეიძლება მივიღოთ, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მოქმედია „დინამიკურ-ტონური მახვილი" (ახვლედიანი), და არა „ტონურ-დინამიკური მახვილი" (როგორც ფიქრობდნენ ზელმერ-ფოგტი), მით უმეტეს, არა გვაქვს „ტონური მახვილი" (როგორც ფიქრობდა მარი).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დინამიკური მახვილის დომინანტობა (თუმცა, როგორც აღინიშნა, ეს სიტყვათმახვილი მეტად სუსტია) ისტორიული თვალსაზრისით გამართლებულია; დღევანდელი სიტყვათმახვილი ინერციაა უძველესი ვითარებისა ენაში. შედარებით ისტორიულ თვალსაზრისით კი ქართული ენის მახვილი განხილულია არნ. ჩიქოვაბას ნაშრომში: „მახვილის საკითხისათვის ქართულში"[2].

არნ. ჩიქობავამ ასეთი დასკვნა მიიღო: უძველეს (მწერლობამდელ) ქართულში უნდა გვქონოდა ძლიერ-დინამიკური, არაფიქსირებული (მოძრავი) მახვილი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე დებულება, რომელიც ეხება ახალ ქართულს: ახალ ქართულში ფრაზის (რიტმული) მახვილის ხვედრითი წონა მეტად შედარებით სიტყვათმახვილთან.

სხვა ქართველურ ენათაგან საინტერესო ჩვენებებს იძლევა სვანური, რომელიც, თანახმად ს. ჟღენტის გამოკვლევისა[3], აქცენტუაციის მხრივაც ნარევი ტიპის ენად წარმოგვიდგება. მას ახასიათებს მუსიკალურ-

---

[1] გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. გვ. 132, 136. ჯერ კიდევ 1925 წ. გ: ახვლედიანი მახვილის სისუსტეს (არტიკულაციურ გამოკვეთილობასთან ერთად) თვლიდა ქართული ენის განვითარების მანძილზე (იგულისხმება სალიტერატურო ენის ისტორიული პერიოდი) ბგერათა სისტემის ნაკლებად შეცვლის უმთავრეს ფაქტორად. იხ. მისი историческая устойчивость системы звуков грузинского языка (Постановления и резолюции II краеведческого съезда черноморского побережья и Зап. Кавказа. Батуми).

[2] არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ქართულში: „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. III, №№ 2, 3, 1942.

[3] ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები. ექსპერიმენტული გამოკვლევა. 1949. IV თავი.

დინამიკური მახვილი; დღეს თითქოს შეინიშნება მახვილის ტენდენცია სტაბილიზაციისაკენ.

ჰანურში კი ასეთი ვითარებაა: არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, „ათიხური ტექსტებისა და აქა-იქ არქაბული ტექსტების ჩაწერისას დადასტურებულ იქნა ტონური მახვილის (თუ: ტონური მახვილის ტიპის ხმის ამაღლების!) არსებობა ჰანურში; მისი ადგილი გარკვეულია: თითქმის ყოველთვის ბოლოდან მეორე მარცვალზე (იშვიათად — უკანასკნელზე)...[1] ისტორიულადაც, საფიქრებელია, ჰანურში (და მეგრულში) ბატონობდა ტონური მახვილი [2].

ქართული კილოებიდან ყურადღებას იქცევს მთიულური, რომლისთვისაც ნიშანდობლივია მუსიკალური (ტონური) მახვილი. გამოკვლეულია მოხეური, ხევსურული და ქართლ-კახური მახვილის ადგილმდებარეობა [3].

რა ადგილს იკავებს რაჭული კილოს მონაცემები ქართული აქცენტოლოგიის საერთო პრობლემატიკაში?

სპეციალურ ლიტერატურაში ასხვავებენ „სიტყვათმახვილს“ „ფრაზის მახვილისაგან“. ცნება ფრაზის მახვილისა ყველას ერთნაირად არ ესმის, და ამასთანავე სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია მისი გამოვლენა.

თუ ცალკე სიტყვას გააჩნია მახვილი (გარკვეულ მარცვალზე), არსებობს მეორე ტიპი მახვილისა, რომელიც მოუდის არა ცალკე სიტყვას, არამედ მთელს ჯგუფს სიტყვებისას, — იგი სინტაქსის მიღმა არ ივარაუდება.

რა ჯგუფებია ეს ჯგუფები?

ესაა განსაზღვრულ სინტაქსურ ურთიერთობაში მყოფი სიტყვები, რომლებიც ჰქმნიან გარკვეულ აქცენტოლოგიურ ერთეულს, მთლიანობას, სინტაგმებს. ზოგიერთი ფონეტიკოსი ამგვარ ჯგუფს სუნთქვითს ჯგუფს უწოდებს, და ამით ხაზგასმულია ის, რომ სინტაგმებში არ შეიძლება პაუზა ამოსუნთქვისათვის. მართალია, ეს გაგება საფუძველს მოკლებული არაა, მაგრამ, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ეს ფიზიოლოგიური ინტერპრეტაცია ჩქმალავს იმ სრულიად უდავო ფაქტს, რომ სიტყვათა სათანადო ჯგუფები აზრობრივ მთლიანობას წარმოადგენენ, რისი საფუძველიცაა შინაგანი სინტაქსური კანონზომიერება. შესიტყვების მექანიკა. ფრანგმა ფონეტიკოსებმა ამგვარი ჯგუფებისათვის შემოიღეს ტერმინები — „დინამიკური ჯგუფები“, „რიტმული ჯგუ-

---

[1] არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1938, გვ. 41—42.

[2] არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ქართულში.

[3] არნ. ჩიქობავა, ე. წ. გრძელი ხმოვნები მთიულურში; ს. ჯენტი, ქართ. სალიტ. ენის აქცენტუაციის ძირ. საკითხები.

ფები"; ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერი მას უწოდებს „სინტაგმებს", ანდა „კომპლექსურ სიტყვებს" (ანუ „კომპლექსებს").

სიტყვათა კომპლექსაციას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სემასიოლოგიის თვალსაზრისით, რომ მასში მახვილის მოძრაობა სემანტიკურ დიფერენციაციას იწვევს. გამოჩენილი საბჭოთა ფონეტიკოსი ლ. შჩერბა აღნიშნავდა, რომ სიტყვათა ერთსა და იმავე კომპლექსში მახვილის სხვადასხვაობა გარკვეული აზრობრივი ნუანსობის საწინდარია ფრანგულ ენაშიო.

ზოგიერთი ენა ამ მხრივ უფრო შორს მიდის. ოსურში, ვ. აბაევის გამოკვლევით, დაწერილ ტექსტში ხშირად შესაძლოა სხვადასხვაგვარად გავიგოთ ფრაზის შინაარსი, იმიტომ რომ აქცენტური კომპლექსები წერაში არ აღინიშნება. ამ უხერხულობიდან თავის დაღწევა შეიძლება მხოლოდ კონტექსტის ანალიზით [1].

სხვადასხვა ენაში აქცენტოლოგიური ჯგუფები სხვადასხვაგვარ გრამატიკულ კანონებს ემორჩილებიან, მაგალ., იმავე ოსურში რიტმულ ჯგუფებს ჰქმნიან: მსაზღვრელ-სასაზღვარი, ზმნა განუსაზღვრელ დროში+დამატება, რთული შემასმენელი, და ა. შ. ფრანგულში — დამხმარე სიტყვები, მზა გამოთქმები, გამომხატველნი ერთი ცნებისა, და საერთოდ ერთი ცნების გამომხატველი ყოველგვარი ჯგუფი სიტყვათა, მსაზღვრელ-სასაზღვარი, და სხვ. მაგრამ გარკვეული, ერთიანი კანონზომიერება დადგენა მაინც არ ხერხდება, თუნდაც ერთი ენის სინამდვილეში.

როგორია საქმის ვითარება რაჭულ კილოში?

ჩვენს დიალექტში არ მოგვეპოვება ცალკე სიტყვის მახვილი, გვაქვს ფრაზის მახვილი ანუ რიტმული მახვილი.

რა არის დამახასიათებელი რაჭულში რიტმული ჯგუფებისათვის?

რიტმული ჯგუფი ფარავს მარტივი წინადადების ფარგალს; სამახვილო სიტყვა მოქცეულია მარტივი წინადადების ბოლოს. ესაა ძირითადი ნორმა დიალექტის განვითარების დღევანდელ საფეხურზე. მაშასადამე, აქცენტუაცია ერთცენტრიანია, მახვილიანი სიტყვა ერთია ფრაზაში.

მახვილის ადგილია მესამე მარცვალი ბოლოდან.

ასეა თხრობითს წინადადებაში.

რთულ წინადადებაში მახვილიანი სიტყვა, ბუნებრივია, მოქცეული იქნება რთული წინადადების კომპლექსში შემავალ მარტივ წინადადებათა მიჯნაზე. ეს წესი შეეხება თანწყობილ წინადადებას:

> დათვი ბევრია, მარა მოკლა ძნელია; ვრცოდი, მარა ამ ავადმყოფობამ ყველაფერი დამბკარჩა; ჩამოვიარე ფარახეთს, არკი დამბძახეს.

---

[1] В. Абаев, Из осетинского эпоса. Москва—Ленинград, 1939, გვ. 96—97.

შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრები მახვილის მატარებელია:

მამასახლისმა თავი ქვე გადაიცალა და ზედ მრუგდო; საბძელი აკაშენე და მერე ქვე დაკმგერიე.

ქვეწყობილ წინადადებაში შემაკალ მარტივ წინადადებებს აქცენტოლოგიური ცენტრი არა აქვთ საერთოდ, მხოლოდ წინადადების ბოლოშია, წინადადების დამამთავრებელია:

თუ რო მუახერხეფ, მადლობელი ვრქნები; იმან როიცა რო ცხენიდან გადმომაგდო, მერე გოდუყარა რხმალები; ოსმანას რო გარშოუხტა ტყიდგან ორი ვაჟაჲ და ერთი კიდე ქალაჲ, ვარაყიანი რხმალი პაერში შიატრიალა.

მაგრამ ეს ხდება უმთავრესად მაშინ, როცა შედარებით სწრაფი ტემპია მეტყველებისა. პაუზის დროს მახვილის ცენტრი აგრეთვე მეორე წინადადებაშიც მოგვეელინება:

თუ რო მუახერხეფ... მადლობელი ვრქნები.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხალხურ მეტყველებაში საზოგადოდ ჰიპოტაქსი შედარებით იშვიათი მოკლენაა, ცხადი გახდება, რომ აქცენტოლოგიის სამოქმედო არედ ძირითადად მოგვეელინება მარტივი წინადადება და წინადადებათა პარატაქსული შეხამებანი.

როგორც აღვნიშნეთ, მახვილი ერთცენტრიანია ჩვეულებრივ. მაგრამ მახვილი შეიძლება ორცენტრიანიც იყოს მარტივ წინადადებაში. ოღონდ აქაც პაუზაა აუცილებელი პირობა:

წეიყვანე ნაბიჯზე... ხარები.

ამგვარად, „რიტმული ჯგუფები" იგივე მარტივი წინადადებებია, ე. ი. აზრობრივად დასრულებულ მთლიანობას წარმოადგენენ, მახვილიანი სიტყვა ბოლოსაა მოქცეული, მახვილი ჩვეულებრივ ერთცენტრიანია. ეს წესები ვარიაციებს იძლევა პაუზის შემთხვევაში.

მახვილი რაპულში მუსიკალური, ტონური ბუნებისაა, რომელსაც აგრეთვე ახასიათებს დინამიკური მახვილის თვისებაც, — მუსიკალურ-დინამიკურია.

ამასთანავე ამ მახვილთან ხმოვანს ახასიათებს გახანგრძლივებული ინტონაცია, ე. ი. შეიცავს რაოდნობით (კვანტიტატურ) მომენტს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ რიტმული სიგრძე დამახასიათებელია ტონური მახვილისათვის, და იგი უპირისპირდება ხმოვნის ისტო-

რიულ სიგრძეს. სხვანაირად რომ ეთქვათ, ეს არაა ბუნებრივად გრძელი ხმოვანი.

ამრიგად, ამ ტიპის მახვილიან ხმოვანს ახასიათებს სიგრძე, ამ სიტყვის საგანგებო მნიშვნელობით, და სიმაღლე.

რომ გამორიცხულია სათანადო ხმოვნის კვალიფიკაცია, როგორც გრძელი ხმოვნისა, ეს მტკიცდება იმ გარემოებითაც, რომ, როგორც ცნობილია, გრძელი ხმოვნის ადგილი სიტყვაში არაა განსაზღვრული, — ჩვენს დიალექტში კი, მახვილიანი მარცვლის ლოკალიზაცია განსაზღვრულია. გავიხსენოთ ისიც, რომ მახვილი გვხვდება ლექსშიც. მკრთალი წთაბეჭდილება სიგრძისა არ უშლის ხელს ამგვარ ხმოვანს მოგვეელინოს ლექსშიც. მეტიც შეიძლება ითქვას: ამჟამად მახვილი უფრო ხშირია ლექსში, ვიდრე პროზაულ მეტყველებაში.

გავეცნოთ მაგალითებს.

სიბიტოს ცხენმა ბძანაო,
ახლა დამადგა ძალაო,
ყველიერის დაურწყვებას
გამაქირავა წესშიო

მძიმე საპანე ამკიდა,
იმან გამწყვიტა წენშიო,
ერთი ჯამი სიმინდიო
ჩამიყარა ბზეშიო ,და სხვ.

საყურადღებოა, რომ ყოველი სალექსო სტრიქონის ბოლოს უნდა ეოველოდეთ მახვილიან სიტყვას, თუკი სტროფში შემავალი სტრიქონი დასრულებული ფრაზაა (მაგალ. „სიბიტოს ცხენმა ბძანაო"). თუ სალექსო სტრიქონი არ ჰქმნის დამოუკიდებელ წინადადებას, ბუნებრივია, ბოლო სიტყვას მახვილი არ დაესმის („ყველიერის დაურწყვებას...").

მოვიყვანოთ კიდევ ერთი ლექსიც:

ჩამოვიარე ფარახეთს,
მამასახლისი გალახეს,
მასაშველებლად მრევდი,
ორიოდე მეც შამანთეს.
ჩამოვიარე ბარიო,
იქ ეგდო ძაღლი მკვდარიო,
თავს ოტია დასტბროდა;
მამიკვდა მეძებარიო,
ის მიჭირამდა კურდღელსა.
მითი ვირჩინე თაეიო.

უნდა აღინიშნოს, რომ მეტყველების სწრაფი ტემპის დროს აქაც იცვლება მდგომარეობა: ტემპს შეუძლია, ვთქვათ, სინტაგმები 1) „ის მიჰირამდა კურდღელსა“, 2) „მითი ვირჩინე თავიო“ ერთ სინტაგმად წარმოგვიდგინოს: „ის მიჰირამდა კურდღელსა, მითი ვირჩინე თავიო“. შევნიშნავ, რომ ამგვარი მოვლენები შეიძლება შეგვხვდეს მეტეირეების მეტყველებაში: როცა აღიღინებენ, ზოგჯერ სამეტყველო ტემპის ვარიაციები ამის საჭიროებას ბადებენ.

ჩვენ ვხედავთ, რომ მეტყველების ტემპი ანგარიშგასაწევი ფაქტორია მახვილიანი სიტყვის ლოკალიზაციის რკვევის საქმეში.

ჩვენს კილოში თავისებურია, აგრეთვე, **კითხვითი წინადადების მელოდიკა.**

ვიცით რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კითხვითი წინადადებისათვის დამახასიათებელია აღმავალი ინტონაცია (გააკეთა? შენთან წამოვიდე?).

რაჭულისათვის ეს წესი არაა დამახასიათებელი. ხმის ამაღლება კითხვითს წინადადებაში ხდება არა ბოლო მარცვალზე, არამედ ბოლოდან მეორე მარცვალზე [1].

ხმის ამაღლება არის როგორც წინადადებაში, ისე ცალკე სიტყვაში, რამდენადაც ეს ცალკე აღებული სიტყვა წინადადების მაგივრობას სწევს: „სული ამრგდის?“, „ჩემი ბოში უნა გამოგზანო?“; „ჯეს ხორცი კარქა მოხარჩე?“ „უნდოდა მოსულიყოს?“, „მაშინ მოსულხარ“, „ცხენს ბევრი უნდა აჭამო?“, „ცხენს ბევრი აჭამე?“, „იმისთანა არა ხარო?“, „გესმის?“, „მოიტანე?“ თუ ერთმარცვლიანი სიტყვაა ბოლოს, მახვილი წინა სიტყვის ბოლო მარცვალზეა: „თეოფილეს ძმას?“; „ჩამოუარე შენ?“, „დოუთველიდი ფულს?“.

ხმის ამაღლება კითხვითს წინადადებაში უფრო თვალსაჩინოა, ტონებრივად სააქცენტო მარცვალი უფრო მაღალია, ვიდრე ეს თხრობით წინადადებაშია. მახვილიანი ხმოვანი სიგრძის შთაბეჭდილებას აქ ნაკლებად ტოვებს.

ზემომოყვანილ მაგალითებში კითხვითი ინტონაციის ცენტრია ფრაზის უკანასკნელი სიტყვა. ეს ბოლო სიტყვა კი შემასმენელია. მაგრამ მახვილი შეიძლება მოუდიოდეს არა მხოლოდ ბოლო სიტყვას.

კითხვა ისმის: რომელი სიტყვაა ფრაზაში მელოდიკურად განსხვავებული. ბოლო სიტყვის გარდა?

ესაა შემასმენელი, რომელიც არ წარმოადგენს ფრაზის უკანასკნელ სიტყვას და გადმონაცვლებულია ფრაზაში. ასეთს ვითარებაში აქცენტო-

---

[1] ასეა ეს ქართლურ კილოში, მეგრულშიც.

ლოგიური ცენტრია 2 სიტყვა: პრედიკატი + ბოლო სიტყვა ფრაზისა: „სახში ბყო კაზდო?“: „გააკეთე საქმე?“; „არ ჩამოუტანია თევა?“; „გაჰკიდა უკვან მდეევარი?“: „შენ იყავი გუშინ გაღმა?“; „მიდიხარ რნში?“; „ქათმები ვერ შეუყარე აქანე, რო ოურევია-ყე აქაურობა?“

ერთსა და იმავე წინადადებაში შემასმენლის ადგილი შევცვალეთ და ამ ექსპერიმენტის შედეგად მივიღეთ:

ი კაცი გუშინ დაღამებულში შენთან ამოსულა?
ამოსულა შენთან ი კაცი გუშინ დაღამებულში?
შენთან ი კაცი ამოსულა გუშინ ი კაცი?
გუშინ დაღამებულში ამოსულა შენთან ი კაცი?

წესი უცვლელი რჩება.

ახლა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა კითხვითს ფორმებში კითხვა გამოხატულია **გრამატიკული საშუალებით.**

ასრულებს თუ არა ამ ვითარებაში ინტონაცია რაიმე როლს?

ზემორაჭულში ნაშთის სახით არსებობს კითხვითი ნაწილაკი ა. მიუხედავად ამ გარკვეული გრამატიკული ფორმისა, ინტონაცია მაინც ახლავს სიტყვას: ა-ს წინამავალ მარცვალზე ხდება ხმის ამაღლება, ე. ი. აქაც ძალაშია აღნიშნული წესი კითხვითი ინტონაციისა: „გააკეთე-ა?“, „იმერელი ხარ-ა?“, „ბიჭტორა გახსრეს-ა?“ და მისთ.

როდესაც კითხვითს წინადადებაში მონაწილეობს **კითხვითი სიტყვა**, შეცვლილია მახვილის ლოკალიზაცია: მახვილი ეშვება არა მეორე მარცვალს, არამედ მესამე მარცვალს ბოლოდან. როგორც ეს ხდება თხრობითს წინადადებაში: „სად მიგიტენია?“ (შდრ. უკითხვითსიტყვოდ: მიგიტანია?); „ვინ მოსრულა?“ (შდრ. მოსრულა?); „ვინ ჩამოტარა?“ „რომელმა გადაებრუნა?“... აქ მახვილი ესმის თვით კითხვითს სიტყვასაც, და შესაძლებელია ამას მიეწეროდეს ის, რომ დარღვეულია ჩვეულებრივი წესი — მეორე მარცვალზე დასმა მახვილისა. ამ **შეხამებაში სიტყვა იმეორებს თხრობითს წინადადებაში გაბატონებულ წესს** (III მარცვალი ბოლოდან).

რა სიძლიერისაა კითხვითი სიტყვის მახვილი?

სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ კითხვითს სიტყვას არ ახლავს ის **ინტონაციური დაძაბულობა**, რაც ასე დამახასიათებელია საერთოდ...

რაც შეეხება თვით კითხვითს სიტყვას, **ცალკე** აღებულს, ხმის ამაღლება ხდება იმავე III მარცვალზე: რამდენია? რომელია? ვისია? სადაური? რომელი?

დასასრულ, ყურადღებას იქცევს შემდეგი თავისებურება.

როდესაც კარგად ვერ გაიგონებენ მოსაუბრის ნათქვამს და ჩაჰკითხავენ, წინადადების თუ სიტყვის უკანასკნელი მარცვალი გარკვევით

ორმაგდება, გრძელდება. ესაა, ასე ვთქვათ, ჩაკითხვა, რომელსაც შეიძლება პირობით ჩაკითხვითი წინადადება ეწოდოს. ამ შემთხვევაში მოლაპარაკე გაიმეორებს ფრაზას, რომელიც მოისმინა მოსაუბრისაგან, მაგრამ დარწმუნებული კი არ არის, რომ სწორად გაიგონა,—ამოწმებს ნათქვამს. მაგალითად, მას ეუბნებიან: „მაშინას კაცი გოუტანია". კარგად ვერ გაგონების შემდეგ ჩაჰკითხავს ამბის მთქმელს: „მაშინას კაცი გოუტანიაა? ანდა: ესა და ეს კაცი ჩამოსულა ქალაქიდანო! ჩაკითხვა: „ეინ მოსულა ქალაქიდაან?" შეიძლება კითხვითი სიტყვა გამოიყენონ ჩაკითხვისათვის, — მაშინაც ორმაგდება მარცვალი: „რაიოო? რაიი? როგოორ?

მახვილი დაცულია მთარაჭულ-ზემორაჭულში, ხოლო ქვემორაჭულში თითქმის გადაშენებულია, გარდა ქვემო რაჭის აღმოსავლეთის მთიანი ნაწილისა — საწალიკის მთის გასწვრივ გაშენებული სოფლების (წკადის — ველევ — ბეთლევ — შხიეანას) მკვიდრთა მეტყველებისა, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, წარმოადგენს გარდამავალ patois-ს ზემო-ქვემორაჭულს შორის და მთელი რიგი დიალექტური ნიშნებით ეკედლება ზემორაჭულს და განსხვავდება ქვემო რაჭის რიონის დაბლობის მცხოვრებთა მეტყველებისაგან.

რაჭულში მახვილი იმავე ბუნებისაა, როგორიც დადასტურებულია მთიულურში, ფერეიდნულში, ქართველურ ენათაგან — ჭანურში, სვანურში. ყველგან დაცულია ფრაზის მახვილი. სვანურში, მაგალითად, ფრაზის ბოლოში დასმული მახვილი ფონეტიკურ მთლიანობას ქმნის და ამით ქმნის წინადადების სინტაქსურ მთლიანობას; ასევე ამ ტიპის მახვილი ფონეტიკურ მთლიანობას ქმნის მსაზღვრელისა და სასაზღვრის სინტაგმაში, და ბოლოს, ორი ხმოვნის გაერთიანებით ცალკეულ მარცვლებში [1].

თუ შევადარებთ რაჭულს აქცენტუაციის მხრივ მთიულურს, აღმოჩნდება, რომ:

1. მთიულურში მახვილის ადგილი განსაზღვრულია ბოლოდან II მარცვლით, — რაჭულში მახვილი III მარცვალზეა ბოლოდან;

2. თხრობითი და კითხვითი წინადადებები მახვილის ლოკალიზაციის მხრივ არაა გარჩეული მთიულურში, — რაჭულში გარჩეულია;

3. მთიულურისათვის არაა სავალდებულო საკითხავი სიტყვა მოექცეს ფრაზის ბოლოს, — რაჭულში აქცენტოლოგიურად განსხვავებული სიტყვა ფრაზის ბოლოსაა მოქცეული;

4. მთიულურში ლექსში იშვიათია მახვილიანი სიტყვა, — რაჭულში ხშირია.

ა. შანიძის დასკვნით, მთის კილოებში (ფშაური და სხვ.) ტონი სულ

---

[1] ს. ჯ ო ჯ ე ნ ი ძ ე, დასახ. შრ., IV თავი.

თავში მოუდის სიტყვას, როცა სიტყვას კითხვითი ა ახლავს: გააკეთე-ა?[1] შდრ. რაჭული: გააკეთჷ-ა?

საკითხის შესწავლის ისტორიიდან აღსანიშნავია შემდეგი.

1882 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა „პროგრამმა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის", რომელიც, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის ვარაუდით, მიეწერება პეტრე უმიკაშვილს. პროგრამაში ვკითხულობთ: „აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ მთა ადგილებში (არაგვზე, ქსანზე ნაწილად, თერგზე, ხევსურეთში და რაჭაში) ხმის კვეთება (ударение) განსხვავებული აქვს სიტყვის გამოთქმასა. მაგ. ბარში, ვიტყვით რაჭას მივდივარ, ისინი იტყვიან, რაჭას მივდრვარ; საჭიროა, საცა ასეთი განსხვავება შეხვდეს დამწერსა, ეს ხმის კვეთება ნიმუშად რავდენსამე ლექსში დაინიშნოს"[2].

საილუსტრაციო მაგალითში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა! ცხადია, ეს ლაფსუსია.

სპეციალურ ლიტერატურაში პირველად ა. შანიძემ მიაქცია ყურადღება რაჭულში აქცენტოლოგიურად განსხვავებული ხმოვნის არსებობას.

მე აქ არ ვეხები კითხვას — რა ისტორიული მიმართებაა სიტყვათმახვილისა და ფრაზის მახვილს შორის, და ამდენად, რა ადგილს იკავებს რაჭული კილოს მახვილი აქცენტოლოგიის საერთო სისტემაში. თუ მისაღებია დებულება, რომ ფრაზის აქცენტუაცია უფრო ძველია, ვიდემ ცალკე სიტყვის აქცენტუაცია, და მით, მუსიკალური მახვილი პირველადია შეუვარებით დინამიკურ მახვილთან[3], მაშინ ჩვენს ენებში მუსიკალური აქცენტუაციის რღვევა და დინამიკური მახვილის გამარჯვება უნდა მიგვეჩნია ენებში საზოგადო ტენდენციის კერძოობით გამოხატულებად.

---

[1] ა. შანიძე, ძველი ქართული ენა: ა. შანიძე, აღ. ბარამიძე, ილ. აბულაძე — ძველი ქართული ენა და ლიტერატურა", 1947, § 63.

[2] პეტრე უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება. ნაწილი პირველი. ლექსები. ანდაზები. გამოცანები. რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები გ. ჩიტაიშვილისა, 1937. გვ. 1.

[3] Alfred Sehmidt.Untersuchungen zur allgemeinen Akzentlehre. Heidelberg. 1924.

კავშირები ქართულ დიალექტებში [1]

ხალხური მეტყველებისათვის ნიშანდობლიეია ასინდეტური კონსტრუქციები, ჰარბობს უკავშირო თანწყობის კონსტრუქციები, როდესაც პარტივი წინადადებანი ლოგიკურ საფუძველზე არიან გაერთიანებული

[1] შემოკლებანი:

აკაკი: აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები, 1935.

აჭარ.: ხუბ.: აჭარული ტექსტები, ჩაწერილი მ. ხუბუას მიერ: მ. ხუბუა, „ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა", 1932.

გურ.: ფლ.: გურული ტექსტები, ჩაწერილი ს. ცქიტიშვილის მიერ: სერ. ცქიტიშვილი, „გურული კილო. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი". 1936.

გურ.: ფლ.: გურული ტექსტები, ჩაწერილი აღ. ფლორენსკის მიერ: აღ. ფლორენსკი, „გურული ფოლკლორი", 1937.

ერწ.: თერჯოლური ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ (გამოუქვეყნ.).

თუშ.: თუშური ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ (გამოუქვეყნებელი). გამოყენებულია უმთავრესად პ. ხუბუტიას მიერ ჩაწერილი მასალები.

ილია: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, II, 1937.

იმერხ.: იმერხეული ტექსტები, ჩაწერილი ნ. მარის მიერ: TP., VII, 1910.

ინგილ.: ინგილოური ტექსტები, ჩაწერილი გრ. ინწკირველის მიერ: გრ. ინწკირველი, „ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი" (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი), 1947.

კახ.: კახური ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ (გამოუქვეყნ.).

კლდიაშვ.: II: დავით კლდიაშვილი, მოთხრობები, II, 1933.

მესხ.: მესხური ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ (გამოუქვეყნ.).

მთარაჭ.: ძიძ.: მთარაჭული ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ: შ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის მთავარი თავისებურებანი („ენიმკის მოამბე", II, 1937).

ფერეიდნ.: ჩიქ.: ფერეიდნული ტექსტები, ჩაწერილი არნ. ჩიქობავას მიერ.: არნ. ჩიქობავა. ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი („ტფილ. სახელმწ. უნივერსიტეტის მოამბე", VII 1927).

ქართლ.: ქართლური ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ (გამოუქვეყნ.).

ქვემოიმერ.: ქვემოიმერული ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ (გამოუქვეყნ.).

ხევს.: ანდრ.: ხევსურული ანდრეზები. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის. მასალებიდან (პირველი ციფრი აღნიშნავს რეეულის ნომერს, მეორე — გვერდს. მაგალ., ხევს.; ანდრ. 34, 402).

გრამატიკული დაკავშირების გარეშე. იშვიათია დიალექტურ მეტყველებაში ქვეწყობის კონსტრუქციები, ჰარბობს წინადადებათა გრამატიკული დაქვემდებარების გარეშე გაერთიანებული ჰიპოტაქსური შებამებანი.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დიალექტში არ გვქონდეს კავშირიანი კონსტრუქციები. ქართული კილოების ამ თვალსაზრისით შესწავლა გვეუბნება, რომ საკმაოდ ჩამოყალიბებულია გრამატიკული თანწყობა-ქვეწყობის კონსტრუქცია კავშირების დიფერენცირებული სისტემით.

მაერთებელი კავშირი

დიალექტებში ვადასტურებთ მაერთებელი კავშირის ყველა სახეობას: მ ა ჯ გ უ ფ ე ბ ე ლ, მ ა ც ა ლ კ ე ვ ე ბ ე ლ, მ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ე ლ და მ ა ი გ ი ვ ე ბ ე ლ კავშირებს.

კილოებში საყოველთაოდ გამოყენებულია და კავშირი. თაისებურია მისი გამოყენება მთის კილოებში: და-ში ა ჩამოკვეცილია და დ ეკარის წინამავალ სიტყვას:

> მაშინ ქოდ ძალიან გადეეკიდნესა-დ მეხისხლედ ომს იჭერდეს (ხევს).; ჯერ ღრიალი დადგაო-დ მემრავ ნატუსრის სულმ აიარავ (ხევს.); იქავ სამალავიაო-დ ის უნდა ამაიღავ (ხევს.); სუყველა ძირს დაეცაო-დ დადგავ ჯღრიალიე (ხევს.); დიდება მზესა-დ მზისყოლთ ანგელოზთა (ხევს.: ბარდავ. 11, 6); დიდება-დ გამარჯვება შენდა (ხევს.: ბარდავ, 15, 1); თავის ლაშქარნ თავის კარსა-დ თავის კამალას მოხკრიფნიდით (ხევს.: ბარ- II, 23); ისაუბრესა-დ შაკრის პირობა (თუშ.); ჩავიყვაენთა-დ კახეთ დავმარხეთ (თუშ.).

ა-მოკვეცილი და კავშირი შესაძლოა შეგვხვდეს ლექსშიც:

> ჩაგაგდეს იწროს ხევჩია,
> მთაც ზედ დაგხურეს-დ ბარიო,
> მეჯალღურის გორს აგკიდეს,
> ქისტო, მოგწყურდა წყალიო
>
> (ხევს.: შან. 189, 4);

ხევს.: ბარდავ.: ხევსურული ტექსტები, ჩაწერილი ვ. ბარდაველიძის მიერ: ვ. ბარდაველიძე, აღმ. საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები („მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", I, 1938).

ხევჯ.: გაბ.: ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით: „წელიწდეული", I — II, 1923 — 24.

ხევს.: შან.: ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია. 1. ხევსურული. 1931.

მიუყა ბაღათურაი
ბერაისშვილსა შინაო:
მე-დ შენ შინ რააღაღ ესხედვართ?
ხალხმ ჩვენზე გაიცინაო

(ხევს.: შან. 198, 1).

სხვა კავშირთაგან კილოებში ჩვეულებრივია, და მასალების აქ მოტანა საჭიროდ არ მიგუაჩნია, არც... არც, აღარც...აღარც, ვერც...ვერც, ნურც...ნურც.

არამედ დიალექტებში არა გვხვდება არც დაჯგუფებისა და არც დაპირისპირების ფუნქციით. სათანადო კონსტრუქცია ასინდეტურადაა წარმოდგენილი.

მაგალ.,

საკურველი ეგ კი არ იყო, (არამედ) საკურველი'ის იყო... (ძართ.); ჩვენგან ერგების კი არავ, (არამედ) იმათგან გვერგებისავ საქონის მაცემავ (ხევს.); თეთრ გრლ კი არ გადახორწნილ, (არამედ) მოსულ (ინგ.; ჯანაშვ. 196, 16); შულს კი არა, (არამედ) ქუვასაც არ მოგცემ (ინგ.: ჯანაშვ. (182, 13); ნახშირი კ' არა, (არამედ) ხუთი ფუთი ოქრო მქონდაო (შურ.: ჟღ. 105, 17); კაცი კ'არა, (არამედ) მხეცი მოკალი შენო (შურ.: ჟღ. 99,35).

გავიხსენოთ:

მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, [არამედ]
დაბლა შემოჰკარ რბილოსა.

ამგვარი ასინდეტური კონსტრუქცია არაა უცხო სალიტერატურო ენისათვის.

მაგალითები:

არა თუ აზრი, (არამედ) ყოველი სიტყვის მნიშვნელობა უნდა გვცოდნოდა და აგვეხსნა (აკაკი 436); სხვებს არა თუ არ ჩამოუვარდებოდი, (არამედ) მეტიც ვიცოდი მათზე (აკაკი 431); მისი არა თუ ახირებულება, (არამედ) ყოველგვარი მოქმედება ბავშვური იყო (აკაკი 437); სამ-ოთხ თვეზედ არამც თუ წიგნის კითხვა შემეძლო, (არამედ) ლოცვებიც გაეზეპირე (ილია 282); არამც თუ ვინანე, (არამედ) დიდად კმაყოფილიც დავრჩი (ილია 258); მარგია კი არა (არამედ) ხელსაც მიშლის საზრდოს შოვნაში (ვაჟა 94); საზოგადოება წუხს კი არა (არამედ)

ხარობს (კლდიაშვ. 11, 319); ...კიტა მისი მოთაყვანე კი არა, (არამედ) მისი შეურიგებელი მტერია... (კლდიაშვ. 11, 327).

მაცალკევებელ კავშირთაგან ფართო გავრცელება აქვს ან, ან... ან-(და) კავშირს:

ან ძაღლი მამაკლეინე, ან ეგ ტურაი (ძართლ.); მეკელის გვარისამ რომ მეთავეთა ვინ გალანძღან ან ყმაწვილი, ან დიაცი, ან კაცი... (ხევს.: გაბ. 140, 27); კლონ სამ ყოჩ, ან ერ მწზრრ და ორ ყოჩ, ან ერ ქათამ და ორ ყოჩ, ან ორ ქათამ და ერ ყოჩ (ინგ., იმნაიშვ. 39); აქანაი ან გელს უნდა შიეჭამა, ან დათქა და ან რაცხა ნადირს (გშრ.: ღლ. 233, 31); ან იქით გამეყიყანოთ, ანდა თავის შესაქცევათ არღანი უყიდოთ (გშრ.: ღლ. 194. 25).

გვხვდება აგრეთვე თუგინდ(ა), თუნდ(ა):

თუგინდ წამომყე, თუგინდ აქ იყაი (ქართლ.); თუგინდა მოი, ბიძია, თუგინდა არა (ქვემოიმერ.); ჩემ ბორჯი არა, თუნდა გაჩდეს, თუნდა ნუ (ინგ.: იმნაიშვ. 253); ეგ თუნდ იყოს, თუნდ არა (ქართლ.); თუნდა მომიყვანე ბაღანე და თუნდა წყალში გადეისროლე (ქვემოიმერ.).

მაგრამ უფრო ნიშანდობლივია გინდ(ა):

გინდა წაიყვანონ მეწისჭყილე, გინდა არა (ქართლ.); შეთე გინდ იქ იყოსაჭ, გინდ აქაჭ (თუშ.); ქალ გინდა წაყვანილ იყოს, გინდა ლიშან — მიცემულ... (ხევს.: გაბ. 136, 12).

გავიხსენოთ გამოცანა:

გინდ შეწეი და გინდ მოხარშე, გინდ
კერიდგან დასძარიო, გინდ გასცერი,
გინდ გამტკიცე, ის დარჩება, რაც
არიო.

თუ-ს მაგალითებია:

სად არი, მინდორში თუ სოფელში?
(ინგ.: იმნაიშვ. 285); მეზობლებ იქნებისა, თუ ძმები (ხევს.: გაბ. 139,5) და მისთ.

ყველგან გვხვდება ხან . . . ხან:

ხან რძალსა სცემდა, ხან სიძესა (ძართლ.); ხან ქისტსა მახკლავს, ხან ქართველს (ხევს.); ხან ეკლესიას შამოუვლიდა გრუჯაიშიმო, ხან ნიავზის ხის (ქვემოიმერ.), და მისთ.

მაპირისპირებელი კავშირებია: მაგრამე — მაგრემ — მაგრამ — მარამ მარა, ოღონდ, ხოლოთ, კი...

მაგრამ

გავრცელებულია აღმოსავლურ კილოებში:

გაუშვა ნახევარი წყალი იმათკენა, მაგრამ პატარა სოფლის საქონელი კიდე ვერა ძღებოდა (ქართლ.); კოცენ ქისტებს, მაგრამ თაოდაც ბევრი კვდების (ხევს.: გაბ. 166,16); ამით ზოგ ღრიდებს მასაყვანად, მაგრამ ზოგ კი არას ჩახედავს... (ხევს.: გაბ. 136, 30); ბევრას ცუდს ჩადის, მაგრამ ორ იმოდენს კასაც ჩადის (ხევს.: გაბ. 124, 3); გამაზდგომივ ამ ქალს, მაგრამ ვერ დაუჭერავ (ხევს.: გაბ. 180, 22); უსრიავ ლეკებს თოფ, მაგრამ ვერ მოღუხვედრებავ (თუშ.); სნძინავის, მაგრამ მთხილად კი არის (თუშ.), ინანა თავის თავზე, მაგრამ რალა იქნებოდა (ინგ.: იმნაიშვ. 297).

მაგრამე

იშვიათად შეიძლება შეგუხვდეს მთის კილოებში:

ბევრ უძევავ, მაგრამე ვეღარ უნახავ (ხევს); ამის მოქმედი მინდია იყავ, მაგრამე მაინც არ გატეხეს (ხევს.); ჩუენ გონთ ვართაუ, მაგრამეუ ყაჩაღებთ დაგვცვარცვესაუ (თუშ.).

მაგრემ

ახასიათებს ხევსურულ კილოს.

არხოტიონთ იცოდეს კი, რო თათარა იყვ, მაგრემ უთხრეს...; დაიქცნეს, მაგრემ სოფელშიაც ხალხი ქვაბის ქმაზე კარში გამაყრილიყვა-დ...; ბევრ უშალეს ამხანიგებ, მაგრემ თათარამ მაინც არ დაიშალა; დადიოდეს არხოტივნებ, მაგრემ საშიშ კი იყუ.

მარამ

დადასტურებულია ზემოიმერულში.

ხუთ წელიწადს შეინახა თავი, მარამ მერე გაცეს სვირში; ეს ასე იქნება, მარამ მოკლავსო; დაჯედიო, მარამ არ მიღალატოო.

ნიშანდობლივია დასავლური კილოებისათვის; გვხვდება მესხურშიც.

ჭინკას გადახტომა მოუნდომებია, **მარა** ამ კაცს მაგრათ მოუჭირებია ხელებში ხელი (**ზემოქიმერ.**); შეწუხთა, **მარა** რა გეეწყობოდა (**ქვემოქიმერ.**); უყურა დიდხანს, **მარა** არ გამოჩთა (**ქვემოქიმერ.**); გუუშინჯენ ფეხი დედინაცვალის ქალიშვილს, **მარა** ჭოჭი ჩუუდა შით (**გურ.**: ჟღ. 103, 33); წეიღო ბულთი, **მარა** არ გაატანენ (**გურ.**: ჟღ. 100, 21); პაწია ქე ეცოტავა ფარა, მარა რაღას იქდა (**გურ.**: ღლ. 162, 19), ბეჭრი ეძებეს, **მარა** ვერ ნახეს (**გურ.**: ღლ. 198, 4); მეუყვანეთ, **მარა** არა კაცსაც არ იჯდუმლებს (**იმერხ.**: მარი 66); ალაგი მქონდა, **მარა** საშველ-სასმელი არა მქონდა (**მესხ.**); მერე კი ავაგეთ, **მარა** დატანჯვით ავაგეთ (**მესხ.**).

ამმა

დადასტურებულია ინგილოურ კილოში.

ბევრ ეზახა თავი დაკარგულ შუქს, **ამმა** ჯმაც ვერ მიაწდუნა (ჯანაშვ. 190, 11); კაცს მაშინ თებში ჰუცხოვრი, **ამმა** წყალს იქიც არ მოუსწრნრბი (ჯანაშვ. 208, 24); ზე არ დამილრუ, **ამმა** მიტირნი (იმნაიშვ. 128).

ეგ კავშირი აზერბაიჯანულიდან შემოსულად ივარაუდება. ამავე ენიდანაა შემოსული, აგრეთვე, მაპირისპირებელი კავშირები **ანჯახ, თექ**[1]. გვხვდება **ოღონდ, ოღონც**:

ამ ხმალ გაჩუქეფ, **ოღონდ** მაარჩინეო (**ჯახ.**); შეგირთავ ცოლად, ოღონდ დამახოციევო (**ქვემოქიმერ.**); მივცემ, **ოღონდ** შენ იცოცხლეო (**ქართლ.**); ემის წამალ გასწავლი, **ოღონც** ამ თავ ნუ მომჭრიო (**ქართლ.**), და მისთ.

ოღონდ-ის მნიშვნელობით ძალიან გავრცელებულია **ხოლოთ** კავშირი:

ეხლა ჯერ უნდა გეექცეს ბეჟანი, **ხოლოთ** მიჯნას არ უნდა გადაჰსცდეს (**ქართლ.**); ისე გაჰმდიდრდებიო, რო შენ თავს შენ და ნატრიდესო, **ხოლოთ** არ დაგავიწყდეს შენი სიღარიბეო (**ჯახ.**); გზასავ მე გასწავლი, **ხოლოთ** არავინ გაიგასავ (**ხევს.**); ზედ გადმააშალ ტყვიამ, **ხოლოთ** კაცს არ მახვდ (**ხევს.**);... ეზდავოთხი სოის პესნეფს უკრავს თავისით, **ხოლოთ** საჭირო

---

[1] გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი. გვ. 262 (ხელნაწერი; დისერტაცია).

არის მსურველმა უთხრას... (**გუშრ.**: ღლ. 194, 16); ცოლმა იყიდა კუბო და ჩაასვენა შით, **ხოლოთ** კუბოს პაწაი ჭიტინა გუუკეთა (**გუშრ.**: ღლ. 183, 14).

მაპირისპირებელი კავშირი კი ფართოდ გავრცელებული სიტყვაა. დაეიმოწმოთ ზოგიერთი მაგალითი:

თითონ იქ წავიდა, კვიცი კი მიატოვა (**ძართლ.**); წინანდელ დროში სალაპაზე დევდნენ კდარს, ეხლა კი თაბუთს აკეთევენ (**ინგ.**: იმნაიშვ. 38); შეთე მოდისაუ შეთე კი იქ ხუუდაუ (**თუშ.**); ჩემს მოსლამდი აცხოვრეთ ქუხნაში, ლეკეი კი გადააგდეთო (**გუშრ.**: ღლ. 233, 4); კეტარი, დამარხა, ბზისუნახავი კი წამეიყვანა (**ძვემოიმერ.**).

გაეიხსენოთ ძველი ანდაზა:

ბალახი ნაგზაურისა, ქალი კი აზნაურისა.

მაიგივებელ კავშირთაგან დამახასიათებელია **ანუ**-ს გამოყენება:

მემრ კელოსანი **ანუ** ხუცესი ეტყვის... (**ხევს.**: გაბ. 144, 10); მაყრებ **ანუ** მყოლნი ორთ მისულნი (**ხევს.**: გაბ. 200, 19); მაგი უჩიტელია **ანუ** მასტავლებელი (**ძვემოიმერ.**), და მისთ.

მაქვემდებარებელი კავშირი

დიალექტებში დადასტურებულია ყველა სახის მაქვემდებარებელი კავშირი. ესენია: სუბიექტური, ობიექტური, განსაზღვრებითი, სიერცითი, დროულობის, მიზეზობითი, მიზნით, ვითარებით-შედეგობითი, ვითარებით-შედარებითი, პირობითი, პირობით-შედეგობითი, დათმობითი კავშირები.

განვიხილოთ ცალ-ცალკე.

1. ქვემდებარული კავშირები

ქვემდებარულ კავშირებად კილოებში გამოყენებულია:

რომელიც	**რაც**
რომენიც	**რო(მ)**
რემენიც	**რომელიც**
ვინც	

გვხვდება როგორც აღმოსაელურ, ისე დასაულურ კილოებში.

იგი მოვიდეს, რომელიც ერევნელია (ძართლ.); რომელსაც მოხვდება აღებულია (კახ.); ციხეშიდ რომლებიც შეხიზნულებ იყუნესაუ, იმათაუ ძალიან წყლის მწყურეილმა შეაწუხაუ (თუშ.); და წასულან რამოდენიმე, რომელიც ყოჩაღი ყოფილან (მთარაბ.: ძიძ. 98); და ერთი რომელიც გაბედული იყო, შესრულა სარკმელზე (მთარაბ.: ძიძ. 98); რომელმაც მეტი სიმცრუე ვილაპარაკოთ, იმან შეჭამოს კვერიო (გურ.: ღლ. 228, 21); რომელმაც დამიპირდაპირდა, დასტურ კაი ყაძახი იყო (ძვემო-იმერ.).

რომენიც

გვხვდება ხევსურულ კილოში.

რომენმაც იმღერა, თასში აშველიებს (გაბ. 127, 16); რომენსაც დაკარგული აქვ რაი, ეტყვის (გაბ. 138, 25); მაშინ მკდართ შასწირავს, რომენიც დაასისხლიანებს (გაბ. 137, 24).

რემენიც

დამახასიათებელია ინგილოური კილოსათვის.

რემენიც ამ შეძხს არ უქერებდა, აჲ, ემ ღამე იმათა წაასლრლი იქნენ (იმნაიშვ. 286); რემენხაც ქეჲფში შეჰდის, ისნები მოვლენ (იმნაიშვ. 257); რემენხაც ქარ მოჰპარეს, იმამ იჩივლა (იმნაიშვ. 284).

ვინ(ა)ც(ა)

ქართული კილოების საზოგადო დამახასიათებელია.

ვინცა გუნახავს, ამას გვეტყვის (ძართლ.); მომატყუილა, ვიხაც ვენდობოდი (კახ.); ახლა რო გაიგეს, ვინც ნასალდათარ ვაქებ იყვა... (ხევს.: გაბ. 201, 9); ვინაც ნასალდათარი-ას, სრუ მიუდის (ხევს.: გაბ. 200, 29); წამადგებიან, ვინც წინავ მისულები ას ხალხი ან ჯვარიონნი (ხევს.: გაბ. 125, 24); მაშინ წამაველენ, ვიხაც შაწევა უნდა (ხევს.: გაბ. 129, 27); წამაიღით, ვიხაც გინდათ (ხევს.: გაბ. 188, 18); ვინც იმას ხმას ამოაღებინემდა, იმას უნდა მიხყოლოდა (მესხ.); ვინც გაიხიზნაუ ციხეშიგ, შეუიდენაუ (თუშ.); ვიხაც აკაცობა ახსოვს, ჯოხს ურტყამს (მთარაბ.: ძიძ. 94); ვიხაც მიერგებოდა აი ტუფლი, უნდა მიეყვანენ ხენწიფესან (გურ.: ქღ. 103, 24); კვერის გამოცხობაში ვინც უკეთესი ზღაპარი ქუას, იმან შეჭამოს იგიო (გურ.: ღლ. 226, 30); ვინც მაზე დაქორწილდება, ერი დღის მეც ვერ ძლეფს (გურ.: ღლ. 211, 30); ვიხაც გული ერჩის, მობძანდეს ერთი (ძვემოიმერ.); იმან დეიტრაბახოს, ვიხაც მაგისთანე შვილი გოუზდია (ძვემოიმერ.).

რ ა ც

იხმარება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში. მთის კილოებში -ც ნაწილაკი ერთვის რა-ს სახელობითი ბრუნვის ი-ს ჩამოუცლელად.

ჩვენგან გაცემული გაქვთავ, რაიც ადგილ-მამული გაქვთავ ეგიცავ (ხევს.: ანდრ. 34, 402); რაიც თასგარძ იყავე, სუყველა ძირს დაეცა:რდ... (ხავს.: ანდრ. 34, 563); რაღიც ნათესაებს მოაკვლია, ის კიდევ ცხვათა (თუშ.); შეიყარნენ, რაც ყოჩაღი კაცი ღებში არი (მთარაჭ.: ძიძ. 99); რასაც ხედავთ და კეთდება, ჩვენი შესაქმელია (გურ.: ღლ. 238, 11).

რ ო (მ)

სმაი ას ის, რომ წინავ ძველებს სცოდნოას (ხევს.: გაბ. 125, 12); ვინ ხარავ, რომ ჩემთან საომრად მახოლავ? (ხევს.: გაბ. 181, 16); მარტო ეს კი არ ას ანდრეზად, რომ ეს კაც გაბურ ყოფილას (ხევს.: გაბ. 155, 5); გოხებშიგ რო ნაფუძრებია, ეგ როდინდელია? (თუშ.); წინადღეს რომ ერთი ქელოღლანი მეცივდა, ის ხიზმეთ ურჯება ამ ცხენსა (იმერხ.: მარი 62).

2. დამატებითი კავშირები

კილოებში დამატებით კავშირებად გამოყენებულია:

რაც, რაიც	რომ
ვინც, ვინაც	რო
რომელიც	რომა
რომენიც	რუმე
რომე	რუმ
	თუ

რაც-რაიც

რაც საზოგადო დამახასიათებელია ქართული კილოებისათვის.

შეჯამდა, რახაც ინადირემდა (ქართლ.); ჩააწოდა ის, რაც გაატანეს (ქახ.); ადგეს და დაიწყეს, რაც უნდოდ კორცი (ხევს.: გაბ. 156, 20); და წამაიღეს, რაც უნდოდა ქონება თან (ხევს.; გაბ. 166, 20); რაცდა გუნდოდა, ვიყიდეთ (ფშერეიდნ.: ჩიქ. 225); მაგისთუნ რაც საჭირო არი, მე მუამზადებ (იმნ.: იმნაიშვ. 256); რაც ფული ეიღო, დახარჯა (ქვემოიმერ.); ყოლიფერი უთხრა, რაც ვაჭარმა დუუბარა (გურ.: ღლ. 194, 6).

რაიც გეხვდება მთის კილოებში და ინგილოურში:

თუ ყველაი-ყთქვით ის, რაისაც კიდე გამასადეგი ას, ეშმა გაგვიწყრების (ხევს.: გაბ. 157, 32);... გაიგებს, რაიც სჭირს (ხევს.: გაბ. 153, 4); რაიც მაპარული — აქვ, შვიდეულად უნდა ჩააბარას. პატრონს (ხევს.: გაბ. 139, 21); კურდღელამაც უამბ, რაიც იმათ უთხრეს (ხევს.); რაღიცაღ მომივ, მომივ (თუშ.).

მ. ჯანაშვილის ტექსტებიდან ჩანს, ინგილოურში ი დასუსტებულია: რაიც.

მემღან რაიც გინ, აის მიყავ (183, 7): რაიც ქრყანაზე გრლ ეყო, დეეგრუებინაყ (197, 9).

ვინც-ვინაც

ვინც საერთოა კილოებისათვის.

დაუძახე, ვისაც გინდოდეს (ქართლ.); დაითხოვა, ვინც იქ იქნებოდნენ (კახ.); ვინც ვაშკაცი ხართ, იმას მოეკლაყ (ქვემო-იმერ.); ჩემ ბზისუნახავ იმას მივათხოვეფ, ვინც ლაპარაკით ჩემს რძიან ქაფს აადუღეფსო (გურ.: ღლ. 185, 24).

ვინაც გავრცელებულია ხევსურულში.

ვინაც მე შამამაგდ ამ ჯვარის კარში, იმას მიზდიე (გაბ. 139, 10); არხოტიენები ვინაც იქ იდგეს, ამათ-... თვალ მახკიდ.

რომელიც

ახასიათებს საერთოდ კილოებს.

გამაუგზავნა, რომელიც ლამაზი იყო (ქართლ.); რომელიც კარგი შვილი მყამდა, დაეკარგე (კახ.); რომელიც კაი ხვინი იყო. იმას წაიღებდნენ (მესხ.); რომელიც ლამაზ იყოუ, ის ქალიუ ბელადმ დიდირჩიაუ (თუშ.); რომელსაც ხელს მოეკიდეფ, იგი წამეიყვანე (ქვემოიმერ.).

რომენიც

დაცულია ხევსურულ კილოში.

და რომენიც კაი დიდი ჯიქვის რქანი იქნებიან, შენ შამაგწირავთ (გაბ. 193, 19); რომენიც მაეწონების, იმას შესწირავს ძმასაო (გაბ. 165, 13); რომენიც ჯიქვი უჯობდა, იმას ესრიე; რომენიც გახუას გაბყვებოდ, იმ ხატს ჩააცვეს.

რომე

არსებითად დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის.

ამ ქალმა შეაწამა, რომე ეს არის ვაშკაცო (ზემოიმერ.); ასრე უთხარ, რომე მთაზედაო მამაჩემი ვისმე მოეკლაო (მთარაბ.:

ძიძ. 90, 5); ნახეს, რომე ბამბას ახოვდა (ქვეშოიმერ.); ხალხი ერხმათ შესძახებდა, რომე არაა საჭიროვო (გურ.: ქღ. 100, 7); მებაღემ უუხსნა, რომე ასე და ასეა საქმეუო (გურ.: ღლ. 194, 1) ბიჭმა უთხრა, რომე აი ბეჭედს რა მარიფეთი აქ? (აბარ.: ხუბ. 30); კითხა, რომე სულ კართან ება ის ხმელი ცხენი? (იმერხ. მარი 62).

რომე არ არის უცხო თუშურისთვისაც:

ერთხენ მურთაზე გიჲ გუ. რომეუ ერთიუ განთქმულ მეომარი ყოფილიყუ; ბაგრ ეთქუ, რომეუ... ერთ ამბაეს გეტყვითაუ; მემრინასეუ გევიგეუ, რომეუ იმ ალაგ სრეეაშიგ ორ მომეკლაუ.

აქვე შეენიშნავ: რომე ნიშანდობლივია ობიექტურ წინადადებაში, სოლო პირობითსა და დროის გარემოებით წინადადებებში გვხვდება რომ.

რომ

გვხვდება საერთოდ კილოებში:

ნახა, რომ ჯიხვები მოგროვილან (ქართლ.); უთხრა, რომ მოვიყვანო (მესხ.); გაიგეს, რომ ეს ქალი ტყვედ წაასხნესავ (ხევს.: გაბ. 166, 25); მაგრამ ის კი არ იციან ამ მამაძაღლებმა, რომ ახლა არხოტის ჯვარი რას ამბობს (ხევს.: გაბ. 165, 21); უნდა, რომ გატეხოსა (თუშ.); გაეგი, რომ შენც გყავ ერ ქალი მოჰსწრობილი (ინგ.: იმნაიშე. 288); ნახა, რომ ერგან ათიშ არი (ინგ.: იმნაიშე. 237); ახლა მიხთა ხუცესმა, რომ ბერიკაცმა ასთე ეშმაკურათ მუატყუა (გურ.: ღლ. 164, 20); როცა უნდა, რომ გევდე კარშიო... (აბარ.: ხუბ. 36).

რო

უმთავრესად გავრცელებულია აღმოსავლურ კილოებში, განსაკუთრებით ბარის კილოებში:

თქო მეხბორემა, რო მე წავალო (ქართლ.); გაიგო, რო საქრისტიანოში ამოიდა ყარამბოგლი (ქართლ.); ნახეს, რომ ყურის ბიბილოები ალარა ჰქონდა (ქართლ.); დაუძახეს. რო მოგებული ხარო (კახ.); უნდოდა, რო მეეკვლეინებინა ვისთვინმე (კახ.); გაიგა, რო თავის ამხანაგები ას (ხევს.: გაბ. 195, 27); ...იტყვი, რო სიმთვრალით მამცესავ (ხევს.: გაბ. 130, 15); იმას ეგონ, რო სამთაე დახჯოცსავ (ხევს.); შამილმ იფიქრ, რო თუშებიუ ისთა ხალხიაუ... (თუშ.); თქო, რო ჩავალ (ფშაველ.: ჩიქ. 242).

გვხვდება აღმოსაელურ კილოებში, უმთავრესად ბარისაში:

უთხარი, რომა ჩამოვიდეს (ქართლ.); გაიგეგეით, რომა ქორწილი იქნებოდა (ქართლ.); ნახა, რომა ხეირი არ იქნებოდა აქედანა (ქახ.); დამიძახა, რომა შენთუნ ვიბრძვიო (მესხ.).

შეიმჩნევა შემდეგი გარემოება: რომა მაშინ იხმარება, როდესაც ეველსაჩინო პაუზასთან გვაქვს საქმე: კავშირის მომდევნო ნაწილი ფრაზისა გარკვეული დაყოვნების შემდეგ ითქმის:

გავიგე, რომა... ცხენი გიყიდნია.

რუმე, რუმ

დადასტურებულია აჭარულ-გურულში (რუმე) და ინგილოურში (რუმ).

ძაღლმა უთხრა, რუმე... ის ვარ (აჭარ.: ხუბ. 32); ვნახოთ, რუმე ერთი კურდღელი ჩასულა შით... (გურ.: ღლ. 229, 19); ი ს ი ც გეყოფა, რუმ მამატყუე (ინგ.: ჯანაშვ. 182, 13); რუმ ოთხ შავ გრლს ერთ თეთრ გრლ დაუშვრიაყ (ინგ.: ჯანაშვ. 196, 10); თქო, რუმ დიდ ზმაა ტალყონ (ინგ.: იმნაიშვ. 124);... ატყოვინევენ, რუმ მუან კაც მამკდარ (ინგ.: იმნაიშვ. 37).

თუ

გვხვდება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში.

არ იცოდნენ, თუ ნიზნაი იყო (ქართლ.); ახლა იმას ეგონა, თუ დღეს დემეძინაო (ქახ.); ამ ყმაწვილმა რა იცის, თუ იქ ამ ეშმაის ფირჩხილები ას (ხევს.: გაბ. 157, 14); კაგამ სრუ არ იფიქრ, თუ ესეებ ღილღელებ იქნებოდესა (ხევს.); უთხრეს მზირთა ერთუცს, თუ „რა უყოთ, რო ვერ ვიცნობთ?" (ხევს.; გაბ. 177, 3); სუყველად გვიამბეუ თუ რა ცგვერ დაჯოც ყაჩაღები? (თუშ.) ...გამეერკვიენ, თუ ვის მიერგებოდა ტუფლი (გურ.: ქღ. 103, 24); ...ფიქრავს, თუ რას იტყვიან ახლა მისი ამხანაკები (გურ.: ღლ. 237, 11); უნდოდა გიეგო, თუ რაით ხდებოდა კაცების სიკტილი (გურ.: ღლ. 212, 5); ისიც გეიგონა, თუ რა კიცილ-ჩხივილით გამუასვენეს (ქვემოიმერ.); ილაპარაკა, თუ რავა დეეკარჭა ბეჭედი (ქვემოიმერ.).

ობიექტური კავშირების საკითხთან შინაგან კავშირშია „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკების საკითხი.

პირველ პირთან **მეთქი** ახასიათებს კილოებსაც, ოღონდ აღსანიშნავია, რომ აღმოსავლურ კილოებში, უმთავრესად კახურში, მას პრეპოზიციული მდგომარეობა აქვს: ზმნა-შემასმენელს წინ უსწრებს: **მეთქი არ მივდივარ; მეთქი არ გაჯვარდეს**, და მისთ. გურულ-აჭარულ დიალექტებში **მეთქი** წარმოდგენილია **მეთქინ**-ის სახით:

> მიორე რომ ავწიე, დავარტყამ **მეთქინ**, კლავში მეტეკა (**გშრ.**: ქღ, 97, 25); მე ვთქვი... ფულს ყოლიფერი შუუძლია **მეთქინ** (**გშრ.**: ღლ. 195, 15); გუვუცხადე, დურსუნა მოვა **მეთქინ** (**აჭარ.**).

იმავე გურულში **მეთქინ**-ის პარალელურად, პირველ პირშივე, გვევლინება **თქვა** ნაწილაკი. ასეთივე უითარებაა ქვემოიმერულსა და ზემოიმერულშიც:

> ... ვეტყვი, დიაკონი მოკლა ვინცხამ და მიშველე-**თქვა** (**გშრ.**: ღლ. 191, 24);... გეტყვი, ქვით დახლინდარო-**თქვა** (**გშრ.**: ღლ. 163, 19); დეიკარქე, შე მუნიანო-**თქვა**, მივაძახე (**ქვემოიმერ.**); დოუძახე ინანეფ-**თქვა** (**ზემოიმერ.**).

მეორე პირთან იგივე **თქვა** ნაწილაკი იხმარება დასავლურ კილოებში (სალიტერატურო ენისა და აღმოსავლური კილოების **თქო**-ს ნაცვლად):

> ... თქვი, ქვით-**თქვა** (**გშრ.**: ღლ. 163, 19); მე რომ დაგინახე, გულზე შემომეყარა-**თქვა**, ასე მოახსენე (**ქვემოიმერ.**); უთხარი, არ მიყვარხარ-**თქვა** (**ქვემოიმერ.**).

მთის კილოებში **მეთქი-თქო**-ს ფუნქცია დაკისრებული აქვს ო-ს (—უ, ვ), რომელიც საერთოდ ქართულ ენაში 3 პირის „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკადაა დამკვიდრებული:

> მე უთხარ, რამდენ წლის იქნებოდიუ? (**თუშ.**); (შენ) გამაუცხადე, რო გველეთ უნდა წავიდათაე (**ხევს.**), და მისთ.

შდრ. ეაჟადან:

> დედაჩემს შავეხვეწე, ტყვია-წამალი მიყიდე და დამბაჩა მიყიდეო („პატარა მწყემსის ფიქრები“); მაშინ გულდამშვიდებულმა ვსთქვი, არა უარ გამშრალი, არაო („მთის წყარო“).

მესამე პირისათვის კილოები იყენებენ ო-ს. მთის კილოებში და ინგილოურში ო-ს დასუსტების გზით გავრცელებულია უ (თუშურში) და ვ (ხევსურულსა და ინგილოურში). ო-ს დასუსტება გამოწვეულია წინამავალი ხმოვნით, რომელიც შეიძლება იყოს ან სახელობითი ბრუნვის ნიშანი, ან მოთხრობითის ხმოვნითი ნაწილი ან პირის ნიშანი (ა, ო), ან მწკრივისა:

ეტყვიან: „ჩვენ მეკელამავ ცხენით გაიარაჟ...“ (ხევს.: გაბ. 141, 4); ეტყვის: „აისი-და-აის კაც მამგვარევ“ (ხევს.: გაბ. 128, 4); იტყვის: „მაშინ რადაღ მინდავ სიცოცხლეიჳ...“ (ხევს.: გაბ. 134, 18); ჰუთქომ: ქალს არ გაზლევ (ინგ.: ჯანაშვ. 188, 23); იტყვიან: მეწუიდე წელწაუ ტყემაუ ფოთოლ აღარ გამიღსაუ (თუშ.).

ო-ს დასუსტებას იწვევს აგრეთვე უფუნქციო ა, ფრიად გავრცელებული მთის კილოებში:

უთხარ,... მზად ვართაუ; გიორგის ეთქუ ამხანაგებისად: აბა კარგადაც უყურეთაუ ბელადსაუ; ატყობიებენ, რო მოვდითავ (გაბ. 131, 26); ფიქრობდ: მე ვინ რას მიზამსავ; იმას ეგონ, რო სამთავ დახჯოცსავ.

გვხვდება ინგილოურშიც:

ჰუფიქრნი: დერიაში ჩამაგდებსავ (ჯანაშვ. 188, 20); ქალებს ჰუთხრაყ: ქალმებ გამჯადითავ (ჯანაშვ. 192, 1) ამბოვს: ‘მე შენ მამაჲ ვარავ (იმნაიშვ. 123).

ეს ა გამოყენებულია მხოლობით რიცხვში: იღებსა, მოხკლავსა, მიგიღესა, უბოძეთა, ამბობა, ეღირსებოდესა, იღებდენა, ვარა და მისთ. იგი ჩვეულებრივია მთის კილოებში. ჩვენ მას „ზმნის მავრცობ ა-ს“ ვუწოდებთ.

„სხვათა სიტყვის“ ნაწილაკები ჩვეულებრივ ერთვიან კავშირს. მაგალითები:

დაუწყავ გონობა, რომავ ამ საწყუენ ლიშანმ რაად მითხრავ? (ხევს.: გაბ. 180, 15); დაგრ ეთქუ, რომეუ მომცემთაუ (თუშ.); ახლა ის გურგენი ელაპარაკება, რომაო შენ ვინა გდიხარო? (ქახ.); ეთერს შაუთვლია, რომაო მეც საწყალი ვარო (ქართლ.); მელიამ მიაძახა კაცს, რომოო მაით ძაღლები ხო არ არისო (ზემოიმერ.); უთხარი, რომე-თქვა ვინ გდიხარ-თქვა (ზემოიმერ.); ღარიბმა უთხრა, რუმევო მამაჩემს ხავდა ხუთიათასი ბუკი სკაიო (გუშრ.: ღლ. 229, 1); ... თქვა, რუმევო ... მე მაყრათ ვაბთიო (გუშრ.: ღლ. 228, 23).

სალიტერატურო ენისათვის ნიშანდობლივია „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკების დასმა ფრაზის ბოლოს მდგომ სიტყვასთან. კილოებს ახასიათებთ ამ ნაწილაკების გამოყენება ფრაზის თითქმის ყოველ წევრთან; ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერება არ შეიმჩნევა:

დედამ მითხრისაუ: სამჯერაუ ჯარ მოგდაუ, ხისოაუ, ძალიან დიდ ჯარ მოგდაუ, სუ ყანუანიუ სულ კელთ ეჭირაუ, ჩიგლაურთი ცაუ ბარგ გავზიდეთაუ, კდეებშიცაუ გაქ რა გამოვლენაუ (თუშ.); მინდიამაც უთხრ, რო მიავ ტყეი ორავ გამაპარულივ (ხევს.); ზოგ ეტყვის: არ წამავალავ, არ მინდავ არაყივ, თიეას ქვე მივს-

ცემავ (ხევს.: გაბ. 130, 3); ქალმა უთხრა: შენაო, მაგნაირად რომ წვებით ჩემთანაო, აქნამდის რა იყოო, რა ვქენითო (ზემოიმერ).

არაიშვიათია კილოებში ამგვარი ტიპის შემთხვევებიც: და კავშირიან შერწყმულ წინადადებაში — ერთგვარშემასმენლიანში — verba declarandi ჩავარდნილია და ამგვარად და კავშირი უშუალოდ უკავშირდება პირდაპირი მეტყველების გამომხატველ წინადადებას:

ტაბახმელელი ქოსატყუილაი იქით გარბის და: „ვერ მოგატყუილეო?“ (ქართლ.); მიეიდა ეს ტროყიაი და: „რა საყურველი რამე ვნახე, რას ვშვრებიო?“ (კახ.); მიეიდა მზეთუნახავი და: „აპა ოქროს ბეჭედი და შენ ჩემი ცოლი ხარ დღეიდანა“ (მესხ.); იმ საწყალმა კაცმა გარახტნა და: „აპა დემეწიე ახლავო“ (ქვემოიმერ.); მივიდა და: „როგორაა თქვენი საქმეო“? (მთარაბ.: ძიძ. 95).

დასკვნა:

1. აღმოსავლური და დასავლური კილოებისათვის საზიაროა რაც, ვინც, რომელიც, რომ, თუ.

2. დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია რომე; გვხვდება თუშურშიც.

3. აღმოსავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია რო, რომა.

4. მთის კილოებისა და ინგილოურისათვის ნიშანდობლივია რაიც.

5. ხევსურულისათვის ნიშანდობლივია რომენიც...

6. აჭარულ-გურულისათვის და ინგილოურისათვის ნიშანდობლივია რუმე, რუმ.

7. კორელატებია: ის, ის, იგი.

8. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა: რაც, ვინც, რომელიც, რომე, რომ.

9. კილოებისათვის არაა ნიშანდობლივი ერთეულები, რომლებიც დადასტურებულია სალიტერატურო ენაში: რამეთუ, ვითარმედ, რადგანი, რომელ.

10. სალიტერატურო ენისათვის არაა ნიშანდობლივი: რომენიც, რო, რომა, ომ, რუმე, რუმ.

11. აღმოსავლურ კილოებში (ბარისაში) დადასტურებულია „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკები: მეთქი (1 პ.), თქო (2 პ.), ო (3 პ.). მთის კილოებისათვის ნიშანდობლივია ო-საგან მიღებული უ-ვ, და იგი გამოყენებულია სამსავე პირში. ამათ ინგილოურიც ეკედლება.

12. დასავლურ კილოებში დადასტურებულია მეთქინ (1 პ.) (გურულ-აჭარულში), თქვა (1 პ.) (გურულში, იმერულში), თქვა (2 პ.). ო (3 პ.).

8. განსაზღვრებითი კავშირები

ქართულ კილოებში განსაზღვრებითი კავშირებია:

რომელიც	რომ, რო
რომენიც	სადაც
რემენიც	საცხა
ბემენიც	ვინცხა
რომელიცხა, რომელიცახე	

რომელიც

მიმართებითი ნაცვალსახელი რომელიც საკმაოდ გავრცელებულია როგორც აღმოსაულურ, ისე დასავლურ კილოებში:

მე ვიყავი იმის ბიჭიო, რომელმაც გამოიტანა ის უკვდავების წყალიო (ქართლ.); წავიდა ეს ბიჭი თავისი მამადთან, რომელმაც გააგდო წინათი (ქართლ.); შაირთო ის ქალი, რომელსაც აჩენილი ყვანდა (ქართლ.);... დაუგვია ნეხვი და გადუპრია ერთ მეზობლის კარებზე, რომელთაც ჭორწილი აქვთ (ქართლ.); გავიდა იმის დედაჲსთანა, რომელთანაც იყო (ქართლ.); რომელიც ქუდით გაჩნდა, იმ ბიჭს ხუთკუნჭია ერქო (ქართლ.); ეხლა ის დედიმა, რომელსაც ტანტრე ქვიან, ეხლა ის გაიძახის (ქახ.); ეხლა იმ კაცმა უთხრა, რომელიც შაჲჰხვდა (ქახ.); იმ საწყალ კაცს, რომელიც ყავს ამხანაგი, იმან გაიგო ის ამბავი (ქახ.); იმ საწყალმა კაცმამ უპასუხა, რომელიც გამდიდრდა (ქახ.). ი ცხენზე შეაჯდუნონ, რომელზედაც ხელმწიფე იჯდა (მესხ.); ძმას წაულალე უნცროსი, რომელიც ღილღოს სჯობისა (ხევს.; გაბ. 178, 28); მისჯდომივ კლდის ფექს, რომელზედაც შამაივლიდეს აქვანი (ხევს.: გაბ. 184, 29); ხალხი შაუკრაფს ქისტებს მთას და ჭალას, რომელზედაც გასავალი აქვ ქისტებს გზაი (ხევს.: გაბ., 190, 25); მასპინძელს წინავ მამზადებელი ხყავ ბიჭები, ზედამდეგები, რომლებიც არიგებენ ლუდ-არაყს (ხევს.: გაბ. 132, 4); ღიღის, კაც, რომელიც ქუმელაურთის ციხეშიგ იყუ შევარდნილ, ლეღი ყოფილ ლეღი ბერიღაჲზეჲ (თუშ.); არის ადგილ, რომელსაც ხქვიანის ჯვარის ყანებ (თუშ.); მოსულიყუ ერთი კაცი, რომელსაც გიორგი ხქვივნებიუ (თუშ.); იყო სახელგანთქმული კაჩაღი, რო-

მელიც არავითარ ძრახს არ ერიდებოდა (**გუშრ.**: ღლ. 248, 8); ერთმა ღარიბმა კაცმა ითხუა ცოლი, **რომელიც** ძალიან ანჩხლი... გამოდგა (**გუშრ.**: ღლ. 224, 34); ..ჩამოყუა დაბლა ვორი ღერი ლამფა, **რომელიც** საფსე იყო ვოქრუებით (**გუშრ.**: ღლ. 238, 2); მონახა მისი ბაბუაი, **რომელიც** მოხუცებულობასაც და სიღარიბეს წელჩი მიეტეხა (**გუშრ.**: ღლ. 235, 35);... მაშუინათვე ითხუა ცოლათ იგი დაი, **რომელმაც** ბაღანაი მოპარა უნცროს დას (**გუშრ.**: ღლ. 233,); ხენწიფის შვილმა, **რომელიც** ციხეში ჟდანა, აი ანბაკი ყველაყაი გეიგონა (**გუშრ.**: ღლ. 218, 14); ბოლოს მივაგენით იმ კაცისას, **რომელსაც** თქვენი სკაი დიეჭირა და ხედნიდავო (**გუშრ.**: ღლ. 227, 15).

რომენიც — რემენიც — ჩემენიც

რომენიც რელაციურ წინადადებაში დამახასიათებელია ხევსურული კილოსათვის.

შაუხვდა ტყვია თავის ძმის მეწველე აჭდოლას, **რომენმაც** სროლის დროს უთხრა ქისტებს... (გაბ. 177, 20); ჰა-ო, ჩიძახა მინდიამ, **რომენიც** წინავ დამზადებულიყო (გაბ. 193, 11); ჩააგდებს სახუცარ კოპობში, **რომენიც** ას ვერცხლის თასი (გაბ. 133, 18); მაასწვრ ერთ ღილღველს, **რომენიც** დამჯდარიყუ (გაბ. 168, 14): ეს არხოტის წყალი წითელ წავიდ, **რომენიც** ჩადის ქისტებზე (გაბ. 169, 27); და გამაუდგეს ისრეუ იმ გზას, **რომენზედაც** მავიდეს (გაბ. 166, 22); აქ ტანიით მდინარე ჩამადის, **რომენიც** ტანის კარ „ასა"-ს უერთდების (ანდრ. 32, 374); ამ ქალის ძმა იჯდ იქ, **რომენმაც** ამ ოშკაცისათ თქო... (ანდრ. 21, 249); ეს ხალხმ იცოდ, **რომნის** გზისასაც გაღლალებდეს აქით წასხმულს ჯარავანს (ანდრ. 30, 349); მემრაც ბევრ სიძღერეებ უთხრეს, **რომნებსაც** ეეხლადაც იქავ მღერობენ ჯარზე (ანდრ. 30, 352); ამ დროს აქვე იყუნენ თავის საკუთარს საქმეზე მაფიქრალ ხალხიც, **რომნებიც** მარტო თავის საკუთარ საქმეზე ფიქრობდეს (ანდრ. 31, 367); აი ის სიგელებიც მაშინ დაწულ, **რომნებიც** ერეკლესგან ხქონივ ნაბოძები (ანდრ. 33, 386); ეეხლადაც კარგად ეტყობის ის ნაგზევი, **რომენზედაც** თათხელიონთ შიშით დადიოდ ხალხი (ანდრ. 33, 391); ჩინდი იმ ლეკისგან იყუ გამთხილებული, **რომენმაც** გზა ასწავლ (ანდრ. 35, 421); ერთიც მინდიას ძმა იყუ, **რომნის** სახელიც არ ვის აკსონს კარგად (ანდრ. 36, 431).

რემენიც დადასტურებულია ინგილოურში:

თოლსაც არ აშორებდა დიდ ირემს, **რემენიც** ქრშ წრუო უანში ზოდა — კაჰაჲდა ცრონ ბალახს (ჯანაშვ. 208, 8); კეჯრუხს ჩონში იმგე კაცს ეზახიან, **რემენსაც** სიქახლით თაეზე აღარც ერთ

ბრწ აღარ დარჩომი (ჯანაშვ. 187. 4); ერ კაც ადგება ფაუზე, რემენიც ამ დანასახლებ ბიჭის მარჯუნა თარაფზე დგარია (იმნაიშვ. 259); მიდის, აჰყონს ფაჰჩაჲ, შულს, რემენიც არის თავი კაც (იმნაიშვ. 122); თავთან... ქუას უდებენ, რემენზედაც თავი დაბადების დღე... წერი (იმნაიშვ. 38).

ჩემენიც-ის ორიოდე ნიმუშს ეხვედებით იმავე ინგილოურში (ჯანაშვილის ტექსტების მიხედვით):

კუციან ცხენ, ჩემენიც მამბალ ეყო, შეუკმაზნა (196; 21); კეკრუხს ჩონში იმგე კაცს ეზახიან, ჩემენსაც სიქაჩლით თავზე აღარც ერთ ბრწ აღარ დარჩომი (187, 4).

რომელიცხა

რელაციის ფუნქციით ვადასტურებთ დასავლურ კილოებში — ქვემოიმერულსა და გურულში:

შამოკრა მაყარს, რომელიცხა გვერდით მოყობოდა (ქვემოიმერ.); ბოლოს საცხაიდან ქე ჯაჩთა აქანაი იი ეშმაკი, რომელიცხახ ხუცესმა მიყიდა მისი სული (გურ.: ღლ. 180, 38); მეორე, რომელიცხახ არ შუუძლია მუშოობა, ჯუაროფს (გურ.: ქღ. 95, 12).

რომ, რო

რომ რელაციის ფუნქციით გვხვდება როგორც აღმოსაულურ, ისე დასავლურ კილოებში; ფართო გავრცელება არა აქვს:

დაინახა თავი დედ-მამი სახლები, რომ შავები ჰქონდა გადაკრული (ქართლ.); ჯიბეში რო სისხლი ჰქონდა, იმ სისხლმა მთელი ბორკილი სუ გამოაჭამა ი ბიჭსა (ქართლ.); ბიჭი ის იყო, ტროყიაი, რო ორი კამეჩი მოკლაო (ქახ.); საყდარ რო არბეინამს, ის კაცია (ქახ.); მაიბრუნავთავიე, ზედ რო იწვავ, იმ ჯბომ (ხევს.: ანდრ. 34, 564); სათიბ მთები ჭქონდ ბევრი..., რო მთელს სოფელს ხმარობს (ხევს.: ანდრ. 33, 389); ქალის ყოჭმი რომ იყო, ის კაცი წავა იმასთან (ინგ.: იმნაიშვ. 256); წაე ახლა და დაენაძლავეო ი კაცსაო, ქალი რომ წაგართვაო (მთარაბ.: ძიძ. 90, 14); იქინე რო იყო გაჩერებული, ი კაცი მოკეტა (ქვემოიმერ.): შეხედე იმ კაცს, კაცი რო მოკლა (ქვემოიმერ.); უწინ ის ხმელი ცხენი ნახა, კართან რომ იყო (იმერხ.: მარი 62).

სადაც

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს სადაც რელაციის ფუნქციით:

დაასვენეს ეკლესიაში, სადაც ეშმაკებიც მობრძანებულან (ქართლ.); სახლის კაცები წამოვა ლაშქრით და დაეცემის იმ

სოფელს, სადაც მეკელეიას (ხევს.: გაბ. 140, 5); მიადგნენ იმ სახელმწიფოს, სადაც თავიანთ ორმოც ქალ დაუნიშნიაუ (ინგ.: იმნაიშვ. 124); მივიდა იმ ქალაქში, სადაც მაამისი ცხოვრობდა (გუშრ.: ღლ. 224, 2); როცა მიაწია შვაგულ ტყეში, საიდანაც გამოსლა გაჭირდებოდა, ქალს თვალები უუხსნა (გუშრ.: ღლ. 225, 6); დაამწყრიეს ჯორი იმფერ ეოთახში, სადაც ხაიერი არ შევიდოდა (გუშრ.: ღლ. 241, 9); იქიდან კი ანგელოზნეფს უნდა წიეყვანა იმ ქვეყანაში, სადაც უმუშიერათ ცხოვრობენ (გუშრ.: ღლ. 183, 17); მივიდა ერ თაზე, სადაც მისი ძმანები ეგულვებოდა (ქვემოიმერ.); ამუარჩიე ერთი ფშვენიერი ტყეი, სადაც წყაროც ქე მორაკრაკობდა (ქვემოიმერ.).

საცხა

დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის — გურულ-ქუემოიმერულისათვის:

იგი მოგიყვანს იმ ალაგას, საცხა მარგალიტის თვალია შენახული (გუშრ.: ღლ. 179, 13); მივიდენ იმ წყალთან, საცხა იგინმა ნახეს ერთმანეთი (გუშრ.: ღლ. 212, 38); გამეიარენ იმ გზაზე, საცხა ეთერის ტუფლი წაძერა (გუშრ.: ქღ. 103, 19); გევიდა აი ხმაი იმ სოფელში, საცხა ეთერი ცხოვრობდა (გუშრ.: ქღ. 103, 26); მუაკითხა იმ სახლს, საცხა დგანა მისი რძალი (ქვემოიმერ.); ერთ დიდ მიდორში დეიბარა ე ბალანე, საცხა არე კაცი არ ჰაჰანობდა ქვემოიმერ.).

ვინცხა

ვადასტურებთ გურულ-ქვემოიმერულში:

ხენწიფემ, ვინცხას ცოლიც აი მონადირე იყო, გამუაწვია თელი მისი საბძანებელი (გუშრ.: ღლ. 185, 25);... ქე დეინახა ი ხუცესი, ვინცხამ მისი ხარები იყიდა (გუშრ.: ღლ. 163, 1); გაკუპებულმა ხუცესმა გეიქცა ისოლე იმ კაცისას, ვინცხამ აი ქუდი ძიყიდა (გუშრ.: ღლ. 164, 21); ი კაცი, ვინცხამ ჯოხი დოუმალა, თურმე პეტრიი ყოფილა (ქვემოიმერ.); გარმოუჭიმა თვალები იმ მონადირემ, ვინცხამ ქამარი შამუაძრო (ქვემოიმერ.); არ მეეწონა ი ქალი, ვინცხამ თვალი ჩოუქნია ი დალოცვილს (ქვემოიმერ.).

დასასრულ, უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც მიცართებით ნაცვალსახელთან შეხამებულია მისამართი სიტყვა, ტავტო-

ლოგიურად განმეორებული დამოკიდებულ წინადადებაში. ვაჟილაკი [-ც(ა)] ეკერის არა მიმართებით ნაცვალსახელს, არამედ მასთან დაკავშირებულ სახელს. ამგვარი კონსტრუქციის მაგალითებს უხვად გვაწვდიან ალმოსაველური კილოები:

ორთაუენი წავიდნენ იმ ქალთან, რომელ ქალთანაც მოლაპარაკება ქონდათ (ძართლ.); მერე გამოიარეს იმ ვენახთანა, რომელი ვენახიც ჭალათ უქცია (ქახ.); მივიდნენ იმ ქალთან, რომელ ქალთანაც მიდიოდნენ (ქახ.); მივიდა იმ სახახლეთან, რომელ სახახლეში მანიკა არი (ქახ.); მჭედელმა გაჩწია, რომელმა მჭედელმაც რკინის პალუები შეაგროვა (ქახ.); რომელი გზაც მამამისმა აუკრძალა, სწორეთ იმ გზაზედ წავიდა (მესხ.);... იმ ძელზე ჩამოახრჩობინეს, რომელი ძელიც მურთქეთვინ თვითონვე გააკეთებინა (მესხ.); დაკოჭვილ ქალს წლით თითო საკლავ... უნდ დროშათ სანათლავად იმ ხთიშვილში, რომენ ხთიშვილშიაც დაკოჭვილი ას (ხევს.: გაბ. 153, 21);... დაბერდის ეხში, რომენ ეხსაც ქისტები მომიჯნედ ხყონ (ხევს.: გაბ. 170, 14); და ამისთანა ხთიშვილში აკოჭვიებენ ეშმაკის სულ წამაყრილს ქალს, რომენ ხთიშვილსაც ეშმაკათ გაძეუების კელობაჲ — აქე (ხევს.: გაბ. 153, 19); რომენ ტყეშიაც პატარზალ გომოჩენულ, ამ ტყეში წანასულ მენადირეჲ აღარ დაბრუნებულ (ინგ.: ჯანაშვ. 200, 29).

ეხვდებით ორმაგი კავშირის ნიმუშებსაც:

ამ დროს შეხთა ერ ღარიბ კაცს ხენწიფესთან წასლა, რომელსაც რომ ძაან ეძნელება ხენწიფესან წასლა (გშრ.: ჟღ., 120, 29); ანახვა იმ კაცს, რომელიც რომ ბეჭეტის პატრონი იყო (აბარ.: ხუბ. 31); გზაში შეხთა ერთი ძაღლი, რომელიც რომ მან გზაში გადაარჩინა, ის ძაღლი (აბარ.: ხუბ. 31); ჩვენ ხხარეზეა ე მოხუცებული, რომელიც რომ ნეფე იყო (ძვემოქიმერ.).

4. სივრცითი კავშირები

სივრცითი კავშირებია:

ხადაც	საისკენაც
საცა	სადანაც, საანაც
საცხი	რომ
ხიდაც, სიაც	

კორელატ-სიტყვებად გამოყენებულია: იქ, იქინე, იმ ადგილას.

სადაც

ფართოდ გავრცელებულია კილოებში:

სადაც დილით მზე ამოუა, იქ უნდა ვწიროო (ქართლ.); იქ მისულიყვნენ, სადაც ბოთლები ელაგა (ქართლ.); სადაც ბებერი იჯდა, იქ დასვა (კახ.); სადაც შენი თქვა, იქ ჩემიც დაიკვეხნეო (კახ.); ჩასულას საძროომთ, სადაც უფრო კა ალაგ იყუ (ხევს.: გაბ. 184, 19); სადაც ყორნები ჩადიან, ეს ხალხი მოუიდა იმ ალაგში (ხევს.: გაბ. 178, 29); მივიდა ეს ადუა იმ ალაგში, სადაც თოფნა (ხევს.: გაბ. 194, 16); სადაც ისევე დადგეს, იქ ცოტაად მოშორებით ერთ წყაროო იყვა (ხევს.: ანდრ. 21, 251); ... პური ვარცხლ ალაგევენ იქ, სადაც საქმელ ჩააყრელნი (ინგ.: იმნაიშვ. 38); იქ, სადაც თუთან თავი შეულეე გადეეყარა, ტყე ალარ იყო (ინგ.: იმნაიშვ. 122);იქ წაუდნენ, სადაც დეენახა (ინგ.: იმნაიშვ. 285); სადაც წახოლ, ადგილი იცოდინე (ინგ.: იმნაიშვ. 305); წაიღა იქ, სადაც დღეს ალაზნი გადნაშობ არის (ინგ.: ჯანაშვ. 209); სადაც კაი ბალახი, იქ მიდის (ინგ.: ჯანაშვ. 199, 30); ... მიირბინოთ ვაშლის ქვეშ, სადაც ქვერო ყრია (გურ.: ღლ. 231, 23); ეოქროს ბაღანაი სადაც დამარხეს, იქინე ამეევიდა მშუენიერი ალეისხეი (გურ.: ღლ. 233, 9); გიეშურა იქით, სადაც კივილი ისმოდა (გურ.: ღლ. 248, 11); იქინე დუუწვა, სადაც ძმა ეგულებოდა (ქვემოიმერ.); იქინე მინდოდა დასახლება, სადაც იზდორეს ნამოსახლიაო (ქვემოიმერ.); სადაც ასფურცელამ დოუთქვა, იქინე გაშთა (ქვემოიმერ.).

საც(ა)

გავრცელებულია აღმოსავლურ კილოებში და დასავლურთაგან — რაჭულსა და ზემოიმერულში:

მივიდა, საცა თავი დეიდა იყო (ქართლ.); საცა წახვიდე, მოხვიდე (ქართლ.); საცა მზემა შუქი დაჰკრა, იქ გეეღო კარი მისი (ქართლ.); იქ უნდა წავიდე, საცა ბაღი-ბახჩა მაქსო (ქართლ.); საცა წისკვილი აუშენა, იქ დამარხა (ქართლ.); ამოუარა იმის გუთანს, საცა იმის გუთანი აბია (კახ.); საცა გურგენია ხეზე ასული, იქ გამოიარა (კახ.); მივიდნენ იმ ადგილას, საცა ბეჟანია დატუსაღებული (კახ.); საცა ოსმალები იყვნენ, იქ მივიდნენ (მესხ.); საძროომთ ჩავიდა მინდია, საც ადგილას მაგარი (ხევს.: გაბ. 184, 22); საც დაჰნახა, დააგდა დუმა (ინგ.: იმნაიშვ. 284); ჩაიწია, საცა მამის ჯარი იდგა (მთარაბ.: ძიძ. 93); საცა თხა იცოხნიდა, იგი რქებშუა ჩალუაო (მთარაბ.: ძიძ. 95); მიეყ-

ვანა საცა თვითან ცხოვრობდა (ზემოიმერ.); გეიქცა, საცა ისინი იყვნენ (ზემოიმერ.); მიატანა, საცა გერი ცხოვრობდა (ზემოიმერ.).

საცხა

ლოკალური კავშირი საცხა გვხვდება დასავლურ კილოებში — გურულ-აჭარულ-ქვემოიმერულში:

მივიდა იმ არდგილას, საცხა ძროხის თავია დამარხული (გურ.: ჟღ. 102, 33); რა უჭილარიენ იგენს, საცხა ტრაქტორი უდგება (გურ.: ჟღ. 95, 16); საცხა შენ მიხვალ, მეც იქინე მუალო (გურ.: ღლ. 185, 31); დედას, საცხა ხენწიფის ფუხარია, იქინე მისლის უფლება ხომ არა აქ (გურ.: ღლ. 233, 20); საცხა უნდა მისულიყვენ, იქინეი ვეღარ მივიდნენ იმ ღამეს (გურ.: ღლ. 228, 17); დამიხვთა იქინე, საცხა დიდი სახლებია (ქვემოიმერ.); იქინე ოღუთქვა, საცხა მისი ძველები განისვენებენ (ქვემოიმერ.); საცხა შენ დოუკვირდები, იქინე მეც ამოვჩთები (ქვემოიმერ.).

სიდაც, სიაც

ჯადასტურებთ თუშურ კილოში:

სიდაც ეგულებოდა ლეკის მეკობარი; იქ დაუყარაულდა; სიდაც გინდ დამალულიყუ მაჰამაიუ, მოხკელავდესაუ; — ცხრაა ჰევსური მოკუდ იმ ადგილს, სიაც ჯახლ ქუათემთა ხქუიანი; სიაც ქუეყნის ნახირიუ, ცქავი ბებრის კბოივუ; სიაც ღის ავადმყოფ კაც იწუ, ციცქ შესრულან ლეკები.

საიხკესაც

სპორადულად დამახასიათებელია ხევსურულისათვის „საითკენაც“-ის ფუნქციით:

იმ მკარისკე დაიწყეს ძევა, საისკესაც მინდია არ იყვ წასული (ანდრ. 35, 421); ზურგს იქისკე დავდგებივ, საისკესაც შენ გზაივ (ანდრ. 35, 420).

სადანაც, ხაანაც

გვხვდება ზემოიმერულში:

სადანაც (|| ხაანაც) ება ძროხა, იქანა ჩაყარა; იქანა წავიდა, სადანაც (|| ხაანაც) უმალ იყო; წყალი ამეიყვანა, სადანაც (|| ხაანაც) ბარი დახკრა; ჩაიყვანა ხუთვე შვილი, სადანაც (|| ხაანაც) კოპერატივია.

ზოგჯერ გამოყენებულია ქართულ კილოებში რო(მ) ლოკალობის ფუნქციით:

თქვენ რო დიდი თავები გაქეთო, შიგ უნდა ჩაგსხდეთო (ქართლ.); მეღორე ქორწილში გაგზავნა, ღედელი რო იწერს ჯვარსა (ქართლ.); ია ძროხა რომ ბალახოფს, იქინე ორი წუალია (გურ.: ქღ. 101, 18); იქინეი იყო გადატეხილი, ახლა რომ ბლუკურტი აქ (გურ.: ქღ. 98, 15); ჩავარდი, წკვარამი რო იყო, იქინე (ქვემოიმერ.); მე რო ფაიტონი გარამიტრიალდა, იქინე შემხვეთა სტორეთ (ქვემოიმერ.); ააშენა სახლები იქინე, ეკლესია რო იყო წინათ (ქვემოიმერ.).

დასკვნა

1. აღმოსავლური და დასავლური დიალექტებისათვის საზიაროა, ლოკალური კაუშირები: სადაც, საცა, რომ.

2. დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია საცხა.

3. თუშური კილოსათვის ნიშანდობლივია სიდაც, სიაც.

4. ხევსურული კილოსათვის ნიშანდობლივია ხაისკენაც.

5. ზემოიმერული დიალექტისათვის ნიშანდობლივია ხადანაც, ხაანაც.

6. ლოკალობის კორელატ-სიტყვებია: იქ, იქინე, იმ ადგილას. ამათგან იქ, იმ ადგილას საზიაროა აღმოსავლურ-დასავლური კილოებისათვის, იქინე გვხვდება მხოლოდ დასავლურ კილოებში.

7. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა: სადაც, საცა.

8. კილოებისათვის არაა ნიშანდობლივი სალიტერატურო ენაში დადასტურებული ვინაც.

9. სალიტერატურო ენისათვის არაა ნიშანდობლივი: საცხა, სიდაც — ხიაც, ხაისკენაც, სადანაც — ხაანაც, რომ.

5. დროულობის კავშირები

კილოებში დროულობის მაკავშირებელი სიტყვებია:

როცა, როიცა	რახან
როცხა, როიცხა	რამდი
როსაც	რავარც
რომე, რომ, რო, ომ	მანამ, მინამ
რუმ	სანამ... სინამ...
მუმ	თუ არა, თუ /ვარა

ფართოდ არ არის გავრცელებული:

როცა დეეძინდათ იმათ სუყველას, შავიდა ეს ქალი (ქართლ.); როცა მოკვდა მამა, შვილებმა ვალები გაისტუმრეს (ქართლ.); როცა ლეკებ შემოდენილან აქ, ღიღიღათ უკეთებავის (თუშ.); როცა ქაჩუს ავიდნეს, მურთაზმ უთხრ (თუშ.); როცა რაჲ იქნებად, სუ შენდობას იტყუიან (თუშ.); როცა მეიწყალინა, ქეც უშონა ოთახები (ქვემოიმერ.); როცა ანგარიშების გასტორების დროი მუა, მე გადვიზროფ თავზე ქუდს (გუშრ.: ღლ. 163, 18); მამა როცა სამუშიერზე იყო წასული, ეთერის უთხრა დედამ (გუშრ.: ღლ. 205, 3); როცა მოსაღამურელდა, ქმარმა ეორმოდან ამუუშუა ქალი (გუშრ.: ღლ. 225, 36); ქალმა როცა მუათავა თავისი საქმე, დეიწყო ისევ ხეტიალი (გუშრ.: ღლ. 225, 19); დედამ, როცა შვილი შინ არ იყო, მოპარა კილტე (გუშრ.: ღლ. 223, 21); ამ დროს ბზისუნახავი სტორეთ ამ ადგილზე იყო მოსული, როცა ბერი აბანოში დადაღეო (გუშრ.: ღლ. 224, 19); დედა მისი როცა გეიელის, უჩთილებს (გუშრ.: ღლ. 233, 13); როცა უნდა, რომ გეუდე კარშიო, იმ დროში გააქანებს ზენჯირს (აბხარ.: ხუბ. 36).

როიცა შეიძლება შეგვხვედეს იმერულში:

როიცა ერეკლე ბატონიშვილი დოუნახია, გული შეწუხებია; როიცა ცოლთან დარჩა, მაშინ უთხრა; როცა დაბერდება, მერე იკითხე მაგის ამბავი.

შდრ. საბუთების ენიდან:

როცა დასტური მივცეთ, მას უკან გაყიდოს („დოკუმენტები საქართვ. სოციალური ისტორიიდან...“ I ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940).

როცხა, როიცხა

დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის:

როიცხა დაღამდა, ქალმა აი კაცი მასან დეიწუინა (გუშრ.: ღლ. 198, 18); როიცხა ფულის გადახთის დროი მეეიდა, ამ კაცმა მეიზრო ქუდი... (გუშრ.: ღლ. 163, 26); როიცხა დალაგებას მორჩა, წამეეიდა ისევ ამ წიფლის ძირში (გუშრ.: ღლ. 222, 5); როიცხა დაღამდა, ძმანები მეეიდენ სახლში (გუშრ.: ღლ. 222, 38) როიცხა საქმე საქმეზე მიდგა, მაინც თვითან გამტყუნებდა (გუშრ.: ღლ. 191, 3); როცხა დეეძინა, მიეპარა (ქვემოიმერ.); როიცხა ფულები დოუთავა, მაშვინ ქე სტკლიცა ყპაში (ქვემოიმერ.).

ახასიათებს ხევსურულ კილოს; კორელატად მოუდის მაშინ:

ნამეტნავ მ ა შ ი ნ უფრო ეყრების ეშმაკი, როხაც ბნელობის ხანი ას და თენებისა (გაბ. 152, 26); როხაც კაად ხართ, სვით (გაბ. 127, 23); როხაც მაგარ შუღლ იქნების, მ ა შ ი ნ ქალებმ იციან... (გაბ. 125, 5); არხვატში არბოტიჭნებს როხაც დღეობაი აქე, ჯვარში შაიყრებიან (გაბ. 124, 25); უნცროსებს როხაც თასს მისცემენ, ადგებიან ფეკზე... (გაბ. 126, 13); ზაფხულის, როხაც სიცხე-დარებ დადგების, დნების მყინვარი (ანდრ. 34, 405); როხაც ღილღველნი შაყრილან, თავის მკითხავიც თან მაუყვანაე (ანდრ. 34, 561); როხაც კმალა იყვ, მ ა შ ი ნ ჯერ აჭოს არაბულის გვარ არ ყოფილ დასახელებული (ანდრ. 35, 570); ამღიონთ მეკარავნეთ მ ა შ ი ნ გაიგეს, როხაც ცხენები დაჭერილები ხყვანდა (ანდრ. 30, 349); როხაც დაიჭირეს ეს ადგილები, მ ა შ ი ნ ჭიმღვინებმაც დაიწყეს აქ სიარული (ანდრ. 33, 387); როხაც აღარც თმენა გაეიდოდ, ისენიც კელს უქცევდეს (ანდრ. 21, 245).

ხევსურულში როხაც ფართოდ გავრცელებული კაეშირია.

რომე, რომ, რო, ომ

რომე დამახასიათებელია დასაელური კილოებისათვის:

დილა გათენებული არაა, რომე ასტეხა კივილი ხუცესის ცოლმა (ბშრ.: ღლ. 191, 27); ის იყო, უნდა დიეწყეენ ჭამა. რომე მაინძელმა წამოდგა ზეთ... (ბშრ.: ღლ. 238, 18); ახლა სიტყვა უნდა თქუან ნეფე-დედუფალმა იი ხანია, რომე უცფათე ეიღო არღნის კარები... (ბშრ.: ღლ. 195, 8); ერი საათი არ გასულა, რომე ქალის პირიდან მიორე უხსენებელმა ამოყო თავი (ბშრ.: ღლ. 212, 13); არ გასულა დიდი ხანი, რომე გამოჩთა ბზისუნაზავი (ბშრ.: ღლ. 222, 19); არ გასულა ხუთი წელიწადი, რომე დეიწყო ისოვლე ჩხუბი-დავიდარაბა (ქვეშოიმერ.).

რომ-რო ოხმარება ყველა კილოში:

საქმე რომ მოათავეს, ადგნენ (ქართლ.); ალუდაური გონზე ალარ ას, რომ დაიჯერა ძმის სიკვდილი (ხევს.: გაბ. 179, 16); ეს ამბავი რომ ქალმ გაიგუ, მეტად გუღხარდ (თუშ.); ზაღლები რომ იმ ქალზე მისცუვდნენ, მ ა შ ი ნ ქალმა ყურდგელი კელით გაუშო (ინგ.: იმნაიშვ. 340); ქალის ეზოში რომ გაუწყევენ, ერ თოფ ესროან (ინგ.: იმნაიშვ. 256); ხუალ ღამე რომ იქნება, იმ კაცს ებნებიან (ინგ.: იმნაიშვ. 256); საქმეს რომ გაასწორებენ, ქართულს რომ მისცემენ, მ ა შ ი ნ ერ მანათ ბეჭს მისცემს (ინგ.:

იმნაიშვ. 256); ზოლ დროში შჭლი ხუთმეტი წლის რომ ათავდებოდა,... იფიქრებდნენ (ინგ.: იმნაიშვ. 255); ახლო რომ ვიდევიდე, დაიბანე ფეხები (მთარაშ.: ძიძ. 94); შიგნები რომ ამევიღე, მაშვინ, შევატყვე... (გურ.: ყღ. 98, 3); ბზეი რომ დაბნელებულა, მაშვინ ერი წლის ვყოფილიყაი (გურ.: ყღ. 96, 11); ცალი რომ გუუშვი, ცალი ხელით გაეჭარი (გურ.: ყღ. 98, 1); კიდომ სამი დღეი და ღამე რომ იარენ, მიაწიეს ქალაქთან (გურ.: ღლ. 211, 14); ეს რომ კონტუებმა დეინახეს, კაღამ გაგიქდენ (გურ.: ღლ. 240, 33); ხენწიფე გაკვირდა, ხუცესი რომ დეინახა (გურ.: ღლ. 181, 32); ამირანმა რომ ამეიარა, მოხკრა თვალი (ქვემოთიმერ.); — რო მუუმარჯვდა ხუთკუნჭიას, გამაჭსროლა დევს ერთი წისქვილი (ქართლ.); რო მოეკვდეო, საქათმეში ჩამმარხეო (ქართლ.); სანადიროში რო ჩასულიყვეს, ეყარ წილი (ხევს.: გაბ. 197, 12); ჯერ დილა რო გათენდების, მაშიაე უმაწუილებ გაიტაცენ ვაცებს (ხევს.: გაბ. 147, 4); რო დაითვრებიან..., მაშინ სიმთვრალით ხალხს ბევრჯელ მაუვას შუღლი (ხევს.: გაბ. 124, 26); რო დაითვრებით, ერთუცს დაერევით (ხევს.: გაბ. 123, 29); ომამ რო ეს დეეი მააკვლიე კოპალას, მაშინ ქოდ ძალიან გადეეკიდნესად'... (ხევს.: ანდრ. 34, 564); ამ ადგილის სიგელები მაშინ დაგვეწვეე, რო წინწინ რუსობა შამაუიდ (ხევს.: ანდრ. 33, 386); ხალხმ რო გაგაის დანაბარებ გაიგ, მაშივ მაემზადნესა... (ხევს.: ანდრ. 32, 378); რო გათენდაუ გავიდ-გამოვიდა ხალხი (თუშ.); მემრ მაჰამამაუ ორ ჭედიღ დახკლაუ, გაპარვა რო გავბედეთაუ (თუშ.); ოთხ დღე რო გავიდ, გარეევი ამოედითა... (თუშ.: ხუბუტია); ცოტა წინაყენ რო წავდა, ამის ვირი დეეფალა (ინგ.: იმნაიშვ. 305); რო გომოუდნენ გარეთ, შაჰაბაზმა უოხრა (ინგ.: იმნაიშვ. 303); შაჰაბაზი რო ალოცებს ხალხს, იმაშინ იმის ფიქირი წავდა ინდოსტანში... (ინგ.: იმნაიშვ. 303); რო წუმა მუა, გაკკადე ტანსოსი (ინგ.: იმნაიშვ. 297); თხა-ბოტი რო წამაიშლების, დააყრიან თოფებს (ფერეიდნ.: ჩიქ. 241); სოფელთან რო მოახლოუდებიან, ხალღი მოეხოეის (ფერეიდნ.: ჩიქ. 241); ალობის წიგნი რო მევიდა, გევიგეთ... (გურ.: ყღ. 99, 4); ხენწიფე რო გადეიცვალა, უმფროსი დაედა ტახტზე (ქვემოთიმერ.).

დროულობის გადმოსაცემად რომ, განსაკუთრებით გამარტიევებული რო, ფართოდ ფეხმოკიდებულია ქართულ დიალექტებში.

კორელატ-სიტყვებად გამოყენებულია მაშინ, მაშვინ (დასავლ. კილ.), მაშიავ-მშიავ (ხევს.), იმაშინ (ინგ.).

რომ-ის ის სახეობა, რომელიც მიღებულია თავკიდური ბგერის გამარტივებით (ომ), სპორადულად გეხვდება თერჯოლურში და აჭარულში:

.მე ოშ შამუარტყი, ხმალი იშიშულა (თერჯოლ); მერკეილაძე ოშ მარჯვეთ დოუხვთა, პატარა ფერი ქე ეცვალა (თერჯოლ.); იქით ოშ გეხვალ, ...ისიც ჩვენია (აბარ.: „იბერიულ-კავკას. ენათმეცნიერება", 1, 338); ჩვენში ოშ გოგო გეეთხუებან, ასე შეალებს თორებს (აბარ.: იქვე); ახლა გელინი ოშ მუან, მის სახლისას ყველას მუუტანს აბრეშუმის წინდას (აბარ.: იქვე, 339); ხელზე ოშ გაქ..., დაგეწვის ხელი (აბარ.: იქვე).

რუმ

რუმ განსაკუთრებით გავრცელებულია ინგილოურ კილოში; გვხვდება აგრეთვე გურულ-აჭარულში:

ეეს რუმ თქოა, კაც მაშინაკ მოკდო (ინგ.: ჯანაშვ. 199, 22); ერ წელს რუმ ზმაი იცავსა, ახლა მომავალ წელს დაი ჰყურობს (ინგ.: ჯანაშვ. 199, 26); ამას სიცივემ რუმ მოუჭირაა, ბტა-დბტა (ინგ.: ჯანაშვ. 205, 12); შინ რუმ მოვდაა, დედაკაცს არაიფერ არ ჰუთხრა (ინგ. ჯანაშვ. 198, 18); რუმ მაიხედა და მობრუნდაა, წამაიწია (ინგ.: ჯანაშვ. 186, 9); პიწწა ხან არ გასულ, რუმ გელ მოზუნზულებულ (ინგ.: ჯანაშვ. 189, 24; იხ. აგრეთვე: 192, 22; 193, 1; 190, 7; 192, 4; 184, 23; 208, 10; 207, 1; 205, 14; 204, 14); ირემ რუმ გადათქა, ყერყანტურში დარჩა (ინგ.: იმნაიშვ. 245); გრლმა ქალ რუმ აიყონა, პატარა ზმას უთხრა (ინგ.: იმნაიშვ 128); რუმ ჩინარი თავზე აიტანო, იმ დროზე ბეჭედ ჩააგდ ზეში (ინგ.: იმნაიშვ. 127); ამ ქალმა პატარა ზმა რუმ დაინახა, მეეწონა (ინგ.: იმნაიშვ. 127); დევმა რუმ შაჰხედა, გამათდა (ინგ.: იმნაიშვ. 127); ეს რუმ დაინახეს, ხუთ ზმამ ერთმანეთს უთხრეს (ინგ.: იმნაიშვ. 126); ჩონში ინსან რუმ კდრვ, ორმოც დღე იმა თავი ადათ აქ (ინგ.: იმნაიშვ. 38); დეკაცევ ოზრდთი რუმ გამოვლენ, ახლა კაცევ შაელენ (ინგ.: იმნაიშვ. 38); გაბარებულმა ხუცესმა რუმ ასთე ეფათ იშონა ამფერი ხარები, ხელათ დუუთვალა სამი თუმანი (გურ.: ღლ. 162, 17).

ჰუმ

დროულობის კავშირის ამ სახეობას გვაწვდის ინგილოური კილო. მაგალითები არსებული ტექსტების მიხედვით მეტად განსაზღვრულია:

არდევამ დილაზე ჰუმ გამაღდ ზაა. ნახა (ჯანაშვ. 192. 31) კერკლებთან ჰუმ მისულანა, ყოს დაუჩხაულნი (ჯანაშვ. 183, 14); ორიე წამალ ჰუმ დაულიბნებია, წამლებ შეჰიდებულან (ჯანაშვ. 191, 15); ვაშლ ჰუმ ჩომოკუვდაა, ქალებ ხალიჩაზე გადახტნენ (ჯანაშვ. 192, 14).

რახან

ვადასტურებთ ხევსურულ კილოში.

უმაწვილ **რახან** იქნას ერთის წლისა, მ ა შ ი ნ ვადუღებთ ლუდს (გაბ. 130, 24); თავის საარსოში **რახან** მავიდისავ გიორგიივ, მ ა შ ი ნ ახკდიანავ ნისლის კოტორნივ (ანდრ. 34, 557); **რახან** საისკე გაემართოსაუ, გიორგისავ ნისლის კოტორ გახუეისავ თანავ (ანდრ. 34, 556); **რახან** მავიდისავ გიორგიივ, შორით მაგვედინისავ იმის ცხენის ბიბინი... (ანდრ. 34, 557); მე **რახან** გითხრათავ, მ ა შ ი ნ დასხლიტიდითავ (ანდრ. 21, 243); აქად' აქ დამმარხიდითავ, **რახან** მავკვდავ (ანდრ. 34, 402).

რამდი

გვხვდება ზემოიმერულის თერჯოლურ დიალექტში:

რამდი არ დაზამთრდება, სოფელ-სოფელ იარს; **რამდი** ხიდამდი მიხვიდოდი, მოქკლავდა; **რამდი** არ შოუთვლი შენს სიძეს, არც მოგეკარები და არცაო; **რამდი** ი სულგაციებული მამასახლისი ჯიბეს არ გეიტენიდა, მოქცილდებოდა გონიაო? **რამდი** რაჭას ააწევდი, სული ქვე ამოქხთებოდა.

რავარც

დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის:

ერთი თვეი **რავარც** კი გავავო, შეიხედეთ ოთახში... (**გშრ.**: ღლ. 241, 5); დეუმა ქალი **რავარც** წეიყვანა, ხენწიფე მუუბრუნდა ვეზირეფს (**გშრ.**: ღლ. 218, 9); შენ, **რავარც** გათენდეს, კივილი დეიწყე (**გშრ.**: ღლ. 191, 23); მე **რავარც** შევკივლო, შამოუარდი (**გშრ.**: ღლ. 221, 10); სახში **რავარც** მივიდა, ქალმა ქითხა... (**გშრ.**: ღლ. 162, 21); **რავარც** შამოუტრიალდა, იმ წუთში დეეცა (**ძვემოიმერ.**); **რავარც** გეისტუმრა მისი ცოლი, მ ა შ თ ე ვ ე აფრინა კაცი მაინჯასთან (**ძვემოიმერ.**); **რავარც** დოხტურს დოუძახა, ქიარ გამობრუნდა? (**ძვემოიმერ.**); **რავარც** პოეზდმა იკივლა, მ ა შ ი ნ თ ვ ე ამანაც მორთო ღრიალი (**ძვემოიმერ.**); **რავარც** ჩხუბი ატყდა, მ ა შ ი ნ თ ვ ე ეყოლა უაიშვილი (**ძვემოიმერ.**); **რავარც** დაინახა, იცნო როსტომი (**მთარაშ.**: ძიძ. 93).

როგორც ჩანს, კორელატ-სიტყვად **რავარც** მაკავშირებელ სიტყვას ქვემოიმერულში ეხამება **მაშინთვე, მაშთვე.**

მანამ, მინამ

ფართოდ არაა გავრცელებული. ახასიათებს აღმოსავლურ კილოებს:

მანამ თქვენ მახლთავ, მე არ გავაკეთებიებავ აქაჟ კორღანსავ (**ხევს.**: ანდრ. 32, 378); მ ა ნ ა მ დ ი ნ აქანებდეს, **მანამ** სისხლ სრუ არ გამაშრებოდა (**ხევს.**: ანდრ. 35, 417); **მანამ** წულის

ადიდებდა იქნებოდ, მანამდინ ეშურებოდეს (ხევს.: ანდრ. 32, 373); მანამ იარაღს იქმარებდ, დევს გაურტყამ სილაი (ხევს.: ანდრ. 34, 567); მანამ მიზიდივად მანამ აკალ თოფ, მანამ არ დაიქცნესა (ხევს.: ანდრ. 30, 360); მანამ არ ჩაიქცაე თათარასავ, კიდევ არ უშობდავ (ხევს.: ანდრ. 20, 230); შენობას არ ვიტყვითავ, მანამ ცოცხლები ორთავ (ხევს.: ანდრ. 20, 229); მინდიამ მინამ იცად, მანამ ყველას არ დაეძინ (ხევს.: ანდრ. 35, 421); მანამ ვერ გავიგეთაუ, მანამ სოფელშიგ არ შემოიდაუ (თუშ.); მინამ თვალეფს მაიფშუნეტდა, ამ ბიქმა-კარქა გზა გამაიარა (ქართლ.); მინამ მთაზე არ ავალ, მინამ არ ამოუშოთ (ქართლ.).

კორელატი-სიტყვა მანამდინ, მანამ და მინამ.

ხანამ, სანამდი

გეხვდება როგორც აღმოსაელურ, ისე დასაელურ კილოებში:

ხანამ იქ მივლენ მიჯნაზე, სანამ ჯაჭვი კალთა შეარხია ღორმა (ჯახ.); იქიდან გამაქცეული ეს ღორი ხანამ მიჯნაზე მივიდოდა, სანამ ბეჟანმა ხმალი დაჰკრა და წააქციას (ჯახ.); კარში გამოსვლის ნება არ აქვ, ხანამდი არ გათენდების (ხევს.: გაბ. 151, 3); ხანამდი მაშუღლარ საკლავს არ მაიყონს, დროშა კარში იქნების (ხევს.: გაბ. 124, 18); მაგრამ სანამდი ცოცხალნი ორთ, დედას უტირებთ მტერს (ხევს.: გაბ. 191, 5); ხანამდი ისები დაიზდებიან, მანამდი ან რა იქნება, ან რა (ხევს.: გაბ.: 171, 23); დაიწყუებენ სმას, ხანამდი არ გაუთავდების მასპინძელს ლუდი (ხევს.: გაბ. 131, 4); ხანამდი არ დაათრობს ხალხს, დაუწყებს სმას (ხევს.: გაბ. 130, 13); სანამდი შუღლა — გამჭდელ ჯურუმს ან მაიყონთ, არ დახკლავთ (ხევს.: გაბ. 123, 24); მე სანამ დავიძინო, ქთენ წადი, ააცვით... (მესხ.); სანამ ხემწიფი არ დაოძახვდა, ვერც ერთი ცოლი ვერ მივიდოდა (მესხ.); სანამდი ეს მისულიყო, იქამდი სხვა იყო ხემწიფეთ (მესხ.); სანამდი არ დაეამთავრეფ, ვერ მომკლავ (გშრ.: ღლ. 249, 17); სანამდი შიეძლო, ქი არჩენდა მამამისი (გშრ.: ღლ. 229, 31);... სანამდი კუკუ არ დეიძახო, მანამდი ადგილიდან არ დეინძრაო (გშრ.: ღლ. 225, 7):

შენ მანამდი არ მომკლავ, სანამდი მე „მამავო ჩვინოს" არ დავამთავრეფო (გშრ.: ღლ. 248, 13): სანამ მე არ გითხრა, იქამდი არ დეიძრა (ქვემოიმერ.); სანამ ხემწიფე არ მომკვდარა, იქამდი სულ ქეიფობდა (ქვემოიმერ.).

ხანამ-ის კორელატია მესხურსა და ქვემოიმერულში იქამდი.

თუ არა, თუარა — თვარა

ხევსურულში (და აგრეთვე ინგილოურში) უმთავრესად იხმარება თუ არა ბოლო ა-მოკვეცილად:

დაღამდებისა თუ არ კარგად, ყველა სახლის პატრონი შასხამს ცეცხლში ხუთ-ხუთს შეშის გალებს (ხევს.: გაბ. 150, 18); წამასულა თუ არ ეს მინდია, შაუყრავ ამ აკვათ ლაშქარი (ხევს.: გაბ. 183, 4); დაათავა თუ არ ეს სიტყვა, მ ა შ ი ვ ქისტებშიგით ორი ქალი გამაერჩია (ხევს.: გაბ. 172, 23); ამმა გათენდა თუ არ, ზემ გამოაჭყიტა (ინგ.: ჯანაშვ. 205, 21).

დასაელურ კილოებში გვხვდება თუ არა:

შემოდგეს თუ არა ფეხი ხიდზედა, ე ვაჟა დახვდა წინ (მთარაბ.: ძიძ. 88, 15); მივედი თუ არა, ხარმა გელი ცეხლისკენ გადმუაგდო (გურ.: ქღ. 97, 22); მოვიდეს თუ არა, აგი ყმარწვილი ჩქარა მოკალითო! (გურ.: ღლ. 247, 17); დაინახა თუ არა ვაჭარი იმ კაცმა, გამეუიდა კარში (გურ.: ღლ. 198, 30); მართლაც ეს თქუა თუ არა, ეთერის დედა გადიქცა ძროხათ (გურ.: ღლ. 205, 5); გარადგა ფეხი თუ არა, ტყვია უპოვილეს (ქვემოიმერ.); მეღირსა თუ არა ხემწიფის სიკეტილი, ვაფრინე მახარობელი ბიძაჩემთან (ქვემოიმერ.).

იმავე დასაელურ კილოებში უფრო გავრცელებულია თჳარა-თვარა.

ხუთი წელი გაათავა თჳარა, საშუალო სასტავლებელი გაათავა (გურ.: ქღ. 106, 18); ეტკლიცე თჳარა, უკანიდგან მრეხვენ თავში (ქვემოიმერ.); მევიდა შინ თვარა, ქალმა უყვირა (გურ.: ღლ. 240, 13); ეს თქუა თვარა, დუუძახა მოკროე ბიჭეფს (გურ.: ღლ. 238, 35); დეიბანა ტანი თვარა, ქი გადიქცა ვაცათ (გურ.: ღლ. 185, 18); ძმანები წევიდენ თვარა ბზისუნახავთან, მევიდა ერთი დედაბერი (გურ.: ღლ. 222, 31).

ვადასტურებთ თითო-ოროლა შემთხვევებს, როდესაც დროულობის კავშირებად კილოებში გვეელინება: რაკი, ვითაიც, ხარამ(დი), ვირამდი.

რაკი-ვითაიც შეიმჩნევა ხევსურულსა და თუშურში:

რაკი კელს არავინ მაეკიდების, მ ა შ ი ნ ჭურდ თავს ვეღარაით გაიმართლებს (გაბ. 139, 18); ქალს მარტო ძალიან სიწმინდე უნდ, წმიდად ყოფა, რაკი ჯვარის დაკოვილ იქნების (გაბ. 153, 15); რაკი ცხურებ დასტაცესაჳ, ცხვა სოფლებშიგ წასრულიყუ თუშებსთანაჳ (თუშ.); — ამ კლდის პირში ვითაიც მოსულა, მოუკლავ მინდიას (გაბ. 184, 31).

სარამ(დი) — ვირამდი ახასიათებს მესხურს:

ხარამ ცოცხალი ვარ, ვერ წაიყვანო; ხარამ მასთან იყო, შვილივით იყო; სარამდი მზეთუნახავს შეეყრებოდა, კარგად გამოიკაზმა; ვირამდი გაგზავნე, ტირილი იყო...; ვირამდი ხენწიფე დაათვალიერებდა, ცხენი მოუკლა.

შდრ. 1888 წ. ხიზაბავრაში ჩაწერილი ლექსიდან:

ხირამდი ვარ, ასე უიქ... (ე. უმიკაშვილი, „ხალხური სიტყვიერება", გვ. 612).

დასკვნა:

1. აღმოსავლური და დასავლური დიალექტებისათვის საზიაროა დროულობის შემდეგი კავშირები: **როცა, რომ-რო, სამამ(დი), თუ არა.**

2. აღმოსავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია **მანამ-მინამ.**

3. დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია: **როიცა, როცხა-როიცხა, როიე, რავარც, თვარა.**

4. მთის კილოებისათვის (ცერძოდ, ხევსურულისათვის) ნიშანდობლივია: **როსაც, რახან, სპორადულად რაკი, ვითაიც.**

5. ინგილოურ-აჭარულისათვის ნიშანდობლივია **რუმ.**

6. ზემოიმერულ (თერჭოლურ)-აჭარულისათვის ნიშანდობლივია **ომ.**

7. ინგილოურისათვის ნიშანდობლივია **ჰუმ.**

8. ზემოიმერულისათვის (თერჭოლურისათვის) ნიშანდობლივია **რამდი.**

9. მესხურისათვის ნიშანდობლივია **სარამ(დი), ვირამდი.**

10. დროულობის კორელატ-სიტყვებია: **მაშინ, მანამდინ-მანამ-მინამ (აღმ.), მაშვინ-მაშინ(ა)თვე-მაშთევე (დასავლ.), მაშიავ-მაშივ (ხევს.), იმაშინ (ინგ.).**

11. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა: **როცა, რომე-რომ, რაკი, მანამ-მინამ, სანამ, თუ არა.**

12. კილოებისათვის არაა ნიშანდობლივი კავშირები, რომლებიც დადასტურებულია სალიტერატურო ენაში: **რა-რაჲ, როდეს-როდესაც, როს, რომელ, რაჟამს, ოდეს-ოდესცა-ოდესაც, ვინაჲთგან, ვიდრემ-ვიდრე, ვინემ.**

13. სალიტერატურო ენისათვის არაა ნიშანდობლივი სახეობანი, რომლებიც დადასტურებულია კილოებში: **როიცა, როცხა-როიცხა, როხაც, რო, ომ, რუმ, ჰუმ, რახან, რამდი, რავარც, სარამ(დი), ვირამდი, თვარა.**

6. მიზეზობითი კავშირები

მიზეზობით კავშირებად გამოყენებულია:

რადგან(აც)	**რომე ,რომ, რო**
რაკი	**იმით რო(მ)**
რახან	**ვინაიდგან**
რალაჲ, რალამც	

რადგან(აც)

ძალზე იშვიათად იხმარება, და თუ გვხვდება, უმთავრესად ბარის კილოებში:

რადგანაც დახედეს, ნახეს მესამეთა (ქართლ.); ამხანაგებმა აღარ შიატყობინეს, **რადგან** ბრაზი მოსდიოდათ (ქართლ.); ოქროს თმები წაჭრილი ჰქონდა, **რადგანაც** იქვე გრძელი დალალები ეყარა (აახ.); **რადგანაც** შენ გადამარჩინე, შენი ვარო (მესხ.); ამ თქმაზე ღვდელმა შეწუხთა, **რადგან** წაკითხვა არ იცოდა (გურ.: ქღ. 100, 12); მე მას უძახი ომის ციხეს, **რადგანაც** დაბლა იქინე არის „ლხინის წყალი“ (გურ.: ქღ. 96, 9); **რადგან** დაღალული იყო, ვაჭრის ეზოში დიეძინა (გურ.: ღლ. 247, 14); ... ეს კაცი ვერ იცნეს, **რადგან** მას სახე ახოვილი ჰქონდა (გურ.: ღლ. 218, 21); **რადგან** ხარები ჭე ყოფილა კარქათ, მოი, ერთ რაცხას ქთხოვ... .(გურ.: ღლ. 163, 7); ... ყოლიფერი კარქათ დახთება, **რადგან** მარჯვე მოჯამაგირე ხაუს სახში დატიებული (გურ.: ღლ. 198, 27).

რაკი

ვადასტურებთ აღმოსავლურ კილოებში. განსაკუთრებით გავრცელებულია მთის კილოებში — ხევსურულში:

უნდა გაჩუქოთ, **რაკი** შვილი გამიცოცხლეთო (ქართლ.); ის ბეჟანი **რაკი** გმირი იყო, შურდა იმ ბიძას (ქართლ.); აეგ ფული მიჩუქებია თქვენთვინაო, **რაკი** ამბავი მამიტანეთო (აახ.); ღვდელმა დაიმშვიდა გული, **რაკი** ი ქალი მოკლა (აახ.); **რაკი** ეს საქმეი-ხქენ, აქამდი მაიყვანე, ეხლა ჩვენ ვიცით (ხევს.: გაბ. 172, 25); უსათუოდ მახკლევდავ, **რაკი** ეს ცხრა-ათი თოფის კმა მავიდავ (ხევს.: გაბ. 194, 11); **რაკი** თქვენს ჭელში ჩავვარდნივ, „სული ტკბილიავ“ (ხევს.: ანდრ. 20, 229); კაცს არა მახვდ, **რაკი** სანგალში ისხდეს (ხევს.: ანდრ. 21, 243); არხოტიონთ გუდანის ჯვარ არ ხყვარებივ, **რაკი** იმის დროშაით უდენავ არხოტიონთ დასალაშქრავად (ხევს.: ანდრ. 34, 562); იქ არავინ არ ცხოვრობს, ზამთრამდინ, **რაკი** ეს ადგილი ღილღველთ აწლოს ას (ხევს.: ანდრ. 30, 353); **რაკი** ძალიან მთა ალაგი იყვ, არ მასწონებივ ეს ალაგი (ხევს.: ანდრ. 33, 385); ტყვია კი არც იმათ მახვდად არც კაგას, **რაკი** თოფებს ვერც ღლიშნებდეს სიბნელით ერთუცს (ხევს.: ანდრ. 30, 360).

რახან

დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის:

რახან ეგრეა, მე დავიწყებ (ქართლ.); **რახან** მდევი მოიშორეს,

ამირანმა უთხრა... (ქაზ.); დედანიმც ნუ მიტირებენ, რახან ეგ ქალები თქვენ ღილღოს წაგაყვანივათ (ხევს.: გაბ. 167, 5); მაშინ რაიღ მინდია ვიქნები, რახან მარტო ვერ გაუძღვა აქვათ (ხევს.: გაბ. 183, 24); აქ რახან ქარმ დაღბერხის, ნაცრის ბუქი ნისლივიდ გაწვის მთებზე (ხევს.: ანდრ. 35, 422).

აღსანიშნავია, რომ „აღორძინების ხანის" სალიტერატურო ენაში რახან-ს ზოგ ავტორთან უპოვია ლიტერატურული გამოხატულება:

ვითამც არ დაეკარგულვარო, რახან შენ შეგეყარეო (რუსუდანიანი); რახან რომ დია კარგნი კაცნი და ფიცხნი მოწიფულნი იყავით...; ბაღში შეგიწვიათ... (რუსუდანიანი); რახან კვიროს მამა მკვდარი ნახა, არქვა (არჩილი).

რაღაც

დამახასიათებელია ზემოიმერულისათვის:

რაღაც, მასე ქენი, არ გელაპარაკები აწე; რაღაც არ მიიღეს, წიფის ტუნელი დახერგეს რაზმელებმა; რაღაც გადავრჩი, არ დაეეძეფ არაფელს, და მისთ.

გურულში უმთავრესად -მცა ნაწილაკდართულად იხმარება: რაღამც.

მაგალ.,

რაღამც მასეა საქმე, კაი აპავო (ღლ. 196, 29), და მისთ.

შდრ. ზემოიმერულივე:

რაღამც გევიგე, რა მადარდეფს აწე.

შდრ. საბუთების ენიდან:

რაღა ბეგი მოკვდა, მერმე ქვეით გაყიდეს (ბერძენ. 474).

აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთელთან, როგორც ზემო იმერეთიდან გამოსულ მწერალთან, თავს იჩენს რაღაი მიზეზობითი კავშირი:

რაღაი შეგვატყო..., სულ სხვა რამეებზე გუესაუბრებოდა (442); რაღაი კი იმას ჩაიგდებენ ხელში, შედიან სამსახურში (473); რაღაი კი ერთხელვე სხვა გზა მქონდა ამორჩეული, არა ექენი სამსახურში შესვლა (466); იმ დღიდან რაღაი კი დას გადასცა ჩემმა ცოლმა უფლება და ეექილობა, ის და გახდებოდა შემკვიდრედ... (464).

რომე-რომ-რო

რომე დაუცავს დასაელურ კილოებს:

იმიზა არ წამეუედი, რომე ყაროული მყავდა დაყენებული (ძვემოიმერ.); იმისთვინ მოვედი, რომე ჩემთან ერთი სტუმარი არი (იმერხ.: 58), და მისთ.

რომ-რო ნიშანდობლივია აღმ. კილოებისათვის:

დაიძინა, დაღული რო(მ) იყო (ძართლ.); სახემწიფო დაიპატიჟა ხევშიფემ, რო(მ) გაიმარჯვა ომში (ქაბ.); შენდ კი უშველავ დიდ არხოტის ჯვარს, რო არ მაუკლიხარ აქვათ (ხევს.: გაბ. 185, 28); მადლობელი-ორ შენი, ოჩოპინტეო, რო ჯიქეი მამაკლიე (ხევს.: გაბ. 154. 9).

იმით რო(მ)

ნიშანდობლივია ხევსურული კილოსათვის:

ისენ მაინც წავიდოდეს ზამთრის, **იმით რო** იქ ზაფხულის არა-ი ძოვდა (ანდრ. 30, 354); ჩემ სატირლადაე ნანას ნუ მაუტეკთავ, **იმითავ რო** ქება-დიდებით ტირილ იცისაო-დ... (ანდრ. 20, 238); ძალიან გააბარნ ეს ძმან, **იმით რო** ძალიან ჯავრი შჳირდა (ანდრ. 36, 429); კაცებს იმოდნად ვერ სწონენ, **იმით რომ** ხალხ იარა-ღიან დადის (გაბ. 152, 23); თქვენ უფრო გინდათ მაგრა დაჳერა მგელთ უქმისა, **იმით რომ** თქვენ ჯერ ქვე არა გყჳათ (გაბ. 149, 2); ზოგს ერთ თიკანიც არ ხყავ მგლისაგნივ მაკლული, **იმით რომ** ის ხალხნ ყველაზე მაგრად უქმობენ (გაბ. 148, 28); უფრო კევსურ-თა არვინ მამკვდარას ომში, **იმით რომ** კევსურთ სრუ ყველას ჯაჳვი სცმივ (გაბ. 164, 11); არხოტიენებს არ უნდა ნების-ნებას იმათ დაკოცა, **იმით რომ** ტყვის მოკვლა ჩევნში დიდ სირცხვილი ას (გაბ. 169, 18); ... არ შასწირავს, **იმით რომ** ისიც შასწირაუს და სწორ-სწორნ იქნებიან (გაბ. 137, 26).

ვინაიდგან

დამახასიათებელია გურულ-იმერულისათვის:

ვინაიდგან მასთეა, ქი ამოყევი პოეზდს (ბშრ.); **ვინაიდგან** უფრო ჰკვიერია, ქე გოუძღვეს ამ ბოქშებს (იმერ.).

დასკვნა:

1. ბარის კილოებში გეხვდება **რადგან(აც)**;
2. აღმოსაელური კილოებისთვის ნიშანდობლივია **რაკი, რახან**;
3. **რომე-რომ-რო** დადასტურებულია აღმ. და დასავლ. კილოებში;
4. **რაღა(მც)** ნიშანდობლივია იმერულ-გურულისათვის;
5. **იმით რომ** ნიშანდობლივია ხევსურულისათვის;
6. კილოებისა და სალიტ. ენისთვის საზიაროა: **რადგან(აც), იმით რომ, ვინაიდან, რომე-რომ, რაკი**;
7. კილოებს ძრ ახასიათებთ: **რამეთუ, ამით რომე, ამად რომ რო-ჴელ.**
8. სალიტ. ენისთვის არაა ნიშანდობლივი: **რაღა, რახან.**

7. მიზნითი კავშირები

მიზნითი კავშირებია კილოებში:

რომე-რომ-რო
რუმ

რომე

ახასიათებს დასავლურ კილოებს:

შელება დანა და მუუტანა მამას, **რომე** დააჯეროს, დაის ნამღვილათ სიკტილში (**გუშრ.**: ღლ. 221, 34); წევიდა ცხუნკურში. **რომე** რამეფერათ დეითანხმიოს (**ქვემოიმერ.**); იქინე დგანარიენ. **რომე** დეინახონ ამომაეალი (**ქვემოიმერ.**); იმიზ გულიზა გაბარეფ, **რომე** სწორი მითხრა (**ქვემოიმერ.**).

რომ

გავრცელებულია მთის კილოებში, ინგილოურში და დასავლურ კილოებში:

წაიყვანეს თავის შინ, **რომ** ეს სამის თვის ყმაწვილი აღარავის მეეკლა... (**ხევს.**: გაბ. 172, 3); სრუ მუდამ უნდა სთხოვას გამარჯვება, **რომ** კელ მაუმართას მენადირეს (**ხევს.** გაბ. 154, 2);

ჩონ აქე წაეკიდნოთ, **რომ** მეცუცქულე გარე გომოუდეს (**ინგ.** იმნაიშვ. 283);... დროზე კელეე გაუპწორას გულზე... **რომ** კდარ ლამაზ იყოს (**ინგ.**: იმნაიშვ. 37); ქალი **რომ** დიერწმუნებია სახლის ნაბუსავიდან, პაწაი ისრიც ჩამიეღლიტა (**გუშრ.**: ღლ. 226, 1) გამუარდა გარდამ, **რომ** მოკლას მოჯამაგირე (**გუშრ.**: ღლ. 198, 36); გააკეთებია დიდი პწკალე, **რომ** ფუხარის კალამთან ასულიყო (**გუშრ.**: ყლ. 107, 13); იაშიკს ჰუჰრუტანა გოუკეთა, **რომ** სულის მოთქმა შეძლებოდა (**ქვემოიმერ.**); მე იმიზა მივდივარ, **რომ** დავარწმუნო (**ქვემოიმერ.**).

რო

საერთო დამახასიათებელია:

ეს მიმირთვით ავქაზდელსა, **რო** მიიყვანოთ შინაო (**ქართლ.**). ხინკლის წვენს აბერეტიებდეს, **რო** ძალიან გასუქებულყვა (**ხევს.**); ეს ორ უპატრონო ადგილ გვიბოძევ, **რო** დავსახლდათაკ (**ხევს.**); ღილღველნი ქრისტიანის კელით დაკლულის საკლავის ჯორცს არ ჰამდესა-დ იმის გული სად, **რო** ღილღველებივ უნდა დავ-

ხპატიჯათაე (ხევს.: ა. ოჩიაურის მასალებიდან); ერთი მორწყაემა წავიდა სარწყავზე, რო გოლი გამოეშოს (ფერეიდნ.: ჩიქ. 242); იმასთან რო არ გეიგულავო, ამიზა გეჩხუბებიენ (ქვემო-იმერ.).

რუმ

ნიშანდობლივია ინგილოურისათვის:

უგე იმიბე შემინახი, რუმ ამ შენ პატარა ზმი დეკაც მემეც (იმნაიშვ. 124); ჩონ ჟულაბ წოორ რუმ იყოს, ებიბე საჭიროას ერთმანეთს ბელგაჲ მიეცეთ (იმნაიშვ. 123); რუმ შარ რაჲმ მოუდეს, ადგა დეევ... (იმნაიშვ. 127).

დასკვნა:

1. აღმოსაელური და დასაელური კილოებისათვის საზიაროა **რომ, რო.**
2. დასაელური კილოებისათვის ნიშანდობლივია **რომე.**
3. ინგილოურისათვის ნიშანდობლივია **რუმ.**
4. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა **რომე, რომ.**
5. კილოებისათვის არაა ნიშანდობლივი **რათა-რაჲთა, რომელ.**
6. სალიტერატურო ენისათვის არაა ნიშანდობლივი **რო, რუმ.**
7. კორელატებია: **იმიზა, იმიზ გულიზა, იმიხ გულისად, იმიბე, ემიბე.**

8. ვითარებით-შედეგობითი კავშირები

ვითარებით-შედეგობითი კავშირებია:

რომე — რომ — რო
რუმე — რუმ
იხრ რომ, ას(თ)ე რომ(ე)

კორელატებია: **ისე, ისეთი, იმისანაი, ისთე, იხრ, ისით, ისთაღ, აგე, იგრ, ინგე, იმფერი, იმხელა, ამთონ, იმურაჲთი.**

რომე

ახასიათებს დასაელურ კილოებს და აღმოსაელურთაგან — თუშურს. საქმე ისთე მუახერხე, რომე შენ ამასობაში გეიპარე სახშიო (გშრ.: ღლ. 241, 26); ისთე შექდა ჯორზე, რომე არც ფული გადუუხთია და არც აფერი (გშრ.: ღლ. 240, 24); ბერი გაკუპტა, ისთე გადელდა, რომე კაღამ შიამტრია კარებიც (გშრ.: ღლ. 221,

2); ... იმხელა ნიგოზი გეიზარდა იმ კისერზე, რომე სამ დესეტინა მიწაზე ალარ ეტეოდაო (გურ.: ღლ. 229, 9); ფასიც ისე ძვირი იყო გამოცხადებული, რომე ახირებული კაცი იმას ვერ იყიდდა (გურ.: ღლ. 194, 18); ქალმა იმფერათ შეუჩთა, იმფერათ, რომე ბოლოს დეიყოლია ქმარი (გურ.: ღლ. 194, 28); მე იმფერი ქსოვა ვიცი, რომე ქოყანას გავაკვირეფ (აბარ.).

რომ — რო

დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის.

ისეთი საქმელი გააკეთა, რომ ყველას მუეწონა (ქართლ.); თან ჯუთელნი ისრ ცოტანია, რომ ზღვასთან წუიმის ცვარი ას (ხევს.: გაბ. 17); ისთამ ძაღლებ იყუნესაჳ, რომ ... მოხკელავდესაჳ (თუშ.); აგე აბჭყოტები, ... რომ ბერ გელ ბრული ზირზე გადაკუნტულებულ (ინგ.: ჯანაშვ. 183, 31); ისე შაჰამეთო, რო წვეთი სისხლი არა გადავარდესო (ქართლ.); ისეთი მჳამელი იყო, რო ერთი ხარი არა ყოფნიდა (აახ.); ეგეთი გაიცინა, რო ხარო სუ შეინძრა (აახ.); ერთმანეთშიავ იმთვენ იყვავ ხატებივ, რო ბუზვერიეით გადიგამოდიოდავ (ხევს.); ისით სატკივარ გამჩინდავ, რო ველარ გაუძალი (ხევს.); ისით ჯღარ-ჯღურ გაილ, რო მთელ სოფელ გამააღვიძ (ხევს.); ეს ღილღველ ისით გაბრიყუებულ იყვ, რო შინ წირებდ იარაღსა (ხევს.).

რუმე, რუმ

ვადასტურებთ გურულ-აჭარულში (რუმე) და ინგილოურში (რუმ): იმისანაი სანახაი პური იყო, რუმე მეტი არ შეიძლებოდა... (გურ.: ღლ. 229, 17); ისთე ხეთქა თავში, რუმე შეგეცოდვებოდა (აბარ.); აგე ჰუკრავს, რუმ სმენელს ატირებს (ინგ.: ჯანაშვ. 195, 23); ამთონ ჰუტარები, რუმ ეს ფინ ზაღლებიან კაცისა წაჭყონი (ინგ.: ჯანაშვ. 183, 12); კდარ ჩადეეასუკან ტყელ ქუეს აწყოვენ ზეითი იმეურაძთი, რუმ კდარს მიწაძ არ ეყრევ (ინგ.: იმნაიშვ. 38); ქაჩალ ინგე ლამაზ გადაძ ყოფილ, რუმ ქალს აძქავ უყურდევის ამითავ (ინგ.: იმნაიშვ. 131); აძმაგ სუქდევ, რუმ ტყავშიაც ალარ ეტეუისდაა (ინგ.: იმნაიშვ. 129).

ისრ რომ, იხ(თ)ე რომ(ე)

გავრცელებულია მთის კილოებში (ხევსურულში) და დასავლურ კილოებში;

მეკვლე რო შავა, ის წყალთ დასაპარაჭად გამავარდების კარში, ისრ რომ ვინც წყალს პირველად ამაიღებს, ის იქნება დაცლათიანი (ხევს.: გაბ. 144, 17); დაიწუყებენ სოფლის ქალები ბოთლების ზიდვას, ისრ რომ, რაც სიძის სოფელში ქალი ას, ყველა, დიდი და ცოტა, მაიღებს ერთს არაყიან ბოთლას... (ხევს.: გაბ. 132, 16); რომენ სათოფეზედაც ბევრი-ხყენავ, მეთოფე წინ-წინ იმას ესრევს, ისრ რომ ეს ბალხი რიგით, ჩამაყოლებით, ამ სათოფეებს სრუ აიღებენ (ხევს.: გაბ. 147, 23);... დედუფალი მიაბძანეს მორე ვოთახში, ისთე რომ ამ ამბავს ქე ყუროფს (გშრ.: ღლ. 235, 8);... მუუსვა უხსენებელს თავზე და უკან ჩააბრუნა ქალის მუცელში, ისთე რომე ეს ანბავი არც ქალს და არც ბიჭს არ შუუტყვიენ (გშრ.: ღლ. 212, 11); ჩემ ქალიშვილს მოკლული ხავს 99 კაცი, ასე რომ ვინც მაზე დაქორწილდება, ერი დღის მეც ვერ ძლეფს... (გშრ.: ღლ. 211, 30); თვითან მიდის მეზობლისას, ისთე რომე ქმარს არაფელს არ ელაპარაკება (ჭვემოთიმერ.).

დახკვნა:

1. დასავლური კილოებისა და თუშურისათვის საზიაროა რომე.
2. გურულ-აჭარულისა და ინგილოურისათვის საზიაროა რუმ(ე).
3. აღმოსავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია რომ, რო.
4. კორელატებია: ისთე, ისე, იმხელა, იმფერი (დასავლ.), ისეთი, ისე (აღმოსავლ.: ბარის კილ.), ისრ, ისით, ისთაღ, იმთვენ (აღმოსავლ.: მთის კილ.), აგე, ოგრ, ინგე, ამთონ, იმჟურაჲთი (აღმოსავლ.: ინგ.).

9. ვითარებით-შედარებითი კავშირები

ვითარებით-შედარებითი კავშირებია კილოებში:

როგორ(ა)ც
რაღგვერც
რაკელც
რავარც
რაფერაც
რამთვენ..., რამტ(ვ)ენ...; რამტელ...
რაც

როგორ(ა)ც

იხმარება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში.

ისევ ისეთი იყო, როგორც წინაზე იყო (ქართლ.:); როგორც

იმას უყურა, ი გ რ ე გააკეთა იმანაც (ქახ.); ი გ რ ე უყვარხარ იმასა, როგორც საკუთარ შვილია (ქახ.); ეს ხთიშვილი, როგორც წყემსი ცხვარს, ი ს რ თან-ყოლას დაუწყებს, პატრონობას (ხევს.: გაბ. 153, 13); როგორც დაინდობ, ა ი ს რ დაგინდვასაე ხთიშვილმავ (ხევს.: გაბ. 138, 14); ეეს თას როგორც ჩემ კელთ ას, ი ს რ სულსამც იმისას მაეკმარების (ხევს.: გაბ. 127, 5); როგორც თუთან დეემბა, ეგრე დამბულია (ინგ.: იმნაიშვ. 465): როგორც კაცმა დაასწავლა, იმეურა წაუდა ტაძ (ინგ.: იმნაიშვ. 73); სახში საკმელს უყრიან, როგორც არხოტ და ქეეპურეთში (ხევს.: გაბ. 138, 20); როგორც ვიტყუ, ა იგთე კეპტება (ინგ.: იმნაიშვ. 400); ვცხოკრობ, როგორც შეეფერება ჩემისთანა კატამატას (ინგ.: ჯანაშვ. 185, 6); ვაჭარმა, როგორც თავისი კაი მეგობარი და სურიელი მამა, დაპაიჯა ჩვენი ნაცნობი ბერიც (გურ.: ღლ. 224, 10); როგორც მელია, ი ს თ ე მიეპარა (ქვემოიმერ.); როგორც ხენწიფე, ი ს თ ე დეიჭიმება (ქვემოიმერ.).

რავა(რ)ც

იხმარება დასავლურ კილოებში:

რავაც ამ სახარებაში წერია, ი ს თ ე მეიქეცითო (გურ.: ქღ. 100, 4); ახლა ბიჭი და გოგო რავარც მეინდომებენ, ი ს ე შობიენ (გურ.: ქღ. 99, 20); მარა მისი ამბავი ი ს ე წინ არ წეეიდა, რავარც არსენა ოძელაშვილის ლექსი (გურ.: ქღ. 99, 32); დამასაფლავე, რავარც მე შემეფერებაო (გურ.: ქღ. 106, 13); ჯერემ რავარც წესია, ნეფე-დედუფლის სადღინძელო უნდა დიელიენ (გურ.: ღლ. 195); რავარც შეიძლო, ი ს ე გააკეთა სადილი (გურ.: ღლ. 196, 2); რავარც ბატონი ბრძანდება, ი ს თ ე აკეთებდა (ქვემოიმერ.); ი ს თ ე გაელახე, რავარც ჩემი შვილი (ქვემოიმერ.); მეეხმარა ავანტყოფს, რავარც რიგი იყო (ქვემოიმერ.).

რამგვერც

ახასიათებს თუშურ კილოს:

ჩემ მუცელ ამტანია, რამგვერც მეწვრილმანის ცხენი; ფარსმანელებს, რამგვერც ძმაძ, ა ე გ რ მიეღუ; ლეკებ დამთხვენ, რამგვერც ცხუარი; ისიცამ ი ს თ ა მ ყოჩაღ იქნებოდ, რამგვერც შეთე; რაღგვერც ვატყობ, მეტად კარგა ყოფილ (ვ. ხუბუტიას მასალებიდან).

რაკელ(ა)ც

ახასიათებს ხევსურულ კილოს:

რაკელაც შენ მაგიჟდების ჰკვაში, ი ს რ ექნათ (გაბ. 165, 16); რაკელც გაბურ იქამს, ეს ეშმაიც საჯვაროდ ი ს რ იქამს (გაბ. 155. 13); რაკელც ცოლის წართმაზე, ი ს რ მკვდართ შაწირ-ვაზედ მარჯვედ მადის მამკლავ-მამკვდრობ (გაბ. 138, 20); რა-კელც იქნების, ბევრაის ხვეწნით შაარიგებენ (გაბ. 138, 15); ამ მკვდარს მაუელიან, რაკელც ჰევსურეთის წესი ას (გაბ. 136, 16); რაკელც წესია, ი ს რ ვიომათ (გაბ. 181, 21); განა ჩვენაც ი ს რ მაგექცევითავ, რაკელც სხვა ქისტებივ? (გაბ. 182, 14); რაკელც გწადისავ, ი ს რ აბრუნებთავ საქმესაუ (ანდრ. 31, 364).

რაფერ(ა)ც

გვხვდება გურულ-აჭარულში:

წევიდა სახტარზე ეთერმა და მეიქცა ი ს თ ე, რაფერც დუუბარა ბუდუამისმა (გშრ.: ჟღ. 103, 4); ქალმა შეასრულა ეს, რაფერაც დუუბარა (გშრ.: ღლ. 196, 36).

რამტვენ..., რამტ(ვ)ენ..., რამდელ..., რამტელ.:.

დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის:

რამტვენიც დავიძახოო — დავიწვიო, ი მ ტ ვ ე ნ ი ძირ დამიშვითოო (ქართლ.); და ადუღებს ლუდს, რამთვენიც შაუძლავ (ხევს.: გაბ. 131, 16); რამთვენიც თოფ გაუარდების, ი მ თ ვ ე ნ ი ც გორავს ხალხი (ხევს.: გაბ. 146, 25) რამთვენიც მარცვალ დადების ი მ თ ვ ე ნ ძროხაი-ას (ხევს.: გაბ. 141, 20); რამთვენიც ვაჟის ნახარჯ შადგების, ი მ თ ვ ე ნ ს დაადებენ გადასაკდელად ქალს (ხევს.: გაბ. 135, 16); რამთვენიც შაგვიძლავ, ი მ თ ვ ე ნ ს დავიბ-რუნებთ მაკეთე-მაკიდულს (ხევს.: გაბ. 130, 25); ი მ თ ვ ე ნ უნდა შასვას კაცმ, რამთვენსაც მაინელებს (ხევს.: გაბ. 123, 30); რამდელ ხატებსაც მიაშვედებდა, ი მ ტ ე ლ საფეხურს აკეთებდა (ქახ.); რამტელ სახრესაც გაასცხებდა, ი მ ტ ე ლ ოქრო-ვერცხლს ჰყრიდა (ქახ.); რამტელიც დაატრიალა, ი მ ტ ე ლ ი კატლეტ-კუტ-ლეტები გადმადის (ქახ.).

შდრ. იმერხეულიდან:

რამტენიც გინდა, მოგცე ფული (მარი 64, 32).

ვადასტურებთ ყველგან:

დასცა მათრახი, რაც ძალაჲ ჭონდა (ძართლ.); ჩვენ კი რაიც შეგვიძლავავ, ვიბრძოლებთავ (ხევს.: ანდრ. 21, 254); ზოგ ბევრს იტყვის, ზოგ ცოტას, რაიც ვის შაუძლავ (ხევს.: გაბ. 130, 16); რაც ძალა და ღონე ჭონდა, დაჭრა მძინარე დიაკონს (გუშრ.: ღლ. 191, 14);... გადასწყვიტა, ეცა ამიზა პატივი, რაც კი შეიძლო (გუშრ.: ღლ. 211, 25); რაც შემიძლია, პატივს ჭცემო (ქვეწრ.-იმერ.).

დასკვნა:

1. აღმოსავლური და დასავლური კილოებისათვის საზიაროა როგორც, რაც.

2. დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია რავარც.

3. აღმოსავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია რამთვენ..., რამტ(ვ)ენ..., რამდენ..., რამტენ.

4. თუშური კილოსათვის ნიშანდობლივია რაღგვერც.

5. ხევსურული კილოსათვის ნიშახდობლივია რაჭელც.

6. გურულ-აჭარულისათვის ნიშანდობლივია რაფერ(ა)ც.

7. კორელატ-სიტყვებია: იგრე, ისრ, ისე ისთე, ღეგრ, ისთაღ, იმთვენ..., იმტენ... ამათგან ისე საზიაროა აღმოსავლური და დასავლური კილოებისათვის: იგრე, ისრ, ღეგრ, ისთაღ, იმთვენ..., იმტენ... ნიშანდობლივია აღმოსავლური კილოებისათვის, ისთე — დასავლური კილოებისათვის.

8. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა: როგორც, რაც.

9. კილოებისათვის არაა ნიშანდობლივი ერთეულები, რომლებიც დადასტურებულია სალიტერატურო ენაში: ვითარცა, ვითარ..., ვითა, ვით, ვიდრე, რაგვარ..., რაოდენ..., რამდენ..., რაზომ..., ვითა, თუ სთქვა.

10. სალიტერატურო ენისათვის არაა ნიშანდობლივი: რაღგვერც, რაკელც, რავარც, რაფერაც, რამთვენ...

10 პირობითი კავშირები

კილოებში გამოყენებულია:

თუ
რო(მ)
რუმ

თუ

საყოველთაო კავშირია კილოებში:

თუ საღამოზე მოსულიყო, წამალ მივცემდი (ქართლ.); თუ მარტო დარჩა, თვალს ამოუღებს (ქახ.); თუ არ შახტომდეს სახში რაიმი, იმაშინ წიგს აზლევდა ახალთიბეჲ (ინგბ.: იმნაიშვ. 253); თუ კდარ იმარხევის ოთხშაბათს ან ჯუმას, მაშინ ის მარხულ იმარხევის (ინგბ.: იმნაიშვ. 39); თუ იმიზა არ მოგიჭრია თაეი, შენ მოგჭრიო (გუშრ.: ღლ. 221, 23); თუ ფეხეფთან ვიჟდე, მაშინ ავათმყოფი მოსარჩენია (გუშრ.: ღლ. 249, 25); თუ ვინმეა გვარიანი, ქე მეიყუანე მაშვინ (ქვემოიმერ.).

პირობითი წინადადება როცა უარყოფითია, ე. ი. თუ კავშირს მოსდევს არ, ვერ ნაწილაკები, ისინი ერთმანეთს ერწყმიან გურულ-ქვემოიმერულში და ეღებულობთ თვარ-ს (—თუ არ—თუ არ) და თვერ-ს (უ-ს ჩაკარდნით):

ასთე თვარ მეიქცევით, ამდონ ვაშს დაღუპავთო (გუშრ.: ღლ. 231, 23); მართლა აბდალი თვარ ვარ, რას ვერჩი ამ კაცსო (გუშრ.: ღლ. 189, 3); თვარ მოგიცია სული, ახლაჟე ვირათ გაქცევ (გუშრ.: ღლ. 179, 9); ამას თვარ გოუწყვე ხელი, ქეც მომკლავენ (ქვემოიმერ.); შენს დანაქადს თვერ აასრულეფ, თაე მოგჭრიო (გუშრ.: ღლ. 193, 14); მე თვერ მოვალ, კისერი მოჭერით მაგას (ქვემოიმერ.).

რო(მ)

დამახასიათებელია საერთოდ კილოებისათვის:

ვანუას რო(მ) ექორწილა, მეც ქალს მოვიყვანდი (ქართლ.); შენისთანა დედაკაცი ასი რომ იქნოს, მე კაცი ვარ, ვერ დამაჭარბებ (ინგბ.: იმნაიშვ. 442); სამზღვარგალმა რომ არ გაპარეოდა, თავს მოშჭრიდა (ქვემოიმერ.); შენ რომ გითხრას, ჭეეყანას მოზდოფ (გუშრ.: ღლ. 188, 7).

რუმ

ახასიათებს ინგილოურს:

შენ თავ რუმ ყადადთი გედმეგდა, შენ ჰათაას გრმხრლი (იმნაიშვ. 181).

დახკვნა:

1. აღმოსაელურ-დასავლურ კილოებისათვის საზიაროა თუ, რომ.
2. ინგილოურისათვის ნიშანდობლივია რუმ.

3. გურულ-ქვემოიმერულისათვის ნიშანდობლივია თუ-ს შერწყმა მომდევნო არ-ვერ ნაწილაკებთან: თვარ, თვერ.

4. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა თუ, რომ.

5. კილოებისათვის არაა დამახასიათებელი ერთეულები, რომლებიც ნიშანდობლივია სალიტერატურო ენისათვის: უკუეთე, თუცა, თუ-ცალა, თუმცა, ღათუ, დაღათუ, დაღაცათუ.

6. სალიტერატურო ენისათვის არაა დამახასიათებელი კილოებში დადასტურებული რუმ.

7. კორელატებია: მაშინ-მაშვინ, აიმაშინ.

11. პირობით-შედეგობითი კავშირები

კილოებში დადასტურებულია:

თუარ	თვარემ
თვარა	თორემ(ა)
თვარამ	თორე

თუარ

ვადასტურებთ ინგილოურსა და თუშურში:

ერ მინამს არ გააჩავო შენ თავზე მანასულ-მანაქდომ, თუარ მაშინავ მოჰკდრბ (ინგ.: ჯანაშვ. 198, 3); ჰეეგ შენბეჲ ემ არ გასაჩენელს ჰუსწავლები, თუარ შენ საჲთი გეცოდინებოდა ჰემგე რაჲმ! (ინგ.: ჯანაშვ. 197); გოდნაო, არ შემარცხუნო, თუარ დაგდალავ (ინგ.: ჯანაშვ. 192, 27); აქე ერ ბიჟობა არის, თუარ ამ მინდორში ეგე დუმა არ იქნებოდა (ინგ.: იმნაიშვ. 284); უცრიელოდ იმსთამ შესეიუ, თუარ მოგკლავსაუ (თუშ.); ეეხლა წაჲიდათავ, თუარ შუღლ იქნების (თუშ.).

თვარა(და)

დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის; აღმოსავლურ კილოთაგან იცის თუშურმა:

ძალუმი ბიჭია, თვარა ვერ გადიტანდა (ზემოიმერ.); ბოქში მომეცი, თვარა წაკწუვიტე კისერი (ძველმოიმერ.); საქმელი ახლა მჷირდება, თვარა დაღამებულში მეც ქე მომიტანებენ (ძველმოიმერ.); წადი, თვარა ინანეფ (ძველმოიმერ.); კტარი იყო, თვარა უნდა ენუგეშებია (ბურ.: ღლ. 183, 21); შენი უნცროსი ქალიშვილი უნდა მომცე, თვარა შენ სახენწიფოს სოსორკორომოთ ვაქცევო (ბურ.: ღლ. 218, 6); ახლა მე არ მცალია, თვარა შენ-

ზა დახმარება წამალიავო (ბუხრ.: ღლ. 196, 16); თუ იქ შესვლით ვერ გვიპოვნიანაუ, თვარაუ ცხვაკეუ მაინც მოგვკელვენეაუ ჩვენ ძაღლებიუ (თუშ.); საფლავი კარგი ამიგონ, თვარა ჩამომივა წყალია (თუშ.).

შესაძლოა თვარა-ს და ემატებოდეს:

გადაწყვიტე ე საქმე, თვარადა ქე დაბრუნდი სახში (ზემოიმერ.).

თვარამ

დაუცავს თუშურს, იშვიათად გამოყენებულია კუემორიმერულშიც: ერთ კვირაღშია კვამლზედ მანათ შაგროვი, თვარამ თავის ჯარით მანდ ვარი (თუშ.); გირჩიავის ბახლავი აზდგედ შემოხვიდ ჩუუენთან, თვარამ ბოლოს კი ინანებ (თუშ.); არ გეექანო, თვარამ დაქკარი თავში (ქვემოიმერ.); მაგან მიქნა ყოლისფერი, თვარამ მე რა მიჭირდა (ქვემოიმერ.).

თვარემ

გეხვდება მესხურში:

არ აიხედო, თვარემ მოკვდებიო; შეხედამ, თვარემ შე უქე გაქვავდებიო; ჰიმსნის შვილი მომიყვანე, თვარემ შექჭამო.

თორემ(ა)

თორემ(ა) იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარება აღმოსავლურ კილოებში:

კაც მამ-პაპის რჯულს არ უნდა გარდახვდას, თორემ ვერ იხაირებს (ხევს.: გაბ. 149, 25); გავეპარნეთაუ, თორემ ეს ძაღლებ არ მომშორდებიანაუ (თუშ.); გონთ იყოუ, თორემაუ შეთე მოდისაუ (თუშ.); დღეს სადღობელი მაქო შაადღობელი, თორემ მე მუალდი (ინგ.: იმნაიშვ. 268); წამაიღე ეგ შეშა, თორემა მოკვდები სიცივითა (ქართლ.); ჭკუაზე მოდი, თორემა ცოლშვილ დაგიხოცამენ (ქართლ.).

აღსანიშნავია, რომ ა-დართული ფორმა (თორემა) იხმარება ჰაუზის თანხლებით: „წამაიღე ეგ შეშა, თორემა... მოკვდები სიცივითა".

თორე

ფართოდ გავრცელებულია აღმოსავლურ კილოებში:

ამიყვანეთ, თორე დევიწვიო (ქართლ.); აღარ აძრეკორ, თორე

ძალიან ღონიერია, გაგაფუჭებსო (ქაბ.); ნუ გვაწუხებთავ, თორე სრუ ვერ მაგითმენთავ (ხევს.); სალუდეს ქვაბს თავს დაანებებთავ, თორე კმა გაგიტყდების... (ხევს.); ნუ წამიყვანთავ, თორე გამეცინებისავ (ხევს.: გაბ. 156, 24); არიქათ, შავარიგნათ, თორე ერთუცს დახჯაცენავ (ხევს.: გაბ. 138, 8); კიდე კა ალაგში სჯდომიხარ, თორე შენც არ გაგიშობდეს ცოცხალს (ხევს.: გაბ. 185, 17).

პირობით-შედეგობითი კავშირის გამოყენებას კილოებში, და საერთოდ სასაუბრო ენაში, ასეთი თავისებურება ახასიათებს: როდესაც პირობით-შედეგობითი წინადადება დამუქრებას გამოხატავს, შესაძლოა წინადადება მთლიანად შეიკვეცოს და კავშირს დაეკისროს — რიტმო-მელოდიის საფუძველზე — ლოგიკურად ნაგულისხმევი წინადადების გადმოცემა:

თავი დამანებე, თორემა...; ხელს ნუ მიქნევ, თორე...; ხმა დაიდაბლე, თორე..., და მისთ.

დახკვნა:

1. აღმოსავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია თორე (უმთავრესად), თორემ(ა).

2. დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია თვარა (უმთავრესად). იშვიათად — თუშურისთვისაც.

3. ინგილოურისა და თუშურისათვის ნიშანდობლივია თუარ.

4. თუშურის, მესხურისა და ქვემოიმერულისათვის ნიშანდობლივია თვარემ.

5. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა: თვარა, თვარემ, თვარამ, თორემ.

12. დათმობითი კავშირები

გამოყენებულია:

თუმც(ა)
თუნდ(აც)
გინდ(აც)
რომც

თუმც(ა) — თუნდ(აც) — გინდ(აც) საყოველთაოდ გავრცელებულია მაგალ.,

თუმც ცუდ-კაცობა შეგნიშნე, შეგიბრალეფ მაინცა (ქართლ.); თუმცა წვერი ხუცეს უგავდა, დაქრა გუდას ნაჯახაი (გურ.: ღლ. 191, 32); თუმცა ჯერ ვახშამის დრო არ იყო, მარა ამ ბიჭს გამოუტანენ საჭმელი (ქვემოიმერ.); თუნდ(აც) თავი მამჭრან, ტყუილს ვერ მათქმეუინებთო (ქართლ.); თუნდა ფაიტონი გადამიბრუნო, მაინც გესვრიო (ქვემოიმერ.); გინდაც მენახოს, არ გამოვტყდები (ქართლ.); გინდაც გადეეტეხა, რავა, ეტყოდი რამეს თუ? (ქვემოიმერ.); მაშინ ეს ქალი, გინდა ის კაც არ მასწონდას, ვერას იტყვის ჯვარის შიშით (ხევს.: გაბ. 133, 23): რომენსაც ქალ კელს გააბომს მაშუღლარს, ის კაც ჩუჩუნს ვეღარ იქს, გინდა ძალიანაც სირცხვილ-დადებულ იყვას მეპირდაპირის-გან (ხევს.: გაბ. 124, 31).

რომც გურულ-ქვემოიმერულში გეხვდება. ჩვეულებრივია ასეთი ფაქტები:

რომც გამეგზავნა, მაინც დავრჩებოდი; რომც მინდოდეს, მაინც არ მოვკლავ, და მისთ.

დასკვნა:

1. კილოებისათვის საზიაროა თუმც(ა), თუნდ(აც), გინდ(აც);
2. გურულ-ქვემოიმერულისთვის ნიშანდობლივია რომც;
3. კილოებისა და სალიტერატურო ენისთვის საზიაროა თუმცა, თუნდ(აც), გინდ(აც), რომ(ც).
4. კილოებში არაა დადასტურებული დაღათუ-დაღაცათუ, თუცა.

ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებში და ზანურში

ხმოვნები (რიცხვით ხუთი: ა, ო, უ, ე, ი) კომპლექსთა შეიძლება კომბინაციებს გვაძლევენ: ა+ა, ა+ო, ა+უ, ა+ე, ა+ი; ო+ო, ო+ა, ო+უ, ო+ე, ო+ი; უ+უ, უ+ო, უ+ა, უ+ე, უ+ი; ე+ე, ე+უ, ე+ო, ე+ა, ე+ი; ი+ი, ი+ე, ი+უ, ი+ო, ი+ა (სულ 25 კომბინაცია). გამოვარკვიოთ: რა ფონეტიკურ სახეცვალებას განიცდიან ეს კომპლექსები ქართულში დიალექტურად და ზანურ ენაში. დავალაგოთ, კვლევის გაადვილების მიზნით, წარმოდგენილია 25 კომბინაცია ხმოვანთა ღიაობის მიხედვით. ამ მხრივ ძირითადად კომპლექსთა სამ ჯგუფს მიეიღებთ: ერთია — კომპლექსები, სადაც უფრო ფართო ხმოვანს მოსდევს უფრო ვიწრო (ფართო+ვიწრო), მეორეა — კომპლექსები, რომლებშიც უფრო ვიწროს მოსდევს უფრო ფართო ხმოვანი (ვიწრო+ფართო) და შესამეა — კომპლექსები, სადაც თანაბარი ღიაობის ხმოვნებია; აჭკე შემოვა იდენტური ხმოვნებიც. ამგვარად, გვექნება A, B და C რიგი:

A	B	C
ა+ი	ო+ა	ო+ე
ა+უ	ე+ა	ე+ო
ა+ე	ი+ე	ი+უ
ა+ო	ი+ო	უ+ი
ო+ი	ი+ა	ა+ა
ო+უ	უ+უ	ო+ო
ე+ი	უ+ო	ე+ე
ე+უ	უ+ა	უ+უ
		ი+ი

ხმოვანთა კომპლექსების ამგვარი დალაგება მხოლოდ ტექნიკური მოსაზრებით არ აიხსნება: ეს კლასიფიკაცია გარკვეულ ფონეტიკურ კანონზომიერებას ამჟღავნებს.

განვიხილოთ ცალ-ცალკე A რიგის, B რიგისა და C რიგის კომპლექსები.

A რიგის კომპლექსები

აქ ასეთი შეხამებაა: ა ო ე—ო ე ი უ-სთან. წინამავალ სამს (ა ო ე) აკლია ი უ, და ეს ბუნებრივია: უკანასკნელი უკიდურესად ვიწრო ხმოვნებია, A რიგი კი ჯერ ფართოსა და შემდეგ ვიწრო ხმოვნებს შეიცავს. ცალ-ცალკე ა-ს ეხამება ი უ ე ო ო-ს—ი უ და ე-ს—ი უ.

ქართულ კილოთა მასალების მიხედვით ირკვევა, რომ, როდესაც ფართო ხმოვანს მოსდევს ვიწრო ხმოვანი, ადგილი აქვს, როგორც წესი, რეგრესულ ასიმილაციას: მომდევნო ვიწრო ხმოვანი ავიწროებს წინამავალ უფრო ფართო ხმოვანს. სათანადო ფონეტიკური პროცესი თავს იჩენს უმთავრესად პრევერბისეული ხმოვნების ფუძისეულ ხმოვანთან შეხვედრისას, იშვიათად სუფიქსებში და კიდევ უფრო იშვიათად ძირში.

A რიგის კომპლექსთა ფონეტიკური პროცესები ძირითადად დასავლური კილოებისთვისაა ნიშანდობლივი; ვიწრო ხმოვნების (უ ი) მაასიმილაციებელი ძალა უმთავრესად იქ იგრძნობა. ყველა დასავლური კილოს მიხედვით ყალიბდება შემდეგი ფორმულები: ა+უ→ო+უ→უ+უ→უ; ა+ი→ე+ი→ე+ე→; მაშასადამე, ა+უ-საგან ვღებულობთ უ-ს, ა+ე-საგან—ი-ს საშუალო საფეხურების resp. ნაწილობრივი ასიმილაციის გზით. ამ მხრივ ერთგვარი მდგომარეობა არა გვაქვს დასავლურ კილოებში. გეოგრაფიული გავრცელების თვალსაზრისით ასეთი სურათია: ქვდის მილმა რაც იქით და იქით მივიწევით (დასავლეთისკენ), მით უფრო საგრძნობია ვიწრო ხმოვნების ძალა ასიმილაციის პროცესებში. ტერიტორიული თვალსაზრისით დასავლური კილოების შემდეგ ზოლზე ეჭცევიან: ზემოიმერულ-ქვემორაჭული — ქვემოიმერულ-გურულ-აჭარული [+იმერხეული].

ავიღოთ ფორმულა: ა+უ—ო+უ—უ+უ—უ. ზემოიმერულ-ქვემორაჭულში ნაწილობრივი ასიმილაციაა: ო+უ (←ა+უ)-ს საფეხურზე დგას: გოუგზავნა, წოუყვანია, ჩოუტანია... ქვემოიმერულშიც ნაწილობროვი ასიმილაციაა ძირითადად, მაგრამ იშვიათად სრულიც არის: (ა+უ—), ო+უ—უ+უ: გუუგზავნა, წუუყვანია, ჩუუტანია... გურულში სრული ასიმილაციაა ძირითადად, იშვიათად ნაწილობრივიც, აჭარულში სრული ასიმილაციის ნიადაგზე გრძელ ხმოვანს ვღებულობთ ძირითადად: უ+უ—ū: გūგზანა, წūყვანია, დūბარა, დūწვა, გūთხარა, ūშვა, ჩūწყო, ჩūგორდე-

ბიოს, მაგრამ პარალელურად (თუმცა არა ისე სისტემატურად) გვხვდება სრული ასიმილაცია და იშვიათად ნაწილობრივიც.

ავიღოთ მეორე ფორმულა: ა+ი—ე+ი—ი+ი—ი. ზემოიმერულ-კვემორაჭულში ნაწილობრივი ასიმილაციაა: (ა+ი—) ე+ი: წ ე ი ღ ო, გ ე ი ქ ნ ი ა... ქვემოიმერულსა და გურულშიც ასევეა. აჭარულში კი სრულია: ი+ი: წ ი ი ღ ო, გ ი ი ქ ნ ი ა...[2] და პარალელურად—გრძელი ხმოვანი: ი+ი—ი: გ ი ქ ნ ი ა... აქედან ჩანს, რომ უ ი-ს მაასიმილაციებელი ძალა უფრო და უფრო იზრდება დასავლეთის მიმართულებით.

სქემა

ა+უ—ო+უ—უ+უ—უ

ამოსავალი კომპლექსი

ზემოიმერულ-კვემორაჭულ (ძირითადად), ქვემოიმერული (ძირითადად)

გურული (ძირითადად), ქვემოიმერ. (ფაქულტატ.), აჭარული (ფაქულტატ.)

აჭარული

ა+ ი—ე+ი—ი+ი—ი

ამოსავალი კომპლექსი ზემოიმერ.-ქვემორაჭ. ძირითად ქვემოიმერ. (ძირითადად), გურული (ძირითადად), აჭარული (ფაქულტატ.).

აჭარული (ძირითადად), აჭარული (ფაქულტატ.).

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ამ მხრივ ქვემოიმერულის სამტრედიული მეტყველება: აქ ძალაშია ი+ი [—ე+ი—ა+ი]: წ ი ი ღ ე, გ ი ი ქ ე თ ე, ჩ ი ი ტ ა ნ ე ს, ი ი კ ი დ ო ს და მისთ., მაშინ როდესაც ეს ფორმულა არ ახასიათებს არც ქვემოიმერულს და არც გურულს. სამტრედიული აჭარულს ენათესავება ამ ნიშნით; რაც შეეხება უ+უ [—ო+ +უ—ა+უ]-ს, რომელიც ძირითადია სამტრედიულისთვის (ქვემოიმერულისთვის კი, საერთოდ, უ+უ არაა ძირითადი), იგი შეიძლება აჭარულის გურულის (ზუსტად — ზემოგურულის) გავლენით.

გათვალისწინებული ფორმულები აღმოსავლურ კილოთაგან თუშურს, ფერეიდნულსა და მესხურ-ჯავახურს ახასიათებთ; სპორადულად ჰოხეურშიცაა.

---

1 ჯ. ნ ო ღ ი ა ნ ე ლ ი, აჭარა დიალექტოლოგიურად, 1936, გვ. 14.

2 აჭარულში უფრო ხშირია სრული ასიმილაცია, როცა ხმოვნებს შორის თანხმოვანი დიმინახვენ, დიგიჯირგვენ, იმიკიდა, წიმიღო. არის ჯერ დამაგვიანებელი საფეხურებიც: ჩ ე მ ი დ ე ა—ჩ ა მ ი დ ე ა, გ ე გ ი ქ ე თ ა— გ ა გ ი ქ ე თ ა, წ ე მ ი ღ ო—წ ა მ ი ღ ო და მისთ. სრული ასიმილაციის მაგალითები, როცა თანხმოვანია გამყოფი, სპორადულად თუშურშიც დასტურდება (ვ ი გ ი მ ა რ ჯ ო ს და მისთ.).

ნიმუშები თუშურიდან:

ი

ა ე ო-სთან

ა+ი→ᵊე+ა→იჰ+ი→ი (→ი) ლოლებს, წიკოლ, გოლიმაგრებს, ცრკიდ, წი-ყვანეუ, დოლმალენთაუ, დრკოველების (დი-ფარ (გიგიმარჯოს, დგიფიქრავ)... წრლუ, გრკეთ...

ე+ი→ი+ი→ი (→ი): შიკარ, შრტან... შიარ...

ო+ი→ᵊე+ი→ი+ი→ი(→ი): მიკოგონ[1] (‖ მოკგონ), ჩამრტან, წამრლ... იგონ...

უ

ა ო-სთან

ა+უ→ᵊო+უ→უ+უ→უ(→უ): დუკუწყეს (‖ დუკწყეს), დუკუძახ (დუკ-ძახ), წუკუტან (‖ წუკტან), ჩუკუტაე, ჩუკ-დევს, წუკუდეს, დუკარ, ჩუსაფრდეს... დუკარ, გუკვირდ...

უ+უ→უ+უ→უ (→უ) მუკლავს, მუკუკლეს, გამუკტანეს, გამუ-კვრთან, ჩამუკხდე... მუტანს, მუკლავს...

უკანასკნელი საუეხური — მარტივი ი უ-ს მიღება (მიკგონ, მუკ-ლავს...) მეტად იშვიათია.

ფერეიდნულში ი-ს გავლენა არა ჩანს, მაგრამ უ კი იწვევს რო-გორც ნაწილობრივს, ისე სრულს დამსგავსებას; მაგ.: ჩ ო უ ყ ა რ ო ნ, დ ო უ წ ე რ ა, დ ო უ რ ი გ ე... მ უ გ უ კ ლ ე ს, მ უ გ უ თ ხ ო ვ ა...[2] (ამ გზის გავლით: მ ო გ ვ ი კ ლ ე ს—მ ო გ უ კ ლ ე ს—მ უ გ უ კ ლ ე ს ...). როგორც ჩანს, აქ თანხმოვანია ხმოვნებს შუა.

მესხურ-ჯავახურიდან: ა+უ—ო+უ: დ ო უ ძ ა ხ ე ს, გ ა დ ო უ ტ ა-ნ ი ა... ო+უ—უ+უ: მ უ უ ტ ა ნ ი ა, მ უ უ რ ბ ე ნ ი ა... ა+ი→ე+ი: დ ე ი ძ ი ნ ა, გ ე ი ქ ც ა. ეს დასაულური ნორმა ჰოროხის ხეობის მე-ტყველების შენატანია მესხურ-ჯავახურში.

A რიგის სხვა კომპლექსებიდან ა+ო იძლევა ო+ო-ს (დასავლურ კილოებში ვადასტურებთ: მ უ შ ო ო ფ (მ უ შ ო ო ბ ა), გ უ ლ ო ო ფ, ვ ბ უ ქ ნ ო ო ფ...); ე+უ—უ+უ—უ (დასაულ.: შ უ უ ი, ა ნ ხ მ ე, შ უ-უ კ ა რ ი, შ უ უ ს რ უ ლ ა, შ უ უ დ გ ა... აჭარ.: შ უ ქ ი თ ხ ა ვ ს, შ უ დ-გ ა[3]); ო+ი—ე+ი (დასაულ: მ ე ი ტ ა ნ ა, წ ა მ ე ი ღ ო. ჩ ა მ ე ი ქ-ც ა...). და ეს ფაქტი საყურადღებოა, რამდენადაც აქ ე ხმოვანი ო-ზე უფრო ვიწროდ გვეულინება. ა+ე გადადის ე+ე-დ. ამ ფორმულას თა-

---

1 ამ ნიადაგზე მო-პრეფერბი მი-დ იქცევა და ამით ემთხვევა მი-პრეფერბს: მ ი ი-ტ ა ნ ე — მ ო ი ტ ა ნ ე დ ი მისთ.

2 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: „ტფ. უნივ მოამბე", VII, გვ. 207—210.

3 ჯ. ნ ო ღ ა ი დ ე ლ ი, იქვე, 14; ფერეიდნულში შ ო უ ნ ა ხ ე, შ ო უ ტ ყ უ ე ი თ. შ ო უ ტ ი ე ო... არ უნდა იქნეს ახსნილი, როგორც ე+უ—ო+უ; აქ შა-პრეფერბია (და არა შე-) ამოსავალი და მისი ა განიცდის ასიმილაციას მომდევნო უ-სთან (იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახელ. შრ., გვ. 207).

ნაბრად იზიარებენ აღმოსაელური და დასაელური კილოები (დ ე ე ხ ს ე ნ ი, წ ე ე ღ ო, ჩ ე ე წ უ ო . . .).

ზემოთ განვიხილეთ ა+ი და ა+უ კომპლექსების სახეცვალებანი პრეეერბის ხმოვნისა და ზმნის ფუძისეული ხმოვნების შეხვედრის პირობებში. რა მდგომარეობაა სიტყვის ბოლოს? ეს ეხება ა+ი-ს

ა-ბოლოკიდურიან სახელზე სახელობითის ი-ს დართვის შედეგად მიღებულ აი კომპლექსში ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ არა აქვს ადგილი მოსალოდნელ რეგრესულ ასიმილაციას, როგორც ეს ხდება პრეეერბის ხმოვნისა და ფუძისეული ხმოვნის აი კომპლექსში. მაგრამ, თუ ეს ბოლოკიდური ა (|| ია) კნინობითობის სუფიქსია, მაშინ ძალაშია დასაელურ კილოებში ზემოთ გათვალისწინებული წესი: სახელობითის ი იწეევს უმთავრესად ნაწილობრივს ასიმილაციას (ა — ე) და შემდეგ შესაძლოა გამვლენელი დაიკარგოს; იგულისხმება: ძ ა მ ი ა+ი → ძ ა მ ი ე ი → ძ ა მ ი ე, ტ ო მ ა რ ა+ი → ტ ო მ ა რ ე ი → ტ ო მ ა რ ე-ს ტიპის ნიმუშები. ამის მაგალითები ბეერია (უ ც ფ ა თ ე, უ რ ე მ ე, ბ ა ბ უ ე, ბ ე ბ ი ე, დ ა ი ე, ლ ო ბ ი ე...). განსაკუთრებით საგრძნობია ეს წესი საკუთარ სახელებში: ე ა ხ ტ ა ნ გ ე, დ ა თ ი ე, პ ა უ ლ ი ე, მ ე ლ ტ ო ნ ე, ლ ო ნ გ ი ნ ო ზ ე, ნ ე ს ტ ო რ ე, ს ო ლ ო მ ა ნ ე, კ ო ს ა ნ ტ ი ე ლ ე... ქვემოიმერულ-ზემოგურულისათვის ეს მოელენა ჩვეულებრივია. ქვემოგურული და აჭარული ამ მხრივ ერთ წრეს ქმნიან: იქ შემონახულია არქაული წარმოება: უ რ ე მ ა ი, ლ ო ბ ი ა ი, ბ ა ბ უ ა ი, ი ს ი დ ო რ ა ი, ო თ ა რ ა ი[1]... ქვემოიმერული გეოგრაფიულად უკავშირდება ზემოგურულს; ქვემოგურული უფრო ახლოს დგას აჭარულთან. ეს ტერიტორიული სიახლოვე სრულიად ცხადს დიალექტოლოგიურ შედეგს იძლევა: ზემოგურულს მეტი აქვს საერთო ქვემოიმერულთან, ვიდრე ქვემოგურულთან, რომელიც, თავის მხრივ, აჭარულს ენათესავება მთელი რიგი არსებითი დიალექტური ნიშნებით.

თითო-ოროლა შემთხვევა გვაქვს ბოლოკიდური ფუძისეული ა-ს დამსგავსებისა სახელობითის ი-სთან, ყოველ შემთხვევაში, ენის განვითარების დღევანდელ საფეხურზე: ბ ა ღ ა ნ ე (← ბ ა ღ ა ნ ა ი), უ ე ე ლ ე (← უ ე ე ლ ა ი), ბ ა ბ ე (← ბ ა ბ ა ი), დ ა ნ ე (← დ ა ნ ა ი), კ ვ ი რ ე (← კ ვ ი რ ა ი) და სხვა რამდენიმე.

ამ ფორმათა პარალელურად იმავე კილოურ ერთეულებში დაცულია სახელობითის ი-ჩამოუცლელი ფორმებიც: ტ ო მ ა რ ე ი, ბ ე ბ ი ე ი, დ ა ნ ჯ ი...

ამგვარად, ქართულ კილოებში A რიგის კომპლექსებში მ ო ქ მ ე დ ი ა რ ე გ რ ე ს უ ლ ი ა ს ი მ ი ლ ა ც ი ი ს წ ე ს ი.

როგორია საქმის ვითარება ჭანურში?

ჭანურისათვის არნ. ჩიქობავას დადგენილი აქვს ფორმულები:

[1] სერ. ფ ე ნ ტ ი, გურული კილო, 1936, გვ. 44—45.

ა+უ=უ, ა+ო=ო, ო+უ=უ, ა+ი=ი, ე+ი=ი, ო+ი=ი[1]. ყველა ესენი A რიგის ფორმულებია.

მაგალითები:

	უნდა ყოფილიყო	არის:
ა+უ=უ	გოწა-უღუ	გოწუღუ 'გამოართვა'
	მენდა-უღუ	მენდუღუ 'წაუღო'
ი+ო=ო	ქომეშა-ოხუნეენან	ქომეშოხუნეენან 'ჩაუსვამთ', 'ჩაუმარხაეთ'
	მენდა-ოჩქუ	მენდოჩქუ 'გაგზავნა'
ო+უ=უ	დო-უწუ	დუწუ 'უთხრა'
	ქოდო-უდგუ	ქოდუდგუ 'დაუდგა', „ქე დაუდგა"
ა+ი=ი	გოლა-ილუ	გოლილუ 'გაიარა' (გეერდით)
	მენდა-ილუ	მენდილუ 'წაილო'
ე+ი=ი	ქოგე-იდგუ	ქოგიდგუ 'დაიდვა', „ქე დაიდვა"
	გე-იქთუ	გიქთუ 'წაიქცა'
ოჶი=ი	დო-ინჯირა	დინჯირა 'დაწვე'
	დო-იძიცუ	დიძიცუ 'გაიცინა'[2]

ასიმილაციას შეიძლება ადგილი ექნეს თანხმოვნით გაყრილ ხმოვნებს შორისაც (ისევე, როგორც ქართულ კილოებში):

უნდა ყოფილიყო:	არის:
ქოგოწაუღუ	ქაგუწუღუ—ქოგოწუღუ 'გამოართვა'
დოლოუნქინუ	დულუნქინუ—დოლუნქინუ 'მოუქნია'
ეშაიტუ	იშიტუ—ეშიტუ 'ადიოდა' (შიგ)

თანხმოვნით გაყრილმა ხმოვნებმა შეიძლება მოგვცენ ნაწილობრივი ასიმილაციაც:

უნდა ყოფილიყო:	არის:
დოვიმბონით	დევიმბონით 'დავიბანეთ'
დომიბაღუნ	დემიბაღუნ' მეყოფა'[3]

---

1 ამავე რიგში ავტორს მოცემული აქვს: ო+ო=ო, ო+ე=ე, ო+ა=ა: ჰანურის გრამატიკა. ანალიზი, გვ. 31-35. ამათ ქვევით თავ-თავის ადგილას შევეხებით.

2. არნ. ჩიქობავა, დასახელ. შრ., გვ. 31-34.

3. იქვე, გვ. 39.

აღსანიშნავია, რომ ჰანურში შემონახულია ამოსავალი ფორმებიც, სადაც „პრეევრბისეული ხმოვანი უცვლელადაა წარმოდგენილი ფუძისეული ხმოვნის წინ. მაგ.: ვარ დაიჯერუ ('არ დაიჯერა')" და მისთ[1].

როგორც ვნახეთ, ყველა ეს ფორმულა ამავე დროს დამახასიათებელია ქართული კილოებისთვისაც. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჰანურში ასიმილაციის პროცესი დახრულებულია, გარდამავალი სახეობები იშვიათია. მეტიც: აქ სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ორი ხმოვანი არათუ შერწყმულია და მიღებულია გრძელი ხმოვანი, როგორც ეს აჭარულ-თუშურშია, არამედ ეს „შერწყმა" ერთ ხმოვანშია გადაზრდილი. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ერთი ხმოვანი მივიღეთ არა ასიმილაციის გზით, არამედ წინა ხმოვნის დაკარგვის შედეგად, მაგრამ ასეთი დასკვნის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ: ა) ნაწილობრივი ასიმილაციის ფაქტები და ბ) ჰანურში ელიზიის წესი (მომდევნო ხმოვნის დაკარგვა)[2].

პრეევრბისეული ხმოვნის დამსგავსება ფუძის ხმოვანთან მეგრულშიც თითქმის ჰანურისებურია. აქ ვადასტურებთ A რიგის კომპლექსების შემდეგს ფორმულებს: ო+ი→ი+ი ‖ ი, ე+ი→ი+ი, ა+ი→ე+ი, ა+ე→ →ე+ე, ა+უ→ო+უ→უ+უ.

უნდა ყოფილიყო:		არის:
ო+ი ‖ ი	ქოიბთხიი	ქიიბთხიი 'ვითხოვე'
	ქოდოიხვი	ქიდიიხვი 'დავემხვე'
	მოივრქიი	მიივრქიი 'მოვიქნიე'

პარალელურად:

ქოდოიხვი	ქიდიხვი 'დავემხვე'
ქომოიღი	ქომიღი 'მოვიტანე'

იოს. ყიფშიძე ამ პარალელურ ფორმათა შესახებ წერს: иногда гласный предлога совершенно отпадает[3]. ეს არაა სწორი.

ე+ი=ი	ქემეიღი→ქიმიიღი 'მივიტანე'
ა+უ=უ+უ	გაუთეებუ→გუუთეებუ 'გაუთავებია'
ა+ი=ე+ი	ვაითმართენა→ვეითმართენა 'არ გამოგეესვლება

ამავე რიგისაა: დუუძახ (←დოუძახი), 'დაუძახე', მუულა (←მოულა) 'მოდიან', ვო უძირგ (←ვაუძირგ) 'არ უნა-

---

[1] არნ. ჩიქობავა, დასახელ. შრ., გვ. 38:

[2] იქვე, გვ. 31.

[3] ი ო ს ე ბ ყ ი ფ შ ი ძ ე, Грамм. мингр. языка, § 115, β I.

ხავს' და მისთ. (შდრ. იმერული რე ეჭნა—რა იჭნა, რო_უყავი —რა უყავი[1]).

შეიძლება დავასკვნათ. A რიგის კომპლექსებში, სადაც ვიწრო ხმოვანი მოსდევს უფრო ფართო ხმოვანს, ადგილი აქვს რეგრესულ ასიმილაციას: ვიწრო ხმოვნები იმსგავსებენ ფართო ხმოვნებს. ეს კანონზომიერება გატარებულია ქართული ენის დასავლურ კილოებში ძირითადად, აღმოსავლურ კილოთაგან — თუშურსა და ფერეიდნულში (მოხეურშიც) და ენათაგან—ზანურში. ქართული კილოებიდან ყველაზე შორს წასულან თუშური და აქარული და ამით ისინი უახლოვდებიან ზანურს; დანარჩენი დასავლური კილოები გარდამავალ საფეხურზე დგანან.

B რიგის კომპლექსები

B რიგის კომპლექსებში ვიწრო ხმოვანს მოსდევს უფრო ფართო (ვიწრო+ფართო); იგი საპირისპიროა A რიგისა. ესენია: ო+ა; ე+ა; ი+ე, ი+ო, ი+ა; უ+ე, უ+ო, უ+ა.

ამ შემთხვევაში — ქართული კილოების მიხედვით — ადგილი აქვს ვიწრო ხმოვნის კიდევ უფრო დავიწროებას. ჩანს, მომდევნო ფართო ხმოვანი ვერ იჩენს საასიმილაციო ძალას; პირიქით, საქმე გვაქვს დისიმილაციასთან, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. უფრო ზუსტი კვალიფიკაცია ამ მოვლენისა იქნება, თუ ვიტყვით, რომ აქ მიდრეკილებაა დიფთონგიზაციისაკენ; ხმოვანთა ჯგუფი, რომლის პირველი ნაწილი ვიწროა და მეორე ნაწილი ფართო, ისწრაფვის დიფთონგად ქცევისაკენ წინამავალი ვიწრო ხმოვნის კიდევ უფრო დავიწროების გზით.

B რიგის კომპლექსების განვითარების გზა ასეთია:

ო+ა—უ+ა—ჳ+ა—ვ+ა (—ა)
ე+ა—ი+ა—ჲ+ა
ი+ე—ჲ+ე
ი+ა—ჲ+ა
უ+ე—ჳ+ე (—ვ+ე),
უ+ა—ჳ+ა (—ვ+ა)

(ო, უო ჯგუფები პრეფერბებში არ არის).

ოა კომპლექსის სახეცვალების პირველი საფეხური უა საერთოა აღმოსავლური და დასავლური კილოებისათვის, იმ განსხვავებით, რომ

1 იხილე უფშაძე, Грамм. мингр. яз., § 115, მისივე ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, „ტფ. უნივერსიტეტის მოამბე", I, გვ. 7.

აღმოსავლურში უმთავრესად სიტყვის ბოლოში ხდება ეს, დასავლურში—უმთავრესად პრევერბებში. იგარაუდება ამ ტიპის ნიმუშები: მ უ ა ხ ე რ ხ ო ს, მ უ ა წ ი ა, გ ა მ უ ა ღ ვ ი ძ ა, გ ა მ უ ა რ დ ე ბ ა... გ ი გ უ ა, ბ ე რ უ ა, ს ა ნ დ რ უ ა, შ ა ქ რ უ ა... გ ო გ უ ე ბ ი, პ ა ლ უ ე ბ ი (როგორც ვხედავთ, სიტყვის ბოლოს ამ კომპლექსების ცვალება როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებში იჩენს თავს).

ოა-ს განვითარების მეორე საფეხურის—უა (ოა→უა—უა)-ს ნიმუშები ძირითადად დაცულია აჭარულში; მაგ.: მ უ ა ქ ვ ს (←მუაქვს←მოაქვს), მ უ ა ყ ვ ა ნ ი ა (←მუაყვანია←მოაყვანია), ჩ ა მ უ ა დ ე ბ ი ე ს (←ჩამუადებიეს←ჩამოადებიეს), ა ღ მ უ ა ჩ ე ნ თ (←აღმოუჩენთ←აღმოაჩენთ). აქვე შემოდის: გ ა მ უ ა, მ ო გ თ ხ უ ა...[1] როგორც ჩანს, აჭარულში უკვე მიღებულია დიფთონგი.

გურულსა და ქვემოიმერულში სპორადულადღა გეხვედება ამ ტიპის მაგალითები: გ ა დ მ უ ა რ დ ა, მ უ ა წ ე რ ა...[2]

შემდეგი საფეხურია უმარცელო უ-ს თანხმოვანში გადაზრდა: უა—უა. ეს კარგად ჩანს გვარების მაგალითში: გ ო გ ვ ა ძ ე—გ ო გ უ ა ძ ე ←გ ო გ უ ა ძ ე ←გ ო გ ო ა ძ ე; ბ ო ც ვ ა ძ ე ← ბ ო ც უ ა ძ ე—ბ ო ც უ ა ძ ე—ბ ო ც ო ა ძ ე. დღეს იხმარება გ ო გ ვ ა ძ ე და გ ო გ უ ა ძ ე-ც, მეორე მაგალითიდან კი—ბ ო ც ვ ა ძ ე.

ამ კომპლექსიდან საბოლოოდ ა-ს მიღების შემთხვევები ქართულ კილოებში საერთოდ არა გვაქვს, ოღონდ ძლიერ იშვიათად შესაძლებელია იყოს თუშურში: მ ა ც გ ო ნ დ (←მ ო ა გ ო ნ დ ა), მ ა ჭ ე რ ჯ (←მ ო ა ჭ ე რ ჯ ა).

უა—ია მეტად გავრცელებულია კილოებში და ამავე დროს საამისო ფაქტები სალიტერატურო ენისთვისაც არაა უცხო. ჩვეულებრივია კილოებში ასეთი ფორმები: შ ი ა ტ ყ ო, შ ი ა დ ა რ ე, შ ი ა ს რ უ ლ ა და სხვ. განსაკუთრებით ფშაურშია ეს წესი მოქმედი, ოღონდ უმთავრესად სიტყვის ბოლოს. აქედან შესულია უაჟას ნაწერებშიც. მაგალითები უაჟადან: ვ ი ჯ დ ი ა, მ წ ა რ ი ა, ა გ რ ი ა, გ ა დ მ ო ს თ ე ლ ი ა, მ ა ი რ ც ხ ვ ი ნ ი ა, შ ა მ ი ბ რ ა ლ ი ა, დ ა ვ ა ს რ უ ლ ი ა, ღ ო ნ ი ა, ღ ა მ ი ა, გ ა გ ვ ა ა ვ ი რ ვ ი ა, ხ ვ ა ლ ი ა, მ თ ვ ა რ ი ა, დ ა გ ვ ი უ ა რ ი ა, შ ე ი წ ყ ა ლ ი ა, მ ო ა რ ჩ ი ნ ი ა, მ ც ი რ ი ა, დ ა უ ჯ ე რ ი ა... უნდა ყოფილიყო: ვ ი ჯ დ ე ა, მ წ ა რ ე ა, ა გ რ ე ა...[3] სალიტერატურო ენიდან: მ ი ა მ ა (გ ი ა მ ა, ი ა მ ა), გ ი ა ხ ე ლ ი, ქ რ ი ს ტ ი ა ნ ი (←ქ რ ი ს ტ ე ა ნ ი).... საერთოდ იან-სუფიქსი, რომელიც

---

1 ჯ. ნ ო ღ ა ი დ ე ლ ი, დასაბეჭ. შრ., გვ. 10.

2 ოტ. კ ა ხ ა ძ ი ს ოკრიბული მასალებიდან.

3 ა. შ ა ნ ი ძ ე, უაჟას ლექსიკონი (ეა): უაჟა-ფშაველა, II) 1930.

აღნიშნავს ჯოლა-ქონებას, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს[1], მიღებულა ჩანს ენ-ის გან. აქაც ძალაშია აღნიშნული წესი.

შემდგომი საფეხური ჲა აქარულში დასტურდება: შ ჲ ა ხ ტ ე ბ ა, შ ჲ ა რ ი გ ე ბ ე ნ...[2]

იე—ჲე-ს მაგალითები აქარულსავე დაუცავს: დ ჲ ე ძ ი ნ ა, ჩ ჲ ე ყ ვ ა ნ ა[3]. იქნება ია—ჲა-ს ასეთი ფორმები: მ ჲ ა ტ უ ა, მ ჲ ა ყ ა რ ა...

უა და უი კომპლექსები პრეევრებებში არ გვხვდება (მხედველობაში არ ვიღებთ, თუ უ მიღებულია ო-ს დავიწროების გზით). სამაგიეროდ, სხვა პოზიციაში ესენი ჩვეულებრივია. ამ მხრივ უნდა გავიხსენოთ საზოგადო ქართული ენის ფაქტები. ძვ. ქართულში რომ უმარცვლო უ იწერება ხმოვნების წინ — თ უ ა ლ ი, ს ხ უ ა, ს ა ყ უ ა რ ე ლ ი, ჯ უ ა რ ი, ს ი ტ ყ უ ა, თ ქ უ ა, მ ო კ უ ე დ, შ უ ე ნ ი ე რ ი, ქ უ ე ყ ა ნ ა, ვ ა ჩ უ ე ნ ო თ, დ ა ი ს უ ე ნ ა, შ უ ე ნ ი ს... ამ ნიადაგზე აიხსნება. შემდგომი საფეხურია უ-საგან ვ-ს მიღება (თ ე ა ლ ი... ვ ა ჩ ვ ე ნ ო თ...).

მეგრულსა და ჭანურში B რიგის კომპლექსებიდან მოქმედია ეა კომპლექსი. იგი იძლევა, როგორც ეს მოსალოდნელია, ია-ს მეგრულში და ჲა-ს ჭანურში.

არნ. ჩიქობავა თავის ნაშრომში ე+ა=ჲ+ა-ს მიიჩნევს ასიმილაციად (გვ. 36), მაგრამ აქ პირუკუ პროცესი ჩანს: მომდევნო ფართო ხმოვნის (ა-ს) წინამავალი ვიწრო ხმოვანი (ე) კიდევ უფრო ვიწროვდება დიფთონგიზაციის საერთო წესის მიხედვით.

მაგალითები ჭანურიდან:

უნდა ყოფილიყო:	არის:
ქოგე-აკნუ	ქოგჲაკნუ 'ხელში ეცა'
გე-ანჭუშუ	გჲანჭუშუ 'დაწვდა, დაიწია'
ქოგე-აგერეტუ	ქოგჲაგერეტუ 'დაჩეჩოდა'

მაგალითები მეგრულიდან:

უნდა ყოფილიყო:	არის:
წოხოლე-ანი	წოხოლიანი 'წინანდელი'
ბადე-ამი	ბადიამი[4] 'ბადიანი'

---

1 ქართული გრამატიკის საფუძვლები, 'საქვეთი', 1, 1942, § 163.

2 ჯ. ნ ო ღ ა ი დ ე ლ ი, დასახელ. შრ., გვ. 9.

3 ი ქ ვ ე.

4 დასახელ. შრ., გვ. 37.

5 И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, § 126 d, г.

როგორც ვხედავთ, სათანადო კომპლექსში მეგრულში ჯერ კიდევ არ არის მიღებული დიფთონგი (ე+ა—и+ა), ხოლო ჰანურში უკვე გამომუშავებულია იგი (ე+ა—ѣ+ა).

ჰანური კიდევ უფრო შორს მიდის: დიფთონგიზაციის პროცესის გზით საბოლოოდ მიღებულია ერთი ხმოვანი, ე. ი. დაკარგული ჩანს დიფთონგის სუსტი ნაწილი. ეს მეღავნდება ოა კომპლექსის მაგალითზე. არნ. ჩიქობავას მოცემული აქვს о+а=а ასიმილაციის ფორმულები მწკრივში. ავტორის აზრით, ამ კომპლექსში ხდება რეგრესული ასიმილაცია (მომდევნო ა იმსგავსებს წინამავალ о-ს, ვიდებულობთ аа-ს, შემდეგ ā-ს და საბოლოოდ а-ს). იგი ასახელებს შემდეგს მაგალითებს:

უნდა ყოფილიყო:	არიხ:
მო-ატუდორენ	მატუდორენ 'სცემია სუნი'
დო-ასვეს	დასვეს 'წაეცხოთ', „წაესვათ"
ქოგო-ანწკუ	ქოგანწკუ თოლი 'აეხილა თვალი', „გაეხსნა თვალი"
ქო-ამაფთი	ქამაფთი 'დავდექი', „ამოვედი"
ქომო-ალუ	ქომალუ თელი 'მოედო მავთული'
მო-ადვეეტუ	მადვეეტუ 'მოსდებოდა'[1]

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ აქ ასიმილაციას არა აქვს ადგილი. საერთოდ მომდევნო ფართო ხმოვანი არ იმსგავსებს წინამავალ უფრო ვიწრო ხმოვანს. ასეთ შემთხვევაში „დისიმილაცია"; უფრო ზუსტად—დიფთონგიზაციაა, რა გზითაც მივიღეთ, საბოლოო ანგარიშში, ა. ფორმულა ასე წარმოიდგინება: о+а→у+а→ў+а→ѵ+а→а მაშასადამე, ამ ჯგუფის პროცესი B რიგს მისდევს. რომ ეს ასეა, კარგად ჩანს იმავე ჰანურის ფაქტებიდან:

უნდა ყოფილიყო:	არიხ:
დო-აჭუ	დეაჭუ 'დაეწვა'
ქოდოლო-აქიტეს	ქოდოლეაქიტეს 'გადაეხვიენენ, ჩაეხუტნენ'
დო-აღოდუ	დეაღოდუ 'დაემართა'
დო-აფისუ	დეაფისუ 'დაესვარა'[2]

სწორედ ამ მაგალითებშია შემონახული გარდამავალი საფეხური, და ეს ამტკიცებს, რომ ოა კომპლექსი დავიდა а-მდის არა ასიმილაციით, არამედ წინამავალი о-ს დავიწროებისა, მისი ѵ-დ ქცევისა და საბოლოოდ

---

1 დასახელ. შრ., გვ. 35.

2 იქვე.

მისი დაკარგვის გზის გავლით. სხვაგვარად „ვინიანი ფორმების" (დ ვ ა ჭ უ და მისთ.) ახსნა გაგვიჭირდებოდა. არნ. ჩიქობავა „ვინიანის ფორმების" შესახებ შენიშნავს: „ა-ს წინ პრევერბისეულმა ო-მ შეიძლება ნაწილობრივი ასიმილაცია განიცადოს და ვ-დ იქცეს: ო+ა=ვა"[1]. ამას ვერ გაუზიარებთ: ა-მ რომ ო დაიმსგავსოს, იგი უნდა გააფართოოს, აქ კი ო-ს ვ-დ ქცევა (ჯერ სრული უ-სა და შემდეგ უმარცელო უ-ს მიღება) დავიწროების პროცესის შედეგია.

ამგვარად, ოა კომპლექსის სახეცვალების მიხედვით ჩანს, რომ ჰანურში დიფთონგიზაციის პროცესის შედეგად ორი ხმოვნის კომპლექსი დაყვანილია ერთ ხმოვანზე.

C რიგის კომპლექსები

აქ შემოდის თითქმის თანაბარი ღიაობის ხმოვანთა და ამასთანავე იდენტურ ხმოვანთა კომპლექსები.

ოე კომპლექსის ფონეტიკური განვითარება დასავლურ კილოებში A რიგის კომპლექსთა კანონზომიერებას მისდევს: ადგილი აქვს რეგრესულ ასიმილაციას: მ ე ე ლ ი, გ ა მ ე ე კ ი დ ა, ჩ ა მ ე ე ხ ს ნ ა, შ ა მ ე ე თ ვ ა ლ ა, პ ე ვ ე ტ ი ('პოეტი': ვ ჩართულია) და სხვ. აღმოსავლურ კილოებში ეს კომპლექსი B რიგის წესს გასდევს: ადგილი აქვს წინამავალი ხმოვნის დავიწროებას (resp. დიფთონგიზაციის პროცესს): მ უ ე ლ ი თ, გ ა მ უ ე კ ი დ ა, ჩ ა მ უ ე ხ ს ნ ა, მ ა ვ ი წ რ უ ე ბ თ, გ ო გ უ ე ბ ი, გ რ უ ე ბ ა, დ ა ი ტ უ ე ბ ს, ი ნ დ უ ე თ ი, პ უ ე ტ ი და სხვ. შდრ. პარალელური ფორმები:

დასავლური:	აღმოსავლური:
მეელი	მუელი
გამეეკიდა	გამუეკიდა
პეეტი	პუეტი[2]

ეტყობა, ო და ე ხმოვნებს შორის ღიაობის მხრივ დიალექტურად განსხვავებაა: დასავლურ კილოებში ე ვიწროა ო-სთან შედარებით, აღმოსავლურში — პირიქით: ო უფრო ვიწროა ე-ზე. რომ ასე უნდა იყოს, ეს კარგად მეღავნდება იმ შემთხვევაშიც, როცა ხმოვნების ადგილი შენაცვლებულია კომპლექსში: ე+ო. დასავლურში ჭარბობს ასეთი ფორმები: მ ი ო რ ე, მ დ გ ო მ ა რ ი ო ბ ა, შდრ. მ ო ო რ ე, მ დ გ ო მ ა რ ო-

---

[1] დასახელ. შრ. გვ. 35.

[2] გურეულში ზოგჯერ გვხვდება ოე—უე-ს რიგის მაგალითები, რაც შეიძლება აიხსნას (ისევე, როგორც სხვა „აღმოსავლური ფორმები") სამხრეთ საქართველოს გზით შესულად.

ობა და სხვა. მეგრულ-ჭანური დასავლურ კილოებს უპირს მხარს: ე ვიწრო ჩანს ო-ზე; ეო კომპლექსი B რიგისას ეკედლება: ე+ო→ →ი+ოllა+ო.

მაგალითები მეგრულიდან:

უნდა ყოფილიყო:	არის:
მე-ოხექ	მიოხექ 'ჩანხარ'
მე-ოჯინი	მიოჯინი 'შეხედე'
გე-ორთუ	გიორთუ 'ახურავს'[1]

მაგალითები ჭანურიდან:

უნდა ყოფილიყო:	არის:
გე-ობუნ	გჲობუნ 'კიდია მას'
ე-ოფშუ	ჲოფშუ 'ააცსო'
გე-ოლუ	გჲოლუ 'ჩამოვარდა'
გე-აჯინუ	გჲაჯინუ 'დააწვა'
ქოგე-ოხუნუ	ქოგჲოხუნუ 'დასვა' (ურემზე)[2]

უი კომპლექსის სახეცვალებანი შემდეგს სურათს იძლევა: ა) ვიწროდება უ და ვ-დ იქცევა ლეღუი→ლეღუი→ლეღვი. ასეევა მიღებული: თაგვი, ნესვი, მოგვი, ბორცვი და მისთ. შესაძლოა ბ) მომდევნო ი დაიკარგოს: საკურველი, სიტყუსგება, მახული, წუმა და სხვ: ადიშის ძეგლში ასეთი ფორმები არაიშვიათია. უეჭველია, აქ დიალექტიზმის გამოვლენაა.

სრულიად ბუნებრივია, რომ იდენტური ხმოვნები იხწრაფვიან შერწყმისაკენ და ვღებულობთ ჯერ გრძელ ხმოვანს, შემდეგ კი ერთ ხმოვანში გადაიზრდებიან. ზანურში ეს პროცესი დასრულებულია, თუმცა გრძელი ხმოვნის ნიმუშები, მაგ., მეგრულში, დღესაც ბევრია. დასავლურ კილოებში გრძელი ხმოვნები გვაქვს. ამ ტიპის მაგალითები — სათი, საღამრბით, დიძინე — ბევრია.

ორი ერთნაირი ხმოვნის განვითარება მხოლოდ შერწყმის გზით უნდა წავიდეს, — დისიმილაცია დასაშვები არაა. ასე: შეუძლებელია ეი, ოო, უუ, აა კომპლექსებმა დისიმილაცია განიცადონ. ეს იმდენად უდავო დებულებაა, რომ a priori მიუღებელია ი. ყიფშიძის ვარაუდი, თითქოს მეგრულში იი გვაძლევდეს დისიმილაციით ეი-ს და უუ—ოუ-ს.

---

[1] И. Кипшидзе, Грамм. мингр. яз., § 115.

[2] არნ. ჩიქობავა, დასახელ. შრ., გვ. 36.

ავტორის აზრით, წ ყ ი ი დიალექტურად — დისიმილაციით — გვაძლევს წ ყ ე ი-ს (წყავი), ჩ ხ უ უ—ჩ ხ ო უ-ს (ძროხა)[1] ასევე ივარაუდება წმნებში: ფ თ ქ ვ ი ი გვაძლევს ფ თ ქ ვ ე ი-ს, ი ბ თ ხ ი ი—ი ბ თ ხ ე ი ს, თ ქ უ უ —თ ქ ო უ-ს, ი თ ხ უ უ —ი თ ხ ო უ-ს[2]. მე კი ვფიქრობ, რომ აქ პირუკუ ვითარებაა: ამოსავალია ე ი, ო უ, ხოლო ი ი, უ უ მეორეულია, ასიმილაციით მიღებული. ამდენად: წ ყ ე ი—წ ყ ი ი, ფ თ ქ ვ ე ი—ფ თ ქ ვ ი ი. ჩ ხ ო უ—ჩ ხ უ უ და ა. შ. და მართლაც: უკანასკნელი მაგალითიდან სხვა მხრივაც ჩანს, რომ ამოსავალია ჩ ხ ო უ (შდრ. ქართ. ც ხ ო ვ ა რ ი).

ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ქართულ კილოებში დადასტურებული ე ე-ს დისიმილაცია: ე ე—ი ე—ჲ ე. აქ მოსალოდნელი იყო ი ე—ე—ე, მაგრამ ადგილი აქვს წინა ე-ს დავიწროებას და, ამგვარად, ამ კომპლექსში ძალაშია დიფთონგიზაციის პრინციპი.

ი ე-ში წინამავალი ე ვიწროვდება შემდეგს კილოებში: მესხურში, მთარაჭულში, თუშურში, გურულში, იმერულში, აჭარულში, ნაწილობრივ ქვემოიმერულში. ი ე-ში განმსგავსების პროცესს ადგილი აქვს ა) პრეევერბისეულ ე-სა და ფუძის თავკიდურ ე-ს შეხვედრისას, ბ) შეიძლება პრეევერბისეული ე თავისთავად ნაასიმილაციარი იყოს, გ) მრავლობითის ე ბ-ისა და ფუძის ბოლოკიდური ე-ს შეხვედრის პირობებში.

ი ტიპური მაგალითები: შ ი ე ბ რ ა ლ ა, შ ი ე ყ ა რ ა, შ ი ე ჭ ა მ ა, შ ი ე ძ ლ ო ს . . . , გ ა მ ი ე კ ი დ ა (←გ ა მ ე ე კ ი დ ა←გ ა მ ო ე კ ი დ ა), გ ა მ ი ე წ ყ ო (←გ ა მ ე ე წ ყ ო←გ ა მ ო ე წ ყ ო). გ ი ე ტ ე ხ ა (←გ ე ე ტ ე ხ ა←გ ა ე ტ ე ხ ა), დ ი ე ძ ი ნ ა (←დ ე ე ძ ი ნ ა ←დ ა ე ძ ი ნ ა). დ ი ე ც ა (←დ ე ე ც ა ←დ ა ე ც ა) . . . კ ლ დ ი ე ბ ი (კ ლ დ ე ე ბ ი), ღ ე ლ ი ე ბ ი (ღ ე ლ ე ე ბ ი), ს ა ქ მ ი ე ბ ი (ს ა ქ მ ე ე ბ ი), ტ ყ ი ე ბ ი (ტ ყ ე ე ბ ი), მ თ ი ე ბ ი (←მ თ ე ე ბ ი←მ თ ა ე ბ ი), ვ ი ნ ც ხ ი ე ბ ი (←ვ ი ნ ც ხ ე ე ბ ი←ვ ი ნ ც ხ ა ე ბ ი) და მისთ.[3] მხოლოდ აჭარულშია მიღებული დიფთონგი ჲ ე: დ ჲ ე ძ ი ნ ა, წ ჲ ე გ ე ბ ა, მ ჲ ე წ ყ ი ნ ა.

მაშასადამე, ი ე კომპლექსი ეთიშება იდენტურ ხმოვანთა კომპლექსის წესს — დაყვანილ იქნეს ერთ ხმოვანზე, და დიფთონგიზაციის გზას ადგას. თუ რატომ ხდება ეს, ჯერჯერობით აუხსნელია.

დასასრულ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას.

როგორც დავინახეთ, A რიგის კომპლექსების სახეცვალებას საბოლოოდ მივყავართ ერთხმოვნობამდის: რეგრესული დამსგავსების შემ-

---

[1] იქვე, § 5 c.

[2] იქვე, § 75 b.

[3] ზოგ კილოში (მესხურში, აჭარულში, გურულში) ანალოგიით -ი-ებ თანხმოვანფუძიანებსაც დაერთვის: რ ძ ლ ი ე ბ ი, ქ ა თ მ ი ე ბ ი, ს ა ქ მ ლ ი ე ბ ი, ც ხ ე რ ი ე ბ ი . . . ვ. ბ უ ბ უ ა აქ ი-ს ინფიქსად მიიჩნევს (ზემო აჭარის ენობრ. მიმოხილვა. გვ. 13). ეს შეცდომაა.

დეგ ორი ერთნაირი ხმოვანი ერთ გრძელ ხმოვანში გადაიზრდება და ბოლოს ვღებულობთ ერთ ხმოვანს. ამ უკანასკნელ საფეხურს მიაღწია ზანურმა მეტ-ნაკლებად, ხოლო ქართული კილოები ამ პროცესის სხვადასხვა საფეხურებს წარმოგუიდგენენ; წინაუკანასკნელ საფეხურზე დგანან აჭარული და თუშური.

არსებითად ამავე გზას ადგას B რიგის კომპლექსები: ხმოვანთა კომპლექსი ერთხმოვნობისკენ მიემართება, ოღონდ დიფთონგიზაციის გზით.

ამგვარად, ხმოვანთა კომპლექსებში ასიმილაციისა და დისიმილაციის (resp. დიფთონგიზაციის) საბოლოო შედეგი, მიუხედავად ამ პროცესების დიამეტრალურად სხვაობისა, ერთი და იგივეა. ორივე გზა მიემართება ერთ ხმოვანზე დაყვანისაკენ. პირველი გზა გულისხმობს სრული დამსგავსების საფეხურის გავლით ორი ხმოვნის ერთ ხმოვანში შერწყმას და მაასიმილაციებელი ხმოვნის უცვლელად დარჩენას, მეორე გზა კი — ერთი ხმოვნის დაკარგვას დიფთონგის საფეხურის გავლით და მადისიმილაციებელი ხმოვნის უცვლელად დარჩენას. ესაა ხმოვანთა კომპლექსების „გამარტივების“ ორი საშუალება. A რიგის კომპლექსებში რეგრესული ასიმილაციაა კომპლექსის გამარტივების საშუალება, ხოლო B რიგისაში, პირიქით, „დისიმილაციაა“ მოქმედი, — აქ ვიწროსნი კიდევ უფრო ვიწროვდებიან და დიფთონგის გზის გავლით გამარტივებას აღწევენ.

თუშური და აჭარული პარალელი ვიწრო ხმოვნების მაასიმილაციებელი ძალის მხრივ საყურადღებოა ქართული დიალექტოლოგიისათვის. ირკვევა, რომ ვიწრო ხმოვნების ი უ-ს ძალა არ ყოფილა მარტოოდენ დასავლური კილოების ნიშანდობლივი თვისება, იგი აღმოსავლური კილოებისთვისაც არა ჩანს უცხო.

დასავლური კილოების კანონზომიერება — ვიწრო ხმოვნების დიდი ძალა ასიმილაციის პროცესებში — ეგზომ დამახასიათებელი ამავე დროს ჰეგრულ-ჭანურისათვის, არ შეიძლება ახსნილ იქნეს როგორც ზანიზმი. თუშურის (და აგრეთვე მეტ-ნაკლებად სხვა აღმოსავლური კილოების) მონაცემები გვაიძულებენ ეჭვის თვალით მოვეკიდოთ ამ მხრივ მხოლოდ და მხოლოდ ზანურის გავლენას.

ასიმილაციის პროცესებში ვიწრო ხმოვნების განსაკუთრებული როლის საკითხთან შინაგან კავშირშია თუშურის (და ზოგჯერ სხვა მთის კილოების) წესი ხმოვანთა დავიწროება-დაკარგვისა არაასიმილაციურ გარემოცვაში.

თუშურში მიდრეკილებაა ბოლოკიდური ხმოვნების ო ა-ს დასუსტება-დაკარგვისაკენ. მესამე პირის სუბიექტური ნიშანი ო ჩვეულებრივ ვიწროვდება უმარცვლო უ-დ: იყუ, ყოფილიყუ, სცოდნიყუ, წეცლუ, ცამიღუ, ეცნუ, ეთქუ... ვიწროვდება წოდებითი ბრუნ-

ვის ო: ბიჭუ, ვაჟებუ... ძირში: იჩუ[1], დოჭუ[2]. თუ ო-ს ხმოვანი უძლვის (როცა ეს ო წოდებითი ბრუნვის ნიშანია, ან სხვათა სიტყვის ო არის), მაშინ, ბუნებრივია, ამ პროცესს მით უმეტეს ექნება ადგილი: ღოროუ (წოდ.), ბიჭაუ (წოდ.). სხვათა სიტყვის ო ჩვეულებრივ უმარცვლო უ-დაა ქცეული. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თუშურს ძალიან უყვარს სხვათა სიტყვის ო—უ-ს ხშირი გამოყენება. უ (←ო) ისმის არა მარტო ფრაზის ბოლოს, არამედ თითქმის წინადადების ყოველი წევრის ბოლოს: „უთხრ: მიდიუ, ჩუენაუ მზად ვართაუ; იფიქრ, რო თუშებიუ ისთაც ხალხიაუ, ჯერ არაფერს იტყვიანსაუ, თუ თქვიანაოდ გაცაცხადებენაუ; მეშუიდე წელსაუ ტყემაუ ფოთოლ აღარ გამცსხაუ, ხალხიუ სუ მთა-წვერთ მეკედვაუ, წყლებიცა დაშრაუ,—იმაშინდელიაუ, დიდ მთებშიგ რო ნაფუძრებიაუ...“ ხევსურული უფრო შორს მიდის: უ-ს ვ-დ აქცევს. აქ სხვათა სიტყვის მაწარმოებელია არა ავ, არამედ ვ, რომელიც ო-სგან მომდინარეობს, ხოლო წინამავალი ა სხვა წარმოშობისაა: იგი მთის კილოებში გავრცელებული მავრცობი ა არის, რომელსაც ჩვენ „ზმნის მავრცობ ა-ს“ ვუწოდებთ. მაგ.: გვიშველეთა, იღებსა, მოხკლავსა, მიგიღესა, ამბობა, უბოძეთა, ჯღირსებოდესა, იღებდენა და მისთ. სხვათა სიტყვის ო-ს დართვა დაკავშირებულია ამ მავრცობის გამოვლენასთან; ამისვე გავლენით ო ყიწროვდება უ-დ: მიგიღებაუ (მიგიღებო), ამბობაუ (ამბობო) და მისთ. ეგევე უ ირიბი მეტყველების კონსტრუქციაში შეიძლება შეეხამოს ი ე ო ხმოვნებს სახელებში: შვილიუ (შვილიო), სიკეთეუ (სიკეთეო), გოგოუ (გოგოო) და მისთ. ხევსურულში იქნებოდა: შვილივ, სიკეთევ...

ა-ზე დაბოლოებული სიტყვებიც ამავე წესს ემორჩილებიან. მესამე პირის სუბიექტური ნიშანი ა ეიწროვდება გ-დ, ან სულ იკარგება: დამიძახგ, გააკეთS, ეპირგ, გუკვირგ და მისთ. ანალოგიური მდგომარეობაა ზანურში. უფრო ხშირია დაკარგვის შემთხვევები: დამიძახ, გააკეთ... მაშასადამე, ეღებულობთ ამ თანამიმდევრობას: ა→Ø→0. სამიეე სახეობა დასტურდება; ჭარბობს მესამე.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ა უმთავრესად იკარგება, თუ იგი ფორმანტია (მაგ., პირის ნიშანი), ხოლო თუ ფუძისეულია, ხელუხლებელი რჩება (ე. ი. არის დედა, მამა და არა დედ, მამ..., მაგრამ: გააკეთ...).

თუ რა ფონეტიკური ფაქტორია ის ფაქტორი, რომელიც თანაბრად განსაზღვრავს უკიდურეს აღმოსავლურ კილოს — თუშურს და უკი-

---

[1] იჩო (სახელია).

[2] დოჭო (სოფელია გომეწრის ხეობაში).

დურეს დასავლურ კილოს — აჭარულს ხმოვანთა ცვლილებების თანაბრობის მხრივ, ამაზე მსჯელობა ჯერჯერობით ნაადრევია. აქ ვიტყვით, რომ შესაძლებელია გაითვალისწინოთ მეტყველების სწრაფი ტემპი, რომელიც საერთოა ამ ორი დიალექტური ერთეულისათვის ისევე, როგორც მეგრულ-ჭანურისთვისაა იგი ნიშანდობლივი; აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა მახვილსა და ინტონაციას ენიჭება.

დასკვნა

1. ქართულში ხუთი ხმოვნის ერთურთთან შეხამებით წარმოიქმნება 25 კომპლექსი. ღიაობის მიხედვით დალაგებისას 3 რიგი მიიღება: A რიგი, რომელშიც ფართოს მოსდევს ვიწრო, B რიგი, რომელშიც ვიწროს მოსდევს ფართო, და C რიგი, რომელშიც თანაბარი ღიაობისა და იდენტური ხმოვნებია.

2. სამივე რიგი ფონეტიკური თვალსაზრისით გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებს.

A რიგის კომპლექსში (ფართო+ვიწრო) ადგილი აქვს რ ე გ რ ე ს უ ლ ა ს ი მ ი ლ ა ც ი ას. ეს მოვლენა დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის და ზანურისათვის, აღმოსავლურ კილოთაგან კი — თუშურისათვის და ნაწილობრივ მოხეურ-ფერეიდნულისათვის.

B რიგის კომპლექსებში (ვიწრო+ფართო) ადგილი აქვს დისიმილაციის გზით დ ი ფ თ ო ნ გ ი ზ ა ც ი ი ს ა კ ე ნ მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა ს: წინამავალი ვიწრო ხმოვანი ფართოსთან მეზობლობაში კიდევ უფრო ვიწროვდება. ეს დამახასიათებელია მთლიანად ქართული ენისათვის და ამასთანავე ზანურისათვის.

C რიგის კომპლექსები ისწრაფვიან შერწყმისაკენ, თუ იდენტური ხმოვნებია, მაგრამ სალიტერატურო წარმოთქმის თვალსაზრისით თანაბარი ღიაობის (ოე) ხმოვნები სხვადასხვა პროცესს განიცდიან: აღმოსავლურ კილოებში ოე B რიგს გასდევს (ოე→უე), მაშასადამე, ო ვიწროა ე-ზე; დასავლურ კილოებსა და ზანურში კი ოე A რიგს გასდევს (ოე→ეე) ძირითადად,—მაშასადამე, ე ვიწროა ო-ზე. ასევე: ეო აღმოსავლურ კილოებში უმთავრესად A რიგის კანონზომიერებას ავლენს (ეო→ოო), ხოლო დასავლურ კილოებსა და ზანურში B რიგის წესს იზიარებს (ეო→იო→ჲო). ამგვარად: თუ სწორია ე და ო ხმოვნების თანაბარი ღიაობა სალიტერატურო მეტყველების თვალსაზრისით, დიალექტურად ისინი სხვადასხვა ღიაობისა ჩანან.

3. ხმოვანთა სამკუთხედის პრინციპი (ერთ ხაზზეა ა-ე-ი და მეორეზე—ა-ო-უ) გატარებულია ასიმილაციის პროცესებშიც: აი კომპლექსში ასიმილაცია ხდება ეი-ს საფეხურის გავლით (და არა ოი-სა), ხოლო

აუ-ში ოუ-ს გზა უნდა განვლოს კომპლექსმა, რათა უუ-ზე დავიდეს (და არა ეი-ს გზით წავიდეს).

4. ყველა რიგის (A, B, C) ხმოვანთა კომპლექსი ისწრაფვის ერთ-ხმოვნობისაკენ: კომპლექსის განვითარების საბოლოო საფეხურია ერთ ხმოვანზე დასვლა. საამისო გ ზ ა სხვადასხვაგვარია: A რიგის კომპლექსი ამას აღწევს ასიმილაციის გზით (აუ → ოუ → უუ → უ → უ), B რიგის კომპლექსი დიფთონგიზაციის (resp. დისიმილაციის) გზით (უა—უა—ვა —ა). C რიგის კომპლექსი — შერწყმის გზით (აა—ა—ა).

კომპლექსის განვითარების დასრულებულ სახეს მიაღწია ზანურმა (ე. ი. უკვე მივიღეთ ერთი ხმოვანი), ხოლო ქართ. კილოები ამ პროცესის სხვადასხვა საფეხურზე დგანან. ამათში ყველაზე შორს წასულან თუშური და აჭარული, სადაც გრძელი ხმოვანია გამომუშავებული უკვე (ერთი ხმოვანი ძალზე იშვიათია).

5. A, B, C რიგის კომპლექსთა ფონეტიკური პროცესების სხვადასხვა საფეხურის გათვალისწინება გამოდგება ქართულ კილოთა კლასიფიკაციის ერთ-ერთ ნიშნად.

მოხეური ლექსიკა ალ. ყაზბეგის ნაწერების მიხედვით

ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით, როგორ მუშაობდა ტექსტზე დიდი ბელეტრისტი, ან რა სახის ტექსტი გამოვიდა მისი ხელიდან, რაკი ავტოგრაფები არ შენახულა. ენობრივი დამთავრებულობა და სუფთა სტილი, დამახასიათებელი ილიას და აკაკის ენისათვის, ან ვაჟას პროზისათვის, არა გვხვდება ყაზბეგთან, მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს ის ძლიერი ლექსიკა-ფრაზეოლოგიური ნაკადი, რომლის სათაესები ხალხურ მეტყველებაშია და რომელიც თავისებურ ადგილს განუკუთვნებს ყაზბეგს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში. ეს სისადავე და უბრალოება არ არის შემუშავებული ხალხური მეტყველების მასალის გადამუშავებისა და სტილისტური დახვეწის ნიადაგზე; ეს თვით ყაზბეგის ბუნებრივი სასაუბრო მეტყველებაა, რომლის ფესვები მის დედაკილოში (მოხეურ დიალექტში) ძევს და რომელსაც არ განუცდია დიდი გაშალაშინება გრამატიკული ნორმალიზაციის შიხედვით.

ჩვენი მწერლისათვის დამახასიათებელი ხმის ლაპიდარული მანერა და რამდენადმე ნერვული სტილი სავსებით შეესაბამება იმ შინაგან დინამიზმსა და ექსპრესიას, რომლებითაც გამოირჩევა მისი მხატერული პროზა.

არ შეიძლება ითქვას, რომ ყაზბეგი მთლიანად თაუისუფალი იყოს მწიგნობრული შაბლონისაგან იქ, სადაც შეიძლებოდა მწერალი ასცდენოდა მსჯელობითი და ხელოვნური ენის ტრაფარეტს. ამ გარემოებას თავი უჩენია წინადადებათა კონსტრუქციებში, სადაც ყველაზე რელიეფურად შეიძლებოდა გამოჩენილიყო ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ბუნებრიობა და ძნელად მისაღწევი უბრალოება. დიდი ექსპრესია და თხრობის დაუსრულებელი, უწყვეტი დინება ყაზბეგთან ბადებს რთული წინადადების (არაიშვიათად გრძელი პერიოდების) აუცილებლობას. ცნობილია, რომ ჰიპოტაქსური შეხამებანი ნაკლებად ახასიათებს როგორც სასაუბრო მეტყველებას, ისე პოეტურ ენას; პოეზიისათვის შესაფერისია პარატაქსური კონსტრუქციები; რთული წინადადე-

ბის ფორმა უფრო შეეფერება ცნებებით აზროვნებას, და ესაა უმთავრესად ნიშანდობლივი სამეცნიერო ენისათვის.

ალ. ყაზბეგი გაურბის მიმღეობითს კონსტრუქციებს, ძალიან უყვარს განსაზღვრებითი წინადადებები, ე. ი. ისეთი კონსტრუქცია, რომელშიც ხშირად მონაწილეობს „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელი, და უნდა ითქვას, ამგვარ წინადადებათა ჭარბი გამოყენებით ავტორი ზოგჯერ არღვევს სინტაქსის საეალღებულო წესებს.

რადგანაც მწერლის ავტოგრაფები არ შემონახულა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია შედარებითი ანალიზი ავტორის სიცოცხლეში დაბეჭდილი ტექსტებისა შემდეგდროინდელ გამოცემებთან („ქართველთა ამხანაგობისა“ და სხვათა). გარდა ამისა, საბედნიეროდ, შენახულა „მამის მკვლელის“ ხელნაწერი, ავტორისავე ხელით გადმოწერილი ტექსტი „დროებიდან“ გარკვეული შესწორებებით (ავტორს განუზრახავს მისი ხელახალი გამოცემა). ამ შესადარებელი ერთეულების ანალიზი ჩვენ დაგვეხმარება იმის გასარკვევად, თუ რა ენობრივ სტილისტური ცვლილებები განიცადა ყაზბეგისეულმა ტექსტმა და ნაწილობრივ წარმოდგენა ვიქონიოთ (ზოგიერთი ადგილის მიმართ) იმ პირვანდელ რედაქციაზე, რომელიც უშუალოდ ყაზბეგის ხელიდანაა გამოსული.

ამგვარი ტექსტოლოგიური ძიებები მომავლის საქმეა, მაგრამ ამჟამადაც შეიძლება ზოგადად ითქვას, რომ რედაქტორებს მრავალი ადგილი მწიგნობრული ენის შაბლონის მიხედვით გაუმართავთ და პირვანდელი ტექსტისათვის რამდენადმე ხალხური სურნელება წაურთმევიათ, ავტორისეული მეტყველების ბუნებრიობა ალაგ-ალაგ შეუბღალავთ.

არის მთელი რიგი ადგილები, რომლებიც ტექსტში ბუნდოვანია, ანდა რომელიმე სიტყვა ტრადიციულ ტექსტში მეორდება გამოცემიდან გამოცემაში, მაგრამ არ არის ნათელი, რა მნიშვნელობით იხმარება ესა თუ ის სიტყვა. რედაქტორები ამ საკითხზე, როგორც ეტყობა, არ დაფიქრებულან. ამგვარი უყურადღებობის საილუსტრაციოდ აქ დავასახელებ ორიოდე ნიმუშს.

„მამის მკვლელის“ ტრადიციულ ტექსტში გვხვდება სიტყვა **მოიზაფრებოდა**. „რა იქნებოდა, სადღაც მოიზაფრებოდა?“ კითხულობს კობა, როდესაც ნუნუ აღარა ჩანს. ცხადია, აქ კონტექსტით იგულისხმება დაკარგვა, დამალვა, გაუჩინარება. ყაზბეგისავე სხვა მოთხრობებში ჩვენ გუხვდება **მოხაფვრა**, **დახაფვრა**, სწორედ დაკარგვის მნიშვნელობით. ამის მიხედვით, „მამის მკვლელში“ უნდა ვივარაუდოთ **მოიხაფრებოდა** (ე. ი. დაიკარგებოდა). არ არის ძნელი იმის ახსნა, თუ როგორ მივიღეთ ეს ალრევა: ეს მოხდა ხელნაწერში ხ-ზ ასოთა მსგავსების ნიადაგზე და სიტყვის მნიშვნელობის თავისებური გააზრიანებით.

ჩვენ ანალოგიური ალრევა გვეგონა მეორე სიტყვის მიმართაც. ესაა **ხორტი — ზორტი**. „ნამწყემსარის მოგონებანში“ ვკითხულობთ:

„ცხვარი გაიძაბა ვიწრო ხეულს ხეობაზედ და დაემსგავსა მოძრავს გრძელს ხორტს". რას ნიშნავს ხორტი? არც ძველ ქართულში, არც თანამედროვე სალიტერატურო ენაში, არც ხალხურ მეტყველებაში, მათ შორის მოხეურ დიალექტში, ეგ სიტყვა არ არსებობს. შესაძლოა აქაც ხ-ჯ ასოთა მონაცვლეობის საფუძველზე ჯორტ—სიტყვა იყო თავდაპირველად, და სემანტიკურადაც ჯორტი ამ კონტექსტში სრულიად გასაგებია. აქვე შეუნიშნავ, რომ ჯორტი საშუალო ქართულის ლიტერატურულ ძეგლებში არაიშვიათად იხმარება, იგი დადასტურებულია, აგრეთვე, ჩვენს ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში (საბა ორბელიანი, ჩუბინაშვილი).

თვით ყაზბეგსაც ნახმარი აქვს არაერთხელ სიტყვა ჯორტი. მაგალ., ერთგან ვკითხულობთ: „ჩემი მტერი ჩავარდეს მაგათ პირში, ჯორტსავით გადმოაბრუნებენ".

უფრო სარწმუნოა, აქ დავინახოთ ხორდი (ა. ჭინჭარაული).

ხ-ჯ-ს აღრევის სხვა მაგალითიც შეიძლება დავიმოწმოთ ყაზბეგის ტექსტიდან.

ყველა გამოცემაში, სადაც კი დღემდის დაბეჭდილია „ნამწყემსარის მოგონებანი" (მოყოლებული პირველი გამოცემიდან — ჩვენს დრომდის), ერთ ადგილას ვკითხულობთ: „შარშან ჯდეჯედ ავედით". რა არის ჯდე, რედაქტორები ამაზე არ დაფიქრებულან. აქ უნდა იკითხებოდეს ხდეჯედ, ხდე (ადგილობრივი წარმოთქმით ჯდე) კი მთის სახელია დარიალთან, თერგის მარჯვენა მხარეს, ყუროს მთის გადაღმა. კონტექსტითაც სწორედ ხდე არის საჭარაუდებელი.

აქვე აღვნიშნავთ შემდეგ გაუგებრობას, რომელიც მეორდებოდა გამოცემიდან გამოცემაში.

„ელგუჯაში" ერთ ადგილას ნაჩალნიკი ეუბნება მთიელებს: ვინ ხართ თქვენ? მთიელები უპასუხებენ: „ჩვენ ბედუანთ-კახელები გახლავართ, შენი კვნესა-მე". ასეა დაბეჭდილი როგორც პირველ ნაბეჭდში („დროება", 1881 წ.), ისე 1891 წლისა და მომდევნო გამოცემებშიც. აქაც აშკარა კორექტურული შეცდომაა დაკანონებული. უნდა იყოს „ბედუაანთ-კარელები" (და არა კახელები). ბედუაანთ-კარი სოფელია ჰთიულეთში (დუშეთის რაიონში).

„ხევისბერ გოჩაში" ვკითხულობთ: „რას სჩადი, გუგრიანო, თუ არ გაიყინე?" ყაზბეგთან სხვაგან ჩვეულებრივია სიტყვა ბუგრიანი. აშკარაა, აქაც ბუგრიანი უნდა გვქონოდა. ტრადიციულ ტექსტში დაკანონებულია კორექტურული შეცდომა.

საინტერესოა ამ სიტყვის (ბუგრიანი) ბუდი. მიუხედავად იმისა, რომ ყაზბეგი ამ სიტყვას განმარტავს, როგორც მუწუკებიანს, ქაჩალს, უხეიროს, ამჟამად მოხეურში ეგ სიტყვა ასე არ ესმით: იგი მკბენარიანს, ტილიანს ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ეს მნიშვნელობა დადასტურებული აქვს ა. შანიძეს როგორც ხევში, ისე მთიულეთსა და ფშავში

(ბეს.. გაბუურის ხევსურული მასალების ლექსიკონი, სიტყვასთან: ბუგრა). სხვა კილოებიდან აქ დაეასახელებთ ქიზიყურს, სადაც, სტ. მენთეშაშვილის გადმოცემით, ბუგრა მკბენარს ნიშნავს.

რა მდგომარეობაა ჩვენს ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში?

საბა ორბელიანს ბუგრი ესმის, როგორც მსხმო მუწუკი. დ. ჩუბინაშვილი ამავე გაგებას უპერს მხარს, ოღონდ ბუგრიანი სნეულება განმარტებული აქვს როგორც вшивая болезнь. როგორც ვხედავთ, ეს გაგება უახლოვდება დიალექტებში დაცულ მნიშვნელობას. ვახუშტი ბატონიშვილს თავის გეოგრაფიაში სიტყვა ბუგრი ორჯერ აქვს ნახმარი და ორჯერვე „მუწუკ"-სიტყვასთან შეხამებით: „მუწუკი და ბუგრი", „ბუგრი-მუწუკი". თუ უახუშტის ბუგრი მუწუკად ესმოდა, მაშინ ტექსტში ნახმარი წყვილები უნდა გავიგოთ, როგორც სინონიმური პარალელიზმი [1].

ჩვენი მასალების შესწავლამ გამოავლინა აგრეთვე მამაისი, იაგოისი ტიპის მორფოლოგიური წარმოების ფუნქცია და წარმოშობა, წარმოებისა, რომელიც ლექსიკურ ოდენობად ქცეულა. ესაა ნანათესაობითარი სახელობითის დაბოლოება, რომელიც ერთვის საკუთარ სახელებს (საზოგადო სახელთაგან ისეთებს, რომლებიც საკუთარი სახელის როლში გამოდიან: დედა, პაპა, მამა...) და სასიყვარულო-მოფერებითი მნიშვნელობა აქვთ: იაგოსი, მათიასი, მარინეისი, სვიმონისი, დედაისი, მამაისი, პაპაისი, ნათლიაისი და ა. შ.

საიდან უნდა მომდინარეობდეს ეს ფორმა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო: მამაისი ჰირაიმე || მზემა ||კუნესამე, მარინეის ჰირაიმე || მზემა, და ა. შ. შემდეგ მომდევნო სიტყვები ლექსიკური გაცვეთის ნიადაგზე დაიკარგა. ამჟამად ისი დაბოლოება ფუნქციურად ეტოლება კნინობით-მოფერებით სუფიქსებს: მამაისი—მამიკო, სვიმონისი — სვიმონიკა, მარინეისი — მარიკა და სხვ.

საინტერესოა სპარს-ანგელოზ-სიტყვის წარმოქმნა. ხევში ცნობილია წვერის მთაზე, სოფ. სნოსთან სალოცავი, რომელსაც „წვერის სპარს-ანგელოზს" უწოდებენ. აქედან წარმოდგება: სპარს-ანგელოზის მადლმა, წვერის სპარს-ანგელოზის მზემ, თავის წყალობა გაგატანოსთ წვერის სპარს-ანგელოზმა, და მისთანანი.

ყაზბეგის ლექსიკაზე მუშაობის დროს ჩვენ დაგვებადა მოსაზრება:

---

1 საბა ორბელიანს დამოწმებული აქვს ოსეს 7₅, რომელშიც ნათქვამია: „განიერთხა ჭელ მისი ბუგრიანთა თანა". ბერძნულ დაბადებაში ბუგრის შესატყვისია βερμνυλι—ჰო ლიომოს; ძვ. ლათინურად უდრის lues-ს, ე. ი. გადამდებ სნეულებას, შაე ჰორს. ვახუშტისთან შავი ჰირი არ იგულისხმება. ილ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ვახუშტი ბუგრად ტანზე გამონაყარს უნდა გულისხმობდეს, ალბათ მუწუკებზე უფრო ძნელად მოსარჩენსო (შდრ. მისი „ბალნეოლოგიური და ინპოლაციური მკურნალობა საქართველოში", 1935).

ხომ არ არის აქ **სპახ-ანგელოზი?** როდესაც ადგილობრივ ვამოწმებდით მასალას, ჩვენთვის უფრო სარწმუნო გახდა წინადადელი დაეჭვება. მართლაც, ეს სალოცავი, ადგილობრივთა დასტურით, მხედრობის, ლაშქრობის ღვთაებაა. ამრიგად, ამ სიტყვის შედგენილობაში ჩვენ უნდა გვქონდეს სპა-სიტყვა, რომელიც ცნობილია, როგორც მხედრობის, ლაშქრობის გამომხატველი. შესაძლოა წარმომდგარია ასე: **სპაის-ანგელოზი,** ანდა იქნებ მრავლობითი რიცხვის ფორმაა, საფუძვლად მიღებულია: **სპათ-ანგელოზი.** ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ლაპარაკობს ყაზბეგთან პარალელურად დაცული ფორმა: **სპარსთ-ანგელოზი.** უნდა ვიფიქროთ, რომ, როცა სპა-სიტყვამ მნიშვნელობა დაკარგა, გააზრიანების, ე. წ. ხალხური ეტიმოლოგიის კანონის ძალით, სპა-ში გაჩნდა რ: **სპარს-ანგელოზი,** ცნობილი სპარს სიტყვის ანალოგიით.

ყაზბეგის ლექსიკაზე დაკვირვების დროს გარკვეული დაბრკოლება წარმოიშვა აგრეთვე **ოზდნობა** სიტყვასთან დაკავშირებით.

„ციციაში" ვკითხულობთ: „ძველი, დაგლეჯილი სახელოებ-მოხეული ჩოხა აშკარად ამტკიცებდა, რომ ეს ან ძალიან ღარიბი უნდა ყოფილიყო, ან „ოზდანი", ე. ი. ისეთი კაცი, რომელსაც ჩვეულება ჰქონდა მაშინდელის ჩვეულებით ტანისამოსის კოხტაობას ზიზღით უყურებდა. კარგი ცხენი და კარგად მოწყობილი იარაღი, ეს იყო მათი იდეალი და ამ მხრით მართლაც წუნს ვერ დასდებდით. ამგვარი „ოზდნები" ისევ ის ძველი რაინდნი იყვნენ, გაცვიებოდნენ ,აბრაგად და მოუსვენარი გული სად არ დაახეტებდა ყოველგვარის ფათერაკის საძებნელად".

ოზდანი მასობრივად ხევში დღეს აღარ იციან. რამდენიმე მოხუცმა ამიხსნა მისი დაახლოებითი მნიშვნელობა, ნათელი განმარტება მაინც ვერ მივიღე. საერთო დასკვნა ასეთია იმ განმარტებისაგან, რომელსაც ჩემი ინფორმატორები მაძლევდნენ: **ოზდანი** ეწოდება დარდიმანდ, ბოჰემური ხასიათის კაცს, რომელიც კარგი მხედარია.

მე ვფიქრობ, ეგ სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს **უზდენ** სიტყვას: უზდენებად იწოდებოდნენ უმაღლესი წოდების წარმომადგენლები (უფრო ზუსტად: ერთი შტო მაღალი წოდების ინსტიტუტისა) ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლებიც ცნობილნი იყუნენ როგორც დარდიმანდები, განსაკუთრებით — კარგი ცხენოსნები. ქართულში ამ სიტყვას ოდნავი ფონეტიკური ცვლილება განუცდია და გადატანითი (განზოგადებული) მნიშვნელობა მიუღია.

ყაზბეგის ტექსტის ენობრივი ცვლილებებისა და რედაქტორთა მუშაობის დასახასიათებლად მშვენიერი ნიმუშია **მზაღო** სიტყვის ისტორია.

„ელგუჯას" ყაზბეგი ორიდროინდელ გამოცემაში **მზაღვე** გვხდება და არა **მზაღო.** ოღონდ ერთ ვარიანტში ავტორი შენიშვნაში ამბობს, რომ **მზაღო** ჩერქეზულად მთუარის შუქს ნიშნავსო. 1884 წელს გამოსაცემად დამზადებულ წიგნში ავტორს ამ შენიშვნაშიც **მზაღვე** უწერია. მიუხე-

დავად ამისა, შემდეგდროინდელ გამოცემებში თვით მოთხრობაშიც მზაღლო გაუბატონებიათ.

საკითხავია, იხმარება თუ არა ჩერქეზულ ენაში მზაღლო?

ირკვევა, რომ ეგ სიტყვა შედგენილია ამგვარად: მაზა (ნიშნავს მთვარეს) და ღუე (ნიშნავს ნათელს, ბრწყინვალებას) [1]. აქედან მივიღეთ მზაღვე.

შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ეს ჩერქეზული სიტყვა ქართული ენის სინამდვილეში გადმოკეთდა მზაღლოდ ფონეტიკური ცვლილების გზით. მაგრამ, საქმე ისაა, არც ხევშია ცნობილი ეს სახელი.

ალ. ყაზბეგის ნაწერებში წარმოდგენილია მოხეური დიალექტის მონაცემები საყურადღებოა მეცნიერებისათვის იმ თვალსაზრისითაც, რომ ჩვენ საშუალება გვაქვს რეტროსპექტული შედარების გზით თვალი გავადევნოთ იმ ენობრივ ცვლილებას, რომელიც მომხდარა მოხეურ მეტყველებაში ყაზბეგის დროიდან მოყოლებული დღევანდლამდის. ამ ევოლუციის გათვალისწინებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისათვის, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხების რკვევისათვის. დაახლოებით ასი წლის წინათ მკვიდრდებოდა მომავალი მწერლის სამეტყველო ცნობიერებაში ხალხური მეტყველების შესანიშნავი ფორმები, შემდეგ გამოყენებული და ფიქსირებული მის მიერვე თავის მოთხრობებში, და ამ მდიდარ მასალას ჩვენთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

ყაზბეგმა გაამდიდრა ჩვენი ენა მრავალი სიტყვით, რომელთაც დიალექტური წარმოშობა აქვთ, და ზოგი მათგანი შეუა ქართული ენის სალექსიკონო საგანძურში, როგორც ძვირფასი მასალა, შემუშავებული ჩვენი ხალხის მიერ სიტყვათშემოქმედების მრავალსაუკუნოვანი გზნეთარების გზაზე.

ყაზბეგის ენაში მდიდრადაა წარმოდგენილი შორისდებულები, და ეს არ არის შემთხვევითი: ყაზბეგის ტემპერამენტს და თხრობის ექსპრესიას საუბებით შეეფერება შორისდებულთა სემანტიკური თავისებურება. შორისდებული ხომ ადამიანის რთულ ემოციებსა და სულიერი განწყობილების ექსპრესიას გადმოგვცემს; მათ ხმის საკუთარი მოდულაცია და ინტონაცია ახასიათებთ. ამით აიხსნება, რომ აფექტური ელფერი, ინტონაციურ-ექსპრესიული და ფონეტიკური მხარე შორისდებულებს გაცილებით უფრო მდიდარი აქვთ, ვიდრე მეტყველების სხვა ნაწილებს. ხშირად ყაზბეგთან შორისდებულები წარმოადგენენ სიტყვათა და წინადადებათა ეკვივალენტებს [2].

---

[1] ცნობა მოგვაწოდა გ. რ ო გ ა ვ ა მ. რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

[2] ზოგიერთი მოხეური შორისდებულის ანალიზი მოცემულია, სერ. ქ ე ნ ტ ი ს წაშრომში: შორისდებული ახალ საღიტერატურო ქართულში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", 1, 1946.

ყაზბეგის ლექსიკონში შესული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც არალიტერატურულია, უმთავრესად მთის კილოებს განეკუთვნება. ზოგი მათგანი სხვა კილოებშიც გვხვდება, ზოგიც არქაულია, მაგრამ რაკი ისინი მოხევეთა დიალოგშია დადასტურებული, მათ გათვალისწინებას მნიშვნელობა აქვს მოხეური კილოს ლექსიკური შემადგენლობის შესასწავლად.

მწერალი მზრუნველობით ეკიდება ყოველ სიტყვას თუ გამოთქმას, რომელიც კი მას აღებული აქვს მოხეური დიალექტიდან. ამას კარგად ადასტურებს განმარტებები, რომლებიც ყაზბეგს მოუცია თავის ნაწერებში. კონტექსტის მოშველიებით თუ თანამედროვე მოხეურ მეტყველებაზე დაკვირვებით ხერხდება ჩვენთვის საინტერესო სიტყვათა მნიშვნელობის დადგენა.

მესხური დიალექტი

სამხრეთ საქართველო ძირითადად ორ ნაწილად იყოფოდა: მტკვრის ხეობად და ჭოროხის ხეობად. ჭოროხის ხეობით ეს მხარე დასავლეთ საქართველოს ებჯინება (გურია-აჭარა), მტკვრის აუზით—ქართლს.

ისტორიულად სამხრეთ საქართველოს სახელწოდებანი ცვალებადია: IX საუკ. ბაგრატიონთა გუარის ერისთავებმა ტაო-კლარჯეთში დაარსეს სამთავრო. აქედან — განზოგადებული სახელი: ტაო-კლარჯეთი. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ ცენტრი ჭოროხიდან მტკვრის აუზში გადმოდის. მონღოლთა შემოსევიდან მკვიდრდება სახელი სამცხე-საათაბაგო.

VIII — IX საუკუნეებიდან ეს მხარე დაწინაურებულია და ამიერიდან „მესხეთი" ქართული კულტურის ავანგარდს წარმოადგენს. აქ ჩამოყალიბებული ლიტერატურული სკოლების წყალობით სალიტერატურო ქართულის განვითარებაში „მესხურმა" დიალექტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

XVII საუკ. მესხეთი ოსმალეთმა მოსწყვიტა საქართველოს. ამისდა მიუხედავად, ქართველი მუსლიმანებისათვის XIX საუკუნემდის დედაენა ქართული იყო. თურქულის ძლიერი დაწოლის შედეგად ქართული მეტყველება გადაშენების გზას დაადგა და მის ნაცვლად თურქულმა მოიკიდა ფეხი.

ქართული მეტყველება მტკიცედ დაუცავთ ქართველ კათოლიკეთ, რომელნიც ახალციხე-ახალქალაქის მიდამოებში მკვიდრობენ. ეს სოფლებია: უდე, ვალე, არალი, ღრელი, ბოლაჯური, ბნელა, ხიზაბავრა, ვარგავი.

გათვალისწინებული რაიონის მეტყველებისათვის დადგენილ უნდა იქნეს სახელწოდება მესხური.

მესხურის თავისებურებათა გათვალისწინებას იმ დასკვნამდის მივყავართ, რომ იგი ძირითადად აღმოსაელურ კილოთა ჯგუფს მიეკუთვნება; ყველაზე ახლოს ქართლურთან დგას. უამბობ ძირითადად, რადგანაც მის შემადგენლობაში გამოიყოფა დიდი ფენა, ნიშანდობლივი დასავლურ

კილოთა სინამდვილისათვის, აქ ისაა განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ვღებულობთ სიმპტომატურ ნაზავს, რომელშიც ერთდებიან ტიპობრივი ქართლური (და მით საზოგადოდ აღმოსავლური კილოების) ფორმები და ტიპობრივი იმერხეულ-აჭარულ-გურული (და მით საზოგადოდ დასავლური კილოების) ელემენტები. შეიძლება ითქვას, რომ მესხური რამდენადმე გარდამავალი ტიპის დიალექტს მოგვაგონებს. ამ მხრივ მესხური და მთარაჭული ერთ სიბრტყეზე დგანან.

ჭოროხის ხეობაში მოქცეული იმერხევის მეტყველება (მეტყველება მუსლიმანი ქართველებისა), რომელსაც ნიკო მ ა რ ი ს მასალების მიხედვით (Марр, Дневник поездки в Шавшию и Кларджию, ТР. VII, 1911) იმერხეული ეწოდება, არსებითად გურულ-აჭარული ბუნებისაა. ჩვენ არ ვიცით — რა თანამიმართება იყო წინათ ამ ორ დიალექტურ წრეს შორის (იგულისხმება მტკვრის ხეობისა და ჭოროხის ხეობის დიალექტური ერთეულები), მაგრამ თანამედროვე სურათისა, ერთი მხრივ, და ისტორიულ-ეთნოლოგიურ-გეოგრაფიული პირობების, მეორე მხრივ, ვითვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ იქ ისტორიულადაც განსხვავებულ ერთეულებთან უნდა გვქონდეს საქმე: სამხრეთ საქართველოს მეტყველებას მონოლითურ ერთეულად ვერ მოვიჩნევთ წინა საუკუნეებისთვისაც. ოღონდ ეს კი უნდა ვთქვათ, რომ შემდეგ და შემდეგ ეს განსხვავებულობა უფრო და უფრო მკვეთრი შეიქნა, რადგანაც: ა) ივარაუდება ქართლელთა მიგრაცია, გაწევა სამხრეთით უკანასკნელ ხანებში და ბ) გასათვალისწინებელია მეტი კონტაქტის დამყარება ქართლთან, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც დაირღვა გარკვეულ ეპოქებში სამხრეთ საქართველოს პოლიტიკური ერთიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, საზიარო ფორმების არსებობა მესხურისა დასავლურ კილოებთან არ არის უმნიშვნელო ფაქტი „ჭოროხის ხეობის დიალექტისა“ და „მტკვრის ხეობის დიალექტის“ ისტორიული მიმართების გასათვალისწინებლად. უნდა ვივარაუდოთ, რომ მესხურის „დასავლური ფენა“ იმ დიალექტური ერთეულის ნაყოფია, რომელიც შემდგომში გადაშენდა და „ნამსხვრევების სახით-და“ შემორჩა ჩვენს დრომდის, და რომელსაც პირობით იმერხეულის სახელით ვიცნობთ. მაშასადამე, დასავლური კილოური სამყაროს ნიშანდობლივი თვისებები იმერხეულის გზით გავრცელდა მესხურის (უნდა ვიფიქროთ, იმთავითვე აღმოსავლურის კილოს) დაფენებაში. თავის მხრივ მესხურმაც შეიტანა სათანადო წელილი დასავლურ-ქართულის დიალექტურ დაფენებაში [მაგალ., ფართო ხმოვნობისკენ მიდრეკილება (პრევერბებში), დადასტურებული აჭარულ-იმერხეულში. ე დაბოლოებიან ზმნაზე -ვი მარცვლის დართვა (იქვე) და სხვ.].

შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ მესხური დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულად? ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი დადებითი იქნება. მისი თავისთავადობის საფუძველია: ა) თავისებური შეხამება აღმოსავლურ

და დასავლურ დიალექტურ ფორმათა, ბ) ზოგიერთი სპეციფიკური ნიშანი, გ) უცხოური ელემენტები ლექსიკაში. ყველა ამ ნიშანთა ერთობლიობა საკმარისი პირობაა, რათა მესხური ცალკე ერთეულად მივიჩნიოთ.

თუ სახელდობრ რა ნიშნებით ენათესავება ჩვენი კილო აღმოსავლურ და დასავლურ კილოებს ან რა არის მასში საკუთრივ თავისებური, ამას ქვემოთ ვნახავთ დაწვრილებით, ხოლო თავმოყრილად ყველა ეს წარმოდგენილია დასკვნაში.

თურქული ენის გავლენა განსაკუთრებით საგრძნობია ლექსიკაში.

A. ფონეტიკა

ბგერითი შედგენილობა

აღსანიშნავია ჲ-ს არსებობა. იგი გვეცნობება როგორც სახელობითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან სახელებთან და მიღებულია ი-ს დასუსტების შედეგად. ნიმუშებია: ხ უ რ მ ა-ჲ, პ ა ტ ა რ ა-ჲ, ფ ი ნ ა-ჲ, ა ლ ი ა-ჲ, ო ქ რ ო-ჲ, ყ რ უ ა-ჲ. ეს მოვლენა ქართული კილოების საზოგადო დამახასიათებელი თვისებაა. გვაქვს როგორც დამავალი, ისე აღმავალი დიფთონგი. ნიმუშები: 1. დ ა ჲ პ ა ტ ი ე ს, პ ა ტ რ ო ნ ა ც ა, ვ ა ჲ მ ე ნ, რ ა ჲ ზ ა, წ ა ჲ ღ ე ბ დ ნ ე ნ; 2. გ ა მ ე ვ ჲ ა რ ე, ჲ ე ხ ლ ა, ჲ ე მ ა ლ ი (ხ მ ე ლ ე თ ვ ე ღ ა რ ს ა თ ჲ ე მ ა ლ ი), ქ ჲ ა რ ვ ა ნ ი. ამის პარალელურად, არის შემთხვევები, როდესაც სრული ი არის წინ გაჩენილი: ი ე ხ ლ ა, ი ე ს ე და ი ე ს ე, ი ე მ (ი ე მ ხ ე ს უ ყ უ რ ა მ). ჲ || ჲს გვეცნობა ზმნაში პრეფიქსად: მ ო ჲ დ თ ხ ვ ი ა || ო ჲ ს თ ხ ვ ი ა, მ ო ჲ ტ ა ც ა || მ ო ჲ ს ტ ა ც ა და მისთ.

ანალოგიურ ფაქტებს ადგილი აქვს სხვა კილოებშიც: იმერხეული: ე ჲ ღ ო, დ ე ჲ წ უ ო, გ ე ჲ ხ ა დ ე ს (Mapp, TP. VII, გვ. 59); აჭარული[1]: ჩ ე ჲ ყ ვ ა ნ ა, წ ე ჲ ღ ო, ბ ა ღ ა ნ ა ჲ ა, ჲ ა რ ე ს, გ ე ჲ ბ უ ტ ე, დ ე ჲ შ ე ი დ ო ბ ა; მთიულური: წ ა ჲ ყ ვ ა ნ ა, დ ა ჲ პ ა ტ ი ე ს, ვ ა ჲ მ ე; ქვემოიმერული: ჲ ე რ [—ერთ (ჲ ე რ ს ა ა თ ჩ ი)] ქ ჲ ა რ ა (—ქ ი ა რ ა); ფერეიდნული[2]: გ ჲ გ ე ბ ე ნ, შ ა ჲ ქ ნ ე ბ ი ს, ა მ ა ჲ ტ ა ნ ე ს. ჲ || ჲს ზმნაში უპირატესად ქართლურს[3], ფშაურს[4] და მთიულურს[5] ახასიათებს.

---

[1] ჯ. ნ ო ღ ა ი დ ე ლ ი, აჭარა დიალექტოლოგიურად, გვ. 37—38.

[2] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: „ტფ. უნივ. მოამბე". VII, გვ. 200.

[3] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური: „არილი", 1925, გვ. 129.

[4] ა. შ ა ნ ი ძ ე, S_2 და O_3 ქართულ ზმნებში, გვ. 155.

[5] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მთიულურის თავისებურებანი: „ენიმკის მოამბე", 11, 1938, გვ. 52.

ფონეტიკური მოვლენები

1. ასიმილაცია. ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის ნიმუშებია: აი—ეი: დეიძინა, დეიჭირეს, დეიწყო, გეიცა; ოი—ეი: წამეივიდა, გამეივიდა; აუ—ოუ: დოუძახეს, გადოუარა, გადოუტანა, სრული რეგრესული ასიმილაციის ნიმუშებია: აე—ეე: დეგემართნენ, დეგუემატა, დეგეწევიან, დევემშვიდობო, დემეწახა, დემეჭიდოს, დეეკიდე, მეელაპარაკო, დეეცა, წეეშველა, გემეცალე, გეგეჭცეოდი; ოე—ეე: მემეჩვენა, მემერია, მეეშვა. მემეშველეთ, მეგეცეს, შემეესმა, შემეეხვია, შემეეშალა (ცხვარიო); ოუ—უუ (იშვიათად): მუუტანა, მუურბენია.

მაშასადამე, ვღებულობთ ასიმილაციის შემდეგ ფორმულებს: აი—ეი, ოი—ეი, აუ—ოუ, აე—ეე, ოე—ეე, ოუ—უუ. აქედან ჩანს, რომ ი ა-სთან და ო-სთან მეზობლობაში იწვევს ნაწილობრივ ასიმილაციას (ვღებულობთ ე-ს), უ ა-სთან მეზობლობაში—ნაწილობრივ ასიმილაციას (ვღებულობთ ო-ს), ხოლო ო-სთან მეზობლობაში — სრულ ასიმილაციას. ე ა-სთან და ო-სთან მეზობლობაში იწვევს სრულ ასიმილაციას.

რთულ პრევერბში, რომლის პირველ შემადგენელ ნაწილში ა გვაქვს, ხოლო მეორეში ო (გამო, ჩამო-...), მომდევნო ე-სთან (გვარის ნიშანთან) შეხვედრისას ხშირად ასეთ ორმაგ პროცესს აქვს ადგილი: ე იმსგავსებს პრევერბისეულ ო-ს, ვღებულობთ ეე-ს (←ოე), ხოლო შემდეგ ნაასიმილაციარი ე თავის მხრივ პრევერბისეულ პირველ ხმოვანს ა-ს იმსგავსებს. ფორმულა: აოე→აეე→ეეე. ე. ი. გვაქვს: გამო (ჩამო...) + ე (=ვნებ. გვარ. ნიშ.) —გამეე (ჩამეე...) →გემეე (ჩემეე...): ნიმუშები: გემეეღვიძოს, გემეემშვიდობა, გემეეკიდა, ჩემეეკიდა, ჩემეეცვას, წემეეკრა, წემეეკიდა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ შემთხვევითი ასეთი წარმოება: გემოეპარა (←გამოეპარა). ასეთი გრადაციაა. საგულველი: გამოეპარა→გამეეპარა—გემეეპარა—გემოეპარა. მთქმელის ცნობიერებაში აღდგა ო, ხოლო პრევერბისეული პირველი ხმოვანი კვლავ ნაასიმილაციარი დარჩა. ესაა, ასე ვთქვათ, ნაწილობრივი „გამოსწორება" „დამახინჯებული" დიალექტური ფორმისა. პრინციპულად აქ არაფერია უჩვეულო.

ამგვარად, ასიმილაციის პროცესის შედეგად ჩვენს დიალექტში შემდეგს პრევერბებს ვღებულობთ: გე-, დო-, დუ-, მე-, გადო-, გამე-, გემე-, შემე-, ჩემე-, წემე-.

ესაა ასიმილაცია პრევერბებში.

ფუძეში ასიმილაციის ნიმუშებია: შეშე (შეშა), სამახარაბლო, დანუშნული, მოორეები (მეორეები), შაშველი, ნანაირი (რანაირი).

ზემოხსენებული ფორმულებიდან ესენი: აი→ეი, ოი→ეი ძირითადად შეიძლება ჩაითვალოს დასავლურ კილოთათვის სპეციფიკურად. ამ ხაზით მესხური დასავლური დიალექტების რიგში დგას. სხვა ფორმულები კი (აუ→ოუ, აე→ეე, ოე→ეე, ოუ→უუ, აოე→აეე→ეეე) მეტ-ნაკლებობით დამახასიათებელია როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კილოებისათვის.

2. დისიმილაცია. უურადღებას იპყრობს დისიმილაცია ასიმილაციის შემდეგ: ფუძის თავკიდური ე იმსგავსებს წინამავალ პრევერბისეულ ა-ს ან ო-ს, ვღებულობთ ეე-ს, რის შემდეგაც ადგილი აქვს განმსგავსებას, — საბოლოოდ ვღებულობთ ი-ს. ნიმუშები: გაე→გე→გეე: გ ი ე ქ ა ნ ო ს, გ ი ე პ ა რ ა, გ ი ე რ ე კ ა, გ ი ე ც ი ნ ა, გ ი ე ტ ე ხ ა, გ ი ე ზ ი დ ნ ე ნ, გ ი ე წ უ ო ბ ა; დაე→დეე→დიე: დ ი ე ლ ი ა, დ ი ე ტ ი ო ს ო, დ ი ე ძ ი ნ ა, დ ი ე პ ა ტ რ ო ნ ე ზ ო დ ა, დ ი ე ჭ ი დ ე ო, დ ი ე წ ი ა, დ ი ე წ ვ ა, დ ი ე ც ა, დ ი ე შ უ რ ა; მოე→მეე→მიე: ვ ი ე წ ო ნ ე ნ, მ ი ე კ ლ ე ნ ო, მ ი ე ქ ე ც ი ო, მ ი ე ხ მ ა რ ა; გამოე→გამეე→გამიე: გ ა მ ი ე გ ზ ა ვ ნ ა, გ ა მ ი ე კ ი დ ნ ე ნ, გ ა მ ი ე ბ ე ნ, გ ა მ ი ე ღ ვ ი ძ ე ბ ა. ეს მოუდის სხვა პრევერბებსაც. აქვე აღვნიშნავ ორი რიგის მოვლენას: ა) შემონახულია იმ გარდამავალი საფეხურის ფაქტები, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დისიმილაცია მომხდარი და ნაასიმილაციარ ე-ს (ეე კომპლექსში) გამოუწვეევია პრევერბისეული წინა ხმოვნის ასიმილაცია, — მაშასადამე, ამჟამად გვაქვს შეხამება ადრე გამოწვეული ასიმილაციისა და შემდეგ გაჩენილი დისიმილაციისა: გ ე მ ი ე კ ი დ ა (←გ ე მ ე ე კ ი დ ა←გ ა მ ე ე კ ი დ ა←გ ა მ ო ე კ ი დ ა), გ ე მ ი ე ქ ა ნ ე ნ (←გ ე მ ე ე ქ ა ნ ე ნ←გ ა მ ე ე ქ ა ნ ე ნ←გ ა მ ო ე ქ ა ნ ე ნ); ბ) დისიმილაციით მიღებული ი (იე კომპლექსში) იწვევს რთული პრევერბის წინამავალი ხმოვნის ე-ს — სრულ ასიმილაციას, და ეს ე კი, როგორც ა პუნქტიდან ჩანს, თავისთავად ნაასიმილაციარია: გ ა მ ო ე წ უ ო (←გ ა მ ე ე წ უ ო←გ ე მ ე ე წ უ ო←გ ე მ ი ე წ უ ო ←გ ი მ ი ე წ უ ო). მაშასადამე, ეს წარმოება შემდგომ საფეხურს წარმოადგენს. ასე გადაჯაჭვულია ერთმანეთთან რამდენიმე პროცესი!

მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ი წარმოქმნილია არა ასიმილაციის ნიადაგზე (როგორც დისიმილაციური მოვლენა), არამედ მიღებულია პრევერბისეულ ე-სა და მომდევნო ე-ს შეხვედრის საფუძველზე. ნიმუშები: შ ი ე შ ი ნ დ ა, მ ი ე ხ ვ ე წ ნ ე ნ, შ ი ე ჭ ა მ ა, შ ი ე ძ ლ ო ს, შ ი ე ბ რ ა ლ ა, შ ი ე ძ ი ნ ა, შ ი ე უ ა რ ა.

დისიმილაციის შედეგად ვღებულობთ შემდეგს პრევერბებს: გი-, დი-, მი-, გამი-, || გემი-, და მისთ.

იე—ეე დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის: იმერხეუ-

ლი:[1] შიეძლება, შიებრალა, შიეხვეწა, შიეყარა; გურული:[2] დიესიზმა, დიეკითხა, დიემშვიდობა; აჭარული:[3] დ-ა-ე-ძინა, წ-ა-ე-გება, მ-ა-ე-წყინა. გვხვდება მთარაჭულშიც, რომელიც ძირითადად აღმოსავლურ კილოდ ივარაუდება: მიეწყინა, მიეცალა, გადიეგდო, გიელანძღა, გამიეტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც მარის იმერხეული ტექსტებიდან ჩანს, ამას: -ეე—იე ადგილი აქვს არა ასიმილაციის შემდეგ, არამედ მხოლოდ პრევერბისეულ ე-სა და ფუძის თავკიდური ე-ს შეხვედრის პირობებში (ასეთ პრევერბად გამოდის შე-).

ეე—იე [—ა-ე- აჭარ.] უნდა იქნეს ახსნილი, როგორც ერთ-ერთი კერძოობითი გამოვლენა დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილებისა ენაში (გ. ახვლედიანი). ‘ეე-ში ეს ტენდენცია კომპლექსის ერთ-ერთი კომპონენტის ა-დ ქცევისაკენ მიემართება. გარდამავალი საფეხურია ე-ს დავიწროება ი-დ, და ამ საფეხურზე დგას უმეტესობა იმ დიალექტური ერთეულებისა, რომელთაც იგი ახასიათებთ; მხოლოდ აჭარულს მიუღწევია ა-მდის. აქვე აღვნიშნავ, რომ ამავე რიგისაა ოა—უა [სანდროა →სანდრუა... (დაცული ჩვენს დიალექტშიც: § 5)] ‖ ოე—უე [გოგოები→გოგუები... (დაცული ჩვენს დიალექტშიც: § 5)] →უა - ვა [*გოგოაძე→გოგუაძე →გოგუაძე →გოგვაძე; *ბოცოაძე→ბოცუაძე→ბოცუაძე→ბოცვაძე...].

3. მეტათეზისი. ამის ნიმუშებია: ქვთენ (←თქვენ), ქვთენისთანა, ბლენა (←ბნელა), შხირი (მოუშხირეს), ქფილი (დაექფა, დაფქი), დაასხნევინოს, ნიმუტი.

4. ბგერის ჩამატება. ნიმუშები: დაჩანგრული, გამოიღვინძა, დანგვრიეს.

5. ხუბსტიტუცია. ნიმუშები: ნ-მ: ჩამდეს, გაამთავისუფლეს; მ-ბ: ბზე, ბზეთუნახავი; მ-ნ: ნეფე; ვ-მ: მასკვლავი; დ-ტ: იმოტონი, ამოტოლი, რამტენი; რ-ლ: ჯელ (=ჯერ); ზ-ძ: ძის; ტ-ჭ: ჭვირთი (დაჭვირთა); ვ-ბ: აბდრიანი (დღე); ძ-ზ: ზალიან; კომპლექსები: უი—უ: შენთუნ, შენთუს, ურჯულოებისთუნა, დევისთუნ, ვისთუნ, მაგისთუნ, სხვისთუნ, თუთონ, ჰურთი (←ჭვირთი←ტვირთი), წუმა; ვა, უა—ო: ცოდო, ვსო; ვე—ო: წოულობა, შემოხოვა, ჭოყანა, გადახოული, ხოვნა-კოცნა; ოვა—უა ‖ ოვე—უე (ჯერ ვ ოკარგება): მუა, ქსუვა, ითხუე, მათ-

[1] Марр, ТР. VII, გვ. 61, 62, 64, 69.
[2] ს. ჟღენტი, გურული კილო, გვ. 51.
[3] ჯ. ნოღაიდელი, აჭარა..., გვ. 8:

ხუე, ჩატუე. ახსნისათვის იხ. § 2; ოვი—ოი: მოიდა, მოიცადა.

მაშასადამე, ვადასტურებთ კომპლექსების ცვალების შემდეგს ფორმულებს: ვა—ო, ვე—ო, ვი—უ, ოვა—უა—უ, ოვი—ოი. ყველა ესენი დამახასიათებელია როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კილოებისათვის, გარდა ოვი—ოი-სა, რომელიც აღმოსავლური კილოების კუთვნილებაა მხოლოდ (ქახური, ქიზიყური, ინგილოური. ფერეიდნეული, მთიულური, მოხეური). ოღონდ ეს კი უნდა ითქვას, რომ თვის თანდებულში ვი—უ-ს სისტემატური მოქმედება ჩვენი დიალექტის სპეციფიკად ჩაითვლება.

ძ-ზ საგულისხმო ფაქტია. ცნობილია, რომ ინგილოურ კილოში ეს შენაცვლება ხუნძურის გავლენით სისტემად იქცა: ძ განიდევნა მეტყველების მთელ სივრცეზე და მისი ადგილი ზ-მ დაიჭირა. იმერხეულშიც ვამჩნევთ ამ ტენდენციას, ოღონდ ძალზე მკრთალად, სპორადულად, — რამდენადაც ეს მარის მასალებიდან ჩანს. ნიმუშები: ზალუან დავრჩი მოწყენილი[1]; ზალიან სიცოცხლე მინდა; ზალიანაც გეგიხარდა[2]; მოზებნა ბუხავის კლიტე. მაგრამ შიგადაშიგ ეს შენაცვლება დარღვეულია თუნდაც იმავე ფორმებში: ძალიან კარქათ ხიზმეთი უქნია, ეძებასაღები. ჩვენს დიალექტში გვხვდება ზალიან და ისიც არასისტემატურობით. ამგვარად, ინგილოური, იმერხეული და მესხური ამ მხრივ ერთ ხაზს მიჰყვებიან. ამის სათავეა უცხო ენა, რომლის გარემოცვაშიც ისინი იმყოფებიან.

ბგერის შენაცვლება ფართოდაა ფეხმოკიდებული 1 სერიის შწკრივების თემატიკურ ნიშნებში, მაგრამ ამას განხილვა გადატანილი მაქვს მიმოხილვის მორფოლოგიურ ნაწილში (იხ. სათანადო ადგილას).

6. ბგერის დაკარგვა. ნიმუშები: ვ: ნახოთ (=ვნახოთ), ამოალო, მოალ, გიცნია, თქენთან, აქს, გაგზანეს, გამკეთოს, მომკდარა, გამოარდა, რ: ძალი, შევჩით, ფთა, ჭინახული, დაფთხა, ძიელ, ბძანება, გამზდელი: ნ: საითკე, ნაჩალიკი, მაშივე. ვიცხა. ძმისთვი; მ: ტერი, თორე, შიერი, თა, კობალი, გელი, ძინარე: ს: ჩემკენ, პიჩკაჲ, მყავ. აგრეთვე იკარგება, როგორც მიცემითისა და ნათესაობითის თანხმოვნითი ელემენტი (იხ. სინტაქსი); დ: უნა საილი; ც: დასხო, გასა და სხვა.

ძალიან გავრცელებულია მთელი მარცვლის ამოგდებით ზმნის შეკვეცა. ნიმუშები: დაიჭი (რე), ამოგვიტა (ნე) ო, დაუძა (ხე) თ,

[1] Марр, ТР, VII, გვ. 48.

[2] იქვე, გვ. 63.

ჩავტოვ(ებ), დავტოვ(ებ), მომიყვა(ნე), მოიყვა(ნე), წაიყვა(ნე), გააბრუ(ნე)თ, (აბა, აბჯარი უკან გააბრუთ!), (უნ)და (კონტექსტში: რა... და ვაჩუქო, რა... და ვქნა!).

ასეთი მაგალითები აღმოსავლურ ქილოებში გვხვდება ჩვეულებრივ, ოღონდ დავტოვ გურულ-აჭარულ-იმერხეულშია გავრცელებული.

B. ფორფოლოგია

1. ბრუნვათაგან აღსანიშნავია შემდეგი: სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი—ა ხშირად ერთვის ხმოვანფუძიან სახელებს (ნიმუშები იხ. ფონეტიკის ნაწილში: „ბგ. შედგენ".).

2. ხიტყვათწარმოებიდან: ა) მონაცვლეობა მიმღეობის სუფიქსთა: შემოტანული, მოყვანულია, გამოგზანული, — დასვენილი, დანგროვილია (დანგრეულია); ბ) გაორკეცებული ფუძის (კომპოზიტების) ასეთი ფორმები: არაბი — მარაბი, ჯინჯარ-მინჯარი, კაჭკით-მაჭკით: გ) კნინობითის წარმოება ა-ს მეშვეობით: ვაჟა, ქალა.

3. თანდებულები. ა) -დამ მაღლიდამ, ციდამ, პირიდამ, სოფლიდამ. ამით ჩვენი დიალექტი იმ კილოთა წრეს უნდა მიეკუთვნოს, სადაც განვითარდა ეს ახალი თანდებული[1]; ბ)-თვის წარმოდგენილია შემდეგი პარალელური სახეობებით: -თვინ, -თუნ: ნიმუშები: ხემწიფისთვინ, მურთქეთვინ, ჩემთვინ. -თუნ-ის ნიმუშები იხ. ფონეტიკურ ნაწილში — სუბსტიტუციის მუხლში; გ) -მდისინ: სამხრეთამდისინ, სანამდისინ, იმამდისინ, ყურებამდისინ; დ) ლოკატივის შინაარსი გადმოცემულია სუფიქსით: -შიგან. ნიმუშები: ფიქრებშიგან, სანდუკაშიგან, მოკლაშიგან (ამ მოკლაშიგან ისოელ დაფიქრდა), სახლშიგან ომშიგან, ხეეშიგან, ჩვენშიგან არის, ჩხუბშიგან, ჯამშიგან, ბოსტანშიგან: ე) -ზე გაერცობილია წინა შემთხვევისებურად -გან→ან ელემენტით: ცხენზეგან, ჩხუბზეგან, შტოლზეგან, საღამოზეგან, ორივეზეგან,— შინდებზედან, ყამაზედან, ბიჭებზედან.

4. მრავლობითი რიცხვი. როგორც წესი, -ებ სუფიქსის დართვისას წინ ჩნდება ი ელემენტი. თუ მოვიგონებთ დისიმილაციის კანონს ეე—იე, რომელიც ეგზომ მოქმედია ჩვენს დიალექტში, ამ ი-ს ასეთ ახს-

---

[1] უნდა აღინიშნოს,, რომ ეს თანდებული დასავლური კილოებისათვისაც არ უნდა ყოფილიყო სულ უცხო. მაგალ., ქვემოიმერულის წინიდამე (წინიდან) ამის მაჩვენებელია.

ნას ვუპოვით: იგი უნდა იყოს მიღებული ე-ბოლოკიდურიანი და ა-ბოლოკიდურიანი სახელებისა და -ებ სუფიქსის შეხვედრის ნიადაგზე... ეებ...—იებ, ...აებ— ...ეებ—...იებ. კერძოდ, ა-ბოლოკიდურიანებში იებ მიღებულია ასიმილაციის საფეხურის გავლით. ო- და ე- ბოლოკიდურიანთ ეს, რასაკვირველია, არ მოუდით. თანხმოვანფუძიანები კი, ანალოგიით, იებ-ს ატარებენ... ესაა წარმოების ძირითადი ტიპი, მაგრამ შემონახულია პირველადი სახეობაც: -ებ პირდაპირ ეკვრის ა- (და ე-) ბოლოკიდურიან სახელებს წინამავალი ხმოვნის შეუბღალველად: ა-ს რედუქცია არ მოსდის, მაგრამ ჯერ არც ასიმილაცია მოსვლია. ასეთი ფორმები უფრო იშვიათია. მაგალ.: ე: რამიებ, საქმიებ, ტყიებ, კლდიებ; ა: დრებ, ფრთიებ, მთიებ, ბრმიებ, გზიებ, ვინცხიებ; თანხმ.: რძლიებ, კლიებ (←მკლავებ), მტრიებ, თვლიებ, მხრიებ, ძვლიებ, საჭმლიებ, ცხვრიებ, წყლიებ, ზარიებ;... აებ: შენობაებ, მაღაზიაებ, მელაებ.

ანალოგიური მდგომარეობა იმერხეულ-აჭარულშიც. მაგალ., იმერხ[2]. ტყიებ, თმიებ,—ცრემლიებ,—სოფლიებ; აჭარ.[3]. ძმიებ, ტყეებ, ღელიებ,—ქალიებ. სპორადულად ვადასტურებთ გურულშიც[4]. ...აებ უმთავრესად მთარაჭულში გვხვდება; იქ ასიმილაციის საფეხურიც არის: ... ეებ.

გადავიდეთ ზმნაზე.

5. პრევერბები მო-, შე-, გამო- (შემო-...), ამო- წარმოდგენილია მა-, შა-, გამა- (შემა...), ამა-ს სახით: მა-: მამცამ, მამიპირე, მამჭრან, მამკალი, მამყვეო; შა-: შამეშინა, შავხედე, შაჰყარა, შავიძინეო, შადგება, შავაბამო. გამა-: გამამიცხეთ, გამაუცხადა, გამამატანოს, გამამიგზავნე, გამამატანა; ამა-: ამამიყვანეთ, ამამისხან.

ამ მოვლენით ჩვენი დიალექტი ძირითადად აღმოსავლური კილოების რიგში დგას, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ფაქტი აჭარულისა და იმერხეულისთვისაც არაა სულ უცხო. იმერხეულ-აჭარულ-მესხურ-აღმოსავლური კილოები ამ მხრივ ერთ ზოლზე ექცევიან. უნდა ვიფიქროთ, რომ აჭარულ-იმერხეულში ეს თავისებურება მესხურის შენატანია.

---

[1] მაკ. ხუბუა აჭარულში ანალოგიური ფაქტების განხილვისას იებ-ში ი-ს ინფიქსად მიიჩნევს („ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა", გვ. 13). ცხადია, ეს არაა სწორი.

[3] Марр. ТР. VII, გვ. 50.

[3] მ. ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 13—14.

[4] ს. ჯენტი დასახ. შრ., გვ. 60.

6. ზოგჯერ S_2 და O_3-ად გვეელინება ჲს—ჲ: მოჲსთხვია || მოჲთხვია; მოჲსტაცა || მოჲტაცა; უ-თავკიდურიან ზმნაში ჲ (O_3, S_2) ასიმილაციით ხ-დ იქცევა: ახუვა, წავხუები, მიხუოლოდა, ხურიდენ, მიხუეო. ჲს II ჲ ქართლურს და მთიულურს ახასიათებთ ძირითადად, ხოლო მეორე რიგის მოელენა მრავალი კილოს თვისებაა.

7. ე. წ. I სერიის მაწარმოებელი სუფიქსები ანუ I სერიის თემატიკური ნიშნები საყურადღებოა როგორც მასალობრივად, ისე ფუნქციურად. სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით გამოყენებულია შემდეგი მასალა: -ამ, -ემ, -ან, -ენ, -ონ, -ინ[1].

მათი ფუნქციები არეულია; სალიტერატურო ნორმები აქ ხშირად დარღვეულია. ეს ამ სუფიქსების „ფუნქციური დაბნელების" მაუწყებელია.

ფონეტიკური ვარიანტები:

I რიგი:	II რიგი:	
-აე	-ამ	
უკეთავს	I ↓გაიცინამს	II ↓ვკეტამთ
გაგვაევერნავ	გამოეასწორამთო	უბერამს
	ატირამ	დაკრამს
	შეკრუტუნამს	მოეგლიჯამ
	იცხოვრამდა	სწვამს
	ეუტირამ	უზიდამდა
	გაგაფუჭამს	გაჟანგამს
	ეიცოცხლამ	ისრისამს
	ეალირსამ	III ↓იცნამო
	წაეიღამ	დაგიმხამ
	აღვიძამს	ვამოეიძრამ
	მოგახსენამს	ვცხოვრამთ
	გააშორამს	აქრამს
	ვაკოცამ	IV ↓დამწყეელამ
	ღავაბრმავამ	ეიპოენამ
		იშოვნამ

[1] ჩემს მასალებში ინ-იანი ფორმა მხოლოდ ერთგან გეხვედება (სწავლინდა) და შეიძლება ინდივიდუალური იყოს.

(II რიგი:)
ვალაპარაკამ
გამოვიმეტამ
ღაგასახელამ
ინადირამს
ვაჯობამო
გავიგამთ
ათამაშამს
გააღამ
გააფურთხამს
დააგვიანამ
მოვაფუჭულამ

ფუნქციური ანალიზი:

I რიგი (-ავ): სუფიქსი შეესატყვისება სალიტერატურო ენის ებ-ს:
II რიგი (-ამ): I ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში სუფიქსი შეესატყვისება სალიტერატურო ენის -ებ-ს;
II ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ავ-ს;
III ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ობ-ს;
IV ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ი-ს.

ფონეტიკური ვარიანტები:

I რიგი: -ემ	II რიგი: -ებ
ვუყურემდი	შეიხედებენ
აკაკუნემს	შეინახებენ
იჯერემდა	ამოაბახებენ
აჯობემ	დაგრიხებენ
დაუძახემდა	დაჰკლებენ
იტაცემდა	დაინახებენ
ანადგურემდა	დაგაკრებს
უძლემდა	მოგკლებ
ახურემდა	მამკლებს
ახსენემდა	დაგვიხოცებენ
აცხოვრემდა	გვიკეტებენ
მაბრმავემო	სწუვიტებენ
II ცხოვრემდა	ჩავკრებ
ათბემდა	

III ↓ (I რიგი:)

კეტემდა
დაინახემს
მოვსთიბემდი
სწვეემდი
გკაფემდი
მკლემდი
ნახემდი
ვკრიფემდი
შეიხედემს
დაგნიშნემდიო

ფუნქციური ანალიზი:

I რიგი -(ემ): I ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში სუფიქსი შეესატყვისება სალიტერატურო ენის -ებ-ს;
II ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ობ-ს;
III ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ავ-ს.

II რიგი (-ებ): სუფიქსი შეესატყვისება სალიტ. ენის -ავ-ს.

ფონეტიკური ვარიანტები:

I რიგი:	II რიგი:
-ომ	-ობ
გულაომს	
დაგახრჩომო	
სცხოვრომს	
თხოულომს	

I რიგი (-ომ): სუფიქსი შეესატყვისება სალიტერატურო ენის -ობ-ს.
II რიგი (-ობ): თავისებურებას არ შეიცავს.

ფონეტიკური ვარიანტები (ნ მახალის):

I რიგი:	II რიგი:	III რიგი:
-ან	-ენ	-ონ
I ↓ხნანს	I ↓ვხარშენდით	ვმუშაონთ
თესანს	ვკეცენდი	ქვიფონთ
		სწავლონდა

(I რიგი:)		(II რიგი:)	
II	↓გიმიშვანს	II	↓ვამოიმეტენდა
	ინანანთ		ათამამენს
	გაგაფუქანს		
	აკეთანს		
	იღანს		
	ატარან		
III	↓კოშლანხარ	III	↓დათმენ
	ქეიფობს		ჰ.ჩრენ

ფუნქციური ანალიზი:

I რიგი (-ან): I ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში სუფიქსი შეესატყვისება სალიტერატურო ენის -ავ-ს;
II ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ებ-ს;
III ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ობ-ს.

II რიგი (ენ): I ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში სუფიქსი შეესატყვისება სალიტერატურო ენის -ავ-ს;
II ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმები -ებ-ს;
III ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ობ-ს.

III რიგი (-ონ): სუფიქსი შეესატყვისება სალიტერატურო ენის-ობ-ს.

გათვალისწინებული სუფიქსების მანიანი ფორმები ქართლურშიც გვხვდება. ნარიანი ფორმები ჯერჯერობით დასტურდება ბორჯომის ხეობის ქართლურში; სუფიქსების გამოყენებაშიც აღრევაა იქ. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მოვლენის კერა მესხური არის. როგორც ჩანს, სათანადო თავისებურება გავრცელებულია ჩრდილოეთის მიმართულებით.

8. ე-დაბოლოებიან ზმნებს ერთვის ვი—ი მარცვალი: შ ე ვ უ ხ ვ ი ე ვ ი, მ ო ვ ს ა ვ ე ვ ი, დ ა ვ ხ ო ც ე ვ ი, შ ი ნ ჯ ე ვ ი, ნ ა ხ ე ვ ი, წ ა მ ო ი ღ ე ი, გ ა ა კ ე თ ე ი და მისთ.

ეს მოვლენა უმთავრესად დამახასიათებელია ქართლურისთვის[1] და მთარაშულისთვის. დასავლურთაგან ვადასტურებთ აჭარულ-იმერხეულში. ეს მესხურის შენატანად ივარაუდება.

9. მრავლობითი რიცხვის ობიექტური წყობის ზმნებში გამოყენებულია -ენ (-ნენ), -ან სუფიქსები: შ ი ე შ ი ნ დ ე ნ, მ ი ე კ ლ ე ნ, ქ ო ნ დ ე ნ, უ ყ ვ ა რ დ ე ნ, ს ჯ ე რ ა მ დ ე ნ, ე შ ი ნ ო დ ე ნ, ე ძ ი ნ ე ნ, დ ა უ ღ ა მ დ ე ნ, ე ყ ო ლ ნ ე ნ, ჰ ყ ა ვ დ ნ ე ნ, დ ე გ ე მ ა რ თ ნ ე ნ:— უ ჭ ი რ ა ვ ა ნ, გ ა უ ბ ე დ ი ა ნ, მ ო უ კ ვ დ ე ბ ი ა ნ, ხ ყ ა ვ ა ნ, მ ი ხ-

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. შრომა, გვ. 143.

ღიან, უწყენიან, სძინავან, შესძენიან, გიჭირავან[1]. ეს მოვლენა დასაელ. კილოების კუთვნილებაა.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ III პ. სუბიექტის მრაელობითობა გადმოცემულია -ნან, -ან სუფიქსით (-ნენ, -ენ-ის ნაცვლად): გაფრინდნან (გაფრინდნენ), გასცილდან (=გასცილდენ, გასცილდნენ).

გადაეიდეთ კერძოობით შემთხვევებზე.

10. Varia: ა) გარკვეულ ზმნებში, რომელთაც ოვ სუფიქსად მოუდით, წინამავალი ხმოვანი ო ეკარგებათ და ანალოგიით ვ-ს შემდეგ ი უჩნდებათ; ზოგჯერ ეს ვ-ც ჩამოეცლებათ: გაგითხვიებია (←გაგვითხოვებია), გამათხვიეს (←გამათხოვეს), ითხვიეს (←ითხოვეს), ითხვიე || ითხიე (←ითხოვე), მიატვია (←მიატოვა), დავსტიოთ (←დავტოვოთ), დაუტვია || || დაუტია (←დაუტოვა[2]), მოწვიონ (ძუძუ) (←მოწოვონ), გამიქსვიე) (←გამიქსოვი), მოვქსიო (←მოქსოვო); ბ) ეგევე -ი ჩაემატება სხვა შემთხვევებშიაც: მატყვილიებო, დამატყვილიე; გ) ჯდომა ზმნის გარდამავალი ფორმებია: დაჯდუნა, შეჯდუნა; დ) ჩაბარება და დაბარება გკვევინება ფორმით: ჩაგაბრი (=ჩაგაბარებ, ვირან შენ მზეს არ ჩაგაბრი), გიბრით (=გიბარებთ: ხემწიფე გიბრით) ე) გაგება: გაიგნეს, გაიგნო (=გაიგეს, გაიგო)[3]: ვ) ხმოვანი არ ეცვლება თბლეშა ზმნას: თხლეშა (=სთხლიშა) ამ ბიჭსა; ზ) გვანან: გავან; თ) ჭრა: მოსჭარი, დასჭარი[4].

11. ვეტყველების სხვადასხვა ნაწილში აღსანიშნავია უცხო ფორმების გამოყენება: აჯაბ (არაბ.)—ნეტავ, ზათი (არაბ.)—ისედაც, ანჯახ (თურქ.)—მხოლოდ, თახ || თალ (სომხ.)—დეე, ოღონდ, ჰანი (თურქ.)—სადაა. ნიმუშები; აჯაბ: ოქრო-ვერცხლია, აჯაბ რა არის? ზათი შვილი არა მყავსო, ერთ ცხენზე დავატიოთო; სამი ცხენის ძუ რო დამახვიო; ანჯახ იმან დამიბაგროსო, მე ანჯახ დამიმაგრდესო. სხვილი ჯაჭვიო[5];

---

[1] არის. ასეთი ფორმებიც: უნდანან (=უნდათ: შენ დეიდებს უნდანან იყიო), აქვანან (=აქვთ: იმათ ბაღიო იმისთანა შემორტყმული აქვანან), მიგაქვანან (ემეშაონთ და თქენ მიგაქვანან)..

[2] შდრ. დასაელური კილოების: მიატია, დატია, დაატიოთ. ესენი შემდეგს საუბარს წარმოვეიდგენენ. ისეე როორც ითხიე და მისთ.

[3] ასეეა რაჭულშიც.

[4] ასეეა გურულ-აჭარულ-იმერხეულშიც.

[5] შდრ. იმერხეული: ანჯახ მახსოვდა ბებერ კაცს ამტოლი დუქიისიტყვა. (Марр. Дневник поездки, ТР. VII, გვ. 70).

თახ ვიპოვნე შვილი და ოქრო ჰალალი იყოსო; თახმოდი, ეს ძროხა წაიყვანე; თახ მაგან წაიღოს; ჰანი ჩვენი ძმაო? ჰანი შენი ნიშანი, თუ ნახე?

C. სინტაქსი

1. წინადადებაში ხშირად დაკარგულია **მიცემითი ბრუნვის** ნიშანი: პირველ უთხრა; გენარლებ მისცა; ძაღლ გადავაფინე; საჰმლებ მოწამლავ და სუნთელ შაისმაილ მოუტანო; უთხრა ხემწიფემ ლალაებ; ბიჭი წინწაუძღვა ცხენ; აკეთამს საჰმლიებ; აქლემ ვაჩუქამ; რათ ატირამ ბოვშ? თაყვან არ მცემ მეო; დედოფალ ფეხებზე ეხოვა; ბატებ აძოვებინებდნენ; არაბ კისერი მოკვეთესა; დევებ ეძინენ; როდესაც სიკვდილს უნდა ესწრო, ჩიტ არ აფრინებენ; რახარუხ უყენამს; შენ წონა ოქრო მოქცემო.

2. ასევე მოკვეცილია **ნათესაობითი ბრუნვის** თანხმოვნითი ელემენტი: მამიჩემი სურათი ნახევი; მზი ამოსვლასა; თავი ქმრებსაც ენი ქვეშ; მივიდა ხი ძირასა; თიბათვი დღეა; ამ მთი ტოლა არი მებადურის შვილი; მებადურე შვილსაო; ქალაქი კიდურას ბებერი ნახა; ხრმალი ყამა; ბრინჯი ფლავი; გოგო ჩიტთან.

როგორც მიცემითი ნიშნის, ისევე ნათესაობითის ს-ს მოკვეცა დამახასიათებელია ძირითადად აღმოსავლური კილოებისათვის (მთიულური, ქართლური, კახური, ინგილოური...).

3. დამახასიათებელია ერთი სინტაქსური კონსტრუქცია: **დაძახება** ზმნა წყვეტილში დამატებას სახელობით ბრუნვაში მოითხოვს, ნაცვლად მიცემითისა: დაუძახა ჯალათებ; ერთი ბიჭი დაუძახეთო; დედამისი დაუძახა; დაუძახა ლალაი; დაუძახეს მესამე ამხანაკიც; ლალა დაუძახა ხემწიფემ; დაუძახა ხელმწიფემ მაჰმუდი; დაუძახეს ძღნაბი.

ეს მოვლენა იმერხეულს ახასიათებს: დუუძახა ჰასან ფაშამა ქეროღლანი (Марр, გვ. 61). გვხვდება ქართლურშიაც.

4. როდესაც გარდაუვალ ზმნას გარდამავალი მოსდევს უშუალოდ, წყვეტილში სუბიექტი გარკვეულ შემთხვევაში მოთხრობითში დგას: ამ ბიჭმა მივიდა, ააყენა; მოვიდა ამ ბიჭმა, ჩაიქინა კალთაში; მივიდა პატარა გოგომ, ქაში გარეცხა; გამოარდა ბიჭმა, უთხრა; მივიდა ეშმაკმა და ხელით გაასუფთავა; ამ ბიჭმა წავიდა, ერთი

შხარი ტყე შიგანა გაიკეთი ქობი; გამოარდა ვაქამ და თავი მოსჭრა.

მაგრამ არის შემთხვევა, როცა გარდაუვალ ზმნას ისევ გარდაუვალი მოსდევს, მაგრამ სუბიექტი მაინც მოთხრობითშია: ამან ადგა დაწაუიდა; ადგა იმან, აციდა სახში; წამოდგა მძინარე დემა; ადგა, მივიდა ეთერმა.

ჩვენი დიალექტი აქაც ქართულს მისდევს.

5. კრებითი წინაარსის ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობით რიცხვში დგას: გადირნიენ ერთიან ეს ხალხი; დაკრეს ხალხმა; ჩემი ძველი დედ-მამა მომაგონდნენ.

6. სტილისტიკური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი: ფრაზები ხშირად აგებულია თურქულის უაიდაზე (ქალა): დიდი ომი გააკეთეს ცხენებმა; აჯობას (=ნადირობა) ვიზამ; ქარგას შვრება; სალამი აიღო; ხორწილი უყო, და სხვა მრავალი.

დასკვნითი დებულებანი

1. ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის პრობლემატიკის საკვანძო საკითხთაგანია სამხრეთ საქართველოს მეტყველების პროფილის განსაზღვრა, მეტყველებისა, რომელიც, მიუხედავად გარკვეულ ეპოქებში პოლიტიკური მთლიანობისა, ძირითადად ორ სხვადასხვა ბაკალს წარმოადგენს ტომობრივი სხვადასხვაობის შესაბამისად.

2. ზოგადად მაინც ნათელია, რომ „მესხური", როგორც პოლიტიკურად და კულტურულად მოწინავე მხარის მეტყველება, სალიტერატურო ქართულის განვითარებაში გარკვეულ როლს ასრულებდა. საგანგებო ინტერესის შემცველია ამ დიალექტური სინამდვილის მიმართება უცხო ენობრივ სამყაროსთან. ზეპირი (და აგრეთვე მწიგნობრული) გზით შემოსული ბერძნულ-თურქულ-სპარსულ-სომხური სიტყვები უწინარესად ამ ენობრივი წრის მეშვეობით ინერგებოდა საზოგადო ქართული ლექსიკონის ნიადაგში.

3. სამხრეთ საქართველოში ცნობილი ისტორიული ცვლილებების შედეგად ამ მხარის ქართული მეტყველება გადაშენდა თავის არსებით ნაწილში; შემორჩა იგი, ერთი მხრივ, იმერხეულისა და, მეორე მხრივ, ახალციხურ-ახალქალაქურის სახით.

4. ავტორის დაკვირვებები ემყარება ახალციხის ახლო რაიონის მეტყველებას (სოფლები: უდე, არალი, ვალე, ღრელი). ესაა ქართველ მესხ-კათოლიკეთა მეტყველება, რომლისთვისაც ავტორი ადგენს ტერმინს: „მესხური დიალექტი".

5. მესხურისა და იმერხეულის მკვეთრი სხვადასხვაობა რამდენადმე გვანიშნებს წინა საუკუნეებში მტკვრისა და ჭოროხის ხეობებში მობი-

ნადრე ქართველთა დიალექტურ დიფერენციაციას (მხოლოდ რამდენად, რადგანაც ანგარიშგასაწევია უკანასკნელ ხანებში ქართლელთა მიგრაცია სამხრეთით და საზოგადოდ მტკვრის ხეობის მცხოვრებთა მეტი კონტაქტი ქართთან შედარებით წინა ხანებთან).

6. იმერხეული უნდა მიეკუთვნოს დასავლური კილოების ჯგუფს (უმთავრესად აჭარულ-გურულს), ხოლო მესხური — აღმოსავლურ კილოებს (უმთავრესად ქართლურს). ასეთი დაყოფა ისტორიულადაც გამართლებულად უნდა იქნეს მიჩნეული.

7. მესხურის დაფენებაში გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი მნიშვნელობის ნიშანი, რომლებითაც ეს დიალექტი მჭიდროდ უკავშირდება დასავლურ კილოებს. ეს სიმპტომატური შეხამება წმინდა „ქართლურის ტიპის“ ფორმებისა „ტიპობრივ დასავლურ“ ნიშნებთან საგულისხმოა ჩვენი დიალექტის საბოლოო კვალიფიკაციისათვის.

8. დასავლურ კილოებთან საზიარო ფორმები ჭოროხის ხეობის ენეტყველების ნაყოფია მესხურში (ამ ფარგალში „აჭარულიც“ შემოდის).

9. მესხურს თავის მხრივ გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა ისტორიულად დასავლურ კილოებში იმერხეულ-აჭარულის გზით. ეს საკითხი მოითხოვს შესწავლას. ჯერჯერობით აღსანიშნავია ფართო ხმოვნობისკენ მიდრეკილება, ე-დაბოლოებიან ზმნაზე -ვი მარცვლის დართვა და სხვ.

10. აღმოსავლურ კილოებთან საერთო მოვლენებია: ა) ბგერის დაკარგვის, ჩამატების მეტათეზისის, სუბსტიტუციის, ასიმილაცია-დისიმილაციის საერთო ფაქტები; ბ) კომპლექსების ცვალების ტიპები: ვა — ო, ოვი — ოი; გ) თანდებულთაგან: -დან, -მდისინ, -შიგან, -ზეგან; დ) S_2 და O_3 (ას—ა); ე) -ე-დაბოლოებიან ზმნაზე -ვი მარცვლის დართვა; ვ) წინადადებაში ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნითი ელემენტისა და მიცემითის ნიშნის მოკვეცა; ზ) გარდაუვალ ზმნებთან სუბიექტის მოთხრობითში დასმის შემთხვევები; თ) დაძახება ზმნასთან დამატების სახელობითში დასმა.

11. დასავლურ კილოებთან საერთო მოვლენებია: ა) დიფთონგები; ბ) ასიმილაციის ტიპები: აი—ეი, ოი—ეი; გ) დისიმილაციის ტიპი: ეე—იე; დ) ვე—ო-ს საერთო ტიპები; ე) მრავლობითი რიცხვის წარმოების ტიპები: ა-ბოლოკიდურიანთა შემთხვევაში ურედუქციობა (...აებ) ან ასიმილაცია (...აებ — ეებ); უკანასკნელთაგან დისიმილაცია (...აებ — იებ); ანალოგიით თანხმოვანფუძიანების ასეთივე წარმოება; ვ) მრავლ. თ-ს ნაცვლად -ენ-ის გამოყენება.

12. სპეციფიკურ ნიშნებად (პირობით) ჩაითვლება: ა) -თვის თანდებულში ვი—უ-ს სისტემატური მოქმედება; ბ) I სერიის თემატიკურ ნიშნებად სისტემატური გამოყენება შემდეგი ნიშნებისა: -ამ, -ემ, -ომ, -ონ (სპორადულად -ან); მათი ფუნქციური შენაცვლება; გ) თურქიზმები ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში.

იმერული დიალექტი

იმერული კილო დასავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზეა გავრცელებული. რაიონების მიხედვით იგი შემდეგს ერთეულებში ვრცელდება: ხარაგოულის, ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის, თერჯოლის, ვანის, სამტრედიის, წყალტუბოს, ქუთაისის, მაიაკოვსკის და წულუკიძის რაიონებში.

ჩვენი დაკვირვებები ეხება წულუკიძისა და თერჯოლის რაიონების მეტყველებას. დღევანდელი დიალექტოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, წულუკიძური მეტყველება ქვემოიმერულ კილოკავს ეკუთვნის, თერჯოლური კი უფრო ზემოიმერულ კილოკავს ემსრობა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, იგი შუაიმერულია, ქვემოიმერულისა და ზემოიმერულის მიჯნაზე დგას.

გავეცნოთ ამ რაიონების მეტყველებას ცალ-ცალკე.

I

წულუკიძური მეტყველება

ჩვენი შენიშვნები შეეხება უმთავრესად ნახახულევის, კონტუათის, ნათხოჯის და ნაოღალევის მეტყველებას.

ფონეტიკა

ბგერითი შედგენილობიდან აღსანიშნავია ღ, რომელიც შორიდებულებში გვხვდება: ღიმე, ღელე, ღუმე და მრავ.

უმარცვლო ი (იოტი) ნაკლებად არ ისმის (ვთქვათ, სიტყვებში: დ ა ჲ, ძ მ ა ჲ, კ ტ ე ჲ...), და ამდენად ძნელია თქმა, სათანადო შემთხვევებში ის სრული ი არის, თუ ჲ. მაგრამ ნათლად აღიქმება ასეთ კონტექსტებში: „ჲერ, საათჩი"; „ორი კ,ჲარა, სამი..."

პალატალიზებული ლ ისმის სიტყვებში: ძ ა ლ ა, მ ა ლ ე. გ ლ ა ხ ა, დ ა ლ პ ა. და სხვ.

ფონეტიკური მოვლენებიდან ყურადღებას იპყრობს თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შემთხვევები. უმთავრესი ფორმულებია: **ცბ → ცფ** (უცფათ, ცფერი), **ხბ → ხფ** (ხფო), **ტბ → ტპ** (ტპა), **კბ → კპ** (კპილი, ტკპილი), **უბ → უპ** (უპა), **ჩდ → ჩთ** (გამოჩთა, შემიჩთა), **ხდ → ხთ** (დამარცხთა, დახვთა, მივხუთი, მხთალი).

ხმოვანთა ასიმილაციის ფორმულებია: **აი—ეი** (გეიღო, გეისარჯოს, გეიდა, ეიწია), **აე—ეე** (დეეწია, დეეთანხმა, ეეხილა, ეებნა), **აუ—ოუ** (გოუფუქდა, გოუშვა, დოუჩოქა, გოუწყრა); იშვიათად გეხვდება ისეთი მაგალითები, სადაც (**აუ—**) **ოუ**-საგან მიღებულია **უუ**: გ უ უ ფ უ ქ დ ა, გ უ უ გ ზ ა ვ ნ ა, დ უ უ რ ი გ ე.

დისიმილაციის მაგალითებია: ა რ ა ლ ი, მ ო ნ ა თ რ უ ლ ი, ი პ ე ლ ა ტ ო რ ი, ნ ა კ რ უ ლ ი, კ ა ლ ო ნ ი, ს ო ლ ო მ ან.

მეტათეზისის მაგალითებია: ს ი რ გ ი ლ ე, ღ რ ი ს ი, დ ა მ ა ხ ე ე რ დ ე ბ, მ ა რ კ ა ტ ე ლ ი, დ ა ჩ ა რ გ უ ლ ი, ღ უ რ ბ ე ლ ი, კ ი რ ტ ი კ ა, წ ი ვ რ ა, დ ა პ ლ ა.

ხშირად ხშულ თანხმოვანთა წინ ვითარდება **მ** და **რ**: **მ** (დამწესებულობა, უმჯაერდება, გამოამცხადა), **რ** (ურწყუება, დარდგენილობა, ფორთოლი, უმარწვილი), ჩაერთვის **ვ** (პოუეტი, მაშვინ).

ბგერის დაკარგვის ნიმუშებია: ბ ი ლ ი, ბ ძ ა ნ ე ბ ა, გ ა ზ დ ი ლ ი, ს ა ი ლ ი, ვ ი შ ო ნ ე, ვ ი კ ი ლ ე, უ ლ ა შ ი, ი პ ე რ ი ა, გ ლ ო ვ ი ა რ ე, დ უ ღ ა რ ე, ს უ ნ ა გ ი, თ ა ვ რ ო ბ ა.

სუბსტიტუციის ფორმულებია: **ბ—მ** (სამჭო, ხმო, ყმა, ტკმილი), **მ—ბ** (გიბზერ, სიბღერა, ბზეი), **მ—ნ** (მენკვიდრე, დავანტკიცე). **ვ—ბ** (თებზი), **ვ—მ** (მარსკვლაეი, დღემანდელი), **ბ—ფ** (გაეაკეთეფ, ხლაფორთოფ, ვამბოფ: ყრუვდება ბოლოკიდური მყღერი). კომპლექსების მონაცვლეობა: **ვა—ო** (სხოგან, ოქო), **ვე—ო** (ქოყანა, ჩოულობა, შობა, ეახოვ, მოყობა, აყობი), **ევ—ო** (კიდო, მირჩონია, მიმაჩოვს). **ო** იშლება **ვე**-დ სიტყვაში: მ ა რ ტ ვ ე. (**ოვა—**) **ოა—უა** (გაათხუა, შამუარდა, გადმუარდა). **ვი** კომპლექსი იქცევა **უ**-დ (წუმა, საკურველი).

ა. შანიძემ უკვე მიუთითა, რომ დასავლურ კილოებში რედუქცია საერთოდ მოდუნებულია[1]. ჩვენს დიალექტშიც კუმშვადობა-კვეცადობა იშვიათია. მაგალ., **კედელი** ნათესაობითში იქნება **კედლის**, **წყალი — წყალის**, **ხე — ხეის**, **ქვა — ქვაის**, და ა. შ.

მორფოლოგია

1. სახელობითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან სახელებთან შენარჩუნებულია: კ ტ ე ი, ტ ყ ე ი, ხ მ ო ი, ძ მ ა ი, დ ა მ წ ყ ე ს ე ბ უ ლ ო-

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე. წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: „წელიწდეული", I—II, 1923—24, გვ. 11.

ბაი... ვერ ვიტყვით, რომ აქ ა იყოს, — სწორედ ი არის, და ეს ლექსიდანაც ჩანს:

ჩემი დღეი დამიწყევლა, უბრიალე მაშვინ თვალი,
ერთი მანგრათ შეუბღვირე — მუხლმა დოუწყო კანკალი.

ა-ზე დამთავრებულ ზოგიერთ სახელს სახელობითი ბრუნვის ი-ს შემწეობით — ფონეტიკური ცვლილების შედეგად — ბოლოკიდური ა უვიწროვდება: დანაი—დანეი—დანეი — დანე (რეგრესული ასიმილაცია). ასეთი სახელებია: ტომარე, ბუზარე, ბაბუე, ბებიე, კვირე, ამისთანე, და სხვ.

ამგვარი სახელების ბრუნების პარადიგმია:

სახელ.	დანე(ი)	ტომარე-(ი)
მოთხრ.	დანა-მ	ტომარა-მ
მიცემ.	დანა-ს	ტომარა-ს
ნათეს.	დანე-ის	ტომარე-ის
მოქმედ.	დანე-ით	ტომარე-ით

3. კნინობითობის სუფიქსებია: -ია, -ა. -ია ერთვის როგორც თანხმოვნიან ფუძეებს, ისე ხმოვნიანებს. ერთი მხრით, გვხვდება: დაეითია, თამარია, ვარლამია, მეორე მხრით: დედაია, დაია, სოსოია, უთუია, თედოია.

ზოგჯერ -ია სუფიქსი კვეცავს ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს: პავლია, პეტრია, საველია.

ა ერთვის თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებს: მელტონა, ლონგინოზა, ნესტორა, სოლომანა, კოსანტილა

4. გაურცელებულია გარ(ა) პრევერბი (გადა-ს ნაცვლად). მიღებულია არქაული გარდა პრევერბიდან დ-ს ამოღებით. მაგალითები: გარაბრუნდა, გარააგდო, გაროუშვა, გარმუარდა, გარჩევიდა.

5. თანდებულები: ა) -ში თანდებულის ადგილას გვხვდება -ჩი თანდებული: საათჩი, ამაჩი, იმაჩი, მიდღემჩი, ბ) ე. წ. -დან თანდებული წარმოდგენილია -დინ-ის სახით: სახლიდინ, დილიდინ, გ) -გან თანდებული წარმოდგენილია -გინ-ის სახით: ქუთაისგინ, ტყიდგინ, მთიდგინ; დ) -თან თანდებულის წინ შენარჩუნებულია მიცემითის ნიშანი: დებსთან, ბატონებსთან, ქმრებსთან, მამებსთან; ე) -მდე თანდებულის დართვისას ორმაგდება წინამავალი ხმოვანი: სალამოომდი, დღეიწორააამდი, შენახვაამდი, გაკეთებაამდი; ვ) -კენ თანდებული წარმოდგენილია -უენ-ის სახით, ოღონდ ნათესაობითი ბრუნვის ს-სთან უ გვაძლევს წუ კომპლექსს (ხუ—წუ). ხუ-ის მაგალითები: ტყისუენ, მთისუენ, სოფლის-

ყენ. უფრო ხშირია წყ-ის მაგალითები: ტყიწყენ, მთიწყენ, გორდიწყენ, ქალაქიწყენ; ზ) გვხვდება -იზა თანდებული (←ისდა): გულიზა, ძმიზა, გაფუჭებულიზა, ვიზა; თ) -ზე თანდებულის ნაცვლად -ზენ თანდებულია გაბატონებული: ფხარზენ, დილაზენ, სტოლზენ.

6. ა) -ება სუფიქსის ადგილს -ობა სუფიქსი იჭერს: თქმულობა, დამწესებულობა, დარდგენილობა; ბ) ვნებითი გვარის მიმღეობის -ულ სუფიქსი ცვლის -ილ-ს: მოტანული, გამოგზანული, მოგრეხული. პირუკუ: კითხილობს; გ) -იან სუფიქსის ადგილას გვხვდება -იერ სუფიქსი: ტვინიერი, თავიერი, ადამიერი, ჰკვიერი, სახიერი, ჯიშიერი; დ) გვხვდება ორმაგი უარყოფის ასეთი ფორმები: უდოუდგომელი (დაუდგომელი), უგოუგებელი, უდოუკავებელი, უდოუწერელი. ამგვარი ფაქტები ინგილოურშია დადასტურებული. შეადარე: უდაუთლელ, უდაუბანელ (მ. ჯანაშვილი, საინგილო, გვ. 231); ე) -ურ სუფიქსის ნაცვლად გვხვდება -ელ. ნიმუშები: სიდოურია ე ყველი? — ლეჩხუმელი; სიდოურია ე ღვინო?—სვირელი; სამტრედიელი ქათამი, ხონელი ფაიტონი.

7. ქალთა გვარები დაირთავს -ხე ნაწილაკს: ჰავჰანი -ხე (=ჰავჰანიძის ქალი), რუხეი-ხე (=რუხაძე), მელეი-ხე (=მელაძე), ხუროი-ხე (=ხუროძე). გვხვდება გურულშიც (შდრ. მეგრული „ხე“).

8. გაერცელებულია ძმანები, დანები. როგორც ცნობილია, ამ ფორმებში არქაული ფუძეა ძმან, დან, მრავლობით რიცხვში შემონახული.

9. დამახასიათებელია გვართა ორმაგი მრავლობითით წარმოება. ამის მაგალითებია: ფირცხალავნები, ხუროძნები, მელაძნები, წულუკიძნები. მრავლობითის -ენ სუფიქსი შემონახულია ფორმებში: სახლიკაცენი, მეზობელნი (გვხვდება გურულშიც).

10. ზმნის თაუისებურებათაგან აღსანიშნავია შემდეგი:

ა) პირველ თურმეობითში -ავ სუფიქსის ნაცვლად -ია სუფიქსია ჴამოყენებული: შეგიხედია, წოუკრია, მოუწამლია, დაგიხარჯია, დაგიხატია.

ბ) გავრცელებულია პირველი თურმეობითის ფორმები: ნაწერავა, ნაჭამა, ნახატავა, ნაშენება[1].

გ) ერთი კატეგორიის გარდაუვალი ზმნები მესამე პირში მრავლობითი რიცხვის ასეთ ფორმებს იძლევიან: დადილარიენ, ჯილარიენ (ჯდილარიენ), წევლარიენ, გავლარიენ.

---

[1] ამჟამად ეს საკითხი შესწავლილია: გ. როგავა, ძრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში („იბერიულ-კავკას. ენათმ.“, V, 1953).

ამ ზმნათა 1 და 2 პ. ალწერითადაა ნაწარმოები (დავდივართ, დადიხართ), ქეჯაოიმერულ'ში კი ეს წესი 3 პირზედაც ვრცელდება. ფუძედ აღებულია III სერიის ფორმათა მსგავსი წარმოება (ს. ფახჩიძე, ბრაველ. რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იძერული კილოს მიხედვით: „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე", ტ. VI, № 10, 1945), ოღონდ ასახსნელია -ილ ელემენტი (ჯ-ილ-არიენ).

დ) გარდამავალ ზმნებს მრავლობითი რიცხვის 3 პირში დაბოლოებად ჰოუდიო -ენ, ნაცვლად სალიტერატურო ენის -ეს სუფიქსისა; დაწერენ (=დაწერეს), ჩამოუშვენ, გააკეთენ, დაარტყენ. ამგვარად, გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებს შორის ზღვარი მოშლილია.

ე) შემონახულია 1 თურმეობითის ფორმა 3 პირის მრავლობით რიცხვში, ნაწარმოები მიმღეობისა და მეშველი ზმნის შეერთებით: მოსულარიენ (=მოსულან), გაჩერებულარიენ...

ვ) გა- პრეფერბისა და -არ სუფიქსის შეერთებით მიღებული მიმღეობის საფუძველზე გამომუშაებულია თურმეობითის თავისებური ფორმა — განატეხარა, განაკეთებარა, განაძლებარა— რომელიც პოტენციალისის კატეგორიას გადმოსცემს.

კონტექსტები:

1. იმისანე ძალ-ღონე ქონებია კლავებში, რომე ქე განატეხარა (ნიშნავს: შესძლებია გატეხა).
2. ე ბაღანე ქე განაკეთებარა და რას ერჩოდით ტყულათე (ნიშნავს: შესძლებია გაკეთება).
3. ე მოსეებული ქე განაძლებარა ამ სიცივეში (ნიშნავს: „შესძლებია გაძლება").

ზ) კაუზატიურ ფორმებში დაკარგულია ნ: დამალევიე, გააკეთებიე, დავაწერიე.

თ) გრამატიკული ობიექტის მრავლობითობა გამოხატულია -ენ ნიშნით, ნაცვლად თ ნიშნისა. რეალურად იგი სუბიექტია და ალბათ ეს გარემოება ხელს უწყობს ამ შენაცვლებას (ვ. ფანჩვიძე, იქვე. გვ. 847).

მაგალითები: მოაქვენ (მოაქვთ), გაქვენ (გაქვთ), გაყავენ (გაყავთ), ქციენ (გციათ), გახურაბენ (გახურავთ).

ი) კავშირებითის ფორმებში თავს იჩენს -უე ნაწილაკი.

წულუკიძურში -უე ნაწილაკი არ იხმარება იმ ფუნქციით, რომლითაც ის ცნობილია სხვა კილოებში (ზემოიმერულში, რაჭულში, კახურში, ფერეიდნულში, მთიულურში, ინგილოურში). როგორც ვიცით, -უე ნაწილაკი ქართულ კილოებში გრამატიკული ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს, წულუკიძურში კი -უე ერთვის მეორე კავშირებითის მესამე პირის, ე. ი. ბრძანებითის ფორმას და გამოხატავს სუბიექტის მრავლობითობას.

ამასთანავე, **-ყე** ნაწილაკი დაირთავს **ნ**-ს (ე. ი. ვღებულობთ **-ყენ**-ს), რომელიც, ჩვენი აზრით, მრავლობითობის **ნ** უნდა იყოს. ერთვის იმიტომ, რომ, ეტყობა, **-ყე** ვერ გამოხატავს მკვეთრად მრავლობით რიცხვს და მთაბეჭდილების გასაძლიერებლადაა ის საჭირო.

მეორე მხრით, უნდა აღინიშნოს შემდეგი.

ჩვენს დიალექტში **-ყე** ნაწილაკი პარალელურად გავრცელებულია მისი ვარიანტის **-კე**-ს სახით. ჩვენ კი ვიცით, რომ **-ყე** ნაწილაკის გეერდით **-კე** იხმარება სხვა დიალექტებშიც (მთიულურში, კახურში).

-ყე ან მისი ფონეტიკური ეკვივალენტი **-კე** (**ნ**-დართული) წულუკიძურში აღნიშნავს მოთხრობითით გადმოცემული სუბიექტის მრავლობითობას, გვხვდება ერთპირიან ზმნებთანაც და, მეორე მხრით, გვევლინება მიცემითით გადმოცემული სუბიექტისა და სახელობითში დასმული ობიექტის რიცხვის გამომხატველად. ქვემოიმერული ამ მხრივ უნიკუმია.

ფონეტიკური ცელილებების ხაზით აღსანიშნავია შემდეგი: წინამავალი თანხმოვნის **ს**-ს (S_3) მეზობლობა **ყ**-სთან გვაძლევს **წყ** კომპლექსს, თანახმად ფორმულისა: **სყ—წყ** [1].

ნიმუშები:

სუბიექტი = მოთხრ.

1. თუ გააკეთებენ, გააკეთოწყენ (|| გააკეთოსკენ) მა დალოცვილიშვილებმა ე ღობეი;
2. (მათ) შემოავლოწყენ (|| შემოავლოსკენ) გვრილიაშემო სინა;
3. ამეიყვანოწყენ (|| ამეიყვანოსკენ) ქალებმა ყველიო;
4. ჩაყაროწყენ (|| ჩაყაროსკენ) მუშებმა ბალავერიო;
5. რო შემოუაროწყენ (|| შემოუაროსკენ) ბაღნებმა ეკლესიას...;
6. მაგენმა რო ე საქმე გამიკეთოწყენ (|| გამიკეთოსკენ)...

---

[1] **სყ—წყ** კომპლექსისათვის იხ. ე. თ ო ფ უ რ ი ა, ბუნებრივი კომპლექსებისათვის ქართველურ ენებში: „ენიმკის მოამბე", 1,1937. ოღონდ აღსანიშნავია შემდეგი: ავტორს იქვე მოცემული აქვს ფორმულა (ქვემოიმერულის მიხედვით): **სკ—წყ** **-კენ** თანდებულის საფუძველზე: ტ უ ი წ უ ე ნ. მაგრამ აქ **სკ** კომპლექსისაგან კი არ არის მიღებული **წყ** (ე. ი. ტ უ ი ს კ ე ნ კი არ არის ამოსავალი), არამედ **სუ** კომპლექსია მისი სათავე: ქვემოიმერულში **-კენ** თანდებულის გვერდით **-ყენ** თანდებული იხმარება (როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ), ე. ი. ამოსავალია ტ უ ი ს უ ე ნ, მ თ ი ს უ ე ნ და მისთ.. და ასეთი ფორმები დღესაც გავრცელებულია. მათი პარალელური ფორმა მ თ ი წ უ ე ნ და სხვა გვაძლევს **წყ** კომპლექსს **სუ** კომპლექსის, და არა **სკ** კომპლექსის, საფუძველზე.

რეალური სუბ. resp. გრამატ. ობიექტი= მიცემ.

1. მა ბოქშებს ქუდი არც ქე უნდა ეხუროწყუნ (|| ეხუროსკენ);
2. ქონდეწყუნ (||ქონდესყუნ || ქონდესკენ), ბატონო, არ ეჩიეი (მათ იგი);
3. მაგენს რო ჩემი დარიგება ესმოდეწყუნ (|| ესმოდესყუნ || ესმოდესკენ)...

გრამატ. ობიექტი= მიცემ., სახელ.

1. (ალიამ) რაფერ უნდა გიცადოწყუნ (|| გიცადოსკენ) ამდენხანს (თქვენ);
2. ისე გამწარებულია, რო დაგიცაცხანოწყუნ (|| დაგიცაცხანოსკენ) და მაგრა მოგზილოწყუნ (|| მოგზილოსკენ). ახია თქვენზე (მან თქვენ).

ერთპირიან ზმნათა ნიმუშებია: წ ე ვ ი დ ე წ ყ უ ნ (|| წევიდესკენ) ვ ა რ ა ხ ტ ნ ე წ ყ უ ნ (|| გარახტნესკენ), ი ყ ო წ ყ უ ნ (|| იყოსკენ), და ცისთ.

სინტაქსი

1. სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში დგას გარდაუვალ ზმნასთანაც მეორე სერიაში: კაცმა დაჟდა, ავანტყოფმა ადგა, მათხოვარმა გარმოვარდა, კოლიამ მიესალმა სტუმრებს.

2. მსაზღვრელ-საზღვრულს შორის დარღვეულია შეთანხმება ბრუნვაში მიცემითსა და მოთხრობითში:

შენი მეზობელს. ჩემი ძმას
კაი შვილებმა, თელი ტანმა.

ხომ არ არის აქ მეგრულის გავლენა? მაგრამ ასეთივე ვითარება დადასტურებულია ფერეიდნულში (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: „ტფილ. უნივ. მოამბე", VII, გვ. 215—216).

3. ქვემდებარეს, რომელიც სულიერ საგანს გამოხატავს და მრავლობით რიცხვშია, არ შეეთანხმება შემასმენელი რიცხვში:

კაცები დეესია; ქალებმა შემხედა;
წამოვარდა ქალებმა; მომეარდა ბიჭები.

4. თუ სიტყვა კრებითია, შემასმენელი მას მრავლობით რიცხვში შეეწყობა:

კომისია გარაწყვეტენ; საზოგადოება
თხოულობენ; ყველამ გავარდენ.

5. გამოყენებულია კითხვითი ნაწილაკი უ:

სადუ? მიდიხარ ხონსუ? სეითკენუ?
ბაღანე ჭამსუ? ფული აქსუ?

6. გამოყენებულია: ა) დადასტურებითი ნაწილაკები ქე და დასტურ, ბ) გაკვირვების შორისდებული ბეჩა (უფრო ქალთა მეტყველებაში), გ) მიბართვის ფორმა ბოშო!

II

თერჯოლური მეტყველება

თერჯოლის რაიონი ძევს ზემო იმერეთისა და ქვემო იმერეთის საზღვარზე, მას მეზობლობა აქვს ქვემო რაჭასთანაც.

ძირითადი ბუნება ამ რაიონის მეტყველებისა ზემოიმერულის ტიპისაა, მაგრამ მასში თვალსაჩინო დოზით წარმოდგენილია ქვემოიმერულისა და აგრეთვე ქვემორაჭულის ელემენტები. ამ შეზავების წყალობით ისეთი შთაბეჭდილება იბადება, რომ თერჯოლურ მეტყველებას განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს ქართულ კილოთა შორის. ასე, მაგალითად, საზანოს რომ გასცდებით ჭიათურის მიმართულებით, სხვაობა ადვილად შეიმჩნევა. შეიძლება დავიმოწმოთ ზოგიერთი ნიმუში. ზემოიმერულისათვის დამახასიათებელი არქაული წარმოება ხარისხისა—უ ხ ნ ე, უ მ ა ღ ლ ე... აქ არ დასტურდება,—არც III კავშირებითია დაცული II თურმეობითის ადგილას, რაც ძირითადი ნორმაა რაჭულისათვის და ეხვდება ზემოიმერულშიც. სხვაობა ჩანს ლექსიკაშიც... თერჯოლელთ ურთიერთობა ჰქონდათ (და აქვთ) როგორც, ერთი მხრით, ქუთაისთან და მის ახლო მდებარე ქვემო იმერეთის სოფლებთან, ისე, მეორე მხრით, ჭიათურასთანაც. წინათ ხშირად ეზიდებოდნენ ქვას ჭიათურა-ზესტაფონში, ნათესაობა ჰყავთ იქაც და აქაც, სამუშაოდ მიემართებოდნენ ორივე მიმართულებით, ქალის გამოთხოვება წესად იყო ორივე მხრიდან. უეჭველია, ეს ურთიერთობა თავის გამოხატულებას იპოვიდა ენაშიც. ამ წრეს ქმნის სოფლები: თერჯოლა, ჩხარი, სიქთარვა, ეწერი, ძევრი, სიმონეთი და სხვ. „თერჯოლურს“ ვუწოდებთ პირობით იმის მიხედვით, რომ თერჯოლა რაიონული ცენტრია.

ასიმილაცია-დისიმილაცია

უადასტურებთ როგორც თანხმოვნებში, ისე ხმოვნებში. მაასიმილაციებელი ხმოვნებია ი, ო, ე, უ. პროცესს ადგილი აქვს უმთავრესად პრეევერბებში, ხდება ძირშიც. ასიმილაცია რეგრესულია და ნაწილობრივი: მომდევნო ი ავიწროებს წინამავალ ფართო ხმოვნებს (= A რიგის კომპლექსი). ამის შედეგად ა იქცევა ე-დ (აი — ეი): წ ე ი უ ვ ა ნ ა, ე ი ღ ო, ე ი ბ ა რ გ ა, ქ უ თ ე ი ს ი, — ო იქცევა ე-დ (ოი — ეი): ჩ ა მ ე ი ტ ა ნ ა, წ ა მ ე ი კ ი დ ა, გ ა დ მ ე ი ღ ო. მომდევნო უ წინამავალ ა-ს აქცევს ო-დ: წ ო უ ღ ი ა, ჩ ო უ ტ ა ნ ი ა, გ ა დ ო უ თ ა რ გ მ ნ ი ა, ა ზ ნ ო უ რ შ ვ ი ლ ი, ს ა დ ო უ რ ი, ყ ა რ ო უ ლ ი. უნდა აღინიშნოს, რომ სრულ ასიმილაციას არ უხდებით, ე. ი. აუ კომპლექსი (ოუ-ს საფეხურის გაევლით) უუ-ს არ გეაძლევს, როგორც ეს ხდება ქვემოიმერეთის სხვა რაიონებში და ტიპობრივია გურულ-აჭარულისათვის. მაგრამ ერთგვარ გამონაკლისს შეადგენს მო პრეევერბები: მომდევნო უ-ს გავლენით პრეევერბისეული ხმოვანი უ-დ იქცევა და ვღებულობთ მუ პრეევერბს. თუ წა, ჩა, გადა... პრეევერბების ა ერთი საფეხურით ცვლილებას განიცდის და ო-დ გვეულინება, იგი მეორე საფეხურს, ე. ი. უუ-ს ვერ აღწევს, მო პრეევერბში ო-ც ერთ საფეხურს გაივლის და ვღებულობთ მუ-ს (ო—უ). ჩვეულებრივია ამგვარი ფორმები: მ უ უ ტ ა ნ ა, მ უ უ რ ტ უ მ ე ვ ი ა, მ უ უ ც ე მ ი ა, მ უ უ რ ი გ ე ბ ი ა და მისთ. რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ უ ავიწროებს მო პრეევერბის ო-ს უ-დ, ხოლო ვერ აქცევს უ-დ სხვა პრეევერბის ო-ს? ე. ი. არის მ უ უ ტ ა ნ ა, მაგრამ არ გვხვდება უ უ ტ ა ნ ა? ვფიქრობთ, რომ აქ წილი უდევს პრეევერბის თანხმოვნითს ნაწილს მ-ს, რომლის ფიზიოლოგიური ბუნება ხელს უწყობს მისი მომდევნო ო-ს დავიწროებას.

აუ კომპლექსის ოუ-დ ქცევა ხდება არა მხოლოდ ერთ სიტყვაში, არამედ ორი სიტყვის შეხვედრის ნიადაგზედაც: წინამავალი სიტყვით ბოლოკიდური ხმოვანი იცვლება მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვნის გავლენით. იგულისხმება ამ ტიპის მაგალითები: რ ო უ ყ ა ვ ი, რ ო უ ქ ნ ი ა. ასევე ხდება ა-სა და ე-ს შეხვედრის პირობებში: რ ე ი ქ ნ ა.

ეო კომპლექსი გვაძლევს ოო-ს სიტყვებში: მ ო ო რ ე, მ ო ო თ ხ ე, აო-საგან მიღებულია ოო: მ უ შ ა ო ბ ა, ა ღ მ ო ს კ ო მ ი.

ოე კომპლექსი იცვლება ოე-დ: მ ე ე ხ მ ა რ ა, წ ა მ ე ე ღ ო, გ ა დ მ ე ე უ ა რ ა.

თანხმოვნების ასიმილაციიდან აღსანიშნავია დ-ს გამკვეთრება კ-ს გავლენით (ს ვ ე ტ ა რ ი, მ ა მ ი კ ვ ე ტ ა), რაც სისტემურ ხასიათს არ

ატარებს, — გ ყრუვდება თ-ს გავლენით (ქ თ ხ ო ვ ა), დ ხ-ს გავლენით (ხ თ ე ბ ო დ ა), და მისთ.

ასიმილაციის გათვალისწინებული მოვლენები ქვემოიმერულსაც ახასიათებს, იმ განსხვავებით, რომ უუ-ს გავრცელების არე უფრო ფართოა ქვემოიმერულში და არ განისაზღვრება მარტოოდენ მო პრევერბით. ამავე დროს, თანხმოვნებში ასიმილაცია ქვემოიმერულში უფრო შორსაა წასული და მეღერების დაყრუება ყრუ თანხმოვნებთან მეზობლობაში ფართოდ მოდებული ფონეტიკური თავისებურებაა. აქედან ჩანს, რომ, რაც უფრო და უფრო იქით მივიწევით—დასავლეთის მიმართულებით — ლიხის მთიდან, მით უფრო ინტენსიურია ვიწრო ხმოვნებისა და ყრუ თანხმოვნების მაასიმილაციებელი ძალა.

ოა კომპლექსში ადგილი აქვს დიფთონგიზაციის პროცესს, თანახმად B რიგის კომპლექსთათვის დამახასიათებელი კანონზომიერებისა. ოა გვაძლევს უა-ს პრევერბებში: მ უ ა ს წ რ ო, მ უ ა რ ჩ ი ნ ე ს, მ უ ა ლ ა პ ა რ ა კ ა, გ ა მ უ ა გ დ ე ს. ასევე ხდება ორი სიტყვის შეხვედრის პირობებშიც: რ უ ა რ გ ო უ ვ ლ ი ა—რ ო ა რ გ ო უ ვ ლ ი ა. ეა გვაძლევს ია-ს: შ ი ა მ ხ ა ნ ა გ დ ე ნ, შ ი ა ს რ უ ლ ა, შ ი ა ტ ყ ო, შ ი ა პ ა რ ა. ასევეა გურულ-აჭარულ-მესხურშიც.

ხუბსტიტუცია

ვხვდებით ბგერათშენაცვლების ისეთ მაგალითებს, როგორიცაა: თ ე ბ ზ ი, ს ა ბ ა რ ც ხ ა ლ ი, ფ ა რ ა ო ზ ი, გ ი ბ ზ ე რ, ი ბ ზ ი რ ე ბ ა, ნ ე ფ ს ი, რ ო ძ გ ი, მ ა რ ი ფ ა ტ ი, კ ა ფ შ ი რ ი, ბ უ ნ ქ ტ ი (პუნქტი), ბ რ ი გ ა დ ე ლ ი, ა ნ ტ ო ნ ო ბ ი ლ ი, ს ა ჯ ე ნ ი, ა ფ ხ ა ნ ა კ ი, დ ა ფ თ ა რ ი, გ ი რ მ ა ნ ქ ა, და სხვ.

საყურადღებოა, რომ ვ-ს ენაცვლება მ ვინ ნაცვალსახელში: მ ი ნ, მ ი ნ ა ც. ლ-ს ენაცვლება ნ წ ე ლ — სიტყვაში: წ ე ნ ი („ჩემი წ ე ნ ი")[1]. სწ კომპლექსი გვაძლევს ხტ კომპლექსს: ს ტ ა ვ ლ ა, დ ღ ე ს ა ს ტ ა უ ლ ი, გ ა მ ს ტ ო რ ე ბ ე ლ ი, ს ტ ო რ ა თ. სტ. კომპლექსმა შეიძლება მოგვცეს შტ: შ ტ უ მ ა რ ი, რუსული -ский—დაბოლოება გადმოცემულია ცკი-დ: კ ე რ ე ნ ც კ ი („კ ე რ ე ნ ც კ ი ბურჯუების მომხრე იყო"), ტ ა რ ო ს ე ლ ც კ ი და სხვ.

ბ შენაცვლებული ჩანს ვ-დ სიტყვაში ვ ა რ ნ ა ბ (=ბარნაბ). ზ-ს ადგილას საკუთარ სახელშივე გვაქვს ნ: კ ა რ პ ე ნ (=კარპეზ). ხომ არ არის კონტამინაცია როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორეში: ვ ა რ ნ ა ბ-ში სუბსტიტუციის პროცესი აღმოცენებულია ვ ა რ ლ ა მ-ის ასო-

[1] ასეა რაჭულშიც.

ციაციით, ხოლო კარპენ მიღებულია პარმენ-ისა და კარპეზ-ის შერევის ნიადაგზე? ასევე უნდა აიხსნას პოლიკარტე (=პოლიკარპე) ესტატე-სთან კავშირში.

ვე კომპლექსი წარმოდგენილია ო-ს სახით ფორმებში: ყოლიფერი, ჩონ, შობა, დაჩოული, გოუყონ (გოუყვენ), ქომოთში.

სუბსტიტუციის გათვალისწინებული ფაქტები მეტ-ნაკლებად ახასიათებს როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ კილოებს. საინტერესოა ჩონ ფორმა, დადასტურებული აღმოსავლეთ საქართველოს არქაულ კილოებში.

ვი კომპლექსი იცვლება უ-დ სიტყვებში: ტყუღა, კურუკობისთვე, ღუნო[1].

გვხვდება მინუჩი („იმ მინუჩი", „ერ მინუჩი"=მინუტში). აქ თშ კომპლექსი შერწყმულია ჩ-დ. რომ აქ თშ არის ამოსავალი და არა ტშ (მინუთი-მინუტი), ჩანს იქიდან, რომ იხმარება თანიანი ფორმა: მინუთი, ში თანდებულის დართვისას ამოსავლად ეს უნდა მივიჩნიოთ.

მეტათეზისი

ბგერის გადასმის პროცესიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს პირველი პირის ნიშნის ვ — მ-ს ადგილის შენაცვლება, პრეფიქსის ინფიქსად ქცევა; ნავხე, ნამხოს, — აქედან მიმღეობა: ნამხველი („ამის ნამხველი კაცი არაა").

ინფიქსაციის ამგვარი შემთხვევა იცის ქვემოიმერულმაც.

ბგერის განვითარება

ხშულთა წინ ვითარდება უმთავრესად ნ. აი, მაგალითები: უენცრად, ანგური, გავაღვინძე.—საკუთარ სახელებში: ენთერო, პელანგია. ბგერის განვითარების სხვა მაგალითებია: არდგილი, ნოვე, მაშვინ, უკუეთესი, გამომცხადდა. ვადასტურებთ ენთეზისის ცნობილ მაგალითს ჩვენს დიალექტშიც: გემბრიელი.

ნაზალიზაციისა და რაეზაციის ამგვარი ფაქტები განსაკუთრებით დამახასიათებელია ქვემოიმერულისათვის.

ბგერის დაკარგვა

თერჯოლურში ხშირად იკარგება დ. ამ პროცესს ადგილი აქვს სხვადასხვა პოზიციაში.

---

[1] ღუნო იცის რაჭულმა და ზოგიერთმა ძველმა წერილობითმა ძეგლმა.

ა) სიტყვის ძირში — სახელში: დიდ-სიტყვაში ჩავარდნილია მეორე დ, რაც იწვევს ი-ს დაგრძელებას: დ ი ი („დ ი ი წყალობა", „დ ი ი კაცო", „დ ი ი მალობელი"). ასევე იკარგება ს ა ს ა დ ი ლ ო—სიტყვაში: ს ა ს ა ი ლ ო. ასევე: ს ა ი ლ ი, ს ა ი დ ე ბ ე ლ ი.

ბ) იკარგება ე. წ. დან თანდებულის თავკიდური: ს ა ხ ლ ი ა ნ („ს ა ხ ლ ი ა ნ გამოვედი"); მ თ ი ა ნ („მ თ ი ა ნ წამოუბერა").

გ) გარემოების აღმნიშვნელ სიტყვებში: ს ა დ ა ნ ა—ს ა ა ნ ა („ს ა ა ნ ა მიდიოდი დღეს?"); მ ა დ ა ნ ა—მ ა ა ნ ა („მ ა ა ნ ა არიო"); მ ა (ნ)-დ ი თ—მ ა ი თ („მ ა ი თ ვინ ხმაურობს").

დ) ზმნაში: წ ა დ ი თ—წ ა ი თ („წ ა ი თ, კაცო!"), ჩ ა დ ი თ—ჩ ა ი თ; უ ნ დ ა—დამხმარე ზმნაში („ჩვენ უ ნ ა გავნაწილდეთ"; „შენ უ ნ ა ითხოვო ეგე"; „უ ნ ა მიესულიყავით"; „ეს კაცი უ ნ ა შეეჭიდოს ვეზირს" („ჯვარი უ ნ ა დავიწეროთ"); უ ნ დ ო დ ა—უ ნ ო დ ა („იმას უ ნ ო დ ა მეეკლა").

ე) კავშირებში: რ ო დ ი ს ა ც—რ ო ი ს ა ც („რ ო ი ს ა ც დავყაბულდი, მაშვინ დამემტერა"); ს ა დ ა ნ ა ც—ს ა ა ნ ა ც („ს ა ა ნ ა ც ბარი დაკრა, იქ წყალი ამეიყვანა").

დ-ს დაკარგვის გარდა, ყურადღებას იპყრობს რ-ს ბედი ჩვენს დიალექტში. რ-ს დასუსტება-გაჭრობა იმდენად შორს მიდის, რომ ეს მოვლენა შეიძლება გამოდგეს სადიფერენციაციო ნიშნად ჩვენი დიალექტური ერთეულისათვის.

გარდა იმისა, რომ რ იკარგება ისეთ სიტყვებში, რომელთა ნიმუშები ცნობილია (ფრთა—ფთა, საზრდო—საზდო, რკინიგზა—კინიგზა, პროკლამაცია—პაკლამაცია...), აქ აღსანიშნავია უჩვეულო შემთხვევები რ-ს გამარტივებისა, რა გარემოებაც საგანგებო დაკვირვების ღირსია და გამოსარკვევია თერჯოლურში რ-ს ფიზიოლოგიური ბუნება. აი. ზოგიერთი მაგალითი:

შ ო რ ე—შ ო ო ე, ბ ო რ ძ ი კ ო ბ ს—ბ ო ძ ი კ ო ბ ს, უ მ ფ რ ო ს ი—უ მ ფ ო ს ი, რ ქ ე ბ ი—ქ ე ბ ი, ც ო ლ-ქ მ ო ბ ა—ც ო ლ-ქ მ ო ბ ა, ჩ ა მ ო რ თ მ ე უ ლ ი—ჩ ა მ ო თ მ ე უ ლ ი, პ ი რ ე ე ლ ი—პ ი ე ე ლ ი, ჩ ხ ა რ ი დ ა ნ—ჩ ხ ა ი დ ა ნ, წ რ ე უ ლ—წ ე უ ლ, გ რ ი ლ ი—გ ი ლ ო შ რ ა ნ დ ე ლ ი—შ ა ნ დ ე ლ ი, ქ რ ი ს ტ ე—ქ ი ს ტ ე, ჯ ვ ა რ ი დ ა ნ—ჯ ვ ა ი დ ა ნ, პ რ ო პ უ ს კ ი—პ ო პ უ ს კ ი, ა მ ღ ვ ე ვ ა—ა მ ღ ვ ე ვ ა, რ ვ ა—ვ ა (ვ ა ფუთი), წ ა რ მ ა დ გ ი ნ ა—წ ა მ ა დ გ ი ნ ა, ძ რ ო ხ ა—ძ ო ხ ა, ბ ა რ ნ ა ბ ა—ბ ა ნ ა ბ ა.

შ ა ნაცვალსახელი წარმოდგენილია ა-ს სახით: რ ა ვ ი ც—ა ვ ი ც; რ ე ი ქ ნ ა—ე ი ქ ნ ა; რ ა ვ ა-შიც იკარგება რ: ა ვ ა („ა ვ ა ი ფიქრებდი").

ასევე იკარგება რომელ-სიტყვაშიც: ომელი („ომელი წისქვილი?“). იკარგება რ რომ კავშირშიც: ომ, ო („ეს ო მახელეფს“; „ჩემი ძმაი ომ წეიყვანეს...“).

საკუთარ სახელში — ქრისტინე რ აგრეთვე დაკარგულია: ქისტინე. ასევე ხდება გვარისსახელებში: რობაქიძე—ობაქიძე, მემარნიშვილი—მემანიშვილი. მემანიშვილები სახლობენ სოფ. სიქთარავში და ოფიციალური გაფორმება აქვს ამ გვარისსახელს— სათანადო დოკუმენტაციის მიხედვით — სწორედ ამგვარად, ურაეოდ: მემანიშვილი, — ხოლო ამავე სოფლიდან გამოსულთ, რომელნიც თბილისში ცხოვრობენ (ზოგი მათგანი დიდი ხნიდან გადმოსულა), შემოუნახავთ რ-ს შემცველი ფორმა: მემარნიშვილი. მაშასადამე, მემანიშვილები იგივე მემარნიშვილები არიან. ჩანს, სათანადო პროცესი დაკანონებულა.

რომ კავშირში ზოგჯერ რ-ს ადგილას ჲ ისმის: ჲო, ასევე რავა ნაცვალსახელშიაც: „ჲავა შევალ“.

სხვა ბგერათაგან აღსანიშნავია ძ-ს დაკარგვა, როდესაც ძე-ზე დაბოლოებული გვარისსახელი ნათესაობით ბრუნვაშია დასმული: ჭილაძის—ჭილაის („ჭილაის ქალი დიდი ლამაზი იყო“); შოთაძის—შოთაის („შოთაის ბრალი არააო“[1]).

იკარგება თ -თან თანდებულში: ქვაბთან—ქვაბან, მთავრობათან—მთავრობათან, ძმასთან—ძმათან (შდრ. გურული).

საინტერესოა წ-ს დაკარგვა სიტყვაში ძმისული—ძმისწული,— პ-ს დაკარგვა სიტყვაში მაინძელი—მასპინძელი (შდრ. იმერულივე მაინძელი),—ჟ-ს დაკარგვა სიტყვაში ვაიშვილი—ვაჟიშვილი.

ჩვეულებრივია მ-ს დაკარგვა ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: კაპანია, თვრალი, ტოლიბაში, ძიმე, წყემსი, წარე, თელი, ზეთუნახავი და მისთანანი, — ანდა ლ-ს გაუჩინარება სიტყვებში: დააკდა, სახში, პათმორმა და მისთანანი, ანდა ს-ს დაკარგვა კომპოზიტურ ფორმებში: ზღვიპირი, ტყიპირი, გზიპირი, მამიჩემიშვილი და მისთ.

რამდენიმე ფონეტიკური პროცესის შედეგია ვინცხა-რაცხა-ხაცხა ფორმები, რომლებიც მომდინარეობენ ამ თანამიმდევრობიდან: ვინ-ცა-ღა, რა-ცა-ღა, სა(დ)-ცა-ღა (ახალ ქართულში ნაწილაკების მიმდევრობა პირუკუა: რა-ღა-ცა...). ბგერის (ა ხმოვნის) ამოვარდნისა და შემდეგ ასიმილაციის გზით ვღებულობთ ზემონახსენებ დიალექტურ ფორმებს. ოღონდ ჩვენს დიალექტში უფრო გავრცელებულია რაძახა. შევადაროთ რაცხა-რაძახა ერთმანეთს. პირველ შემთხვევაში (რაცაღა) ა-ს ამოვარდ-

[1] იხ. გურულმაც (И. Мегрелидзе, Родит. падеж фамильных имен на -ძე в западногрузинском, «Язык и мышление», 1940).

ნით ც აყრუებს მომდევნო ღ-ს და აქცევს ხ-დ, — მეორე შემთხვევაში ა-ს ამოუარდნელად ხდება ღ-ს დაყრუება, ხოლო შემდგომი პროცესია ც-ს გამჟღერება.

ხომ არ შეიძლება ეს მივიჩნიოთ დისიმილაციურ გამჟღერებად?

უნდა აღინიშნოს, რომ თერჯოლურში გავრცელებულია ა-ამოუვარდნელი ფორმები: ვინცახა, რაცახა, საცახა.

მორფოლოგია

1. ჩვენს დიალექტს შემოუნახავს სახელობითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიანებთან: ბაბუაი, ყმაი, საქმეი, კოწიაი, ღობეი, გზაი, ნეფსაძეი, დედაი, მელიაი. მაგრამ ეს წესი არ შეიძლება ნორმად ჩაითვალოს კილოს განვითარების თანამედროვე საფეხურზე, იგი გადაშენების პროცესშია.

სამაგიეროდ, ის ნაცვალსახელი სისტემებრ დაირთავს ი-ს: „ისი უნდა მეეკლა", „მიათხოვა ისი", „დეუისტავლე ისი", „ჩევიდა ქუთეისში ისი". ეს თავისებურება კი ზემოიმერულის საერთო ნიშანდობლივი მოვლენაა და მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ქართული ენის კანონზომიერ ვითარებას ასახავს, თუ შევუპირისპირებთ მეორე ნაცვალსახელურ კომპონენტს ოგი-ს და ამავე მასალისაგან ნაწარმოებ მრავლობით რიცხვს ისი-ნ-ი, ან ნაწილაკდართულ ფორმას — ისი-ც. ამას კარგად მოწმობს საშუალო ქართული ენის მონაცემებიც. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანი".

ესი დიაცი აქა ზის...; რას გექადდა ისი კაცი...; წა, ნახე ისი სპანი... (1046, 1; 1073, 2; 939, 1)[1].

2. -მდი თანდებულის დართვას შემდეგი თავისებურება ახასიათებს: თუ იგი დაერთვის სახელს, რომელიც ხმოვნით ბოლოვდება, ეს ბოლოკიდური ხმოვანი განმეორდება. ამგვარი მოვლენა შენიშნულია ქვემოიმერულში. აი, მაგალითები: დაღამებაამდი, მანაამდი, გაკეთებაამდი, საღამოომდი, კლდეემდი.

3. ძალიან იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს -კე თანდებული, რაც იგივე -კენ-აა მნიშვნელობით: ქალიხ-კე, ღობიხ-კე, ძირულიხ-კე. თუ სწორია დებულება კე-ს თავდაპირველობის შესახებ, მაშინ აქ ნარ-ჩამოცლილ თანდებულს კი უერ ვივარაუდებთ, არამედ არქაიზმად უნდა იქნეს მიჩნეული ეს თითო-ოროლა მონაცემი ჩვენი დიალექტისა... -კე გვხვდება ხევსურულში, ფშაურსა და მთარაჭულში. ბევრია მისი ნიმუშები „ვეფხისტყაოსანში".

---

1 შდრ. არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმის საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში, ენიმკის მოამბე, III, გვ. 217.

4. დამახასიათებელია -თვინ თანდებული: მაგისთვინ, ბიცოლასთვინ, გულისთვინ... იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს -ისა იმავე ფუნქციით: გულისა, ძმისა.

არქაული -რე ნაწილაკი, -ლე-დ შეცვლილი, დისიმილაციით დაცულია ფორმებში: დროლე, ადრელე. ასევეა ქვემოიმერულშიც.

5. გვხვდება ზმნიზედები: მადანა || მადერ და მნიშვნელობით უდრის მაქ-ს, მანდ-ს: „მადერ დგას“, „მადანა იქნება“...

6. საკმაოდ გავრცელებულია შა-მა პრევერბები შე-მო-ს მაგივრად: შამოკრა, შამოჩვეულა, შამობრუნდა, — მამგონეია, მაიტა... რთულ პრევერბში: შამო: შამოხტომია, შამოჯექი, შამომელია...

უნდა ითქვას, რომ ქვემოიმერულისთვისაც არაა უცხო შა-მა პრევერბები, ხშირია გურულ-აჭარულშიც. ამგვარად, შეიძლება მიეიღოთ დებულება მათი საყოველთაო გავრცელების შესახებ ქართულ კილოებში. განსხვავება მეტ-ნაკლებ ხმარებაშია მხოლოდ. ამ დადასტურებას კი მნიშვნელობა ექნება შე-მო პრევერბებისა და შა-მო-ს ურთიერთობის კელეისათვის.

7. I სერიის თემატიკური ნიშნების მონაცვლეობა ცნობილია ქართულ კილოებში. მეტ-ნაკლებად ეს მოვლენა ბევრ კილოს დაუცავს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ მხრივ ყველაზე შორს მესხური წასულა.

ჩვენი დიალექტიც გვაწვდის ზოგიერთ ნიმუშს თემატიკური ნიშნების მონაცვლეობისას. ამ მოვლენის გავრცელების არე იმდენად ფართო არ არის, როგორც სხვაგან, მაგრამ მაინც გვაქვს თითო-ოროლა ნიმუში: გადაკრებდენ როძგს (გადაკრავდნენ); გლეჯებს ბაწარს (გლეჯავს, გლეჯს); შამოკრებდენ სილას (შემოკრავდნენ); მოკლებდა ბატონს (მოკლავდა); დაკლამთ ცხვარს (დაკლავთ), ჭყამს (გყავს).

8. წასვლა-ზმნა II კავშირებითში ე-დაბოლოების ნაცვლად ავლენს ო-ს: „ამ გზაზე ვინც წევიდესო, ვეღარ მევიდესო“, „უნდა წევიდო“, „ჩამევიდო“ ქვევით?“.

ეს თავისებურება დამახასიათებელია საერთოდ ზემოიმერულისათვის.

9. I სერიის ფორმებში -ავ თემატიკური ნიშანი გაუჩინარებულია. გვაქვს ვნახდე და არა ვნახავდე და მისთ. „იმას ვნახდე ერთი!“ „ვერ ნახდი უსაქმოთ მოსიარულეს“, „მე რო ვხატდე“... ასევეა: ბეჭდდა (=ბეჭდავდა), ხარშდა (ხარშავდა, ვხარშდე, გაბედით): „ვერ გაბედდით“ (გაბედავდით) და მისთ. ასეა: უწყვეტელსა, აწმყოს კავშირებითსა და მომაველის კავშირებითში.

ამგვარად, ვღებულობთ პარადიგმს:

ხარშვა

უწყვეტელი:

მხოლ.:	1 პ. ვხარშდი
	2. პ. ხარშდი
	3 პ. ხარშდა
მრავლ.:	1 პ. ვხარშდით
	2 პ. ხარშდით
	3 პ. ხარშდენ

აწმყოს კავშირებითი:

მხოლ.:	1 პ. ვხარშდე
	2 პ. ხარშდე
	3 პ. ხარშდეს
მრავლ.:	1 პ. ვხარშდეთ
	2 პ. ხარშდეთ
	3 პ. ხარშდენ

მომავლის კავშირებითი:

მხოლ.:	1. პ. მოვხარშდე
	2. პ. მოხარშდე
	3 პ. მოხარშდეს
მრავლ.:	! პ. მოვხარშდეთ
	2 პ. მოხარშდეთ
	3 პ. მოხარშდენ

ბევდვა

უწყვეტელი:

მხოლ.:	1 პ. ვბეჭდი
	2 პ. ბეჭდი
	3. პ. ბეჭდა
მრავლ.:	1 პ. ვბეჭდით
	2 პ. ვბეჭდით
	3 პ. ბეჭდენ

აწმყოს კავშირებითი:

მხოლ.:	1 პ. ვბეჭდე
	2 პ. ბეჭდე
	3 პ. ბეჭდეს
მრავლ.:	1 პ. ვბეჭდეთ
	2 პ. ბეჭდეთ
	3 პ. ბეჭდენ

მომავლის კავშირებითი:

მხოლ.	1 პ. დავბეჭდე
	2 პ. დაბეჭდე
	3 პ. დაბეჭდეს
მრავლ.:	1. პ. დავბეჭდეთ
	2 პ. დაბეჭდეთ
	3. პ. დაბეჭდენ

10. მრავალჯერ განმეორებული მოქმედების აღსანიშნავად ჩვენი დიალექტი გამოიყენებს ხომე(—ხოლმე)-ს, მას ურთავს წყვეტილის ფორმას და უწყვეტლის შინაარსს გადმოსცემს. აი ამის მაგალითები: „წ ა ვ ე დ ი ხ ო მ ე“ = ხშირად მივდიოდი; „მერე დეიწყო ბუნქტში სიარული და გ ა მ ო ა გ დ ო ხ ო მ ე ხქიმა“=აგდებდა, ხშირად გამოაგდებდა ხოლმე; „ბევრს შ ე ხ ვ დ ა ხ ო მ ე შებურება“ = ხშირად ხვდებოდა. და მისთ.

თუ სათანადო შინაარსის გადმოსაცემად სალიტერატურო ქართული ხოლმე-ნაწილაკს ურთავს უწყვეტლის ფორმას, თერჯოლური იმავე შინაარსს წყვეტილისა და ხომე-ს კომბინაციით გადმოსცემს.

11. II თურმეობითში -ოდა დაბოლოების ნაცვლად თერჯოლური იყო-დამხმარე ზმნას გამოიყენებს. ეს თავისებურება კარგად ცნობილია ლმოსაველური კილოებიდან. მოვლენა სისტემებრ არ გასდევს ჩვენს დიალექტს, მაგრამ თითო-ოროლა მაგალითი გარკვევით შეინიშნება. აი, მაგალითები: „ბალახი ჩ ა ყ ო ლ ი ყ ო მუცელში“ (ჩაყოლოდა); „ერთ კეკალ კაცს ვერ ნახდი, რო პური მ ო ს ვ ლ ი ყ ო“ (მოსვლოდა); „კ ი ვ ა რ გ ი ყ ო“, და მისთ.

ეს კილოური ნიშანი თერჯოლურში შესაძლებელია ქართლურთან მიმართებით ახსნილიყო (რამდენადაც იგი ზემოიმერულში გვხვდება საერთოდ), მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ ის დასტურდება ქვემოიმერულსა და ლეჩხუმურშიც (შდრ. მ ნ ა ნ დ ო მ ი ყ ო—მდომოდა).

12. თუ ქალია გვარის წარმომადგენელი, სათანადო გვარისსახელი გაფორმებულია -ოურ (დისიმილაციით -ოულ) სუფიქსით.

რობაქოული — რობაქიძის ქალი
ლილიოური — ლილუაშვილის ქალი
პერანოული — პერანიძის ქალი
ჩუბინოური — ჩუბინიძის ქალი
ფორჩხოული — ფორჩხიძის ქალი
ჭანკვეტოური —ჭანკვეტაძის ქალი
სულამანოური — სულამანიძის ქალი
მურალოური — მურალაშვილის ქალი
ქაშაკოული — ქაშაკაშვილის ქალი
მაკაროული — მაკარიძის ქალი
გურგენოული — გურგენიძის ქალი
მაჭაროული — მაჭარაძის ქალი
ნეფსოული — ნეფსაძის ქალი

ამგვარი წარმოების ანალოგონი შემჩნეულია ზემორაჭულში. ეს იგივე მოვლენაა, როგორიც დადასტურებულია გურულ-ქვემოიმერულში, ფხე ||ხე-ს დართვით რომ გადმოიცემა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს დიალექტში სათანადო სუფიქსაცია ახასიათებს ისეთ გვარებს, რომელთა წარმომადგენლები წოდებრივად გლეხები იყვნენ. აზნაურთა თუ თავადთა გვარებს ეს სუფიქსი არ მოუდიოდა. მაგალ., ამბობენ: მაჭავარიანის ქალი (და არა მაჭავარიანოული), ჩხეიძის ქალი, ერისთავის ქალი და მისთ.

13. ფრიად გავრცელებულია შერქმეული სახელები მთელი გვარის ზიმართ. ასეთებია, მაგალითად:

ოშხორელი, ტაკვი, მენაღე, ბღუილა, კომანა, წრიპინა,
ჭიკონია, ხაბელაშვილი, ლეკურა, კუხნიკი, ყელიეი, წკენტია,
ბოჩოჩი, ბლაჭი, წვენია, კიმპალა, კვაწარახი, ნუცო,
უდრეკი, ხოხორი, ხრაკი, ბაყინჩი, კვერცხირეცხია და სხვ.

ამ სახელებს უწოდებდნენ არა მთელ გვარებს, არამედ ერთ კაცს, რომლის მოდგმაზედაც ვრცელდებოდა იგი.

ზოგიერთ სახელწოდებას გარკვეული ინტერპრეტაციაც ეძებნება. მაგალ., ერთი მაკარიძეთაგანისთვის, რომელიც ძალიან მაღალი ყოფილა, მეფეს უწოდებია მაღლიაშვილი, — ახლა მთელ უბანს მაკარიძეებში ეწოდება ის. მაჭავარიანებს უწოდებენ ხრიგინას, და ეს იმიტომო, რომ ძალიან ხრიგინა ურემი ჰქონიათ. ერთ-ერთმა რობაქიძემ მეფეს ლეღვი მიართვა, მეფეს უთქვამს: „ეს რა ბლაჭი მოგიტანიაო! აი, შე ბლაჭოო!“ ამის შემდეგ დაერქვა მას და მის შთამომავალს ბლაჭი. ლილუაშვილის წინაპარს დიდი ბარკლის ხორცი მიუტანია მეფისათვის. მეფეს უთქვამს: „მოგიტანია ეს ყვლივიო? აი, შე ყვლივოო!“ ამის შემდეგ ლილუაშვილებს ყვლივს ეძახიან.

14. Varia. ა) ერქვა-ს ნაცვლად იხმარება ქვიოდა (შდრ. ქვემოიმერ.); ბ) ჯიენ=სხედან; გ) ნაცვლად ზმნიზედისა ძალით იხმარება ძალათი: ძალათი ქნე, ძალათი წამართვეს; დ) მარტვა=მარტო; ე) რავა=როგორ; ვ) მოცეს: მოცეს დეპეშა; ზ) რათი=რითი: რათი მოწამლეს, რათი ეიღეს; თ) ეთხრობია=უთქვამს; ი) გავრცელებულია გამოთქმა ბოვშად იუო, ნიშნავს: ბავშვობის დროს, როცა ბავშვი იყო („როცა ბოვშად ვიყავი, ვიარე ხომე კახეთში“; ასეთი გამოთქმა შენიშნული გვაქვს ქვემორაჭულშიც).

1. დაცულია -ყი ნაწილაკი ობიექტის მრავლობითობის გადმოსაცემად. მის გვერდით -კე-ც იხმარება: უთხრა-კე: აბა იმუშავეთო"; „ეუწერ-კე ხელს (მათ)" და მისთ.

ყი-კი-ს მონაცვლეობა ცნობილია კახურიდან, მთიულურიდან.

საერთოდ, -ყი ნაწილაკი ჩვენს დიალექტში გადაშენების გზაზე დგას, მის ხმარებას გაურბიან. საინტერესოა მეტყველების ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, რომ ენის განუთარების დღევანდელ საფეხურზე ეს ნაწილაკი მთქმელისავე ყურს ეხამუშება, ეჩოთირება და ცდილობენ თავი დააღწიონ მას. ეს ცნობიერი პროცესი გრამატიკული მოვლენისადმი დამოკიდებულებისა სრულიად გარკვევითაა გამოთქმული: „-ყი საუზრდელოაო", მითხრეს. მაშასადამე, ამ ნაწილაკის გადაშენების პროცესი არაა ინტერესმოკლებული ზოგადი თვალსაზრისითაც.

მაგრამ გრამატიკული აზროვნება შინაგანი აუცილებლობით მოითხოვს ობიექტის პლურალობის სათანადოდ გამოხატვას. აქ ეთქვათ, მკვიდრია, ცოცხალია სინტაქსური აუცილებლობა, კვდება მისი მორფოლოგიური ეკვივალენტის არქაული ფორმა. მას შეენაცვლება თანამედროვე გრამატიკულ ცნობიერებაში ცოცხალი წარმოდგენა პლურალობისა თ-ს სახით. აქედან შედეგი: -ყი ნაწილაკის ფუნქციით გუეველინება თ, ცნობილი რაჭულიდან და კახურიდან. როგორც ჩანს, ეს პროცესი შენაცვლებისა აუცილებელია და ალბათ დამოუკიდებლადაც აღმოცენებული გეოგრაფიულად დაშორებულ კილოურ ერთეულებში. თ-ს გამოყენება ერთგვარად გარდამავალი საფეხურია, -ყი-ს კვდომის შემდგომი საფეხურია, და შესაძლოა ეს საფეხური განელო ყველა იმ კილომ, რომელთაც დაკარგეს ეგ ნაწილაკი დროთა ვითარებაში.

2. თერჯოლურს ახასიათებს დადასტურების ფუნქციით წინადადებაში ჭვე-სა და ჭე-ს გამოყენება: „ხალათები ქე წამეიღო", „იმან ქე (ქ ვ ე) დაარიგა-ყი ბიჭები", „თეითონ ქ ე ჩამევიდა ხიდან", „მგელი ქ ვ ე უწევს ნახნავში", „ქ ე მომადგე ამ შუალამეში". უნდა ითქვას, რომ ჭვი კვდება თანდათანობით, ნაკლებად იხმარება, უიღრე ჭი: ჭი გაბატონებულია.

ჩვენი დიალექტი ამ მხრივაც საგულისხმო სურათს გვაძლევს: ჭვი და ჭი პარალელურად იხმარება. ასეთი პარალელიზმი საინტერესოა მათი გენეზისური ურთიერთობის დასადგენად და ამავე დროს ჭვე-ს გადაშენებისა და ჭი-ს გავრცელების პროცესის წარმოსადგენად. როგორც ცნობილია, იმ კილოში, სადაც ჭვი-ა გავრცელებული (ხევსურული, ზემო და მთარაჭული), ჭი არ გვხვდება და პირიქით: იქ სადაც, ჭე-ა ვავრცელებული (ქვემოიმერული, გურული, აჭარული), ჭვი ამჟამად აღარ

იხმარება. ეს გარდამავლობა დაუცავს ჩვენს დიალექტს, და ამ მხრივ მის გვერდით უნდა მოვიხსენიოთ ქვემორაჭულის ის სექტორი, რომელიც გეოგრაფიულად მოსაზღვრეა იმერეთისა.

3. კავშირთაგან აღსანიშნავია შემდეგი: მიზეზის გარემოებითს წინადადებაში კავშირია რაღაი-რაღამც (: „რ ა ღ ა ი გადავრჩი, არ დეევეძეფ არაფელს"; „რ ა ღ ა მ ც დევინახე, აწი არ ვდარდობ"); დროულობის ფუნქციას ასრულებს რ ა მ დ ი, უდრის ს ა ნ ა მ-ს (: „რ ა მ დ ი არ დაზამთრდება, არ შევიკერავ"; „რ ა მ დ ი ხიდამდი მიხვიდოდი, გესროდენ"). ეს კავშირი წარმომდგარია რა ნაცვალსახელისა და -მდი თანდებულის კომბინაციით. ადგილის კავშირია საანაც —სადანაც (: „ს ა ა ნ ა ც ება ძროხა, იქანა ჩაყარა"); მაგრამ კავშირი წარმოდგენილია ასე: მ ა რ ა, მ ა რ ა მ: (: „ჭინკას გადახტომა მოუნდომებია, მ ა რ ა ამ კაცს მაგრათ მოუჭირებია"; „დაჯედიო, მ ა რ ა მ არ მილალატოო"); როგორც კავშირი წარმოდგენილია რავარც-ის სახით (: „მეეხმარა აუათმყოფს, რ ა ვ ა რ ც რიგი იყო"); რომ კავშირი, როგორც წესი, იხმარება ირჩაული სახით: რომე (: „ამ ქალმა შეაწამა, რ ო მ ე ეს არის ვაშკაცო").

4. გავრცელებულია მიმართვის ფორმა წინადადებაში: ბეჩა (—ბედშავი): „ბ ე ჩ ა, რავა გეკადრება", „ბ ე ჩ ა, რავა შოუყვირე". გავრცელებულია ქვემოიმერულშიც.

ლეჩხუმური დიალექტი

ჩვეულებრივ ლეჩხუმს ყოფენ ორ ერთეულად: ქვემო ლეჩხუმად და ზემო ლეჩხუმად. ქვემო ლეჩხუმს ადგილობრივი გამოთქმით „ტედაღმართიც“ ეწოდება და შეიცავს სოფლებს: ტვიშს, ვანს, ორხვს, ქორეწინიშს, დერჩს, მექვენას, ონჭეიშს, ჭაშლეთს, დღნორისს, ყაჩხეურს, ჩორთისას. ზემო ლეჩხუმი წარმოადგენს მდ. რიონისა და ცხენისწყლის ხეობების ტერიტორიას.

ტედაღმართულს მოსალოდნელია საზიარო ფორმები ჰქონდეს რაჭულთან (ქვემორაჭულთან) გეოგრაფიული სიახლოვის გამო, ხოლო ზემო ლეჩხუმი შესაძლოა ორ ერთეულად დაიყოს: ცაგერსქვემოურ მეტყველებად და ცაგერსზემოურ მეტყველებად. პირველი ემეზობლება სვანეთს, მეორე—საძეგრელოს. სხვაობა თითქოს ჩანს: ცაგერსქვემოურში, მაგალ., გავრცელებულია თვინ თანდებული, — ცაგერსზემოურმა იცის მხოლოდ ისდა-იზა (შდრ. შვილისთვინ — შვილისდა-იზა, ძროხისთვინ — ძროხისდა-იზა, და მისთ.). არის ლექსიკური სხვაობანიც. მაგრამ ამ შინაგანი სხვაობების დადგენა მომავლის საქმეა, — ჩვენ აქ მივუთითებთ წინასწარი შთაბეჭდილების შედეგად მიღებულ დასკვნებზე.

ტოპონიმიკური ტერმინები სვანური წარმოშობისა ჩანს (ელიაში, ლაილაში, ლეშკაში, ოყურეში, ლაბადაში, ჩხუდუაში...), გვარებიც სვანურ წარმომავლობაზე მიუთითებენ (ბურჯალიანი, გასვიანი, გვიშიანი, გურგუჩიანი, გელოვანი, ლეკვეხელიანი, დავითულიანი, ჩხეტიანი, ახვლედიანი...). ისმის როგორც სვანურთან მიმართების საკითხი, ისე მეგრულთან, მეორე მხრით, გასარკვევია ქვემორაჭულ ზემოიმერულთან ლეჩსუმურის დამოკიდებულება

ჩვენი შენიშვნები შეეხება ლაჯანის ხეობაში გაშენებული სოფლების მეტყველებას (იგულისხმება სოფლები: ლაჯანა, ორბელი, სპათაგორი, უსახელო, ლაილაში და სხვ.). ამ ლინგვისტური რაიონის მეტყველებას პრობით შეიძლება ეწოდოს „ცაგერსქვემოური მეტყველება“. ტედაღმართულისა და ცაგერსზემოური მეტყველების გამოკვლევა მომავლის საქმეა. ლეჩხუმური კილოს შესახებ საბოლოო დასკვნების გამოტანა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი.

ბგერითი შედგენილობიდან აღსანიშნავია უმარცვლო უ-ს, ჲ-ს და ღ-ს არსებობა.
პირველის მაგალითებია: ბ ე უ რ ი, ჯ უ ა რ ი, თ ქ უ ე ნ, ძ უ ე ლ ი, და მისთ. დასუსტებული ი(ჲ) უმთავრესად თავს იჩენს ხმოვნებს შუა. მაგალითები: დ ე დ ა-ჲ-ე, გ ო გ ო-ჲ-ე, შ ა ლ ვ ა-ჲ-ე; დ ა თ ა ი-ჲ-ს, გ ო გ ი-ჲ-ს, და სხვა. ღ გვხვდება შორისდებულებში: ღ ი მ ე, ღ უ ი, ღ უ ი მ ე, ღ ი ჰ.

ასიმილაცია

აუ კომპლექსში მომდევნო უ ავიწროებს წინამავალ ა-ს და ო-დ აქცევს; ეს ხდება სიტყვის ძირში და უმთავრესად პრეეერბისეული და ფუძის ხმოვნების შეხვედრის პირობებში: ა ზ ნ ო უ რ ი, ს ა დ ო უ რ ი,— ო უ მ თ ე ბ ს, გ ო უ წ ყ რ ა, ჩ ო უ ბ ა რ ე ბ ი ა, წ ო უ კ ი დ ა, წ ო უ ქ ც ე ვ ი ა, ჩ ო უ წ ე რ ი ა. რთულ პრეეერბში ასეთ ორმაგ პროცესს აქვს ადგილი: ჯერ ფუძის თავკიდური იმსგავსებს პრეეერბის მეორე ნაწილის ხმოვანს და შემდეგ ეს ნაასიმილაციარი ხმოვანი თავის მხრივ იმსგავსებს წინამავალ (ე. ი. რთული პრეეერბის პირველი ნაწილის) ხმოვანს. იგულისხმება ამ ტიპის ფაქტები: გ ა დ ა უ ა რ ა→გ ა დ ო უ ა რ ა→გ ო დ ო უ ა რ ა; გ ა დ ა უ გ დ ო→გ ა დ ო უ გ დ ო—გ ო დ ო უ გ დ ო; გ ა დ ა უ რ ე კ ი ე ნ—გ ა დ ო უ რ ე კ ი ე ნ→გ ო დ ო უ რ ე კ ი ე ნ; გ ა დ ა უ წ ი ა—გ ა დ ო უ წ ი ა→გ ო დ ო უ წ ი ა. შეიძლება შეგვხვდეს შემდგომი საფეხურის ფორმები: რთული პრეეერბის ნაასიმილაციარი მეორე ხმოვანი სულ ამოვარდეს და ამგვარად პრეეერბად მოგვეევლინოს გოდ: გ ო დ უ წ ი ა, გ ო დ უ ძ ა ხ ა, და ა. შ. მივაქცევ ყურადღებას, რომ სრული დამსგავსება არ ხდება: ოუ არ გვაძლევს უუ-ს.

აე კომპლექსი ასიმილაციის ძალბთ ეე-ში გადადის. ფუძეში: ს ე ე რ თ ო; პრეეერბისეულ ხმოვნებთან: წ ე ე კ ი დ ა, წ ე ე ქ ც ა, დ ე ე წ ე რ ა, გ ე ე თ ა მ ა შ ა, დ ე ე ღ ო... რთული პრეეერბის ხმოვნისა და ფუძის თავკიდური ხმოვნის შეხვედრისას იმავე პროცესს აქვს ადგილი, რაც აღნიშნულია ზემოთ: გ ა დ ა ე ხ ვ ი ა→გ ა დ ე ე ხ ვ ი ა—გ ე დ ე ე ხ ვ ი ა; გ ა დ ა ე კ რ ა—გ ა დ ე ე კ რ ა→გ ე დ ე ე კ რ ა...

აი კომპლექსი ეი-დ იქცევა: წ ე ი ყ ვ ა ნ ა, ე ი ღ ო, ჩ ე ი წ ყ ო, და მისთ. რთული ზმნისწინის დართვისას: გ ა დ ა ვ ი დ ა→გ ა დ ე ვ ი დ ა→ →გ ე დ ე ვ ი დ ა; გ ა დ ა ი ყ ვ ა ნ ა→გ ა დ ე ი ყ ვ ა ნ ა—გ ე დ ე ი ყ ვ ა ნ ა→გ ე დ ი ყ ვ ა ნ ა.

უუ გვაძლევს ასიმილაციით ოუ-ს: შ ო უ შ ვ ა, შ ო უ ც ა ვ ს (თავი), შ ო უ დ გ ე ბ ი ა ნ, შ ო უ მ თ ე ბ ს, შ ო უ დ გ ე ბ ა.

ოე კი იე-ს იძლევა: მეეცადა, მეეხმარა, მეეწონა, მეეხმარა.

თანხმოვანთა ასიმილაცია

წინამავალი ყრუ აყრუებს მომდევნო მჟღერს პროგრესული ასიმილაციის ძალით: დამარცხთა, გახთა, გამოცთილი, ხფო, სიტკპო, ტპა, კუტარი, კტე (←კლტე←კლდე), გატუდა, კპილი. შეიძლება მომდევნო ყრუმ დააყრუოს წინამავალი მჟღერი: მოქვცემენ, მოქვქონდა...

დისიმილაცია

ამ ფონეტიკური მოვლენიდან აღვნიშნავთ შემდეგ ფაქტებს: ორ ლ-თაგან ერთი იქცევა ნ-დ: სულელი—სუნელი,—ორ რ-თაგან ერთი იქცევა ლ-დ: არაფერი—არაფელი, ტერორი—ტეროლი, ორ ნ-თაგან ერთი იქცევა ლ-დ: დამენიშნა—დამელიშნა, კანონი—კალონი.

-ოვან-ის გამარტივებით მიღებულია -ოან, დიფთონგიზაციის ძალით გვაძლევს -უან-ს, ე. ი. ა-სთან მეზობლობაში წინამავალი ო ვიწროვდება: გელოვანი→გელოანი→გელუანი. შემდეგი საფეხურია უმარცვლო უ-ს ვ-ში გადაზრდა: გელოვანი. ასეთივე გზა გაიარა ჩიქვანსიტყვამაც: ჩიქოვანი→ჩიქოანი→ჩიქუანი→ჩიქვანი. ასევე ხდება სხვა სიტყვებშიც: სახელოვანი→სახელოანი→სახელუანი→სახელოვანი („რაჭის ღვინო სახელვანი იყო").

ბგერის დაკარგვა

ნიმუშები: მარიობითვე, გიორგობითვე, ენკენითუე, ცეცხში, სამე (სადმე), ოღონ (ოღონდ), ვაიშვილი, უნობდენ, სამაინძლო, მაინძელი, პეტრეპალობა, უმფო, იზდებიენ, რატო, იმისანე, კაპანია, სახურობდა, მუშაობდით (ჩვენ), საფეთქი, ტუმარი, ლადიმერი, ამასკომი, გადაფხაძე, ტომაქი, ხირუგი. მაინ (მაინც), დისული, აღდომა.

როგორც ჩანს, იკარგება, რ, მ, ნ, ლ, ვ უმთავრესად და აგრეთვე დ, უ, დ, წ, გ, ც ზოგიერთ სიტყვაში.

ამოვარდება მთელი მარცვალიც: აფერი, ნუფერი, (არვის აფერს არ მიცემდა; აფერს გიხდენს; ნუფერს ეუნები, ნუფერს კადრებთ). შემოკლებულია მეტად გავრცელებული, ჩვეულებრივი ფორმა: შრანდელი—შარშანდელი. აგრეთვე: კიღამ—კინაღამ.

ბგერის ჩართვა

ნიმუშები: დანჰირული, კინტრი; დაამთვალიერებს, დამწესდა, ფორთელი, მარშინა, ირჰერდენ (იჰერდენ), არდგილი, მაშვინ, ქორწუილი, გამჯავრება, ბუჩქვი.

ვ ჩაემატება ხოლმე სახელის ბოლოკიდურ უ-სა და სახელობითი ნიშნის ი-ს შუა: ბლუვი, ყრუვი, ცრუვი, ბუვი...

როგორც ჩანს, ჩვეულებრივ განვითარებულია შემდეგი ბგერები: ნ, მ, რ, ვ.

ბგერის შენაცვლება

ნიმუშები: მიჩინა, გამსხვაევება, ლამი (ნამი: ცის ლამი), შოუმთებს, იქაკუსკებენ, ქაკუსკა, სამთელი, კობზი, თებზი, ნეფე, სიბრავლე, აფხანიკი, ვაფსებული, აბდარი-აბდრები, ვემდობი, შმოთი-შმოთიანი, ტრაფესორი (პროფესორი: რავა გეკადრება, ტრაფესორს დაგიბარეფო, თავარ ექიმს), უსაბედი უცაბედი), პოტნოცი (პოდნოსი).

როგორც ნიმუშებიდან ჩანს, ასეთი მონაცულეობაა: ვ—მ, ნ—მ, ვ—ბ, მ—ფ ,ვ—ღ, ფ—მ. ესაა ჩვეულებრივი და გავრცელებული ბგერათშენაცვლება. ამის გვერდით ერთმანეთს ენაცვლებიან: პ—ტ (ტრაფესორი), ზ—უ (ქაკუსკა), ხ—ც (პოტნოცი), ც—ხ (უსაბედი).

კომპლექსების შენაცვლებიდან აღსანიშნავია ვი კომპლექსის ო-დ შეცვლა: წოულობა, დასოლდებოდით, ქოყანა, შობა, ჩოულობა, ჩოულობრივათ, ყორიფელი. ეგეთე პროცესია სიტყვაში: იყვენ, აქედან: იყონ, რაც მეტად გავრცელებულია. როგორც ცალკე სიტყვაში, ისე ზმნაში, როდესაც ეგ სიტყვა დამხმარე ზმნადაა მოცემული: „ღარიბი ხალხი იყონ ბეურიო"; „ვინ იყონ შენთან ხუჩაბათს", „იყონ, თუ გინდა";—„იგენი მოსულიყონ"; „ადრე დახოცილიყონ ხემწიფის შვილები".

გეხვდება პირუკუ პროცესიც: ო იშლება ვა-დ: ხვალმე (ხოლმე: „მარხილიც ქვე აქ ხვალმე გაკეთებული"); მარტვანა (მარტო: „მარტვანა წახინდიკებულა წისქვილში").

ვი კომპლექსი გვაძლევს უ-ს. შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი: წუმა (წვიმა), ალუსხე (ალვის ხე), ღუნო (ღვინო).

ცალკე გამოვყოფთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბოლოკიდური მჟღერი ყრუვდება: ბ ფ-დ იცვლება: რანაირეფ, გადმევიღეფ,

ვამბოფ, სიხარულეფ. ეს გადაჰყვება სხვა ფორმებშიც: ქეიფოფს, ვაცხოფთ, ფეოდალეფთან...

ბგერის გადახმის (მეტათეზის) შემდეგი მაგალითები იპყრობენ ყურადღებას: ტირთვი (ტვირთი), ღურბელი (ღრუბელი), გიოგილი (გირგოლი), ყივნა (ყინვა), რღმა (ღრმა), რხმალი (ხრმალი), ჩლუქი.

ამავე რიგისაა პირის ნიშნების ინფიქსაცია: ნავხე (ვნახე), ნამხოს (მნახოს).

მორფოლოგია

სახელობითი ბრუნვის ი დაუცავთ ზოგჯერ ბოლოხმოვნიან ფუძეებს: კლდეი, ბაბაი, ყანაი, აქანაი. ოღონდ უფრო ძირითადია ისეთი ფორმები, რომლებიც მიღებული არიან ი-ს რეფლექსების ნიადაგზე: სახელობითი ბრუნვის ნიშანი ავიწროებს ფუძის ბოლოკიდურ ა-ს რეგრესული ასიმილაციის ძალით, გადააქცევს ე-დ და შემდეგ თვით ცარგება. იგულისხმება ასეთი გრადაცია: ტომარაი—ტომარეი—ტომარეჲ—ტომარე. ასეა მიღებული: ამისთანე, აქანე, კვირე, პეტრე, და მისთ. ამ წესს გასდევს არსებითად საკუთარი სახელები, რომელთაც ბოლოკიდურად ე მიუღიათ: სამსონე, ვასილე, სოლომანე, ტარიელე, იასონე და სხვ.

წოდებითი ბრუნვის ო მოუდის, როგორც წესი, ბოლოთანხმოვნიან საკუთარ სახელებს: ბესარიონო, ილარიონო, ანტონო, ბიქტორო, ანთიმოზო.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხშირად არ იწვევს ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცას; სუფიქსის ხმოვნითი ნაწილი ი დასუსტებულია და უმარცვლო ი-ად ქცეულია: ქვაჲას, ხეჲას, უროჲას. საკუთარ სახელებში: იასონეჲას, გოგიეჲას, ლარვენტეჲას, სიმონიკეს. ნაცვალსახელებთან: რაჲას, რაჲსთვინ.

ვითარებითი ბრუნვის თანხმოვნით ნაწილად თანია, დონის ნაცვლად: კაცათ, სასიხარულოთ, და მისთ., მაგრამ არი რიგი ფაქტები, როდესაც მხოლოდ ა აწარმოებს სათანადო ბრუნვას: კარქავარ, ჩუმაეგდე, სწორაუნოფს, საკუთრაჩემია, და მისთ. თუ სწორია დებულება ვითარებითი ბრუნვისათვის ცალ-ცალკე ა-სა და დ-ს პარალელურად არსებობის შესახებ, ე. ი. დასაშლელია ად (ა+დ) (არნ. ჩიქობავა), მაშინ დებულების საილუსტრაციო ფაქტებად გამოდგებოდა ლეჩხუმურის მონაცემებიც.

დასასრულ, აღსანიშნავია თავისებური წარმოება ვითარებითი ბრუნვისა ფორმაში: იმდონეთეთ (იმდენად): „იმდონეთეთ შემოსავალი

კი არ ხონდა"; „იმდონეთეთ (||იმდენეთეთ) ყურს არ მაკლია"; — „რამდონათეთ მართალია, არ ვიცი".

ნაცვალსახელი, ზმნიზედა

ნაცვალსახელი ეს გამარტივებულია და მიღებულია ე: „ნაჟდომა ე ლევანი"; „წევიდა ახლა ე ქმარი"; „ე ცოლი ქვე მეემართა ლეკურით"; „ე ღუნო რა დასალევია".

იხ გამარტივებულია და მიღებულია ე: „მერე მოვლენ ე სტუმრებიც"; „გამოშუშთება ე პური"; „მოზელს ი ქალი პურს"; „ი რძალი გოურიგა".

მაგ გამარტივებულია მა-ს სახით: „მა კაცს რა აუბედებს ამდონს": „მა მამაცხონებულმა ქე დეიცადოს პეტერე".

ამ გამარტივებულია და მიღებულია ა: „ამობანს ღვდელი ა ხატს წყალში"; „ამდოლი უქნა ა კაცმა"; „ვინ შოუშთა ახლა ა ცოდვილიანს".

სად ზმნიზედის მაგივრად გავრცელებულია სანე: „სანეა ე პრისტავიო"; „სანე დოუჯდა".

მანდ-ის ადგილას ხშირად გაიგონებთ მადერ-ს: „მადერაა მა ბაღანე".

თანდებულები

-ზე თანდებული წარმოდგენილია ხშირად ზენ-ის სახით: სტოლზენ, კიდეზენ.

-თვის თანდებულს ცვლის -თვინ თანდებული: ღმერთისთვინ, რუსისთვინ, რაისთვინ, მამისთვინ, გულისთვინ.

-მდის თანდებული -მდინ-ის ფორმითაა წარმოდგენილი: ვადამდინ, სანემდინ, სახლამდინ.

ზოგჯერ -მდის გართულებულია ინ-ით: -მდისინ: სანემდისინ, გათენებამდისინ, რაჭამდისინ, ჩამორეკამდისინ, საღამომდისინ.

-კენ თანდებულს ცვლის -კე: ჩრდილოეთისკე, ყანისკე, ცაგერისკე. -გან თანდებული შემონახულია მოქმედებითი ბრუნვის თანხმოვნითი ნაწილის თ-ს გამჟღერების შემდეგ: სოფლიდგან, ჯარიდგან, ლაჯანურიდგან, ლეკებიდგან.

არის შემთხვევები, როდესაც -დან თანდებულს ი ერთვის ბოლოს: სოფლიდანი, ოჯახიდანი („ამაღლება დღეს ოჯახიდანი ოჯახის უმფროსი წავა ტყეში"), სახლიდანი („ფეხს არ მეიცვლიდა სახლიდანი").

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს -დამ თანდებულიანი ფორმები:

სვანეთიდამ, გორებიდამ, ტყიდამ. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამ თანდებულის ამოსავალი ფორმა მკვიდრია ასეთს ფორმებში: „ალექსანდროულის ჩამოდალმან (|| ჩამოდალმე) ოჯალეში ყველას სჯობია“; „რაჭას ჩამოდალმა მაგისთანა ღუნო აღარ არის“; „ამის ჩამოდალმან“ და მისთ.

ფორმაში ყოველდგან -გან თანდებული ადგილზე მიუთითებს; უდრის ჩვეულებრივს სიტყვას—ყოველგან. დ ალბათ ვითარებითი ბრუნვისაა: ყოველადგან—ყოველდგან; დაკარგული ჩანს ა.

ნაწილაკები

ა) დამახასიათებელია -ყე ნაწილაკი ცნობილი ფუნქციით.

ბ) დადასტურებითი შინაარსი აკისრია ჭვე ნაწილაკს: „ე ცოლი ჭვე მეემართა ლეკურით“; „უკანასკნელი, ერთი შვიდამდი მაინც ჭვე იყო ღვდელი“; „ერთი ჭვე გეიძიგნა“; „ჭვეც ინახება და წამალია კაცისთვინ“; „ჭვეც ვჭრიდით და ჭვეც მოქვქონდა“; „მარხილიც ჭვე აქ“; „შენ ჭვე რას გადმოხტე“; „ი ძმებმა ჭვე იცოდენ მისი სისუსტე, მარა...“; „ჭვე კი არ ჭამენ გელუანები ხალხსო“; „მე ჭვეც ვატყობდი“. ამის გვერდით, შედარებით იშვიათად, იხმარება გამარტივებული სახე ჭვე-სი ჭე: „უკეთ ჭე ვიყავით; „ჭე რა უნდოდა“; „ადგა და ჭე გადაკრა ღუნო...“

გ) -ღა ნაწილაკი მოცემულია მოდიფიცირებულად ფორმებში: საცხა, ვინცხა, რაცხა, რომელიცხა, საცაღა—საცღა—საცხა; ვინცაღა—ვინცღა—ვინცხა; რაცაღა—რაცღა—რაცხა; რომელიცაღა—რომელიცღა—რომელიცხა. ამ ფორმების გვერდით გვხვდება წინა საფეხურის ფორმები, და ამასთანავე ამოსავალი ფორმებიც: რომელიცა-ღა || რომელიცღა; ვინცაღა, რაცაღა.

დ) ც ნაწილაკის წინამავალი ა დავიწროებულია ე-დ: სოფელშიდეც, დღესეც, რომლისგანეც, სხვაზედეც, ხარსეც, ღვინოსეც, ნაცარქვეშიამეც, იმანეც, ფულსეც

ე) -რე ნაწილაკი ჩანს სიტყვაში: ისევლე (ისევრე) და ფორმებში: ზერე, ქვერე (ზევით, ქვევით).

იშვიათია კნინობითის მაწარმოებელი უკ-ა: ცხენუკა, ბებრუკა, ქათმუკა. უფრო გავრცელებულია ოკ-ელ-ა: გოგუკელა, დოდიკელა, ქორიკელა, პოშუკელა. არის ოკ-ა-ც: ელისიკა. ხშირია ა-ნიანი ფორმებიც (გარსეუანა, იასონა), მაგრამ სახელობითი ბრუნვის ი-ს გავლენით ეს ა ე-დ ქცეულა, და ეს წარმოება ამჟამად გაბატონებულად უნდა ჩაითვალოს: იასონე, სოლომანე, ტარიელე... ამათი ამოსავალია: ტარიელა, იასონა, სოლომანა და ა შ., სადაც ა კნინობითის მაწარმოებელია, შემდეგ სახეცვლილი ასიმილაციის გზით.

/ აღსანიშნავია, რომ არ გვხვდება უნა, რომელიც ეგზომ გავრცელებულია ზემოხსენებული სუფიქსაციის გვერდით უმთავრესად რაჭულში.

ფართოდაა გავრცელებული ია: გრიშაია, სამსონია, ნესტორია, ალექსია, ოთარია. ამგვარად: კნინობითის ძირითადი მაწარმოებლებია -იკ-ელ-ა, -ა(→ე), -ია.

მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსის დართვისას ა ბოლოკიდურიან სახელებზე ადგილი აქვს ასიმილაციას და შენარჩუნებულია ამ გზით მიღებული ორი ე: კეციეები, ურიეები, ატაჟეები, ეკლესიეები, ბიძეები.

———— /

სპორადულად შემონახულია შედარებითი ხარისხის არქაული წარმოება: უ—ე: უმართლე, უგრძე.

-იან სუფიქსს ცვლის -ეურ სუფიქსი: ადამიერი (ადამიანი), ჰკვიერი (ჰკვიანი), სახიერი (სახიანი)...

ზმნა

შე- პრევერბის მაგიერად იხმარება შა-, მო-ს მაგიერად მა-: შამოაბრუნებს, შამეიდოდა, შამოგვაბლობდა, შამოუხტნა,—მაიბრუნეს, მაიკუტა...

მეტად გავრცელებულია თემატიკური ნიშნების მონაცვლეობა. ნიმუშები: გარეცხამს, ულოცამენ, კერამს, დაჰკრამდენ, ცხოვრებენ, შევღებამდით, ულოცამენ, გაჰმოვს, გასმოვს, მიირთმოვს, დაარბოვდენ, გვაძლებდა, მანებობს...

პირის ნიშნები

არ შეიძლება ითქვას, რომ მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი მთლად დაკარგულიაო, როგორც ეს შეიძლება ითქვას, მაგალითად, ქვემოიმერულის მიმართ (თუმცა აბსოლუტურად არც იქაა გამარტივებული საქმის ვითარება). ნიშნები დაცულია, მაგრამ რყევას განიცდის და თანდათანობით გაქრობისაკენ მიემართება. აი ზოგიერთი მაგალითი: სწირავდა, სცალია, მოსცხებენ; მოსტეხა,—დაჰკრამენ, დაჰკითხა, შეჰყურებს და მისთ. რაც შეეხება დასჩა (დარჩა) ზმნას, აქ ერთადერთია ნაასიმილაციარი ფორმა: დაშჩა, იშვიათად ისმის, ამის პარალელურად დასჩა, დასჩენია. ჭ-სთან ს შ-დ იქცევა: დაშჭირდა, დაშჭრა. ხოლო თუ ზმნა იწყება ჭ-თი, ჩ-სთან შეხამებაში მიღებულია ხ: ხონდა (ჰქონდა): „ისე გამოანგარიშებული ხონდათ, გირვანქა გამევიდოდა"; „დუქნები ხონდათ მიღებული"; „ხონდა ხალხს პური და ღვინო"; „იასონ გელვანს

სახლები ხონდა ჭუთეისში“; „დიდი ჯიხვი რო გონახავს, ასთე ხონდა ხელი“; „ერთი ხელი ხონდა“, და მისთ.

თუ უ-თი იწყება ზმნა, მაშინაც მიღებულია სათანადო ფონეტიკური პროცესის შედეგად ხ: ხავს, მოხავს, და სხვ. ნიმუშები: „მამამისი, სანამდი იცოცხლა, ხავდა დანჭირული“; „დისულები რომ ხავხ“; „ხენწიფე იმისი იყო, რომე ხალხი ხოლებოდა“; „კანაფი ახლა სვანეთში მოხავთ ბეჭრი“; „მერე მოხობოდენ“. ზოგჯერ, დაცულია ასეთი შეხამება: ბხ: „არ ჰხოლია“; „მოჰხობოდა ტოლიც“, „ჰხავდა დედინაცვალი“, და მისთანანი.

მესამე პირის სუბიექტურ სუფიქსად მრავლობით რიცხვში ზმნას მოუდის -ენ, ნაცვლად -ან-ისა, მაშინ როდესაც მათ წინ ი უძღვით: არიენ, ჩოუჯდებიენ, მღერიენ, წამოვლიენ, უდგებიენ, ბრუნდებიენ, სუქდებიენ. ა—თ-ს ნაცვლად იგივე ენ გვხვდება: „თურმე ეგენი ლექები გონებიენ ქართველებს“. შემონახულია I თურმეობითის არქაული (სრული) წარმოება: ყოფილარიენ, მოსულარიენ, მოდილარიენ. I თურმეობითი ნაწარმოებია ნა პრეფიქსით: მონავალა, ნაკეთება, ნაჭამა, ნაყურება. „ამირანს ვერ ნამაგრება დეე“; „ამირანი დანაცემა მაშინათვე“; „მინაჭონან თათრის გადამხთელებს ესენი“. მრავლობით რიცხვში ამგვარ ფორმებში სრული დაბოლოებაა დამხმარე ზმნისა: ნაკეთებარარიენ, ნამაგრებარარიენ... განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამავე ფუძეზე იყო დამხმარე ზმნით II თურმეობითის წარმოება: მონავალიყო: „ნეტაი ცხენით მონავალიყო“; ნაკეთებიყო: „იმ საქმეს რო ნაკეთებიყო ეახტუ, დააჯილდოებდენ“.

არქაული გარდა- პრევერბი წარმოდგენილია გარა-ს სახით: გარავარჩინე, გარაბრუნდა, გარახტნა, გარავიდა.

უნდა გვხვდება უნა-ს სახით: „ხეები იმას უნა მეეცა“; „უნა გეეზარდა ბატონს ი ბიჭი“.

სინტაქსი

ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად გამოყენებულია უე ნაწილაკი. მაგრამ აქ ისაა ხაზგასასმელი, რომ მის გვერდით იხმარება იმავე ფუნქციით თ მესამე პირში: „წევიდა ე დედინაცვალი და ბოშებს მოპარათ ძროხა“; „ი ჯვარი ისეა, რო ყოლიფერს უსრულებთ ხალხსაც; დოუძახათ მათხოვრებს იასონემ“.

წინადადებაში დაკარგულია მიცემითი ბრუნვის ნიშანი. ნიმუშები: „გარავარჩინე სიკვდილ“; „ჩემ ადგილებ ენახამდი“; „ნაკეცურებ ჯაკეთებიდთ“; „ურემი ჭალ დახყაეს“; „კანაფ თესამდენ“; „ფულ მოქცემო“; „ძალიან ეხმარებოდა ხალხ“; „აფერ არ გკითხამო“; „საჭმელ არ გვძ-

ლემდა". ხმოვანფუძიანებთან: „წირვა მეეიყურებდით"; „არ შეიძლება, ღვინო დალეეღა"; „მიწა დეეწარცხა".

ასეეე იკარგება ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნითი ნაწილი წინადადებაში: „თხი ყველი ეჭამეთ"; „წეეიდა ფული ბისაგებათ"; „ჩიტი რძე არ დაკლებია"; „ხანჯლი წეერით ებჯინებოდა"; „ყურძნი მტეევანი გასრისა"; „ძველი კედრი პატრონია", „სახტრი ნანგრეევი დოუმთვალიერებია"; „კლდი ძირში ეგდო"; „მური ხიდთან შეჩერებულა".

დასტურდება მსაზღერელ-სასაზღვრის შეუთანხმებლობა ბრუნვაში: „სამი ბათმანს", „სამი ბათმანმა".

გარდაუვალ ზმნებთან სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში გვხვდება: „იაპონიამ გოუწყრა"; „იასონამ დაბარბაცდა"; „მაინძელმა მიესალმა", და მისთანანი.

მიზეზის გარემოებითს წინადადებაში გამოყენებულია კავშირი რახან: „რახან ასე დამძიმდა, გეიყუანა წყალგაღმა"; „რახან შენი სიყვარული იყო, ამან მოკლა"; „რახან თქვაო, ჩეეიცვამო"; „რახან შაშვიწეერა დაარქვა, დასტანჯა". ზოგჯერ რახან-ს ემატება რომ და, ამგვარად, გვაქვს გაორმაგებული კავშირი: „რახან რო, თავისი შვილი არ ეგულებოდა მამაცი, თვითონ გედეეშვა"; „რახან რო ამისთანა ამბავია, მისცა ოცი თუმანი". იშვიათად გვეულინება იმავე ფუნქციით რაღანათაც: „რაღანათაც ეგრე ბძანებ, მხარშეკრული აქა ვზივარ". არის შემთხვევები, როცა რახან-ის ადგილას იხმარება ნახა: „ნახა ეგრეა, გითხოვო"; „ნახა მტახჯამ, გეტყეიო".

თანწყობილ წინადადებაში მაპირისპირებელ კავშირად გამოყენებულია მარა, მარამ (=მაგრამ): „ძმებმა ქვე იცოდენ მისი სისუსტე, მარა დევს არ გააგებიეს"; „...სული რომ წეგებერა, გადავარდებოდა, მარა ძოხერხებები ხონდა იმისთანე..."; „მე ასე ვარ, მარა შენ რაღა გინდა?" „ამის გაცოცხლება შეიძლებოდა, მარამ რათ გინდა?"

დროის გარემოებითს წინადადებაში გამოყენებულია ხშირად გაორმაგებული კავშირი როცა რო: „როცა რო დეიწყებოდა ჩხუბი, გეიპარებოდა?; „როცა რო იმისანე უქმობა იყო, გამეეწყობოდა"; „როცა რო შეითვისებდა ხალხს, არ ხოცავდა".

ადგილის გარემოებითს წინადადებაში გამოყენებულია გაორმაგებული კავშირი სადაც რო: „მიატანა, სადაც რო ის დები არიენ"; „სადაც რო იყო, ხეები მოაჭრევია"; „გადააგდეს, სადაც რო დიდზე დიდი ქტე არი, ხრამი". ამის პარალელურად ხმარებაშია საცა: „საცა მისი ძმები იყო, იქ მიიყვანა"; „მერე მივიდა, საცა ქათმებია".

შედარების კავშირად იხმარება რავარც: „ისე ჭამდა რკინასა, რაეც ხარი თიეასა"; „რავარც ჩემი ძმა, ისე მიყვარხარ".

დროის წინადადებაში გამოყენებულია: 1) რა: „გულმა რა ეს დეინახა, გეიწივ-გამეიწივა"; 2) რა რომ: „რა რომ გათხოულვარ, შენისთანე

ბიჭი არ შემხვედრია"; 3) რა დროსაც რო: „რა დროსაც რო ჯვარი უნა დეეწეროს, უნა მორჩენილიყოს".

ხოლოთ იმასვე გამოხატავს. რასაც სალიტერატურო ენაში ოღონდ: „ყველას ვაჭმევ, ხოლოთ მექნეს სამაძღრისად"; „არ დეეძეფ, ხოლოთ გადამარჩინე"; „ხოლოთ გააცოცხლეთ და თქვენი იყოს ე კეტარი".

დასასრულ ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება.

წინადადებაში პაუზის დროს სიტყვის ბოლოს ვითარდება გ; „ხუთშაფათსგ... დეიწყებდენ მეშოობას?; სამშაბათგ... არევის არ ღებულობდა"; „უქმეები რო ვიცოდითგ... ცოებოდა მუშა კაცი"; „თქვენგ... ნასტაული ბძანდებით". ამის გვერდით შეიძლება ე დაემატოს სიტყვას: „ნიკოლოზის დროსე... ხშირად დაედიოდი გროზნას"; „ჩვენე... პარასკებ დღეს არ ვეუშაობდით"; „ბოეშსე... ბატონო... მოლა უნდა"; „იმ დღესე... ჩუენსას უნა გავსულიყავით"; „კვირესე... დევიბანდით, დევიბარცხნიდით". ფაკულტატურად უ-ც იხმარება. იგივე მაგალითები შეიძლება ასე წარმოგვიდგეს: „უქმეები რო ვიცოდითუ..."; „ხუთშაბათსუ..." და ა. შ.

ბოლოკიდური თანხმოვნის დაბოლოება ხმოვნით, რისი აუცილებელი პირობაც პაუზაა, იმერულშიც გავრცელებული მოვლენაა. განსაკუთრებით ეს წერაში იჩენს თავს: როდესაც იმერელი წერილსა წერს (იგულისხმება ნაკლებწიგნიერი პერსონა), სავსეა წინადადებები ასეთი უ-თი; თითქმის ყოველი სიტყვის ბოლოს იგი აუცილებელი კომპონენტია.

აქ მოვიყვანთ ნიკო ბერძენიშვილის მიერ გამოცემული დოკუმენტებიდან ერთ იმერულ საბუთს, სადაც გვხვდება სათანადო მოვლენა:

„ესე წყალობის წიგნი შეგიწყალე და გიბოძე ჩვენუ, აბაშიძე ბატონმა ზურაბ და ჩემა ძმამ სეიმონუ, ჩემა შვილმა დავით. სხვამა ჩემა შვილმა და მომავალმა ყოველთავე შენუ, ჩვენს ერდგულს ყმას ბერს წერეთელს, შენსა შვილსა... აწ გყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთმანუ ჩვენს ერდგულობასა და სამსახურში-განუ. თუ შენუ ჩვენი ერდგული იქნე და სიტყვის ბრძანების მორჩილი შენუ ეს ჩვენგანუ ნაბოძები წყალობის წიგნი არ შეგიშალოთ... კაცთაგანუ არის ამისი მოწამე..." (1709 — 1744 წ. საბუთი § 622).

იმის გასარკვევად, თუ რა ადგილი უკავია ლეჩხუმურ დიალექტს სხვა კილოთა შორის, საჭიროა განვიხილოთ გათვალისწინებული მოვლენები შედარების ფონზე; შევუპირისპიროთ ლეჩხუმურის ნიშანდობლივი თვისებები ქართული კილოების მონაცემებს.

უმარცვლო უ დამახასიათებელია როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კილოებისათვის. ღ ისმის იმერულ შორისდებულებში, ხოლო ჰ-მოვნების დანართია თუშურ კილოში. ჲ აგრეთვე გავრცელებულია სხვადასხვა კილოში.

ხმოვანთა ასიმილაციის ის შემთხვევები, რომლებიც დაცულია ჩვენს დიალექტში, დამახასიათებელია რაჭულ-იმერულისათვის: უ ი იწვევს წინამავალი ფართო ხმოვნის ნაწილობრივ დამსგავსებას. სრულ დამსგავსებამდის (აუ—ოუ—უუ) ლეჩხუმურს არ მიუღწევია, რაც ძირითადად ნიშანდობლივია გურულ-აჭარულისათვის. მაშასადამე, ლეჩხუმური გარდამავალ საფეხურზე დგას. თანხმოვანთა ასიმილაციიდან ყურადღებას იპყრობს მკვეთრებთან მეზობლობაში მჟღერების გამკვეთრება (გატყდა, და მისთ), რაც ახასიათებს უმთავრესად გურულ-აჭარულს, და ამით ჩვენი კილო ეთიშება რაჭულსა და იმერულს. ასევე ეთიშება ამ მეზობელ კილოებს არაფერ-ვერაფერ სიტყვებში მთელი მარცვლის (რა) შეკვეცით (აფერი). ბგერის დაკარგვა, ჩართვა და შენაცვლება ყველა კილოს ახასიათებს, მაგრამ სათანადო პროცესების ის ფაქტები, რომლებიც გავრცელებულია ლეჩხუმურში, ძირითადად ქვემოიმერულშიც გეხვდება.

მორფოლოგია

სახელობითი ბრუნვის ი იწვევს ა-ბოლოკიდურიან სახელებში ასიმილაციას და ვღებულობთ ე-ს (ტომარე, იასონე). ეს ძირითადი ტიპი წარმოებისა ქვემოიმერულში პოულობს ანალოგონს. ასევე ქვემოიმერულისთვისაა სისტემებრ დამახასიათებელი წოდებითში ო-ს დართვა თანხმოვანფუძიანებზე (ბესარიონო, და მისთ)... ნაცვალსახელების (ის, ეს, მაგ) ფონეტიკური გამარტივება თითქმის ყველა დიალექტს ახასიათებს, მაგრამ ამ ნაცვალსახელის ა-დ შეკვეცა რაჭულში პოულობს პარალელს... თანდებულთაგან: მდისინ, -კე რაჭულს ახასიათებს და, ამავე დროს, აღმ. კილოებს, ხოლო -ზენ თანდებული ქვემოიმერულშია ფართოდ გავრცელებული. ქვე ნაწილაკი საზიაროა რაჭულთან, მაგრამ იგი ხევსურულისთვისაცაა დამახასიათებელი. აღსანიშნავია, რომ ლეჩხუმურში (ისევე როგორც ქვემორაჭულში) იწყება მისი გამარტივება (ქე), რაც უკვე მომხდარა ქვემოიმერულში (და აგრეთვე გურულ-აჭარულში). ვინ და რა ხაცვალსახელებთან და-ცა ნაწილაკის შებრუნებით წარმოდგენა (ვინცაღა, რაცაღა), რაც რაჭულმა და ზემოიმერულმაც იცის, ცნობილია საშუალო ქართულიდანაც. შდრ. რუსთაველთან: „ვინ-

ცალა ჰკადრებს, მან ჰკადროს...", „აწ იგი იქმნას, რაცალა ენებოს ღმრთისა წადილსა". აქედანაა მიღებული ვინცხა-რაცხა, რაც დაცულია როგორც ჩვენს დიალექტში, ისე ქვემორაჭულსა და ქვემოიმერულში. -დამ თანდებული რაჭულშია და, ამაკე დროს, აღმოსავლურ კილოებიდანაც ცნობილია. ქვემოიმერულში ეს თანდებული არ არის პროდუქტიული, მაგრამ ჩანს ამ სახით: წინიდამე (წინიდან). სპორადულად იგი გურულ-აჭარულშიც შეინიშნება. მაგალითად, „ოზურგიდამ მოდიოდა უახტანგი და მის ძმა ჯაბა, წინ შემოხვდა ერთი გოგო, ლამაზი და შავთვალწარჩა" (უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება", გვ. 287). შდრ. აგრეთვე აჭარული: „ზეციდამა გადმოჰრილი, ყაიმე დედავ, ქუდი დამრჩა". ანდა: „მაღლიდამა გამოვიდა კაბა-კუბო ჰრელოსანი". ამგვარი ფორმა: ჩამოდაღმა, დაცული ლეჩხუმურში, ცნობილია მე-17 საუკუნის ერთი ლეჩხუმური საბუთიდანაც, სადაც აგრეთვე მოცემულია „იმას დალმან" (კაკაბაძის გამოც. 1, 73)... კნინობითის სუფიქსაციიდან -ია ქვემოიმერულშია ფართოდ ფეხმოკიდებული, ხოლო -ჲ-ელ-ა გურულ-აჭარულშიც ცნობილია. უკა-უნა-ს გამოუყენებლობით ლეჩხუმური ეთიშება რაჭულს... ფართოდაა ფეხმოკიდებული -იერ სუფიქსი -იან-ის ფუნქციით. იგი სისტემებრ ქვემოიმერულს დაუცავს და ნაწილობრივ ქვემორაჭულმაც იცის.

საყურადღებოა შედარებითი ხარისხის წარმოება უ თავსართითა და ე ბოლოსართით (უმართლე, უხნე), შემონახული ჩვენს დიალექტშიც (გარდა ამისა, გვხვდება რაჭულსა და ზემოიმერულში). იგი არქაული ქართული სალიტერატურო ენის სათანადო ფორმების ცოცხალ დადასტურებას წარმოგვიდგენს თანამედროვე ქართულში... შა-მა პრევერბები ცნობილია რაჭულში და აღმ. კილოებში. ზმნაში თემატიკური ნიშნების მონაცვლეობა ცნობილია მეტ-ნაკლებად სხვა კილოებიდანაც, მაგრამ ყველაზე მეტი გავრცელება მას მესხურში მოუპოვებია. დასავლურ კილოთაგან იგი ცნობილია რაჭულში და, ამასთანავე, გურულ-აჭარულშიც. ქვემოიმერულისთვის ეს მოვლენა იმდენად დამახასიათებელი არ არის. ჩვენი დიალექტი ამ მხრივ, რაჭულს ეკედლება... პირის ნიშნის ჰ-ს შეხვედრა ზმნის თავკიდურ ჭ — ყ-სთან ხ-ს იძლევა, და ეს მოვლენა დადასტურებულია უმთავრესად გურულ-აჭარულში... I თურმეობითის არქაული (სრული) წარმოება ქვემოიმერულ-ქვემორაჭულს ახასიათებს, გარდა ლეჩხუმურისა. აქვეა გავრცელებული ნა-თავსართიანი წარმოება. II თურმეობითის წარმოება იყო დამხმარე ზმნით ნა-თავსართიანი წარმოების საფუძველზე ლეჩხუმურთან ერთად დამახასიათებელია ქვემორაჭულისა და ქვემოიმერულისათვის (მონავალიყო).

წინადადებაში ნათესაობითისა და მიცემითის ს-ს დაკარგვა სისტემებრ დამახასიათებელია რაჭულისთვის და აღმ. კილოებისთვის... ყვ ნაწილაკის გამოყენებით ლეჩხუმური ეკედლება რაჭულსა და ზემოიმერულს. როგორც ცნობილია, იგი არსებობს ზოგიერთ აღმოსავლურ კილოშიც... ამასთანავე, მისი ფუნქციით თ-ს გამოყენება, რაჭულის გარდა, კახურშია ცნობილი... წინადადებაში პაუზის დროს სიტყვის ბოლოს ხმოვნის გაჩენა ლეჩხუმურ-იმერულის ნიშანდობლივ თვისებად უნდა იქნეს მიჩნეული.

როგორც ჩანს, ჩვენი დიალექტი იმეორებს მთელ რიგ ნიშნებს, რომლებიც დამახასიათებელია მეტ-ნაკლებად აღმოსავლური და დასავლური დიალექტებისათვის, — მაგრამ ძირითადად იგი მაინც ქვემოიმერულის ტიპისაა, რომლის შემდეგ ყველაზე მეტი შეხვედრის წერტილები მას ქვემორაჭულთან აქვს.

რაჭული დიალექტი

ინტერესი რაჭული კილოსადმი გამოწუეულია სხვადასხვა თვალსაზრისით. პირველ ყოელისა, აღსანიშნავია რაჭის თაეისებური გეოგრაფიული მდებარეობა. იგი მთიანი ადგილია და სიგრძეზეა გაჭიმული მდინარე რიონის გასწვრივ; ზოგი სოფელი მდინარის დაბლობშია გაშენებული, ზოგი კიდეე მთის კალთებზე მდებარეობს. ეს ხელს უწყობს დიალექტურ სიჭრელეს და იმ შინაგან სხვაობათ, რომლებითაც გამოირჩეეა რაჭული კილო ქართულ დიალექტოლოგიაში. გარდა ამისა, რაჭას ოავისი პერიფერიებით შეხვედრის წერტილები აქეს სხვადასხვა კუთხესთან: უკიდურესი ქვემო არით იგი ემეზობლება და ურთიერთობა აქეს ზემო იმერეთთან, ქვემო იმერეთთან, ქართლთან, ლეჩხუმთან, უკიდურესი ზემო არით — სვანეთთან და არაქართველურ მოდგმებთან — ოსებთან და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ტომებთან. ასე, მაგალითად, ქვემო რაჭის იმ მკვიდრთ, რომლებიც რიონის მარჯვენა მხარეზე ბინადრობენ, გაცილებით მეტი ურთიერთობა აქვთ ლეჩხუმლებთან, ვინემ მთაროაჭველებთან; ეს უკანასკნელნი, თაეის მხრით, მჭიდროდ არიან დაკაეშირებული ზემოალნიშნულ არაქართულად მოუბარ მოსახლეობასთან. ეს ერთი მხრით. მეორე მხრით, ანგარიშგასაწეეია რაჭველების გადაადგილებანი, საცხოერისის გაფართოება ისტორიულ წარსულში ჩრდილოეთის მიმართულებით და ამის წყალობით ეთნიკური შერეეა არაროაჭულ მოდგმებთან, რის უტყუარობასაც ყრუდ გეანიშნებს ზოგიერთი ისტორიული ჩვენება. მესამე მხრით, ყურადღება უნდა მიეაქციოთ იმ გარემოებას, რომ, როგორც ცნობილია, ისტორიულად საკმაოდ ძლიერი და ჩამოყალიბებული იყო რაჭის საერისთაოები, მყარი და მტკიცედ დადგენილი ტერიტორიული დამოუკიდებლობით, და ამ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ მომენტს გარკეეული მნიშვნელობა აქეს რაჭული მეტყველების შინასხვაობათა გასათვალისწინებლად და დიალექტური საზღვრების დასადგენად.

გარდა ამისა, საყურადღებოა ეთნოგრაფიული თაეისებურებანი. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართული დიდი ოჯახი წარმოადგენს რამდენიმე ცოლ-ქმრის გაერთიანებას, და ეს ხდება აგნა-

ტურ ნიადაგზე, — ცხოვრობენ ერთ საერთო სახლში—დარბაზში. აგვა-ტების რაოდენობა ოჯახში ხშირად 30—50 სულამდის აღწევს, ხოლო წინათ 100-მდისაც ადიოდა. ასეთი არქაული ტიპი შემონახული ჰქონდა გადმონაშთის სახით მთიულეთს, ხევსა და ფშაველ. დადასტურებულია მთარაშაშიც. აქ დიდ ოჯახში ბაბუას ეკითხებოდა სასოფლო და სამეზობლო საქმეები, მას ემორჩილებოდნენ მამაკაცები. არსებობს საუფროსო სკამი, რომელსაც მთარაშაში საკარცხული ეწოდება, სვანეთში კიდევ საკურცხალ, მთიულეთში საუფროსო სკამი, ხევში — სამარტო შკამი[1]. ამასთანავე, რაჭული (განსაკუთრებით მთარაჭული) რელიგიური დღესასწაულები უფრო ჰგვანან აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლურ ჩვეულებებს, ვიდრე დასავლეთ საქართველოსას („შიოობა", ჩიტაფაფობა, გონჯაობა და სხვა). ეს პარალელი აყენებს რაჭულ-ქართლური ხალხური რწმენის ერთობის საკითხს, რომლის საბოლოოდ გადაჭრა ჯერ, რასაკვირველია, ნაადრევია და იგი მოითხოვს საგანგებო შესწავლას. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ათინიგენობის რიტუალი, რომელიც დასტურდება მთიულეთ-ხევსურეთშიც.

ანთროპოლოგიური თვალსაზრისითაც რაჭა აღმოსავლეთ საქართველოს უკავშირდება. რაჭველის ანთროპოლოგიური ტიპი ლიტერატურაში ცნობილია როგორც შერეული ტიპი აღმოსავლურ-დასავლური ნარეობისა[2].

ხალხური მუსიკის დარგშიც ანალოგიებს ნახულობენ რაჭულისა და აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერებს შორის[3].

ცნობილია რაჭის გეოგრაფიულად დაყოფა ქვემო რაჭად, ზემო რაჭად და მთის რაჭად, ანუ მთარაჭად[4]. ქვემო და ზემო რაჭას შორის მიჯნად სდებენ ხიდიკარს, რომელთანაც ახლო მდებარეობს სოფელი წესი. მართლაც, ეს არის ნამდვილი ბუნებრივი საზღვარი. შედარებით გაშლილი და მდინარე რიონის დაბლობი ადგილები აქ თავდება და იწყება უფრო მთიანი ზოლი. ხიდიკარი წარმოადგენს ვიწრო ყელს, უშველებელი კლდეებით გარშემოზღუდულს. აქ ყოფილა ციხე. ამჟამადაც დარჩენილია მარჯვნივ და მარცხნივ ამოშენებული გამაგრებული ადგილები მრავალი სათოფურით, და, როგორც გადმოგვცემენ, უნებართვოდ აქ გადასვლა არ შეიძლებოდა. ვახუშტი ამ ადგილის შესახებ ამბობს: „ხოლო კვალად კრიხულას შესართავსა და ამბროლაულ—ბიმშს ზეით მოვიწროვდების რიონი სამკრიდამ და ჩდილოდამ კლდითა. მუნ ძეს ხიდი

---

1 რუს. ხარაძე, დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში, 1939.

2 პროფ. ალ. ჯავახიშვილი, კაკასური მოდგმა: „თბილ. უნივერსიტეტის მოამბე", IV ტომი.

3 პროფ. დ. არაყიშვილი, რაჭული ხალხური სიმღერები, 1950.

4 რაჭის გეოგრაფიული მიმოხილვა მოცემულია ს. მაკალათიას წიგნში: „მთის რაჭა", 1930.

რიონზედ. ხიდის თავს, კლდის ძირში, არს, რიონის ჩდილოეთ კიდესა ზედა, ციხე, და უწოდებენ ხიდის-კარ[illegible]... მას ზეით არს წესი. დაბა კარგი". ზემო რაჭა მოიცავს ხიდის-კარიდან (ანუ დღევანდელი გამოთქმით— ხიდიკარიდან) მოყოლებული ლუხუნის ხეობასა და რიონის ზემო წელის ხეობას სოფელ უწერამდის (ჩათვლით). „ხოლო ბარულ:ს-წყლის შესართავს ზეით მოერთვის რიონს ჩდილოდამ მდინარე ლუხუნი, გამომდინარე კავკასისა, — ვახუშტისავე სიტყვით, — რაჭა-სვანეთს შორისისა, და მოდის სამკრეთად. ყოფილა ამ... ჭეობაზედ შენობა დიდი, არამედ აწ მტერობისაგან სვანთა არღარა, და ოჯერ არს. ამ ლუხუნის აღმოსაკლით კიდის მაღალს კლდის გორასა ზედა და რიონის ჩდილოდ არს ციხე შინდა, მაგარი და აუღებელი მტრისაგან, და ვის უპყრავ ციხე ესე, არს ერისთავი რაჭისა" [1]. ამ ცნობილი ციხის ნანგრევის ირგვლივ შემორჩენილია ლექსი: „შინდა-ციხე შინდია, ჩემი ცოდვით საესეა, თაეწითელი შინდლის ბიჭი კინწისწყერით ასვია".

მთის რაჭა ანუ მთარაჭა მდებარეობს მდინარე რიონის სათავისა და გლოლის ან ჭანჭახის წყალს შორის. მას უჭირავს დაახლოებით 640 კვადრატული კილომეტრი სიბრტყე. იგი მოქცეულია კავკასიონის მთავარ ქედისა და შოდა-კედელას ქედს შორის და თავისი საშუალო სიმაღლით 3.800 მეტრს აღემატება ზღვის დონიდან. მთის რაჭა შემოზღუდულია მაღალი მთებით: ფასის მთა — 3.787 მეტრი, გეზე—3.870 მ., ლაბო და წითელი — 4.317 მ., წიხვარგა — 4.137 მ., ბურჯულა — 4.356 მ., შოდა— 3607 მ. ამ მთების ფერდობები და კალთები 2.600 მეტრამდე ტყით არის მოსილი. ტყის საზღვარს მიჰყვება ალპური ზოლი, რომელიც სუბალპების მდელოების მთლიანი ხალითაა დაფარული და ზაფხულობით საკვებს აძლევს რამდენიმე ათას სულ საქონელს. შემდეგ იწყება ტრტველა კლდეები და თოვლ-ყინულიანი აწვეტილი მწვერვალები. კავკასიონის მთავარი ქედი აქ ჭანჭახის მთასთან საკმარისად დაბლდება—2.850 მეტრს უდრის და ქმნის ჭანჭახის ანუ მამისონის გადასავალს, რომელიც აერთებს რაჭა-იმერეთის გზატკეცილს არდონის ხეობის გზატკეცილთან. ამ მთავარ გადასასვლელთან არსებობს საცალფეხო ბილიკებიც. მაგ., გლოლა-ღებ-ჭიორიდან რაჭველები დიგორში გადადიან. ვახუშტი ამბობს: „რიონის სათავიდამ გარდავალს გზა კავკასზედ გლოლას, სადა არს, კავკასიის ძირში, დიდს მაღალს კლდესა შინა, ქვაბნი გამოკეთილნი დიდ-დიდნი. მოგზაური მივალს მას ქვაბსა და დილას წარვალს, ჩავალს გლოლას. ეგრეთვე მუნიდამ მოსრული, მუნ განისვენებენ დაშრომისათვის. და მეორის ამის რიონიდამ გარდავალს გზა ღებს. არამედ ამ გზებზე ზაფხულით ცხენით ვლენან, გარნა ჭირი-

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 159.

თა დიდითა, და თჳნიერ ზაფხულისა—ვერც ქვეითნი“ (გვ. 116). დასავლეთით მთარაჭას საზღვრავს რაჭა-სვანეთის ქედი.

მთარაჭა სამ სოფელს შეიცავს: გლოლას, ღებსა და ჭიორას. ვახუშტის სიტყვით, „არს გლოლა დაბა მგზავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი... რიონის სამკრით არს ჭიორა, დაბა მოზღუდეილი და კოშკოვანი, გოდლოვანი. ამას ზეით, ჩდილოთ კერძოდ, დაბა არს ღები, ეგრეთვე ნაშენი... ხოლო არიან ვითარცა სხვა მთის ადგილნი... შეუალი მტერთაგან“ (გვ. 161).

დიალექტოლოგიური თვალსაზრისითაც რაჭას ვყოფთ სამ ნაწილად, შესაბამისად გეოგრაფიული კლასიფიკაციისა: ქვემორაჭულად, ზემორაჭულად და მთარაჭულად.

უნდა ვიფიქროთ, რომ ისტორიულად რაჭული მოსახლეობა თანდათანობით გაწეულა ჩრდილოეთის მიმართულებით. თუ რაჭული ეთნიკური ერთეულის ბინადრობის არედ ქვემო რაჭას დავსახავთ (ცნობილი ნიკორწმინდის სამფლობელოში), მაშინ ადრე საუკუნეებში რაჭველები უნდა გავრცელებულიყვნენ ზემო რაჭის არემარეში, რომელიც, სავარაუდებელია, სვანთა მიწა-წყალი იყო. ყოველ შემთხვევაში, მთარაჭის შესახებ გარკვეით შეიძლება ითქვას, რომ ეს მხარე ოდესღაც სვანებს ეპირათ. შემონახულია 1432 წლის ალექსანდრე მეფის სიგელი, საიდანაც ჩანს, რომ ჯერ კიდევ XV საუკუნეში ეს კუთხე სვანთა სამფლობელო ყოფილა. ამ სიგელში მოთხრობილია სვანთა მიერ რაჭის ერთ-ერთი ფეოდალის ჯაფარიძის მოკვლის შესახებ, რასაც სვანებსა და ჯაფარიძეებს შორის გამოუწვევია დაუსრულებელი შფოთი და სისხლისღერა [1].

ამ საბუთიდან ირკვევა, რომ სვანებს ჯაფარიძეებისათვის ძიუცით ქვემო სვანეთიდან ლაშხეთი და მთელი დღევანდელი მთარაჭა. სიგელიდან ისიც ირკვევა, რომ რაჭის აზნაურშვილებს აქ ფეხი მაგრად შეუკიდებიათ (ხოხაგიძეს, არიშიძეს, გაგაშვილებს). ამ აზნაურშვილებს მისდევდნენ მათი ერთგული ყმებიც და, ამგვარად, მთიულეთში [2] თანდათანობით იჭრებოდა რაჭული ელემენტი. ეს აჭრელებული კუთხეც XV საუკუნეში საცილობელ საგნად გამხდარა რაჭასა და სვანეთს შორის. გარდა ამისა, ეცერს აქეთ, ე. წ. თავისუფალ სვანეთში ბატონყმობა არ იყო ამ დროს. მთიულეთში კი რაჭის ფეოდალებს მთელი ეს კუთხე ბატონყმობის უღელში შეუბამთ. ამ ადგილების შემომტკი-

---

[1] ს. კაკაბაძე, სვანები მე-XV საუკუნეში: „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, წ. I, 1914 წ. გვ. 126—131; ს. მაკალათია, მთის რაჭა, გვ. 9—15.

[2] ე. ი. მთარაჭაში.

ცებისათვის, უნდა ვივარაუდოთ, თანდათანობით რაჭული ეთნოსახლეობის ახალი ჯგუფები მიაწყდებოდა მთიულეთს. ეს მოძძლავრება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა სვანთა მოსახლეობის აყრასა და გადასახლებას სვანეთში. ამას მოწმობს სიგელში მოხსენებული ნასახლარი სოფლები: ბრილი, თევარეშო (თეერეში), შოდა, ჩუეში, ბუბა და სხვა. ესენი დღეს ნანგრევებს წარმოადგენენ. რაჭველებს დაუკავებიათ 3 სოფელი: გლოლა — ღები — ჭიორა.

ჩაწერილია საგულისხმო მასალები გლოლის, ღებისა და ჭიორის დაარსების თაობაზე. ამ მასალებიდან აქ აღვნიშნავთ შემდეგს. სრულიად გარკვევითაა მითითებული, რომ, მაგალითად, ღების ერთი ძირითადი, მრავალრიცხოვანი გვარი — **გოგრიჭიანები** სვანებია: გადმოცემა გვეუბნება, რომ ღებში დამკვიდრებულა 7 კომლი გლეხი — სვანი — და გარაჭველებულან (აქვე ლაპარაკია დადიშქელიანისა და ჯაფარიძეების ურთიერთობაზე ყმა-გლეხების მიმართ). ჯაფარიძეს, რაჭის ცნობილ აზნაურშვილს, გოგრიჭა გოგრიჭიანი უჩუქებია მთარაჭის აზნაურშვილ არიშიძისათვის და სხვა. ამ მხრივ საყურადღებოა ღებური ჭოგვარების სახელები, რომლებიც სვანურთან ურთიერთობაზე მიუთითებენ: **სვანეენი, ლაშხეენი...**

გარდა ამისა, გადმოცემები გვეუბნება, თითქოს გლოლის დაარსებაში მონაწილეობა მიეღოთ მოხევეებს თუ მთიულებს. წითელი ზოლითაა გატარებული ყველა ამ გადმოცემაში გლოლელთა დამოკიდებულება მოხევეებთან. ჩვენი წინაპარი მოხევეებიდან მოდიანო, — იმეორებენ გლოლის მოხუცები.

ჩვენ ყველა აქედან, რასაკვირველია, ისტორიული ხასიათის ვერავითარ დასკვნას ვერ გამოვიტანთ, მაგრამ ვალდებული ვართ აღვნიშნოთ შემდეგი:

გლოლური მეტყველება განსხვავდება ღებურ-ჭიორულისაგან, და, ამავე დროს, მთლიანად რაჭული კილოსაგან მთელი რიგი არსებითი ნიშნებით. ამ ნიშნებით ამ სოფლის დიალექტი ენათესავება მთის კილოებს. გარდა ამისა, საინტერესოა შემდეგი: -ყე ნაწილაკი გლოლურს არ ახასიათებს, მაშინ, როდესაც იგი ნიშანდობლივია მთელი რაჭული კილოსათვის.

კიდევ ერთი საკითხი.

რამდენად გამართლებულია გლოლა-ღებ-ჭიორის მეტყველებისათვის ასეთი ტერმინი: „მთარაჭული"? ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ მხარეს ზოგჯერ უწოდებენ „მთის რაჭას". შესაძლებლად მიგვაჩნია დავადგინოთ სახელი „მთარაჭა" (შდრ. „მთათუშეთი" და სხვ.). აქედან: „მთარაჭული". ზოგიერთი მკვლევარი მას „ზემო რაჭას" და აქედან „ზემორაჭულს" უწოდებს. გამოუთქვამთ მოსაზრება, რომ რაჭა საერთოდ

მთიანი ადგილია და არა აქვს გამართლება ერთი ნაწილის ამგვარად გამოცალკევებას; ამავე დროს, არ მოეპოვება ამ ტერმინს საპირისპირო ტერმინი: თუ არის „მთარაჭული“, მაშინ უნდა გექონდეს „ბარის რაჭული“. ასეთი შეხედულება არაა გამართლებული შემდეგი საბუთების მიხედვით: 1. „ზემორაჭულად“ მონათელა, ერთი მხრით, გლოლა-ღებ-ჭიორის მეტყველებისა, და მეორე მხრით, უწერსა ქვემოთ — ხიდიკარამდის მობინადრე ზემო რაჭის მეტყველებისა, მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმას ნიშნავს, ხოლო ამ იგივეობას საფუძველი არა აქვს, რამდენადაც საქმე გვაქვს ორ განსხვავებულ კილოკაურ ერთეულთან. მაშასადამე: გლოლა-ღებ-ჭიორის დიალექტს „ზემორაჭულს“ ვერ ვუწოდებთ; 2. ჩვენ ზევით დავრწმუნდით, რამდენად მაღალ მთიან ადგილებშია მოქცეული ეს სამი სოფელი; ისინი კავკასიონს ებჯინებიან უშუალოდ. ამ ადგილებთან შედარებით ჩამოლმა რაჭის მდებარეობა ბარს ემსგავსება, მით უმეტეს, რომ უმეტესობა სოფლებისა (ზემო და ქვემო რაჭაში) რიონის დაბლობშია გაშენებული. ასეთი **შედარებითი** დაპირისპირება მთისა და ბარისა სხვაგანაც ცნობილია. მაგალითად, ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ფშავში. ვაჟა-ფშაველა თავის ნარკვევში — „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ ამბობს: „თუმცა ფშაეთი **მთიანი ქვეყანაა**, მთაა, მოკლედ რომ ვსთქვათ, მაგრამ ადგილობრიენი მკვიდრნი ამ მთის ადგილებს ორ ნაწილად ჰყოფენ: მთა და ბარი; მთას უფრო მაღალ ადგილებს ეძახიან, სადაც გვიან მოდის პური, თუ ხილი; ბარი — დაბალი ადგილები, ჭალის პირები, სადაც ყველაფერი ადრე მწიფდება და თოვლიც გვიან მოდის მთისასთან შედარებით“ (ვაჟა-ფშაველა, ტომი VI, ალ. აბაშელის რედაქციით, გვ. 406) [1]. ასეთივე გაგებაა დაკვიდრებული, აგრეთვე, მთათუშეთში. **სრული ანალოგია გვაქვს რაჭის ხინამდვილეშიც**; 3. ალბათ ამიტომაა, რომ ადგილობრივ იხმარება ტერმინი „მთის რაჭა“; უფრო ხშირად კი — „მთიულეთი“. ამ კუთხის რაჭველები თავის თავს უწოდებენ „მთიულებს“ და არა „რაჭველებს“; 4. ამას ისტორიული ტრადიციაც ხელს უწყობს: მე-15 საუკუნის დოკუმენტში გლოლა-ღებ-ჭიორა მოხსენებულია „მთიულეთად“.

„მთიულეთი“ რომ დავამკვიდროთ, ამჟამად, ამ მხარის სახელწოდებად, როგორც ფიქრობს პროფ. გ. ჩიტაია („რაჭული სახვნელი“; ენიმ-

---

[1] ასეთივე მდგომარეობაა აჭარის სინამდვილეში: მთა-ბარობის განმასხვავებელ ნიშნად აჭარელს ვაზის არსებობა-არარსებობა მიაჩნია, აგრეთვე „მთაში“ არა ხარობს ზოგიერთი სიმინდის ჯიში; მთას ისეთ ზონას უწოდებენ, სადაც მარცვლეული მცენარეულობა არ არის, ფოთლოვანი მცენარეები ჭრება. ამიტომ აჭარლები თავიანთ მიწა-წყალს სამ ზონად ჰყოფენ: ბარად, ზეგანად და მთებად (სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, „აჭარის ეთნოგრაფიული მასალები“: ენიმკი-ს მოამბე, III, 1937, გვ. 139—141).

კის მოამბე, I, გვ. 247), გაძნელდება იმ აღრევის გამო, რაც მოჰყვება მას აღმოსავლეთ საქართველოს მეიულეთთან შეპირისპირებით.

I

მთარაჭული

მთარაჭულს შეხვედრის წერტილები აქვს „მთის კილოებთან". ჩვენ ვიცით, რომ ამ უკანასკნელი დიალექტური ჯგუფის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი არქაიზმია და მთარაჭულშიც ქართული „არქაული დიალექტის" მშვენიერ ნიმუშს იძლევა.

აი საერთო ფორმები, რომელნიც სისტემებრ მთარაჭულსა და „მთის კილოებს" შემოუნახავთ: 1. სახელობითში ი-ს ჩამოცლა, 2. Locativus exterior-ის გაფორმება ს-თი. 3. დაწყებითი ბრუნვის წარმოება -ით ფორმანტით, 4. კნინობითის ა, 5. ოცობითი თვლის სისტემა, 6. გვართა წარმოება -იან || -იონ სუფიქსით, 7. ნარ-ჟანიანი მრავლობითის საკმაო გავრცელებულობა, 8. ნართაული -ავ, -ამ ელემენტების ნაცვლად -ევ, -ემ ელემენტების გამოყენება, 9. ხოლმეობითის ფორმები, 10. ნამყო უწყვეტელში და ნ. წყვეტილში 3 პ. მრავლ. -ეს, -ენ-ის ნაცვლად, 11. მხოლობითში მრავლობითის და 2 პირიდან ი-ს „გადმოუსვლელობა", 12. მსაზღვრელ-სასაზღვრის შეთანხმება ბრუნვაში, 13. სახელების შეთანხმება მრავლ. რიცხვში, 14. გრამატიკული ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა სათანადო ნიშნით ზმნაში, 15. კითხვის ა ნიშანი, 16. -ცა და -ქვე ნაწილაკები, 17. მთელი რიგი პარალელი ფორმები ლექსიკაში.

სხვა არქაულ ფორმათაგან, რომელნიც მთარაჭულს დაუცავს და, მეორე მხრით, არა მარტოოდენ მთის კილოებს შემოუნახავთ, არამედ ზოგიერთ ბარის კილოსაც ახასიათებს, აღსანიშნავია შემდეგი: 1. ჲ, 2. ბოლოხმოვნიანი სახელების გაფორმება სახელობითში, 3. ბოლოხმოვნიანი სახელების გაფორმება ნათესაობითში, 4. ბოლოხმოვნიანი სახელების გაფორმება მოქმედებითში, 5. ემფატიკური ა, 6. თანდებულთაგან ისდა-იზდა, 7. -უე ნაწილაკი, და სხვ.

სხვა დიალექტურ მოვლენათაგან აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოებთან მთარაჭულს აკავშირებს შემდეგი მოვლენებიც: 1. ხთ—სწ—სტ კომპლექსების გამარტივება (ქართლური, მესხური), 2. თანდებულები: -მდინ, -მდვინ, -თვინ, 3. S_2—O_3-ის სისტემა[1], 4. -ვი მარცვალის დართვა ე-ბოლოკიდურიან ზმნებზე I და 2. პ. პ. (ქართლ., მესხ.),

---

[1] თუ მითითებული არ არის დიალექტური წყარო, ეს იმას ნიშნავს, რომ სათანადო მოვლენა აღმ. საქ. ყველა ბარის კილოს ახასიათებს.

5. მესამე სერიაში ნ ელემენტის გამოყენება, 6. მიცემით-ნათესაობითი ბრუნვის ნიშნების შეკვეცა წინადადებაში (ქართლ.).

დასავლურ კილოებთან მთარაჯულს შემდეგი საერთო ფორმები გააჩნია: 1. პრევერბების ასიმილაცია-დისიმილაციის ასეთი ტიპები: მიე (← მეე ← მო + ე), გადიე (← გადიე ← გადეე ← გადა + ე), გიე (← ← გეე ← გა + ე), გამიე(← გამეე←გამო + ე), და სხვ. (გურულ-აჭარულ-იმერული). 2. ვითარებითი ბრუნვის წარმოება არქაული ებ (←ებრ) ფორმანტით (გურ.-აჭარ.-იმერხ.), 3. თანდებული იზდა-იზა, 4. განყენებულობის სუფიქსის -ობა ფართო გამოყენება (აჭარ-იმერხ.), 5. ორწაგი მრავლობითობის ფართო გამოყენება, 6. ბოლოხმოვნიანი სახელების გაფორმება მრავლობითში (აჭარ.) და სხვ.

ცალკეულ მოვლენათაგან რა ნიშნებია მთარაჯულისათვის სპეციფიკური? ამ მხრივ აღსანიშნავია: 1. ჲ-ს ტიპური აკუსტიკური ბუნება, 2. ღრმა ანუ უკანაენისმიერი მაგარი ლ[1], 3. კნინობითის სუფიქსების -უნა, -უკა ფართო გამოყენება, 4. საგვარეულო სახელების საწარმოებლად -ეთ სუფიქსის ფართო გამოყენება, 5. ორმაგი მრავლობითის ასეთი ტიპი: -ებ+ნ, 6. „მოდიხოდი", 7. მეორე თურმეობითის გადმოცემა მესამე კავშირებითის ფორმებით: -ოს, -ეს || -ონ, -ენ ხისტებრ, 8. -ჟი ნაწილაკი, 9. ლექსიკური თავისებურებანი, 10. ჩრდ. კავკასიის ენათა ელემენტები ლექსიკაში. 11. ისმის საკითხი მთარაჯულ სვანურის ურთიერთობის შესახებ. ჯერჯერობით მოუთითებთ კნინობითისა და მეორე თურმეობითის წარმოებაზე.

მთარაჯულში არის შინაგანი მცირეოდენი განსხვავებაც: ერთი მხრით დგას გლოლური და მეორე მხრით ღებურ-ჭიორული. გლოლური უფრო მკვეთრად ამჟღავნებს ძველი ქართულის კანონზომიერებას. გარდა ამისა, გლოლურს არ ახასიათებს სთ—ხწ—სტ კომპლექსების გამარტივება, წინადადებაში თანხმოვნითი ელემენტების (ს) შეკვეცა, და -უე, -ჟი ნაწილაკები; სამაგიეროდ, ღებურ-ჭიორულს ლ-ს არ ახასიათებს უკანაენისმიერობა.

გადავიდეთ მთარაჯულის ძირითად თავისებურებათა კონკრეტულ ანალიზზე.

ფონეტიკა

ბგერითი შედგენილობა

ა) ჲ ნახევარხმოვანი ქართული კილოების საზოგადო დამახასიათებელია, მაგრამ მთარაჯული მაინც უნიკუმს უნდა წარმოადგენდეს ამ მხრივ. არც ერთ კილოში არ აღიქმის ასე მკაფიოდ ჲ; ხშირად

[1] შეიმჩნევა ანალოგია ინგილოურში.

გვიძნელდება გამოვარკვიოთ — იოტია თუ სრულხმოვანი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც პროზაულ მეტყველებასთან გვაქვს საქმე (პოეზიაში — რიტმის საჭიროებისდა მიხედვით — ხან ჲ-ა, ხან — ი). მთარაშულს კი შემოუნახავს ამ ბგერის ტიპური აკუსტიკური ბუნება: ჲ-ს წარმოთქმა ტიპურია, მაშასადამე, ისეთი, როგორიც არ გვსმენია არც ერთ ქართულ კილოკავში.

ნიმუშები:

[პროზაული:] ა) სახელ. ბრ.: და პყავდეს ცხრა-ჲ შვილი — ოთხი ბოში და ხეთი ვაჟა-ჲ; ამ ქალსა მამა-ჲ გარეთ არ ახვერდიებდა; — წინა წლებში ქვე დადიოდეს ჩამომაელობა-ჲ; — ფინთი ოშტორიო-ჲ წაენახშა; — მელა-ჲ ქედისკენ გაეშურა ცუნცულით და წავიდა; — ეს რომ გათხარდა, ხეთისაკარა-ჲ, დაიწყო ნადირობა; — ბასილა-ჲ სად გაერთოო.

ბ) ნათეს. ბრ.: ვაჟა-ჲს რაში; — ეძებენ ამ ვაჟა-ჲს ქალსა; — წიქარა-ჲს დაკვლა მინდაო; — ყერ რაჲს დროჲს შინ წასელაო; — ხეთისაკარა-ჲს ცოლი.

გ) მოქმ. ბრ.: დილა-ჲთ მიასწრაო; — საღამო-ჲთ დაიძინებდა; — რა-ჲ თ-ა ც მა-შემსახურები.

დ) დიფთონგი: ჲა: დაჲპატრეს ეთერი; — გირგოლა რო დაჲ ფიცავს ხატზედა; — კაჲმე წუთისოფელო; — წაჲყუანა და გასწია.

[პოეტური:]

ა) თონეში კაბა-ჲ ჩავდეი, შეშაც ვერ მომიგონია.

ბ) ღვინომ რა-ჲ გვიქნა სადმელისამა, ხორცმა რა-ჲ გვიქნა ღუროვისამა.

გ) ახამ ნეფეს და-ჲ მოვტაცეთ, მასზე მოვიხმარეთ ხელი.

დ) ბერო კაცო, ნუ შევიბით, გული რასმე მეეჭვება, დედიჩემის დაბარება ყველა-ჲ რასმე მენიშნება.

b) ჭ განსაკუთრებულ შემთხვევებში-ღა გვხვდება:

ქისტაგორი[1], წაიტონი, ხეთის.

c) ღრმა ანუ უკანაენისმიერი მაგარი ლ:

დილა, საგზალი, ცოლი, ბარკალი, ქალი, ვაშლი[2].

---

[1] ტოპონიმიკური ტერმინია.

[2] ჩემს დისერტაციაში (Опыт классификации диалектов грузинского языка. 1935. Ленинград) სათანადო „ლ“ ასე მჭონდა გამოხატული: „დილლა, ქალლი...“ პროფ. ა. შანიძე თავის რეცენზიაში სამართლიანად მიმითითებდა, რომ ამ შემთხვევებში გაორმაგებული „ლ“ კი არ უნდა ვიგულვოთ (როგორც ეს მე მჭონდა წარმოდგენილი), არამედ ღრმა ანუ უკანაენისმიერი „ლ“. განსაკუთრებული ნიშნის უქონლობის გამო იგი აქ შავად არის დაბეჭდილი.

ძირითადად დამახასიათებელია ხმოვანთა ერთი გარკვეული სახის ასიმილაცია. განსაკუთრებულ ძალას იჩენს ე. როცა პრეევრბი (გა, წა-...) ერთვის ე-თავკიდურიან ფუძეს, ეს უკანასკნელი იმსგავსებს პრეევრბისეულ ხმოვანს. ასე ამგვარად, საქმე გვაქვს რეგრესულ ასიმილაციასთან. ეღებულობთ ფორმულებს: და+ე→დეე, გა+ე→გეე.

ნიმუშები:

ა) და+ე→დეე: დეეწერა, დეეყარა, დეეთანხმა, დეეკითხეს, დეეკლნა, დეეკარგნეს, დეებარნეს, დეეკრა.
ბ) გა+ე→გეე: გეეხარა, გეებარნეს, გეეცინოს, გეეთამაშა, გეეხარა, გეელანძღოს.
გ) წა+ე→წეე: წეეხლხუნა, წეენახშა, წეებიძგა, წეეკრა, წეეთამაშა, წეეცდეა.
დ) მო+ე→მეე: მეემატა, მეეცალეო, მეეწოა, მეერთეას, მეეხმარება.
ე) გადა+ე→გადეე: გადეეხეონეს, გადეესროლა, გადეებოტა, გადეერტყა.

ამ ფორმის განვითარების შემდეგი საფეხური ხასიათდება დისიმილაციით: ა+ე→ეე→ეე. შედარებით ნაკლებგავრცელებულია.

ნიმუშები:

ა) მო+ე→მეე→მეე: მიეწყიწა, მიეცალა.
ბ) გადა+ე→გადეე→გადეე: გადეეგდო, გადეეტანა.
გ) გა+ე→გეე→გეე: გიეკეთებია, გიელანძღა.
დ) გამო+ე→გამეე→გამეე: გამეეკიდნეს, გამეეტანა.

ბგერის დაკარგვა

a) მ, რ, ლ, ბგერების მოკვეცა.

ნიმუშები:

ა) ტერი, შვილდისარი, წყერი, ხრები, ტრედი, ძორი, გელი, ზეთუნახაეი, ხეცი.
ბ) ბილი, ბძანდები, იზდება.
გ) კდე.

b) სთ—სწ—ხტ კომპლექსების გამარტივება.

ნიმუშები:

ა) მეჯოგეთან, მამიდათან, ტყეთან, სათანათთან, მითანე, ამითანე.
ბ) წაცლა, შეიწავლა, წორა, ჩამოგვეწრა, გადაწრო, მოაწრო.
გ) ბოტანი, მებოტნე, ტუმარი, ეტუმრა, ქრიტე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. დაკარგვის ბედს იზიარებენ აგრეთვე: ა) მიმღეობის მანი, ბ) კენ თანდებულის ბოლოკიდური, გ) მითითებითი ნაცვალსახელების თანხმ. ელემენტი,, დ) შუალობითი გზის მაწარმოებელი -ინ, ე) მიცემითისა და ნათესაობითი ბრუნვების ხ წინადადებაში (იხ. „მორფოლოგია“ და „სინტაქსი“).

2. ხ პუნქტში გათვალისწინებული მოვლენა ახასიათებს ღებურ-ჰიორულს; გლოლურში იგი არ გვხვდება.

ბგერის ჩართვა

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

გამჯაერდა, მჯარი, უმარწეილი, ნიქვთი.

ხუბსტიტუცია

ვადასტურებთ როგორც თანხმოვნებში, ისევე ხმოვნებში (ოვა—უა, ვა—ო, ვე—ო, ო—ვა).

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

ა) მარსკვლავი, ულმაში, ბრაეალი, ფხარი, დღესასტაული, ავანტყოფი (—ავამტყოფი—ავამთყოფი—ავათმყოფი ავადმყოფი).

ბ) თხ — ც: ღმერც, მასლაც.

გ) ოვა — უა: გაათხუა, ეთხუა, დაგვიტუა, აწუა.

დ) ვა — ო: სომს, სხომის (|| სხუმის).

ე) ვე — ო: გველოშაი, ყორიფელი (←ყოლიფერი←ყველაფერი), ქოყანა.

ვ) ვი — ო: კიდო.

ზ) ო — ვა: თვარე(მ), მარტვა.

მორფოლოგია

ბრუნება

ა) როგორც პროზაულ მეტყველებაში, ისევე—ნამეტურ—პოეტურ მეტყველებაში სახელები (უმთავრესად საკუთარი სახ.). სახელობითში და მოთხრობითში ხშირად სუფთა ფუძით გვხვდება.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

ა) ზ. ს ა ხ.: ქალ წამართვით, ხომო? ამაღლობს მაშინ მოვიდა, სადაც სახში იყო დასატიეზულ; არაბ ვერ გაასვა კვალზედა, მარკალ ვერ შეუდეო.

ბ) საკ. ს ა ხ: დაარქვა ზურაბ; დაათერეს ბეჭან; აღგა ბეჭან და წარმოვიდა: მიდგა ბეჭან დევსა კარსა; აწ ამირან წაეგება; აეთანდილ სამძღვარს გადასცდა.

ალმასი იყო ავთანდილ; ავთანდილ ეუბნება; წამოდგა ავთანდილ და გაუშვა ბაღარა; ერწე ტარიელ წავიდა ამ ბაღარზედ; ბექან ესროლა ისარი და ტახი იქაე წააქცია; ამორან დაშთილა ვირი; გადხადირნა ავთანდილ; ითხოვა ქალი... სად ამირან წიხლი ჩაპკრა... ფირან წიგნი წაიკითხა, ითამაშა დანაზედა ფირან ცხენი გაახტუნა, ახა კეიცი გამართულა; ზურაბ მერჯები ხელსაო.

b) სახელობითი. ზოგჯერ ბოლოხმოვნიან სახელებს ერთეის სახელობითის ნიშანი ჲ (—ი) ძველი ნორმების მიხედვით.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

რეა-ჲ, ვაჟა-ჲ, კლდე-ჲ.
ხე-ჲ, ფრთე-ჲ, დურო-ჲ, ბლუ-ჲ.

c) მოთხრობითი. მთარაჭული ბოლოხმოვნიან სახელებს მოთხრობითში არაიშვიათ შემთხვევებში აწარმოებს -მა ნიშნით, ისევე როგორც ამას ადგილი აქვს ბოლოთანხმოვნიანთა ჯგუფში საზოგადოდ ახალი ქართულის მიხედვით. ამგვარად, ჩვენი დიალექტი -მან ფორმანტის ევოლუციის გარდამავალ საფეხურზე დგას.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

ბელა-მა თქვა; გამოიხედა მამა-მა; დაიყენა ხემწიფე-მა; ნეფე-მა შემოსწყრა; ერთმა მოყმე-მა...

d) მიცემითი. 1) ბოლოხმოვნიან სახელებს მიცემითის წარმოებისას შემონახული აქვს ზოგჯერ სახელობითის ჲ (-ი), ე. ი. სახელობითის ნიშანი გადაჰყვება მიცემითში.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

ვაჟა+ჲ-ს ქალსა სხვა ხემწიფე უგზავნის — ითხოვონ; რა+ჲ-ს გეიბრძანებთ ამისასა? ხე+ჲ-ს დაუშენდა თავსა ი ბედითი.

2) მიცემითის ს ნიშნით აწარმოება Locativus exterior-ი და Locativus-ი.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

ა) (Local. exter.) ღებს მიდიოდა ჩოჩაეთი; მუხს რომ შეეიდა.; ზოგი კახეთს წაჰყოლოდნენ.

ბ) (Local.) მერე მოვიდა და ღებს მოკედა..., ღებს ერთი კაჲ ქალი ჰყავდა; ღებს რომ საქმე დაგეშართა, არ არის გასამხელია (ლექს); ალალეთს ქალი დაემარხე, იორეთს მარგლის ბოსტანსა (ლექს.); დიგორს ჩამოსხდეს ეეზირნი (ლექს.); რაჭას ვინ იყო მისთანა? შოესა არიან ხარებე; დეალეთს ცოლოურობა ხყავდა; კარაგომს შემოგეევლია.

e) ნათესაობითი. -ა-ს ფორმანტი ერთვის ბოლოხმოვნიან სახელებსაც და რედუქციასაც არ იწვევს სათანადო შემთხვევებში.

ნიმუშები:

ყველა-ას კარზედ; შალიკა-ას ამბავი; [მოვიდა მანიკა-ას წყაროზედ; შემოსდგა წყარო-ას თავზე; გაიშლართა დერო-ას ძირას; წიფელა-ხე-ა-ს სიმსხო.

f) მოქმედებითი. ბოლოხმოვნიანი სახელები ფუძის შეუკუმშველადვე ირთაენ მოქმედებითის -ა ნიშანს.

ნიმუშები:

დილა-ადთ (11-დილა-ით,) რა-ადთ), ლიტრა-ად, ერბოადთ, რძე-ადთ, ფრთე-ადთ,

g) ხშირად მიცემითი ბრუნვის-(ა) და დაბოლოების ნაცვლად იხმარება -ებ || ეფ (—ებრ) ელემენტი.

ნიმუშები:

ა) [პოეზია:] ყავარსა აუხდი ლომურ-ებ.
შიგ ჩავარდები ქორულ-ებ,
მიეხტებ-მოეხტები დეეურ-ებ,
სისხლს გამოეშვამ ღარულ-ებ.

ბ) [პროზა:] გამეეწყო კაცურ-ებ; ჩაეხვიე ღეედურ-ებ, გმირულ-ეფ, თასიან-ეფ, ხარაზულ-ეფ, რანაირ-ეფ.

-ად, -დ ფორმანტი უმთავრესად გამოყენებულია მასდარულ კონსტრუქციაში:

პურის ჭამად იყო; დაჟდეს ეახშმად; დაჟდეს კოდე სმად.

h) დაწყებითი. სათანადო შემთხვევაში გამოყენებულია მოქმედებითის -ით ფორმანტი.

ნიმუშები:

ადგეს მერმე და ბუბი-ით ქვე ჩამოვიდეს აქა. გლოლას; ხემწიფემ რომ ამოიარა იმოდენა ჯარი გამოჰყვა ქუთაის-ით. რომა ვინ იცის? ზედა-უწერ-ით წამოეელ; შორ-ით ელაპარაკება.

ამის პარალელური ფორმებია ასეთი წარმოება: სახელი+ლოკატივის -ში+აბლატივის -ით. ასევე: ზე+ით.

ნიმუშები:

ონ+ში-ით რომ დავბრუნდები, ერთად წავიდეთო; ჭაჭებმა ქალი გამოიღესო კოშკ+ში-ით; გამორეკეს საქონელი ბოსელ+ში-ით; შეიღებს ბუხარ+ში-ით არ გა-

მოკაედა; დანა ყელ+ში-ით ამოუღეო; ჯორ+ზე-ით გადმოვჯდებოდი; ბან+ზე-ით გადმოვხტი.

i) მიცემით-მოქმედებით-უითარებითი ბრუნვების ფორმანტები ხშირად წარმოდგენილია ემფატიკურ ა ნიშნით.

ნიმუშები:

ა) ვერ არჩენდა ცოლ-შვილ-სა; უთხრა სიმამრ-სა; მისცა ძაღებ-სა; კატასაო, თე გინდაო, ოთხ-სა გაჩუქებო.

ბ) მიებჯინებოდა თავი ჯოხ-ითა; მოუალერსა კუდ-ითა; დაასახუქერა ყეერულ-ითა.

გ) ი ქალა არა ღირდა ხვეენ-ადა; განა ის მოუვიდა ფიქრ-ადა; ყვითელი იყო ფერ-ადა.

ემფატიკურნაწილაკიანი ფორმები გვხვდება პროზაულ მეტყველებაში, ხოლო ლექსებში ხომ იგი ჩვეულებრივი მოვლენაა.

ნაცვალსახელი

a) მითითებითი ნაცვალსახელი ეს, ის უმთავრესად წარმოდგენილია ე, -ი-ს სახით.

ნიმუშები:

ა) ე დიაკვანი, ე ქვა, ე ჯოგიო, ე ფრთე, ე არწივი, ე გერი, ე ვაჟა.

ბ) ი ძროხა, ი ქალი, ი ველი, ი ხემწიფე.

b) ის ნაცვალსახელი ი- ჩამოუცლელადაა ხშირად წარმოდგენილი.

ნიმუშები:

წადი და ის-ი შეკამე; ემუსაიფეს სიდედრი, სიმამრი და ის-ი; რომ გადმოეყვანეს ის-ი...; ის-ი და ამირანი.

მიმღეობა

ფონეტიკური გამარტივებით, მიმღეობის პრეფიქსული ნაწილი ნულითაა წარმოდგენილი.

ნიმუშები:

(მ)დიდარი, (მ)ძინარი, (მ)ჯედელი, (მ)თიბელი, მ)კითხავი.

კნინობითობა

კნინობითის წარმოება მეტად გავრცელებული მოვლენაა. მაწარმოებელ ელემენტებად გამოყოფილია: -ა, -უკ+ა, -უნ+ა.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

ა) ჭალ-ა, ობოლ-ა, დარბაზ-ა, ზანდუკ-ა, გულ-ა, ქათამ-ა, მათრახ-ა, სადგურ-ა ხიტა-ა, ცოლქმარ-ა, უღელ-ა, ანდერძ-ა, იმერელ-ა.

ბ) ყან-უკ+ა, პატარ-უკ+ა, ღართ-უკ+ა, ფულ-უკ-ა, თესლ-უკ+ა. ნაფთ-ეკ+ა, ცხვარ-უკ+ა, ცხრილ-უკ+ა, მამ-უკ+ა, ანეტ-უკ+ა, ღეჭს-უკ+ა, ფსხალ-უკ+ა, თხა-უკ+ა.

გ) კედ-ენ+ა, თეთრ-ენ+ა, შავ-ენ+ა, ლეკენ-ენ+ა, ბოშ-ენ+ა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კნინობითის მეტად გავრცელებულობა დამახასიათებელია ნამეტურ (ქვემო) სვანურისათვის (ლენტეხურისათვის). ეს სვანურ-მთარაჭული პარალელი საგულისხმოა.

თანდებულები

a) -ში თანდებულის ნაცვლად, ლოკატიური შინაარსის გადმოსაცემად, გამოიყენება ზოგჯერ -ჩი.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

წავიდა სოფელ-ჩი; მოვიდა აწე სოფელ-ჩი კაცი; შენი ღახტი ხელ-ჩი მომე; ვადა-მე იმა-ჩი მდარესა; არმოელ-ჩი.

b) ვადასტურებთ -მდინ || -მდვინ (-მდის) თანდებულს.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

ვადა-მდინ, კოპება-მდინ. ბარკლება-მდინ, მეხნარა-მდინ, აქა-მდინ, სანა-მდვინ, წუნა-მდვინ, შუა-მდვინ.

c) -თვიხ ფორმა -თვინ-ის საზითაა წარმოდგენილი.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

ქმრი-თვინ, ნადირი-თვინ, სვანები-თვინ, დედამთილი-თვინ, მამი-თვინ.

d) ფართოდ არის გამოყენებული -კე (←კენ) თანდებული, რომლის დართვისას ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნითი ელემენტი იკვეცება ხოლმე.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

მეექცა იმი სახლი-კე; ჩახალეთი-კე წავიდა; სვანები-კე, ფებები-კე, გალავანი-კე.

e) -ვით თანდებულის ბოლოხმოვნიან სახელზე დართისას არა ჩანს წინამავალი მორფემის თანხმოვნითი ელემენტი. ამგვარად, თანდებული პირდაპირ ეკვრის ფუძის ბოლოკიდურხმოვანს.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

ბუზუკელა-ვით, ოტკა-ვით, გუნდა-ვით, ხე-ვით, მზე-ვით (შდრ. ბუზუკელასავით, ხესავით..):

ვ) -ისდა || -იზდა.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

ა) მ-ისდა, იმ-ისდა.

ბ) რა-ისდა.

გ) რა-იზდა (|| რა-იზა), გლეხებ-იზდა, ჯიხვებ-იზდა, ქლიბ-იზდა, იამნ-იზდა, ამბ-იზდა, იმ-იზდა.

თვლის სისტემა

იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ოცობითი თვლის სისტემის არქაულ ფორმებს: **შვიდოცი, ხუთმეტოცი.**

განყენებულობის სუფიქსი

მთარაჭულს ძალიან უყვარს „განყენებულობის სუფიქსის" -ობა-ს გამოყენება.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

სამკაულ-ობა, ღალატ-ობა, იარაღ-ობა, ბრძოლ-ობა, წმინდ-ობა, მთვრალ-ობა, ყოჩაღ-ობა, ჩქარ-ობა, ოს-ობა.

გვართა წარმოება

საყურადღებოა გვართა სახელების აფიქსები. გამოყენებულია შემდეგი სუფიქსები: -იან, -ენ, -ეთ.

-იან-ით ნაწარმოებია: გოგრიჩიანი, ჯაფარიანი, მამუჩიანი... მაგრამ ეს სუფიქსი (|| ენ) გამოყენებულია ძირითადად შტო-გვარის სახელებისათვის. თითოეულ საგვარეულოს უჭირავს გარკვეული უბანი, რომლის სახელსაც ეს უბანი ატარებს.

გვარი შედგება რამდენიმე კომლისაგან, თითოეული მათგანი ატარებს თავის განსაკუთრებულ სახელწოდებას, რომელიც დაკავშირებულია წინაპრისა თუ ოჯახის უხუცესი პაპისა ან მამის სახელთან, ზოგჯერ წარმოშობის ადგილთან. ლობჟანიძეები იყოფიან: ხოშიტიანი, ნანუკიანი, ლაშხეენი, ზვიადეენი, ჯოტეენი, სვანეენი, ჯაჯოენი... გობეჯიშვილები: შალიკიანი, ერმილეენი, გოგეენი, ნინეენი... გავაშელიშვილები: ქარზე-

ენი, ნასხიდეენი, გოტიიანი, გივიტიანი... გოგრიჭიანები: ჩხუტეენი, გოჩიეენი, ლეჩხუმელეენი, საგიეენი...[1].

შტო-გვარების ამგვარი წარმოება ცნობილია სვანეთში, მთიულეთში. შაგალ., ჩოხელთა შტოებია: ლაზარიანი, შელღიანი... ბუჩუკურთა: მამუკიანი, ბერიანი, ქუშიანი, ქოჩიანი, ობლიანი... ამირიძეთა: ხუტიანი, პაპიანი, გიეიანი, მჭედლიანი... კობაიძეთა: ბექანიანი, მგლიანი, მახარიანი... ბურდულთა: შიუკიანი, ხოსრიანი, ჭაბუკიანი, ჭოჭილიანი, ვაჟიკიკიანი, ლეგიანი... წამალაძეთა: ყაზბეგიანი, მახარობლიანი, ჯაბიანი... ქავთარაძეთა: ხიზანიანი, ქოჩორიანი, სეხნიანი... აფციაურთა: მარიანიანი, ივანიანი, კოტონიანი და სხვ.

განსხვავება მხოლოდ იმაში იჩენს თავს, რომ მთარაჭულში -ენ ვარიანტია, აგრეთვე, დაცული -იან-ის გეერდით.

-იან სუფიქსის გამოყენება, როგორც ცნობილია, გვართა სახელებში, საერთო ქართული წარმომავლობისა ჩანს (ორბელიანი, შდრ. ორბელისძე, ორბელიშვილი, — ბაგრატიონი და სხვ.). მაგრამ ძირითადი სუფიქსია ამჟამად სვანურ სინამდვილეში. და აქ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სათანადო წარმოება სწორედ სვანეთთან ახლო მდებარე რაიონშია დაცული. მთარაჭულის ეს ჩვენება სვანურთან მიმართების თვალსაზრისით პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტია.

ამის გეერდით ძალაშია -ეთ სუფიქსი: ჩოჩხაეთი, შდრ. ჩოჩხაშვილი; გორგიეთი, შდრ. გორგიშვილი, ბიჭილაეთი და სხვა. რამდენადაც -იან სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია კრებითობის გამოხატვა (ს. ჯანაშია), ამგუარ სუფიქსთა წყებაში მთარაჭული -ეთ, გამოყენებული ამჟამად გვარისსახელებში, დებულების უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია.

მრავლობითი რიცხვი

a), -ნ, თა‖-თ. საკმაო მოქალაქეობრიობით სარგებლობს დღესაც მრავლობითი რიცხვის არქაული ფორმანტები. აქ დაცულია ძველი ქართულის კანონზომიერება: სახელობითსა და წოდებითში გამოყენებულია -ნ, ხოლო სხვ. ბრუნვებში -თა ‖ -თ. პოეტურ მეტყველებაში თითქმის აბსოლუტურად გაბატონებულია მრავლობითობის არქაული წარმოება.

ნიმუშები:

ა) 1. გაუჩნდეს ოსნი მტერნი; ესენი არიან ქრისტიანნი; ჩვენებურნი ეუბნებიან ერთმანეთსა; ჩვენნიც წავიდეს; ჩამოუიდეს სახში ჩვენნი; ადექით, გმირნო, გმირულეფ; დეენო, ადექით; ამოირჩევნა ორნი ლეკვანი; ჩემნი ეფროსნი დაუხვდეს. 2. ცხრანი ქმანი იყუენით—ოვსნი, დვალნი ბაღათარნი; ნადირნო, ფრთხილად, იყუენით: არჩენო, ჯიხენო და ჯერანნო. ნადირში მშეენიერანნო; ნეტა ხელნი ხელთა მომცა,

[1] შდრ. ს. მაკალათია, დასახელ. წიგნი, გვ. 37.

ფეხნი კალთას გამიხვიანო და არმოელჩი ჩამირიანო; დიგორს ჩამოსხდეს ეეზირნი, რჩეულნი ბადელოანი.

ბ) 1. გაუშვეს ე ვაჟა ყაჩაღთა; იშიშვლა ხრმალი და რვათა თავები დასჭრა; დახადა, რაც ქონდა რვათა თოფი და იარაღი, დაუძახა სოფლელთა; იქიდნეს ახლა ამათა; სამთა ვაჟათა თქვეს. 2. წენთა არტყია სარტყელი; ამათ იარონ ამირან; გზათა ვერ გავლენ რბენითა; ხუთნი ბუბასა ვერას უზამენ—შტერთა ჩამოსაყალია; ან იყო დევთა ნადგური, აწი ლოდნარი ცვიოდა; მისნი შვილდნი და კაპარჭნი კლდეთა ჩაუცხიაო.

ხ) თავისი უფლებით სარგებლობს -ებ ფორმანტი. მისი გამოყენების თავისებურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ჯ-ბოლოკიდურიან სახელზე დართვისას ფორმანტისეული ხმოვანი ხშირად არ იწვევს რედუქციას.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

მაღაზია+ებ-ი, ისტორია+ებ-ი, გლახა+ებ-ი, ქვა+ებ-ი, ლეკვა+ებ-ი, ვაჟა+ებ-ი, ბიძა+ებ-ი, დედა+ებ-ი, მამა+ებ-ი, მთა+ებ-ი.

სათანადო წარმოების შემდეგი საფეხურია ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის დამსგავსება. მაშასადამე, ფორმანტისეული ხმოვანი იწვევს ფუძისეული ხმოვნის რეგრესულ ასიმილაციას.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

ლეკვე+ებ-ი, ვაჟე+ებ-ი.

ც) ქართული კილოებიდან ვიცით[1] რომ მთელ რიგ შემთხვევებში წაშლილია მრავლობითობის გაგება, როდესაც გამოყენებულია -ნ ფორმანტი და ამიტომ სახელს ერთვის თანამედროვე ენობრივ აზროვნებაში ცოცხალი წარმოდგენა პლურალობისა -ებ-ის სახით. ვღებულობთ ფორმულას: ...-ან+ებ=PI. მთარაჭულში კი პირიქით გვაქვს: სახელზე დართული -ებ ნიშანი ვერ ასრულებს მკვეთრად პლურალობის ფუნქციას და რიცხვის ეს სიმკრთალე გამახვილებულია ისევ -ნ ფორმანტით, რომელიც ჯერ კიდევ მკვიდრობს მეტყველებითს ცნობიერებაში. ამგვარად, უღებულობთ ორმაგი მრავლობითობის ასეთ ფორმულას:... -ებ+ +ნ=PI.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

მელ-ებ+ნ-ი, ცხვრ-ებ+ნ-ი, დევ-ებ+ნი, თაგვ-ებ+ნ-ი, ხარ-ებ+ნ-ი, გოჭ-ებ+ნ-ი.

---

[1] შდრ. К. Д. Дондуа, О двух суффиксах множественности в грузинском: «Язык и мышление», II.

ა) S_2—O_3 პრეფიქსების სისტემა თანდათანობით მარტივდება მთარაჭულში. სპეციალურ ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია, რომ მთარაჭულში „ნაშთები-ღა თუ მოიპოვება S_2-ისა და O_3-ისა, თორემ მთლიანად არც ერთის ხმარებაა დაცული და არც მეორისა. ნაშთები მეტია გლოლურში და იქიდან ჩანს, რომ ცოტა უფრო ადრე გლოლის უღელილება ძველი სალიტერატურო ქართულის უღელილებას უახლოვდებოდა, რადგანაც S_2-ად და O_3-ად აქ ჰაეა და სანი“[1].

S_2—O_3-ის ხმარებაში ყოველთვის არ არის დაცული გარკვეული კანონზომიერება. მთარაჭულსავე შემოუნახავს „ვიდა“ ზმნის არქაული წარმოება[2].

ნიმუშები:

მოჰგვარი, მოჰყეე, ჰყეა, გაჰყეა, წაჰყე, (|| წახყეა,), შეჰკაზმა, ჰქმნა, დაჰპარნა;— გამოსწეადე, წასცხეეით, შესჯდა, მოსტოვნა, სთიბდა, დასთერა;—საით მოდიხოდი. სინო, მოდიხოდი სადღაც დღეს.

3 პირის სუბიექტი გამოხატულია ზმნაში ნ სუფიქსით მხოლ. რიცხვში, ნაცვლად ხ სუფიქსისა. ამის წყალობით წაშლილია მორფოლოგიური მიჯნა მხოლ. და მრავლ. რიცხვს შორის და სადიფერენციაციო ფუნქცია ეკისრება სინტაქსურ ურთიერთობას, კონტექსტს.

ქართველურ ენათმეცნიერებაში საკმაო საბუთიანობით ისმის საკითხი უძველეს ქართულში S_3-ნ-ს შესახებ (არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: „ენიმკის მოამბე“, V — VI, 1940).

ჩვენი დიალექტი ერთადერთი ქართული ცოცხალი მეტყველებითი სინამდვილეა, რომელსაც შემოუნახავს უძველესი ქართულის სუფიქსი მესამე პირის სუბიექტისა მხოლ. რიცხვში.

ნ თავს იჩენს კავშირებითის მწკრივში.

ნიმუშები:

წაეალ, მკითხავს ვაკითხეინებ, ეგება გვეწერო-ნ შეიღიო; რა კაცი ენდო-ნ სხეასა: შენი ჭალი რომ სხვამ წაიყვანო-ნ შენ იმას უნდა გაუსწორდეო; თუ ვაჟა გეწერო-ნ, გამომიგზავნეო; ვიპიდნეთო და რომელმაც წააკიო-ნ-ო, იმის იყვნენ ე ზარებიო; აქ ამ ვაჟას გეეხარება, რომ ეს წიქარა ნახო-ნ; ვინც არა ქთხოვ-ნ-ო, ნერაფერს მისცემო; რაც ამ ვაჟარმა ქნა-ნ-ო, ნართის ჭალაქმა ხლო-ნ-ო; ნაცად არის, ის გაიგონო, ვა თუ

[1] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, გვ. 179.

[2] შდრ. ა. შანიძე, იქვე, გვ. 179.

იყო-ნ ბეჟან გიორგილი; სამთა ვაჟათა თქვეს: დედაჩვენი როგორ გაერთო-ნ-ო (= დაიკარგოსო)? შაჟმა წუალმა ჩამოიარო-ნ, ერიდეო; ბერი კაცი შეგხვდებაო და გაჩუქებს, და რომ შემოგიძახო-ნ, ნუ შეგეშინდებაო; თუ ქალი გექნე-ნ, შინ დაიტოვეო; თუ რა გაგიჭირდე-ნ, დაუკარო; უთხრეს: ბეჟანო, რა უნდა იქნე-ნ-ო შენი გაძლეო? ღმერთო და ჩემო გამჩენოო, რაჟამაც მიეეკარეო, იმაზე დამეცემოდე-ნ ე შეილდისარიო; რომ გათენდე-ნ, ამოიარეო; მოდი, დაენაძლეედეთო, ეინც აი მოძალ ხეში გაძვრე-ნ-ო, იმას უყიდიან ცხვარიო, რომელიც ეერ გაძვრე-ნ-ო...; საცა გაგიჭირდე-ნ, ჩემი სახელი ახსენე.

ეს მაგალითები ასე გადმოითარგმნება: გეეწეროს, ენდოს, წააქციოს, გექნეს, გაგიჭირდეს...

b) ზმნები, რომელნიც ნ. წყვეტილში და კაუშირებით მეორეში -ავ, -ამ ნართაული ელემენტით იწარმოებიან ახალ ქართულში, მთარაჭულში -ევ, -ემ არქაული ელემენტებით იუღვლიან.

ნიმუშები:

ხახ-ევ-და, წირ-ევ-და, ვინახ-ევ-დი, უზიდ-ევ-დი, მოვალ-ევ-დი, ურტყ-ევ-დენ, იქირ-ევ-და, ლახ-ევ-დი, მოკ-ევ-დეს. ეწე-ევ-დიო, დაკრ-ევ-და, ხნ-ევ-ს, უგ-ევ-და, მოფრინ-ევ-და, ეფალ-ევ-დი; ჩაასხ-ემ-დენ, ჩაეიცე-ემ-დი.

c) ენებითი გვარის ზმნები აწმყოს 3 პირში იწარმოებიან არქაული ფორმით: ი-ს.

ნიმუშები:

კალოშს იცვამს, მარე არ ედგმ-ი-ს; დედა, არ შედგმ-ი-ს, ქუსლი არ ეტეფა კალოშიდაო; აუშვათო, თუ არ გაიპარავ-ი-ს-ო; მეეპარე-ი-ს-ო; მეეპარავ-ი-ს, სიცილი უტყდ-ი-ს ხალხს; დაუკვირდ-ი-ს; წამოიარა და ერთი წელიწადი რომ გაუხდა, მოვდ-ი-ს თაეისი სახლობა, თორმეტი კაცი.

d) ზმნის 1 და 2 პირი თუ ე-ზეა დაბოლოებული, ზოგჯერ -ვი მარცვალს დაირთავს..

ნიმუშები:

შეეკამე-ვი, დაეპარე-ვი, წაეცხე-ვი, ჩაეკუე-ვი, — გამოეფალე-ვი, დაეხოცე-ვი, დაგინახე-ვი, ჩაეკბიჩე-ვი.

e) მესამე სერიაში თავს წამოჰყოფს ხშირად ნ-ელემენტი.

ნიმუშები:

დაგვითიბ-ნ-ია, მომიტაც-ნ-ია, დაგვიხოც-ნ-ია, აეკიდ-ნ-ა, დაგვეხოც-ნ-ა.

f) განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მ ე ს ა მ ე კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი[1].

[1] დაწვრილებით ლაპარაკი გვექნება ქვემოთ, ზემორაჭულთან დაკავშირებით.

ნიმუშები:

ერთი ყმარწყილი დავინახეით დიდ მინდორში და უნდა დამეჭირ-ო-ს და დაგეყიდნ-ო-ს; უნდა დაგეჭირ-ო-ს და მოგეტან-ო-ს; რომ ის მეცნიერი ყოფილიყ-ო-ს, დახოცვა არ ასცდებოდა რვა-თაეე; დაეზმანეს ე ჩოხა და ჭალებს უნდა შეეკერ-ო-ს; ი'ანი წამოვიდეს და უნდა ეეღ-ო-ს საძოვრის ფული იმათაც; აი ეგ არ ამოგერჩი-ო-ს და სხეა წაგეყვან-ო-ს; ერთი კარავი გაუმართეთ და იქ უნდა ეპამ-ო-ს სადილი; რომ თანა მქონებოდ-ე-ს, მიესცხებდი; გოჯობდა გეეროდ-ე-ს ხელშია; მოიტანა შინა არჩვი და წვადი უნდა შეეწე-ე-ს.

ეს ფორმები გადაითარგმნება თანამედროვე სალიტერატურო ენის შეორე თურმეობითის ფორმებით: „დაგეჭირა, გაგეეყიდა, შეეკერა, შეეწუა, — შეესრულებინა, დაგეეჭირა, შეემუშავებინა"...

ე) ნამყო უწყვეტელში და ნამყო წყვეტილში 3 პ. მრავლ. ზმნებს -ეს დაბოლოება მოუდით არქაული ნორმის მიხედვით, ახალი ქართულის -ენ-ის ნაცვლად.

ნიმუშები:

ე ვაჟა და ე ჭალი დარჩ-ეს და დაჰკოცნეს ერთმანეთი; წამოვიდ-ეს ყველანი ხელმწიფესთან; ეცნ-ეს ე ძაღლები და გაბლიჩნ-ეს ე დევი; ესენი რომ იყვნ-ეს წასული ტყეშიდა; იყვნეს ბუცესი და მისი ჭალი და ჰყავდ-ეს ცხრაი შვილი; ე და-ძმანი წავიდ-ეს და ქვე ცხოვრობდეს; წამოჰყვ-ეს ცოლის ძმები.

ჰ) შუალობითი გზის ნიშანი -ინ ზოგჯერ გამოყენებულია და ზოგჯერ სათანადო ფორმის თანხმოვნითი ნაწილი ნულითაა წარმოდგენილი.

ნიმუშები:

1) აკვრეტ-ინ-ეთ, ამოეცურებ-ინ-ა, გაბედ-ინ-ა, მოარბენ-ინ-ა, დაალე-ინ-ა, დაჭკე-ინ-ა.

2) ამატანიე, დაგეალეიებთო, შემაძლებია, ამოვარჩეიებთო, წაალებია.

ორიოდე ზმნაში კაუზატივის ნიშანთან ერთად შეკვეცილია ფუძისეული -ეს ელემენტიც: ვახთიებთ, მომაკვლიე" (კონტექსტში: „სისხლის პურის ჭამა გადახთიეს"; „ბაჟს ვახთიებთ"; „მომაკვლიე შენი მტერი და ორგული")[1].

ი) მთარაჭული ზმნა ჯერ კიდევ იმ საფეხურზე დგას, როდესაც მრავლობითის მეორე და პირველი პირიდან ი-ს მხოლობითში გადმოსვლის პროცესი დამთავრებული არ არის. ამიტომ მთელ რიგ შემთხვევებში სათანადო ი არ არის ზმნაზე დართული.

---

[1] ასევეა გურულშიც.

ნიმუშები:

დავდეგ რათ მომკალ; ვერ გითხარ; სახედარი დაკალ; ვერ შევიძელ; არჩი მოეკალ; შინდორაა ბევრი ზის ნადირი, მოკალ და ჭამეო; წაკარ ფეხი; ღორის ანგარიში ჰქენ; ბეჭანო; გაიძარო; ქათამი დამიკალ; შუხლებზე მომკარ; მომეც ორი პური; წაე და უთხარ საღამოზე; აი, ეს სამუშაო რაში მომეც; დაჯექ და მოგიყვებიო.

ᲡᲘᲜᲢᲐᲥᲡᲘ

მსაზღვრელ-სასაზღვრის შეთანხმება ბრუნვაში

a) მიცემითი. ზოგჯერ შეთანხმება სრული სახისაა.

ნიმუშები:

ერთ-ს უდაბნო-ს ტყეში; ერთ-ს სიკვდილ-ს გადმირჩენიხარო; ერთ-ს რაშ-ს ამოეარჩევიებო; მეორე-ს დღე-საც კიდევ გამოეპარნენ; მეორე-ს დილ-ას; მეორე-ს წელ-წად-ს; მეოთხე-ს წელიწად-ს; სამ-ს დღე-ს შემინახაესო; სამ-ს გლეხ-ს; ორ-ს ლეკეა-ს ამოეირჩევო; კვირე-ს დღე-ს; სახრე დაჰკრა ქართველ-ს მამასახლის-ს; ტკბილ-ს სიტყვა-ს ნუ მოშიშლიო; ჭრელ-ს ნოხებ-ს დაგიგებსო.

b) ნათესაობითი: ა) სრული სახისაა, ბ) ფორმანტის თანხმოვნითი ელემენტი მოკვეცილია, გ) არ არის შეთანხმება: ბოლოხმოვნიან (განსაკუთრებით ო-ბოლოკიდურიან) მსაზღვრელს ეკვეცება მთელი ფორმანტი ნათესაობითი ბრუნვისა.

ნიმუშები:

ა) ერთ-ის წლ-ის-ა ჰგონია, სამ-ის წლ-ის-ა არის; ჩვენ ორ-ის ბატონ-ის-ა.

ბ) ერთი თვ-ი (ს) ვადა; ზეღ-ი(ს) მშრობელო; ღვინო მიჰქონდა კამბეჩ-ი(ს) ურმით; ც-ი(ს) სინათლე; თხ-ი(ს) ტანისამოსი; აბრეშუმ-ი(ს) ბაწრით გადაფრინდა; მაცხოვ-ი(ს) ჯვარი; ცხენ-ი(ს) მზემა; სკორ-ი(ს) პირზე გადაადგო; იმ რკინ-ი(ს) კეტს; ხარ-ი(ს) ჯოგი ნახა; უკრავს გულ-ი(ს) საკლავად; მე მქონდა ნატურ-ი(ს) მაძრახეო; ამნაირად არის ჩვენი სოფელ-ი(ს) წესდებულებაო; ამ სოფლ-ი(ს) ნაპირში; წაუღიაყე მაცხოვ-ი(ს) ჯვარი; გლ-ი(ს) ტყავი აცვია; მეზობლ-ი(ს) ბიჭი გალახა; ილოცეს თავ-ი(ს) რჯულზედა.

გ) ოქრო-(ის) ღარები უგია; ამოიღო ოქრო-(ის) ბულთი; მოთქარა კალო-(ის) პირი.

როგორც ბ პუნქტში დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნითი ელემენტი იკვეცება მაშინ, როდესაც საზღვრული არა ნათესაობით ბრუნვაში დგას. ასეთი წარმოება უფრო სინტემატურია, ვიდრე სხვა ვარიაციები მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებისა ბრუნვაში.

ბ-გ მაგალითები ღებურ-ჭიორულისათვის არის დამახასიათებელი; გლოლურში შეთანხმება სრულია.

c) სხვა ბრუნვებში შეთანხმება საზოგადოდ თავისებურებას არ შეიცავს, ძალიან იშვიათად თუ წამოყოფს თავს შეთანხმების ისეთი ფორმები, როგორიცაა (მოქმ.) „გულ-ით წმიდ-ით დაიფიცა"; (მოთხრ.:) „წმინდა-მ გიორგი-მ დასწყეველა", და მისთ

სახელების შეთანხმება რიცხვში

Pl"-ის შემთხვევებში შეთანხმება რიცხვში ხშირად გვხვდება.

ნიმუშები:

ორ_ნ-ი ყაჩაღ-ნ-ი მოიყვანეს; ჩოჩაშვილი იყო ცხრა-ნ-ი ძმა-ნ-ი; იქა ცხოერობდეს სამ-ნ-ი ქალ-ნ-ი; ი ორ-ნ-ი ძმან-ი უფროს-ნ-ი; ორ-ნ-ი დიდ-ნ-ი არი-ან; ეს ორ-ნ-ი ვაჟ-ნ-ი; სამნი ძმა-ნ-ი იყვნეს; ეს ცხრა-ნ-ი ყაჩაღ-ნ-ი დახვდ-ეს; არმოელ-ნ-ი ბევრ-ნ-ი იყვნეს.

მიცემითი ბრუნვის ნიშანი იკვეცება (წინადადებაში)

ნიმუშები:

ნადირ-(ს) ნუ შეაშვებ; თავიდებ-(ს) ღმერთი გაუწყრა; ხელებ-(ს) წაუინავეს; თევზებ-(ს) იჭირვებდა; ხანებ-(ს) თან ახლაეს ცოლებიო.

ობიექტის ანუ დამატების მრავლობითობა, სულ ერთია, გვაქვსPl ", თუ Pl ნ-ნიშნითაა აღნიშნული ზმნაში.

ნიმუშები:

ა) Pl" ამოირჩივ-ნ-ა ორ-ნ-ი ლეკვა-ნ-ი; ეს ადამ-ნ-ი აქციე-ნა ეირადა; დათალ-ნ-ა შამფურ-ნ-ი; ისინი მეზობლებმა არ მიიკარ-ნ-ა; გამოყარ-ნ-ა და ალარ შეუშე-ნ-ა სახში; ორ-ნ-ი კაც-ნ-ი დასტოე-ნ-ა; ცხრა-ნ-იენ იმას გაუწყეეტი-ან; უცებ ნახ-ნ-ა ცხერებ-ნ-ი; წადი, ისი-ნ-ი დაკამე-ნ; ეინცაღ ჩემი ძმა შეკამა, ისი-ნ-ი დაეხოცე-ნ და მომაჭმ.

ბ) Pl" დაჰპაიჭ-ნ-ეს ე კაც-ებ-ი და მცნაურ-ებ-ი; საცა ის აფხანაგ-ებ-ი პყავდენ (მას); მიუშ-ე-ნ-ა აწე გმირ-ებ-ი; მიჩვივ-ნ-ა დეე-ებ-ი; წადი და გლოელ-ებ-ი მომგეარე-ნო; ე შეილ-ებ-ი წაიყვანე-ნ შენ; ე შეილ-ებ-იო გაყარე-ნ.

სპორადულად ეხვდებით გარდაუვალ ზმნებთან გრამატიკული სუბიექტის მოთხრობით ბრუნვაში დასმას მეორე სერიის მწკრიევებთან.

ნიმუშები:

ბოლოს დაიღალა კვაქმა დეემა; მელიამ წაიდა და დაიწყო ზარას ძებილი; მოეიდა სოედაგარმა.

კითხვითი ა

ჩვენ ვიცით, რომ ძვ. ქართულში კითხვითი ა მაშინ იხმარებოდა, თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვა (ვინ, რა, რომელი, სად...) არ ერია. ჩვენს დიალექტშიც ასეა, მაგრამ ზოგჯერ ეს წესი დარღვეულია.

ნიმუშები:

ეყ-ა? მიდიხარ-ა? არ მოგაქეს-ა? გაგნება აქ-ა? რა მოწყენილი ხარ-ა?

ნაწილაკები

a) შემონახულია -მცა ნაწილაკი. მაგრამ აქ მას დაკარგული აქვს დამახასიათებელი სინტაქსური ძალა: იგი არ მოითხოვს წინადადებაში თხრობით კილოს (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ ქართულში) და თავისუფლად იგუებს კავშირებითს (როგორც ამას ადგილი ჰქონდა „აღორძინების ხანის" ენაში).

ნიმუშები:

ახა, ნეტა-მცა ეჯობო; ნეტა-მც(ა) ნადირთა თასმა მქნა; ნეტა-მცა ნატრა მანატრა; მისი ნაწერი-მც(ა) იქნები; ღმერთი-მც(ა) გიგმია მაღალიო

b) ვერბალური ობიექტის მრავლობითობა ზმნაში -ყე, -ყ ნაწილაკით არის წარმოდგენილი.

ნიმუშები:

ართმევდა-ყე ჩოხა-ნაბადსაც მათ; იმათა ყავს-ყე ძაღლუკა, ცოლქმართა; ჩემი ტერები მოდიან და მზად დავხვდეთ-ყე ჩვენაო; მემრე მობრუნდით და კიდევე პატივსა ვცემ-ყე; ისინი უმალ გაისტუმრე-ყე. გაბმითი ტექსტი: გამოედევნენ მაშინ ამ მაცხოვრი გამოტაცებაზე და რომ ვერა დაკლეს-რა, წაიდნენ და უწერას ერთი ჯაფარიძე ყოფილა, ნეფეთა ყოლია-ყე და ძმის ინტერესობა ქონია-ყე სვანებს. უთქვამს-ყე: რადგან ღებს ვერაფერი დავაკლებთო, დავეცნეთ და ეგება ი ნეფე დაეპიროთო. დაუკრავს-ყე ხელი და გამოუტყვილებია-ყე გემრიელი ენით და შეჩენიათ და გამოუწვეიათ-ყე დ- უტაცნია-ყე, გაუკრაეს-ყე ხელი და ქვე მოუტაცნია-ყე გაკრული. ამოურონებია-ყე ე ნეფე და ე ჰიორლები (sic) რაღაცა გაუგნია-ყე, ნეფე მოყაეს-ყეო. ჩასულან ღებურები, სვანებს ჩამოუყვანიათ-ყე ნეფე, ჰიორლებს მზარი უქნია-ყე სკანებიკე, შექნია-ყე დაეიდარობა და ჩხუბი და ე ჰიორლები ღებელებ დაულახავს. წამოეყვანია-ყე სვანები და იქით-აქით და მოციქულობა შექმნია-ყე და წაურთმეეია-ყე ე ნეფე და ჰიორლები ქვე გაუშვიან-ყე გალახულები.

შენიშვნა: 1. -ყე ნაწილაკი მხოლოდ ღებურ-ჰიორულში გვხვდება, ხოლო გლოლურში მისი კვალიც არა ჩანს; 2. ეს ნაწილაკი გვხვდება სახელშიც: „ყუელა-ყა", „სუყველა-კა".

c) გვხვდება დადასტურებითი ნაწილაკი „ქვე".

ნიმუშები:

ეს ერთი ყაჩაღი ქვე მაპატიეთო; მეცხრე ქვე დაიჭირა; ხვალეი ქე უნდა წაედეო; ამ ვაჟას ე ტრედები ქვე აქ; იმითი ქვე ცხოვრობდეს; ხორცი ქვე წაიღო; აღვა და ქვე გაიქცა; სტაცეს ხელი და ქვე არ შეეპაშეს? ქვე ამატყებიანო სანათლიაო; აქანა დახვედეს ორი კაცი და ქვე დაბეგვეს; ორ კაცი ქვე წაეიდა თაეის სახში; ამასთან ქვე წვები და ჩემთან არაო; ნაჯახი ქვე მაქ.

d) თხოვნის ხასიათს ანიჭებს ზმნას „ჰი" ნაწილაკი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს „ჰირიმე"-ს შეკვეცილ ფორმას.

ნიმუშები:

დამიძახე ჰი! ჩაურბენიე ჰი! მიაკარ ჰი!

ლექსიკა

მთარგმნელის ლექსიკის დახასიათებისათვის ქვემოთ წარმოვადგენთ სალექსიკონო მასალას, რომელსაც არ უნდა ვუყურებდეთ, როგორც დამოუკიდებელ ლექსიკონს. მას მხოლოდ საილუსტრაციო მნიშვნელობა აქვს.

შემოკლებანი: ად. სახ. — ადამიანის სახელი; მდინ. სახ. — მდინარის სახელი; ოს. — ოსური; რუს. — რუსული; სამ. იარ. — სამეურნეო იარაღი; ტოპ. — ტოპონომიკური ტერმინი.

ა

აბიდუ ტოპ.
აბჟანდა უნაგირის უზანგი.
აგუნგრუებს ათამაშებს, ახტუნებს, „ნეფე შეილებს აგუნგრუებს მუხლებზედ".
ადალო ად. სახ.
ავეჯი ტანის მოკაზმულობა-მორთულობა. „წაიღე შენი იარაღი და ავეჯი".
აზნი-დაზნი საქსოკი მაქო.
ათალდი სამ. იარ.
ათუ „გადავახტი, თავი მოვკვეთე, ათუ სჯობს მკვდარი ცოცხალსა".
აილები ცხენის მოსართავი.
აკავანა ტოპ. „აკავანსა ჰგავს იგი ადგილი".
აკავანი აკვანი.
ალალეთი ტოპ.
ალატარი „ჭეცა ვარ ალატარისა, ქვეც როსტომიან სახისა".
ალახ-ბულახი გაორკეცებული ფუძე. სიტყვისა: „ბალახი".
ალუდი ლუდი.
ალხონი ტოპ.

ამობწკირვა ელვარება, ბრწყინვალება. „თავშალში ამობრწყინდება ბალანი".

ამოე ამოდი.

ამოკუჭვა ამოძრაობა, ამოთხრა: „ცალი თვალი ამოჰკუჭა".

ამოსავლეთი აღმოსავლეთი.

ამოტანტარება ამოსვლა. „ამ დროს საცხეიდან ამოტანტარდა ეს კუდური".

ამოჩუა ამოდის. „ერთგან კვამლი ამოჩუა".

ანგაროზი „გულ-მკერდის შესამკობი".

ანგლია (რუს. გზით) ინგლისი.

ანცი-ბანცი დავიდარაბა, შფოთი. „სვანებს შექმნიან-ყე ანცი-ბანცი".

არ-ვარგია ტოპ.

არიშიძე ტოპ.

არმანი „საშმლის შესანახი".

არფაშობა „არფაშობა მომიცია დიდი ხელმწიფის კარზედა".

ასამანია ადგ. სახ. „ასამანიას მივდიოდი, უიტყოდი აღსარებასა".

ასლი-ბალასნი ასლი — მცენარეა ერთგვარი; ბალასი — მწვანე მდელო. „ასლისაა-ბასლისაა, ქურთათული კაცისაა".

ასტარხანი ასტრახანი.

აფიფინებული „იმგვარს მოფერებაში ვზივარ, რო სულ აფიფინებული ვყავარ-ყეო".

აფხანაგი ამხანაგი.

აღრჭევანი ად. სახ.

აყვე აქეთ.

აყიყლაყება აღმართვა, აყირავება. „ე დევი ქვე ააყიყლაყა ამ ყაყმა".

აცდუნი მაცდუნი, შემცდენი. „აცდუნი იყო, გვაცდუნა, მოგვიტყუა სერესქელი".

აჭალახა-ბაჭალახა „აჭალასა-ბაჭალასა, თოფი დაჰკარ ამ ჭალასა".

ახა „ახა კეიცი გამართულა"; „ახას თითის ნეკ-ბეჭო, არ მიმტყუნო ქადებული".

ბ

ბადადო ბაყაყი. „ჩვენ ჭურში ღვინოო, სხვის ჭურშია ბადადო".

ბადელოანი წარჩინებულ ოსთა ტიტული.

ბალახში ბალახში, ძვირფასი ქვა.

ბალიშარი „ადალო სახში შევარდა, ვეღარ უქნეს ბალიშარიც".

ბალხეთი ტოპ. „ბალხეთი გთხოვე, არ მომე"; „მიჩუქებია ბალხეთი ბაღდადამდინა"; „ბალხეთ-ბაყაყაწის ქალი, ზევით ამომავალი".

ბანდული დაწნულძირიანი ფეხსაცმელი.

ბაღათა ად. სახ.

ბაღვი, ბაღვინა ბავშვი, ბალღი.

ბაყაყაწი ად. სახ. „უსუპის დაუნიშნა ქალ^ ბალხეთს ბაყაყაწის თამარი“.

ბაჭილაეთი ბაჭილაშვილი.

ბედითი ცუდი.

ბეთხოეთი ბეთხოშვილი.

ბელაეთი ბელაშვილი.

ბერკლაები ძონძები, გაცვეთილი ტანისამოსი. „ის ბერკლაები, რაც ეცვა, გაიხადა და დასტოვა, ჩაიცვა კაი ტანისამოსი“.

ბესია „აბესალო ბესიაო, პირი კედლად გექციაო“.

ბეჩა შორისდებული. „წადიო, ბეჩა, ბაზარზედაო“.

ბეციკი პატარა თხა.

ბიძიეთი ბიძიშვილი.

ბოგირდი (თურქ bögird — დიალექტ.; შდრ. ლიტ. bǒgürmek ღმუილი). „ღმართულია დათვი და ბოგირდი ქნა და გაიქცა“.

ბოიკი პატარა ჯიხვი (საბა: „ორი წლის ფური“). „ნუ მოჰკლავ ჯიხვის ბოიკსა, თვარემ გადვაგდებ კლესაო“.

ბოლტი ურმის ნაწილი.

ბორდოხი „გულდამძიმებულად რო დაიზლაზნება“; „ბორდოხობს საწყალი დეეი დაჭრილი“.

ბოშა, ბოში გოგო. „ხყავდეს ცხრა შვილი: ოთხი ბოში და ხუთი ვაჟი“.

ბოცორ ად. სახ.

ბოძალი ხე ერთად მოჭრილი ორი ხე. „ვინც ამ ბოძალ ხეში გაბჭრენო...“

ბოჩხუანები საგანგებოდ გამომცხვარი პური მელაკურტალობისას (ნ).

ბუბა ტოპ.

ბუზგორა ტომ.

ბუზუკელა სიტყვის ბ უ ზ ი კნინობითი ფორმა.

ბულთი ბურთი.

ბუნდი ქორი (?)

ბურბული „ნედლი ქარქვეტა“ (ჩუბ.). „ბურბულს გვაყრიდა მთისასა“.

ბურსალი, ბურსალობა ნავარდი, ტრიალი. „ვიბურსალოთ და ისრე შევიდეთ შინაო“.

ბურჯული ტოპ.

ბუტუნი ბურტყუნი.

გადაწვადინება გადაწვდომა. „გადეეწვადინა იმათაც ვაჟამ“.
გაერთო დაიკარგა.
გაგნება გაგება. „იმას გაგნება არა აქვს“; „შარშა ქმარი მომკდომოდა, წლეულ გავიგენო“.
გაიძრახა „გაძრახეს სოფელმა — ეს ორნიო მამაშვილნი არიან და გაუიძრახოთო“; „გაიძრახეს ამ სოფელმა და გამოიტყუნიეს როსტომი და — ე. ვაჟაც გითხოვს საჸიდაოთო!“
გამობაზვა (თვალებისა) გამოკარკლვა, გამობურთვა თვალებისა.
გამოწვადვა გამოძრობა. „ენა გამოსწვადეო“.
გამყრელუანი გამყრელიძე.
განატეხი პური.
გარეგნი გარეთ. „ე უფროსი გარეგნი დარჩა“.
გარეწანა მარხილის ნაწილი.
გატინტრაქება გაშიშვლება. „გაატინტრაქა დედითშობილად ეს ერთი შალიკი“.
გაუხვიანება გაბრაზება. „ე საწყალი კაცი გაუხვიანდა — და შენ ქვე მასხროზ და მე ქვე არ მემასხრებაო“.
გაღადღადებული ძალიან განათებული.
გაღაღანება „როცა ტყეს გაიხდის, როგორც ოქრო და ვერცხლი, ისე გაღაღანდება“.
გეზელი მაშალი ქორ-მიმინო.
გენჯე გონჯი, მახინჯი.
გვინოლი (რს.) კავის ნაწილი.
გვრიჭა მრგვალად დახვეული ძაფი.
გიდელი ყურძნის საკრეფი გოდორი.
გივიტიანი გავაშელიშვილის საგვარეულო კომლთაგანი.
გინგილო ად. სახ.
გოგენი გობეჯიშვილის საგვარეულო კომლური სახლი.
გოგნია ად. სახ.
გოგრიჭიანი გვარია.
გომიჯი ერთნაირი პურია.
გონჯობა გვალვის საწინააღმდეგო ცერემონიალი (დაკავშირებულია ადამიანის შეჯონგუა-გაძურვასთან).
გორგიეთი გორგიშვილი.
გორები ტოპ.
გორმანი ტოპ.
გოტოიანი გავაშელიშვილის საგვარეულო კომლური სახელი

გოჩიეენი გოგრიჭიანის საგვარეულო კომლური სახელი.
გოჭის-ხუთშაბათი გოჭ-ქათმების გამრავლების ცერემონიალი.
გრანიცა (რუს.) საზღვარი.
გრიგოლეთი გრიგოლაშვილი.
გუბარგლევი ტოპ.
გუბი გუბე.
გუდანაყარი შელოცვაში: „შესა დამთვალყბავსა სანასი ნეფსი ასვია, სამასი გუდანაყარი აყრია“.
გუდუნა სიტყვის „გუდა“ კნინობითი ფორმა.
გულთმეცარა გულთმისანი.
გურდინდი დურბინდი.
გურგლივ ირგვლივ.
გურჯი ქართველი.
გურჯისტანი საქართველო.
გუტაანთი გუტაშვილი.

დ

დაბირკული უხვად რომ ასხია: „ამისთანე ოქრო გაკეთებულიყო, რო სუ თლათ დაბირკული ესხა“.
დაგლუგობს ლაპარაკი ყორნისა. „ე ყორანი დაგლუგობს რაღაცას“.
დაედრები დაესწრები. „ჩემ კვალზედა ნუ დაედრები“.
დაენერა, ენერა დაებადა.
დათვინა დათუნა.
დაკორმა „დარჩენილი ყოფილა, გაულეწავი დაკორმა იციან, და შევძევრი და ვკეკო მარცვლებსო“.
დამთვალუბავი გამთვალავი.
(თვე) დამპალი ივნისი.
დასვეპილი მოწყვეტილი, მომძვრალი. „მესამე დღეს ამოსწიეს და დასვეპილი კუდები ამოჰყვა მელებს ყინულიდან“.
დაუთვალოვდა დაბრმავდა.
დაფთარი დავთარი.
დაყვინტალება ჩათულება.
დაცხვინკვება ცხვირის დაცემინება.
დაჭვოყევი ტოპ.
დედეული დედა. „მოიხედეს და დედეული მოდის, გვრიპა უპირავს ხელში“.
დეტუენი გობეჯიშვილის საგვარეულო კომლური სახელი.
დეფანი დერეფანი დუროიანი სახლისა.
დვალეთი ოსეთი.

დვარეცი (რუს.) სასახლე.
დია ბევრი.
დიგორი ოსეთი.
დიდველი ტოპ.
დიდიშავანი ტოპ.
დიდკარათა ტოპ.
დიკა პურეულია.
დილხამი საქმელია.
1. დოლა ირემი, რქამოკლე ირემი.
2. დოლა პური, უქვაო იფქლის პური.
დომბა ტოპ.
დოშაყი „ფარმანდი, ცხენის ბორკილი".
დოხტური (რუს. გზით) ექიმი.
დუა ჯადოაო.
დულა თოფის ლულა.
დურო ქვიტკირით ნაშენი ბინა-კოშკი მთარაშაში. შდრ. სვანური მურყუამი.
დუშაგი (სპ. -არაბ.)ბორკილი.
დღვიორახ-ყვაპი ტოპ.
დღიახწველი დღესასწაული.

ე

ედენა ტოპ.
ელხო „ელხო და ვალხალალო, ვალაბდალალო" (სიმღერაში).
ელნეცა ტოპ.
ენდელი ტოპ.
ერდო სახლის ბანი.
ერმილეენი გობეჯიშვილის საგვარეულო კომლური სახელი.
ერქვანი სახვნელი.
ექდენი ამოდენი. „ექვდენი ტრედები მოვიდეს, რომა..."

ვ

ვალდუქომუ ტოპ.
ვარცლი ცომის საზელი გობი.
ვაცისწვერი ტოპ.
ველასქედი ტოპ.
ველიმბი ტოპ.
ვერხი ვერხვი. „სახლი დავდგი ვერხისაო".
ვეძა მეავე; მინერალური წყალი.

ზ

ზარხოში შემთვრალი.
ზაფთი „ერთშია სული, მეორეში ჯანი, მესამეში ზაფთი“.
ზედაკილო ტოპ.
ზერუბანი ტოპ.
ზესადგარი ურმის ნაწილია.
ზეხენიერი ტოპ.
ზვიადეენი ლობჟანიძის საგვარეულო კომლური სახელი.
ზვიდუკა ად. სახ.
ზნიანი ზიანი.
ზოფხითო ად. სახ.

თ

თავმოფხოჭვილა ტოპ.
თავმხსლაფი თაუსლაფი, თავლაფი.
თავარგინი ტოპ.
თალაყაური (ოს.) ტყლიპის ტკივილი.
თანამტანი თანამგზავრი. „წაიყვანა თანამტანი და წავიდეს სანადიროს“.
თანიშკაფი სამ. იარ.
თარხელა. ად. სახ.
თბილიხა ტოპ. „უქარო, თბილი, ჩავარდნილი ადგილია“.
თედიეთი თედიშვილი.
თედორობა წმ. თედორეს ევედრებოდნენ საჭონლის გამრავლებას.
თევაზი თევზი.
თევრეშიო ტოპ.
თ·ვალიკი ად. სახ.
თიბი „დიმიტრი უაფლამიშვილისა შერჩა ხელი და ფხარია, ათი თიბი გაიტანა, კაცი არ მოუხმარია, ისე გაკაფეს თათრები, როგორც კომბოსტო მხალია“.
თიორი საქმელია.
თინაფთინი თინათინი.
თლუქა ურმის ნაწილია.
თოლლა ად. სახ.
თომი სათიუე ბალახია.
თქერვა „ეს დევი დაჩეხეს, ნაკუწ-ნაკუწად აქციეს, დააყარეს შარამი და სთქერდეს“.
ფხილოვანი ტოპ.

ი

იამანი (ოს.) ცხენის სენია.
იზბირი (ოს.) სამ. იარ.
იტროგი „იტროგით აშმევს ქერსა".

კ

კაბადა ურმის ნაწილია.
კანკლევი ტოპ.
კაპარჭი ისართა ქარქაში. „მისი შვილდნი და კაპარჭნი კლდეთა ჩაუცხიაო".
კანაფარი ად. სახ.
კართიგომი ტოპ.
კარაგომი ტოპ.
კაროპკა ურმის ნაწილია.
კარტიშკა (რუს.) სურათი.
კასლი წინაოთახი, передняя.
კატამელი ცხოველია.
კატითავა ტოპ.
კატიწვერი ტოპ.
კაფთარა ტანსაცმელი, კაბა.
კაცი-ბასილა ადამიანის ფორმის ნამცხვარი საახალწლო ცერემონიალისათვის.
კერია-ბერია ვეებერთელა პური საახალწლოდ.
კეკელაან-ჭვაბი ტოპ.
კეცნარა ტოპ.
კვარტალი „მოცა სოლომან ნეფემ ასი კაცი და კვარტალი".
კვაცახ-ხახტომი ტოპ.
კვახუჯები ქალამნისებური ფეხსაცმელი.
კვაჭა კოშკი.
კვებო ფანჯარა დუროიან სახლში.
კილო მთის თვალუწვდენელი უღელტეხილი.
კინტუაები რკინის პატარა-პატარა ნაჭრები. იქვე ხომ არ მამასხარავეფო, რომა სჭედო მა კინტუაებსა".
კირტიშო ტოპ.
კობა ტოპ.
კოდნარი ტოპ.
კონკა კოკა.
კონტოხი კორტოხი.

კოშკი მაღალი ხე.
კოწიალა დუროიანი სახლის ჭერის (მარწუხების) დასაყრდნობი.
კოხინჯრობა კოხისა და საზოგადოდ აუდრის თავიდან ასაცდენი სარწმუნოებრივი ცერემონიალი.
კრანცხი მარხილის ნაწილია.
კრენჩხი მოძველებული ცოცხი.
კრუგოშ (რუს.) ირგვლივ.
კრუკ ად. სახ.
კუდური ეშმაკის ეპითეტი, კუდიანი.
კუნწი ხის ნაგლეჯი. „მოიძია კუნწი და დარგო სახლის ძირას".
კურტმები, კურტიმლები კარის კამარები.
კურცხალი ცრემლი.
კუპკათ გროვად, გუნდად. „დააყენა რაოდენიმე კუპკათ ოქრო და ვერცხლი".

ლ

ლაგირი ტოპ.
ლაფრიდონი ფრიდონი.
ლაფშა ცხენი.
ლაქაშა ტოპ.
ლაში ტოპ.
ლახრი წუხილი, გოდება. „მეორე დღეს ამ ბერმა ქალმა კარების თავზედა შედგა ლახრი და ვაება".
ლასტი (სპ.) საომარი იარაღი.
ლაშხეენი ლობჟანიძის საგვარეულო კომლური სახელი.
ლეგვერდანი სამ. იარ.
ლეშნარი ჭაობიანი ადგილი.
ლეშორი ტოპ.
ლეჩხუმელეენი გოგრიჭიანის საგვარეულო კომლური სახელი.
ლიბნი-ხე მაღალი უტოტებო სწორი ხე.
ლიხეთი ტოპ. „ურავს და ლიხეთს შაირსა ვინც რომ გამოსთქვამს, წესია".
ლოფართები ფოთლები. „შემოდგომაზე ლოფართი ხომაა, ზოგი წითელი, ზოგი ყვითელი, — წყალში შეყარა ამისანები ამ ქალშა".
ლოღორი ტოპ.
ლურჯა ცხენის ეპითეტი.
ლუხუნი მდინ. სახ.

მააპა მაშ, აბა? „მააპა საცინლათ აუგდივართო?"

მადრა „გაგვიშვით, ჩვენო ალყაჩა, ჩვენი მაცხოვრის მადრათ".

მაინჯა ტოპ.

მაიძელი მასპინძელი.

მანიჯა ად. სახ.

მარადეული ტოპ.

მარე მაგრამ.

მარობისთვე მარიამობისთვე.

მარქაფა სათადარიგო ცხენი.

მარწუხები დუროიანი სახლის ჭერი.

მაშუარი „ბატონისა ნაბრძანებსა მაშუარი არ ეთქმებაო".

მასკვლავი ვარსკვლავი.

მაჩაყური საქალამნე ბალახი.

მაჩხაფარი ად. სახ.

მაჭხინიკა ად. სახ.

მაწარა ბალახეულია.

მახარიკა ად. სახ.

მდადი ქალის მაყარი.

მდევი დევი.

მდირე დირე.

მეკვენესიანი მკვნესარე. „სახლი არ მიყვარს მისთანა—კასლისკე მეწვეთიანი, ქალი არ მიყვარს მისთანა — ყვერბის თავს მეკვნესიანი".

მელაკურკუტალობა შემოჩვეული მელიას თავიდან აცილების ცერემონიალი.

მელისკუდა ბალახეულია.

მერჯება მეცლება. „ზურაბ მერჯება ხელსაო".

მეში სუფთად შემზადებული ტყავი. „არცა ჰქონდა თოფის მეში, არცა თოფის ფინთილა".

მეცარი ნ. გულთმეცარი.

მთავლა საჯინიბე, თავლა.

მთხოველი მათხოვარი.

მიედარა გაედეუნა. „ამ დროს მხნავი მოდის, მიედარა, მარე გაიქცა".

მოიალებენ „ხმა-მაღლა გაჰკივიან ისრ, რო თა-ბარს ზანზარი გააქო, მოეიხედე და მომდევენ, მოიალებენ ხმასაო".

მოიმქსელავს მოარბენინებს, მოაშენებს. „ბერი კაცი ჩაჩანაგი მოიმქსელავს შავსა ვირსა".

მორგვი ურმის ნაწილია.
მოიხჭინის მოიცინის კბილების ჩენით. „მოიხჭინის მდევი".
მოლორება მოტყუება.
მოყმე ჭაბუკი.
მოყურე ამბის გასაგებად წარგზავნილი კაცი.
მოცანცარა ტოპ.
მოხუხე მოაგროვე. „მოხუხე ეს იარაღები".
მსარდალი სარდალი.
ჩუშუნი წყაროა უწერაში.
მუხამეში ტოპ.
ჩუხარდგვერი ტოპ.
მუხა ტოპ.
მუჯირა რკინიანი ჯოხი მთაში სასიარულოდ.
მცნაური სწაელული, მეცნიერი, მისანი.
მძორი ტოპ.
მწლაკვი ერთგვარი საჭმელია.
მხნავი მხვნელი.

ნ

ნაბოხლევები ტოპ.
ნაგაზი ძაღლი.
ნადგური ნადგომი.
ნავარი ლუკმა თიეაო
ნაკოჩილა ფიჩხი, შესანთები.
ნარტყელა ფიცარი ჭერის ქვემოთ.
ნასხიდეენი გავაშელიშვილის საგვარეულო კომლური სახელი.
ნებიერი საგანგებოდ გასუქებული საახალწლო მოზვერი.
ნეკერი თხილის გარიკანი.
ნეფხა მარხილის ნაწილია.
ნამგალდრეკა-კალორკობა ფრინველებისა და გარეული ცხოველებისადმი მიძღვნილი ცერემონიალი.
ნანუკიანი ლობჟანიძის საგვარეულო კომლური სახელი.
ნაობახი ციხე, საპყრობილე.
ნაფამფარაგეო „ჩემო ძველო ჩოხუკელა, ჩემო ნაფამფარაგეო"!.
ნაყური ტოპ.
ნაჩალიკი (რუს.) უფროსი.
ნაჩუჩჭი უმთავრესად ღორის მიერ აჩიჩქნილი საჭმელი.
ნახშობა (ოს.) ლაპარაკი, საუბარი. „რასღა ენახშებოდი": „მეზობლებსაც ჩაუნახშე". სანახშო — სასაუბრო ადგილი სოფელში, სადაც უმთავრესად მოხუცები ჟრიბებიან უქმე-დღეებში სამასლაათოდ.

ნიავჭარი ცხენის ეპითეტი.
ნიკოლა ად. სახ.
ნინეები გობეჯიშვილის საგვარეულო კომლური სახელი.
ნისლა ად. სახ.
ნიქვთი ნივთი.
ნოთა ძროხა, შუბლთეთრა ძროხა.
ნოწარა ტოპ.
ნოწარული მდინარის სახელია.

ო

ობური ეშმაკი.
ოვსეთი ოსეთი.
ოთუკეები გავაშელიშვილის საგვარეულო კომლური სახელი.
ოლე ? „აკრიფა სხალი და კალთაში ჩაიწყო და ოლეში ჭამა დაიწყო" (შდრ. მეგრ. ოლე — თხილის წნელებისაგან დაწნული გოდრის მაგვარი რამ, რითაც ცეცხლზე აშრობენ დასაცხვი ღომის თავთავებს. ყიფშიძით: Сушильник для проса гоми: Грамм. мингр. языка, 293).
ოლო შემაღლებული ადგილი. „ოლოზე ჩიტი შემოჯდა, ქორი უჭრილეო".
ომანია ად. სახ.
ორკეცი ორსული.
ოშოშა მკბენარი მწერი.
ოხა „ლხინის ოხა ქვეშ ეგო".
ოჯინჯალი კერაზე ჩამოკიდებული საქვაბე ჯაჭვი, რომელიც სხვენზეა მიმაგრებული.

პ

პატარაკართა ტოპ.
პაჩია ად. სახ.
პატარა-შავა ტოპ.
პერევალი ტოპ.
პლერტი ძველმანი. „ძველი პლერტი აცვია".
პირთხელი სამ. იარ.
პირუარწყობა მარხვა, როდესაც შესთხოვდნენ ბატონებს აეცდინათ სახადი-ყვავილი.
პლატუკი (რუს.) ცხვირსახოცი.
პოვარი (რუს.) მზარეული.
პოლი (რუს.) იატაკი.
პუნტა ნამცხვარი, კვერი. „ერთი პუნტა ამოკვარეო, შენი ხელით მაჭამეო"; „დაკვარა პუნტა".

ჟ

ჟამი 1. დრო. „მუშას სადილი გავგზავნე, ქმარსა დამიკლდა ჟამია"; „ცოცუანი ქებას გეტყვი, ყმარწვილია პირველ ჟმისა". 2. ჭირი. „გაუჩდა ჟამი გლოლას და ცხრა კაცი-ღა დარჩენილიყო"; „მის გამო სუყველგან გაჩდა ჟამი და ქვე ამოეწყვიტეს".

ჟინჟღილი გულ-მკერდის შესამკობია.

ჟღიდა ტოპ.

რ

რეკული რიკული, ბირკვილი, მოაჯირი.

რიკი 1. მარხილის ნაწილი. 2. კიბის საფეხური. „კიდეს სამი რიკა გაუკეთეო".

რიპარეული ტოპ.

რ.ოუნარი „თუ ნაზვავი დიდი ლოდებისაგან შედგება, მას რაჭაში როუნარს უწოდებენ" (პროფ. ალ. ჯანელიძე, გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნარკვევი, „ტფ. უნივ. მოამბე", VI, გვ. 225).

როჭკნარი „წვრილი ელემენტებიდან შემდგარი ნაზვავი" (პროფ. ალ. ჯანელიიე, გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნარევი, „ტფილ. უნივ. მოამბე", VI, გვ. 225).

რუბანკა სამ. იარ.

რუბობალა ტოპ.

რუმბი, რუბი ძროხის ტყავისაგან შემზადებული ტიკი.

რუ-ბოძალა მდინ. სახ.

ს

საგდოლი კარის დასაკეტი. „კარი აბია რკინისა, საგდოლი მისი გრძელია".

საგები ტოპ.

საგიენი გოგრიჭიანის საგვარეულო კომლური სახელი.

საგომელა ხის საწყაულია.

სადარაჯო ტოპ.

სავისო ტოპ.

საზოგადო საზოგადოება თემი. „გაუგნია საზოგადოს, რომ ეს სვანებმა ქნეს".

სათვალეები „მდინარის კირჭყა, რომელიც დაცხრილულია ხვრელებით და რომელშიც წყალი ჩადის და იკარგება" (პროფ. ალ. ჯანელიძე, გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნარევი, „ტფ. უნივ. მოამბე", VI, გვ. 236).

სათიღავი სამ. იარ.

საკანაფოები ადგილი ჰიორაში, სადაც გაშენებულია საზაფხულო თავშესაფარი საქონლისათვის.

საკარცხული საპატიო სავარძელი ოჯახის უფროსისათვის.

საკაურა ტოპ.

საკეცური ოთახში კეცის მისაყრდნობი.

საკვირავა ტოპ.

საკირცხავები მარხილის ნაწილია.

საკროჭინა „ტიკი ტიკად მოეხმარა, საკროჭინა საკრავათა".

სამთილი სამამამთილო.

სამიწყალებო ტოპ.

სამკბილა სამ. იარ.

სამკვრე კერიაზე ჩამოკიდებული რამ, რაზედაც კეჟარს ანთებენ.

სამწეწავე ტოპ.

სამწყდო სამწყსო. „ბაზალებისაგან ფალავანდი არისო ამ ჩვენ სამწყდოშიო, ბეგარა გვმართებს და ვაძლევთ".

სამჭინო, სამჭინოე „-აბა, რა გირჩევნია რომ მოქცეთო? -არაფერიო, ღარიბი კაცი ვარ და სამჭინოს მომცემთო და ნეფემ ნახეარი სანეფო აჩუქვა".

სამუგუზე სამუგუზლე კერიაში.

სანამალეო გათხოვილ ქალთა სარწმუნოებრივი ცერემონიალი ოჯახის გასამრავლებლად.

სანარცხე სანარცხე ტოპ.

სანახშო ნ. ნახშობა.

სანთელ-განატეხი შესაწირავი. „ღმერთო, ამატანინე და სანთელ-განატეხს შემოგწირავო".

სანემდი, სანემდვისი სადამდის.

სანძლვარი საზღვარი.

სარგინე-გორა ტოპ.

სართაული მარხილის კოჭების შემაერთებელი ნაწილი.

სასვანო-გორა ტოპ.

სასულეები ნ. სათვალეები.

სატეხი სამ. იარ.

საურჯულოენი „როსტომ, ამოე, წაიარა საურჯულოენმა".

საფიცხებელი ბორბლის საშრობი შენობა, მოდგმული დუროიან სახლზე.

საფუნებელი ნ. ოჯინჯალი.

საქალო საცოლო.

საქუსლე მარხილის ნაწილია.

საქციელი დუროიან სახლში გარჩობილი დირე

საშუე კავის ნაწილია.
ხაჩიბე საკვლის შესანახი.
ხახარო ტოპ.
ხახრავნი ტოპ.
სახრეკილო ტოპ.
სეიხური ტოპ.
ხეხრო ად. სახ.
სვალკუდუმი შემაღლებული ადგილი.
სვანეები ლობჟანიძის საგვარეულო კომლური სახელი.
სვიანი ბედნიერი.
სილინგი თოფების ან ისრების ერთად სროლა. „სილინგი გადგა ისრისა".
სკამ-ლოგინი საწოლი.
სკამ-ხაკაცე კერიასთან მდგომი საპატიო სავარძელი უფროსისათვის.
სკორე ყინულოვანი მთა, მყინვარი.
სკურტუმალი კურტუმო. „იმერელას ქათამა ღობის ძირში ჩამკვდარა, მისი ფრთე და სკურტუმალი ერისთავსა მივართვი".
სტარეჯობა (რუს.) დარაჯობა, ყარაულობა.
ჰუნელი სულელი.
სფორა მარხილის ნაწილია.
სხვაგნებური უცხოური, სხეა მხარის.
სხვავა ტოპ.
სხუმის სხუა დროს.

ტ

ტარიგი კრავი. „წაიყვანეს თამარი, შესვეს ტარიგსა ცხენზედა".
ტატუკი ად. სახ.
ტახტარი ტახტა, უნაგირის წინა-უკანა შემაღლებული ნაწილები. „წინა-უკანას ტახტარსა ვარდნი რათ არ გიყვავანო?" „წინა უკანას მუზარადისა ტახტარსა რათ არ შეაბაო?"
ტყვივა ტყვია.
ტყლაპა ურმის ნაწილია.

უ

უნახი გუელი.
ურავი ტოპ.
ულან ეგების, შეიძლება. „შენ ულან ქვე შეგეშალისო".
უხვიანი (ტყე) ხშირი ტყე, ულრანი ტყე.

ფ

ფაზი ად. სახ.
ფარავანდი ფალავანდი.

ფარდაგი გადატ.: ფაფუკი, რბილი, სპეტაკი. „მათი ფარდაგი ხელები კოხებსა დაუნტერეუია“.
ფარფალა სასმისი. „თითო ფარფალა დალიეს“.
ფასა ტოპ.
ფასტაგორი ტოპ.
ფახი შიში. „მათ ეგონათ, მათი ფახით ლიხეთელები შეცვინდებიან ტყეშია“.
ფესვი ურმის ნაწილია.
ფეციახხ ქედი ტოპ.
ფითილა ცაცხვის თხელი ფირფიტა.
ფითხინი ფინთიხი.
ფიფინა რძისაგან შემზადებული საჭმელი.
ფიფინდური გულ-მკერდის შესამკობი.
ფიჩხთარო მდინ. სახ.
ფურუზი ფირუზი.

ქ

ქალა-კუდა მცეხარეა (იქმევა).
ქამაქინი ტოპ.
ქაოზეენი გავაშელიშვილის საგვარეულო კომლური სახელი.
ქარავანი „მარჯვნით იცვამს ქალამანსა, მარცხნით იყრის ქარავანსა“.
ქარჯინა ოსურად გამომცხვარი პური.
ქვაბთაღელე ტოპ.
ქვაბნარი ტოპ.
ქვა-კერა ყველაზე (ნ) მიყრდნობილი მოგრძო ქვა მზის სიმბოლოებით.
ქვეღრუღა მდინ. სახ.
ქვიანები ტოპ.

უ

უაბარღვათი ადგილი, სადაც ისროდნენ მიზანში მიცვალებულის პატივსაცემად.
უაბარჩუა ად. სახ.
უარდიმელა ბალახეულია.
უაფარი „ამართულივით“ (საბა). „ვინც რო მოასწრო, ცხენ შეჭდა, გაარბენია უაფარი“.
უაძახი გლეხი.
უერო ყორე.
უვერბი კერიაზე დაგებული ბრტყელი ფილაქანი.
უვიბორა „ზარბაზანი და უვიბორა“.

ყვითელაყელა ტოპ.
ყიარიშობა „ყიარიშობა ყელსაო, ღებურნი სცემდენ ყველასო“.
ყორამბუდე ტოპ.

შ

შავრეში გველი.
შარამი „შარაკი — ყოელთა წყლულთა ნადინები“ (საბა). „ეს დეეი დარეხეს, ნაკუწ-ნაკუწად აქციეს, დააყარეს შარამი და სთქერდეს“.
შაშთარი „უკან დაწეეა შეიქნა, შაშთარი ორბი ფრთიანი“.
შავწყარო ტოპ.
შალიკიანი გობეჯიშვილის საგვარეულო კომლური სახელი.
შეისურა ტოპ.
შვიდღეი თვლის ერთეული: 120.
შველის-თივა ბალახეულია.
შვირალა ტოპ.
შთალა სათიბი ადგილია.
შოდა ტოპ.
შუნტი სამ. იარ.
შხელი ტოპ.

ჩ

ჩალხი ურმის ნაწილია.
ჩასავლეთი დასავლეთი.
ჩაფურა „ზე ღილები დამიკერა ჩაფურა და წკრიალიო“.
ჩაჩანაგი ღრმად მოხუცებული. „ბერი კაცი ჩაჩანაგი მოიმქსელავს შავსა ვირსა“.
ჩერო ჩრდილი.
ჩვეშური მდინ. სახ.
ჩიბა „მღვდელთან მივიდაო, ჩიბას ჰამდაო, ესხურაო“.
ჩიმჩიყი ჩიქილის ნაწილია.
ჩიტაფაფაობა ფრინველთა დაზიანებისაგან ასაცდენი ცერემონიალი (გამოყენებული იყო ფაფა).
ჩოლოხი სამ. იარ.
ჩონჩხა ტოპ.
ჩოხუკულა კნინობითი სიტყვისა „ჩოხა“.
ჩრდილავერი „დამჯდარ იყვნეს წყლისა პირსა, ამირანი ხრმალსა ღესავს, ჩრდილაველი უწყობს პირსა.

ჩრდილ-ჩიჩხვა ტოპ.
ჩქერნალი ჩქარად მსრბოლი წყალი.
ჩხოჭა ტოპ.
ჩხუტეენი გოგრიჭიანის საგვარეულო კომლური სახელი.

ც

ცალგნი ცალკე.
ცალხერხი სამ. იარ.
ცვარაეთი ტოპ.
ცვარი ძვირფასი ქვა. „ბეჭედს ჩამისვა ოქრომჭედელმა ცვარიო".
ციციონი ად. სახ.
ციცხლობა ახალი მთვარის ხატობა (ახ. მთვარის განრისხებას თითქოს შეიძლებოდა მოჰყოლოდა ოჯახის დაზარალება ცეცხლით).
ციხართულა ტოპ.
ციხია ტოპ.
ცხადიკი ად. სახ.

ძ

ძანძარი ზანზარი. „ალაგს გაჭონდა ძანძარი".
ძახი თითისტარი.
ძებილი ძებნა, ძიება.
ძეწანარა ტოპ.
ძინი ძილი.

წ

წინაცალი სახლის ნაწილია.
წარბენილა ტოპ.
წაწკა-წუწკა ჭრიალი. „ამ ურმის წაწკა-წუწკში სულ არმოხდა ქალასა".
წახთა ნ. ტახტარი. „წინა უკანას წახთასა ვარდი უყვავაო".
წენი წელი.
წვივსაკონი საწვივეების შესაკრავი.
წვრილა ბავშვი.
წვროგალები ტოპ.
წითელყელი ტოპ.
წიხვარგა ტოპ.
წმინდა ველები მთის ველებია, წმინდა იონჯისებური ბალახით დაფარული.

ჰ

ჰარი გუბე, ტალახიანი ადგილი, ჰეჰყო.
ჰარმაგი თეთრი ცხენი.
ჰელერა ჰაღარა. „ერთი ჰელერა შერეოდა თავში“.
ჰეხი ჰექა-ქუხილი. „დაგვიფაროს ღმერთმა ალისაგან, ჰეხისაგან, ელისაგან“.
ჰვივა ლივლივებს, კრიალებს, გამჭვირვალეა. „მარანში ჰიქა დგას და ღვინო ჰვივა“.
ჰიანდური ჰიანური.
ჰისკარი ჰიშკარი.
ჰლიკვი ჩლიქი.
ჰორონი მცენარეა.
ჰოროფა ტოპ.
ჰორუმო ტოპ. (მცენ. ჰორონი იზრდებაო).
ჰროხი (ქუა) უსწორმასწორო, ხორკლიანი.

ხ

ხავიწი რძისაგან შემზადებული საშველი.
ხავხოობს ფართხალებს. „თევზაი გამოვარდნილა ზღვიდან და ხავხოობს“.
ხალიხული ორომტრიალი, ფაციფუცი. „ამ ხალიხულში ამ ღვედს შეაჭრა კბილი“.
ხარაჯა (არაბ.) ხარკი.
ხანჯარი ხანჯალი, სატევარი.
ხარებაეთი ხარებაშვილი
ხელა კავის ნაწილია.
ხელმანდილი ცხვირსახოცი.
ხერგები წაქცეული ხეები.
ხეჩვისა ტოპ.
ხვათქუნი ფართხალი, ჩქარი მოძრაობა (თევზისა) „კალმახი გადმოუარდა და დაიწყო ხვათქუნი წყალში“.
ხვაშია „მამამთილი მომედარა, რა გატირებს ხვაშიაო?“
ხვაწა ხის კოვზის სათლელი დანა. „ხვაწა მოუხვაწავს ნახოწითა მისითა“,
ხვასაათი ხვასაშვილი.
ხვთიხავარა ად. სახ.
ხვიმირი წისქვილის ქვაზე მიმაგრებული ხის ჟურჟელი, რითაც ხორბალი ეშვება დასაფქვავად. „ხვიმირში ამოიღო და მოიტანა, იყაბშმეს“.

ხვირი სანაკელო გოდორი.
ხვირგინი ტოპ.
ხვირჯინი ხურჯინი.
ხმიანი მოხმობა, გახმაურება. „მაღლა დაიწყო ხმიანი“.
ხორიცა გროვა, ხროვა. „მგლის ხორიცა“.
ხოშიტიანი ლობჯანიძიანთ საგუარეულოს კომლური სახელი.
ხორხი ტოპ.
ხორჯი „ერთ ადგილზე შეაზე რიყე აქ წყალს, იცურვა და ხორჯზე შეცურდა“.
ხრმალი ხმალი.
ხუბანჯა სამ. იარ.
ხულუგო პურეულია.
ხუნთიბუნი ტოპ.
ხუობა უკადრისობა, განაწყენება, გაბრაზება. „ეს ხალხმა იხუა“; „თუ არ იხუებ, მოგახსენებო“.
ხუშტარა სამ. იარ.

ჯ

ჯამათა ად. სახ.
ჯამათაღელე ტოპ.
ჯამბარა „რკინის პალოა“.
ჯამოიენი გავაშელიშვილების საგვარეულო კომლური სახელი.
ჯანყელუანი გვარია.
ჯაროვი, ჯარონი ჭაობიანი ადგილი.
ჯაფარიანი ჯაფარიძე.
ჯიუვე ჯაყეა, პატარა დანა.
ჯაჯოენი ლომჯანიძიანთ საგვარეულო კომლური სახელი.
ჯვარიგორი ტოპ.
ჯიხი ტოპ.
ჯიკა (ოს.) საჭმელია რძისაგან შემზადებული.
ჯილი მჯილი, მუშტი. „ჯილი ამაელო ყბასა“.
ჯიჯირეული ტოპ.
ჯომაყო „თეალთა ტანადო, ჯომაყო, როსტომიანთა ტანისა“.
ჯოტეენი ლობჯანიძიანთ საგუარეულო კომლური სახელი.

ჰ

ჰაირანი რძისაგან შემზადებული საჭმელი.

ზემორაჭული

ზემორაჭული გავრცელებულია ონისა და ამბროლაურის რაიონებში: ონის რაიონში — გლოლა-ღებ-ჭიორას გამოკლებით და ამბროლაურის რაიონის მხოლოდ ერთ ხეობაში — ლიხეთის ხეობაში (სოფლები: ლიხეთი, აბარი, ურავი). მართალია, ლიხეთის ხეობა დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ამბროლაურის რაიონში ექცევა, მაგრამ გეოგრაფიულად ზემო რაჭის (resp. ონის რაიონში მოქცეული ტერიტორიის) ნაწილია.

გაეცნოთ ზემორაჭულის ძირითად თავისებურებებს.

ფონეტიკა

დაიწყოთ ბგერათშენაცვლებით.

ჩვეულებრივ ასეთი მონაცვლეობაა: ჱ — ფ, ჱ — ბ, ნ — მ, ჱ — ნ, ვ — მ, დ — თ, დ — ტ, ვ — ნ, ვ — ბ და სხვ. მაგალითები: ნეფსი, ბრაეალი, სამთელი, დააძთო, გოუმბრეელათ, გააძრიეს, ნიმუტი, გამდეს, დამამიწყდა, სამსე, კიდემ, თემზი (|| თენზი), კობზი, ბზე, (მზე), იმთენი, იმტენი, რამტენი, ანტონობილი, წნეულს, კორფილე (პორფილე), დაედებიან, ფშვენიერი, აფშარა, მედიდულობა.

საყურადღებოა ლ — ნ-ს მონაცვლეობა სიტყვაში: წენი, წენები (წელი). აქ შენაცვლება აბსოლუტურია და ამდენად წენი (წელი-ს პირისპირ) გარკვეული ლექსიკური თავისთავადობის მქონეა; უნდა შევიდეს დიალექტოლოგიურ ლექსიკონში. ჲი კომპლექსი ო-დაა წარმოდგენილი ხშირად: ჩოულობა, შიყობოდა, ქოყანა, შობა; წოულობა... „როგორ“, მიღებული „რაგვარი“-საგან, დაცულია „რაგორ“-ის საბით: „რაგორ დეემგვანა ასე“; „რაგორ მუახერხოს...“ ვი უ-თი იცვლება ზოგჯერ: საკურველი, წუმა... გავიხსენოთ ჰადიშის ოთხთავი, სადაც ამგვარი ფორმები არაიშვიათია... ბოლოკიდური მჟღერი ჩვეულებრივ ყრუვდება: დაგიკავეფ, უყურეფ, გუაციეფ, დეეძეფ, აპიროფ. აფრიკატიზაციის შემთხვევაა: გვერძე—გვერდზე.

გვაქვს ბგერის დაკარგვის შემთხვევებიც. უმეტესად იკარგვიან რ, ლ, ვ, მ, ბგერები: კვნესის და ოხავს, ძის („ძის ძველი რეჟიმი, ძის ნიკოლოზი, ძის ხულიგანები“), ქთამი, ზდიდენ, კდე, გაგზანეს, იწოდა, იდაგოდა, იხრაკოდა, უჩილუს, უნობს, სახში, ძაღს, დიდარე, თელი, ღვდელი, კვდარი, ღვიძარი, ძინარე, გელი, შიერები (9) თას (იქით), წარეთ,

კობაღლი, სიდიდრე, აღდომა, მერთო: („მერთო, არა გთხომ სიმდიდრეს"), გასი (გასწი). ჩვეულებრივ იკარგება დ სად კითხვითს სიცხვაში: ხა: „სა იყავი", „სა წავა..."; „ვერსა დამემალები..." იკარგება ნ მდისინ თანდებულში: სახლამდისი, აქამდისი, ონამდისი. მარტივდება კარგად ასე: კაად („კაად იყავი"). იკარგება თ ფორმაში: მარჯვნით, მარცხნით: მარჯვნი, მარცხნი, დღისით: „დღისი კუდება და ღამე ცოცხლობს"; „დღისი არ გარეგებს ხეტიალი"; „დღისი ავალთ".

არის ელიზიის შემთხვევებიც: წინამავალი სიტყვის ბოლოხმოვნის შეოხებით იკარგება მომდევნო სიტყვის დასაწყისი ხმოვანი: რა კარგი ლობიო' რი, რა კარგი დღე' რი, საქმე' რი, და. სხვ. (შდრ. ფერეიდნული).

საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: -ზე თანდებული მარტივდება და ე-ს სახით გვეელინება, თუ სახელი ხმოვანზე ბოლოვდება: „ჰკუაე", „ჰამის იშტაე", „გაქცუკაე ხო არა ხარ", „შუაე გაჰყო", „კალოობაე ენახეი", „ქვაე დასდვა", „შემოდგომაე ხო გვეწვევითა"? „ბედობაე („ჩემ ბედობაე შასტყორცნა"), „კოხონჯრობაე ვერ დეესწრო", „იმაე გეუბნებოდი", „გუნებაე არა ვარ", „უველაე უკეთესი ეგ არი", „სალამოე ჩამოვალ", „შვაღამეე შაიქნა ტირილი", „სახრეე შაეტყობა", „კალოე ჩამოვალთა..."

-ზე თანდებულის ამგვარად წარმოდგენა (ზ-ს დაკარგვა და ე-ს გამოყენება) ხმოვანფუძიანებთან სისტემატური ხასიათისაა. თანხმოვანფუძიანებთან კი ზე შკვიდრია.

იკარგება ც მაინც-ში (ამაზე ქვემოთ).

ხთ კომპლექსი ხშირად გამარტივებულია: შენითანა, მაგითანა, ჩვენითანა, იმითანა (|| იმისანა).

ინვერსიულ ზმნებში 3 პირის ნიშანი ხ ჩვეულებრივ იკარგება: მიკვირ, გახსომ, გძინამ, გნებამ, მყამ, მწამ, მინახამ. ის გასდევს სამსავე პირში: მინახამ—გინახამ—უნახამ.

როდესაც ლაპარაკია ინვერსიულ ზმნებში 3 პირის რეალური ობიექტის ნიშნის ხ-ს დაკარგვაზე, არ არის საკმარისი ვთქვათ, რომ აქ ს-ს დაკარგვის ხაერთო პროცესის კერძოობითი გამოხატულება გვაქვსო. მაშინ გაუგებარი დარჩებოდა, რატომ ობიექტურ ზმნებში არ იკარგება 3 პირის ს? მაგალ., რატომ არა გვაქვს „იგი მწერ", ნაცვლად ფორმისა „იგი მწერ-ს?" ხ-ს დასუსტება-დაკარგვის პროცესი რატომ აქ არაა ძალაში? საქმე ისაა, რომ ინვერსიულ ზმნებში ს-ს დაკარგვას (შძინამ, ?ღვიძამ...) ხელს უწყობს 3 პირის რეალური ობიექტის ფუნქციის დასუსტება, მაშინ როდესაც ობიექტურ ზმნებში 3 პირის (მწერ-ს) პოზიცია მკვიდრია. ამით აიხსნება, რომ პირველ შემთხვევაში ს-ს ჩამოცლით არაფერი შავდება, ხოლო მეორე შემთხვევაში 3 პირის გაგება იშლება.

სრულიად (შდრ. მძინამს — მძინამ, მწერს — მწერ). ამგვარად, ნ-ს დაკარგვა უმტკივნეულოდ ხდება ინვერსიულ ზმნებში: მგ-ე, მიყვარ, გ'ურ, მჯერამ, — მესამე სერიაში: მაძლამ. მითქამ, გამითიბამ, დამიბარამ, და მისთ. ნ-ს ჩამოცლა გასდევს სამსავე პირს: მითქამ—გითქამ—უთქამ და ა. შ.

ბგერის დაკარგვა ძალაშია ჩვენებითს ნაცვალსახელებშიც: ამ ნაცვალსახელი ჩვეულებრივ ა-ს სახით გვხვდება: „შევინახა-თ ა ღამე'ი"; „დაგვაბანია პირი ა მაკრიელმა" (მეკვლემ); „ა ბოლო დროს"; „ა კაცმა ქული გამიწურილა..." ასევე: იმ—ი: „ი ქალსაო რა ერქვაო?" „ი ყულძაღლმა ხმა გაიგინდა უმალ"; „ი თედორესაო გული გასკდომიაო"; „გოუმარჯოს ი ჩვე ტრაქტორსაო..." ეს — ეგ ნაცვალსახელსაც ასევე მოუდის: „ე ყანწები წამოხყოლია"; „დადგება კიდეე ე ღ'ედელი წირგად"; „ე ნა'ურთხი წყალი დავასხით"; „ე რა ცოდვა ჭემამთხვიაო"; „ე წყალი კი არ გადმოდის..."

ნ იკარგება წინადადებაში, როდესაც იგი ბრუნვის ნიშანია ან კიდეე ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნითი ნაწილია. დავიწყოთ მიცემითი ბრუნვით: „სიმავრ თვალი უყო"; „საქმელ მიირთმევდენ"; „ახლა დედოფალ ეუბნება"; „ვეზირებ ეუნება"; „დაჟდა, წიგნი დაწერა, მტრედ გამუაბა მხარათა"; „ღვდელ მიე საწირავათა"; „ყურ დამაყლდა": „ქალაქ მოდის"; „სკივრ კეტდენ"; „მისცემდენ თავ-ფეხ და ბეჭ".

ეს — თანხმოვანფუძიანებთან. ასევეა ხმოვანფუძიანებთან: „იმა რაღაბა აცვია, იმერეთის ფასია"; „მთა შედექი მაღალსა"; „ოქრო მაძლევს".

ახლა ვნახოთ ნათესაობითი ბრუნვა: „ქალი გასაგონათ ამბობს": „ხემწიფი შვილმა ინდომა"; „თხი ტყავი"; „ქათმი მოცელში". „ფალობი თვალითა"; „ყავრი თაუზე"; „ნაძვი თავსა ქორაბუდე ქონდა".

ბგერის დაკარგვა შორს მიდის: იკარგება ნ ნაცვალსახელებში: **შენ, თქვენ, ჩვენ, — შენი, თქვენი, ჩვენი,** ე. ი. როგორც პირთა, ისე კუთვნილებითს ნაცვალსახელებში ნ ამოვარდება ხოლმე.

საერთოდ, ქართული ცოცხალი მეტყველებიდან ცნობილია ნ-ს დაკარგვა ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: **შე კაცო, თქვე კაი კაცო,** ე. ი. მიმართვის დროს. ზემორაჩუღი მარტო ამგვარი შემთხვევით არ კმაყოფილდება. მისთვის სპეციფიკური ისაა, რომ ნ-ს კარგავს კუთვნილებითს ნაცვალსახელებში, როდესაც ისინი სახელს მსაზღვრელად მოუდიან. და ეს მაშინ, როდესაც მიცემით ბრუნვასთან გვაქვს საქმე. **შენ:** „ნეტაი შესა დედასა", „შეს თავს ჯვარი დამიწეროს" — „შეილო, შეს დედას", — „მე გავაკეთებ შეს საქმეს", „გედიხედე შეს ბიღელშიდ". — „ხალიჩა. შესა ბზესა", — „ეკი შეს ტყავს", — „დეიხედე შეს შარვალსა", — „წყალი ჩამოიელის შეს კარსაო", — „ძაღლო, მოისიენე შეს ტყავში", — „შეს თავს ჯვარი დაგვიწეროს". **თქვენ:** „ვინ ჩავარდა თქიეს ცოდვაში". — „თქვეს ბოშს გოულახმს", — „თქვეს ქალაქში მამწუინდა", — „თქვეს

სახში ეშმაკები ბინადრობენ", — „თქვეს სიტყვას უფრო შეითანიერებს". ჩვენ: „ჩვე კაცსა რა უშამს", — „ჩვეს უბანში ოჩხარია ხვალა", — „ჩვეს გულში ცეცხლიაო".

ზოგჯერ იკარგება ხ ბრუნვის ნიშანი: „თქვე ხუცეს სნება შეექნა, ჩვე ხუცეს ციებ-ცხელება".

ახლა გავეცნოთ ისეთ მაგალითებს, სადაც ეს პროცესი ხდება არა აუთვისებითს ნაცვალსახელებში, როგორც ზემოთ ვნახეთ, არამედ იმ შემთხვევებში, როდესაც ეგევე ფუძეები პირთა ნაცვალსახელების როლში გამოდიან: „შე გაგვითენე გაის ამდროს წობის შამოლოცვა და შობა", — „შე რა გიყიდო", — „შე რა იცი, შამაჩემო"? — „თქვე რო მამუცით", — „თქვე ხო კაად იმგზავრეთ"? „თქვე ვინ აგირჩიათ ბელადათ"? „ჩვე მიედიევართ საჩივლელათ", — „ჩვე ბევრი გიახელით", — „ჩვე ქვე ღაგვწყვიტნეს". ასევე ხდება ფორმებში: ჩვესახ, თქვესახ, შესახ: „ქალე მორჩა ჩვესახ", — „ჩამორბენდი ჩვესასა", — „თქვესა მოვდიევართ", „ამალამ შესახ მოვდიევარ, კარი დასტოვე ღიაო..."

იკარგება ‘კაუზატივის ნ: გაგვატანია, წაღებია...

ამგვარად, ირკვევა, რომ ბგერის დაკარგვას ადგილი აქვს როგორც სიტყვის ძირში (უმთავრესად ნარნარა ბგერებს ემართებათ ეს), ასევე ფორმებში. სახელდობრ, იკარგება : 1) მიმღეობის მ, 2) ვითარებითი ბრუნვის დ (სად კითხვითს სიტყვაში), 3) -ზე თანდებულში ზ, 4) მიცემითი ბრუნვის ნიშანი-ს, 5) ნათესაობითი ბრუნვის თანხმოვნითი ელემენტი ს, 6) ნაცვალსახელების ს, მ, 7) შენ, თქვენ, ჩვენ ნაცვალსახელების ნ, 8) მაინც ნაწილაკში ც, 9) კაუზატივის ნ.

ბგერიხ ჩამატება. ჩვეულებრივ ჩაერთვის მ — ლ — ნ — რ: მჯავრი, (გაამჯავრა), მდევი, მგუელი; — მჩალტე; — მურთაქა, გარმოცანა, რწყვილი, ღვარწლი; — გამოიღეინძა, ჴოღრენცილი...

საინტერესოა ვ-ს განვითარება აგრეთვე ო-სა და უ-ს წინ ფორმებში: ვორმო, ვუკაცრავად. გვხვდება დანძმობილდენ. აქ ნ ჩამატებული არ უნდა იყოს. შდრ. დანები — დალეფი... ასევე: დანძმური (მაგ., დანძმურო სიყუარული), რომელიც იმერულშია; ნ შემონახულია.

ბგერის გადასმა ჩვეულებრივ მოუდის ვ-ს: ისხვრეპლოს, ყივნა, აღევლებულა... ვ-ს გაინფიქსების ნიმუშია ნავხე.

თანხმოვანთა ახიმილაციიდან ყურადღებას იპყრობს შემდეგი ფაქტები. ხშირად ყრუვდება გ ყრუ თანხმოვნებთან (ც, პ, ტ, კ, ჭ. ქ-სთან) ჭ-დ: ჭცე (ნუგეში), მოქვცეს, მოქცილდები, შექპირდები, ქტხოვა, მოქკლა, მოქჭამ, ქქონდეს.

მეღერდება ს მეღერის მეზობლობაში: მოზდევს, ამოზდიოდა, სიცხიზგან, სიხარულიზგან...

თითო-ოროლა შემთხვევებია დ-ს გამკვეთრებისა: მკვტარი, კტე.

ხმოვანთა კომპლექსები და მათი ცვალება. ჩვენს დიალექტში ცნობილ ცვლილებებს განიცდიან A რიგის, B რიგისა და C რიგის კომპლექსები. სახელდობრ: A რიგის კომპლექსი რეგრესული ასიმილაციის წესს ემორჩილება, B რიგისა — „დისიმილაციის“, უკეთ—დიფთონგიზაციის გზით მიდის, ხოლო C რიგის კომპლექსებში იდენტური ხმოვნები შერწყმისაკენ არ ისწრაფვიან, ხოლო თანაბარი ღიაობის ხმოვნებზე ქვეით გვექნება დაწვრილებით მსჯელობა.

განვიხილოთ A რიგის კომპლექსები. ვადასტურებთ, ერთი მხრით, ასეთ ფორმებს: წევიდა, ჩევიცუამთ, დეეიხურამთ. გეიყვანეს, წეიღო, გეიარა, დეიძახა, გეიგზს, დეიკიდებს, დეიხურაეს, მეორე მხრით: დეესახლა, გეეცინა, გედეექცა, ეეფრიალებია, დეეკარჭა, დეეშტერია, დეებნა, არა ეჰვიანობს—არე ეჰუიანობს, მესამე მხრით: გოუთხოვარი, დოურჩი, დოუთავა, დოუძახე, გოუზდიხარ, გოუგებრობა, დოუნთეს და მისთანანი. მეოთხე მხრით, გვაქვს: შოუნდვე, შოუთანხმე.

აქედან ჩანს, რომ ვიწრო ხმოვნები იჩენენ მაასიმილაციებელ ძალას. მაგალითად, ი ავიწროებს წინამავალ ა-ს და ე-დ აქცევს. ხოლო უ ავიწროებს წინამავალ ა-ს და ო-დ აქცევს. ვიწრო ხმოვნების მაასიმილაციებელი ძალა კი ტიპურია დასავლური კილოებისათვის.

ცალკე აღსანიშნავია ასიმილაციის მოქმედება **რთული პრევერბის** ფართვისას.

ავიღოთ გადა- პრევერბი. თუ მას უშუალოდ ეკვრის ზმნის თემის ი, მაშინ ეს ი იმსგავსებს პრევერბის უკანასკნელ ხმოვანს (გადაიხადა—გადეიხადა), შემდგომი პროცესია ნაასიმილაციარი ე-ს მიერ პრევერბის პირველი ნაწილის ხმოვნის ა-ს დამსგავსება (გადეიხადა—გედეიხადა), ხოლო დასასრულ ხდება ი-სთან მეზობლად მყოფი ე-ს სრული ჩავარდნა (გედეიხადა—გედიხადა). დიალექტში დაცულია ორივე უკანასკნელი სახეობა, მაგრამ ჭარბობს გედიხადა-ს ტიპის ფორმა; იშვიათია წინამუალი საფეხურის ფორმები (გედეხადა-ს ტიპისა). მაგალითები: გედიძრო, გედიწია, გედისადე, გედიკარჭა, გედიქცენ, გედიკიდა, გედვიხედე, გედიცილია, გედიხარხარა, გედიქცნენ, გედიცვეს, გედვიდა და მისთ.

ეგევე მაგალითები, ძალზე იშვიათად, შესაძლოა შეგვხვდეს უფრო არქაული სახით: გედეიძრო, გედეიწია, გედეიხადე და ა. შ.

ანალოგიური ვითარებაა, როცა ამავე რთულ პრევერბს თემის უ

ეკვრის: გადაურბენია—გადოურბენია—გოდურბენია—გოდურბენია. მაგალითები: გოდუფუჩუნა, გოდუქცია. გოდუსახა, გოდურჩა, გოდუსვა, გოდუღიათ, გოდურჩი და მისთანანი. იშვიათად: გოდოუფუჩუნა, გოდოქცია და ა. შ.

ასეთივე მდგომარეობაა, როცა რთულ პრეფერბს თემის ე ეკვრის უშუალოდ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ნაასიმილაციარი ე არ იკარგება: გადაექციათ—გადეექციათ—გედეექციათ, გაღაესახლა—გადეესახლა—გედეესახლა და მისთანანი.

ამგვარად, რთული პრეფერბის თემის ხმოვნებთან შეხვედრის პირობებში ასიმილაციის მოქმედებით ვღებულობთ შემდეგს ფორმულებს: ააი—აეი ეეი—ეი; ააუ · აოუ—ოოუ ოუ; ააე აეე—ეეე.

ახლა განვიხილოთ B რიგის კომპლექსები.

როგორც ვიცით, B რიგის კომპლექსი ვითარდება დიფთონგიზაციის გზით. ე. ი. წინამაეალი ეიწრო ხმოვანი კიდევ უფრო ვიწროვდება ფართოსთან მეზობლობაში. ამდენად, ოა-მ უნდა მოგვცეს უა. ამის ნიშუშებსაც ხეხად გვაწვდის ჩვენი დიალექტი: წამუახტა, მუახსერა, მუართვით, მუარჩინა, ამუალაგეს, მუატანია. მუახლე,—ცატუა, ლადუა, სანდრუა, საშიკუა... ასევე: გელუანი (გელოვანი)... დიფთონგიზაციის პროცესის შემდგომი საფეხურები ზემორაჭულში ჯერ განვითარებული არ არის. აქ ვიტყვით, რომ არჩაძე აქ უმთავრესად გამოითქმის ასე: არჩუაძე: შეადარე: გოგოაძე—გოგუაძე—გოგუაძე—გოგვაძე; ბოცოაძე—ბოცუაძე—ბოცუაძე—ბოცვაძე.

ეა კომპლექსი, როგორც ეს მოსალოდნელია, გვაძლევს ია-ს: შიაჯინა, მორიგია (—მორიგეა), სამსია (—სავსეა), და მისთ. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ საკუთარ სახელებში კნინობითის ა-ს დართვა ე-ბოლოკიდურიან ფუძეებზე ამაეე საფუძველზე იცვლება ია-დ, რა მოუღენაც გავრცელებულია იმერეთშიც: პავლია (—პავლეა), პეტრია (—პეტრეა), სავლია (—სავლეა), მაგრამ შეიძლებოდა ეს ფორმები აგვეხსნა ამგვარად: პავლეია—პავლია, ე. ი. ე-ს ჩავარდნის გზით. ამის საპარგებლოდ ლაპარაკობენ იმერულში დაცული პარალელური ფორმები: პავლეია, პეტრეია, საიდანაც ჩანს, რომ აქ ა კი არ ერთვის, როგორც კნინობითის სუფიქსი, სახელებს, არამედ ია. და ამდენად, პავლია-ში ია ეა-დან კი არ არის მიღებული, არამედ ეია-დან გამარტივების გზით (ა იმერულში, და აქაც, ერთვის არა ხმოვანფუძიანთ, არამედ თანხმოვანფუძიან სახელებს. ამაზე ქვემოთ).

ახლა ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას. როგორც ზევით დავინახეთ, ჩვენს დიალექტში ეიწრო ხმოვნები ი—უ ძალას იჩენენ

ასიმილაციის პროცესებში, რაც ტიპურია დასავლ. კილოებისათვის (და ძველ ლიტ. ენისათვის). ი ყველგან ავიწროებს წინამავალ ა-ს. ა-ს დავიწროება და გადაბრა ი-სკენ ე-დ ქცევაში იხეხა თავი: წაიღო—წეიღო, და ეს გასაგებია, რადგანაც ხმოვანთა სამკუთხედში პრიმიტივი გატარებულია ასიმილაციის პროცესებიც გავიხსენოთ, რომ სამკუთხედში ერთ ხაზზეა ა—ე—ი და მეორეა ა—ო—უ: ამ კოძალესში ასიმილაცია ხდება ი-ს საფეხურია გავლით (და არა ო-ს), ხოლო აუ-ში ოუ-ს გზა უნდა განვლოს კომპლექსმა, რათა უუ-ზე დავიდეს (და არა ი-ს გზით წავიდეს). მეორე მხრით, უუ-მ სრულ ასიმილაციამდის ოუ-ს გზა უნდა განვლოს.

ერთი სიტყვით ბომდევნო ი იმსგავსებს წინამავალ ა-ს და ე-დ ქცევს (წაიღო—წეიღო). რადგანაც ი წინამავალ ფართო ხმოვანა ავიწროებს, როგორც ეს ჩანს აი კომპლექსის მაგალითზე, ბაჭინ ბუნებრივია, რომ ეგეთი ი უნდა ავიწროებდეს წინამავალ სხვა, მასზე უფრო ფართო, ხმოვანებსაც, მაგალითად, ო-ს. ავიღოთ მაგალითი: მოიტანა. აქ ოი ერთმანეთს ხვდება. დასავლურ კილოებშიც აქაც ი იწვევს ასიმილაციას და ვღებულობთ: მეიტანე: ო ე-დ იქცა. მაგრამ ზემორაკულში აქ ასიმილაცია არ ხდება, ე. ი. მოიტანა არ იცვლება მეიტანე-დ. ი, მართალია, ავიწროებს წინამავალ ა-ს (წაიღო—წეიღო), მაგრამ არ ავიწროებს ო-ს. ანუ ო-ც ისევე ფართო ხმოვანია ი-სთან შედარებით, როგორც ა? ე. ი. ჩრის: წეიღო, მაგრამ არ არის მეიტანა. დასავლ. კილოებში ორიენ ვითარებაა; ზემორაკული ამ ორი შემთხვევიდან ემხრობა დასავლურ კილოებს აი-ს ასიმილაციის მხრივ, მაგრამ ეთიწება ოი-ს ასიმილაციის მხრივ.

რით. უნდა ავხსნათ ეს მოვლენა, ე. ი. ზემორაკულში რატომ არ იწვევს ი ო-ს მიმსგავსებას, მაშინ როდესაც ა-ს ავიწროებს სისტემატურად?

ის შედეგები, რომლებიც ჩვენ მიგიღეთ ქართულში ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა გამოკვლევისას, ნათელს ხდიან ზემოაღნიშნულ კითხვას.

როგორც ვიცით, როდესაც საქმე გვაქვს ო და ე, თანაბარი ღიაობის, სხვადასხვა რიგის ხმოვანთან (ე—ო), მაშინ ქართ. კილოები სხვადასხვა სურათს გვაძლევენ: ზოგჯერ ე—ო A რიგს მიჰყვება, ე. ი. ო ავიწროებს წინამავალ ე-ს, მაშასადამე, ამ შემთხვევაში ო გამოდის ე-ზე ვიწრად, — ზოგჯერ კი B რიგს მიჰყვება, ე. ი. წინამავალი ე კიდევ უფრო ვიწროვდება. მაშასადამე, ე გამოდის ო-ზე ვიწრად. ამ მეთოდით კომპლექსის სახეცვალების გამორკვევამ ნათელყო, რომ ოე კომპლექსის განვითარებაში რყევას აქვს ადგილი, მაგრამ ძირითადი ტენდენციები მაინც ირკვევა: აღმოსავლურ კილოებში ო უფრო ვიწრო ჩანს ე-ზე, დასავლურ კილოებში ე უფრო ვიწრო ჩანს ო-ზე; ზანური დასავლ. კილოების კანონზომიერებას აჩენს.

ზემორაჭულში ამ კომპლექსის სახეცვალება აღმოს. კილოების ნორ-ჭას ემორჩილება, ე. ი. უმთავრესად ო ვიწროა ე-ზე. აი საამისო მაგალითები: მ უ ე ხ მ ა რ ა, მ უ ე კ ლ ა თ, მ უ ე ს მ ა, მ უ ე წ რ ო, მ უ ე წ ო ნ ე ბ ა, დ რ უ ე ბ ა, მ ა თ ხ უ ე ბ თ, ხ ბ უ ე ბ ი და მისთანანი. ეს იყო ოე, ახლა პირიქით: ეო: მ ო რ ე — მ ო რ ე, შდრ. დასავლ. მ ი ო რ ე. აქედან ჩანს, რომ B რიგის კანონზომიერებაა, ე ო-ზე ფართოდ ჩანს, რადგანაც ოე კომპლექსში ო ვიწროვდება არა ე-ს გავლენით, არა-შედ დიფთონგიზაციის გზით მიდის; ასიმილაციას ადგილი არა აქვს.

ახლა ჩვენთვის ნათელია, თუ რატომ არ იწვევს ზემორაჭულში ი ო-ს ასიმილაციას: თუ დასავლ. კილოებში ი იმსგავსებს ო-ს და ე-დ აქცევს (მ ო ი ყ ვ ა ნ ე — მ ე ი ყ ვ ა ნ ე), ეს გასაგებია, რამდენადაც დასავლურში ე უფრო ვიწროა ო-ზე; ი ო-ს იმსგავსებს ე-ს გზით. მაგრამ ზემორაჭულში ხომ აღმოსავლ. კილოების კანონზომიერებაა დაცული — ე არ არის ო-ზე ვიწრო, პირიქით, ხშირად უფრო ფართოდაც გვევლინება, და, ამდენად, ოი კომპლექსებში ი ვერ აქცევს ო-ს ე-დ, რამდენადაც ე უფრო ფართოა ო-ზე ზემორაჭული (resp. აღმოსავლ. კილოების) წარმოთქმის თვალსაზრისით, ზემორაჭველის ქვარტიკულაციო ბაზის სინამდვილეში. ამით აიხსნება ერთმანეთის გვერდით არსებობა წეიღე და მოიყვანე-ს ტიპის ფაქტებისა.

რედუქცია სახელებში ხან ხდება, ხან არა, ე. ი. მოსალოდნელ შემოხვევაში არ ამოვარდება ხმოვანი, ხოლო, მეორე მხრით, იქ ხდება ფუძის შეკუმშვა, როცა მოსალოდნელი არ იყო. მაგალითად, ერთი მხრით გვაქვს: ხ უ ლ ი გ ა ნ ე ბ ი, კ ე დ ე ლ ი ს, მ ა რ ა ნ ი ს, მ დ ი დ ა რ ე ბ ს, ს ტ უ მ ა რ ე ბ ი და მისთანანი, ხოლო, მეორე მხრით, თვალ ფუძე იკუმშება: „ის ბიჭი ცალი თვლით იყურება"; „ჭერიტიმალობს ცალი თვლით".

მრავლობითი რიცხვის -ებ კვეცადობას არ იწვევს ხშირად: ბ ი ჭ უ ნ ა ე ბ ი, ყ ა ნ ა ე ბ ი, მ თ ა ე ბ ი. ამის პარალელურად გვხვდება ბაასიმილაციარი ფორმები: ბ ი ჭ უ ნ ე ე ბ ი, ყ ა ნ ე ე ბ ი, და ა. შ.

მორფოლოგია

თანდებულთაგან აღსანიშნავია შემდეგი: 1) -თვის თანდებული ჩვეულებრივ წარმოდგენილია ნარიანი ვარიანტით: -თვინ: გ ო გ ო ს-თ ვ ი ნ, ხ ვ თ ი ს გ უ ლ ი ს თ ვ ი ნ, შ ვ ი ლ ი ს თ ვ ი ნ, ს ა ხ ლ ი ს-თ ვ ი ნ და მისთ. ასევე: 2) -მდის თანდებულს ცვლის ნარიანივე ვარიანტი -მდინ: ჩ ა დ ე ბ ა მ დ ი ნ, ტ ვ ი ნ ა მ დ ი ნ, ვ ა შ შ ო ბ ა მ დ ი ნ, ს ა-ნ ა მ დ ი ნ, ს ა ღ ა მ ო მ დ ი ნ, დ ღ ე მ დ ი ნ და მისთ.; 3) -გან თანდებულიანი მოქმედებითი ჩვეულებრივ იხმარება ასე: ი მ ე რ ე თ ი დ გ ა ნ, ც ი მ ბ ი რ ი დ გ ა ნ, ს ა ფ ლ ა ვ ი დ გ ა ნ, და მისთ. მაგრამ, თუ გ ამოვარდნილია, მაშინ ი ეშატება ბოლოში: ო ნ ი დ ა ნ ი („ონიდანი წამოეედი, ხი-

დიკარში მგელი ება“.) **იქიდანი, აქიდანი,** („აქიდანი და კოჯორი„ ჩემო ციცუნია, რა გიხდება ქოჩორი, ჩემო ბიჭუნია“), **სოფლიდანი** და მისთ. მაშასადამე, ერთი მხრით, გვაქვს საფლავიდგან და, მეორე მხრით, საფლავიდანი. ძირითადია საფლავიდგან-ის ტიპის ფაქტები, ე. ი. ისეთი ფორმები, როდესაც -გან თანდებული ეხამება მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილის თ-ს გამეღერებულ სახეს — დ-ს, ხოლო -გან დაკარგული ფორმები იშვიათია, ი რომ დაერთვის ბოლოს: **საფლავიდანი.**

რა ახსნა უნდა მიეცეს ამ ი-ს დართვას? ხომ არ არის ეს ი რეფლექსცენცია არქაული ი-სა, რომელიც გვაქვს ქალაქითი ქალაქად ტიპის ფორმებში, და რომლის დართვა აუცილებელი გამხდარა, რამდენადაც საფლავიდან ჯერ ახლად გავრცელებული ფორმაა ამ დიალექტურ წრეში, მას ჯერ კიდევ ძალა არა აქვს გამოსახოს გარკვეული გრამატიკული კატეგორია, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ მკვიდრია ამავე წრეში საფლავიდგანის ტიპის ფორმები? -ითი აბლატივის უძველესი მაჩვენებელი ჩანს (ქალაქითი ქალაქად, ქამითი ქამად, დღითი დღედ, უკუნითი უკუნისამდე და მისთ.). ხომ არ არის ეს ი გააზრებული თანამედროვე დიალექტში, როგორც გამაძლიერებელი საშუალება აბლატივის ფუნქციით ამგვარს შეხამებაში: **საფლავიდანი, იქიდანი, სოფლიდანი, ღურეევიდანი** და მისთ.? ესენი იშვიათი ფორმებია და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ამ ი-ს მეშვეობით თანდათან ფეხს იკიდებს -გან თანდებულიანი მოქმედებითის ტრანსფორმირებული ფორმა: **ხოფლიდან.** 4) -ში თანდებული წარმოდგენილია არქაული **შიდ-შიდა-ს** სახით: **ერთ ყვირეშიდ, ბაღშიდ, სარკეშიდ, ბოსელშიდ;** სუყველა სისხლშიდ სცურავენ, ყავთ სახლშიდავე, თავის ოთახშიდავე და მისთ; 5) ასევე ზე თანდებული -ზედ, ზედა-ს სახითაა დაცული: „შეჭდა რაშზედ“, „დამისვა ბეჭზედა“, და მისთ.

Locativus exterior-ი ნაწარმოებია არქაულად ხ-ს მეშვეობით: „წეიყვანეს ონს“, — „ამბროლაურ(ს) კომისარი გაგზანეს“, — „ამოვა ონს“, — „გავგზავნეთ, თერჯოლახ“, — „ქალაქ(ს) მიდის“, — „ხაბალახოს მიმყავან ხარები“, — „სანადიროს მიდის არსენა“ და სხვ. გვხვდება აგრეთვე: „შეეიდენ ოჯახად“, „წავიდენ ტყედ“, „წამიყვანე ოჩხრად“.

ვითარებითი ბრუნვა ა-თია გაფორმებული მხოლოდ: „დაარიგებია საინ-საინიანა“. „ვაშკაცურა დოუხვია“, „ბოვშებიანა“, „ხშირა“, „მშვიდობიანა“, „ნძისყვავილიანა“ და მისთანანი.

ნაცვალსახელები „ის“. „ეს“ გვხვდება ძველი ფორმით: **ესი, ეხი** („მისი ცოლი იქნება **ეხი**“, — „არ მამწონს **ესი**“. მრავლ.: „რა არის **ეხინი**, დედაკაცო?“).

დადასტურებითი ნაწილაკი „მაინც“ ჩვეულებრივ გამარტივებულად ხვხვდება: „ხელი **მაინ** მამკიდე“, — „არ გაუმეე, მარა ლოგინი **მაინ** და-

ბიგე", — „ახლა მაინ მაჭამე რამე", — „რაკო. მაინ და მაინ უნდა დააყენოთაო?", — „დააყენეს მათხოვარი მაინ", — „ეგება ახლა მაინ შევჭამო ლუკმა", — „თუ მაინ და მაინ გედემეკიდებით", „ეეეირთავო, მაინ გადარჩებაა ელოდებაო", — „თუ არი სასიკვდილო, მაინ ვერ მოუსწრებო", — შეჰყევი მაინ", — „დიდ ცოდვაში ვართ მაინ და დააყენე", — „ჩვენ ვინ გვათბოვებსაო, უთბრა ბავილმა, მარა მაინ წავიდა", — „თავიც რო მამჭრა, მაინ არ გეტყვიო" და მიათანანი.

ხარისხებიდან აღსანიშნავია არქაული წარმოება უ—ე: უ ხ ნ ე, უ დ ი დ ე, უ გ რ ძ ე. ასეთი ფორმები მეტად იშვიათად გუხვდება აგრეთვე ხემოიმერულში.

მდიდრადაა წარმოდგენილი **კნინობითობის** სუფიქსები.

ი: ბოზეერა, ბეშოკა, ბეჭედა, ქვევრა, ცარიელა, ურემა, ფიჩვა.

უნ-ა: ქიტესუნა, გოგუნა, გიორგუნა, ქუდუნა, კაბუნა, ქოხუნა, ტუჩუნა, კატუნა.

უკ-ა: სვახუკა, ხმალუკა („წვერს იქით გამამეკიდა ჩიხარეშელი სვანუკა, მე იმის იმედი მჭონდა, სეფეს ეკიდა ხმალუკა"), ქმარუკა, უღლუკა, ქორუკა, პერუკა, ღამუკა, ცხვირუკა, ლოყუკა, ყელუკა, კედელუკა, წყალუკა.

იკ-ა: თუმნიკა, ბიცოლიკა, უენერიკა, მაყვალიკა, მურმანიკა, პატარიკა.

უკ-ა, იკ-ა, უნ-ა ნაზავი სუფიქსებია (უკ-ა). მაგრამ არაიშვიათია, როდესაც გვხვდება ასეთი კომბინაციები:

უნ-იკ-ა: შოთუნიკა, ცოტუნიკა.

იკ-უნ-ა: შალიკუნა.

უნ-უკ-ა: ბეწუნუკა, ცოტუნუკა.

ეს სუფიქსები ჩვეულებრივ არსებით სახელებს დაერთვიან, როგორც საკუთარ სახელებს, ისე საზოგადოს. **იშვიათად** იხმარებიან ზედსართავებთან. ან რიცხვით სახელებთან: თ ე თ რ უ ნ ა, შ ა ვ უ ნ ა, ო რ უ კ ა, ს ა მ უ კ ა. ეს სუფიქსები რედაქციას ფუძეში ხან იწვევენ, ხან არა; კანონზომიერება არა ჩანს: კ ე დ ე ლ უ კ ა, უ ღ ლ უ კ ა, ქ მ ა რ უ კ ა... ბოლოხმოვნიანთ რედუქცია მოუდით. ასევე საკუთარ სახელებსაც: ე ნ ე რ ა—ე ნ ე რ ი კ ა, მ ა ყ ვ ა ლ ა—მ ა ყ ვ ა ლ ი კ ა, ყ ა ნ ა—ყ ა ნ უ კ ა, კ უ კ ლ ა—კ უ კ ლ უ ნ ა, პ ა ტ ა რ ა—პ ა ტ ა რ ი კ ა, ს ა შ ი კ ო—ს ა შ ი კ უ ნ ა, მ ა ტ რ ო—მ ა ტ რ უ ნ ა, თ ე ო ფ ი ლ ე—თ ე ო ფ ი ლ უ კ ა. იშვიათად ბოლოკიდური ხმოვანი შენარჩუნებულია: მარო—. მ ა რ ო უ კ ა, პ ა ლ ტ ო—პ ა ლ ტ ო უ კ ა, თუმცა ზოგჯერ ეგევე ფორმებიც შეიძლება შეკვეცილად შეგვხვდეს: პ ა ლ ტ უ კ ა, მ ა რ უ კ ა... ეს სუფიქსები უმთავრესად მაინც კვეცადობას იწვევენ.

გავეცნოთ ზმნებს.

პრევერბებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს მა და შა პრევერბის სისტემატური გამოყენება: მ ა ი ტ ა ნ ე, შ ა ვ ა რ ი გ ე.

I სერიის თემატიკური ნიშნები. სალიტერატურო ენის -ავ თემატიკურ ნიშანს ზემორაჭულში უმთავრესად -ამ ელემენტი ცვლის: დოუკრამს, მოგვილოცამ, ისრისამს, დევიხურამთ, შევღებამთ, დაკლამენ, მოეზარშამთ, მივაკრამთ, ენაყამთ, გყამს, დევიხურამ, ეხნამ, რეცხამს, ჩამოვრეკამ, გამოუჩხრიკამთ, შავაკრამთ, გავჰკერამთ, გავბედამდი, დავიპირამდეო და მისთ. ამის პარალელურად ამავე -ავ-ის ფუნქციით -ემ გვეელინება: ჩაასხემდა, დააბემდა, დაჰკლემდენ, ლანძღემდა, უკრემდა, და მისთ.

-ევ-ს -ემ ცვლის ხშირად: ოუწემდა, გაგვატნემ, გწემ (ბედსა), წემს და სხვ. -ებ სუფიქსის ადგილზე იგივე -ემ გვეელინება: აკერემს, გუაკეთემ, ეახსენემთ, ვუგებ, გამოვაზარმაცებ, და სხვ. -ოვ-ის ნაცვლად -ომ გვაქვს: გთხომთ, ქსომს. ზოგჯერ -ომ -ობ-ის ბადალია: სწაელომს... ზოგჯერ პირუკუ ვითარება გვაქვს: -ამ-ს-ავ შეენაცვლება, სვავენ, ჩეიცვავს, -ავ ელემენტი -ევ-ის სახითაა წარმოდგენილი: დამკლეუენ, თესევდა, სცურევდა, დააბეევენ.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ასეთი არქაული წარმოება: დ ო უ ძ ა ხ ე ი დ ა, ხ ა ტ ე ი დ ა...

II თურმეობითში გამოყენებულია ოყო დამხმარე ზმნა ოდა სუფიქსის ნაცვლად: მ ც ო დ ნ ი ყ ო, მ ქ ო ნ ი ყ ო, ჰ გ ო ნ ი ყ ო... ასეთი ფორმები შედარებით იშვიათია.

წყვეტილში ე- დაბოლოებიან ზმნებს -ვი მარცვალი მოუდით: გ ა ე ა კ ე თ ე ვ ი, დ ა წ ე რ ე ვ ი, ჩ ა ჰ კ ბ ი ჩ ე ვ ი.

უნდა ჩვენს დიალექტში ხშირად წარმოდგენილია უნა-ს სახით: „უნა წამოვიყვანო“,—„უნა მიუტანო ძმასა“,—„უნა მეშამოსო“,—„უნა მოუტანო ჩემს ცოლს წამალიო“,—„ჯერ უნა დეეწეროს და წეეყვანოს და უნა მორჩენილიყო“,— „ეს უნა მოვაჭედოო“.

I თურმეობითის იმპერფექტული ფორმაა შემონახული: ნ ა რ თ ე ე ვ ა, ნ ა ყ ვ ა რ ე ბ ა, ნ ა გ ზ ა ნ ა, ნ ა თ რ ე ვ ა.

ნამყო წყვეტილის III პირში ზმნის მრავლობითი რიცხვის -ენ დაბოლოება მოუდის გარდამავალ ზმნასაც: უ თ ხ რ ე ნ, დ ა წ ე რ ე ნ. ასეთი რამ მეტად იშვიათად თუ შეგხვდება.

ჰ-სა და ყ-ს შეხვედრის ნიადაგზე ეღებულობთ ასეთს ტიპურ გურულ ფორმებს: ხავს (←ჰყავს), ხოლია (←ჰყოლია; „ამ ქალს საყვარელი ხოლია“). გვხვდება პარალელურად: ხ ყ ო ლ ე ბ ი ა, მ ო ხ ყ ვ ა, გ ა მ ო ხ ყ უ ა...

მტკიცებაა დაცული -ყე ნაწილაკი ცნობილი ფუნქციით (ობიექტის მრავლობითის გამოსახატავად). მაგრამ აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი: -ყე ნაწილაკს ზოგჯერ ცვლის თ: თვითან „დახოცათ სამივე“,—„ეხვეწათ ბევრი“ (მათ),—„მერე წევიდა მელა და მელებს, უთხრათ“,—

„მიხცათ ოც-ოცი თუმანი“ (მან მათ) და უთხრათ“, — „დედა გაბუყათ თან შვილებს“, — ამ საწყალმა ქალმა დოუძახათ“ (მათ), — „ვინცხა ულაგებთ იქაურობასა“,—„რაც ღირდა, სამი იმდენი მისცათ ფული“ (მათ),— „ამ ინძისყავილმა გასაღები გოუკეთა“ (მათ), — „მან უთხრა შვილებს“ და მისთანანი.

ეგეუე მაგალითები შეიძლება -ყე ნაწილაკით შეგვხვდეს: უთხრა-ყე შვილებს, დოუძახა-ყე და ა. შ. მაგრამ ზემორაჰული ამ შემთხვევებში მაინც უპირატესობას ანიჭებს თ-ს. თ, როგორც ობიექტის ნიშანი, მესამე პირში გვხვდება მხოლოდ; 1 და 2 პირში კი -ყე ნაწილაკს გამოიყენებს. უღლების სურათი ასეთია:

1 პ. მე უთხარი-ყე მათ
2 პ. შენ უთხარი-ყე მათ
3 პ. მან უთ:რა-თ (|| უთხრა-ყე) მათ

უნდა ვიფიქროთ, რომ -ყე-ს ფუნქციით თ-ს გამოყენება მეორეულია. შედარებით ახალი მოვლენაა. მაშასადამე, -ყე-ს ცვლის თ. მაგრამ რა შემთხვევაში შეუძლია თ-ს შეცვალოს -ყე? მხოლოდ 3 პირში, რადგანაც 1 და 2 პირში თ უკვე ვერ შეასრულებს ობიექტის გამოხატვის ფუნქციას, რამდენადაც იგი სუბიექტური აფიქსია და 1 და 2 პირში მისი დართვა სუბიექტის მრავლობითი რიცხვის გამომხატველი იქნება და არა ობიექტის რიცხვისა. მართლაც: ჩავსვათ 1 და 2 პირში: თ: 1 პ. უთხარით — ჩვენ ვუთხარით, 2 პ. უთხარით — თქვენ უთხარით. ეს დამოხვევა თავიდან აცდენილია 3 პირში, ვინაიდან 3 პ. სუბიექტის მრავლობითობისათვის სხვა სუფიქსს იყენებს ენა (-ეს: უთხრეს). მაშასადამე, თ-ს, როგორც ობიექტის რიცხვის გამომხატველს, ადგილი აქვს მხოლოდ 3 პირში. დიალექტი ცდილობს შეინარჩუნოს ობიექტის რიცხვის გამოხატვა სათანადო ნიშნით, ოღონდ -ყე ნაწილაკს გაურბის 3 პირში, სადაც ამის შესაძლებლობა მართლაც არის, და სათანადო ფუნქცია დააკისროს მრავლობითის ცნობილ აფიქსს — თ-ს, ხოლო 1 და 2 პირში ისევ და ისევ -ყე ნაწილაკი რჩება.

ზემორაჰულში „ზმნის მავრცობი ა“ ჩვეულებრივია, და ამდენად ჩვენი კილო იმ კილოთა წრეს ეკედლება, სადაც „ზმნის მავრცობი ა“ ფართოდაა გამოყენებული. მაგალითები: „შენ რავა მოქცეული ხარაო“,— „ნება თქვენი ასრულდესა“, — „არა ვართაო“, — „ამტენი ხანი აქა ხარაო“,—„ვხნამაო, უთხრა შვილმა“, — „არა, თუ მეტყვი, მშიერს დაქტოვებაო“, — „ავდგებითა და ჩევიცვამთა“.

სიხარულით ზმნიზედის ფუნქციით გვევლინება სიხარულათ: „ღვინო და ჰადი სიხარულათ მიუტანა“, — „სიხარულათ შეხვდენ ერთმანეთს“, — „საწყალი გოგო სიხარულათ დაბრუნდა სახში“.

გვხვდება შემდეგი ნაწილაკები:

1) ჰი. უნდა წარმოადგენდეს ჰირიმე-ს შეკვეცილ ფორმას. „მოუელო, ჰი, და მოგიტანე ნაბადი“, „გამიკეთე, ჰი, ეგ საქმე“ და მისთ. გვხვდება გამოთქმებში: მო, ჰი, — ნუ, ჰი.

2) ჭვე. მეტად გავრცელებულია (დადასტურების შინაარსით).

3) ბეჩა (←ბედშავი). „ბეჩა, რას მეძახოდი ტუუილათა“, „ბეჩა, რასა კნავი“, „ბეჩა, ვინ მოსულა“, „უი, ბეჩა, რა მამივიდა“.

4) მააპა (←მაშ აპა). „იყავი ონშიდა?“. — „მააპა?

გავრცელებულია ღიმე შორისდებული, დამახასიათებელი იმერულისათვის. ღიმე, რაღა ვქნა ახლა“; „ღიმე, ეს რა მაგსვლია“.

გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტი ნამყო წყვეტილში მოთხრობითში დაისმის, თუ მას მოსდევს ფრაზაში გარდამავალი ზმნა: „წევიდა ამ ქალმა და კაი ქათმები შეწვა“, — „წევიდა იმ შვილმა და გაყიდა ის დედმამა“ და მისთ. (შდრ. ქართლური).

მიზეზის გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებაში ჩვეულებრივ გამოიყენება რახან კავშირი: „რახან შაშეიწყერა დაარქვა, დასტანჯა“, — „რახან ყველი შეჭამაო, მოვკლამაო“, — „რახან თქვაო, ჩევიცვამო“, — „რახანო მეო უცოლოთ ვერ დავდგებიო, უთხარიო, შევირთამო, — „რახან შათხუებთ, მოდი, იმ დროს მოიყვანეთ...“, — „რახან შენი სიყვარული იყო, შენ ქვე რა გიყიდო“, — „რახან გულის პასუხი ამისრულე, მე ვიცოდე...“

ზოგჯერ რახან საკმარისი არაა და ემატება რო(მ) კავშირს: „დედამამამ მისცა ნახევარი ცხოვრება, რახან რო თაჯისი შვილი არ ეგულებოდა მამაცი, გარჯილი“, — „რახან რო ამისთანა ამბავია, მისცა 90 თუმანი“.

იშვიათად გვეელინება იმავე ფუნქციით რაღანამაც: „რაღანამაც ეგრე ბრძანებ, მხარშეკრული აქა ვზივარ“. არის შემთხვევები, როცა რახან-ის ნაცვლად გვაქვს ნახა: „ნახა ეგრეა, გითხოვო“, — „ნახა მტანჯამ, გეტყვიო“. ქიზიყურშია ამის ანალოგია (იხ. ს. მენთეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონი“).

თანწყობილ წინადადებაში მაპირისპირებელ კავშირად გამოყენებულია მარა, მარამ (=მაგრამ): „ამის გაცოცხლებაც შეიძლებოდა, მარამ რათ გინდა“? — „მე ასე ვარ, მარა შენ რაღა გინდა?“ — „სარკემ დეინახა, მარა სარკე რას გააკეთებდა?“ „არ მაშმევ, მარა ლოგინი მაინ დააგე“.

ადგილის გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებაში გამოყენებულია გაორმაგებული კავშირი: სადაც რო: „მიატანა, სადაც რო ის დები არიან“, — „სადაც რო იყო, ხეები მოაპრევია“, — „გადააგდეს, სადაც რო დიდზე დიდი კდე არი, ხრამი“.

დროის გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებაში გამოიყენება: 1) რა: „გულმა რა ეს დაინახა, გეიწიე-გამოიწი-

ვა", — „რა ის წევიდა, მასუკან ხმა აღარ ისმის". 2) რა რომ: „რა-რომ გათხოულვარ, მას უკვანდელი არაფერი მახსოვს". 3) „რა დრო-საც რომ ჯვარი უნდა დეეწეროს და წეეყვანოს, უნა მორჩენილიყოს". 4) სანამდი: „სანამდი შეს ხასიათს გევიგებდი, მანამდი სული გამძერა". 5) მინამ: „მინამ ცოცხალი იყო, ჭერი და ბზე ჰამაო". 6) როცა რო: „როცა რო ღარიბად იყო, წახყვა".

განზღვრებითს წინადადებაში გამოიყენება გაორმაგებული კავშირი რომელიც რომ: „ის უმფროსი და კი მოსულა, რომელმაც რო უღალატა".

გონია, ამბობს, იცის ზმნები, მოქცეულნი მთავარ წინადადებაში, ღამატებითს წინადადებებში თუ კავშირს გამოიყენებენ: მას „უგონა, თუ საჭმელ მიართმეედენ", — „მეგონა, თუ სამოთხეში შეველი", — „იმასა გონია, თუ იმას უქომაგებთ", — „უმბობს, თუ ერთი ეს არი..:"—„თქვა, თუ უთუოდ წევიდა", — „არ იცოდა, თუ ის მძიმედ იყო".

ამ კონსტრუქციაში თუ-ს გამოყენება არქაულია.

თანწყობის კონსტრუქციაში თორემ-ის ნაცვლად თვარა || თვარემ გამოიყენება ჩვეულებრივ: „ძაღლო, მოისვენე შეს ტყავში, თვარა რო-გორც კატას, ისე მოგივა", — „ბეჩა ცაცო, თუ მამიტან წამალს, თვარემ მოკვდები".

ხოლოთ კავშირი ჩვეულებრივ იმასვე გამოხატავს, რასაც ოღონ სალიტ. ქართულში: „ყველას ვაჭმევ, ხოლოთ მექნეს სამძღრისად", — „რას დაეძეფ ბევრს რასმე, ხოლოთ გამიჩინე ჰადი და ღვინო", —„ხო-ლოთ გააცოცხლეთ და თქვენი იყოს ე კვტარი", — „ქალი დარჩა ლამა-ზი, ხოლოთ პატარა არი"; — „აღარ გვინდა საჭმელი, ხოლოთ მოსვენება გვინდა" და მისთ.

იშვიათად თავს წამოჰყოფს ოღონდ, მაგრამ ოღონ-ის სახით: „მე გასწავლი მაგას, ოღონ არ გამამხილოვო".

შემორჩენილია გარემოებით-მასდარული კონსტრუქცია, ოღონდ სპორადულად: „დადგება ე ღვდელი წირვად", —„წეუიდა მთის-კენ ნადირობად", — „დავჟდებით ჰამად". — „დაგვაჯინა ჰამად". შეიძ-ლება განვსაზღვროთ ამ კონსტრუქციის გამოყენება ამჟამად: ესაა გაქვა-ებული გამოთქმები: „დადგება წირვად"; „დაჟდეს ჰამად", „მიდის ნა-დირობად".

ზემორაჭულში, და საერთოდ რაჭულში (მთარაჭული, ზემორაჭული და ქვემორაჭული ამ მხრივ ერთმანეთს მხარს უჭერენ), ფართო გა-მოყენება აქვს III კავშირებითს. განსხვავებით თანამედროვე სალიტერა-ტურო ქართულისაგან, იგი გვევლინება პირობითსა და მიზნითს წინა-დადებებში. სალიტერატურო ენა და სხვა ქართ. კილოები მის ადგილზე II თურმეობითს გამოიყენებენ.

ვიდრე რაჭულს შეეხებოდეთ, გავითვალისწინოთ, როგორია საქმის ვითარება საზოგადოდ ქართულში ამ მხრივ?

პირობითი და მიზნითი წინადადებანი ქართულს ენაში სტრუქტურულად ახლო დგანან ერთმანეთთან.

მაგრამ ჯერ საჭიროა პირობით-მიზნის ორი დროული კატეგორია ვქნეს ერთმანეთისაგან გამიჯნული. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვამბობთ: **მივდივარ სოფელში, რომ დავისვენო**, აქ მიზანი პერსპექტივაშია მოცემული, მომავლის აქტია აქ მიზნის შესრულება, მაგრამ, როცა ჩვენ ვამბობთ: **წავედი სოფელში, რომ დამესვენა**, აქ მიზანი, ანუ ის მოქმედება, რომელიც გამოხატულია დამოკიდებული წინადადებით — წარსულის აქტია. ამას განსაზღვრავს მთავარი წინადადების შემასმენლის მწკრივი: პირველ შემთხვევაში მთავარ წინადადებაში შემასმენელი აწმყოშია (მივდივარ სოფელში), რომლის შედეგი—მიზანი—მომავლის აქტია (რომ დავისვენო), ხოლო მეორე შემთხვევაში მთავარ წინადადების შემასმენელი წყვეტილშია (წავედი სოფელში), რომლის შედეგი — მიზანი — წარსულშივე სრულდება (რომ დამესვენა).

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს პირობითი წინადადების კონსტრუქციაში. ავიღოთ წინადადება: **თუ სოფელში წახვალ, ჩემი მშობლები ინახულე**. აქაც პირობა მომავლის აქტია (თუ წახვალ) მაგრამ წინადადებაში: **რომ წასულიყავი სოფელში, ჩემს მშობლებს ინახულებდი** — პირობა წარსულს განეკუთვნება. ეს დროული სხვაობა მიზანშეწონილად მიმაჩნია აღვნიშნოთ ამგვარად: „მომავლის მიზან-პირობითობა“ და „წარსულის მიზან-პირობითობა“.

ესაა სემანტიკური კვალიფიკაცია მიზან-პირობითობის ტიპის წინადადებისა.

როგორია ამ ტიპის წინადადების კონსტრუქცია?

ავიღოთ ჯერ „მომავლის მიზან-პირობითობის“ წინადადება. ძველ სალიტერატურო ენაში მომავალში მიზნის გამოსახატავად გამოიყენებოდა **რაჲთა** კავშირი და შემასმენლის კავშირებითის მწკრივი (I-II კავშირებითი), ე. ი. **რაჲთა**+კავშირებითი (ჩვეულებრივ II). (ამ კავშირებითს მომავლის, მყოფადის გაგება ჰქონდა ძვ. ქართულში). ახ. ქართულში **რაჲთა**-ს **რომ** შეენაცვლა, მაგრამ კავშირებითი მაინც ძალაში დარჩა.

მაგალითი: „გარდამოიღე ეგე ქუ ნად, **რაჲთა ვჭამო** აწვე წინაშე შენსა“: **რაჲთა** — **ვჭამო**.

ახლა ავიღოთ პირობითობა მომავალში. აქაც იგივე მდგომარეობაა: კავშირს ეხამება კავშირებითი: „თუ ინებო, ესეცა მოიღო“. დამახასიათებელია, რომ გამოიყენება თუ კავშირი, რომელიც კითხვითია.

ამგვარად, როცა მიზანი ან პირობითობა მომავლის აქტია, დამოკიდებული წინადადების შემასმენელი უთუოდ კავშირებითში დგას.

მყოფადისათვის ძვ. ქართული იყენებს I-II კავშირებითებს როგორც მარტივი წინადადების ფარგლებში, ისე რთული წინადადების კომპლექსში. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მყოფად-კავშირებითის გადაჯაჭვას, მყოფადის შინაარსის გამოსახატავად, სწორედ კონიუნქტივის გამოყენებას გარკვეული სემანტიკური გამართლება აქვს: მომავლის აქტი არაა ჯერ კიდევ რეალური ვითარება, პერსპექტივაში ნავარაუდევი, ზმულობა შესაძლოა იქცეს ან არ იქცეს ფაქტად, საეგებიოა. იგი ან ოპტატიური შინაარსისაა ანდა პოტენციალურისა. **აქ კონიუნქტივი ერთადერთი ფორმა უნდა იყოს, და ეს ნორმაა ენისა. სწორედ ამიტომაა, რომ მიზნის გარემოების დამოკიდებული წინადადებისათვის კონიუნქტივი ერთადერთი ფორმაა** მემასმენლისა. ასე იყო ძვ. ქართულში, ასეა ახალშიც, მით უფრო ბუნებრივია, რომ პირობითობისათვის შესაბამისი მწკრივია კავშირებითი. მაშასადამე, რეალური ვითარება ქართული ენისა ამართლებს ამ ლოგიკურ დასაბუთებას.

ახლა ვნახოთ, რა მდგომარეობაა ამავე მიზან-პირობითობის თვალსაზრისით II სერიაში, როცა მიზან-პირობითობა წარსულის აქტია.

ბუნებრივია, რომ აქაც იმავე კონსტრუქციას მოველით: იმავე მასალის საკავშირებელ სიტყვებს და შემასმენლის იმავე მწკრივს. მაგრამ რომელ კავშირებითს? III კავშირებითს, რამდენადაც III კავშირებითი I-II კავშირებითის მიმართ ნამყოა და აქ სწორედ ნამყოს კავშირებითია აუცილებელი, რამდენადაც მიზან-პირობითობა წარსულშია.

მაგრამ გვაქვს კი III კავშირებითი ასეთ შემთხვევაში? რეალური ვითარება ქართული სალიტ. ენისა ამ მოსალოდნელ ფორმას არ ამართლებს, III კავშირებითის ნაცვლად სათანადო კონსტრუქციაში გვაქვს ინდიკატიური ფორმა — II თურმეობითი, ოღონდ ძვ. ქართულში კონიუნქტიობის სემანტიკა დაკისრებული აქვს -მცა ნაწილაკს, რომელიც კავშირს ურთავს, და ასე ამგვარად, ვღებულობთ შეხამებას: კავშირი + მცა ნაწილაკი — II თურმეობითი (ინდიკატივი), — თითქოსდა შემასმენლის ინდიკატიური ფორმა კომპენსირებულია -მცა ნაწილაკიანი კავშირით, რომელსაც კონიუნქტივის სემანტიკა აქვს, მას ცვლის.

მართალია, -მცა ნაწილაკიანი კავშირი გარკვეულ კონიუნქტიურ ფუნქციას ასრულებს, მაგრამ შემასმენელი რომ III კავშირებითში არ დგას, ეს თითქოს არღვევს საერთო სურათს: თუ ეს კონსტრუქცია — მოსაბადის თვალსაზრისით—კავშირებითს იგუებს, ეგევე კონსტრუქცია— ნამყოს თვალსაზრისით — იმავე კავშირებითს უნდა იგუებდეს.

ამ სურათს ავსებს რაჭული კილო. სათანადო შემთხვევაში II თურმეობითი კი არაა გამოყენებული, არამედ ის, რომელიც მოსალოდნელი იყო III კავშირებითი.

რაჭულ კილოში III კავშირებითია გამოყენებული II თურმეობითის ადგილას რთულ წინადადებაში. ეს მონაცვლეობა დადასტურებულია

პირობითსა და მიზნითს წინადადებაში და, აგრეთვე, უნდა ნაწილაკთან. როცა მიზნითსა და პირობითს წინადადებაში წარსული ივარაუდება, რაჭულში III კავშირებითი იხმარება, ნაცვლად სალიტერატურო ენაში და სხვა კილოებში გაბატონებული II თურმეობითისა. მაგალ., „ვანო წავიდა ტყეში, რომ დაკარგული საათი ეპოვა“ რაჭულად იქნება: „ვანო წავიდა ტყეში, რომ დაკარგული საათი ეპოვოს“ (=მიზნ. წინად. კონსტრ.); „ვანო რომ წასულიყო ტყეში, დაკარგულ საათს იპოვიდა“ რაჭულად იქნება: „ვანო რომ წასულიყოს ტყეში, დაკარგულ საათს იპოვიდა“ (=პირობ. წინად. კონსტრ.); „ვანო ტყეში უნდა წასულიყო“ რაჭულად იქნება: „ვანო ტყეში უნდა წ.ასულიყოს“. აქ კი უნდა ნაწილაკთან კავშირებითის შეხამება სრულიად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ უნდა-სთვის პოტენციალისას სემანტიკაა ნიშანდობლივი. შდრ. კავშირებითის გამოყენება მომავლის შინაარსით: „უნდა გავაკეთო“.

ჩვენ ვხედავთ, რომ რაჭული კილო წარმოგვიდგენს უძველესი ქართულის ვითარებას, რამდენადაც ჩვენი თვალსაზრისი გულისხმობს კავშირებითის აუცილებლობას მიზან-პირობითი წინადადებების კონსტრუქციაში.

რაჭული არ არის ერთადერთი დიალექტური სინამდვილე, სადაც დაცულია ეგ არქაული ვითარება. მართალია, რაჭულში III კავშირებითის გამოყენება II თურმეობითის ადგილას სისტემაა,—მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ სხვა კილოებზედაც, სადაც აღნიშნული მოვლენა სპორადულად მაინც იჩენს თავს. თავი რომ დავანებოთ ზემოიმერულს, რომელიც (ქვემო)რაჭულთან ახლოს დგას და სადაც ეგ მოვლენა ზოგჯერ დასტურდება, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ III კავშირებით-II თურმეობითის მონაცვლეობა საანალიზო კონსტრუქციაში რაჭულისაგან გეოგრაფიულად დაშორებულ დიალექტებშიც გვხვდება. სახელდობრ, მისი ნიშნები არის კახურში, დადასტურებულია, აგრეთვე, ინგილოურში. გრ. იმნაიშვილის მიერ ჩაწერილ ინგილოურ ტექსტებში ეკითხულობთ: „შეეცოდა პატრა ზმაძ, რუმ არ მეეკლას თავი მამას“ (რომ არ მოეკლა); „ვეღარც გუთან ქნავდა, ვიღარც შინ პური ქონდა, რომ ოღლუშაღიბე ეჰმეეინებინოს, ზმას წეეყონოს“ (რომ ეჰმევინებინა,... წაეყვანა); „ხუალ დილამდინ უნდა გეეკეთას, მიეცას იმ ფაშ დანახულს უსტაძზე“ (უნდა გაეკეთებინა, მიეცა); „მოკდომაში კტარიც მოლლას უნდა დეემარხას“ (უნდა დაემარხა).

არ შეიძლება ითქვას, რომ III კავშირებითი პირობითი წინადადების კონსტრუქციაში არ გვხვდებოდეს ქართულ სალიტერატურო ენაში. საამისო მაგალითებს გვაწვდიან საშუალო ქართული და ახალი ქართული. მაგალ., „ვეფხისტყაოსანში“ ეკითხულობთ:

კვლაცა ვჰკადრე: მე თუ, მზეო, შენთვის ფიცი გამეტეხოს, ღმერთმან აწვე რისხვა მისი ზეცით ჩემთვის გაამეხოს! (532).

საბუთების ენაში არაიშვიათია ასეთი კონსტრუქციები: „საკანონო თუ რამ იყო, რაც ზევით დაგვეწეროს, ის გამოართვით“ (საისტ. მოამბე, II, 15, 25); „თუ ლდელს დაეშავებინოს და არ ეზიარებინოს, ხარი ერთი!“ (იქვე, 17, 31).

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ კომენტარებში გვხვდება ასეთი ადგილები:

თუ საბოზრად დაეწეროს ეს წიგნი, რატომ ზეით იმ გვარად ამბობს და აქ ამას ასე ურიგოთ იხსენებს (ტმზ, ჩპა); თუ ქალის მიჯნურობისათვის ეთქვას, ქალის მიჯნურობასა და სიძვაში რა დიდი მზღვარი ძეს (სჟბ, თ); თუ ქალის მიჯნურობაზედ ეთქვას, ხანიერად რომ იმიჯნურონ, ქალი დაბერდება და კაცი (სჟგ, ი).

ამავე რიგისაა ახალი სალიტერატურო ენის ფაქტებიც:

...ჩემს ცინაობას არ გეტყოდი, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოვებულიყოს (ილია ჭავჭავაძე); არამც თუ მისი წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია (ილია ჭავჭავაძე); მაშ სიკვდილს რომ გადარჩენილიყოს, რას უზამ? (ყაზბეგი).

ამგვარად, ვღებულობთ ფორმულას:

თუ || რომ + III კავშირებითი = პირობ. წინად.

III კავშირებითი გამოყენებულია ახალ სალიტერატურო ენაში სხვა კონსტრუქციებშიც. აღსანიშნავია, რომ იგი იხმარება ყველა იმ შემთხვევაში, სადაც შეიძლება ვიხმაროთ II თურმეობითი. ეს ფაქტი კი საყურადღებოა III კავშირებითისა და II თურმეობითის ურთიერთობის გამოსარკვევად სალიტერატურო ენის განვითარების ძველ საფეხურზე.

III კავშირებითი ახალ სალიტერატურო ენაში იხმარება შემდეგს კონსტრუქციებში:

ა) მთავარი წინადადება უარყოფითია (არ — ვერ ნაწილაკების გამოყენებით), დამოკიდებული წინადადება გამოხატავს მოქმედებას წარსულში და მთლიანად პირობითია შინაარსობლიად. მაგალ., „არ მახსოვს, რომ ვინმეს ეთქვას“. ეს უდრის: „თუ ვინმეს ეთქვა (|| ეთქვას), არ მახსოვს“. სტრუქტურულად აქ დამოკიდებული წინადადება დამატებითია, მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის გახაზვა, სათანადო კონსტრუქციას ერთგვარი სიახლოვე აქვს პირობითი წინადადების კონსტრუქციასთან.

გავეცნოთ ნიმუშებს:

არ გვყოლია ასპირანტი, რომ (|| რომელსაც) დისერტაცია არ დაეწეროს; ჩვენ არ ვიცნობთ ისეთ ავტორს, რომ (|| რომელსაც) შეესწავლოს ეს საკითხი; შეიძლება არც

მოიძებნებოდეს მსოფლიოში მეორე ისეთი მბარე, რომელსაც იმდენი შემოსევა დაპყრობა განეცადოს, რამდენიც საქართველომ; არ არის კაცი, რომელსაც დაეწეროს წერილი; თითქმის არ დარჩენილა არავინ, რომ (|| რომელსაც) მონაწილეობა არ მიეღოს კამათში; არ დაუწერია არც ერთი სტრიქონი, რომ (|| რომელსაც) შეურაცხმყოფელი მნიშვნელობა ჰქონებოდეს მისთვის; არ ყოფილა სტუმარი, მე რომ (|| რომლისთვისაც) პატივი არ მეცეს.

აქ ჩვენ ფორმალურად გვაქვს რელაციური წინადადებები, — სემანტიკურად ისინი პირობითობის გაგებას იძლევიან:

მასალებიდან მე თითქოს არა დამიტოვებია რა, რომ ტექსტში ან შენიშვნებში არ შემეტანოს ან არ აღმენიშნოს; მაგალითი არა ყოფილა, რომ ეს ავაზაკი პირდაპირ დახვედრილიყოს იარაღიანს მოპირდაპირესა; არა ყოფილა შემთხვევა, რომ გაკვეთილი დამესწავლოს.

ბ) მთავარი წინადადების შემასმენელი საეგებიო, არარეალურ გაგებას იძლევა, — დამოკიდებული წინადადების შემასმენელი III კავშირებითის მწკრივითაა მოცემული. კავშირებად გამოყენებულია: **რომ || თითქოს || ვითომც.**

არ გაგიგონია, რომ ძველად ვინმე გაფრენილიყოს?; ასე გავიგონეთ, რომ იბრეიმხანს ალინალი ომარხანთან გამოეგზავნოს და დაეპატიჟოს; ...ისე ჰგონია, თითქოს „სკამი“ საქართველოში... XIII—XIV ს. შემოსულიყოს; ამბობენ, თითქოს რომელიღაც ქართველს პარიზის გაზეთში დაებეჭდოს განმარტება საოცარი დეპეშისა; საჭვოა, ბარათაშვილს თავისი თარგმანი შეეტანოს პირველ ნომერში.

აი ერთი მაგალითი აკაკის ენიდან:

გამიგონია, ვითომც ლერწამი ობლის საფლავზე ამოსულიყოს და თავის ქნევით დამუქრებული მაღლა ზეცისკენ ის წასულიყოს, რომ მიეტანოს იქ ჩვენი ქვეყნის მწარე ამბავი და საჩივარი, მაგრამ იმაუ დროს ეშმაკის სული დასტაკებოდეს გრიგალი ქარი, გადაეღუნოს, გადმოეღუნოს. რომ—თითქოს—ვითომც პარალელური ფორმებია ამ კონსტრუქციაში. შდრ.

არ გაგიგონია, რომ || თითქოს || ვითომც ძველად ვინმე გაფრენილიყოს? საეჭვოა, რომ || თითქოს || ვითომც ბარათაშვილს თავისი თარგმანი შეეტანოს პირველ ნომერში.

გ) პოტენციალისის თუ ოპტატივის გამომხატველ სიტყვებს ეხამება III კავშირებითი; დაკავშირება ასინდეტურია:

ამ კომენტარიებიდან ჩანს, რომ მას უნდა დაეწეროს სო-

ლომონის „იგავთა“ განმარტება:... ასურული ფორმებია, რომელთაც სომხეთზე უნდა გამოევლოს...; შეიძლება სხვაც ეთარგმნოს მას; შეიძლება ქვაც კი დაეშინოს; გისურვებ, (რომ) კარგი დრო გაგეტარებინოს; გისურვებ, (რომ) კარგად ყოფილიყო.

ანალოგიურ შემთხვევებში III კავშირებითი დასტურდება საშუალო ქართულშიც. აი ზოგიერთი მაგალითი:

ჩემის შობის დღით აქამომდე არ ვეჭობ, ჩემგან მუხთლობა ქმნილიყოს, ან რასაც კაცზედ მე ავი რამე მექმნას (ქილილ. 153)[1]; ...ერთგულობა არ მომიკლია, ერთსა რომელსამე ზედა მართებულის ნაკლებობა არ მექმნას და სიკეთე და რიგი გარდამეტებით მის ადგილს მომეყვანოს (ქილილ. 131); რად გგონია ესე, რომე იმაინისებრი ჰაბუკი ჭკუყანასა ზედან დაბადებულიყოს? (ომაინ. 78, 8)[2].

ასეთია III კავშირებითის ხმარების ძირითადი კონტექსტები ახალ სალიტერატურო ენაში. ხაზგასასმელია, რომ ამ კონსტრუქციებში III კავშირებითი არაა ერთადერთი მწკრივი: მის ადგილას რომ II თურმეობითი ჩავსვათ, ეს იქნება სრულიად ნორმალური კონსტრუქცია თანამედროვე მეტყველებაში. მართლაც, ფაკულტატური ფორმები:

არ გვყოლია ასპირანტი, რომ დისერტაცია არ დაეწეროს || არ გვყოლია ასპირანტი. რომ დისერტაცია არ დაეწერა; გამიგონია, ვითომც ლერწამი ობლის საფლავზე ამოსულიყოს || გამიგონია, ვითომც ლერწამი ობლის საფლავზე ამოსულიყო და ა. შ.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში მეტი, ხვედრითი წონა აქვს სათანადო კონსტრუქციებში II თურმეობითის შემცველ ფორმებს.

დასასრულ მოვაბდინოთ შედარებითი ანალიზი..

თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს მთარაჯულს და ზემორაჯულში არ გვხვდება. 1) ბგერითი შედგენილობიდან: ქ, ტიპური ჲ 2) ეე—ოი, 3) სახელების ფუძის სახით წარმოდგენა (სპორადულად), 4) დაწყებითი ბრუნვის -ით, 5) -ში, -ზე თანდებულებზე დაწყებითის -ით ფორმანტის დართვა, 6) ჩი თანდებული -ში თანდებულის ნაცვლად, 7) ოცობითი თვლის სისტემის არქაული ფორმები, 8) გვარისსახელების აფიქსები (-იან, -ენ, -ეთ), 9) მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის

[1] „ქილილა და დამანა“, იღია ჭყონიას რედაქციით, 1886.
[2] „ომაინიანი“. გ. ჯაკობიას რედაქციით. 1937.

თავისებური ფორმა: „მოდიხოდი“, 10) ნ. უწყვეტელში და ნ. წყვეტილში 3 პ. მრავლ. რიცხვის დაბოლოება -ეს, 11) გრამატიკული ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვა ზმნაში ნ-თი, 12) არქაიზმები ლექსიკაში, 13) თავისებურებანი ლექსიკაში (დ ა წ ე რ ა — დაბადება: დ ა ე წ ე რ ა — დაებადა; ო რ კ ე ც ი—ორსული; აქედან: დ ა ო რ კ ე ც ე ბ ა— დაორსულება; კ ე ე ბ ო—ფანჯარა დუროიან სახლში; კ რ ე ნ ჩ ხ ი—მოძველებული ცოცხი; ლ ო ფ ა რ თ ე ბ ი — ფოთლები და ბევრი სხვა), 14) ოსურიდან შემოსული სიტყვები.

თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს ზემორაჭულს და მთარაჭულში არ გვხვდება: 1) ზ-ს დაკარგვა -ზე თანდებულში, 2) ც-ს დაკარგვა სიტყვაში: „მაინც“, 3) -ყე ნაწილაკის ფუნქციით მრავლ. რიცხვის თ, 4) სხვაობანი ლექსიკაში და სხვ.

რა მიმართებაა ზემორაჭულ-მთარაჭულსა და ქვემორაჭულს შორის?

ქვემორაჭულს ზემორაჭულ-მთარაჭულთან ასხვაებს მთელი რიგი ნიშნები. ამათგან აქ მოუთითებთ შემდეგზე: 1) ვე კომპლექსი გვაძლევს ო-ს (ჩოლობრივი, შობილობა, ქომოთ, ქომობარი, იყონ...), 2) -ზე თანდებული არ მარტივდება, 3) ოი კომპლექსში ასიმილაცია ხდება (— ეი), მაშინ როდესაც ზემორაჭულში ეს პროცესი არ დასტურდება, 4) ვითარებითი ბრუნვის ხმოვნითი ნაწილი ა დავიწროებულია და წარმოდგენილია ე-ს სახით: ლაღედ (ლაღად), დიდებულედ (დიდებულად), მოსაყვანედ (მოსაყვანად), ჩუმეთ (ჩუმად), საშველედ (საშველად), და მისთ., 5) ასევე დავიწროებულია ემფატიკური ა ც ნაწილაკთან შეხამებაში: იმანეც (იმანაც), ვისეც (ვისაც), დღესეც (დღესაც), ისედეც (ისედაც), ასევე ფორმებში: იქეც (იქაც), აქეც (აქაც), 6) ვინ და რა ნაცვალსახელებთან -ლა, -ცა ნაწილაკები შებრუნებითაა წარმოდგენილი: ვინცალა, რაცალა. ამის მაგალითები ზემორაჭულმაც იცის; მოვლენა ცნობილია საშუალო ქართულში. შდრ. რუსთაველთან: „ვინცალა კაცრებს, მან ჰკადროს, რაცა ვთქვი, მასცა ვინანი“. — „აწ იგი იქმნას, რაცალა ენებოს ღმრთისა წადილსა“, — მაგრამ ქვემორაჭულში გაბატონებულია ცა-სთვის ა-ს მოკვეცითა და შემდგომი ასიმილაციით ვინცხა, რაცხა; ამათ გვერდით იხმარება იმავე ფონეტიკური ცვლილებებით რაძალა, ვინძალა, 7) ხშირია შემთხვევები -იერ სუფიქსის გამოყენებისა იმ ფორმებში, სადაც -იან სუფიქსი იჩენს თავს სალიტერატურო ენასა და დიალექტებში: ჰკვიერი (ჰკვიანი), სახიერი (სახიანი), ტვინიერი (ტვინიანი), თავიერი (თავიანი), ჯიშიერი (ჯიშიანი), ადამიერი (ადამიანი), და მისთ. უნდა ითქვას, რომ -იერ სუფიქსის ფართო გამოყენება ცნობილია ზოგიერთი ძველი ძეგლიდანაც, მაგალ.. „თამარიანში“ ვხვდებით: საწადიერი, მაძებნიერი, გონებიერი, ციერი, უნათლიერი, ადამიერი და სხვ. ძალიან ხშირია პეტრიწის ენაშიც: მნათობიერი, უმოქმედიერი, ცეცხ-

ლიერი, წყლიერი[1] და მისთ. უეჭველია, ამგვარი არქაული ლიტერატურული ფორმები რომელიმე დიალექტზე ორიენტაციის შედეგია, და ამ მხრივ ქვემორაჭულის მონაცემები (ამასთანავე ქვემოიმერულისა) საყურადღებოა, როგორც მაჩვენებელი იმისა, რომ -იერ სუფიქსის არის გაფართოება სიტყვაწარმოების პროცესებში რეალური ფაქტია და არა ხელოვნური წარმოება ძველი ავტორებისა. ამავე რიგში საყურადღებოა შედარებითი ხარისხის წარმოება უ თავსართითა და ე ბოლოსართით (უხნე, უდიდე), რაც შემონახულია ჩვენს დიალექტში (არის ზემოიმერულშიც), და ძველი ქართულის სათანადო ფორმების ცოცხალ დადასტურებას წარმოგვიდგენენ თანამედროვე ქართულში, 8) პირველი სერიის თემატიკური ნიშნების აღრევა და სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები ნიშანდობლივია ქვემორაჭულისათვის. იგულისხმება ამ ტიპის ნიმუშები: მორთებდა (ტირილს), დაჰკლემს, უზიდამდა, მივდემდით, დაგჩეხამ, ცხოვრებ (შენ) და მისთ., 9) -ან სუფიქსს ზმნაში (მრავლ. რიცხვ.) ხშირად ენაცვლება—ანალოგიით -ენ დაბოლოებიანი ზმნებისა—-ენ: არიენ, ეტყვიენ, მომეხმარებიენ, მოკვდებიენ, გამოსულენ, წასულენ და სხვა. ეგევე -ენ გვხვდება ფორმებში: წევენ (წვანან), დგიენ (დგანან). მყავენ (მყვანან), 10) ა- -თ სუფიქსის ნაცვლად -ენ-ია: მოუხმარებიენ (მოუხმარებიათ), გოუკეთებიენ (გაუკეთებიათ), 11) ჭვე ნაწილაკი, დამახასიათებელი მთლიანად რაჭულისათვის, ზოგჯერ ქვემორაჭულში წარმოდგენილია ჭე-ს სახით (ჭე წეიყვანა, ჭეც დაღამდა...).

ამავე დროს, მთელი რიგი ფაქტები, მიღებული სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებებით (ასიმილაცია-დისიმილაცია, სუბსტიტუცია და სხვა), განსხვავებულია ქვემორაჭულში.

თვალსაჩინო სხვაობა შეიმჩნევა აგრეთვე ლექსიკაში. მაგალითად:

ზემორაჭულშია:	ქვემორაჭულშია:
მოსარვა (ვენახისა)	აშენება (ვენახისა)
ხაპი (საწნახელი)	ხორგო
სკამუკა	ბოკონი
ლოდი	ყაპი
სარი ვენახისა	ხარდანი
ბოში (გოგო)	ბოში (ბავშვი)
მოპიტლა კალოსი (მოსუფთავება)	მოგება კალოსი
წასხმა საქონლისა (გარეკვა)	გადენუა
აკრეფა	ახიკვა,

და სხვ.

---

[1] შდრ. სიმ. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწი — შრომები, 1, 1940.

ქვემორაჭული დიალექტი ნაკლებმონოლითურია შედარებით ზემორაჭულთან და მთარაჭულთან. მთარაჭული ენების მეზობლობაშია და მას არ ხვდება რომელიმე ქართული კილო. ზემორაჭული აგრეთვე ნაკლებს მიმართებაშია სხვა კილოებთან, და ამით აიხსნება მისი შედარებით მეტი კომპაქტურობა და ერთგვაროვნობა. სხვა მდგომარეობაა ქვემორაჭულის სინამდვილეში. მასთან მიმართებაშია ლეჩხუმური, ქვემოიმერული, ზემოიმერული და ქართლურიც—გეოგრაფიული სიახლოვის წყალობით. გარდა ამისა, ქვემორაჭული ტერიტორიულად უფრო განფენილია, ვიდრე ზემოურთა მეტყველება. ამ გარემოებათა გამო ქვემორაჭული მეტი სიჩქარის შთაბეჭდილებას ბადებს, მეტს შინასხვაობათ ავლენს.

ძირითადად ქვემორაჭული ორ ერთეულად უნდა დაეყოთ: ერთი მხრით, გვაქვს საწალიკის მთის გასწვრივ მობინადრე მოსახლეობის მეტყველება, ქვემორაჭის აღმოსავლეთი ნაწილი. იგულისხმება სოფლები: წკადიის, ველევი, ბეთლევი, შხივანა. ეს არის მთიანი ნაწილი ქუმორაჭისა. მას უპირისპირდება ბარის მეტყველება, გავრცელებული უმთავრესად რიონის დაბლობში.

ქვემო რაჭის მთის მეტყველება ძალიან ახლოს დგას ზემორაჭულთან, შეიძლება ითქვას, ერთგვარად გარდამავალი ტიპის დიალექტური ერთეულია ზემო-ქვემორაჭულს შორის. ეს აიხსნება გეოგრაფიული მდებარეობით; ეს რიგი სოფლებისა საწალიკისა და ხიხათის მთის ზოლზე დაკავშირებულია ზემო რაჭასთან; ამ რაიონის მკვიდრნი ზემო რაჭას უკავშირდებიან არა ხიდიკარის ყელით (რითაც ქვემო რაჭის უდიდეს ნაწილს შეუძლია ურთიერთობის დამყარება ზემო რაჭასთან), არამედ მთის ზოლით, მთა-მთა, და ამ მჭიდრო კავშირს, უფრო მოხერხებულს და ტერიტორიული ზღუდის უქონელს, თავისი ბეჭედი დაუსვამს ამ მხარის მეტყველებაზე. მეორე მხრით, მას კავშირი აქვს ზემო იმერეთის სოფლებთან, მთის გადალმა რომ არიან მოქცეულნი. შეიძლება დადგენილ იქნეს გზები, რომლებითაც ისტორიულად ეს ურთიერთობა ხორციელდებოდა: საფაფია, საწალიკე, კვეშლევი. ზემოიმერლებსა და ქვემორაჭველებს შორის ყოველთვის ყოფილა ხშირი მისვლა-მოსვლა, მოყვრობა...

რიონის დაბლობში მობინადრე ქვემორაჭველნი (განსაკუთრებით მდინარის მარჯვენა მხარეზე მოქცეულნი) დაახლოებულნი არიან ლეჩხუმლებთან და ამით აიხსნება საერთო მოვლენები ქვემორაჭულსა და ლეჩხუმურს შორის.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ქვემორაჭულის შინასხვაობათა დაწვრილებითს ანალიზს. საილუსტრაციოდ რამდენიმე შემთხვევაც კმარა. მაგალითები ლექსიკიდან:

ქვემო რაჭის მთის დიალექტურ რაიონში გვაქვს:	ქვემო რაჭის რიონის დაბლობის დიალექტურ რაიონში გვაქვს:
ჩაფი	დორა
დოქი	ჩაფულა
კაკალი	ნიგოზი
წაგობვა	წარეკვა
ბოში = გოგოს	ბოში = ბავშვს
დაფალვა	დახვეტა

სხვა მხრივ აღსანიშნავია შემდეგი: მთის მეტყველებაში კნინობითობის -უნა სუფიქსი ჩვეულებრივია, ბარისაში კი -უკა. ასევე: შდრ. ქვე-ქე, ოი—ეი და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მახვილისა და ინტონაციის სფეროში განსხვავება. მთის ზოლის მეტყველება ქვემორაჭულისა ეზიარებს მთარაჭულისა და ზემორაჭულის წესს მახვილისა და ინტონაციის დარგში, — რიონის დაბლობის მეტყველებას (ე. ი. ქვემორაჭულის ძირითად ნაწილს) ეს კანონზომიერება არ ახასიათებს [1].

---

[1] რაჭული მახვილის შესახებ იხ. ზემოთ ცალკე თავი.

ნართული ეპოსის ქართული ვარიანტები რაჭული დიალექტის მიხედვით

ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკური წრის ზეპირსიტყვაობაში ცენტრალური ადგილი უკავია ე. წ. „ნართულ ეპოსს“. ნართი ლეგენდარული ხალხის სახელია და ამდენად მისი გმირები ლეგენდარულ სამოსელში გვევლინებიან. ის ფაქტი, რომ ეს ეპოსი გავრცელებულია ძირეულად სხვადასხვა ენობრივ სამყაროში, დიდად საინტერესოა ჩრდ. კავკასიის კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. ამავე დროს, ბუნებრივად ისმის საკითხი იმ ერთიანი კულტურული სუბსტრატის შესახებ, რომელზედაც დროთა ვითარებაში დაფენებულა სხვადასხვა ეროვნული ელემენტი ჩრდ. კავკასიის ტომების საკუთარ ფოლკლორულ ფონდებიდან.

ეპოსის ცენტრალური ციკლებია: 1. დასაბამი ნართთა (არხაგი და მისი შვილები), 2. **ურუზმაგი და სათანა**, 3. **სოსლანი (resp. სოზრუყო)**, 4. **ბათრაზი**.

ნართული ეპოსი გამოძახილს პოულობს ქართულ სინამდვილეშიც: მთარაჭულ ფოლკლორში ნათლად დასტურდება ელემენტები ამ სახელგანთქმული ეპოსისა. თუ სიუჟეტური პარალელები ნართული სამყაროს შორეული გამონაკრთომის შთაბეჭდილებას ბადებენ, სამაგიეროდ, ეპოსის ონომასტიკონი სათანადო შეხვედრების უტყუარ სურათს გვიშლის. მთარაჭულში დაცულია ნართული ეპოსის 4 ციკლიდან 3 ციკლი; არხაგი არა ჩანს.

ნართული ეპოსის საკუთარი სახელები მთარაჭულ ენობრივ სამყაროში შემდეგი სახით წარმოგვიდგებიან: **ორიზბეგი || ორიზმგი || ორიზმა; სათანა; სოსურანი || სოსუანი; სიბრიზი || სიბრიჩი || შიბიტი; გენჯე, შავა || შაუ; ბათრიბეგი || ბათოყა || ბათუყო || ბაილუ-ბათოყო || მაირბათი-ყოელი**. გავეცნოთ სიუჟეტების ძირითად ტიპებს.

ალაუგანის (var. ალაგანის) ამბავი

ალაუგანი ცოლად თხოულობს დეევის ქალს — გენჯეს. მოლოგინებისას გენჯეს ლეკვს მიუგდებენ, რომ არ შეშამოს ბავშვი. დაარქმევენ

შავას. ღონიერია. ორიზმეგს. (var. ორიზბეგი, ორიზმა) 2 შვილი ჰყავს: ხოსურანი (var. ხოხუანი) და სიბრიჩი (var. სიბრიზი). ცოლს ჰქვია სათანაა. შვილები ღონივრებია. შავას სურს შეებრძოლოს მათ. შავა სძლევს. დაუტ-მშვენიერი დაეწაძლევება ორიზმეგს, სათანას გულს მოეგებოლ სათანა ჰკვიანია, კარგი დიასახლისი და პატიოსანი. დაუტ მიზანს ვერ აღწევს.

ბათრიბეგის ამბავი

ოცი ძმაა; უმცროსს ბათრიბეგი ჰქვია. ოც და მოიყვანენ ცოლებად. შრაჟალი დაბრკოლება ხვდება ბათრიბეგს.

ხამი ძმა

სამი ძმა: ჯუჯები, თემირბიი, შიბიჟი. პირველი ორი ნადირობს. შავი, ხავსიანი ქვა შეადარეს „საჩერქეზოს ბატონს" ხადაჯუხას. ყვავმა ამბავი მიუტანა. ბატონმა მოიტყუა ძმები და დახოცა. შიბიჟი ჯავრს იყრის: მიუხტება და კლავს ხადაჯუხას.

ბაილუ-ბათოყოს (var. ბათოყას, ბათუყოს, მაირბათი-ყოელის) ამბავი

მონადირემ მოკლა ჯიხვი. თვითონ მიიძინა და თანამტანს დაუბარა, გულ-ღვიძლი შესწვას. თანამტანსაც ჩაეძინა. გამოეღვიძათ, ჯიხვი არაა. აღმოჩნდა იმავ ადგილას, სადაც მოკლეს! უკვირთ. ჯიხვი ამბობს: საკვირველი ბაილუ-ბათოყოს ამბავიაო. გასწიეს ბაილუ-ბათოყოს სანახავად. ბათოყოს ვირები უბია კალოზე. უამბო: ცოლის საყვარელმა ნატურის მათრახი დამკრა და ძაღლად მაქციაო. დიდი თავგადასავლის შემდეგ იგივე მათრახი კაცად აქცევს მას. შემდეგ ცოლს და მის საყვარელს აქცევს ვირებად.

ალავგანიხ ამბავი. სვანური ენის ლენჯერულმა დიალექტმაც იცის. სიუჟეტურად ხვდება მთარაშულ ვარიანტს, ოღონდ სრული არ არის [1]. საინტერესოა იქვე დაცული ხოსრუყვ-ის ამბავი[2].

სოსრუყვი დაიბადა თუ არა, მამა მიიყვანს სოლომონთან (იარაღის ღვთაებასთან) ცეცხლში გამოსაწრთობად. მუხლები რჩება გამოუწრთობელი. სოლომონთან რომ მივიდა, ეს აბრაზებს ნართებს. გამოილაშქრებენ მის წინააღმდეგ. წისქვილის ქვას უშენენ. მუხლებამდის რომ მიაღწიეს, სისხლი გადმოსკდება. შემდეგ კვდება.

ამგვარად, ნართებსა და მათთან დაკავშირებულ პერსონაჟებს შო-

---

[1] სვანური პროზაული ტექსტები. I. ბალსზემოური კილო. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ე. თოფურიამ. 1939, გვ. 413.

[2] იქვე. გვ. 394. ნართული სიუჟეტები სვანურში საფუძვლიანად გამოიკვლია პროფ. ჭ. აბაევმა („Поездка в Сванетию", 1949).

რის ასეთი ურთიერთობაა მთარაჭული მასალების მიხედვით: ორიზმეგის ცოლია სათანაგ, მათი შვილებია: სოსურანი || სოსუანი და სიბრიჩი || სიბრიზი. ალაუგანის ცოლია გენჯე, შვილია შავა. ძმებია: ჯუჯები, თემირბიი და შიბიჟი. ცალკე დგანან: ბათრიბეგი, ბათოყა და ხადაჯუხა.

მთარაჭული სიუჟეტები ბადებენ გარკვეულ რემინისცენციებს ჩრდ. კავკასიურ სიუჟეტებისას: იქაც და აქაც სათანა და ორიზმეგი ცოლ-ქმარია, — სათანა ჩინებული დიასახლისია, სტუმართმოყვარე, ჭკვიანი და ზნეობრივად უბიწო, — ბათოყა ცნობილია გმირობით, შავა შვილია გენჯეხი და სხვ. ჩრდ. კავკასიურ ვარიანტებში ძაღლად ქცევა ორიზმეგთანაა დაკავშირებული, მთარაჭულში კი ბათუყო-ბათოყა-სთან. მაგრამ — ეს არის შეხვედრები ძირითადი მოტივების ხაზით. სიუჟეტების აგება და განვითარება სხვადასხვაა, ე. ი. სიუჟეტის არქიტექტონიკაში სხვაობა თვალსაჩინოა.

ახლა გამოვარკვიოთ: როგორია მიმართება ნართული ეპოსის მთარაჭული ვარიანტების საკუთარ სახელებსა და ჩრდ. კავკასიის ვარიანტების საკუთარ სახელებს შორის.

ორიზმეგი...

მთარაჭულში ეპოსის ცენტრალური გმირის სახელის ვარიანტებია: ორიზმეგ-ი, ორიზბეგ-ი, ორიზმა. შდრ. ო ს. შკრჳზმჳგ, ურუზმჳგ, ორუზმჳგ, ორჳზმჳგ; ყაბარდ. ოზჳრმეგ...; ქისტ. ორზმი, ორჳზმან.

ვ. აბაევი ამ ძირს უკავშირებს ირანულ შარაზმან-ს[1]. მასთან ახლოა ქისტ. ორჳზმან (და ქართ. ორიზმა). ჳგ ოსური სუფიქსია. ქართ. (resp: მთარაჭ:) ორიზმეგ-ი ახლო დგას ოსურ (resp. დიგორულ) ორჳზმჳგ-თან. რაც შეეხება ბ-ს ვარიანტში — ორიზბეგ, შეიძლება იგი ახსნილიყო ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე ბეგ-თან დაკავშირებით (შდრ. იმავე კილოში ბათრიბეგი და სხვ.). ორიზმა შეკვეცილი ფორმაა, და იგი საინტერესოა იმ მხრივ, რომ, ჩანს, ოს. ჳ ა-დაც გადმოსულა ქართულში (დანარჩენ ვარიანტებში ე-დ გადმოდის).

სათანაგ

ეპოსის მეორე პოპულარული გმირი-ქალის სახელი სათანაგ მხოლოდ ერთი ფორმით გვხვდება მთარაჭულში. შდრ. ო ს. სათანა, ყაბარდ. სათანეგ, დიუმეზილი სათანა-ს უკავშირებს სომხ. სათინიკ-ს, და ამ იგივეობას ამაგრებს სათანადო სიუჟეტების შედარებითი ანალიზითაც[2].

---

[1] В. И. Абаев, О собственных именах нартовского эпоса: „Язык и мышление", V, 1935, გვ. 66.

[2] G. Dumésil, Legendes suz Nartes, 1930.

ეპოსის III ციკლის ცენტრალური გმირი მთარაჭულში გვხვდება ორ ვარიანტად: სოსუან-ი, სოსურან-ი, შდრ. ო ს. სოზგრეყო სოზრყოუ. სოზურუყო; უ ა ბ ა რ დ. სოსრუყო. ოსურში ეს გმირი სოსლან-ის სახელწოდებითაც გვხვდება (ვარიანტებში).

ნათელია, რომ ეს სიტყვა ოსურში და სხვაგან გაფორმებულია უაბარდოულ... ნიადაგზე: ყო, ყუა (შვილი) ამ ენობრივი წრის ცნობილი სუფიქსია. ამგვარად, ელებულობთ: სოზგრ-სოსრ-ის შვილი. ძირეული მასალა სოზგრ-სოსრ ირანულ ნიადაგზე არ იხსნება; იგი გამხოლოებული ჩანს ჩვენი ეპოსის ენობრივ სამყაროში. ამავე დროს, მისი დაკავშირება სოსლან-თან შეიძლება სიუჟეტური ვარიანტებითაც. თუმცა სოსლან-ი ოსურში გავრცელებულია და ამ სახელს ისტორიული ტრადიციაც ზურგს უმაგრებს (შდრ. ქართული წყაროებიდან დ ა ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი),—მაგრამ არც ამ სიტყვის გააზრიანება ხერხდება ოსურის (ირანულის) სინამდვილეში.

მთარაჭული სოსუანი შეგვეძლო დაგუეკავშირებინა სოსლან-თან: უ მიგვეჩნია ლ-ს რეფლექსად. ამ ვარაუდს ხელს შეუწყობდა ის ფაქტი, რომ, მართლაც, მთარაჭულში ეს შესაძლებელია, რამდენადაც .აქ ლ ღრმა ანუ უკანაენისმიერია (შდრ. რუსული დიალექტებიდან: устал→ устау). მაგრამ ამ ვარაუდს ხელს უშლის იქვე დაცული მეორე ვარიანტი სოსურან-ი, რომელიც სხვა მხრით წარმართავს ჩვენს ფიქრს. სოსურან-ის შეპირისპირება ზემოაღნიშნულ სოზგრ-თან და სოსლან-თან გვაფიქრებინებს, რომ ამოსავალია სოზგრ. საიდანაც ან-ის დართვით მივიღეთ: სოზგრ-ან—სოსურ-ან—სოსრან—სოსლან. ხომ არ არის ეს -ან ქართული წარმოშობისა, და ამგვარად, სოსლან-ი ქართული კონსტრუქციის სიტყვა? ამ მოსაზრებას ესაჭიროება შემოწმება.

სიბრიზი...

ამ ეპიზოდური გმირის სახელიც ვარიანტულია: სიბრიზი, სიბრიჩი, და, შესაძლოა, შიბიჟი-ც. შდრ. ო. ს. სგბალც, სუბალც, უ ა ბ ა რ დ. სგბგლში..: ერთი ძირისა ჩანან.

გენჯე

დევი-ქალის სახელია გენჯე. შდრ. ოს. ჩანძ, ქუნძ; უ ა ბ ა რ დ. ქანჯ, ბ ე ე დ უ ხ. ჯანდე. ამ პარალელს ამაგრებს სიუჟეტური საბუთიც: გენჯეს შვილია შავა, და ასევეა ოსურ-უაბარდოულშიც.

შავა...

გენჯესა და ალაუგანის შვილია შავა, შაუ. შდრ. ოს. სӕвӕд, მალყ. შაუად, ბეედუხ, სევად.

ბათოყა...

I

ეპოსის IV ციკლის ცენტრალური გმირის სახელი მთარაჭულში წარმოდგენილია შემდეგი ვარიანტებით: **ბათუყო, ბათოყა, ბაილუ-ბათოყო, შაირბათი-ყოელი, ბათრიბეგი.** შდრ. ოს. **ბათრაძ. ბათურაზ, ბათრაზ; ყაბარდ. ბათურეზ; ჭისტ. პატარაზ.** ეს სიტყვა მოსღოლურ-თურქულ წარმოშობისადაა მიჩნეული. იგი შეიცავს მონღოლურ და თურქულ ენებში გავრცელებულ ფორმებს: **ბათირ, ბათურ,** რაც ნიშნავს გამბედავს, გმირს. არ არის ნათელი დაბოლოება **აძ, აზ** (ბათრაძ. ბათურაზ.). ვ. აბაევისათვის დასაშვებია მისი დაკავშირება ოსთა ძველ სახელწოდებასთან **ას-თან: ბათჳრ-აზ=богатырь осский,** და თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ შესანიშნავად ეფარდება ამ ფორმას ქართული მატეანიდან ოსთა მეფის სახელი **ოხი-ბაღათარ.** მთარაჭულში დაცულია **ბაღათარ** გმირის მნიშვნელობით ლექსში: „ცხრანი ძმანი ვიყვენით—ოვსნი, დვალნი—ბაღათარნი"[1].

მთარაჭულ ფორმებში ჩვენ ადვილად უიცნობთ ამავე მასალას, თუ გამოვყოფთ **ყა, ყო-ს: ბათუ-ყო, ბათო-ყა, ბაილუ—ბათო-ყო.** აქვე შეიძლება **შაირბათი-ყოელ-ი:** ქართულ ნიადაგზე განკვეთილი ჩანს სიტყვა; წინა ნაწილი მიკრულია ძირითად მასალასთან: **შაირ-ბათიყო-ელ.** აქაც იგივე სიტყვაა. არ არის ჩემთვის ნათელი **ბაილუ, შაირ** ელემენტები. **შაირბათი-ყოელი** რომ იგივე უნდა იყოს, რაც **ბათოყა,** ეს ჩანს სიუჟეტური მასალიდანაც: ერთს ვარიანტში **შაირბათი-ყოელი** გველინება. სოლო მეორეში **ბათუყო, ბათოყა** ან **ბათრიბეგი.** ეს უკანასკნელი კი უეჭველად იმავე ძირის შემცველია: **ბათრ-ი-ბეგ.**

როგორც ჩანს, ამ გმირის სახელი მთარაჭულ ვარიანტებში ჩერქეზული გაფორმებითაა გავრცელებული. მეგრულშიც გვაქვს **ბათაყვა,** როგორც საკუთარი სახელი.

ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობენ თუშური და ხევსურული მონაცემები, რომლებიც სიუჟეტურად და ონომასტიკონით ენათესავებიან ჩრდ. კავკასიურ (შესაბამისად—ნართული ეპოსის) მასალებს. მთაოუშეთში 1942 წ. ჩავიწერე ორი ვარიანტი. შინაარსი: მონადირე გაწბილებულია, ვერ კლავს ნადირს. დგება ერთ გაზსნილ კლდეში. ადგილის დედას მოუხმობენ ეშმაკები — ნადიმზე დაეწვიონ სტუმრიანად. არის

---

[1] ბაღათა(რ) საკუთარი სახელიცაა მთარაჭაში.

დიდი ღრეობა: სამ ჯიხვს შეექცევიან. ერთი ეშმაკი ამბობს: დღეს ნადირს ვეპარებოდი და ერთი მონადირე გავაწბილეო. ბოლოს მოაგროვებენ ჯიხვების ძვლებს (ერთი მათგანის ბეჭი მონადირემ მდინარეს გაატანა საიდუმლოდ). ნაკლული ბეჭის ადგილას ხისაგან გამოჭრილ ბეჭს მოათავსებენ. შეუძახებენ: „ადეგ, ადეგ, ხეჭეჭაო, ხისა გიდგავ ბეჭადაო“. ჯიხვები გაცოცხლდებიან და გაიქცევიან. მეორე დღეს ეს მონადირე კლავს ხის ბეჭიანს... ხევსურული ვარიანტი გამოაქვეყნა აკაკი შანიძემ წიგნში: „ქართული ხალხური პოეზია, 1; ხევსურული“ (1931 წ.). 720 ნომრად მოცემულია ნაწყვეტი: „ადეგ, ადეგ, ხეჭეჭაო, ხისა გიდგავ ბეჭადაო“. „შენიშვნებსა და ვარიანტებში“ ა. შანიძე ამასთან დაკავშირებით ამბობს: „აჯობებდა, რომ ამისთვის სათაურად მიმეცა „ხის ბეჭი“ და თქმულებათა შორის მომექციაო“. ამოუღია იგი თქმულებიდან, რომელიც ჩაუწერია გ. წერეთელს ბარისახოში. თქმულების სათაურია „ბათირის ამბავი“. მონადირემ მოკლა ჯიხვი, გაატყავა და გულ-ფილტვის შეწვა დაიწყო. ამასობაში ჯიხვი გაცოცხლდა და გაიქცა. გაუკვირდა მონადირეს. ჯიხვმა მიაძახა: საკვირველი ბათირის ამბავიაო! ამის შემდეგ მონადირე მიდის ბათირთან, იგი უამბობს თავის საკვირველ თავგადასავალს: ეშმაკებთან უქეიფია, ჯიხვის ხორცი უჭამიათ, ძვლები მოუგროვებიათ, მას ბეჭი გადაუმალავს, ხის ბეჭი გამოუთლიათ და ჩაუდუღაბ, ჯიხვი გაცოცხლებულა, შემდეგ ბათირს მოუკლავს ხის ბეჭიანი. მეორე საკვირველება: რძალს მათრახი დაუკრავს მისთვის და ძაღლად უქცევია, მგლები დაუგლეჯია ძაღლადქცეულს, შემდეგ ისევ გაკაცებულა.

ა. შანიძის აზრით: ა) „ბათირის ამბავი“ წარმოადგენს ვარიანტს ხალხური თქმულებისას, რომლითაც უსარგებლია ვაჟას („ხის ბეჭი“), ოღონდ მონადირის სახელი ხალხურში **ბათირია**, ვაჟასთან **ბალა (ბალია)**; ბ) „ბათირის ამბავის“ ფიქსირებული ვარიანტის მეორე ნაწილი (ძაღლად ქცევის მოტივი) ხელოვნურად არის დაკავშირებული პირველთან; იგი სხვა ჩანს.

რადგანაც ხევსურულ (და თუშურ) ვარიანტს მნიშვნელობა ენიჭება ვაჟა ფშაველას „ხის ბეჭის“ ფაბულის თვალსაზრისით, იგი ღირსია საგანგებო ყურადღებისა. გამოსარკვევია „ბათირის ამბავის“ სადაურობა და მორფოლოგიური აღნაგობა.

ჩვენი კვლევა-ძიებისათვის მნიშვნელოვანია ბათირის ხევსურულ-თუშური თქმულების მთარაჭული ანალოგიების გათვალისწინება. ჩემს მთარაჭულ დიალექტოლოგიურ მასალებში (1930 წ.) არის 3 ვარიანტი. შონადირემ მოკლა ჯიხვი (სხვა ვარიანტით — ირემი), გაატყავა, გულ-ფილტვის შეწვის დროს ჩაეძინა. ჯიხვი გაქცეულა. დაედევნა. უკვირს, საკვირველი ბაილუ-ბათყოს (სხვა ვარიანტით—მაირ-ბათიყოლის) ამბავიაო! მიდის მასთან. იგი უამბობს ძაღლად ქცევის, მგლების დაგლეჯისა და კვლავ გაკაცების საკვირველ ამბავს. სხვა ვარიანტიდან: მონადირე კლავს „ნაწილიან“, რქაამობრუნებულ ჯიხვს. მწვადებს შეექცევა.

ჯიხვი ცოცხლდება და გარბის. ადევნებულ მონადირეს ჯიხვი მოაძახებს ვერ მომკლავ, — უფრო საკვირველი ამირან-ბათუყოელის ამბავიაო. მონადირე მიდის მასთან, უამბობს: მიუპატიჟებია ნადირთ ანგელოზს გახსნილ კლდეში. პურს არა ჭამა, სამჯერ მიმართვის შემდეგ ნადირთ ანგელოზი ლოცავს — უხვად მოეკლას არჩვი და ჯიხვი, აღსრულდა შენაპირები: ყოველდღე ჯიხვსა კლავს, ყოველ მესამე დღეს არჩვსა.

ხევსურულ-თუშური და მთარაჭული ვარიანტების ერთგვაროვნება ეჭვმიუტანელია. მთარაჭული მასალა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ლიტერატურაში გაკვრით გამოთქმული ეჭვი, თითქოს ხევსურულ თქმულებაში მეორე ნაწილი (ძაღლად ქცევა) სხვა სიუჟეტის მასალა იყოს და ხელოვნურად დაკავშირებული ბათირის თავგადასავალთან, არ მართლდება. ძაღლად ქცევის მოტივი ორგანული და არსებითი ნაწილია ბათირის თქმულებისა რაჭულშიც. გარდა ამისა, ამ ერთიანობის დამამტკიცებელია შემდეგი შტრიხი: აქაც და იქაც მათრახის ძალა ჩანს: მათრახი გააცოცხლებს ნადირს, მათრახივე გადააქცევს თქმულების მთავარ გმირს ძაღლად! მათრახის საშუალებით ცოცხლდება ნადირი აგრეთვე ჩრდ. კავკასიურ ვარიანტებშიც... მაშასადამე, ჯიხვისა თუ შველის გაცოცხლება და ადამიანის ძაღლად გადაქცევის მოტიფები გაერთიანებულია ერთ სიუჟეტურ მთლიანობაში გრძნეული მათრახის საკვირველი უნარის მიხედვით... განსხვავება ხევსურულ-თუშურსა და მთარაჭულ ვარიანტებს შორის ხის ბეჭის მოტივთან იჩენს თავს. მაგრამ, ვფიქრობთ, მთარაჭულს ეს ამბავი აკლია. ეს ჩანს შემდეგიდან: როგორც ხევსურული, ისე მთარაჭული თქმულება იწყება გატყავებული და გულფილტვამორთმეული ჯიხვის (თუ ირმის) გაცოცხლებით. სახტად დარჩენილ მონადირეს ნადირი ეუბნება: ეს ნუკი გიკვირს, საკვირველი ბათირის (შესაბ. ბაილუ-ბათოყოს...) ამბავიაო! ლოგიკურად ეს „საკვირველი ამბავი“ უნდა გულისხმობდეს იმავე რიგის ამბავს, ე. ი. გატყავებული ნადირის გაცოცხლებას და ამასთან დაკავშირებულ უფრო რთულ კოლიზიას. და მართლაც: ხევსურულში ბათირის თავგადასავლიდან პირველი საკვირველებაა (მათრახის გადარტყმით) გაცოცხლება მთლიანად ხორცგამორთმეული ჯიხვისა (და არა მხოლოდ გატყავებულისა, როგორც ეს მონადირესთან მოხდა), რომელსაც, სხვათაშორის, ხის ბეჭი ჩაუდეს. ეს ბუნებრივი განვითარება ამბისა მთარაჭულ მასალაში გამოტოვებულია. თუ აქ ხის ბეჭის დეტალი არ არის, იგი შემდეგდროინდელი სიუჟეტური ტრანსფორმაციის შედეგი უნდა იყოს. ამას მოსდევს მეორე საკვირველებაც ძაღლად ქცევა, რაც საერთოა ორივე ვარიანტისათვის.

გათვალისწინებულ ქართულ თქმულებას, რომელსაც ხევსურულ-თუშურ-მთარაჭული განშტოებანი გააჩნია, პარალელები ეძებნება ჩრდილოეთ კავკასიის ფოლკლორულ ფონდებში. შეხვედრები დასტურდება როგორც საკუთარ სახელებში, ისე სიუჟეტის კომპოზიციაში.

რაც შეეხება სიუჟეტურ ანალოგიებს, უნდა აღინიშნოს, რომ ძველ-ბის მოგროვებით ნადირის გაცოცხლებისა და ხის მასალის ჩატანების ამბავი იცის აფხაზურმა, ჩაჩნურმა და ოსურმა ზეპირსიტყვაობამ[1]. ნიკო ჯანაშიას ცნობილ ნაშრომში აფხაზთა ეთნოგრაფიიდან მოცემულია ჩვენთვის საინტერესო მასალა. ნადირს ჯოხს ან დანას ჩაუდებენ[2]. ნ. ჯანაშიას მეგრული ვარიანტიც ჩაუწერია. ჩაჩნურ უარიანტში ხის ბეჭს ჩააყოლებენ ძვლებში ქართულისებურად[3]. ოსურში ნეკნს გადამალავს ჰონადირე და მის ადგილას ბზის ტოტს ჩააყენებენ[4].

ვაჟა-ფშაველას პოემა „ხის ბეჭი" აგებულია ზემოგანხილულ ქარ-ულ-კავკასიურ თქმულებაზე. ოღონდ პოეტს ვითარებანი გაშლილი აქვს უფრო რეალისტურ ფერებში, ვიდრე ეს ხალხურშია. ასე, მაგალითად, აფხაზურ ვარიანტში ღრეობენ ღმერთები, ჩაჩნურში—ცალთვალა გოლი-ათი ქალები, ოსურში — წვინდანები, თუშურ-ხევსურულში — ეშმაკები, ეთარაჭულში — ნადირთა ანგელოზი სხვა ანგელოზებთან ერთად, ხოლო ვაჟას გამოყვანილი ჰყავს ჩვეულებრივი ადამიანები... გარდა ამისა, ვაჟას-თან მონადირეს ჰქვია ბალია (ბალა) და არა ბათირი, როგორც ეს ხალ-ხურშია. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს იგივე სიტყვაა, რომელიც მოცემულია მთარაჭულ ვარიანტში: ბაილუ-ბათოყო. ორი სახელის გაერთიანება ცნო-ბილია საერთოდ, და თვით ნართული ეპოსიდანაც: ამავე სიტყვას (ბატურ) ერთვის მეორე პერსონაჟის სახელი (ხაბიჩი) მონღოლურ ეპოსში: ხაბიჩი ბატურ[5].

ქართულ ზღაპრებში, საერთოდ, ნადირის ძვალი სასიცოცხლო ძა-ლის მქონედ არის მიჩნეული (მაგ., ძვალზე ხე ამოდის, ძროხის დამარ-ხული ძვლებიდან რაში ცოცხლდება და სხვ.). ამასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული წეს-ჩვეულებანი (ძვლების დამარხვა, დაწვა, წყალში გადაყრა...)[6]. ყოველივე ამას მივყავართ ძველ ანიმისტურ მსოფლმხედველობამდის, და ამის ანარეკლი ცხადად ჩანს ხის ბეჭის მოტივის შემცველ თქმულებაში, რომელიც გაკრცელებული ყოფილა ქართულ-კავკასიურ ზეპირსიტყვაობაში და რომელიც საფუძვლად დას-დებია ვაჟა-ფშაველას შესანიშნავ პოემას „ხის ბეჭს".

სიუჟეტური ანალოგიებისა და საკუთარ სახელთა ერთგვარობის გამორკვევის შემდეგ, უნდა ვიკითხოთ: იცის თუ არა ქართულმა (resp.

---

[1] ეს საკითხი გამორკვეული აქვს თინ. ოჩიაურს. აქ ვსარგებლობ მისი მოხსენებით.

[2] Христианский Восток, 1915, стр. 107—108.

[3] Сказки и легенды чеченцев. Владикавказ, 1882, გვ. 6—8.

[4] Баранов, Из осетинской народной словесности. СМОМПК, вып. XXVII, გვ. 65.

[5] В. Абаев, იქვე, გვ. 68.

[6] ა. რობაქიძე, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში (საქ. მეც-ნიერებათა აკადემია — ისტორიის ინსტიტუტი), 1941 წ. გვ. 162.

მთარაშულმა) ამ ეპოსის ტომური სახელი ნართი იცის,—და ამის დამადასტურებელია სათანადო კონტექსტებში სიტყვები: ნართი-ხალხი, ნართები, ნართის ჭალაჭი („რაც ამ ვაჟკაცმა ქნასო, ნართის ქალაქმა ზღოსო").

ყოველივე ამის შემდეგ გამოსარკვევია საკითხი: საიდან უნდა შეისულიყო მთარაშულში ნართული ეპოსი?

ვნახოთ, რა მიმართებაა საერთოდ მთარაშველებსა და ჩრდ. კავკასიის ტომებს შორის როგორც ლინგვისტურად, ისე ფოლკლორის თვალსაზრისით.

მთარაშული ისეთი მეტყველებითი სინამდვილეა, რომელსაც დაუცავს ოსთა არქაული ტომური სახელი ოვს-ი, დამახასიათებელი ძველი ქართულისათვის. ამასთანავე, ყურადღებას იპყრობს ფაქტი, რომ ამავე კილოში ამჟამადაც ცოცხალია მეორე ტომური სახელი დვალ-ი. მესამე მხრით, ოსები დიგორლების სახელითაც არიან ცნობილი მთარაშაში. აქედან: ოვსეთი, დვალეთი, დიგორი. რა მიმართებაა ამ ტერმინთა შორის?

ცნობილია, რომ ამჟამად ოსური შეიცავს სამ დიალექტს: ირონულს, დიგორულსა და დვალურს. ამ სამი ტომური ერთეულიდან მთარაშული არ იცნობს ირონელთ. საინტერესოა შემდეგი გარემოება. მთარაშულში ოსები ჩვეულებრივად იწოდებიან დიგორლებად, ხოლო დვალ-ი და ოვს-ი სასაუბრო ენაში თითქმის არა გვხვდება; იგი პოეტური ფოლკლორის ფაქტებში იჩენს თავს. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ოვსი-დვალი არქაული იერის მატარებელი ტერმინებია. ამავე დროს, ეს ორი ტომური სახელი ამ დაპირისპირებით იხმარება ხშირად: ოვსი და დვალი" [1]. მაგალ.,

მაღლა მთას მოდგა უცხო მფრინველი, ორბი ფრთიანი,
ძღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი, დიდი ლაშქარი ოვსი და დვალი.

აგრეთვე:

ცხრანი ძმანი იყვენით—ოვსნი, დვალნი—ბაღათარნი,
ახამ ნეფეს დაჲ მოეტაცეთ, მასზე მოეხმარეთ ხელი.

რით აიხსნება ეს დაპირისპირება?

გ. ახულედიანმა ყურადღება მიაქცია ვახუშტის შემდეგს ცნობას: „...გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა კვალად დვალადეე"; ანდა: „... არამედ დვალნი უმდაბლესნი არიან გვარითა... ენა აქუთ ძველი დვალური (ფრანგ. თარგმანში: ils parlent L'ancienne langue dwale, — Brosset) და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად, ვინაითგან

[1] გ. ახულედიანი, ოსური ენის ისტორიისათვის: „ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე", V, 1925.

ჩერქეზთა ენა სხვა არის"[1]. ამ ადგილიდან ირკვევა როგორც წოდებრივი ურთიერთობა ოსთა (ალბათ ი რ ო ნ თ ა) და დუალთა, ისე ენობრივიც. გ. ახვლედიანი ეარაუდობს, რომ ოსნი (resp. ირონები) შემოჭრილან დვალეთში და გაბატონებულან დვალებზე. ეს დვალებია, რომლებიც გადმოდიან ქედის გადმოღმა მალრან-დვალეთით და შემდეგ უფრო სამხრეთ-დასავლეთისაკენ; ეს დვალებია, რომელთა შესახებ ვახუშტი ამბობს: „სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტიანები და სამწყოსნი ნიქოზისანი, და უფროს დვალნი". რაც შეეხება „ენა აქუთ ძველი დვალური და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად", ეს იმას მოწმობს, რომ დვალები, საკმაოდ განსხვავებულ დიალექტზე (და არა სხვა ენაზე: შდრ. „ჩერქეზთა ენა სხვა არის") მოლაპარაკენი, ითვისებენ ირონულ დიალექტს („ოსურსა საკუთრად").

ხომ არ არის ოსურისა (resp. ირონულისა) და დვალურის ადრინდელი დაპირისპირების რემინისცენცია მთარაშულ არქაულ მეტყველებაში „ოვხნი და დვალნი"-ის გამოთქმის სახით?

რაც შეეხება ტერმინს დიგორი (აქედან დიგორელი), როგორც აღინიშნა, იგი გაბატონებულია სასაუბრო ენაში და, ამასთანავე, ლექსებში (შდრ. „დიგორს ჩამოსხდეს ვეზირნი, რჩეულნი, ბადელოანნი"[2]).

ჩვენთვის საინტერესო ეპოსის მთარაშულში გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ი ს ე ზ ე ბ ი ს გამოსარკვევად სიმპტომატურია ოსურ-მთარაშული ლექსიკური შეხვედრების გათვალისწინება.

1. მთარაშულში ოსურიდან ნასესხებია ისეთი მნიშვნელოვანი ცნების გამომხატველი სიტყვა, როგორიცაა ლაპარაკი, საუბარი,—ესაა ნახშობა. ოსურში გვაქვს: ნჳხახ || ნიხახ. ეს. მილერით: ნჳხას= слово, разговор, беседа; Wort, Rede, Gespräch, Unterhaltung, Gmeindeversammlung, Gemeindeversammlungsplatz...[3]

მთარაშულში ეს სიტყვა მკვიდრად ფეხმოკიდებულია (შენახშება, ენახშობ, გადაენახშა, წამენახშა...). ამ ფორმის ქართულ სინონიმთა გამოყენების არე შეიწროებულია. აქედან: ხანახშო ტექნიკური ტერმინია: ეწოდება სოფელში თავშესაყარ ადგილს, სადაც იკრიბებიან სამასლაათოდ. ზმნური ფორმა ამ სიტყვისა მთარაშულშია, ხოლო ხანახშო ზემორაშულშიცაა გავრცელებული. (შდრ. место аульного схода: მილერი).

2. მთარაშაში სუანური მურყვამის ტიპის ქვის სახლს დუროიანი სახლი ეწოდება. დურო ამჟამად ჰქვია კედლებში გამოჭრილ სარკმლის

---

[1] გ. ახ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ისტორიული ცნობა დვალეთისა და დვალების შესახებ ენიმკი-ს მოამბე". X. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით („მიმომხილველი", I, 1949). დვალები ოსები არ არიან.

[2] აქვე აღვნიშნავთ, რომ რაჭაში გავრცელებულია გვარისსახელები: დვალი, დვალიშვილი.

[3] Вс. М и л л е р. Осетинско-русско-немецкий словарь. Под ред. и с дополн. А. Фреймана II, 1929, გვ. 897.

მსგავს არეს, რომელსაც გარედან იცავს თლილი ქვის თაღები (ქონგურები). აქედან ძველად ჰყრიდნენ საგანგებოდ ატანილ ქვებს, როდესაც კოშკს მტერი მიუახლოვდებოდა. სავარაუდოა, თავდაპირველად **დურო** ერქვა კოშკს, ციხის მე-4 სართულს, სადაც მოთავსებული იყო აზიდული ქვები მტრის თავზე დასაშენად. შდრ. „ციხისა დუროს შეიჭრა, მაღლა დაიწყო ხმიანი: ვაქებო, ფრთხილად იყვენით, საქმეა ღალატიანი“. გვაგონდება ოს. **დურ** (ქვა).

3. კავის მხარს **გვინოლს** უწოდებენ ზოგჯერ. შესაბამისია ოს. **გინონ, გუინონ.**

4. **ი ა მ ა ნ**-ი ცხენის სენია. ოსურში **дзӕгъӕ -чума, повальная болезь** (მილერი).

5. **თალაყაურ**-ი ტყლიპის ტკივილია. შდრ. ოს. **თაწლაჳ.**

6. **ჯიკა** ეწოდება რძეში გამომცხვარ პურს ან მკვდს, რომელშიც ყველს ჩაატანენ. შდრ. ოს. **ძიქქა.** საბას ცნობით. „ჯიკა ჩერქეზნი უწოდებენ ახალს ყველს, რომელსაც მოზელენ ძალიან, კელით გამოსჭყლეტენ და რაც სიპოხე გამოუა, იმ გამონაჭყლეტს იმაში მოსწვენ და სტუმარს უთავაზებენ. კარგია საჭმელად“[1].

7. ოსურ ყაიდაზე გამომცხვარ პურს **ჭარჯინას** უწოდებენ (ნაცარში გამომცხვარი კვერია). გადატანით ცუდად გამომცხვარ პურსაც ეძახიან. სიტყვის ნეგატიური შინაარსი კარგად ჩანს ერთი ცნობილი ლექსიდან: „გეჭამოს ოსის ჭარჯინა, გამოდგომოდე თხებსაო“. ოსურში არის **ჭარძინ** (მილერით: **хлеб [ячме́нный, просяной, кукурузный]**). სხვათა შორის: ეგევე სიტყვა დაცულია სვანურ ლექსში: „ვო, საბრელა ბაპარ ნიშგეე, ქჳრჯინს ჯამინეხ საეჯაში“:ო, საბრალო ჩვენო მღვდლებო, საეთის ჭარჯინს გაჭმევენ[2].

8. დაცულია ტერმინი **მუჯირა** — რკინაწამოცმული ხის ჯოხი. შდრ. ოს. **მუძურა** (მილერი: **копье, штык**). სვანურშიცაა დაცული (**მუჯირა**). შემონახულია ლეჩხუმურ დიალექტშიც (**მუჯურო**)[3]. ვერ ვიტყვით, ეისი კუთვნილებაა ეს სიტყვა.

9. **იზბირი** — კავი. შდრ. ოს. **ძგბგრ.**

ფონეტიკური სახეცვალების მხრივ აღსანიშნავია:

1. ოს. **გ** — ქართ. **ა** (ნგხას — ნახშობა; **ჯამგნგ** — იამან);

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, 1928.

[2] სვანური პოეზია. 1. სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ და მ. გუჯეჯიანმა, 1939, გვ. 24.

[3] ეს სიტყვა ზემორაჭულმა და ქვემორაჭულმა არ იცის; იცის მხოლოდ მთარაჭულმა და ლეჩხუმურმა. ამიტომ, უნდა. ვიფიქროთ, ლეჩხუმურში სვანურიდანაა ოგი შემოჭრილი. მ. ჩიქოვანი ლეჩხ. ლექსიკონში მუჯუროს განმარტავს, როგორც კომბალს. მ. ალავიძის ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც ჯოხის ბოლოზე წამოცმული რკინა. ამავე დროს, მას ჰურის ფსკერის მნიშვნელობაც ჰქონია.

2. ოს. ძ — ქართ. ზ (ძგბგრ — იზბირ);

3. ოს. ძ — ქართ. ჯ (ქაწრძინ — ქარჯინა; მუძურო — მუჯირა; ძიქქა — ჯიკა);

4. ოს. ᲃ — ქართ. ა (ᲃᲛᲫგნგ — იამან; ქაწრძინ — ქარჯინა და სხვ).

ჩვენს კილოში დაცულ ოსურ სიტყვებს მნიშვნელობა აქვთ ოსური ენის ისტორიისთვისაც. გ. ახველედიანმა გამოარკვია, რომ ირონულ-დიგორული სისინა აფრიკატებს (ც—ძ—წ) დვალურში შეესატყვისებოდა შიშინა აფრიკატები (ჩ — ჯ — ჳ), მაგრამ ეს იყო დვალურის ძ ვ ე ლ ს ა ფ ე ხ უ რ ზ ე (იალღუძისა და როზენის მიხედვით), თორემ ა მ ჟ ა მ ა დ ისინი შიშინა სპირანტებად ქცეულან... ეს არქაული ვითარება შესანიშნავადაა წარმოდგენილი მთიულურში (ქარჯინა, შდრ. თანამედროვე ოს. ქწრძინ; ჯიკი, შდრ. თანამედრ. ოს. ძგქქა; მუჯირა, შდრ. თანამედრ. ოს. მუძურო). უეჭველია, ქართ. დიალექტში თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ კი არ ვანვითარებულა ოს. ძ-ს შესატყვისად ჯ, არამედ ეს ფორმები ძველად ნასესხები „დვალური ფორმებია“, და ამდენად წარმოგვიდგენენ ოსური ენის ძველ ვითარებას. ამ მაგალითების სახით მრავლდება გ. ახველედიანის დებულების საილუსტრაციო ფაქტები, და ისინი გვერდში ამოუდგებიან იალღუძისა და როზენის ძველი ჩანაწერებიდან სათანადო ფორმებს[1].

თუ იმასაც დავსძენთ, რომ მთიულურ ზეპირსიტყვაობას ყაბარდოულ... სამყაროსთანაც აკავშირებს მთელი რიგი ციკლები ხადაჯუხასი, თათარ შაუსი, აღრჯევანისა და სხვათა, — ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ნართული ეპოსის დამკვიდრებისათვის ჩვენს სინამდვილეში სათანადო საფუძველი არსებულა როგორც ოსური, ისე ყაბარდოული... ენობრივი წრიდან. საკუთარი სახელების შეღარებითი ანალიზი გვავარაუდებინებს, რომ ამ ეპოსის ელემენტები შემოსულა ქართულ ენობრივ სინამდვილეში ორივე ზემოაღნიშნული წყაროდან.

ბათრაზის ციკლის მასალა განსაკუთრებით ყაბარდოული წრისა ჩანს. ბათუყო-ბათოყა სიტყვების სტრუქტურა ამაზე მიუთითებს: აქ ყა ყაბარდოული მასალაა. მართალია, ამ სტრუქტურის ფორმები ოსურის ჯ ზითაც შეიძლებოდა შემოსულიყო (შდრ. ოსურში სოზრუყო), მაგრამ ბათურ-ის მასალასთან ყვა-ყა არა ჩანს ოსურში. როგორც სიმ. ჯანაშიამ მიუთითა, ყაბარდ. ყუა ქართულში გადმოსულა ყვა-ს სახით (ინგოროყვა, ართილაყვა...), ამავე ძირისა და მნიშვნელობის უბიხური ჭუა ჭვა-

---

[1] თანამედროვე ოსურში, მაგალ., არის ქწრძინ (ირონიულ-დიგორ.) და ქწრჯინ. ძველ საფეხურზე უნდა ყოფილიყო ქწრჯინ. და ეს თეორიულად აღდგენილი ფორმა დაუცავს სწორედ ქართულ დიალექტებს (მთიულის გარდა შენახულია ქართლურშიც, ოღონდ იმ სოფლების მეტყველებაში, რომლებიც აკრავს ოსურ მოსახლეობას).

სახით (სალუქვაძე, თალაქვაძე...), ხოლო ამაევე რიგის კიახური ჯუა ქარ-ულში უნდა გადმოსულიყო ხუა-ხვა-ს ფორმით[1]. მთარაშული მასალები გვეუბნებიან: ა) ყუა-ყვა შესაძლოა გადმოვიდეს ყა-ს სახითაც (ბათოყა), ბ) ხუა-ხვა კი ხა-ს სახით, რასაც ამტკიცებს ხადაჯუხა. ეგევე სიტყვა სვანურში ხადაჯუყვა-ს ფორმით. გვხვდება ერთ ლექსში: „ოია, ოიალე, ხადაჯუყვა, ისგუ ლაშგარ": „ოია, ოიალე, ხადაჯუყვა, შენი ლაშქარი".[2] სვანურისა და მთარაშულის ფორმები სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობენ.

თუ ღებურ გვარისსახელში — ბათხაძე ბათხა-ს გავიგებთ, როგორც ბათუხო-ხუა-დან მომდინარედ (შდრ. ბათოყა-ბათუ-ყა), მაშინ ხადაჯუხა-ს გვერდში ამოუდგებოდა ეს მაგალითიც.

[1] სიმ. ჯანაშია, ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის: „ლიტერატურული შემკვიდრეობა", 1, 1935, გვ. 66 და შემდ.

[2] სვანური პოეზია, გვ. 45.

ზანური სტრუქტურის სიტყვა ქართულ დიალექტებში

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის მონაცემებით გამორკვეულია, რომ ქართულ -არ სუფიქსის შესატყვისია მეგრულში -ენჯ ბოლოსართი; -არ და-ენჯ არა მარტო მორფოლოგიურად ფარავენ ერთმანეთს, არამედ ფონეტიკურადაც ეკვივალენტებია ერთურთისა.—ე ნ ჯ გავრცელებულია აწმყოს მიმღეობის ისეთ სიტყვებში, როგორიცაა მა-ხვენჯ-ი (მჯდომი), მა-რ-ენჯ-ი (მყოფი), მა-რტ-ენჯ-ი (გამქცევი, მლტოლვი), მა-გარ-ენჯ-ა (მტირალა) და მისთ. -ე ნ ჯ-ის ვარიანტებად მოიპოვება -ი ნ ჯ, -ა ნ ჯ, -ო ნ ჯ. ამ უკანასკნელისათვის დასახელებულია მაგალითები: ზ ო თ-ონჯ-ი (ზამთ-არ-ი), ქ ო მ-ონჯ-ი (ქმ-არ-ი), ო რ ც ხ-ონჯ-ი (სავარცხელი)[1].

-ე ნ ჯ ||-ი ნ ჯ ||-ა ნ ჯ ||-ო ნ ჯ სუფიქსში ნ ფონეტიკურად განეითარებულია, თანახმად მეგრულის წესისა[2]. მაშასადამე, ბოლოსართია -ე ჯ ||-ი ჯ ||-ა ჯ ||-ო ჯ. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ -ო ნ ჯ ||-ო ჯ-იანი ფორმები იშვიათია მეგრულში. საერთო დასკვნა ასეთია: ეს ფორმანტი „დღეს უქმი სუფიქსია: ხმარებიდან განდევნა მისმა მორფოლოგიურმა ძონაცვლე -ა ლ-მა. მას ფონეტიკურად და მორფოლოგიურად შეესატყვისება ქართული -ა რ ბოლოსართი, რომელთანაც უინაობის საწარმოებელ -ა რ-ს კავშირი არა აქვს. უკანასკნელი ქართულში შემოსულია ძეგრულიდან და მის ეკვივალენტად ქართულში გვეელინება -ე ლ ფორმანტი"[3].

კითხვა ისმის: ხომ არა გვაქვს ქართულში ზანური სტრუქტურის სიტყვები?

ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ მხრივ მათხოჯ-სიტყვამ.

მათხოჯ-ი ქართულში იხმარება: ა) ტოპონიმიკურ ტერმინად (სოფელია წულუკიძის რაიონში), ბ) 'ცუდის', 'უმსგავსოს', 'მახინჯის', ე. ი.

---

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, -ენჯ სუფიქსი მეგრულში: ენიმიკა-ს მოამბე, I, 1937.

[2] იქვე, გვ. 143; И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914, § 3 f.

[3] ვ თ ო ფ უ რ ი ა, დასახელ. შრომა, გვ. 144.

გაკილვის მნიშვნელობით ზემოიმერულში, რაჭულსა და ქართულ დიალექტებში, გ) 'მათხოვრის', 'მთხოვარას' მნიშვნელობით რაჭულში (რელიქტურად).

ამოსაველია რაჭულში დაცული სემანტიკა: მ ა თ ხ ო ჯ ი = მათხოვარს. აი, სათანადო კონტექსტები: „ნეფემ გედეიცვა მ ა თ ხ ო ჯ უ რ ა დ და თხოულობს აწე... ბიჭმა თვალი მოხკრა მ ა თ ხ ო ჯ ს, შეეცოდვა და მანათი გოდუგდო" (ჩეში მასალებიდან). არის ზმნური ფორმაც: ი მ ა თ ხ ო ჯ ა...

მ ა თ ხ ო ჯ-მა (მათხოვარი) შემდეგში 'ცუდის', 'უმსგავსოს', 'მახინჯის' მნიშვნელობა მიიღო. ამ უკანასკნელ მნიშვნელობას ატარებს უმთავრესად მ ა თ ხ ო ჯ ა ფორმა, დაცული ზოგიერთ კილოში.

'მათხოვართან' დაკავშირება 'ცუდის' ცნებისა ცნობილია ქართულ ენაში: აღმოსავლეთ საქართველოში მათხოვარს ჩვეულებრივ გ ლ ა ხ ა-ს უწოდებენ; მ ა თ ხ ო ვ ა რ ი (მ თ ხ ო ვ ა რ ა) და გ ლ ა ხ ა სინონიმებია (გავიხსენოთ თუნდაც ილიას „გლახის ნაამბობი"). ამისდაკვალად: მათხოჯ-ს, რომელიც თავდაპირველად 'მათხოვარს' აღნიშნავდა (და აღნიშნავს დღესაც — რელიქტურად — ზემორაჭულში), შემდეგში გადატანით 'გლახას', 'ცუდის' შინაარსი შეეძინა.

ეს — ს ე მ ა ნ ტ ი კ ი ს მხრივ.

საანალიზო სიტყვის ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა ასეთია: მა-თხ (ო ვ)-ოჯ-ი. მისი ზუსტი ეკვივალენტია მ ა თ ხ ო ვ ა რ ი:

.მა-თხოვ-არ-ი
მა-თხ(ოვ)-ოჯ-ი

ესენი პარალელური ფორმებია და ერთმანეთს ფარავენ სემანტიკურადაც და მორფოლოგიურადაც. ჩანს, -ა რ სუფიქსს ფუნქციურად ეფარდება -ოჯ, მაშასადამე, მ ა თ ხ ო ჯ-ი ზანური სტრუქტურის სიტყვაა.

მეგრულში ამჟამად ნ-იანი ფორმანტია ჩვეულებრივი: -ო ნ ჯ (-ე ნ ჯ etc.). ეს ნ განვითარებულია ჩვენს სიტყვაშიც, ოღონდ იმ შემთხვევაში, როცა ტოპონიმიკურ ტერმინადაა გამოყენებული: ადგილობრივი გამოთქმით სოფელს მ ა თ ხ ო ნ ჯ-ი (|| მ ა ნ თ ხ ო ჯ-ი) ეწოდება, ხოლო მათხოჯი ოფიციალური სახელწოდებაა სოფლისა და იშვიათი ფორმა ადგილობრივს სიტყვახმარებაში. ნაზალიზაციის დათარიღებისათვის შესაძლოა მნიშვნელობა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ მე-17 საუკუნის საბუთებში გვხვდება უნარო ფორმა (მ ა თ ხ ო ჯ ი) და ნარიანი (მ ა ნ თ ხ ო ჯ ი), მაგრამ მ ა თ ხ ო ნ ჯ ი არაა ნახმარი. ასე, მაგალ., არსებობს სოფ. მ ა თ ხ ო ჯ ი ს დაეთარი მე-17 საუკუნისა,[1] მ ა თ ხ ო ჯ ი გვაქვს აგრეთვე ერთ

---

1 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.), ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1940, გვ. 437.

1712 წლის საბუთში[1]. იმავე ხანის დოკუმენტებში მათხოჯ-ის გვერდით მოიხსენიება მანთხოჯი. შენახულია მანთხოჯის ნუსხები 1622 წლისა[2] და 1700 წლებისა[3], მანთხოჯის ანაწერი მე-17 საუკუნისა[4]... მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ნაზალიზაცია ყოფილიყო მაშინაც ოჯ სუფიქსში (მათხოჯ-ი) და საბუთების ენას არ აერეკლა იგი.

რაც შეეხება მათხოჯა-ს, უნდა აღინიშნოს, რომ -ა-ნიანი ფორმა იცის მხოლოდ ზემოიმერულ-ქართლურმა (მათხოჯ-ის გვერდით), სადაც ადიექტიურადაა გამოყენებული იგი, და ამდენად შესაფერისია მიცთვის ა-ს დართვა თვისების გამოსახატავად. სოფლის სახელად -ა-ნიანი ფორმა არა გვაქვს[5].

მათხოჯ-სიტყვას 'მახინჯის', 'უმსგავსოს', 'ულამაზოს' მნიშვნელობით უპოვია ლიტერატურული გამოხატულება. რაჟდენ გვეტაძის მოთხრობაში („ჰიაკოკონა") გვხვდება ასეთი ადგილი: „რა გაცინებს, ჭათხოჯო!" ავტორი სქოლიოში განმარტავს სიტყვას: „მათხოჯი — აქ: მახინჯი"[6]. ლევ. მეტრეველის ერთ მოთხრობაში ვკითხულობთ: „დედიკო, დედიკუნა! შენი გაუგონარი მათხოჯი გოგო ძალიან ქარგათა ვარ ამ შენგან ათვალისწინებულ ქალაქში"[7].

რადგანაც საანალიზო სიტყვა მეგრული სტრუქტურისა ჩანს, სავარაუდოა, იგი შემოსულია მეგრულიდან ქართულში. თვით მეგრულს ეს ფორმა არ დაუცავს, და ეს გასაგებიცაა, რამდენადაც -ონჯ ფორმანტი გადაშენებულია მეგრულში; მხოლოდ ანალიზი გამოაელენს მას. მის ნაცვლად -ალ სუფიქსი იჩენს თავს ამავე სიტყვაში: მათხუალ-ი.

---

1 სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, 1921, გვ. 105.

2 აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დაეთარი, გამოც. ს. კაკაბაძისა. 1921, გვ. 105.

3 საისტორიო კრებული, I, 1928, გვ. 39—40; ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალ-ეკონომიური კატეგორიები XV—XVIII სს. ენიმკი-ს მოამბე, V—VI, 1940, გვ. 314—315.

4 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, I, გვ. 54; ლ. მუსხელიშვილი, ibid.

5 პოეტ იოსებ დავითაშვილის 1881 წ. დაწერილ ერთ ლექსს ქვემოთ უზის: ხ. მათხოჯა („ლექსები, 1927 წ., გვ. 102): უნდა ვიფიქროთ, ი. დავითაშვილი (რომელიც 1881 წ. ეწვია სოფ. მათხოჯს), წერს მათხოჯა-ხ იმიტომ, რომ მის უნობრივ ცნობიერებაში მკვიდრი იქნებოდა ა-ნიანი ფორმა, რამდენადაც აღმოსაელეთ საქართველოში, სადაც ეს სიტყვა გაეგონებოდა პოეტს (თუმცა 'მახინჯის' მნიშვნელობით), სწორედ მათხოჯა (|| მათხოჯი) იხმარება, და ეს გადაიტანა სოფლის სახელადაც.

6 რაჟდენ გვეტაძე, მოთხრობები, 1940, გვ. 102.

7 ლევ. მეტრეველი, ჯაგანი, 1936, გვ. 251.

ეტყობა, მ ა თ ხ ო ჯ-ის შემოქრა და დამკვიდრება ქართულში ძველი მოვლენაა. არქაიზმზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე შემდეგი ფაქტი: -ო ჯ სუფიქსი დართული აქვს ძირს (მა-თხ-ოჯ-ი), სადაც -ოვ სუფიქსი (თ ხ-ო ვ) არა ჩანს. ალბათ -ო ჯ მაშინდელია, როდესაც -ო ვ ჯერ კიდევ არ იყო შეხორცებული ძირს (-ო ვ ისტორიულად სუფიქსია) [1], თუმცა გამოსარიცხი არ არის ვარაუდი, რომლის თანახმად -ო ჯ-ის დართვით -ოვ ბოლოსართი გარკვეული ფონეტიკური პერტურბაციის შემდეგ გაუჩინარებულიყო: მ ა-თხოვ-ოჯ—მ ა-თხო-ოჯ—მა-თხ-ოჯ.

ამ სიტყვის ეტიმოლოგიისა და მეგრულიდან სესხების გარდა, საინტერესოა ქართულში მისი გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ი ს გ ზ ე ბ ი ს გათვალისწინებაც. პირვანდელი მნიშვნელობით ('მათხოვარი') იგი შეუნარჩუნებია დასავლური კილოების ყველაზე არქაულ ერთეულს — რაჭულს (ისიც რელიქტურად); ზემოიმერულის გზით უნდა შესულიყო ქართლურშიც, მაგრამ აღმოსავლურ კილოებში მისი გავრცელების არე არაა ფართო: მთიანმა ქართლმა (ქსნის ხეობა...) ეგ სიტყვა არ იცის; მკვიდრია ბარის ქართლურში.

სოფელს კი მ ა თ ხ ო ჯ ი მაშინ დაერქმეოდა, როცა იქ მეგრული მოსახლეობა იყო. დროთა ვითარებაში იმ ადგილებში იმერლობამ მოიკიდა ფეხი და სახელწოდება სოფლისა ძველი დარჩა. თუ რატომ დაერქვა ასეთი სახელი გეოგრაფიულ პუნქტს, ეს გარკვეული არაა[2].

ამგვარად, -ო ჯ ფორმანტი დასტურდება კიდევ ერთ სიტყვაში — მ ა თ ხ ო ჯ-ში, რომელიც შემონახულია ქართულ მეტყველებაში, როგორც რელიქტური ფორმა. იგი საინტერესოა როგორც სტრუქტურულად, ისე სემანტიკური განვითარების მხრივ. ყურადღებას იქცევს ქართულში მისი გავრცელების გზებიც. მეგრულიდან შემოსული სიტყვა დასავლური დიალექტებიდან გზას იკაფავს აღმოსავლურ კილოებში. ეს ფორმა საგულისხმოა თვით ზანურის ისტორიისთვისაც, რამდენადაც სიტყვა მეგრულში არ შემონახულა.

---

1 ე. თ ო ფ უ რ ი ა, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები", III, 1936, გვ. 228; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, იოანე პეტრიწის შრომები, I, თბილისი, 1940, გვ. LIII—LVI.

2 შაეი ზღვის პირად გაშენებული ერთ-ერთი სოფლის სახელია მ ა ხ ი ნ ჯ ა უ რ ი. თუ დამტკიცდა, რომ იგი ნაწარმოებია მ ა ხ ი ნ ჯ-სიტყვისაგან, ამას ერთგვარად მნიშვნელობა ექნება მ ა თ ხ ო ჯ-სიტყვის ისტორიისათვის: მეგრულში მ ა ხ ე ნ ჯ-ი (ძაეე -ე ნ ჯ-ის შემცველი) 'მპარავს' ნიშნავს და ადიექტიური წარმოშობისაა. შემდეგ მას ქართულში მიუღია უარყოფითი — გადატანითი მნიშვნელობა ('მახინჯი'). ანალოგიურია მ ა თ ხ ო ჯ-სიტყვის ბედიც: მეგრული ადიექტიური ფორმა, შემდეგ გასუბსტანტივებული (სოფლის სახელწოდება), ქართულში იძენს უარყოფითს, გაყალბის შინაარსს ('მახინჯი', 'უმსგავსო', 'ულამაზო'). ჩანს, მ ა თ ხ ო ჯ და მ ა ხ ი ნ ჯ ა უ რ სიტყვათა გამოყენება ტოპონომიკურ ტერმინად და მათი სემანტიკური განვითარებაც ერთმანეთის მსგავსია.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქართული დიალექტოლოგიის ისტორია . . 3
ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები 35
მახვილისა და ინტონაციის შესწავლისათვის ქართულ დიალექტებში 54
კავშირები ქართულ დიალექტებში 65
ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებში 111
მოხეური ლექსიკა ალ. ყაზბეგის ნაწერების მიხედვით 129
მესხური დიალექტი 136
იმერული დიალექტი 153
ლეჩხუმური დიალექტი 173
რაჭული დიალექტი . . 187
ნართული ეპოსის ქართული ვარიანტები რაჭული დიალექტის მიხედვით. 255
ზანური სტრუქტურის სიტყვა ქართულ დიალექტებში 261

Шота Варламович Дзидзигури

Диалектологические изыскания

(на грузинском языке)